114/3
1982

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

8

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-სამხატვრო
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 56-ე | № 6 | აგვისტო, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### პროზა, პოეზია


ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 3
ოთარ ჩხეიძე — და ბუბუნებდა. მოთხრობა. . . . . . . . . . 4
ანა კალანდაძე — ლექსები . . . . . . . . . . 10
გურამ ფანჯიკიძე — თუშეთი, ჩვენი თუშეთი. ნარკვევი. დასასრული . . . . . 11
ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 58
შალვა ფორჩხიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 62
ჯემალ ქარჩხაძე — ბედნიერების მაძიებელი უფლისწული (მოთხრობა-ზღაპარი) 65
ზურაბ კაკაბაძე — ლექსები, ესე. (წინასიტყვაობა და პუბლიკაცია თამაზ ჩხენკელისა) 86
გურამ კაპანაძე — თავბერა. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . 94


### სსრკ — 60 წელი


მაქსიმ რილსკი — დავით გურამიშვილის საფლავთან. თარგმნა ამირან ასანიძემ 121
იროდიონ მაჩაიძე — დიდმნიშვნელოვანი ეტაპი სსრ კავშირის შექმნის გზაზე 123


### 1783 გეორგიევსკის ტრაქტატი 1983


გიორგი ნატროშვილი — მეგობრობის ცეცხლი . . . . . . . . . 130


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


ოთარ წერეთელი — „ოთხი ნადირობა“. დასასრული . . . . . . . 139


### მეცნიერება


რევაზ თვარაძე — პეტრე იბერიელი და დავით უძლეველი . . . . . . . 162


### გამოსათხოვარი


სარგის ცაიშვილი — მეგობრის ხსოვნას . . . . . . . . . 172
კონსტანტინე ლომია — აფხაზი მწერლების მეგობარი . . . . . . . 173
თენგიზ ბუაჩიძე — გამოთხოვება გურამ ასათიანთან . . . . . . . 174
ნაფი ჯუსოითი — დიდი და ნიჭიერი პიროვნება . . . . . . . . 174
არჩილ სულაკაური — მშვიდობით, გურამ! . . . . . . . . 175


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ო. პაჭკორია (პ/მგ. მდივანი) ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11 მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23/VI-82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VIII-82 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4}$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108$^{1}/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 00726. ტირაჟი 26800. შეკვ. 1610. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17471

ირაკლი აბაშიძე

## ო, რა შორს მოჩანს...

იმ აპრილს ერთად, ნაოლალევთან,
უნდა გვენახა თეთრი მარტვილი,
მაგრამ ის თავსხმაც
                    იმ წელს გამეფდა —
აპრილი იმ წლის იყო მარტივით;

აპრილი იმ წლის,
იმ წლის აპრილი...
დაშორდა იმ წელს ჩვენი გზა-კვალი.
და შორს. ო, რა შორს
                    მოჩანს მარტვილი—
ოდიშის მთების თეთრი ზღაპარი.

## ათასჯერ თქმულის მიბაძვით

ეს ამერეთი, ეს იმერეთი
ხომ სულ აგივსე ხმებით, ეთვლეელით—
მაინც სიმღერა,
                    ათასმეერთე,
მიმღევს, თან მიმღევს შენთვის უთქმელი.

ხომ სულ ვადიდე შენი სახელი,
შენი ხმაური,
                    შენი მთა-ბარი —
მიუღწეველი, მოუნახველი
მიმღევს, თან მიმღევს სიტყვა მთავარი.

შენი მთა-ბარი, შენი ხმაური
ჩემი ხორცია,
                    ჩემი სისხლია —
მიმღევს, თან მიმღევს ის სიყვარული,
რომელიც შენთვის არ ამიხსნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# და ბუბუნებდა

ბუ-ბუ-ბუ-ბუ.. ბუბუნებენ თელები.
ანა კალანდაძე

ბუბუნებდა სოფელი, —
მუხები ბუბუნებდა, ვერხვები ბუბუნებდა, კაკლები ბუბუნებდა, თელები ბუბუნებდა, — ბუბუნებდა სოფელი.
შრიალებდა სოფელი, —
ბაღებში შრიალებდა, ეზოებში შრიალებდა, გზებზედა შრიალებდა, რუებში შრიალებდა, ჩამშრალ რუებში რალა თქმა უნდა, შრიალებდა სასაფლაოზედა.

ბუბუნს არ უნდოდა ქარი, სიოც არ უნდოდა; შრიალს უნდოდა სიო მაინცა, ჩუმი, საიდანღაც შემოპარული; და ვინ უწყის, იგივე სიო თუ გაბმულიყო ჩამოსხეპილ მუხის რტოებში, კაკლის რტოებში, ვერხვის რტოებში, ისევე ჩუმად შემოპარული, — რტოებსაც ის თუ აშრიალებდა.

ბუბუნებდა გვიან შემოდგომისასა, ზამთარში ბუბუნებდა, ბუბუნებდა ადრე გაზაფხულზე, გაკვირტამდისა, — შიშველი ბუბუნებდა, ანთუ თრთოდაო, ძაგძაგებდა შიშველი, ძაგძაგებდა და კანკალებდა, და გამოსცემდა ბუბუნსაცა ისეთსა, როგორც რო თრთოდა, ძაგძაგებდა ანთუ როგორცა, ანთუ როგორც რო კანკალებდა: ბუბუნებდა და ბუბუნებდა ნაირ ხმაზედა, ოღონდ ისე, რო სევდას მოჰგვრიდა ადამიანსა, გულს აუჩუყებდა, ფიქრსაც მოჰგვრიდა და არც დააფიქრებდა, სადღაც ეწეოდა და არც მოჰყავდა, მაინც ეწეოდა, ეწეოდა და ეწეოდა, მოაჩვენებდა ვინ უწყის რას არა და არც არაფერს მოაჩვენებდა, ბინდს წააფენდა რო ყველაფერსა, ბინდს წააფენდა და აუმღვრევდა.

ბუბუნებდა სასაფლაოცა, — ეკლესია თუ ბუბუნებდა;

ჯვარი მონგრეოდა ეკლესიასა, რაღა თქმა უნდა მონგრეოდა კარგა ხანია, ჩამოეყარათ ზარებიცა სამრეკლოდანა კარგა ხანია ჩამოეყარათ, თავხე შერჩენოდა სამრეკლოსა, ზარების საკიდი თავხე შერჩენოდა, იმას თუ შეენახა ხმანი გარდასულნი, ის თუ ბუბუნებდა, — ქანაობდა თოკები, უზარებოდა, ურარაოდა, ქანაობდა და ბუბუნებდა.

შრიალებდა ფოთოლი, აიწევდა, აფარფატდებოდა, შემოევლებოდა საფლავის ქვებსა, — შრიალებდა და შემოევლებოდა; შემოევლებოდა და შემოივლიდა წარწერათა საფლავის ქვათა, სამდურავთა წუთისოფლისა, სინანულთა წუთისოფელში, ამ გაუხარელ წუთისოფელში, ვედრებათა შენდობისათა, რამეთუ ყველას თურმე შეეცოდა, გამოუკლებლად ყველას შეეცოდა, შენდობას ითხოვდა თვითეული, ყველა ითხოვდა შენდობასა: ჩჩვილი, პატარა ქვისქვეშ რო იწვა, ვაჟკაცი, ვეება ქვისქვეშ რო იწვა, მოხუცი, საშუალო ქვისქვეშ რო იწვა, ქმარი, მოდიდო ქვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ რო იწვა, ცოლი, მომცრო ქვის ქვეშ რო იწვა, — ყველა ითხოვდა, ყველა ითხოვდა: ცოლიცა და ქმარიცა, შვილიცა და მშობელიცა, დაცა და ძმაცა, რძალიცა და მაზლიცა, დედამთილიცა და მამამთილიცა, სიდედრიცა და სიმა-მრიცა, მეგობარიცა და მოსისხლეცა, მტერიცა და მოკეთეცა, ავიცა და კარგიცა, ყველა ითხოვდა შენდობასა, გამოეშვირა ხელი ყველასა, გამოეწია ყელი ყველასა, ეგრე მწოლარეს გამოეშვირა, გამოეწია ეგრე მწოლარესა და აი კიდევაც წამოდგებოდა, წამოდგებოდნენ ანთუ ყველანი, ერთადა, ერთბაშადა, საუკუნენი წამოდგებოდნენ, საუკუნენი მიკარგულნი და უხსოვარნი, ზღაპრების მიღმა, მითების მიღმა ჩაქარწყლებულნი, წამოდგებოდნენ თითქოსაო რაღა თქმა უნდა, — ისე ბუბუნებდა ზამთარი, შემოდგომის ბოლოც ისე ბუბუნებდა დასაწყისიცა გაზაფხულისა, — ბუბუნებდა სოფელი, სოფელი ბუბუნებდა, ანთუ ბუბუნებდა მუხები, ვერხვები ბუბუნებდა, თელები ბუბუნებდა, კაკლები ბუბუნებდა, ბუბუნებდა და გუგუნებდა;

ასე ახსოვდა,
ასევე მოესმოდა,
უფრო მკრთალადა
თუმცა,
მაინც მოესმოდა.

ბუბუნი იგი სამრეკლოისა, იმა გამობღვნილი სამრეკლოისა, რო ქანაობდა თოკები ისევა, ირხეოდა თუ ფართფატებდა, რო არაფერს ება, არაფერს ეკიდა, არც არაფერი შეეხებოდა, არა ცხადია: ახსოვდა, თორემ თოკები ჰო აღარ ეკიდა, არცა თუ მთვარე ანათებდა იმჟამადა ისე, იმგვარადა, მოჩვენებანი რო წამოეშალა, მხოლოდღა ახსოვდა და მოესმოდა მხოლოდღა ხსოვნაი, ხსოვნა მოესმოდა და მოაჩვენებდა; საფლავის ქვებიც ისევე ახსოვდა, წარწერანიცა საფლავის ქვებზე, ვედრებანით თუ სამდურავნი წუთისოფლისა, ისევე ახსოვდა გამოყოფანი ასომთავრულითა, თარილები ქორონიკონითა, ასე ძველი ქვებიც ახსოვდა; ძველ გვარებსაც მოაგონებდა, რო ყოფილიყო და გარდაგებულიყო, ანთუ აყრილიყო, ანთუ [illegible]-ულიყო, გაწეწილიყო თუ გამქრალიყო, მოაგონებდა და მოაჩვენებდა: გვარი გვარს როგორ რო გამოჰყოფოდა, როგორ მოსდევდა ერთიმეორესა, როგორ არავის არ შეირევდა, თვით ზედსიძეთაც რო არ შეირევდა, ცალკე გაიტანდა, ცალკე ეგვარა თუ გვარი იყო, გვარად თუ ვარგოდა და იგვარებდა გვარი თუ იყო, თუ არა, კვდებოდა სასაფლაოზედაცა, — კვდებოდა, აღარავინ მოიგონებდა; ოლონდ თუ ფოთოლი, — ფოთოლი თუ მოიგონებდა, შეიშრიალებდა, მიაკითხავდა, გადაევლებოდა, აიტანდა და შეაბნევდა ბუბუნში იმასაცა, უხსოვარსაცა, შეაბნევდა გაბმულ ბუბუნში, ანთუ ჩასწერდა ბუბუნის წიგნში, სხვა წამკითხველი რო სჭირდებოდა, სხვა გულისაი, სხვა გრძნობისაი, სხვა ჭვრეტისაი, სხვა ოსტატის ნაშეგირდალი, ოსტატი თვითონა, უბადლოი და სწორუპოვარი: საფლავის ქვები უფრო ადვილად წაიკითხებოდა რაღა თქმა უნდა, ძველი თუ ძნელადა, — წაიკითხებოდა ისიცა აგრეთვე დოქით ღვინოს რო გაიტანდნენ, თავს რო წაუქცევდნენ ღვინოსა საფლავზედა, წაიკითხებოდა, წაიკითხებოდა ისტორია სოფლისა, წაიკითხებოდა და გაიგონებდა, გაიგონებდა და გარდაეცემოდა, გარდაიცემოდა და დააფიქრებდა, დააფიქრებდა და აალევებდა, აიტანდა თუ გასთანგავდა, რაც იქნებოდა, დააფიქრებდა, გაამხნევებდა, დააიმედებდა, ჭირსაშიგან გაამაგრებდა: და სწორედ ეს შეშურდა თითქოსა ვილაცასაო, ეს გამხნევება თუ გამაგრება შეუშურდა თითქოსაო, ანთუ აღარ გაემეტაო, და წაუშალა წიგნი იგი გასაოცარიო: აეყარათ ქვები, აეყარათ და გადაეყარათ, დაეწვათ წიგნი, დაეფერფლათ, ქვის წიგნი დაეფერფლათ; და ბუბუნებდა სამრეკლოი უზაროი, ბევრჯერ სიხარული რო დაერეკა, მწუხარება რო დაერეკა უფრო ბევრჯერა, ბუბუნებდა და მოიგონებდა, — გადაშლილიყო ის სხვა წიგნადა, ხელშეუხებელ წიგნად გადაშლილიყო, ბევრი რო ვერ წაიკითხავდა, ცოტაც რო ვერ წაიკითხავდა, ერთი-ორი თუ წაიკითხავდა, ყველას რო ვერ გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებდა, ანთუ არც რო დაუჯერებდა ყველა ყველაფერსა, ანთუ არაფერს არ დაუჯერებდა, და არც დასწვამდნენ ამდაგვარ წიგნსა, ვერც რო დასწვამდნენ, ეს სხვაა ცხადია; ამას მისწვდომოდნენ, საფლავის ქვებსა, ამოკითხვა რო გასძნელებოდათ, გასჭირებოდათ ასომთავრული, ნუსხახუცური გასჭირებოდათ, ძველი მხედრულიც გასჭირებოდათ, ვერ გამოეწვლილათ ქორონიკონიცა, ასონი რიცხვებზე ვერ გადაეთვალათ, ანთუ რაც იყო თუ როგორც იყო, შური ეძიათ ერთიანსიტყვითა, აეყარათ და გადაეყარათ; და ბუბუნებდა ბუბუნის წიგნი, ბუბუნებდა ამ ახალ თავსაცა, — აშრიალდებოდა, გადაიფურცლებოდა თითქოსაო, გადაიფურცლებოდა და ბუბუნებდა, შრიალებდა და ბუბუნებდა, ბუბუნებდა, ბუბუნებდა. ბუბუნებდა, ბუბუნებდა.

უფრო მკრთალადაო. —
რო მიმოდიოდა, აღარც რო ესმოდა,—
და მიდგებოდა სამრეკლოსთანა,
დაჰხრიდა თავსა,
მილულავდა თვალთა, მილულავდა:

ასე იქცეოდა ყურადღებადა, სმენად იქცეოდა, კაცი იყო და გარდაიქცეოდა მხოლოდღა სმენადა. წაერთმეოდა აქაობასა, ჩაიკარგებოდა, შთაინთქმებოდა, აღანდებოდა მერე სადღაცა. შორსა, ისე შორსა, ჯერ სოფელიც რო არ იცოდა ადამიანმა; ბუბუნებდა სოფელი ასე, ასე შორსაც რომ გაიტყუებდა: გაიტყუებდა და მოაბრუნებდა, ჩასძირავდა და ამოაგდებდა, ამოსტყორცნიდა, გააგონებდა კაცთა ხმასაცა იმა ბუბუნში თუ ბუბუნთან ერთადა: კაცთა ხმა ეს დარაჯის ხმა იქნებოდა, მალაზიის დარაჯისაი, რომელი ხარო. ძაღლიც აჰყვებოდა, რომელი ხარო. — მე ვარო, — მიუგებდა. ეს მიუგებდა და ის დამშვიდდებოდა, დარაჯი ცხადია, ძაღლის წნავილიც მიწყნარდებოდა: ჩაჰყვებოდა ისევ ბუბუნსა, ესა ცხადია, და ისევ ხმა რო ამოიტაცებდა, აღარ გაუშვებდა ისე ადვილადა, — ახლა ქალის ხმა ამოიტაცებდა, გამოიყვანდა, გამოარკვევდა; ეს გაახარებდა, ველარა ჰხვდებოდა ისე ხშირადა. დასცილებოდა ბავშვობის მერე, მაგრამ მოსდევდა სითბოი ბავშვობისა, ნატვრაი ბავშვობისა, და რო ჰხვდებოდა, ჰხვდებოდა ისევე, იმავე ნატვრითა, სითბოთი იმავეთი; ისიც აგრეთვე სითბოთი იმავეთი მიეგებებოდა, ოღონდ ამჯერად მოლუშულიყო, გულცივად მოსჩანდა, სალამს სალამიც რო არ შეაგება, მწარედ რო ჰკითხა:

— მოგწონს?!. — ჰკითხა მწარედა და დამცინავადა.

— რა მოსაწონია!.. — მიუგო ამანა, თითქოს განა თუ ესაა შეჰხვდნენ ერთმანეთსა, თითქოს საუბარს აგრძელებენო.

— მერე?!

— მერე რა?!

— რატომ დაანებე?!

— მე ჰო აქ არ ვიყავი?..

— აქ არ იყავი!..

— არა, ჰო იცი...

— ვიცი, არავინ იქ არ არის, სადაც საჭიროა.

და მიდის ქალი, საფლავის ქვებს რო არ მოედება რაღა თქმა უნდა, რო მოსწორებულა ირგვლივ ყველაფერი, ანთუ უფრო უკეთ რო ითქვას, ოღროჩოღროდ გადაქცეულა, ამოშვერილა რო ზოგან როკები გადამტვრეულის ნარგავებისა, ზოგან ყლორტები, რო ამოჩხორილა, წიწვეთა ყლორტები, თითქოს რო ლამობს გადარჩენასაო, ანთუ ესაა და სულსა ლაფავსო. — მიდის გულდაგულა, ალბათ იცის თუ საითაც მიდის, მიდის და მიასწორებს, სადღაც ერთი ქვა გადარჩენილა, საფლავის ქვაი რაღა თქმა უნდა, იქ მიასწორებს, იქ ჩამოჯდება, ამასაც ანიშნებს, შენც ჩამოჯექიო. ესეც ჩამოჯდება. ბუბუნით ისევა ბუბუნებს სამრეკლოი, აყრილი სასაფლაო ბუბუნებს ისევა, სოფელი ბუბუნებს ერთისიტყვითა, და ქალი აჰყვება იმა ბუბუნსა:

— არავინ იქ არ არის, სადაც საჭიროა, — ასე იმეორებს, ასე აჰყვება, — არავინ იქ არ არის და ყველა თავს იმართლებს; ყველა თავს იმართლებს და უბედურებაც ესაა, უბედურება სიკვდილი როდია, უბედურება აი ესაა, სიკვდილის ნიშანიც რო აღარ არის, თითქოს სიკვდილი რო აღარც არის, აღარც არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არცა ყოფილა, უბედურება სწორედ ეს არის, მე ასე მგონია, ასე მგონია. აგერ აქ ჩემი გვარისანი ესვენენ, ეგერ იქ შენი გვარისანი ესვენენ, იქით სხვისანი და იქით სხვისანი, ვიცოდით, რო აქ დავიბადეთ, ვიცოდით, რო გვყავდნენ წინაპარნი, იღწვოდნენ, ცავდნენ, სწუხდნენ, უხაროდათ, შობდნენ, ზრდიდნენ, სტოვებდნენ, იხოცებოდნენ: ვიცოდით თუ რა გვხსომებოდა, რა დაგვეცვა, რა გადაგვერჩინა, რას გავფრთხილებოდით, რა გაგვეწირა, ვინ გაგვეწირა, მტერი ვინ იყო თუ მოყვარე ვინ იყო: ვიცოდით თუ როგორ გაგვერჩია, ვით დავხვედროდით, ვით აღვდგომოდით, ვიცოდით და ვიცით კიდევა?.. გვგონია, ციდან ჩამოვფრენილვართ, გვგონია, აი ავფრინდებით ისევა, გვგონია, არავინ არ დაგვხოცია, არა გვყოლია თითქოს წინაპარნი, არც არაფერი არ შეუქმნიათ, არც არაფერი დაუვალებიათ ჩვენთვისა, გვგონია, გვგონია, ასე გვგონია, რახან მოვფრენილვართ, რახან ავფრინდებით ასე გვგონია, რახან წაგვიშლია აქა ყველაფერი, ასე გვგონია რაღა თქმა უნდა: ვერ გაგვიგია, რო არც მოვფრენილვართ, არც რო გავფრინდებით, ვერ გაგვიგია, და აღარც რო აქ გვექნება ადგილი, ვერ გაგვიგია, ვერა, ვერა, ვერ გაგვიგია, სასაფლაო რახან აგვიყრია, ვერ გაგვიგია და ვეღარც გავიგებთ: მე ეს უნდა მეთქვა რამდენი ხანია: ჯერ მეგონა, შენც რო იცოდი, მერე ვერ მოგძებნე, შენც აღარ გამოჩნდი, მეც ვეღარ მოგძებნე: როგორ გვეგონა, რო არასოდეს დავკარგავდით ერთმანეთსა, როგორ გვეგონა!.. უნდა მომეძებნე, როცა რო ანგრევდნენ, აქაობა როცა აჰყარეს, უნდა მომეძებნე, შენ უნდა გეთქვა, შენ უნდა აგეხსნა, გაგეწია წინააღმდეგობა, სისხლიც დაგეღვარა, გადაგერჩინა რო ხსოვნაი სიცოცხლისა, ხსოვნაი გვარისა, ხსოვნაი სოფლისა, რადგან ხსოვნაა რო ყველაფერი, განძი ხსოვნაა, მადლი ხსოვნაა, მადლი სიცოცხლისა, ღივი სიცოცხლისა, სოფლის სიცოცხლისა, გვარის სიცოცხლისა, ხსოვნაამეთქი, მხოლოდ ხსოვნაა, და ხსოვნა უნდა გადაგერჩინა: სხვა ყველაფერი კაცთა ხელთაა, დაანგრევს, აღაშენებს, აღაშენებს, დაანგრევს, დაანგრევს, აღაშენებს, ხსოვნაა მხოლოდ გამონაკლისი, — თუ დაანგრია, ვეღარ აღაშენებს, ხსოვნის კედლები ხელებს როდი ემორჩილება, ვეღარ აღადგენს, ვეღარ აღაშენებს, ხოლო ის თუ რასაც აღაშენებს, სხვა ხსოვნა იქნება, არა ჩვენი, ჩვენი გვარისა, არა ჩვენი, ჩვენი სოფლისა, არა, არა... აი ეს უნდა გადაგერჩინა, ამიტომ გაჩნდი, დაიბადე ამის დარაჯადა, აქ, ამა სოფლად ამად დაიბადე: შენ აიყარე და გადაიკარგე, ვერ შეიგნე თუ რა გევალებოდა, შენი სიკეთელა შეიგენი, შენი, საკუთარი, შენი კეთილდღეობა შეიგენი, შენი, საკუთარი, აიყარე და გაეცალე სოფლის ტალახსა, ბოსლების სუნსა, მიწასთან ომსა, ქარსა, ავდარსა, თქეშსა, სეტყვასა, შიშსა, შიშსა, შიშსა იმისა, ვაი თუ ერთ დღეს აღარ შემარჩინოს მთელი წლის ნაჯაფი სიავემა ბუნებისამ, ანთუ კაცთა სიავემამ, აიყარე და გაეცალე, მობრძანდი და აი რა დაგხვდა, აი, აი, რა დაგხვდა!... ახლა რასა ფიქრობ?!. უშველი?!. რას უშველი, როგორ უშველი?!. მორჩა, მოიშალა, ხსოვნა მოიშალა და აღარც ჩვენა ვართ, რახან ხსოვნა არ გაგვაჩნია, თუმცაღა მიჰხვდნენ, დაჰგმეს ვინც იყო ამის ჩამდენი, მოჰხსნეს, შეაჩვენეს, რამდენი ისეთი მოჰხსნეს და შეაჩვენეს, ჩვენ მერე რაო, დალუპულსა თუ გაფუჭებულს რაღა უშველეს?!. ყველაფერი უნდა დროზედა, ყველაფერი ადგილზე უნდა, იქ უნდა იყვე, სადაც საჭიროა: რო არ გასცლოდი, ჰკუა რო გყოფნოდა, გული გყოფნოდა, თავი გამოგედო, ეშველებოდა, მე ასე მჯერა, რო არ გასცლოდი, ეშველებოდა: შენ მიჰხვდებოდი, რო შეიძლებოდა, სხვაგან დაერგოთ ეგვიპტური თუ ციმბირული ნაძვები, რო სჯობდა, სხვაგან გაეშენებინათ „პარკი“, ამისთვის თავი დაენებებინათ, რადგან რო „პარკი“ გახლდათ ისედაცა, ლამაზი გახლდა ეს ისედაცა, შენ მიჰხვდებოდი, გაიგებდი და გააგებინებდი; გააგებინებდი ალბათ იმასაცა, „პარკი“ რო გახლავს მთელი სოფელი, თუ კარგად უვლი, „პარკიც“ როა და სოფელიც როა და სოფელიც როა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი სოფელი თუა, მართლაც სოფელი სოფელი თუა, სოფელი სოფლით დამშვენებულა და „პარკი“ იმას ვერას შეჰმატებს, ვერც ვერაფერი ვერას შეჰმატებს, მშვენიერებას ვერა, ვერაფერი ვერას შეჰმატებს: შენ მიჰხვდებოდი, ნაძვი ვერავის რო ვერ შეიყოლიებს, ახალგაზრდობას ვერ შეიყოლიებს. შენ ჰო მუხებმაც ვერ შეგიყოლია, კაკლებმაც ვერა. თელებმაც ვერა. ვერხვებმაც ვერა, ხეხილმაც ვერა, ვენახმაც ვერ შეგიყოლია, ნეტა ნაძვი თუ ვის შეიყოლიებს, ეგვიპტური თუ ჯანდაბური, მითუმეტეს თუ ვერც გაახარებ?! შენ მიჰხვდებოდი და სასაფლაო გადაგვირჩებოდა, გადაიკარგე და ახლა რაო. გინდა მოსულხარ და გინდა არა, ველარას უშველი. იმ ქვებს ვერ იპოვნი, იმ წარწერებს ველარ მოაგროვებ. თუნდ მოაგროვო. ვერ დაალაგებ, ისე, იმგვარადა, იმ ადგილასაც ვერ დაალაგებ, ადგილს ვერ მიუჩენ, ხოლო უადგილოდ არა მეტყველებს სოფლად არაფერი... გინდა მოსულხარ და გინდა არა. ამისთვის ალბათ ჰო არც მოსულხარ, ალბათ ისევ შენთვის მოსულხარ, შენთვის წახვედი და შენთვის მოსულხარ; შენ ამ ბუბუნსაც ველარ გაიგებ: გახსოვს...

და მოადევნებდა სულმოუთქმელადა,
მოაგონებდა ბავშვობასა.
ალავსებდა სინანულითა.
ალავსებდა საყვედურითა.
არც დაანებებდა არცა რო სიტყვასა,—
თავისმართლება არ გამაგონოო.

შინ გვიან დაბრუნდა დაღლილი კაცი.

— დაღლილი თუ გაბრუებული: დაღლილიცა და გაბრუებულიცა. მეუღლე დაჰხვდა შეწუხებული, ჩაიდანი თუ რამდენჯერ დაშრა. აღარ მახსოვსო.

— აბა რა მექნა?!. — მოებოდიშა ქმარი, დაღლილი თუ გაბრუებული, ან თუ დაღლილიცა და გაბრუებულიცა. — აღარა და აღარ გაათავა ლაპარაკი, ღმერთო, რა ყბედია!.... ხანი ვერ ვუპოვნე, ერთი სიტყვა რომ მაინც ჩამერთო, ლამემშვიდობისა რო მაინც მეთქვა. აბა ისე ჰო არ გამოვეცლებოდი?!

— ვინ შეგჰხვდა ასეთი?... — იკითხა ქალმა. ისე. გულგარეშე. ჩაიდანი რო ჩამოაპირქვავა, ვეება ჩაიდანში, ერთი ჭიქა რო ძლივს ჩამოსწურა.

— ქეთევანი...

— ვინ ქეთევანი?! — უკვე მართლა იკითხა ცოლმა.

— ბერდიაანთ ქეთევანი... იცნობ.

— ქეთევანი!.. — მოილუშა ქალი. ჩაჯდა ქალი, მურაბა მიაწოდა და ფრთხილად დაჰხედა თვალთა იმისათა.

— ქეთევანი... — ქმარმაც გაიმეორა, მურაბა ამოიღო და ჩააბრუნა ისევ ისე სამურაბეში.

ტუჩი ჩაიკვნიტა ქალმა.

კაცი ჩაის ურევდა, ჩაიში შაქარი არ ეყარა, ურევდა, ურევდა, უნდოდა რაღაც ეთქვა და ვერ ეთქვა, ჩაი გაცივდა. ცივი ჩაი დალია კაცმა, თითქოს ცხელიაო, თითქოს რო პირიც დაეწვაო, ისეც დალია, მურაბით გაიგრილა პირი, თითქოსაო რაღა თქმა უნდა. სოფელი ისევა ბუბუნებდა ცხადია, ან თუ ბუბუნებდა გარემოი სოფლისა, სოფელი ბუბუნში ჩაიძირებოდა. ჩაიძირებოდნენ ესენიცა რაღა თქმა უნდა, მიჰყვებოდნენ იმა ბუბუნსა, მიჰყვებოდნენ, მინებდებოდნენ, სიმშვიდე რომ მოჰქონდა სოფლადა; ჩაიძირებოდნენ ისევე უთქმელადა, ქმარი ისე რო ჩაეფიქრებინა, ცოლი ისე რო შეწუხებულიყო. დილით იქავე დასძრავდნენ კრინტსა, ჩაის მაგიდასთანვე დასძრავდნენ კრინტსა, ცოლი ისევე რო ჩამოაპირქვავებდა ვეება ჩაიდანსა, ისევ ერთ ჭიქას რო ძლივს ჩამოსწურავდა,— ჯერ ქმარი დასძრავდა კრინტსა:

— ქეთევანი მე მაბრალის...

ჩავარდებოდა ხუფი ჩაიდანსა, დაიზრიალებდა, გაგორდებოდა. იგორებდა. იგორებდა, ამობრუნდებოდა და აწკრიალდებოდა.

— რას გაბრალის?.. — სახეზე ხელებს აიფარებს ქალი.

— სასაფლაოს აყრასა...

— ჰა?!

— სასაფლაოსი მეთქი...

— რა შენი ბრალია?! — შესძახებს ქალი. ისე შესძახებს. თავშეკავება რო გასჭირებია.

— არაფერი, ცხადია არაფერი!... — მშვიდად მიუგებს კაცი. — შენ ნუ ალე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლდები, მე ავუხსნი. წუხელის როდილა დამაცადა, ახლა მე არ დავაცადი, ერთ სიტყვასაც აღარ დავაცადი. თორემ ჰო იცი, როგორი რაცაა, გზარს ვერ უპოვნი, სიტყვა რო ჩაურთო!.. ახლა იმან მიპოვნოს გზარი!.. ჰა, ჰა.. ჰა...

იცინის და აღარც რო ურევს ჩაისა. აღარც რო დაცადის, მოსვამს რო ისევ. მართლაც დაეწვის პირი, მართლაც მოიშველიებს მურაბასა: ჩაისაც მიატანს. ისევ ისე დაუფიქრებლადა თუ დაბნეულადა, ისევ დაეწვის და ისევ იგრილებს პირსა. ისევ დაეწვის და ისევ იგრილებს. ან თუ ვერცაო, ვერ გაიგრილებს, გამოიფუფქავს პირის უბესა.

ქალს ცრემლი ჩამოსდის, თითებით გადაიწმენდს, კიდევ ჩამოსდის და კიდევ გადაიწმენდს.

— წავიდეთ!.. — გადაწყვეტს ქალი.

— სად წავიდეთ?! — კაცი გაიკვირვებს.

— სადაც არავინ გვეცნობა, სადაც არავინ არას მოგვაგონებს. წავიდეთ, ვიაროთ, ვიმოგზაუროთ... ათიოდე დღე კიდევ დამრჩა შვებულებისა, მოვასწრებთ... წავიდეთ!..

— წავიდეთ. — თანხმდება კაცი, — ოღონდ მაინც გავუვლი ქეთევანსა. ვეტყვი და წავიდეთ.

— არა!... — ბრძანებს ქალი, აიწურება ქალი, თუ აიხირა, რალა ვუშველოთ.

— კეთილი... — თანხმდება კაცი, იოლადა თანხმდება, — მერე იყოს...

— მერე იყოს... — ამოისუნთქებს ქალი შვებითა. ოდნავი შვებითა რალა თქმა უნდა, მერე რა იქნება ჯერ რო არ იცის, ოღონდ ამას მაინც რო არ ეტყვის: ქეთევანი რო გარდაიცვალა კარგახანია. რო ვერ დაესწრნენ დაკრძალვაზედა. ოღონდ ორმოცს მაინც დაესწრნენ: წლისთავსაც დაესწრნენ: აქ დაესწრნენ. აქ ჩამოვიდნენ: არ ეტყვის ცხადია, არ გააზსენებს, მერე თუ ეტყვის, ან თუ მერეც არაფერს ეტყვის, ანთუ ეტყვის და ვერ მოაგონებს მაინც ვერაფერსა, ვინ უწყის, ვინ იცის...

და ბუბუნებდა სოფელი მაინცა, — მუხა ბუბუნებდა, ვერხვი ბუბუნებდა, კაკალი ბუბუნებდა, თელა ბუბუნებდა, იფანი ბუბუნებდა, თითოოროლაღა გადარჩენილიყო, მაინცა ბუბუნებდა: გადარჩენილიყო თუნდაც ერთიც რო, იბუბუნებდა, იბუბუნებდა, მაინც იბუბუნებდა. —

და

ბუბუნებდა,

ბუბუნებდა,

ბუბუნებდა

სოფელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე

# კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის კრედო — კერძო საუბარში განცხადებული

დე, გუგუნებდეს
დიდებით დაფი,
მსხვერპლშეწირვისას
მსხვერპლი გვეწიროს.
მზე აპოლონი
მისდევდეს დაფნას,
მაგრამ... ვერასდროს
ვერ დაეწიოს!

. . .

ქედს ჩამოთოვლილს თრიალეთისას
რაბათით ვუმზერ. —
ცას ახალციხის — ვერრით მოქცეულს
დამპყრობთა რჯულზე.
უმწიკვლოა და უწმინდესია
მისი დიდება!
მიდის ფოცხოვი, თვისი ძველი გზით
მიედინება
და შერევია იის სილურჯე
გაშლილ კაბადონს...
ქედს ჩამოთოვლილს თრიალეთისას
ვუმზერ რაბათით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

# თუშეთი, ჩვენი თუშეთი

## პრობლემები, პრობლემები...

„ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მისი კანონების ცოდნით არის აღჭურვილი.

ჩვენი ერის დიდ საუნჯეს, შნოს და ლაზათს, მის სილამაზეს უნდა ემსახურებოდეს სპეტაკი, სინდის-ნამუსით აღჭურვილი მამულიშვილი, რომელიც ბუნების დაცვით არის დაინტერესებული და მისთვის გული შესტკივა", — აი, რა თქვა იაკობ გოგებაშვილმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ბუნების დაცვის პრობლემები ის-ის იყო იკვეთებოდა.

დარწმუნებული ვარ, დიდი პედაგოგის სიტყვებს იმ დროს არ მოჰყოლია ცხოველი გამოხმაურება. იგი ალბათ, ლამაზ გამონათქვამად დარჩა.

მაშინ ხომ ბუნების დაცვის პრობლემები მხოლოდ ჩანასახის სახით იჩენდა თავს და სასხვათაშორისო მსჯელობის საგანი თუ გახდებოდა დროდადრო.

როგორი სიმძაფრე და სიღრმე შეიძინა ამ სიტყვებმა დღეს. მეტსაც ვიტყვი, ხვალ იგი ჩვენი ყოველდღიური მოქმედების საფუძველთა საფუძველიც გახდება უთუოდ.

თუშეთის შეორედ დაბადებაც უამრავი ახალი პრობლემის სათავედ იქცევა. სამწუხაროდ, დღეს ძალზე ცოტაა იმ ქართველთა რიცხვი, თუშეთს რომ სტუმრებია და დამტკბარა მისი პირველყოფილი მშვენიერებით. ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა თუ უცხოელ ტურისტებზე ალარაფერს ვიტყვი.

მარტო 1981 წელს ათჯერ მეტი ტურისტი და ექსკურსანტი ავიდა თუშეთში, ვიდრე ჩვეულებრივ ადიოდნენ ხოლმე. გზის კეთილმოწყობა ერთი ათად და ასად გაზრდის სტუმართა რიცხოვნებას.

სტუმრებს კი, ჩვენი რესპუბლიკიდან იქნებიან, საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებიდან თუ უცხოეთიდან, მომსახურეობა ესაჭიროებათ. უნდა აშენდეს ტურბაზები, დასასვენებელი სახლები, სასადილოები, მაღაზიები, მანქანათა სადგომები... უნდა კეთილმოეწყოს წყაროები, შესასვენებელი ადგილები.

თვით თუშეთის აღორძინება სწრაფად გაზრდის იმ თუშთა რაოდენობას, რომლებიც ზამთრობით ბარში კი არ ჩამოვლენ, არამედ კვლავაც მამაპაპურ კერას გაათბობენ. გამოცოცხლდება სოფლები. შარშანაც კი ბევრი ახალი სახლი აშენდა თუშეთის სოფლებში. მარტო სიხოში ექვსი თუ შვიდი ვალაკთავლე ზოგი დამთავრებული და ზო-

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიც უკვე დამთავრების პირას მიყვანილი სახლი. ბევრს შეკეთებაც დაუწყია წინაპართა კერისა.

მაგრამ, როგორ შენდება ახალი სახლები, ანდა როგორ ანახლებენ ძველ, ტრადიციულ საცხოვრებლებს?

1978 წელს თუშეთს ეწვივნენ არქიტექტორები, ინჟინრები, გეოლოგები, სეისმოგრაფები. სტუმრობის მიზანი იყო შეესწავლათ თუშური სოფლების თავისებური, თვითმყოფადი არქიტექტურა, გამოენახათ თუშეთის ძეგლების აღდგენის გზები. შეემუშავებინათ და შეექმნათ საცხოვრებელი ბინებისა და დამხმარე სათავსოების პროექტები. ბუნებრივია, მეოცე საუკუნის მიწურულში სულ სხვა საცხოვრებელი პირობებია საჭირო ადამიანისათვის, მაგრამ ქართველმა ხუროთმოძღვრებმა საცხოვრებელი სახლის ფუნქცია მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ იმ სტიქიურ არქიტექტურულ ტრადიციებს, რაც საუკუნეების მანძილზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა თუშეთში.

ქართველი არქიტექტორები, ეჭვიც არ გვეპარება, ამ ამოცანას დადებითად გადაჭრიან, მაგრამ დრო უნდა გავითვალისწინოთ. თუშეთის აღორძინება ალმაცვალი ტემპით წავა წინ და თუ ნაგებობათა ნიმუშები მოსახლეობას დროზე არ შევაშველეთ, მერე ყველაფერი გვიან იქნება. უკვე მრავლად აშენდა თუშეთში „ბარის ტიპის“ ყოვლად უგემოვნო საცხოვრებლები. რამდენიმე სოფელი უკვე აჭრელდა შიფერისა და თუნუქის სახურავებით. მიივიწყეს ფიქალი ქვა, კარ-ფანჯარამაც იცვალა ტრადიციული სახე.

მაცხოვრებელს კოლორიტი კი არ უნდა, მოხერხებული საცხოვრებელი უნდა.

ბუნებრივია, იქაურ კაცს თუნუქის სახურავი ურჩევნია ფიქალი ქვისას. მზის სხივებზე თუნუქის სახურავზე იოლად სრიალდება თოვლი, წვიმაშიც უფრო საიმედოა. მაგრამ მახვილგონივრული კონსტრუქცია ასევე საიმედოსა და მოხერხებულს გახდის ფიქალსაც.

ციხე-კოშკების აღდგენაც საშური საქმეა. ასაღდგენია და შესაკეთებელი ომალოს კესელო, დართლოს, ინდუროთის, ფარსმის, ჰეღოს, ჭონთიოს, გირევის ციხეები.

თუშეთში ძველებური საცხოვრებელი სახლებიც კი ციხეებს ჩამოჰგავდა. ისინიც ციხეებივით მრავალსართულიანი იყო და ჩარდახ-სათოფურებით გამართული.

„ჩარდახიანი სახლები, — წერს სერგი მაკალათია, — თავიანთ ნაგებობის ტექნიკით და ბუმბერაზობით მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ და მოსახლეობაში მათი მშენებელთა გმირობა დღესაც გაოცებას იწვევს. ხალხს არ სჯერა, რომ ეს სახლები ადამიანის ხელის ნამოქმედარი იყოს და მათ აშენებას მიაწერენ გრძნეულ „თევქორიკებს“, „მაჯლაჯუნებს“...

...ერთი სიტყვით... ჩარდახ-დურთოიანი სახლები თავიანთი კონსტრუქციით, ნაგებობის ტექნიკით და მიზნობრივი დანიშნულებით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციას ეკუთვნიან, სახელდობრ, თემურ წყობილებას. და, ამ მხრივ, ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლებია. მაგრამ დროთა ვითარებაში ეს ძველებური თუშური სახლები იცვლებიან ადამიანის მოთხოვნის მიხედვით და განიცდიან დაშლა-გადაკეთებას. ვისაც შეძლება აქვს, ამ სახლს შლის და მასალით ახალ, თანამედროვე ტიპის სახლებს აშენებს. ზოგი ძველებურ სახლს ქვად ყიდის და ასე დღითიდღე ეს ჩარდახიანი სახლები ისპობა“.

სერგი მაკალათიას სიტყვები, რომელიც 1931-33 წლებში დაიწერა, ნათლად მოწმობს როდის დაწყებულა ტრადიციული თუშური არქიტექტურის ნგრევა-მოშლის პროცესი, რაც სახლთწარმკვეთმა მემკვიდრეობამ მოაღწია ჩვენამდე.

იმედი მაინც დიდი გვაქვს. ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაღუპულა. ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ბევრი რამის გადარჩენა შეიძლება. მთავარია, ყველაფერი აგწონდავწონოთ, სწორად განვჭვრიტოთ და დღეიდანვე ვიზრუნოთ ძველის შენარჩუნება-აღდგენისათვის და ასევე ახლის შექმნისა და შენებისათვის.

თუშურ ქსოვილებს დიდი გასავალი აქვს, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ.

ქსოვენ მხოლოდ ქალები. აი, თურმე რამდენი რამ იქსოვებოდა უწინ თუშეთში: ტოლი (შალი), ფლასი (ფასდაში), ჩითები (ფეხსაცმლისმაგვარი რამ), წინდები, ხალიჩები, ხურჯინი, ცხენის ჩული.

სამწუხაროდ, ამ ხელსაქმიანობას თანდათან ივიწყებენ თუშები. სერგი მაკალათია ჯერ კიდევ 1933 წელს წერდა: „ძველ საფენებს ახასიათებს გეომეტრიული ფიგურალობა და მისი რთული კომპოზიციები, რომლებიც მოცემულია წნულების, კვანძულების, ჯარანა თვალებისა და ჯვრების სახეებში. ამ სახის საფენები დღეს აქ მოძველებულად ითვლება, „მოდიდან“ გასულია და ახალგაზრდობა მას აღარ ქსოვს. სამაგიეროდ, შემოსულია და თანდათან ვრცელდება ახალი სახის და ფერადობის საფენები. ამ ახალს ახასიათებს მცენარის, ცხოველისა და ადამიანის სახეების კომპოზიცია, ფერების სიჭრელე და უხამსობა. ამ შემთხვევაში აქ უბრალო მიბაძვაა ფაბრიკული ქსოვილების სახეებისა და ფარდა-საბნებისა, რომელიც ქალაქიდან ალვანში შემოდის და აქედან კი მთათუშეთში ვრცელდება“.

ეს პროცესი ორმოცდაათიოდე წლის წინ დაწყებულა. მასიური ტურიზმის პირობებში თუშური ქსოვილების და, საერთოდ, სუვენირების წარმოება უკვე ინდუსტრიული მეთოდებით აწარმოებენ. მით უმეტეს, ამ სფეროშიც ბევრი რამ გვქონია მოსაგვარებელი. ვფიქრობ, ხელოვნებათმცოდნეებმა, თვითონ ძველმა თუშებმა, ქსოვის სწორუპოვარმა ოსტატებმა, თუ... ლოვნების დიდმა მცოდნემ, თუშური პეიზაჟების მთელი სერიის შემქმნელმა, ჩვენმა შესანიშნავმა მხატვარმა თენგიზ მირზაშვილმა უნდა ითავონ ამ მშვენიერი ხელოვნების აღორძინების, მისი „მინარევებისაგან“ განწმენდის საქმე.

თუშური სუვენირების წარმოება, კიდევ ვიმეორებ, ინდუსტრიულ საფუძვლებზე გადავა. ამ დროს იციან ხოლმე ხელის მოთბობა საქმოსნებმა, გამოჩნდებიან საეჭვო გემოვნების მხატვრები, რომლებიც ერთიანად წარყვნიან საუკუნეების მანძილზე შექმნილ ხელოვნებას.

აი, რას წერდა „კომუნისტის“ ფურცლებზე ც. ელისაბედაშვილი:

„თუში ქალების მიერ მოთელილი ხალიჩების მხატვრული გადაწყვეტა, კომბინაციის სისადავე, ფერთა სიმდიდრე და ჰარმონიულობა ხალხური ხელოვნების თვითმყოფად ნიმუშებს იძლევა. თუშური თექების ნახატის სიმდიდრე და სილამაზე ამ კუთხის ბუნების მშვენიერებითა და თუშური ხასიათის თავისებურებითაც არის ნაკარნახევი.

ამჟამად თუშ ხალხურ ოსტატთა მიერ შექმნილი ტრადიციული ორნამენტი ჯერ კიდევ ცოცხალია მოთელილ ხალიჩებში. თუში ქალების შემოქმედებითი ფანტაზია ხიბლავს მოსკოვში, პოლონეთში, ინგლისში, იაპონიაში, ირანსა და სხვა ქვეყნებში მოწყობილი გამოფენა-ვაჭრობის დამთვალიერებლებსა და მუშტარს. უცხოელებს მოსწონთ თუშური ფერადი თექების კომპოზიციური შინაარსი, უძველეს ორნამენტულ მოტივებს რომ იყენებს. მაგრამ დრო გადის, ძველ ხალხურ ოსტატებს თვალში სინათლე აკლდებათ, ახალგაზრდობას გული აღარ მიუწევს ამ საქმეზე; არადა, ამ კეთილი ტრადიციის მივიწყებაც არ იქნება, გამოსავალი კი უთუოდ არის, ხომ არსებობს დუისში „სოლანის“ განყოფილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, სადაც ქისტური ხალიჩების საქსოვი საამქროა, ჰოდა, იქნებ ალვანშიც გადაედგათ ეს საშვილიშვილო ნაბიჯი. ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ახალგაზრდობას გადასცენ ეს ძირძველი ხელოვნება, რომელიც სულაც არ არის „საბერდიაცო" საქმე".

ვაჟა ბატიაშვილმა აზმეტის გამარჯვების პარკში აგვიყვანა. პარკი მშვენიერ ფერდობზეა შეფენილი, კარგადაა დაგეგმილი და მისი მთლიანი გაშენება ალბათ ორ წელიწადში დამთავრდება. დიდებული სასახლე, აზმეტას რომ გადმოჰყურებს, ჯერ კიდევ 1981 წელში დაუმთავრებიათ. ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ, ამ სასახლეში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კორწინების სახლი, თუ სხვა რამ კულტურული დაწესებულება მოაწყონ.

შეიძლება აქ ხელოვნების მუშაკებისა თუ მწერლების, მეცნიერებისა თუ პარტიული მუშაკების სიმპოზიუმები და სემინარებიც მოეწყოსო, — მითხრა ვაჟა ბატიაშვილმა, — მაშინ იქნებ მთელი ქვეყნის სართული თუშური სუვენირების, ძირითადად ხალიჩებისა და ათასგვარი ნაქსოვი ნიმუშების გამოფენა-გაყიდვას დავუთმობთ.

პარტიის რაიკომს გადაწყვეტილი აქვს შეკრიბოს ხელსაქმის კარგი მცოდნე თუში ქალები, შეისწავლოს ქსოვის ხელოვნების ნამდვილი ძველი ტექნოლოგია და მხატვრული გამომსახველობითი ხერხები. შემდეგ კი ომალოსა და მთათუშეთის სხვა სოფლებში გახსნიან საქსოვ საამქროებს და კვლავ აალორძინებენ თუშების ძველ და უნიკალურ ხელოვნებას.

მეცხოველეობა თუშეთში სწრაფად განვითარდება. გაორმაგდება და ალბათ მალე გასამმაგდება ცხვრის რაოდენობა, მომრავლდება ხარ-ძროხა...

უკვე ვთქვით: კუთხის გამრავლება-გამოცოცხლება და ტურიზმის განვითარება დიდ სიკეთეს მოიტანს. მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად ი[illegible] ლემებსაც წამოჭრის ხოლმე.

ამ პრობლემებზე ახლავე უნდა ვიფიქროთ. მათი გაუთვალისწინებლობა, მათთან მოუმზადებელი შეხვედრა დამაფიქრებელ, თუ გადამეტებად არ ჩამითვლით, საბედისწერო შედეგებს გამოიღებს.

თუშეთის ბუნებას, მის ფლორასა და ფაუნას ვგულისხმობ.

მე მომივლია იაკუტია, ვყოფილვარ კომებთან, ჩუქჩებთან, ნენებთან. მომივლია მათი ტაიგები, ტუნდრები, ნენ მეთევზეებთან ერთად მითევზავია პეჩორის ორაგულებზე. მინახავს საუკუნეების მანძილზე ხელუხლებელი ტყეები, სადაც ადამიანს დღესაც არ დაუდგამს ფეხი. მინახავს ვერტმფრენის გუგუნზე დამფრთხალი ირმის ჯოგები და ლორის კოლტები. მინახავს გაცრეცილი და ლორწოვანი, პოლარული მზის ულიმღამო სხივებზე მოლიოფე ტუნდრის ლამაზი, ნაზი და უმწეო ყვავილები. მიფრენია ჩრდილოეთ პოლუსისკენ მრისხანე, მაგრამ წარმტაცი აისბერგების თავზე, მონაწილეობა მიმიღია ყინულების მოძრაობის დაზვერვაში.

ეს იყო საშინლად მომქანცველი მოგზაურობა. თვითონ წარმოიდგინეთ მასშტაბები. მთლიანად ვიფრინეთ 75 საათი, ხოლო გადავიფრინეთ 35.000 კილომეტრი. აქ აღარ ჩამოვთვლი „ადგილობრივი" ხასიათის მოგზაურობებს ვერტმფრენებით, კატერებით, ყველგანმავლებით...

ქართველი კაცისათვის, თუ თვითონ არ უნახავს, წარმოუდგენელია, ვთქვათ, იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკა. მისი ფართობია 3.000.000 კვადრატული კილომეტრი, იგი თითქმის ექვსი საფრანგეთის ოდენაა. მოსახლეობა კი მხოლოდ ოდნავ მეტია ნახევარ მილიონზე (!).

ამოდენა ტერიტორიაზე კი არ არის არცერთი მეტრი რკინიგზა, არცერთი მეტრი ავტოსტრადა. ქვეყანა მარხილებიდან პირდაპირ ავიაციაზე გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უზარმაზარი ტერიტორიის მხოლოდ სამ პროცენტს თუ იცნობს ადამიანი.

სასტიკად მოგვქანცა მოგზაურობამ, მაგრამ შთაბეჭდილება დღესაც არ გამნელებია და, საერთოდ, ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტი მომივლია, მაგრამ ასეთი შთამბეჭდავი და მასშტაბური არაფერი მინახავს.

მახსოვს, მაშინ ვწერდი გაოცებული: დღეს საქართველოში, შეიძლება თამამად ითქვას, ადამიანი თითქმის მთლიანად ბატონობს ბუნებაზე. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ მდინარეები ბეტონის კალაპოტებშია მოქცეული, მთები ავტომაგისტრალებითაა დასერილი, ხოლო მთებისა და ველ-მინდვრების პეიზაჟების განუყოფელ ნაწილად იქცა მაღალი ძაბვის დენის რთული კონსტრუქციის ფოლადის ბოძები და საელმავლო მავთულხლართები, ბეტონის სარწყავი არხები და ქარსაცავები. ჩვენში ადამიანი თანდათან არღვევს უდიდესი მხატვრის — ბუნების მიერ შექმნილ პეიზაჟებს. ადამიანი-მხატვარი ცვლის ბუნება-მხატვარს და ჩვენს ველ-მინდვრებსაც იქნებ ამიტომაც დაჰკრავს დეკორატიული იერი.

ჩრდილოეთში კი შეგვიძლიათ ნახოთ პეიზაჟები, რომლებიც ბუნებამ შექმნა საუკუნეების მიღმა და ჯერ მათ ადამიანის ხელი და ნება არ შეხებია და არც დასტყობია. ათეულ ათასობით კვადრატულ კილომეტრზე გამეფებულ დუმილს ხანდახან თუ დაარღვევს თვითმფრინავის გუგუნი.

აი, ამიტომ არ მინელდება ის შთაბეჭდილებანი, ბუნების პირველყოფილებამ რომ მოახდინა ჩემზე.

დალოცვილი მხარეა საქართველო, მდიდარი, მრავალფეროვანი. ზღვა, სუბტროპიკული ზონა, ალპური იალაღები, მარად დათოვლილი მკაცრი და ზვიადი მთები და მწვერვალები, ბაღ-ვენახები... ეუდაბნოც კი თითქოს იმიტომაა ჩვენს ერთი ხელის დადება საქართველოში, რომ მთლიანად შევიგრძნოთ მრავალფეროვნება დედა-ბუნებისა.

ადამიანებმა ათასობით [illegible] უნდა იფრინონ ჩვენს ცივილიზებულ და ინდუსტრიულ სამყაროში, ბუნების პირველშობილი „ოაზისები“ რომ ინახულონ.

აქ კი, თბილისიდან, ნახევარ საათში ვერტმფრენით შეგიძლია გადახედო თუშეთის უმშვენიერეს ტყეებს, ხოლო საავტომობილო გზით ორსაათნახევარში შეუდგები სტორის ხეობაში თორღვას აბანოსკენ მიმავალ გზას...

თავშივე ვთქვით, ვერც თუშეთი „გადაურჩება“ ძლევამოსილ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას-მეთქი. არც უნდა „გადაურჩეს“, ასეთია ცხოვრების ლოგიკა. მაგრამ უნდა გადაურჩეს იმ საშინელ მოვლენებს, სამწუხაროდ, ყველა სიკეთესთან ერთად რომ ახლავს დღევანდელი ცხოვრების რიტმს. ჩვენ უკვე ბევრჯერ ვიწვნიეთ დაუდევრობის, მოვლენების შეუფასებლობის მწვავე შედეგები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუშეთის მეორედ დაბადებას, თუშეთის „რევოლუციას“ სრულიად მომზადებულნი და დიდი გამოცდილების მქონენი ვხვდებით.

წარსულის ანალიზმა გვიჩვენა, სჯობია თავიდან არ მოვერიდოთ ხარჯებს, რადგან ეკონომიამ „თავში“ შეიძლება „ბოლოში“ ათჯერ და მეტჯერ ამოგვარტყას ცხვირში.

ამერიკელები მხოლოდ მაშინ დაუფიქრდნენ თავიანთ ნამოქმედარს, როცა ამერიკის დიდ ტბებში სიცოცხლის ნიშან-წყალიც კი ჩაკლეს ბინძური „ინდუსტრიული ჩანარეცხებით“.

სასწრაფოდ 5 მილიარდი დოლარი გამოყვეს ტბების გასაწმენდად და მათში სიცოცხლის აღსადგენად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გამოყოფილი თანხა მოსამზადებელ სამუშაოებსაც კი არ ეყო. დასახული ამოცანის გადასაჭრელად თურმე 25 მილიარდი(!) დოლარი ყოფილა საჭირო!

1981 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარდა ეკოლოგიის პრობლემებისად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია — „მარქსიზმ-ლენინიზმი და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“.

სხვებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკიდან მეც შემომთავაზეს ამ კონფერენციაზე გამომეთქვა ჩემი მოსაზრებანი.

როდესაც კონფერენციაზე გამოსვლისათვის ვემზადებოდი, ერთი ამბავი გამახსენდა. თუ არ ვცდები, ეს ამბავი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა. ხალხით გაჭედილ თეატრში სპექტაკლი მიმდინარეობდა. უეცრად თეატრს ხანძარი გაუჩნდა. მთავარი გმირი კულისებიდან სცენაზე შემოიჭრა და დარბაზში მსხდომთ ყვირილით აუწყა, თეატრს ცეცხლი წაეკიდა, დარბაზი დასტოვეთო. მაყურებელს მისი სიტყვები როლით გათვალისწინებული რეპლიკა ეგონათ და თავიანთი ემოციები ღიმილით გამოხატეს.

— მართლა იწვის თეატრი, ახლავე დასტოვეთ დარბაზი! — განაგრძობდა ყვირილს მსახიობი.

რაც უფრო შედიოდა იგი როლში, რაც უფრო სასოწარკვეთილი არწმუნებდა ხალხს, ახლავე ქუჩას მიაშურეთ, თეატრის შენობა ნამდვილად ცეცხლშია გახვეულიო, მით უფრო მატულობდა დარბაზში სიცილი.

ბოლოს ცეცხლის ალი პარტერშიც შეიჭრა. შეშინებული და დაბნეული მაყურებლები ახლა კი დარწმუნდნენ, რომ მსახიობი არ „თამაშობდა“, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო.

ეს ამბავი შემთხვევით არ გამხსენებია. დღეს პრესა, რადიო, ტელევიზია თითქმის გამუდმებით საუბრობს ბუნების დაცვის საკითხებზე. ხალხს არ აკლია არც მეცნიერული, არც პოპულარული და პუბლიცისტური ინფორმაცია, თუ რა მოჰყვება მილიარდობით წლების მანძილზე არსებული ბალანსების დარღვევას, რა მოჰყვება ბუნების უმოწყალოდ განადგურებას, დანაგვიანებასა და დაბინძურებას, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილი — არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ — სერიოზულად არ უყურებს ამ სასიცოცხლო საკითხს. ან არ სჯერათ, ან მთელი სისავსით და სიღრმით არა აქვთ წარმოდგენილი მოსალოდნელი კატასტროფის რეალობა, მისი გრანდიოზულობა და საშინელება.

რისი ბრალია ეს?

იქნებ ადამიანებს უსაფუძვლო განგაშად ეჩვენებათ ამდენი მეცნიერული საუბარი, გაფრთხილებები და მოწოდებანი? ან იქნებ ჰგონიათ, რაც პრესაში იწერება, რადიო-ტელევიზიით გადაიცემა, ან ის მრავალრიცხოვანი სიმპოზიუმები თუ თათბირები, რომლებიც ამ პრობლემებს ეძღვნება, ძალზე შორეული მომავლის საკითხებს განიხილავენ?

ცნებები და გამოთქმები — „დემოგრაფიული აფეთქება“, „ეკოლოგიური კრიზისი“, „ენერგეტიკული შიმშილი“ და კიდევ უფრო მკაცრი გამოთქმაც — „ენერგეტიკული სიკვდილი“ ამ ოციოდე წლის წინ გამოჩნდა პრესაში. რა შორეული ჩანდა მაშინ ეს პრობლემები, ისინი თითქოს მხოლოდ პროგნოზის სფეროს მიეკუთვნებოდნენ. მაგრამ გადიოდა წლები და ცხოვრება საშინელი სისწრაფით გვაგრძნობინებდა მათ რეალობას. სულ რაღაც 10-12 წლის მანძილზე თვალნათლივ შევიგრძენით, დავინახეთ და გავაანალიზეთ კიდეც მოახლოებული საფრთხე.

რა დიდი და მასშტაბური სახელმწიფოებრივი ღონისძიებანიც არ უნდა ჩავატაროთ, ვერაფერს ვერ მივაღწევთ, თუ მოახლოებული საფრთხე არ იგრძნო და მთელი სიგრძე-სიგანით არ გაიანალიზა თითოეულმა ადამიანმა. ეტყობა, ამ მიმართულებით სრულიად უნდა გარდავქმნათ მუშაობა. ჩვენმა მწერლობამ, ჟურნალისტიკამ, პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ სულ სხვა ხერხები და მეთოდები უნდა გამოიმუშაონ, რომ ყოველი ადამიანის აზროვნებაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭიროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1742

ბუნების სიყვარულმა და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვამ. უნდა ვებრძოლოთ დილეტანტიზმს, არაპროფესიონალიზმს და, რაც მთავარია, საქმე უნდა მივანდოთ ნიჭიერ ხალხს, რომელთა საუბარი, სტატია თუ მხატვრული ნაწარმოები ყველაზე მოკლე და ეფექტურ გზას მონახავს ადამიანთა გულებისაკენ.

დღეს სულ სხვანაირი მუშაობა გვმართებს ბავშვებთან. მათ სიბავშვეო ბაღიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბუნების სიყვარული, მისი მოვლა-პატრონობის ჩვევები და მისი გადარჩენისათვის, მოვლა-პატრონობისათვის შეგნებული პასუხისმგებლობის გრძნობა.

ვფიქრობ, გადახედვას მოითხოვს ამ მიმართულებით ჩვენი კანონებიც. მათი ადრინდელი სიმკაცრე აღარ შეეფერება დღევანდელ დაძაბულ სიტუაციას. დიდი ვერაფერი სასჯელია, როცა ქარხანას ვაჯარიმებთ მდინარის მოწამვლისათვის. ფული სახელმწიფოს ერთი ჯიბიდან მეორეში გადადის, მდინარე მოწამლული რჩება, თევზი კი... განადგურებული.

დღეს, ისე როგორც არასდროს, სიფრთხილე გვმართებს იმ ადამიანების შერჩევისას, ვისაც ვაბარებთ უმსხვილეს და უმნიშვნელოვანეს საწარმოო და ინდუსტრიულ ობიექტებს. დასაწინაურებელი ამხანაგების სხვა მისაბაძ თვისებებთან და ღირსებებთან ერთად, მთელი სერიოზულობით უნდა გავითვალისწინოთ მათი დამოკიდებულება და სიყვარული ბუნებისადმი. უნდა გავაანალიზოთ, რამდენად შეუწყვეთ მათ უნარი სძლიონ ვიწრო საუწყებო ინტერესებს და საკითხებს შეხედონ ფართო, სახელმწიფო და საკაცობრიო მასშტაბებით.

კაცობრიობა ალბათ იოლად გადაჭრიდა ამ ურთულეს პრობლემებს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ დაყოფილ სამყაროში ვცხოვრობთ. პრობლემები გლობალურია და გადაჭრასაც გლობალური მასშტაბით საჭიროებს, მაგრამ „ამა თუ [illegible] ძიებათა გლობალური მასშტაბით დანერგვა, რომლებიც მთლიანობაში აუცილებელი და სასარგებლოა მთელი კაცობრიობისათვის, ხშირად შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს ცალკეული ქვეყნების სოციალური წყობისა ან ვიწრო ანგარებიანი ინტერესებისათვის. ამ საკითხების გადაჭრა ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია" (ა. კაპიცა).

ადამიანი ბუნების გვირგვინია. რამდენ ტრაგიკული იქნება, რომ მან გააჩანაგოს, დაამახინჯოს, გაანადგუროს და საბოლოოდ მთლიანად მოსპოს მისი შემქმნელი დედა-ბუნება. ალბათ არაად ისეთი ერთსულოვნება არ მართებთ ადამიანებს, როგორც ამ დიადი, კეთილშობილური და სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრის საქმეში.

და თუ დღეს ყოველმა ადამიანმა მთელი სიგრძე-სიგანით არ შეიგნო თავისი პასუხისმგებლობა დედა-ბუნების მიმართ, თუ ყველაფერი არ გააკეთა მისი მოვლისა და გადარჩენისათვის, მწარე რეალობად იქცევა ერთი ჩვენი შესანიშნავი პოეტის ლექსი:

რად არ გაიხარე ცით,
    როგორც ფრინველმა?
რად არ გაიხარე მთით,
    როგორც ირემმა?
რად არ გაიხარე მზით,
    როგორც ბალახმა?
რად არ გაიხარე წყლით,
    როგორც კალმახმა?
რად არ გაიხარე ზღვით,
    როგორც ნაპირმა?
რად არ გაიხარე დღით,
    როგორც აპრილმა?
რად არ გაიხარე ტყით,
    როგორც ნიავმა?
    რად არ გაიხარე,
    რად არ გაიხარე,
    რად არ გაიხარე,
                ადამიანმა.

თუშეთის ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების თაობაზე მე ვესაუბრე ქართული ბუნების დიდ ქომაგებს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს არ-

ნოლდ გეგეშკორისა და ფ. ყიზილაშვილს.

თუშეთში საავტომობილო გზის გაყვანასთან დაკავშირებით, — განაცხადა არნოლდ გეგეშკორმა, — კიდევ უფრო სერიოზულად დადგა აქაური იშვიათი ბუნების დაცვის საკითხი. ეს თანაბრად ეხება ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას, პირველ რიგში კი — ტყეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თუშეთის ფლორა იშვიათია. ტყეები უნიკალურია. ისინი შემორჩენილია თავისი პირვანდელი სახით, ხელუხლებელია. ეს უვნებელი განაპირობებს ბუნების იმ უმნიშვნელოვანეს გარემოში (ანუ ბიოგეოცენოზში), როგორიც წიწვიანი ტყეა, ბუნებრივ პროცესთა კანონზომიერებას. ეს პროცესებია: ტყის ტიპების განვითარება, ჯიშთა ცვლის ხასიათი და ა. შ. აღნიშნული კი, როგორც ბუნებრივ ლაბორატორიას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.

ყურადსაღებია არა მარტო სპეციალისტთა, არამედ ადგილობრივ მცხოვრებთა მდიდარი გამოცდილებაც. თუშებმა კარგად იციან აქაური ტყის ფასი. ისინი რომ არა, განსაკუთრებით სუბალპური ტყეები — აქაური მკაცრი ბუნებრივი პირობების ყველაზე ძვირფასი მარეგულირებლები — თუშეთის თვალწარმტაცი ხეობები და იალაღები კარგა ხნის წინ გამოვიდოდნენ მწყობრიდან.

თუ არა თუში მწყემსი, სხვები, მსგავსად საქართველოს ზოგიერთი რაიონისა, სეზონური ბინების ასაგებად თუ საწვავად გაჩეხავდნენ ტყის გავრცელების ზედა საზღვარს, მაღალმთიანეთში კი ეს ის ადგილია, სადაც ნამქერების, ქარსუსხისა და ნიადაგრღვევის პროცესების შესაჩერებლად არამცთუ ხე, თითოეული ძირი ბალახიც კი დიდად ფასობს. მოსულები კი, რა დასამალია, ნაკლებად უწევენ ანგარიშს ტყის შენარჩუნებას. კავკასიონის ნებისმიერ კუთხეში შეხვდებით მოჭრილ არყსა და ცირცელს, დეკასა და იელს, წიფელსა და ფიჭვს. თუშებმა, ხევსურებმა და სხვა მთიელმა მოსახლეობამ [illegible] ეროვნული იმისა, რომ თავიანთი კუთხის პატრიოტები არიან, შესანიშნავად იციან, თუ როგორ გაჭრან არყნარი ისე, რომ ტყეში ბუნებრივი განახლება არ დაირღვეს. ამ მხრივ ადგილობრივ მთიელთა თვითგანსწავლულობით განცვიფრებულები რჩებიან გამოცდილი მეტყევე-სპეციალისტები.

მთაში თვით ადგილების სახელწოდებანი — სახაროვნე, საბერნე, საძროხე იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ გლეხმა შესანიშნავად იცოდა, თუ სად უნდა მდგარიყო ძროხა, სად ცხვარი და სად სხვა. ადგილობრივი მცხოვრებლები, ზაფხულიდან მოყოლებული, საქონელს იმ ადგილებში ერეკებიან, სადაც კორდი შეკრული ეგულებათ, მოსულები კი იქვე, სოფლებთან, ტყის მახლობლად, მიუშვებენ საქონელს. პირუტყვს რაღა დარჩენია — ტყესაც კორტნის და შეუკრავ კორდსაც დიდ ზიანს აყენებს. ბოლო დროს ეს შესანიშნავი ტრადიცია, სამწუხაროდ, თუშეთშიც ირღვევა.

საძოვრებისადმი ასეთმა უპასუხისმგებლო მოქცევამ რამდენიმე ლამაზ თუშურ სოფელს სახე უცვალა. წინდაუხედაობა სუბალპური ტყის გავრცელების საზღვრის მნიშვნელოვან, ზოგჯერ 50-60 მეტრით და უფრო ქვემოთ დაწევასაც იწვევს. ტყის შემდალვას კი, მოგეხსენებათ, ჯაჭვურ რეაქციასავით მიჰყვება ბუნებრივ უწესრიგობათა მთელი კომპლექსი.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საშიროა ვახსენოთ ეროზია. აბა, ნახეთ გომეწრის ხეობა ჯვარბოსელთან, ვერხოვანთან, წაროსთან, კიდევ უფრო სიღრმეში, ვიდრე წოვათას წყლამდე. როგორ არის დაშაშრულ-დალარული ნიადაგის ზედაპირი, ეროზიისაგან. მთათა ფერდობებზე ყოველ წუთსაა მოსალოდნელი ნიადაგის მორღვევა და ჩაქცევა. აქ თვით უპრეტენზიო და ყველგან მზარდი ღვიაც არ ხარობს, არ მოსჩქეფს წყარო-ნაკადულები, არ ყელყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაობს მთის კორდის შემკვრელი მარ-ცვლოვანი ბალახეული. ყვავილები, ტყის გავრცელების საზღვრების დაბლა დაწევისას ეროზიაზე არანაკლებ საში-შია ზვავების წარმოქმნაც.

ამჟამად სპეციალისტთა მიერ ჩატა-რებული ექსპერიმენტებით დადასტუ-რებულია ზვავის წარმოშობისა და ვარ-დნის ალკვეთისათვის მთის ტყეების მეტად მნიშვნელოვანი დაცვითი ფუნ-ქციები. დადგენილია, რაც უფრო დი-დია ზვავის გარბენის მანძილი, მით უფრო მეტია მისი გამანადგურებელი ძალაც. მაშასადამე, ტყეების შემცირე-ბით იზრდება ზვავის ძალის მოსაკრები ასპარეზი. ეს კი განსაკუთრებით საშიშს ხდის მას.

ზვავი თუშეთის სოფლებს რეალურ საფრთხეს უქმნის, 1976 წლის ზამთარ-ში მოპირდაპირე ფერდობიდან დაშვე-ბულმა ზვავმა საგრძნობლად დააზიანა უმშვენიერესი სოფელი დართლო. ამავე წელს ზვავმა სოფელ ჯვარბო-სელსაც მიაყენა ზიანი. მაის-ივნისში ზვავების მიერ ჩამოტანილი ხეებისაგან აქაურ ხეობებში მოძრაობა მნიშვნე-ლოვნად ჭირს.

მაღალმთის ტყის გ ფრთხილდები, ანდა მისი საზღვრების ეკოლოგიურად შესაძლებელ საზღვრამდე ხელოვნუ-რი აწევა დიდად შეამცირებს ზვავებ ს გამანადგურებელ მოქმედებას.

ტყის გაჩანაგებას თან სდევს ადგი-ლობრივი ძვირფასი ფაუნის დაკარგვა, იძულებითი მიგრაცია. ფრინველები სა-ხეშეცვლილ ადგილებში აღარ იბუდე-ბენ, ან თუ კვერცხს მაინც დებენ, მას ადვილად პოულობს ნადირი და სპორტ. უარეს დღეშია ნადირიც.

უნდა ითქვას, რომ რიგი დასახლე-ბული ადგილის ახლომახლო მიდამოე-ბი, განსაკუთრებით ომალოს მახლობე-ლი არყის ტყეების გაკაფვა-გაქაჩლება უფრო ტურისტებისა და, სამწუხაროდ, სხვადასხვა სპეციალისტთა „დამსახუ-რებაც" უნდა მივწეროთ.

რაც [illegible] დაუდევრობის ბრალია ტყის ხანძარი... [illegible] ტყის განახლებას კი დიდი დრო სჭირ-დება.

— დღემდე ჩვენებური თუ უცხოე-ლი ტურისტებისათვის მიუწვდომელი იყო თუშეთის ფლორისა და ფაუნის თვითმყოფადობა და ალპური ტყე-ვე-ლების სილამაზე, — თქვა ჩემთან სა-უბარში ფ. ყიზილაშვილმა, — რომელიც გადაშლილია 900 კვადრატულ კილო-მეტრზე და აზიდულია ზღვის დონიდან 3800 მეტრამდე.

თუშეთი დიდი ქვაბულია. ის შემო-ფარგლულია 3100-3800 მეტრის სიმა-ღლის მთებით. დაღესტანი თავისი მცენარეულობითა და კონტინენტური კლიმატური პირობებით ძალიან წაა-გავს თუშეთს და, ალბათ, ამიტომ აკა-დემიკოსმა ვ. გულისაშვილმა იგი, კავ-კასიის ტყის მცენარეულობის გეობო-ტანიკურად დაყოფისას, შიდა დაღეს-ტნის ოლქში შეიტანა.

დაღესტანი, კერძოდ, თუშეთის მო-საზღვრე გუნიბის რაიონი, მცირე-ტყიან მხარედაა მიჩნეული. ეს იმიტომ კი არა, რომ ის ადრეულ ხანაშიც უტ-ყეობით გამოირჩეოდა. უნდა ვიფიქ-როთ, რომ არც ისე შორეულ წარსუ-ლში უფრო მეტი ტყიანობით ხასიათ-დებოდა ეს მხარე, ვიდრე თუშეთი, მაგრამ ტყისადმი უდიერი დამოკიდე-ბულებით, რაც გამოიხატება ტყის ჭრისა და პირუტყვის უსისტემო ძოვე-ბაში, თითქმის ხრიოკად იქცა აქაური მთა-გორები.

აქედან გამომდინარე, ძალზე ფრთხი-ლად უნდა მოვეპყროთ თუშეთის ტყე-ებსა და საძოვრებს, ფლორასა და ფა-უნას, რათა შევინარჩუნოთ იგი, და სადაც კი დარღვეულია მათი განვითა-რების წონასწორობა, შევქმნათ იმის პირობა, რომ ბუნებრივად აღდგეს უწინდელი მდგომარეობა. საამისოდ აუცილებელია დავიცვათ ალპური და სუბალპური საძოვრები გადაძოვებისაგან, ხოლო სუბალპური ტყეები კი განადგურებისაგან, რაც განპირობებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, ერთი მხრივ — მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის გადაჭარბებული ძოვებითა და მეორე მხრივ — ხანძრებითა და ხეების ჩეხვით.

ამჟამადაც თუშეთის ფიჭვნარი და მისი ფლორა უნიკალურია, რადგან ამისთანა ხელუხლებელი, მყინვარშემდგომ განვითარებული, პირველადი წარმოშობის ნაირხნოვანი ფიჭვნარითა და არყნარით შემოსილი მთა-გორები, პირდაპირ რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც კი არსად მოგვეპოვება.

ჩვენი აზრით. თუშეთის ფიჭვნარის ნაკრძალად გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომლის იდეაც ეკუთვნოდა აკადემიკოს ვ. გულისაშვილს და რომელიც განხორციელდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მხარდაჭერითა და უშუალო დახმარებით, მთავარია ვიზრუნოთ არა მარტო ტყის შემადგენელი ჯიშების ზრდა-განვითარების შენარჩუნებასა და განახლებაზე, არამედ თუშეთისეული ტყის ბუნების განვითარებას უნდა შევუნარჩუნოთ ბუნებრივი სახე; არ ჩავერიოთ ტყის ცხოვრებაში და დავტოვოთ იგი ხელუხლებლად. ამით დიდ სამსახურს გავუწევთ ხელუხლებელი ტყის ბუნების შემსწავლელ მეტყევე-მეცნიერებს, აგრეთვე იმათაც, ვისაც წარმოდგენა არა აქვთ თუშეთის ხელუხლებელ ბუნების „ძეგლებზე" — ფიჭვნარზე, არყნარზე, ჭნავნარზე, ვერხვნარზე, თელნარზე, ცაცხვნარზე, თხილის, კოწახურის, მოცვის, კეწერის, ხუნწისა და სხვათა ქვეტყით შერეული ტყის ტიპის ცენოზზე, რომელიც საინტერესოა არა მარტო სხვადასხვა ექსპოზიციებისა და დაქანების ფერდობებზე განლაგების თავისებურებით, არამედ, ტიპოლოგიური, ასევე მათი შერევის მრავალფეროვნებითა და სხვა თვალსაზრისითაც.

ამასთანავე, თუშეთის ფერდობების ხელოვნურ გამწვანებაზეც ხელი უნდა ავიღოთ. ამით დავიცავთ ბუნებრივ კორომებს, ამით დავიცავთ [illegible] ადამიანის ხელყოფისაგან, რის შედეგადაც, ვისაც დააინტერესებს, საშუალება ექნება დააკვირდეს თუშეთის კლიმატურ პირობებში ტყისა და ველის ცენოზის ისტორიულ განვითარებას; პირუტყვის ძოვებისა და ხანძრების უარყოფით და დადებით გავლენას კავკასიური ფიჭვისა და სხვა ჯიშების ბუნებრივ განახლებაზე: ადამიანს აგრეთვე საშუალება ექნება, დააკვირდეს, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის რეკრეციული და სამეურნეო მოქმედება ტყის ტიპების განვითარებაზე, ჯიშთა ცვლის ხასიათზე და სხვა.

ვაჟასებურად რომ ვთქვათ, მოდით, თუშეთის ტყე-ველი იყოს მბრძანებელი, მხოლოდ თავის თავს მონებდეს და ჩვენ იგი შევინარჩუნოთ და შევისწავლოთ ისე, როგორც იყო და არის — ხელუხლებელი, ულრანი, ლამაზად ჩახურგილი, ტყის მკვდარ ხურგებზე ჯიუტურად წამოსული ფიჭვისა და ჭნავის აღმონაცენ-მოზარდით, ნაირგვარი ხავსის ხალიჩებით, დეკას და დაბალი მოცვის, კეწერის ქვეტყით, რომელიც ამშვენებს პირველყოფილი სახით შემორჩენილი გადაბერებული სიასნოვსკის ფიჭვის, ცაცხვის, ვერხვის, ნეკერჩხლის, არყისა და სხვა ჯიშთა კორომებს.

იმის გამო, რომ თუშეთის ტყეებში ტყის მავნებლებისა და დაავადებების საშიში გავრცელება გამორიცხულია, თუშეთის ფიჭვნარი ტყეების დაცვის მთავარ პრობლემად მიგვაჩნია, უპირველესად, მათი დაცვა ხანძრისაგან, რისთვისაც საჭიროა ფიჭვის ტყის მასივებში გავიყვანოთ სახანძრო გზა-ბილიკები. რომლებიც თუშეთის ბუნების დამთვალიერებლებსაც გამოადგება.

როგორც წესი. არ უნდა დავუშვათ სატრაქტორო გზისა და, საერთოდ, ტრაქტორის შეყვანა თუშეთის ტყეებში. ამასთან, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ დაიგეგმოს და აიკრძალოს ყოველგვარი ჭრა-აღდგენითი სამუშაო, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი მოვლითი ღონისძიებებითა და დამთავრებული ტყის ხელოვნური გაშენებით.

იმისათვის, რომ თუშეთის ტყის ცენოზს თავისი ელფერი შევუნარჩუნოთ, მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის ფარისა თუ ცხენთა რემის გადასარეკად უნდა შეირჩეს სპეციალური ტრასები სათანადო საზღვრებით, ასევე სოფლებისა და მეურნეობების ცხვარ-ძროხის სადგომები, სათიბების ზონები გამიჯნული უნდა იყოს ნატურაში. უნდა დაწესდეს ძოვების, თიბვისა და გადასარეკი ტრასების წესების დარღვევებზე მკაცრი პასუხისმგებლობა.

უნდა აღიკვეთოს როგორც ტყეების, ისე მდინარეთა და სასმელი წყაროების დანაგვიანება-დაბინძურება. მკაცრად მოვკიდოთ ხელი და სასოფლო საბჭოს მეშვეობით შემოვიღოთ და გავატარათ სათანადო დაცვითი ღონისძიებები. სრულიად უნდა აიკრძალოს ნადირობა.

თუშეთის წიწვიანი ტყის ჰაერი სტერილური სახით რომ შემოვინარჩუნოთ შხამქიმიკატების გამოყენება საერთოდ უნდა აიკრძალოს, როგორც ტყეებში, ისე ბუჩქნარებში. მცირე რაოდენობით გავრცელებულ მავნებელთა მოსასპობად აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ბრძოლის ბიოლოგიური საშუალებანი.

არ უნდა დავუშვათ კახეთსა და სხვა რაიონებიდან შემოტანილი გაუქერქვავი წიწვიანი ხე-ტყის ატანა სხვადასხვა საჭიროებისათვის, რისთვისაც აუცილებელია დროულად გავატაროთ საკარანტინო ღონისძიებები. ამასთან, თვალი ვადევნოთ სხვა მთა-ბარისათვის დამახასიათებელი და უცხო ქვეყნებიდან შემოყვანილი ფრინველებისა და ცხოველების თავისებურ გავრცელებას.

როგორც აღვნიშნეთ, თუშეთის ტყის მასივები უნიკალური ტყეთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა მთა-ტყის ლანდშაფტის ხელუხლებლად შენარჩუნება. მართლაც, აუცილებელია ზამთარზაფხულში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც. ასევე, როგორც ცნობილია, თუშეთის ტყეებს ნიადაგდაცვითი, წყალშემნახავ და სხვა დანიშნულებასთან ერთად დიდი საკურორტო მნიშვნელობაც აქვს.

თუშეთის ტყის მასივების ხელუხლებელი სახით შენარჩუნების აუცილებლობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელი 17-18 წლის მანძილზე შემჩნეულია ისეთი ხემცენარეები, რომლებიც არ იყო ცნობილი უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში.

ესენია თუშეთის მუხა, კავკასიური რცხილა, კორპიანი თელა და სხვა, რომელთა დაცვას, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ჯიშების ოდესღაც მასიურად გავრცელებული ტყის ნაშთები ამჟამად იშვიათად გვხვდება.

არნოლდ გაგაშკორმა ჩემთან საუბარში გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნება, თუ თუშეთში ნაკრძალთან ერთად ეროვნულ პარკსაც შევქმნითო.

ახლო მომავლის თუშეთში, — თქვა მან, — ადამიანთა მასიბრივი მოზღვავების პერსპექტივასთან დაკავშირებით, ბუნებას შებღალვა ელის. ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის რიგ სხვა რაიონების, ასევე უცხოეთის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ბუნებრივ ღირსშესანიშნაობათა გვერდით ადამიანთა მოსახლეობის მასობრივი საქმიანობა თუ გართობა ერთმანეთს ვერ უთავსდება. კინტრიშის უნიკალურ ხეობაში მისი ნაკრძალის სტატუსის დაცვა, ვინაიდან იგი საზიაროდ აქვთ სხვადასხვა ინტერესების მქონე უწყება-ორგანიზაციებს: ნაკრძალს, სატყეო მეურნეობას, კოლმეურნეობას; ხეობაშივე ცხოვრობს ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ძნელდება ვაშლოვანის უნიკალური სახელმწიფო ნაკრძალის ყოველმხრივი დაცვა იმიტომ, რომ აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადის ცხვრის საზამთრო ტრასა და ა. შ.

აქ ლაპარაკია კანონით დაცულ ტერიტორიებზე. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მდგომარეობა შეიქმნება კუთხეში, რომელიც, ესეს გარეშეა, ტურიზმის თვალსაჩინო კერად შეიძლება გადაიქცეს. არაორგანიზებული ტურიზმით შელახვის საფრთხე ემუქრება ალპური სამყაროს მშვენებებს: დეკასა და ფურისულას, ფრინტასა და პირიმზეა... ძვირფას ფაუნას.

მოსალოდნელ უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად გვესახება შემდეგი რეალური გზები: მსგავსად ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებისა, საჭიროა მალე შეიქმნას კომპეტენტური კომისიები, რომლებიც შეისწავლიან თუშეთში, ერთის მხრივ, სახელმწიფო ნაკრძალის (ეს საკითხი თუშეთის ფიჭვნარების მიმართ წამოჭრა აკადემიკოსმა ვასილ გულისაშვილმა), ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული პარკის შექმნის პერსპექტივებს. ერთიცა და მეორეც აუცილებელია ამ კუთხეში.

უკანასკნელ დროს, რომ ყოველფერი იქვათ მეცნიერ-სპეციალისტებზე, საზოგადოების სულ უფრო ფართო მასები იზიარებენ აზრს, რომ ცოცხალ არსებათა ყველა სახეობა ევოლუციის გრძელი რიგის მწვერვალია და ყველა საცოცხლო ფორმათა ძვირფას გენოფონდს მიეკუთვნება, მაგრამ, რაგინდ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ცალკეულ სახეობათა დაცვის კამპანია, თუკი ამა თუ იმ ტერიტორიაზე საუკეთესო სახეობათა მთელ კომპლექსებს ვხვდებით, კიდევ უფრო აუცილებელია ამ იშვიათ კომპლექსთა შემცველი მთელი ზონალური ლანდშაფტების დაცვა.

უნიკალური ბუნებრივი კომპლექსი, რომელიც ნაქვაბევის ბუნების ძეგლი არსებობს, აქ ათასობით წლის განვითარებაში ჩამოყალიბდა ცოცხალი ორგანიზმებისა და არაცოცხალი სტრუქტურების თავისებური კავშირი, იქმნებოდა ურთულესი თვითმარეგულირებელი სისტემები.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ადამიანის სამეურნეო, კულტურული თუ სპორტული ინტერესების დასაკმაყოფილებლად არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს მთელი ბუნებრივი კომპლექსების მიწის პირიდან აღგვა, ანდა მნიშვნელოვანი შელახვა.

ეს საჭირბოროტო პრობლემა მომავალში მთელი სიგრძე-სიგანით დაისმება თუშეთშიც.

ლანდშაფტების დაცვა ნაკრძალების ამოცანაა.

თუშეთის უნიკალური ობიექტებისა და რაიონების ნაკრძალად გამოცხადება სადღეისო საქმეა და სათანადო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ მისი დადებითად გადაჭრისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაკრძალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. მთელი მისი ფართობი, აქ არსებული ბუნებრივი ობიექტებითა თუ კულტურული მნიშვნელობის ძეგლებით, ხელშეუხებელი და დაცულია, შეადგენს სახელმწიფო სანაკრძალო ფონდს.

მაგრამ ბუნების იშვიათი კუთხეების, ანდა არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლების ფართო საზოგადოებისთვის დამალვა განა სწორია? რა გამოსავალი შეიძლება მოინახოს შექმნილი მდგომარეობიდან? როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან, ერთი შეხედვით, ორი ანტიპოდური ცნება: მასობრივი ტურიზმი და ტურისტთა ზღვა ნაკადის უარყოფითი მოქმედება ბუნებაზე, ერთი მხრივ, და ტურისტთა სამართლიანი ლტოლვა თავიანთი ქვეყნის ბუნებისა და ისტორიულ ძეგლთა გაცნობა-შემეცნებისაკენ, მეორე მხრივ. სწორედ ამ მიზნითაა შემოღებული ერთობ პოპულარული, ე. წ. ეკოლოგიური ბილიკები. ერთგზის დაცული ტერიტორიები ცხოველთა ..., რომლებსაც გარდა სამეცნიერო-აღმზრდელობითისა, გააჩნია ასევე რეკრეაციული და კულტურული დანიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულებანი. ეროვნული პარკისათვის გასაკუთვნილ, განსაკუთრებით ლამაზ ბუნებრივ ლანდშაფტებში, რომლებიც გამდიდრებულია იშვიათი ცხოველებითა და მცენარეებით, ასევე გეომორფოლოგიური თავისებურებებით, აუცილებელია არ დაუშვან ანდა შეამცირონ ადამიანისმიერ ბუნების შესაძლებელი სწრაფი სახეშემცვლელი საქმიანობა, ეროვნული პარკების შექმნის უპირველეს მიზანს, გარდა ბუნების წიაღით დატკბობისა და დასვენებისა, წარმოადგენს ფართო პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი მუშაობა ბუნებისა და არქიტექტურულ-ისტორიულ ძეგლთა დასაცავად. ეროვნულ პარკებს — „მწვანე უნივერსიტეტებს“ — განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი თაობებისათვის.

ეროვნულ პარკებში შემოღებულია მკაცრი ტურისტული მარშრუტები, რომელთაც ემსახურება შტატიანი, კვალიფიცირებული გამყოლი-ექსკურსიამძღოლები. დასვენებისა და გაცნობის ასეთი ორგანიზაცია გამორიცხავს ე. წ. „ველურ ტურიზმს“.

როგორც ვხედავთ, ნაკრძალ[illegible] დით თუშეთში ფრიად მიზანშეწონილია ეროვნული პარკის შექმნაც.

თუშეთის ალაზანთა სათავეების გაშლილი ვაკე ადგილები ძალზე მოსახერხებელია ტურისტთა დიდი და ლამაზი ოტელების, სპორტსმენთა სასტუმროების ასაგებად.

თუშეთის გაშლილი, ნათელი, სურნელოვანი, თვალწარმტაცი ფიჭვნარები, თავიანთი ანკარა წყაროებით, ჯანმრთელობის სწორუპოვარი კერაა.

აი, ერთბაშად რამდენი გადასაჭრელი პრობლემა დააყენა თუშეთის ალორძინების საშვილიშვილო საქმემ.

ყველაფერი თავიდან დაიწყო თუშეთში, ამიტომ არა გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება. მშენებლებმა, არქიტექტორებმა, ელექტრიკოსებმა, გზათა გამყვანებმა, მეცნიერებმა და სხვებმა და სხვებმა უნდა შეიმუშაონ გამოცდილებას, სწორ პროგნოზირებას დაქვემდებარებული ერთიანი გეგმა.

სწორედ დაწყებული და გაანალიზებული, დინჯად, მაგრამ ერთიანი ფრონტით და მძლავრად დაძრული საქმე გამარჯვების უტყუარი საწინდარია.

## მცირე გადახვევა

თავშივე მინდა ვთქვა, თუშეთის ალორძინება რაიმე განსაკუთრებული და ერთეული ღონისძიება როდი გახლავთ.

ისიც მინდა ვთქვა, ალორძინებული, აყვავებული თუშეთი საპროპაგანდო, საჩვენებელ და სასენსაციო კუთხედ როდი უნდათ გადააქციონ.

თუშეთის მიმართ გატარებული სამეურნეო-ეკონომიკური თუ აღმშენებლობითი პოლიტიკა საერთო ნაწილია იმ გეგმაზომიერი, გააზრებული, ღრმად გაანალიზებული საერთო სამეურნეო-ეკონომიკური თუ აღმშენებლობითი პოლიტიკისა და მოძრაობისა, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით რომ ხორციელდება.

თუშეთი ერთი, მაგრამ ძალზე მრავლისმეტყველი მაგალითია იმ საერთო აღმავლობისა, რასაც ბოლო წლებში აღწევს საქართველოს ყოველი კუთხე, თუ ქალაქი.

აგერ სულ რამდენიმე აბზაცის წინ თუშეთის ტყეებზე, მისი დაცვისა და შენახვის პრობლემებზე ვლაპარაკობდით. განა იგი ერთი შემადგენელი ნაკადი არ არის იმ დიდი მოძრაობისა, საქართველოს ბუნების, მისი ფლორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფაუნის გადასარჩენად და ასაყვავებლად რომ. გაშლილა კიდით კიდემდე?

დიახ, თავშივე მინდა ვთქვა, საქართველოში შეიქმნა ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, მთელი კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი უპირველესი.

საქართველოშივე შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

თუშეთის ტყეებზე, მისი ფლორის და ფაუნაზე ზრუნვის მაგალითიც შემადგენელი ნაწილია ამ მიმართულებით იმ დიდი მამულიშვილური ნაბიჯებისა, ქართული ტყის, საერთოდ, ფლორისა და ფაუნის გადასარჩენად რომ გადადგა რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ.

აი, რა ბრძანა ედუარდ შევარდნაძემ: „ადამიანებს უნდა ვუნერგავდეთ ბუნების სიყვარულსა და პატივისცემას, უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ბუნებაც ზრდის კაცს, აბრძენებს, უფრო კეთილსა და უკეთესს ხდის მას. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბუნების სიყვარულის ჩანერგვა ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.** მშბლიური მხარის ერთგულება ჩვენი უსაზღვრო პატივისცემის წყაროა, და, ამავე დროს, მისი მეშვეობით ვსწავლობთ ყოველივე მშვენიერის სიყვარულსა და პატივისცემას, რაც სხვა ხალხებს აქვთ, — ინტერნაციონალისტები ვხდებით. ბუნება ყოველი ხალხის მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა განუყოფელი ელემენტი და ამავე დროს ჩვენი საერთო-სახალხო, საერთო, ეროვნული ავლადიდებაა“.

ბრძნული სიტყვებია.

ბუნებას მარტო ადმინისტრირება და სახელმწიფო ღონისძიებები ვერ გადაარჩენს. ვერც მილიარდობით გამოყოფილი მანეთები გადაარჩენს.

ბუნებას საერთო-სახალხო სიყვარული გადაარჩენს.

ბუნების სიყვარული არა მარტო ბუნებას გადაარჩენს, თვით ადამიანსაც გადაარჩენს, მისი გულისა და სულის სიფაქიზეს გადაარჩენს.

რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს თუშეთში, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც გავაცანი მკითხველს. თან დავურთე, იგი შემადგენელი და არა საპროპაგანდოდ განკუთვნილი ნაწილია-მეთქი საერთო რესპუბლიკური მოძრაობისა ამ მიმართულებით.

რა კეთდება თვით რესპუბლიკის მასშტაბით?

ბუნებრივი იქნებოდა ასეთი შეკითხვა და ამიტომაც ვეწვიე საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ვილი კაჭარავას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებმა დიდი ეკოლოგიური პროგრამა დასახეს, რომლის განხორციელებასაც მეთერთმეტე ხუთწლედში მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 400 მილიონი მანეთი მოხმარდება — თქვა მან. — ეს საქმის დიდი ეკონომიკური მხარეა. რაოდენ სასიხარულოა, რომ პარტიას საკუთარ, ღვიძლ სათავისო საქმედ მიაჩნია გარემოს დაცვის პრობლემები და დღეც არ გავა, რომ სიახლოვის, კონტროლის, ანგარიშის თუ დახმარების გარეშე დავრჩეთ. მე განსაკუთრებით ამაღელვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ედუარდ შევარდნაძის სიტყვამ, აღნიშნულ კონფერენციაზე რომ წარმოთქვა. აქ მოცემულია ღრმა პარტიული ანალიზი მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შუქით განათებული ჩვენი მატერიალისტური მსოფლმხედველობისა და დამოკიდებულებისა ისეთი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო საკითხის მიმართ, როგორიცაა ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები. ჩვენ ნათლად დავინახეთ საკუთარი მიღწევებიც და ის ხარვეზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც, რაც ჯერ კიდევ ახლავს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის საქმეს. ავიღოთ, მაგალითად, მიწა. საკვირველია, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ მისი ფასი. უნდა გადაიჭრას მიწასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა, როგორიცაა სათოკრებისა და ფერდობების გონივრული გამოყენება, ეროზიისა და ღვარცოფების წინააღმდეგ ბრძოლა, ბიცობების ათვისება, რეკულტივაცია, ნაპირების დამაგრება. ინერტული მასალების მოპოვება და სხვა. მიმდინარე ხუთწლედში აუცილებელია გადაწყდეს საკითხი საქართველოში ძლავრი ინერტული მასალების ქარხნის მშენებლობის შესახებ. უნდა შეირჩეს ინერტულ მასალათა ისეთი კარიერები, რომელთა ექსპლოატაცია არ შეაფერხებს მშენებლობის ტემპებს, არ დაამახინჯებს ლანდშაფტს, არ გაალარიბებს ზღვის სანაპიროს... დროა, მსჯელობის საგნად ვაქციოთ იმ მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელების პერსონალური საკითხი, რომლებიც გეგმის შესრულებას აღწევენ გარემოს დაბინძურების ხარჯზე, ისეთი კოლექტივი, რომელიც არ ზოგავს გარემოს, პრემიებითა და სხვა ჯილდოებით არ უნდა წავახალისოთ...

საჭიროა კიდევ უფრო მკაცრი კანონებით განვამტკიცოთ ჩვენი ბუნების წმიდათაწმიდა უფლება — სუფთა და ანკარა დახვდეს მომავალ თაობებსაც, მათ შვილებსაც და შვილთა შვილებსაც. ახლა უკვე კარგად ვხედავთ, თუ რა გზებია გასავლელი, რომელი მეთოდი გასჭრის უკეთესად. საჭიროა თითოეულ მსხვილ საწარმოსთან ჩავატაროთ გეგმაზომიერი სამუშაოები, რათა სხვა ბუნებისდამცველ სამსახურებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აღვკვეთოთ გარემოს დაბინძურების შესაძლებლობაც კი. ამისთვის სათანადო ტექნიკაა საჭირო, და სათანადო პროფესიული ცოდნაც, რასაკვირველია. 1985 წლისთვის ჩვენს წყალსატევებში არც ერთი ლიტრი გაბინძურებული წყალი არ უნდა ჩა[illegible]

ჰაერის გაბინძურების 40 პროცენტი ავტოტრანსპორტზე მოდის. ავტოტრანსპორტის სამინისტროსთან, მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტთან და გეოფიზიკის ინსტიტუტთან ერთად ჩვენ გავატარებთ დიდ ღონისძიებებს, რაც უკვე ერთი წლის შემდეგ თვალსაჩინო შედეგს მოგვცემს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, დღეიდან მხარში გვიდგას საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებაც: ამრიგად, კიდევ უფრო გამოიკვეთება როგორც ჩვენი სახელმწიფო კომიტეტის, ისე ამ საზოგადოების ერთიანი როლი და მოვალეობანი. ამხ. ედუარდ შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასე „გაფრთიანდა სახელმწიფოსა და საზოგადოების მეცადინეობა"...

დღეს ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, შევქმნათ ბუნების დაცვის ინდუსტრია თავისი მეცნიერებით. რესპუბლიკაში ბევრგან არ გაამართლა წყლის გამწმენდმა ნაგებობებმა, რომელთა დაკომპლექტებას დიდძალი თანხა მოხმარდა. ეს აღარ მოხდება, როდესაც ადგილობრივ გვექნება ერთი საწარმოო გაერთიანება, რომელიც იმუშავებს ამ ნაგებობათა დაპროექტება-ექსპლოატაციაზე.

განზრახული გვაქვს, აგრეთვე, ჰიდროქიმიური· ლაბორატორიის ბაზაზე, რომელიც ახლა შენდება, შევქმნათ სამეცნიერო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების საკვლევი ინსტიტუტების ურთიერთთანამშრომლობას: ამ ცენტრის მიზანი იქნება უახლესი მეცნიერული მიღწევებით საფუძველი შეუქმნას სახალხო მეურნეობის განვითარების ეკოლოგიურ-ეკონომიკურ დაგეგმვას.

როგორც ვ. კაჭარავას სიტყვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საქმია-

ნობა მართლაც მასშტაბურია და გამიზნული.

სასიხარულოა ისიც, რომ უკვე ათი წელია საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ისწავლება „ბუნების დაცვის კურსი".

ათი წელი!

ეს ფაქტიც გვაძლევს დაფიქრების და გარკვეული დასკვნების უფლებას.

ბუნების დაცვის საიდუმლოს მეცნიერული ჩაწვდომის მიზნით ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ვ. მეტრეველმა ბრძანება გასცა 1980-81 სასწავლო წლიდან ბუნების (გარემოს) დაცვის საკითხები შეტანილიყო სტუდენტთა საწარმოო და წინასადიპლომო პრაქტიკის პროგრამებში, სადიპლომო პროექტებსა და შრომებში როგორც ცალკე, განსაკუთრებული თავი.

ბევრი სხვა სიახლეც დაინერგა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სწავლების პრაქტიკაში.

მისასალმებელია და მისაბაძი მათი ინიციატივა.

ვფიქრობთ, თბილისის სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა და უნივერსიტეტმაც უნდა გადადგას ანალოგიური ნაბიჯები. განსაკუთრებით კი პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა. მრეწველობის უკლებლივ ყველა დარგის განვითარება ხომ უშუალოდაა დაკავშირებული ბუნებასთან, ეკოლოგიურ პრობლემებთან, ბიოსფეროსთან.

პატარა ბავშვებს საბავშვო ბაღში და სკოლაშივე რომ უნდა ჩაუნერგონ ბუნების სიყვარული, ამის თაობაზე უკვე ვილაპარაკე და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ტყეს, ტყის მშვენიერებას არა ერთი და ორი ლიტერატურული, მუსიკალური თუ ფერწერული ნაწარმოები მიეძღვნა.

ტყის იდუმალება ყველასათვის იოლად შესაგრძნობია, გასაგებია და ამავე დროს ამოუცნობი საიდუმლოებით აღსავსე მუსიკაა, ასე რომ ატკბობს ადამიანის თვალსა და სულს, ეროვნული ბიბლიოთეკა და გონებას.

ტყე არის სათავე ყოველივე სიმშვენიერისა და სიკეთისა.

ტყე არის სათავე და დასაბამი თვით სიცოცხლისა.

მე სირიაში ვნახე „უდაბნოს დედოფალი", რომაელების მიერ აშენებული დიდებული პალმირა, ქალაქი ზღაპრული სიდიადისა და სიმშვენიერისა. ამავე დროს გულსაკლავი სანახაობა გადაიშალა ჩემს წინაშე: ხვატსა და ქვიშაში, ლორწოვანი მზის დაბინდულ სხივებში წამომართულა მკვდარი ქალაქის ტრიუმფალური თაღი, სამასი სვეტი, ამფითეატრი, ტაძრები, ბახუსის დარბაზები, სამსხვერპლო, სავაჭრო ნაგებობანი, რომაელ დიდებულთა აკლდამები.

იმდენად მშვენიერია პალმირა, უწინ არც კი სჯეროდათ, რომ იგი ადამიანებმა ააშენეს. არაბეთში გავრცელებულია ლეგენდა, პალმირა სოლომონ მეფის პატივსაცემად ჯინებმა ააშენესო.

მის მოკირწყლულ ქუჩებში, ახლა რომ ცხელ ქვიშას დაუფარავს, ოდესღაც სიცოცხლე დუღდა.

შემდეგ...

შემდეგ ქვიშამ იძალა, ირგვლივ ყველაფერი გაანადგურა. ხალხმა პალმირა მიატოვა და სხვაგან გადასახლდა. დიდებული ქალაქი საშინელმა სტიქიამ, ცხელმა ქვიშამ შთანთქა. იგი თანდათანობით მიავიწყდათ კიდეც.

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლომდე ევროპაში არაფერი იცოდნენ პალმირას თაობაზე. 1691 წელს ინგლისელმა ვაჭარმა ჰალიფაქსმა ინახულა განსაცვიფრებელი მკვდარი ქალაქი. სამშობლოში დაბრუნებულმა ჰალიფაქსმა წერილი მიუძღვნა „უდაბნოს დედოფალს". საზოგადოებრიობა დაცინვით შეხვდა ვაჭრის „მირაჟს", ვერ დაეჯერებინათ, რომ არსებობდა ასეთი ქალაქი და საუკუნეების მანძილზე არავინ იცოდა მისი არსებობა.

1753 წელს ინგლისელმა მოგზაურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმა დაუკენსმა და ვუდმა გამოაქვეყნეს ფოლიანტი „პალმირასა და ტადმორის ნანგრევები უდაბნოში". ამის შემდეგ უკვე დაიძრა ევროპა მკვდარი ქალაქისაკენ. ნაძარცვი ქანდაკებებით აივსო ლონდონის, პარიზისა და სტოკჰოლმის მუზეუმები.

რა მოხდა ამ ჩვიდმეტი საუკუნის უკან? რატომ მიატოვა ხალხმა ქალაქი? იქნებ იგი გააუკაცრიელა რომელიმე ომმა და რბევა-განადგურებამ?

არავითარ ომს არ შეეძლო დავიწყებისათვის მიეცა ქალაქი, 17 საუკუნის შემდეგ რომ ასე ანცვიფრებს ადამიანს.

ქალაქის სიკვდილის მიზეზი უწყლობა იყო.

მე მოვინახულე პალმირას გვერდით გაშენებული პატარა სოფელი ტადმორი. იქაური მცხოვრებნი ძირითადად „უდაბნოს დედოფლის" სანახავად ჩამოსულ ტურისტებს ემსახურებიან და მიწიდან ამოქაჩული წყლით ამარაგებენ მათ. ირგვლივ ვერ იპოვით ნიშანსაც კი, რომ აქ ოდესმე ნაკადული მაინც მოედინებოდა. მაშ საიდან მარაგდებოდა ქალაქი წყლით?

პალმირას ქვის მილებს ჯებელ ბოლას მთისაკენ მივყავართ. ახლა ეს მთა მხოლოდ ქვიშის სამეფოდაა ქცეული. სიკვდილი გამეფებულა ირგვლივ. საშინელი ალმური ასდის დატალღულ ქვიშის ოკეანეს.

ჰიდროგეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ჯებელ ბოლას მთა ადრე გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ამ ტყის ფესვები ინარჩუნებდნენ სინესტეს, წყალს. იქ იღებდა სათავეს მრავალი ნაკადული, მიწისქვეშა მილებით რომ მიემართებოდნენ პალმირასა და მისი აყვავებული შემოგარენისაკენ.

დროთა განმავლობაში ტყე უმოწყალოდ გაუჩეხიათ უგბირ ადამიანებს. გამხმარ ფესვებს მიწა ველარ შეუმაგრებია, წვიმას ჩამოურეცხია. ასე იქცა ჯებელ ბოლას მთა ქვიშის სამეფოდ.

ხალხმა დაკარგა წყალი, დაკარგა სიცოცხლის წყარო. პალმირას მცხოვრებნი დედაბუდიანად აყრილან და სხვაგან გადასახლებულან.

.ასე დარჩა მკვდარ უდაბნოში მკვდარი ქალაქი.

როგორ ვუფრთხილდებოდით ჩვენ საქართველოს ტყეებს, როგორ ვუფრთხილდებოდით უთხოვარს, ბზასა და სხვა მრავალი უძვირფასესი ჯიშის ხეებს, უმოწყალოდ რომ იჩეხებოდა ტყეებში?

ტყეების გაჩეხვის შედეგად ჩამოირეცხა მრავალი ჰექტარი მიწა.

ეროზიას ვინ დაეძებდა, როცა რესპუბლიკაში არად დაგიდევდნენ სახნავ-სათეს მიწებს. 1953-1972 წლებში საქართველოში არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოყვეს 123.683 ჰექტარი მიწა. აქედან სახნავი მიწა შეადგენდა 28.439 ჰექტარს, რესპუბლიკის მთელი სახნავ-სათესი მიწის ოთხ პროცენტზე მეტს! წლის მანძილზე!

ამავე ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოში 250.000 ჰექტარი მიწა ჩამოიწერა.

ტყეს საქართველოში მთელი ტერიტორიის 37 პროცენტი უკავია. რესპუბლიკის ტყეების ნახევარი — მილიონი ჰექტარი ისეა გამეჩხერებული, რომ ხის მასალას ვინ დაეძებს, მთის ტყეებს მთავარი ფუნქციის ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქციის შესრულებაც კი აღარ ძალუძს.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა შოთა ჭალაგანიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა:

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების ლენინური პრინციპები მთელი ჩვენი საქმიანობის საფუძველია. ამჟამად იხვეწება ბუნებრივი რესურსების გამოყენების მეცნიერული ორგანიზაცია, ხორციელდება ღონისძიებები, რომელთა მიზანია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა.

დაგეგმილი ბუნებრივი რესურსების გამოყენების დროს გარემომცველ გარემოზე დამღუპველი ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებისას სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ამოცანების შეთანხმება ეკოლოგიური კანონზომიერების მოთხოვნებთან.

შემადგენელი ელემენტების განსაკუთრებული სირთულისა და სამთო-სატყეო ბიოგეოცენოზებში მათი ურთიერთობის გამო, ტყეების სასარგებლო ფუნქციათა მთელი მრავალფეროვნების პრაქტიკული გამოყენების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ამ მიზნით აუცილებელია სამთო-სატყეო ბიოგეოცენოზების შესწავლა როგორც ბიოლოგიურ-სატყეო, ასევე ეკონომიკური მეცნიერების მიერ. ტყის (და განსაკუთრებით მთის) რესურსების კომპლექსური, რაციონალური გამოყენება და დაცვა გახდა მწვავე ეკონომიკური პრობლემა, რომლის არსი მდგომარეობს ეკონომიკური ამოცანებისა და ეკოლოგიური კანონზომიერების მოთხოვნათა მარჯვე, მოხერხებულ შეხამებაში. ამ პრობლემათა სირთულე, პირველ რიგში, მათი გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობაში მდგომარეობს. უკვე მიმდინარეობს ცდები მოგვცენ არა მარტო ტყის მარაგის, არამედ ტყის სხვა კომპონენტებისა და მისი სასარგებლო თვისებების — წყალმარეგულირებელი, ნიადაგდამცავი, რეკრეაციული — განზოგადოებული ეკონომიკური შეფასება.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარისა და სატყეო მეურნეობის მინისტრის საუბრებმა, ვფიქრობ, დაგვარწმუნა, რა გეგმაზომიერი, გააზრებული და ენერგიული კურსი აქვს აღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას რესპუბლიკაში ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველი იტყვის, ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედება ხომ კარგა ხანია გასცდა ცალკეული რეგიონების ჩარჩოებს და გლობალური გახდაო.

მართალია.

ამ მხრივ საინტერესო მაგალითი მოჰყავს რევაზ ავალიანს: „ადამიანთა ცხოვრებაში ფაუნასა და ფლორას მრავალმხრივი ეკონომიკური და ესთეტიკური მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ ხშირად ადამიანი გამოუსწორებელ შეცდომას სჩადის მათდამი მტრული დამოკიდებულებით. ცნობილმა სპეციალისტებმა ჰარპერმა და ალენმა გამოიანგარიშეს, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ადამიანმა გაანადგურა 106 სახის ნადირი და 139 სახის ფრინველი, თანაც, აი, რა არის საყურადღებო: 1800 წლის განმავლობაში ადამიანი ნელა უტევდა ბუნებას: მან მხოლოდ 33 სახის ცხოველი გაანადგურა. ხოლო შემდგომ, ერთ საუკუნეში, კიდევ ამდენივე. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე — 40 სახის ცხოველი მოსპო... ამჟამად კიდევ 600 სახის ცხოველია სრული განადგურების მიჯნაზე!“

შემაძრწუნებელი ფაქტია.

ამ 8 წლის უკან ამერიკაში მოეწყო მსოფლიო გამოფენა „ექსპო-74“ დევიზით: „ბუნებას დაცვა სჭირდება“.

აი, რამდენიმე საგანგაშო ამონაწერი თვით ამერიკის შეერთებული შტატების სტენდიდან:

„ამერიკელები შეადგენენ პლანეტის მოსახლეობის 6 პროცენტს, მაგრამ ხმარობენ მთელი მოპოვებული ენერგიის 35 პროცენტს, ხარჯავენ მისი რესურსების 40 პროცენტს...“

„შეერთებულ შტატებში ყოველ კვადრატულ კილომეტრ მიწის ფართობზე მოდის ერთი კილომეტრის სიგრძის ავტომაგისტრალი“.

„თვითეული ავტომობილი წლის მანძილზე შთანთქავს 2700 კილოგრამ ჰაერს“.

„თვითეულ ავტომობილზე ამერიკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში წლის მანძილზე იხარჯება 2600 ლიტრი ბენზინი თუ სხვა სახის საწვავი".

„ამერიკაში ჰაერის 40 პროცენტი გაბინძურებულია ავტომანქანების მიერ გამონაბოლქვი აირებით. ზოგიერთ ქალაქში კი გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერის 90 პროცენტს".

„ადამიანს ცხოვრებისათვის ყოველდღიურად სჭირდება 7,5 ლიტრი წყალი. თვითეული ამერიკელი კი საშუალოდ ხმარობს 500 ლიტრ წყალს მხოლოდ ოჯახებში. და ეს მხოლოდ წვეთია, იმ რაოდენობასთან, მრეწველობას რომ ხმარდება".

მკითხველი დამეთანხმება, არც ეს ფაქტებია ნაკლებ შემაძრწუნებელი.

კიდევ უფრო საშიშხარო, შემაშფოთებელი და შემაძრწმუნებელი ისაა, რომ ყოველწლიურად კი არ მცირდება, იზრდება ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები.

ერთხელ თურმე ბიოლოგებმა ასეთი საინტერესო შედარება-გამოანგარიშება ჩაატარეს: პლანეტის არსებობის მთელი ისტორია პირობითად შეუფარდეს ერთ დღე-ღამეს. გაიანალიზეს პლანეტის ჩამოყალიბება-განვითარების მთელი პერიოდი მისი შექმნიდან დღევანდელ დღემდე და ასეთი თანაფარდობები მიიღეს: თუ დედამიწა წარმოიშვა 00 საათზე, 12 საათის შემდეგ ოკეანის ფსკერზე გაჩნდა ცოცხალი ცილის პირველი ნაწილაკი. ადამიანი კი ქვეყანას მოევლინა — კარგად დაუკვირდით, მკითხველო! — 23 საათზე, 59 წუთსა და 56 წამზე! რა მივიღეთ? თურმე დღეღამური მასშტაბით ადამიანი არსებობს მხოლოდ 4 წამი. ბუნებრივია, იგულისხმება ადამიანის გაჩენიდან დღემდე. ხოლო თუ ვიანგარიშებთ ადამიანის არსებობის და ცხოვრების შეგნებულ პერიოდს... იგი შეადგენს მხოლოდ... მეოთხედ წამს!

მრავლისმეტყველი მაგალითია.

ხედავთ, რამდენი რამ მოგვისწრია ამ მეოთხედ წამში!

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავცვივდებით, ამ ტემპით თუ გავაგრძელეთ წინსვლა.

„ბუნების დაცვის პრობლემა მშვიდობის დაცვის პრობლემების გვერდით ერთ-ერთი ძირითადი და პირველი პრობლემაა", — ბრძანა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა.

თავში ვთქვი, თუშეთი ერთი, მაგრამ ძალზე მეტყველი მაგალითია-მეთქი, იმ საერთო ალმავლობის, რასაც ბოლო წლებში აღწევს საქართველოს ყოველი კუთხე და ქალაქი.

ისიც ვთქვი, საქართველოში შეიქმნა-მეთქი საბჭოთა კავშირში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

შემთხვევით როდი იყო, რომ საქართველოს დედაქალაქში 1981 წლის დეკემბერში ჩატარდა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მარქსიზმ-ლენინიზმი და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები". იგი მოიწვია უშუალოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები მ. მჭედლოვი, ე. ფეოდოროვი, ა. სიდორენკო, გ. ლასკორინი, ნ. დუბინინი, კოსმონავტი ვ. აქსიონოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი.

კონფერენციაზე პროგრამული სიტყვა წარმოთქვა ედუარდ შევარდნაძემ.

მასშტაბურობა, აი, რა უდევს საფუძვლად ყოველგვარ საქმიანობას ჩვენს რესპუბლიკაში.

კონფერენციის შედეგებს თუ საფუძვლიანად გავეცნობით, დავასკვნით, რომ ერთგვარად მომწიფდა აზრი როგორც საერთო, საკავშირო, ასევე რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკური ბუნების დაცვის კომიტეტების შექმნისა. ალბათ, საერთო დიდ საქმეში ჩვენი რესპუბლიკის — ამ საქმის პიონერის — გამოცდილებაც შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს.

აუცილებლად შეიტანს!

## დეპუტატი

ელზა ჩაჩქანიშვილი სრულიად შემთხვევით გავიცანი თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის გოგი თოთიბაძის კაბინეტში.

თბილისის სამხატვრო აკადემიას სამოცი წელი შეუსრულდა. რექტორატში იდეა დაიბადა: გამოიცეს ამ თარიღისადმი მიძღვნილი დიდი ალბომი.

მე, როგორც გამომცემლობის წარმომადგენელს, წინადადებით მომმართეს ხელი მომეკიდა ამ საქმისათვის. ყველამ კარგად იცის, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქართველების გარდა არა ერთი და ორი სტუდენტი აღიზარდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან თუ ავტონომიური რესპუბლიკებიდან და ოლქებიდან.

და აი, ალბომში უნდა შევიტანოთ თბილისში აღზრდილი ყველა ცნობილი ქართველი, თუ არა ქართველი მხატვრის თითო უმნიშვნელოვანესი ნამუშევარი მაინც.

ალბომზე უკვე ვმუშაობთ და მისი გამოცემა განზრახული გვაქვს უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში.

და სწორედ მაშინ, როცა რექტორი თავის მოსაზრებებს მიზიარებდა, კაბინეტში სტუდენტი გოგონა შემოვიდა:

— გაიცანით, თუში გოგონა ელზა ჩაჩქანიშვილი! — მითხრა გოგი თოთიბაძემ.

რექტორმა იცოდა, თუშეთზე რომ წიგნს ვწერდი და ამიტომაც განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა მისი თუშობა.

— სადაური ხართ? — ვკითხე გოგონას მე.

— ზემო ალვანელი გახლავართ!

— იცით, როგორ მოხვდა აკადემიაში? — მითხრა გოგი თოთიბაძემ, როცა სტუდენტმა კარი გაიხურა.

???? — შევხედე მე.

აი, როგორ მოხვედრილა თუში გოგონა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

ელზა ჩაჩქანიშვილი ზემო ალვანის მეღორეობის ფერმაში მუშაობდა. მოწინავე გოგონა იყო, ყველა პატივს სცემდა, ყველას უყვარდა. გულში მაინც მხატვრობა ჰქონდა ჩადებული, თურმე დღენიადაგ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტობაზე ოცნებობდა. საღამოობით ხატავდა. როგორც კი თავისუფალ დროს მონახავდა, სულ ხატავდა. ბედიც რამდენჯერმე უცდია, მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა. თვითონაც გრძნობდა, მომზადება არ ჰყოფნიდა. გული არ გასტეხია, ფერმაში თავდადებული შრომობდა და მხატვრობაზე კიდევ უფრო მეტად ოცნებობდა.

ერთხელ ახმეტის რაიონს მისი დეპუტატი სოლიკო ხაბეიშვილი ეწვია. საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თუშეთის დეპუტატმა, მთელი რაიონი დაათვალიერა. ზემო ალვანში მეღორეობის ფერმასაც ეწვია და ფერმის თანამშრომლებს ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ესაუბრა.

დეპუტატის ყურადღება უმალვე მიიპყრო ახალგაზრდა გოგონას ჭკვიანმა თვალებმა.

— არ გიჭირთ ფერმაში მუშაობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰკითხა სოლიკო ხაბეიშვილმა.

— არა, — გაიღიმა მან.

— სწავლის გაგრძელებას აპირებთ?

— რასაკვირველია!

— რა პროფესიას გინდათ დაეუფლოთ?

გოგონა შეცბა, სათქმელი ერთბაშად ვერ თქვა. ალბათ იფიქრა, პრეტენზიული ნათქვამი არ გამომივიდესო.

— ექიმობას ხომ არ ფიქრობთ?

— არა, სამხატვრო აკადემიაში მინდა შესვლა! — სწრაფად წარმოსთქვა ელზა ჩაჩქანიშვილმა და თავი ჩაღუნა. ღელავდა, გული გამალებით უცემდა, ფიქრობდა, ვაითუ თუშეთის დეპუტატს მეღორე ქალიშვილის მხატვრობა სასაცილოდ მოეჩვენოსო.

— ხატავთ?

ქალიშვილი გამოფხიზლდა და დაამშვიდა სოლიკო ხაბეიშვილის სერიოზულმა და გულისხმიერმა კილომ.

— ვცდილობ.

— ნახატებს ვერ მიჩვენებთ?

კვლავ უხერხულობის გრძნობამ შეიპყრო ელზა ჩაჩქანიშვილი. „მოეწონება კი სტუმარს ჩემი ნაცოდვილარი?“ — ფიქრობდა იგი.

სოლიკო ხაბეიშვილი მიხვდა, მეღორე გოგონა რა ცეცხლშიც იწვოდა.

— ფერმის დათვალიერებას რომ დავამთავრებთ, მერე მიჩვენე თქვენი ნამუშევრები.

ნახევარი საათის შემდეგ ელზა ჩაჩქანიშვილმა აკანკალებული ხელით გაუწოდა თუშეთის დეპუტატს თავისი ნახატები და ესკიზები. თან თვალებში შესციცინებდა. ეშინოდა, ვაითუ სოლიკო ხაბეიშვილს სასაცილოდაც არ ეყოს ჩემი ნამუშევრებიო. როდესაც დეპუტატის სახეზე მსგავსი ვერაფერი წაიკითხა, თანდათან დამშვიდდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერა.

სოლიკო ხაბეიშვილი ყურადღებით ათვალიერებდა თვითეულ ნახატს.

მეღორე გოგონა განაჩენივით ელოდა მის სიტყვებს.

დეპუტატის ყურადღება უფრო დეკორატიულმა მოტივებმა მიიპყრო. ნამუშევრები მოუწონა და უთხრა:

— იქნებ სჯობდეს აკადემიაში ქსოვილების სპეციალობაზე ჩააბაროთ?

— ეჰ! — ამოიხვნეშა გოგონამ.

— ნუ გეშინიათ, — გაიცინა სოლიკო ხაბეიშვილმა, — ამ გაზაფხულზე თბილისში ჩამოდით და დამირეკეთ.

დეპუტატმა ყველაფერზე იზრუნა, მან თენგიზ მირზაშვილსაც სთხოვა, ახალგაზრდა გოგონას დახმარებოდა.

თენგიზ მირზაშვილმა, ჩვენმა შესანიშნავმა მხატვარმა, გულთან მიიტანა სოლიკო ხაბეიშვილის თხოვნა. დეპუტატმა ტყუილად როდი შეაჩერა არჩევანი თენგიზ მირზაშვილზე. ვინც მის შემოქმედებას კარგად იცნობს, იცის, რა დიდი ადგილი უჭირავს მხატვრის ცხოვრებაში თუშურ ყოფას, თუშურ პეიზაჟებს.

თენგიზ მირზაშვილი მისთვის ჩვეული უანგარობით და საოცარი ენერგიით შეუდგა მომავალ მხატვართან მუშაობას. მან აზიარა ელზა ჩაჩქანიშვილი პირველად ნამდვილ ხელოვნებას, მან აგრძნობინა მეღორე გოგონას დიდი მხატვრობის ძალა, მან ჩაახედა შემოქმედის საიდუმლოში.

ელზა ჩაჩქანიშვილი ჯერ მოსამზადებელ კურსებზე მიიღეს. მთელი წელი თავაუღებლად შრომობდა თუში გოგონა. რაიონმაც დაუფასა გარჯა მოწინავე მეღორეს, ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვაჟა ბატიაშვილმა აკადემიის ლიმიტი მოიპოვა და ელზა ჩაჩქანიშვილს გამოუყო.

დეპუტატის ყურადღებამ, აკადემიის რექტორის გულისხმიერებამ ნიჭს ფართო გზა მისცა. დღეს ელზა ჩაჩქანიშვილი აკადემიის პირველი კურსის მოწინავე სტუდენტია, ოთხებზე სწავლობს, მაგრამ, რაც მთავარია, იგი, როგორც მხატვარი, სწრაფად იზრდება. კმაყოფილნი არიან მისი აღმზრდელები გურამ გურასპაშვილი და თენგიზ სამსონაძე, იმედი აქვთ, ნიჭიერი თუში გოგონა, თბილისის სახელმწიფო აკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემიის გამოყენებითი დეკორატიული ქსოვილების სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი ელზა ჩაჩქანიშვილი ახალ სიმაღლეზე აიყვანს მამა-პაპათა ხელოვნებას.

და რაც მთავარია, მის გულსა და გონებაში სამუდამოდ ჩარჩება ის სითბო, დეპუტატთან პირველად შეხვედრისას რომ ჩაეღვარა.

ელზა ჩაჩქანიშვილმა თვითონ შეიგრძნო დიდი სიკეთის ფასი და ძალა. გვჯერა, მომავალში იგი არა მარტო კარგი მხატვარი იქნება, არამედ კარგი ადამიანიც. გვჯერა იგი ყოველთვის მზად იქნება დაეხმაროს ადამიანებს, უქომაგოს ნიჭიერებს, გულგრილად არ ჩაუაროს უკეთურობას.

იმ დღეს გადაწყდა ელზა ჩაჩქანიშვილის ბედი. იმ დღეს გავიდა იგი შემოქმედებისა და სიკეთის დიდ გზაზე.

1982 წლის 25 თებერვალს სოლიკო ხაბეიშვილთან ერთად ჩავედი ახმეტაში. დიდი ზეიმი ჰქონდათ ახმეტელებს. იმ დღეს უნდა გაეხსნათ ხიდი, რომელიც აერთებს ალვანსა და ოქიო-ალავერდს.

ეს დიდი, მძლავრი ნაგებობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დადგენილებით აიგო. პირადად ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ხიდის დროულ და ხარისხიანა აშენებას.

ახმეტელთა დეპუტატი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მიხეილ გიორგაძეც ესტუმრა ახმეტის რაიონს, ესაუბრა მშრომელ მოსახლეობას და რაიონის ხელმძღვანელებს. ბევრი პრაქტიკული ღონისძიება განახორციელა რაიონის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად. ხელი შეუწყო ხიდის მშენებლობის დაჩქარებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი უშუალოდ, თითქმის ყოველდღიურად განიხილავდ[illegible] თუშეთის გზების, ისე ამ ხიდის მშენებლობის საკითხებს.

ახმეტელები სიხარულით შეეგებნენ სოლიკო ხაბეიშვილს, მასაც ხომ დიდი წვლილი მიუძღვის ამ საშვილიშვილო საქმის გასრულებაში.

ხიდმა 21 კილომეტრით შეამოკლა გზა თელავიდან ალვანამდე. დროის და ტრანსპორტის ეკონომიურ ექსპლოატაციას რომ თავი დავანებოთ, ხიდმა გახადა შესაძლებელი, რომ მაღრაანელებმა დასამუშავებლად აიღონ ოქიოს ზვრების 64 ჰექტარი. ოქიოელებს არ ჰყოფნით მუშახელი, მაღრაანელებს კი თავისუფლად შეუძლიათ 64 ჰექტარის ათვისება-დამუშავება.

მაღრაანელებს არც ქვემო ალვანელები ჩამორჩნენ. ვახტანგ თორღვაიძე ჯიუტად ითხოვს, მათაც გამოუყონ 54 ჰექტარი სავენახე მიწა.

სწორედ ამ ხიდმა, გზის მკვეთრმა შემოკლებამ გახადა შესაძლებელი ეფექტურად და რაციონალურად გამოიყენონ მუშახელი ოქიოს თავისუფალი მიწების ასათვისებლად.

ხიდის საზეიმო გახსნის შემდეგ სოლიკო ხაბეიშვილმა ინახულა კულტურის სახლი, განახლებული საკონსერვო ქარხანა, სადღესასწაულო სახლი, ქვემო ალვანის სატბორე მეურნეობები. ახმეტის რაიონში სატბორე მეურნეობების ფართი 40 ჰექტარს შეადგენს, ხუთწლედის ბოლომდე 100 ჰექტარამდე გაიზრდება. ამ მეურნეობის ყოველი ჰექტარი 2 ტონა თევზს იძლევა.

მდინარისაგან მორღვეული, გარიყიანებული და გამოუსადეგარი ადგილების სატბორე მეურნეობად გამოყენება ახმეტელთა სასურსათო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

ვათვალიერებდით ახმეტის, პანკისის ხეობის სოფლებს და თან ნისლში გახვეულ კავკასიონს გავცქეროდით სინანულით. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მთათუშეთში, ომალოში უნდა გადავფრენილიყავით. მთა კი შუბლს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიხსნიდა. თბილისიდან საგანგებოდ გამოძახებული ვერტმფრენი უკვე ორი საათის მოფრენილი იყო. კახეთში თებერვლისათვის უჩვეულო მზიანი ამინდი იდგა. ამიტომაც არ ვკარგავდით იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც შევძლებდით ომალოში გადაფრენას.

სამ საათზე გვაცნობეს, ნისლმა და ღრუბელმა დაბლა დაიწია, ვცადოთ, იქნებ გადავფრინდეთო.

— ღირს გარისკვა? — მასპინძლის მზრუნველობით იკითხა ვაჟა ბატიაშვილმა.

— ნუ გაართულებთ საქმეს, აბა, წავედით! — მიუგო პასუხად ხაბეიშვილმა.

— როგორც თუშთა დეპუტატი, მერამდენედ მიდიხართ თუშეთში? — ვკითხე სოლიკო ხაბეიშვილს ახმეტის აეროპორტში, როცა ვერტმფრენში ვსხდებოდით („ახმეტის აეროპორტი" ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი).

— როგორც დეპუტატი, მეორედ. ერთხელ ვიყავი როგორც დეპუტატობის კანდიდატი. მანამდე რამდენჯერ ვყოფილვარ, ამაზე არაფერს ვიტყვი. სწორედ მეორედ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან თენგიზ მენთეშაშვილთან ერთად ფეხით მოვიარე დართლო, დანო, კვავლო, ომალო.

1980 წლის 13 თებერვალს ეწვია თუშეთს დეპუტატობის კანდიდატი. ომალოს სკოლა-ინტერნატში ბავშვებს ჰკითხა, თხილამურებით სიარული თუ იცითო. აღმოჩნდა, თუშებს არასდროს მოსვლიათ აზრად მთაში თხილამურე-ბი აეტანათ.

ვაჟა ბატიაშვილმა უკან დაბრუნებისთანავე გააგზავნინა თხილამურები ომალოში.

როცა ომალოში ჩავფრინდით, სოლიკო ხაბეიშვილი ავლავ ესტუმრა სკოლა-ინტერნატს.

ინტერნატის დირექტორი ილო ქავთარაშვილი და მისი მეუღლე ბავშვებთან ერთად სიხარულით შეეგებნენ სასურველ სტუმარს. შემდეგ სკოლა-ინტერნატის ეზოში მიიწვიეს.

— აბა, თხილამურებზე! — გასცა ბრძანება დირექტორმა. იცოდა, სოლიკო ხაბეიშვილს, ძველ სპორტსმენსა და ალპინისტს, ძალზე გაახარებდა თავისი აღზრდილების პირველი წარმატებებით. ექვსი ბიჭუნა თავგამოდებით ცდილობდა, სტუმრისათვის თავი მოეწონებინა. დეპუტატს გაეხარდა, რომ ბიჭები უკვე დაუფლებოდნენ სათხილამურო სპორტის სირთულეებს.

უმალვე ფერდობის ძებნა დაიწყო, სადაც სათხილამურო ტრასის მოწყობა და საბაგირო გზის მშენებლობაც შეიძლებოდა. ადგილიც შევარჩიეთ, კესელოს ციხის ქვემოთ, სამხრეთის ფერდობი...

— შოთა ორჯონიკიძეს ვთხოვ, იქნებ პირველ რიგში აქ აგოს სათხილამურო საბაგირო გზა, — თქვა დეპუტატმა.

ბავშვების თვალებში სიხარულის სხივი აციმციმდა, იციან, მომავალი წლისათვის სიტყვა საქმედ იქცევა...

## შირაქი

გინახავს შირაქი, ძვირფასო მკითხველო?

თუ გინახავს, დამეთანხმები, კიდევ ერთი ულამაზესი და ყველა კუთხისაგან განსხვავებული კუთხე რომ გვქონია საქართველოში.

თუ არ გინახავთ, უნდა ნახოთ, მეტს ვერაფერს გეტყვით.

ან კი რა უნდა გითხრათ. შირაქი, რატომღაც, ისეთი კუთხე როდია, ხალხი ეტანებოდეს.

თვით თუშეთი, რომლის სილამაზე კიდით-კიდემდეა განთქმული, განა ბევრსა აქვს ნანახი და შეგრძნობილი?

ანდა სვანეთში, ამ სასწაულებრივი სილამაზის კუთხეში ბევრია ნამყოფი?

სვანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთისადმი გულგრილობის შემდეგ

ალაოც კი მიკვირს, რომ ქართველთა უმრავლესობა არამც თუ არ ყოფილა შირაქში, სურვილიც კი არა აქვს იქ გამგზავრებისა.

დასანანი კია.

დასანანი და სამწუხარო.

რაჭა-ლეჩხუმის ხეობები მაინც ჩამოჰგავს თუშეთისას, ჩვენი თვალი უკვე შეეჩვია იმერეთისა და გურიის პეიზაჟებს. ზღვისპირეთის სუბტროპიკულ. პირადად ჩემთვის მაინც დეკორატიულ ბუნებას.

სამხრეთ საქართველოს ხეობებსაც ბევრი საერთო აქვს საქართველოს სხვა კუთხეებთან.

შირაქი სულ სხვაა.

იგი ძალზე განსხვავდება ჩვენი თვალისათვის ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ქართული პეიზაჟებისაგან.

შირაქი თვით წითელწყაროს რაიონისგანაც კი განსხვავდება, რომელსაც უშუალოდ ეხმის ალმოსავლეთის მხრიდან.

პირადად ჩემთვის შირაქი მაინც კასრისწყლიდან იწყება. თუმცა წითელწყაროსა და კასრისწყალს შორის უზარმაზარი მინდვრებია მოქცეული, შირაქის პურის ბეღელს რომ ეძახიან.

კასრისწყლიდან თვალს იტაცებს მწვანედ გადალესილი გორაკები. თვალისათვის უჩვეულოა უბუჩქო, უხეო მთები, მხოლოდ მინდვრად მწვანე ხალიჩას რომ დაუფარავს ერთთავად. აი, მწვანე გორაკების ფერდობები თეთრი აჟურული გულსაკიდი სამკაულებივით დაუმშვენებია ცხვრის ფარებს.

ალაგ-ალაგ ხეებიც მოჩანს.

ერთი მთლიანად მწვანედ მობიბინე გორაკის თავზე ერთადერთი აკაკის ხე წამომართულა.

· მას გიორგი სააკაძის აკაკის ხეს ეძახიან.

თქმულების თანახმად, ამ ხის ქვეშ შეჩერებულა თურქეთისაკენ გაქცეული, გიორგი სააკაძე, აქ დამშვიდობებია საბოლოოდ საქართველოს...

გამოჩენილ დიდ ქართველ სარდალს მას შემდგომ მართლაც [illegible] ბია საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმა.

მწყემსებმა მითხრეს, ხე მაინცდამაინც ასე ბებერი არ უნდა იყოს, საეჭვოა, იგი მართლა ყოფილიყო გიორგი სააკაძის დროსო.

არ ვიცი. აკაკის ხის ასაკში ისე როდი ვერკვევი. როგორც, ვთქვათ, კაკლის, ცაცხვის, მუხის თუ ჭადრის ასაკში, მაგრამ თავისთავად მათ მიერ ნაამბობი ლეგენდა ძალზე საგულისხმოა.

გორაკის წვერზე რომ ახვალ და ხის ქვეშ დადგები, სამხრეთისაკენ კარგად მოჩანს საქართველოს საზღვარი. იქნებ ამ ხის მარტოობამ და სამშობლოს თვალით დასანახმა საზღვარმა დაბადა დიდი სარდლის, მაგრამ მარტოკაცის — გიორგი სააკაძის საქართველოსთან გამოთხოვების ეს ლამაზი ლეგენდა?

განსაკუთრებით ლამაზია შირაქი გაზაფხულზე, როცა მინდვრებს, სერებს, ბუჩქებსა და ხეებს ჯერ კიდევ არ უგრძვნიათ უწყლობა და აქაური მზის მცხუნვარება. ფერდობებზე მეჩხერად შეფენილი საკმლის ხე, სალსალაჯსაც რომ ეძახიან მწყემსები, უცნაურ სამხრეთულ იერს აძლევს აქაურობას. ყველაფერი შედარებითია, სამხრეთულს რომ ვამბობ, სირიასა და ლიბანს ვგულისხმობ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოფრთხიალე კვირიონი თავისი მტრედზე მოზრდილი ტანით და თუთიყუშივით მომწვანო-მოყვითალო ტროპიკული ფერით, კიდევ უფრო აძლიერებს შირაქული პეიზაჟის თავისებურებას და უჩვეულობას.

კასრისწყლიდან პატარა ფერდობებს გადაივლი თუ არა, პანტიშარას ხეობით სამუხის ველისაკენ დაეშვები.

ხეობა თავისთავად დიდი მდინარის თუ არა, პატარა ნაკადულის ასოციაციას მაინც იწვევს.

უკვე აპრილის ბოლოს ამ ხეობაში წყლის ნასახსაც კი ვერ იპოვით. მხოლოდ ერთ ადგილზე ამოდის მლაშე წყალი, რომელიც იქვე, რამდენიმე მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრის მოშორებით იკარგება ქვიშაში.

პანტიშარას ხეობამდე თვალს იტაცებენ გუნდ-გუნდად თუ წყვილ-წყვილად წამოფრენილი გვრიტები, ღურაჯები, ყაპყაპები. გარეული მტრედები. იხვები, ოფოფები... ბუჩქებიდან ვერტმფრინავივით ამოდიან ჭრელ-ჭრელი ხოხბები... მამალი ხოხობის შვეულად ამოფრენა ხომ ვეიზერის ამოხეთქვას მოაგონებს მნახველს!

სანამ ხეობას მიადგები, გიურზების ნაკრძალი იწყება. მაისის დასაწყისში ჯერ კიდევ არ არიან ხვრელებიდან გამოსული ეს ტანმოკლე, მაგრამ მსხვილი, ყველაზე შხამიანი და აგრესიული გველები. სამმეტრიანი ნახტომით რომ ესხმიან მსხვერპლს თავს.

ტყეებსა და ბუჩქებში დაშლიგინობენ გარეული ღორები და ზოლიანი გოჭუნები.

თიხისაგან დანაოჭებულ და დაშლილ მთებს შორის ჩაწოლილა პანტიშარის ხეობა. აქ ისეა მთები ჩამოშლილი, გეგონება უკვე დაბერებულან, სიკვდილის პირას მისულან, სადაცაა უკანასკნელად ამოისუნთქავენ და საბოლოოდ ჩამოიშლებიანო. ამ ჩამონაშლელებს შორის სიცოცხლის სიმბოლოდ მოჩანან ხეები და ბუჩქები, რომელთა შორის გარეული ბროწეული გამოირჩევა თავისი მომწვანო-მოყვითალო ხასხასა ფოთლებით, ჯერ კიდევ რომ არ უგრძვნიათ ზაფხულის მზის სხივების მცხუნვარება.

მთის ფერდობები ზოგან ისეა ჩამოშლილი, ვერც კი წარმოიდგენ, რომ ვილაცის ხელმა არ მისცა მათ გალავნისა და გოდოლების ფორმა. კაცმა ცოტა შორიდან რომ შეხედოს, იფიქრებს, ხეობის თავზე შეუვალი და გრანდიოზული ციხე-სიმაგრეები წამომართულაო.

შუა ხეობაში ერთ პიტალო კლდეზე მერცხლებს თავისი „ქალაქი" მიუშენებიათ. ორი ათასი ბუდე მაინც იქნება ამ კლდეზე ერთმანეთზე უბნებად მიშენებული. ცას აბნელებს კლდის ირგვლივ მობუედავე და მ[illegible] რამდენიმე ათასი მერცხალი.

უჩვეულო და უცხო სანახაობაა ქართველი კაცის თვალისათვის.

მეორე, კიდევ უფრო დიდი „მერცხალქალაქი" — ასე ეძახიან მწყემსები ბუდეებით დაფარულ კლდეს, ეშმაკის ხეობაშია, მაგრამ ამჯერად მისი ნახვა არ გვქონდა მიზნად დასახული.

აქაური ტყეები უჩვეულოა თავისი ფერადოვნებით და ძალზე განსხვავებული საქართველოს სხვა კუთხეების ტყეებისაგან. სახელიც უცნაური ჰქვია ამ ტყეს — ტუგაი. გაზაფხულზე საკმევლის ხისა და ბრდღვიალა ბროწეულის გვერდით ვერცხლისფერ ფშატებსა და ვერხვებს მხარს უმშვენებენ ვარდისფრად მოყვავილე იალღუნები. ფერდობებზე ჰყვავის სისხლისფერი ველური ტიტები და ზამბახები.

პანტიშარას ხეობა სამუხში გადის. ერთბაშად იწყება ვრცელი და დაცემული ვაკე, რომელიც სამხრეთით აზერბაიჯანის საზღვარს გასდევს, ხოლო აღმოსავლეთით მინგეჩაურის წყალსაცავს ებჯინება.

30 აპრილს მოვილაპარაკეთ, შირაქში ორ მაისს გავმგზავრებულიყავით. პარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივანს ვაჟა ბატიაშვილს ტელეფონით შევუთანხმდი, 2 მაისს დილის შვიდის ნახევარზე გურჯაანისა და წითელწყაროს გზების გასაყარში — მელაანში დაგხვდები-მეთქი.

პირიქით გამოვიდა. ათი წუთით ჩამომისწრეს ახმეტიდან. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მე არ დამიგვიანია, ზუსტად დათქმულ დროს მივედი.

ვაჟა ბატიაშვილთან ერთად დამხვდა ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვახტანგ თორღვაიძე, ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი იოსებ ძოძიშვილი, თუშეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ტელმან იჭირაული და თუშეთის მეცხოველეობის ფერმის გამგე კოსტა მოზაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ბატიაშვილი ღიმილით შემხვდა, მაგრამ უმალვე შევატყვე, თვალები არ უღიმოდა.

რა მოხდა-მეთქი, ვკითხე.

— წუხელ პანკისის ხეობა დასეტყვა, განსაკუთრებით მატანი დაზიანდა. მთლიანად მოსპო ვენახი და ხეხილი! — მითხრა ნაღვლიანად.

ხმა არ ამომიღია. უბრალოდ, სევდიანი სახე მივიღე. გამოტეხილი რომ ვთქვა, არც კი ვიცი, ამ დროს რა უნდა ვთქვა, კაცი რით უნდა ვანუგეშო. ვგონებ, არც სტანდარტული, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ნუგეში არსებობს ამ დროს თანაგრძნობის გამოხატვისა. ვთქვათ, ისეთი, — „ეჰ, რაც იმას დააკლდა, შენს შვილებს შეეწიოს“, ანდა სხვა მრავალი ამის მსგავსი.

მთელი შირაქი მოვიარეთ, დავათვალიერეთ კასრისწყლის საკვების შემამზადებელი საამქროს მშენებლობა, რომელიც წელსვე უნდა ჩადგეს მწყობრში. იგი დაამზადებს ბრიკეტებს და გრანულირებულ საკვებს, რაც ძალზე გაუადვილებს ცხვრის გამოზამთრებას თუშ მეცხვარეებს.

ცუდი წელიწადი ჰქონდათ წელს ქართველ მწყემსებს. უამრავი ცხვარი გაწყდა ყიზლარშიც და შირაქშიც.

— წლევანდელმა წელმა 1953 წელი გამახსენა, — მითხრა ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ბასიკო რაინაულმა, — მაშინ 40 ათასი სული ცხვარიდან მხოლოდ 6 ათასი გადაურჩა დალუპვას. წელსაც დიდი გასაჭირი დაგვატყდა თავს. ჩვენი ბრიგადა შედარებით კარგად გამოიყურება, დოლი 90 პროცენტიანი გვაქვს. ძალზე დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს დოლის საშუალო მაჩვენებელი 60 პროცენტია, მაინც კარგად გამოვიყურებით.

მარტო ქვემო ალვანის 19 ბრიგადაა შირაქში, ზემო ალვანის 24 ბრიგადას თუ მივუმატებთ თუშეთის [illegible] გადას, ნათლად წარმოვიდგენთ თუში მეცხვარეების დღევანდელ სამოქმედო მასშტაბებს.

უკვე წელს თუშეთის საბჭოთა მეურნეობის ხუთივე ბრიგადას ცხვარი ზამთრის საძოვრებზე ყიზლარში უნდა გადაერეკა. არ მოხერხდა. არადა სასურველი კი არა, აუცილებელია, რომ თუშეთის ბრიგადები ყიზლარში გადავიდნენ და თავი დამოუკიდებლად იგრძნონ ალვანელი მეცხვარეებისაგან.

ცუდმა ზამთარმა თავისი დაღი დააჩნია ცხვრის სულადობას. პირველი აპრილისათვის მათი რაოდენობა იყო 103900 სული. 11 ათასი სულით ნაკლები შარშანდელთან შედარებით!

## ფაქტები მცირე ანალიზისათვის

ბასიკო რაინაულის ბრიგადაში 960 სადოლე ცხვარია. სულ 2100 ცხვარი, ამ რაოდენობას ემატება მწყემსების საკუთარი — 1200 ცხვარი, ე. ი. კერძო სექტორი შეადგენს საერთო რაოდენობის თითქმის 52 პროცენტს. ეს პროპორცია მეტნაკლებად ყველა ბრიგადაშია შენარჩუნებული.

მერე რა არის ამაში ცუდი?

პირიქით, სტიმულირების შესანიშნავი ფაქტია!

1975 წელს ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე თუშეთში სოფელ ჯვარბოსელში შეხვდა ბასიკო რაინაულსა და მისი ბრიგადის წევრებს.

— რაიკომის მდივანს ხომ არ უჩივით? — ჰკითხა მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბასიკო რაინაულს.

— კარგი კაცია, მაგრამ ბრიგადაში კერძო ცხვრის ყოლის უფლებას არ გვაძლევს. — შესჩივლეს მწყემსებმა ედუარდ შევარდნაძეს.

— აუცილებლად მიეცით ნება საკუთარი ცხვარიც ჰყავდეთ საზოგადოებრივი სექტორის გვერდით! — უთხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგმა ედუარდმა ვაჟა ბატიაშვილს.

გაიხარეს მწყემსებმა.

გაიხარეს და — შედეგმაც არ დააყოვნა.

იმატა ცხვარმა, იმატა ბარაქამ.

მაგრამ...

ჩვენი კუთვნილი სახელმწიფო საძოვრებით სარგებლობენ, სახელმწიფო ტრანსპორტით სარგებლობენ, გამოზამთრებისას სახელმწიფო ინდუსტრიული მეცხოველეობის საშუალებებით სარგებლობენ, ცხვარს კი არ გვაბარებენ. არც ხორცს და არც მატყლს! — სამართლიანი გულისწყრომით ამბობს ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი. — მაშინ, როცა რესპუბლიკა საკუთრ-სათო პროგრამის განხორციელებისათვის იბრძვის, ისინი საკუთარ ცხვარსა და მატყლს რესპუბლიკის გარეთ ჰყიდიან.

სამწუხაროა!

სიკეთეს დაფასება უნდა!

სიკეთის დაფასება ხომ სისხლიდან წამოსული თვისებაა თუში კაცისა!

მაშ რა მოხდა?

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ყოველი მწყემსი ამ უკადრის საქმეს სჩადიოდეს.

გამონაკლისი ყოველთვის ყოფილა და ყოველთვის იქნება. მაგრამ საშინელებაა, თუ წესიერ კაცსაც წასძლია სულმა. თანაც რისთვის?

არამი ფულისათვის, გროშებისათვის.

მე თვითონ დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი მათგანი კაპიკებისათვის ხურდავდება. ივიწყებს, როგორი პატივი სცეს, როგორ დააფასეს მისი შრომა. უფლება მისცეს, თითქმის ერთი ერთზე იყოლიოს საკუთარი ცხვარი. ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ზრუნვასა და ლონისძიებას აზიარეს. ზოგიერთი კი...

საბარგო მანქანის უცხო ნომერმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მწყემსები გამალებული პარსავდნენ საკუთარ ცხვარს და მატყლს ტომრებში სტენიდნენ. მყიდველები თავზე ა[illegible] შემახილებით აჩქარებდნენ.

როცა თავს წავადექით, ფერი ეცვალათ. იუარეს, ისე, ჩვენთვის ვპარსავთო. ესენი ვინლა არიან-მეთქი, რომ ვკითხე, ჩვენი მეგობრები არიანო. სახელები გვითხარით-მეთქი, — აქტიურად ჩავერიე ამ უსიამოვნო პაექრობაში. ვერა თქვეს. მოსაკითხად და მოსანახულებლად გამოსული მეგობრების სახელები ვერ გაიხსენეს!

სასაცილოდ თუ სამწუხაროდ, ვერც სტუმრებმა გაიხსენეს მასპინძლების, მათი დიდი ხნის მეგობრების სახელები.

ახლა აღარ იკითხავთ, რაზე დახურდავებულან ნირწამხდარი მეცხვარეები?

60 კაპიკზე.

პირველი ხარისხის მატყლის სახელმწიფო შესასყიდი ფასია 9 მანეთი და 40 კაპიკი. ისინი კი თურმე ათ მანეთად ჰყიდიან კერძოდ მატყლს.

ნუთუ 60 კაპიკი აღარა ღირს ის დიდი შეღავათი, რომელიც მათ მისცეს? ანდა რატომ ივიწყებენ სახელმწიფო საძოვრებს და სახელმწიფო ტრანსპორტს? რატომ ივიწყებენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ზამთრის საძოვრებს?

არ მინდა ასეთი მწყემსების ვინაობა გამოვამზეურო.

მადლობა ღმერთს, ისინი ცოტანი არიან.

მადლობა ღმერთს, რომ ისინი ოდნავადაც ვერ მიაყენებენ ჩრდილს თუში მწყემსის კეთილშობილ, ამაყ და ვაჟკაცურ ბუნებას.

ბევრ ბრიგადას ვესტუმრეთ. სამუბში ვესაუბრეთ ფერმის გამგეს ვახტანგ კრიტიულს, ბესარიონ ანთაიძეს, ედიშერ ლუდელაურს, კოსტა შაბალაიძეს, შალიკო არქიშიძეს...

ზედ მინგეჩაურის წყალსაცავის პირასაა ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი ბრიგადის ადგილსამყოფელი. მწყემსის ბინას რომ მივუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფხლოვდით, იოსებ ძოძიშვილმა მასპინძლებს გასძახა, მაგრამ არავინ გამოგვეხმაურა.

კოხტად მოწყობილი სახლის კარი შევაღეთ.

ღარიბულია მეცხვარის ბინა. გრძელი ხის ტახტები, პირდაპირ კედელზე ან გაბმულ თოკზე ჩამოკიდებული ცხვრის ტყავები. ირგვლივ ცხენების შესაკაზმი აღჭურვილობა, ტელევიზორი...

— თბილისის გადაცემებს ღებულობთ? — ვკითხე იოსებს.

— თბილისს აქ კი არა, წითელწყაროშიც ვერ იღებენ. აქ ან ბაქო, ან ერევანი... ისე კი, ერთი გამაძლიერებელი კოშკია საჭირო, წითელწყაროს ყოველ სოფელში და შირაქის ყოველ კუნჭულში რომ მიიღონ თბილისის ტელეგადაცემები! — ერთდროულად მიპასუხეს ვაჟა ბატიაშვილმა, იოსებ ძოძიშვილმა და ვახტანგ თორღვაიძემ.

ბევრი რამის მთქმელი იყო სამი კაცის გულიდან და გონებიდან ერთდროულად ამოხეთქილი გულისტკივილიანი პასუხი.

ასე ძნელია ერთი გამაძლიერებელი კოშკის აშენება?

მეტი დაფიქრება, ვითარების მეტი გაანალიზება ხომ არ გვმართებს?

მშრომელმა კაცმა ამაშიც უნდა იგრძნოს დიდი სახელმწიფოებრივი ზრუნვა.

დღეს უტელევიზოროდ წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება. ამ პატარა ჯადოსნურმა ყუთმა ჩვენდა უკითხავად შემოაღო ჩვენი სახლის კარი, თავისი კუთხე დაიმკვიდრა და საბოლოოდ დაფუძნდა. აწი, გულითაც რომ გინდოდეს, ვეღარ გააძევებ გარეთ.

ჯერ კიდევ რამდენი რაიონი ვერ ღებულობს ტელეგადაცემებს საქართველოში?

მიგრაციასთან ბრძოლის მძიმე პირობებში ტელევიზიას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ნუგეშად მხოლოდ პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირვ[illegible] ქიულიენ ყარაულაშვილის სიტყვები წამომყვა, როცა აქეთობისას ვინახულეთ. მან გვითხრა, უკვე წელსვე ვიწყებთ მძლავრი გამაძლიერებელი სატელევიზიო კოშკის მშენებლობასო.

ფანჯრის რაფაზე მეათე კლასის სახელმძღვანელოებს მოვკარი თვალი: მშობლიური ლიტერატურა, ფიზიკა, ისტორია...

— ალბათ რომელიმე ახალგაზრდა მწყემსი ემზადება უმაღლესში შესასვლელად. — მითხრა ვაჟა ბატიაშვილმა.

ამასობაში მასპინძელიც გამოჩნდა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, კომუნისტი, მეცხვარეთა ბრიგადის ბრიგადირი, 69 წლის ექვთიმე თავბერიძე. უკვე ორმოცდამეცხრე წელიწადია ცხვარში მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ რკინასავით ძლიერი კაცი. შარშან რაიკომმა „კოლხოზნიკი" გამოუყო ამაგდარ მეცხვარეს.

აქამდე ვისაც ვესაუბრეთ, რაიკომის მდივანს ყველამ უარი განუცხადა დედაცხვრის გაპარსვაზე. ჯერ მთაში ავიდეთ და იქ გავპარსავო, შეთქმულივით ერთხმად ამბობდნენ ყველანი.

რაიკომის მდივანს მათი ნათქვამი არ ეჭაშნიკა. მთათუშეთში ნაპარსი მატყლი ვერტმფრინავებით უნდა გადმოზიდონ ბარში. ეს კი საკმაოდ აძვირებს მატყლის თვითღირებულებას.

— მიზეზი? — კითხულობდა ვაჟა ბატიაშვილი.

— მერყევი ამინდია. სეტყვაცაა მოსალოდნელი და აცივებაც. დედაცხვარი გაცივდება, მათთან ერთად ბატკანიც დაეცემა! — ამბობდნენ მწყემსები.

— ექვთიმე ბატონო, — მიუბრუნდა ვაჟა ექვთიმე თავბერიძეს, — ყველაზე უფრო მაინც თქვენს გამოცდილებას ვენდობი. ცხვრის მთაში გადარეკვამდე დღეებიღა რჩება. აქ სჯობია ცხვრის გაპარსვა თუ მთაში?

— დედა-ცხვარი მთაში უნდა გაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსოს. საერთოდ, ყველა ცხვრის გაპარსვა წელს მთაში სჯობია. საშინელი წელიწადია, მერყევი ამინდი, სეტყვა და ქარი არ გვეშვება. ვერ გავრისკავ, ისედაც ზარალიანი ზამთარი გვქონდა.

ქალაქიდან ჩამოსული ხართ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება „პლანეტების პარადია" თუ რაღაც ჯანდაბა?

შეკითხვა მე მეკუთვნოდა.

— მგონი, თხუთმეტ მაისამდე არ აპირებენ დაშლას! — გამიღიმა.

— აბა თექვსმეტიდან შევუდგებით მთისკენ გამგზავრებას!

— ეს წიგნები ვისია? — ვკითხე.

— ბიძინა თათარაიძისაა!

— უმაღლესში შესასვლელად ემზადება?

— ემზადებოდა, ახლა ჯარში მიდის. უკვე წავიდა ალვანში. ალბათ ამ დღეებში გადაპარსავენ თავს.

— წიგნები რატომ არ წაიღო, აღარ სჭირდება?

— რატომაც არ სჭირდება! ჯარს მოიხდის, ისევ აქ დაბრუნდება და აქვე მოემზადება უმაღლესში სასწავლებლად!

უნებურად ბესიკ ჯიჯურიძის ბარელიეფი გამახსენდა, თავისი ბრიგადის ბინის კედელზე აყუდებული რომ ვნახე. პატარა ბიჭმა შორიდან მოიტანა ორი მეტრის სიმაღლის ქვა და ზედ მწყემსი გამოკვეთა, კისერზე ბატკანმოგდებული თუში მწყემსი. შემდეგ თბილისის სამხატვრო ტექნიკუმში დაამთავრა. თავისი პირველი ნამუშევარი კი სამუზში დაუტოვა თუშ მწყემსებს, თავისი ბრიგადის წევრებს.

ბიძინა თათარაიძეც დაბრუნდება ჯარიდან. ისევ ამოუდგება მწყემსებს მხარში, ისევ გაიზიარებს მათ ჭირსა და ლხინს. უმაღლესში შესასვლელადაც მოემზადება და ამ ოცნებასაც აუცილებლად შეასხამს ფრთებს...

ავშანი უკვე გაზრდილა და გაუხეშებულა. ცხვარი აღარც კი ეკარება მას. ავშანს ცხვრის დედას ეძახიან. მას სძოვს ცხვარი გვიან შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულის პირას.

თუ ავშანი არის, ცხვრის საქმეც კარგად არისო, ამბობენ მწყემსები.

მაისის დასაწყისში კი სხვა ბალახიც წამოიზარდა და ცხვარმა მასზე გადაინაცვლა. აპრილის ბოლო რიცხვებიდან ამწარება იცის ავშანმა. იმიტომ აღარ ძოვს ცხვარი.

საყვარლად დაკუნტრუშებენ ბატკნები, უნებურად მოფერება მოგინდება მათი.

ბატკნების დედებთან ძუძუს საწოვრად მიშვების პროცესს თუშები გაბერავებას ეძახიან, — კახელები — გასარდვლას (გასარდალავება).

ათას ბატკანს რომ მიუშვებენ ათას დედასთან, დედა-შვილი უმალვე იპოვნიან ერთმანეთს.

— ვთქვათ და ვერ იპოვნეს. ხომ შეიძლება ბატკანმა ათას ცხვარში ვერ მიაგნოს დედას? — ვეკითხები ექვთიმე თავბერიძეს.

— მაშინ მცნობელი უნდა მიეხმაროს.

მცნობელი!

თურმე ყოფილან მცნობელები, რომლებსაც შესწევდათ უნარი ათას ცხვარში იპოვნონ დედა-შვილი.

„ყოფილან!" — ყოველთვის მაღიზიანებს ეს სიტყვა.

თურმე უწინ ყოფილა ასეთი და ასეთი კაცი...

ახლა?

ახლა რატომ არ არის?

იქნებ წარსული ყოველთვის გაზვიადებულია, ხოლო სინამდვილეში არასდროს ყოფილან ასეთი ზებუნებრივი მახსოვრობისა თუ ყნოსვის ადამიანები?

— რატომ, ახლაც არიან, თუმცა იშვიათად! — მეუბნება ექვთიმე თავბერიძე, — თუნდაც ჩვენი იობ ანთიძე. ამ სამი წლის წინ ორ ბრიგადას ცხვარი აერია ერთმანეთში. ოცდაათი ცხვრიდან ოცდაშვიდი გამოიცნო იობ ანთიძემ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, მე ვერ შევხვდი იმ საოცარი ნიჭით დაჯილდოებულ მეცხვარეს. იგი ალვანში წასულიყო რაღაც საქმეზე.

## მცირეოდენი ფაქტები ანალიზისათვის

ახმეტის რაიონის რვა მეურნეობასა აქვს განაწილებული შირაქში რაიონის კუთვნილი საძოვრები. ესენია პანკისის, მატანის, ქისტაურის, ხოდაშნის, მაღრაანის მევენახეობის, ზემო ალვანის, ქვემო ალვანისა და თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები.

რვა მეურნეობა. ე. ი. რვა დირექტორი, რვა პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რვა ვეტექიმი და ა. შ. რვა, რვა, რვა...

ყველაფერს უნდა დავუმატოთ ასევე რვა სხვადასხვა ინტერესი, რასაკვირველია, სუბიექტური და მიკერძოებული.

რაიონის წინაშე რომ მწყემსთა საქმიანობის სრული სურათი დაიხატოს, რვავე მეურნეობის დირექტორს უნდა ესაუბრო, რვა მეურნეობის მწყემსების ცხოვრებას ცალკე უნდა გაეცნო, მერე შეაჯამო და გააანალიზო საერთო სურათი.

ნუთუ არ შეიძლება შეიქმნას ერთი საერთო გაერთიანება? ხომ შეიძლება მას ვუწოდოთ თუნდაც [illegible] ონის სამეურნეობათაშორისო საკვებმომპოვებელი გაერთიანება?

როცა ერთი გაერთიანება იქნება, მიკერძოებისთვის ადგილი აღარ დარჩება, ყველა ბრიგადა თანაბარ პირობებში აღმოჩნდება. აღარაფერს ვლაპარაკობ მისთვის რვაჯერ გაიოლებულ სტრუქტურაზე.

როგორც ხედავთ, „რვას“ მეც ვერ გავექეცი. თუმცა იგი ამჯერად დადებითად იყო აქცენტირებული.

ძვირფასო მკითხველო, არ იფიქროთ, რომ ჩემი მოსაზრებანი და წინადადებანი „შემოგაპარეთ“. მე მხოლოდ პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივნის ვაჟა ბატიაშვილის ნაფიქრი და ნააზრევი ჩამოვაყალიბე.

ალბათ მართალია რაიკომის მდივანი, ყოველშემთხვევაში, მე ასე მგონია!

„ნივა“ ენერგიულად მიგუგუნებს კუმროს ხევში. შემდეგ... ბულა-მოედანი, ლეფის წყალი... სამუხიდან კვლავ შირაქში შემოვბრუნდით.

თუშ მეცხვარეებს შირაქში საქმე არასდროს შემოელევათ, მაგრამ ახლა, მაისის დასაწყისში, განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ყველა ბრიგადაში. თუში მეცხვარეები თუშეთის მთებში დასაბრუნებლად ემზადებიან. ათითხუთმეტი დღეც და დაიძვრება თეთრი ქარავანი...

## საწინდარი წარმატებისა

ამ სამ წლის წინ საშინელი ამბები გამომჟღავნდა საქართველოს ზოგიერთი რაიონის წვენების ქარხნის მესვეურთა საქმოსნობისა.

შემდეგ სულის შემძრწუნებელი დანაშაული თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარისა... კაცმა, რომელსაც დიდი ნდობა გამოუცხადა პარტიამ და ხელისუფლებამ, ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც სასჯელის უმაღლესი ზომა დაიმსახურა.

ეს თავზარდამცემი შთაბეჭდილება განელებული არც იყო რომ... დააპატიმრეს მინისტრი...

კვლავაც გვხვდება ქრთამის, პროტექციონიზმის, თანამდებობის ბოროტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენების შემთხვევები. არც იმ ადამიანთა დანაშაულია იშვიათი შემთხვევა, თვითონ რომ უნდა იბრძოდნენ ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ. ქურდობა, მანქანის გატაცება... თითქოს ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენა გახდა...

— რა ხდება, გურამ, რა ამბავია ჩვენს თავს? — შეშფოთებული მეკითხება ჩემი ნაცნობი ამაგდარი მეცნიერი, — ნუთუ უძლურნი ვართ, ვაჯობოთ ამ გარეწრებს, ნუთუ არ შეგვწევს ძალა, გზა გადავუღობოთ ყოველგვარ დანაშაულს?

— რა ქენით, ააშენეთ კომუნიზმი ხომ? — ცინიკურად მეკითხება მეორე ნაცნობი, უპატიოსნო გზით შემოსავლის წყაროს დაშთობით გაბოროტებული.

ყველაზე საშინლად მაინც გულგრილი ადამიანი და მისი სკეპტიკური ღიმილი ან ქილიკი გიგლიჯავს ნერვებს.

— სულ ესა ხართ? მოსპეთ უსამართლობა, მექრთამეობა? არ ირღვევა წესები უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს? ძალიან პატიოსანნი არიან ჩვენი მილიციელები და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლები? არ იპარავენ მშენებლობებზე? აღარ ხდება წამატებები? დაამყარეთ სახელმწიფოებრივი წესრიგი ყველგან და ყველაფერში? — გამომწვევად მეკითხებოდა სუფრაზე ერთი ჩემი მეგობარი მწერლის კარის მეზობელი, რომელსაც სამჯერ გაუტეხეს ბინა და არცერთხელ მილიცია არ გამოუძახია, ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს, ან რა მქონდა წასაღებიო, — ამბობდა თურმე, თუმცა მეზობლები სულ სხვა აზრისანი იყვნენ ამ „საკითხზე".

მისი გამოწვევა ეფექტური იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით.

მართალია, მისაღებ გამოცდებზე ახლაც ირღვევა წესები რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში;

ახლაც არიან მექრთამეები და ზოგნი ბოროტად იყენებენ თანამდებობას;

ახლაც ხდება წამატებები და ათასგვარი დანაშაულობანი.

ახლაც ხდება სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავება;

ახლაც ბევრი ექიმია, ექიმის ფიცს რომ ღალატობს...

მაშ რა შეიცვალა?

ნუთუ არაფერი?

ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, იმდენად ბევრი, რომ პირადად მე სიამაყით გავცქერი განვლილ ათ წელიწადს.

ან ბრმა უნდა იყო, ან ძალიან გულბოროტი, რომ ვერ დაინახო ის დიდი წარმატებანი, რაც განვლილ ათ წელიწადში მოიპოვა საქართველომ.

არ იფიქრონ ჩემმა ოპონენტებმა, მარტო იმ ცხრა საკავშირო გარდამავალ დროშას ვგულისხმობდე, რესპუბლიკამ რომ მოიპოვა.

კერძოდ, რა? — იკითხავენ ალბათ ზოგიერთნი.

მიღწევებზე და წარმატებებზე, სისხლითა და თავდადებული შრომით მოპოვებულ გამარჯვებებზე ბოლოს ვილაპარაკებ.

მინდა ჩემი ექსკურსი ცოტა შორიდან დავიწყო.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1951 წელს შევედი. მაშინ არავინ ლაპარაკობდა ქრთამზე და პროტექციაზე, მეოთხე თუ მეხუთე კურსზე რომ ვიყავით, პირველად მაშინ გავიგეთ უჩვეულო ამბავი: სტუდენტებმა ლექტორი რესტორანში წაიყვანეს და მერე ჩათვლები იოლად დაარიგაო.

მეხუთე კურსზე ხმა გავარდა, ამა და ამ ლექტორმა ფული აიღოო.

მერე?

გინახავთ თოვლიან მთის ფერდზე პატარა გუნდა რომ დაგორდება? თან ისიც გინახავთ, რა სწრაფად იზრდება გუნდა და როგორი სიჩქარით მიექანება უფსკრულისაკენ?

აგორდა, მაგრამ ერთი გუნდა კი არ აგორდა. ჩვენი დანაოჭებული ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის უამრავ ფერდობზე უამრავი გუნდა დაგორდა ერთდროულად. რეაქცია, ბუნებრივია, ჯაჭვური იყო, რადგან ყველა მოვლენას ერთი სათავე ჰქონდა...

დღისით, მზისით, თანმიმდევრულად და საფუძვლიანად დაკანონდა უკანონობა. მაკ არა მარტო მფარველი მამები გამოუჩნდნენ მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტში, თავისი იდეოლოგებიც კი გაიჩინეს.

— ვაშენებთ, ხომ არ ვანგრევთ, იცხოვროს ქართველმა კაცმა შეძლებულად! — აი, რას ქადაგებდნენ ისინი.

რაც ერჩი, ფსიქოლოგიურად კარგად ჟღერს ფრაზა — „ვაშენებთ, ხომ არ ვანგრევთ!“

ვითომ ვინმე იყოს წინააღმდეგი შენებისა, ვითომ ჩვენი სისტემის, ჩვენი იდეოლოგიის მთავარი ამოსავალი წერტილი ხალხის კეთილდღეობა არ იყოს!

საკითხი სხვანაირად დგება.

რით აშენებ?

ვის ხარჯზე აშენებ?

სუფთა სინდისით და პატიოსანი შრომით აშენებ, თუ ჩაყანგული სულით და გაბინძურებული გულით მოხვეჭილი დოვლათია შენი სახლის ფუძე-საძირკველი?

ტრაგედია ის იყო, რომ ბევრმა პატიოსანმა კაცმაც ვერ გაუძლო ცთუნებას.

აქაოდა, სახლი იწვოდეს, ხელი მაინც მოითბეთო, ბევრმა ხარბად გადაყლაპა ანკესზე წამოგებული სატყუარა.

დღეს, ალბათ, ბევრი ადამიანი ნანობს, მაშინ რომ ბრმად მიჰყვა ბინძურ დინებას და ადამიანურ ღირსებას უპატიოსნო გზით მოპოვებული „ეკონომიკური კეთილდღეობა“ ამჯობინა, სიამაყის, პატიოსნების, ვაჟკაცობის, შრომისმოყვარეობის ცნებები ფულს ანაცვალა.

„განწაცდელში ჩავარდნილი. ვაჟკაცი გინახავს? მაშ რა გინახავს უფრო ლამაზი ამ ქვეყანაზე?“ — ტყუილად არ გამხსენებია ცნობილი ქართველი მწერლის ეს სიტყვები.

დიახ, სილამაზეს აქვს თავისი კატეგორიები, მშრომელი კაცის სილამაზე კი უმაღლესი რანგის, უმაღლესი კატეგორიის სილამაზედ მიმაჩნია. ვისაც ჩემს სიტყვებში ეჭვი ეპარება, ვურჩევ ნახოს მარტენის ღუმელთან ვეფხვივით შებმული მეფოლადე ან ქვესკნელში აღდეებს შეჭიდებული მეგვირაბე, ზვარში ჩამდგარი მევენახე ან მზეზე გარუჯული მექსკავატორე, რომელთა მოქმედებაში გაერთიანებულია ადამიანის ნიჭი და უნარი, ძალა და ენერგია, უძლეველობა და უსაზღვრო შესაძლებლობანი.

ვეჭვობ, ვინმემ მსგავსი სილამაზე დაინახოს დახლში ჩამდგარი ვაჟკაცის საქმიანობაში, თვალებში რომ სიამაყის სხივი ჩაჰქრობია, ხოლო ბაგეზე გადაკრული ცბიერი ღიმილი წყლულივით დასჩნევია უმოქმედობით მოდუნებულ ჯანმრთელ სხეულზე.

ვეჭვობ, რაიმე რომანტიკული დაინახოთ იმ ბრგე და ახოვანი კაცის საქმიანობაში, ყურძენს რომ მამასისხლად ყიდის და თან მტევანს ერთ კიმპალს აკლებს, რომ ზედმეტი არ გადააყოლოს ავადმყოფი ბავშვის დედას.

ერთ ლინოტიპისტს ვიცნობდი, ჟურნალ „ცისკრის“ აწყობაზე მუშაობდა, ჩემი ამდენი წლის პრაქტიკის მანძილზე ისეთი ლინოტიპისტი არ შემხვედრია. ერთი საავტორო თაბახის აწყობისას, სულ ბევრი, სამ შეცდომას თუ დაუშვებდა. გამომუშავებაც კარგი ჰქონდა და დაფასებითაც ყველა აფასებდა. აფასებდნენ მწიგნობრები, მეცნიერები, ჩვენი. რესპუბლიკის ამაგდარი ადამიანები. მაგრამ მან ეს არ იკმარა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვერ გაიგო ამ სიყვარულის ფასი, ცთუნებას აჰყვა. საამქრო მიატოვა და ბენზინის გამყიდველად დაიწყო მუშაობა. პატივისცემასა და ალალ ლუკმას მეტი შემოსავლის ეშხით თალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითობა არჩია, კაცობა მოპარულ ფულზე გადაახურდავა.

აშენებენ, ხომ არ ანგრევენო!

რით აშენებენ?

იმ საწამლავში აღებული ფულით, წვენების მარკით რომ გამოდიოდა და ათეული ადამიანების სიცოცხლე შეიწირა? ისიც ვიანგარიშოთ, რამდენ ასეულ ათასობით ადამიანის ორგანიზმს მიაყენეს ვნება, დაუსნეულეს კუჭი, ღვიძლი, თირკმლები...

ერთი წუთით ისიც წარმოვიდგინოთ, ავადმყოფ ბავშვს დედა ჰქით როგორ ასმევს ხილის წვენებად მონათლულ შხამ-ქიმიკატებს.

სამშობიაროში ლამაზმა ჭაბუკმა მეუღლე მოიყვანა. ექიმები მიხვდნენ, ახალგაზრდებს „პატრონი" არ ჰყავდათ. შუაღამისას ჭაბუკს „მიულოცეს", თქვენს მეუღლეს ძალზე ძნელი მშობიარობა ჰქონდა, თვითონ გადავარჩინეთ, მაგრამ ბავშვი დაიღუპაო. მერე რა, ახალგაზრდები ხართ, ბავშვის მეტს რას მოესწრებითო.

სინამდვილეში ექიმებმა ბავშვი გადამალეს და გაყიდეს. სინდისგარეცხილები მეუღლის „გადარჩენით" გახარებულ ჭაბუკს რესტორანშიც კი წაყვნენ და გემრიელადაც იქეიფეს. მისი მეუღლის „გადარჩენისათვის" მადლობებიც ისე შეიფერეს, შუბლზე ძარღვი არ ასტოკებიათ.

სულის კოროზია კი საშინელი სისწრაფით და სიმძლავრით გრძელდებოდა.

ქუთაისში ქალაქკომის მუშაკებს შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში ერთი ქალბატონის წერილი, რომელიც თბილისში სავაჭროდ წასული ქმრისადმი იყო გაგზავნილი. დიასახლისი მეუღლეს სწერდა: „რა ვქნათ, ცუდ დროს მოუვიდა ბავშვი. მაგრამ ახლა მაქ კარგი ვაჭრობაა. ბაზარს ნუ მიატოვებ. დამშვიდებული იყავი, მამაშენს [illegible] სამებრ დავმარხავთ..."

ეს სამარცხვინო, სულისშემძვრელი წერილი 1974 წლითაა დათარიღებული.

ხოლო დიალოგი, რომელიც მწერალმა რევაზ ინანიშვილმა მოისმინა კახეთისაკენ მიმავალ ავტობუსში, ზუსტად ხუთი წლის წინ შედგა.

ალბათ გახსოვთ, ერთ ზაფხულს უჩვეულო გვალვამ მოიცვა საქართველო. შეწუხდა ყველა, დიდი და პატარა. მთელი თბილისი დაიძრა კახეთის ზვრებისაკენ. მანქანები, ცისტერნები ხალხის სამსახურში ჩადგა, რომ პაპანაქება სიცხე დაემარცხებინა და გვალვისაგან დამსკდარი მიწა წყლით დაელბო.

ორმოციოდე წლის ჯანღონით სავსე კაცი, რომელიც ცისტერნიან მანქანაზე მძღოლად მუშაობდა, მეგობარს თურმე თვალებგაბრწყინებული ეუბნებოდა: თუ ღმერთმა ქნა და გვალვა ორ კვირას კიდევ გაგრძელდა, „ჟიგულის" ფულს შევაქუჩებო.

ძნელი მისახვედრი არაა, ფულს რაში იღებდა. ხედავთ, სადამდე მიდის ადამიანის ეგოიზმი! ოღონდ თვითონ „ჟიგულის" ფული მოაგროვოს და მთელი რესპუბლიკის მოსავალი თუნდაც ცეცხლსაც დაუწვია.

ვიცით, საიდან აგორებული ქვაა.

ვიცით, რა მემკვიდრეობის ინერციაა.

ადვილია, ჩამორჩენილი საწარმო აქციო მოწინავედ, ადვილია გაზარდო ეკონომიკური მაჩვენებლები, მაგრამ ძნელია, გაცილებით ძნელი, ადამიანთა სულებს მოაშორო ყვითელი ჟანგი.

უსამართლობისა და მომხვეჭელობის მძლავრმა მორევმა ბევრი ჩაითრია. ბროლმა და ოქრომ ოჯახებიდან გან-

დევნა ფიროსმანის შვლის ნაღვლიანი თვალები.

გამახსენდა:

რა გაკეთდა საქართველოში იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს აშენებულიყო ფიროსმანის მუზეუმი? — ვწერდი ჯერ კიდევ ამ თერთმეტი წლის უკან. — უკვე ალარაფერს ვამბობ დავით კაკაბაძის თუ სხვათა და სხვათა მუზეუმებზე, ალარაფერს ვამბობთ, რა სივიწროვეში, რა საშინელ პირობებში უხდებოდა მუშაობა ჩვენს რედაქციებს, რომლებიც ხულიერ საზრდოს აწვდიან ჩვენს ხალხს.

სამაგიეროდ, არნახული სისწრაფით შენდებოდა რესტორნები, რესტორნები ქალაქში, რესტორნები რაიონებში, სოფლებში, ავტოსტრადებზე... შენდებოდა მშვენიერი პროექტებით, სანიმუშო გულმოდგინებით. აბა, ვნახოთ, რესტორან „არაგვის" მშენებლობის ხარისხი და შევადაროთ იგი უნივერსიტეტის ახალ კორპუსს...

საქმოსნებმა მცხეთაში, ჯვარის მონასტრის გვერდითაც კი გადაწყვიტეს რესტორნის აშენება. მწერალთა და მეცნიერთა საპროტესტო წერილების შემდეგ ძლივს შეაჩერეს მომხვეჭელთა სამარცხვინო წამოწყება.

ისტორიული თბილისის იმ ნაწილის დანგრევაც კი მოინდომეს, სადაც დღეს აღდგენილი და გამშვენიერებული ბარათაშვილის ქუჩაა. მწერლების, მეცნიერების, მხატვრების, არქიტექტორების საპროტესტო წერილები რომ არა, ადვილი წარმოსადგენია, რა სამარცხვინო და სავალალო დღეში ჩავვარდებოდით.

ჩამოშლა და ჩამონგრევა ელოდა გელათის მოზაიკურ ფრესკას. მონასტრის გალმა ქვის კარიერი აღმოაჩინეს. აფეთქების მძლავრი ტალღა დიდებულ ტაძრის მკერდზე ცნარცხებოდა. საკუთარი ისტორია აფეთქებისაგან უნდა გადაგვერჩინა. კვლავ საპროტესტო სტატიები მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა... შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიამაც გამოაქვეყნა [illegible]-თებული წერილი...

აფეთქების ხმა მაინც აზანზარებდა გელათის ფრესკებს.

ბოლოს კარიერი მიატოვეს. გვეგონა, ჩვენმა პროტესტმა გასჭრა, გვეგონა, საზოგადოებრივ აზრს კიდევ ჰქონდა რაიმე ფასი.

თქვენც არ მომიკვდეთ!

თურმე ქვამ არ გაამართლა, სამშენებლო მასალად არ გამოდგა!

ისევ ბუნებამ გვიხსნა ჩამოურეცხავი სირცხვილისაგან, შთამომავლობის რისხვისაგან.

პატარა გუნდა უზარმაზარ ზვავად გადაიქცა, ყველაფერს რომ წალეკვას უქადდა, ფულის და ოქროს ელვარებამ, სამწუხაროდ, ბევრი პატიოსანი, მაგრამ სუსტი ადამიანიც დააბრმავა. თვალსა და ხელს შუა ნივთები კარგავდა დეკორატიულ დანიშნულებას და მხოლოდ განძის ფუნქციას იძენდა, განძი კი თანდათანობით ძალაუფლებაში გადადიოდა.

საქართველოს ცაზე გრძელი და მოქუფრული ღამე მაშინ ჩამოწვა, როცა გალაკტიონ ტაბიძის სხეულმა სივრცე გაჰკვეთა და იკაროსივით მშობლიურ მიწას დაენარცხა.

— ეჰეეეი! — ეს იყო გალაკტიონის უკანასკნელი ამოძახილი. პოეტის სხეულზე უფრო ამ მძლავრმა საგანგაშო ამოძახილმა გააპო სივრცე, დღესაც რომ გუგუნებს ჩვენს შეგრძნებაში.

დიდი პოეტის ამოძახილის ექო ისევე გადასწვდება საუკუნეებს, როგორც მისი დიდი პოეზია.

ამ წიგნის დაწერის უფლება ნამდვილად არ მექნებოდა, თავიდანვე გამოკვეთილი რომ არ ყოფილიყო ჩემი პოზიცია იმ სამარცხვინო მოვლენებისადმი, საქართველო რომ მორალურ გაჩანაგებამდე მიიყვანა. არც პასიური ყოფილა ჩემი პოზიცია. ვიბრძოდი, სადაც შემეძლო. უკან არასდროს დამიხევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი ბევრი შევიძინე. თანაც ძლიერი და გავლენიანი მტერი. არ შევშინებულვარ, უკან არ დამიხევია. მარტო ცალკეული განაწყენებული პირები როდი მიტევდნენ. მათ მხარეს იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი შემადგენლობა. ბევრმა მათგანმა დღეს უკვე განვლო „აკლიმატიზაციის“ პერიოდი და ახლა ისინი სხვებზე ხმამაღლა გაჰყვირიან, წარსულის წლებს აუგად იხსენებენ ტრიბუნიდან, პრესის ფურცლებიდან თუ ტელევიზორის ეკრანიდან.

თითქოს ისინი არ იყვნენ, ერთმანეთს რომ ეჯიბრებოდნენ პირმოთნეობაში და ხელისგულები რომ ჰქონდათ დასიებული მქუხარე აპლოდისმენტებისაგან, ხოლო ხმები ჩახლეჩილი აღტაცებული შეძახილებისა და ამოკვნესისაგან.

თითქოს ისინი არ იყვნენ, რომ კრძალავდნენ გაბედულ, ღრმად ეროვნულ და სალ მხატვრულ ნაწარმოებებს, სპექტაკლებს, კინოფილმებს...

თითქოს ისინი არ იყვნენ, გზას რომ უხსნიდნენ პირმოთნეობას, პანეგირიკს, უნიჭობას...

აქაო და ჩვენი დრო დადგაო, განსაკუთრებულ აქტივობას სწორედ უნიჭოები იჩენდნენ, იდეურობას ამოფარებული და კალენდარს ჩასაფრებული მედროვე პოეტები და მწერლები, კინორეჟისორები და რეჟისორები ყოველად მდარე, ყოველგვარ მხატვრულ ღირსებებს მოკლებულ ნაწარმოებებს რომ ქმნიდნენ.

1969 წელს საკავშირო ლიტერატურულმა ჟურნალმა „დრუჟბა ნაროდოვმა“ „მრგვალ მაგიდაზე“ მიმიწვია მოსკოვში. სადისკუსიო თემა გახლდათ „მუშათა კლასის თემაზე მომუშავე მწერლები“. კამათში გამომსვლელთათვის ხუთწუთიანი რეგლამენტი იყო დაწესებული. მინდა მკითხველს მთლიანად შევთავაზო ბეჭდ წერილში ჩატეული ჩემი მაშინდელი გამოსვლა:

„[illegible] გამოყენებოდა, რომელსაც შეეხება ჩვენი თათბირის თემა: „მუშათა კლასის თემაზე მომუშავე მწერლები“. მე ვფიქრობ, თუ შეიძლებოდა მწერალთა ასეთი კლასიფიკაცია. ჩემთვის არავის უკითხავს აზრი ამის თაობაზე და ამიტომ ჩემი მოსაზრებანიც ვერავის აღუძრავს ინტერესს.

ჩემის აზრით, როდესაც ვწერთ მუშათა კლასზე, უნდა ვიცოდეთ ორი უმთავრესი რამ: როგორ ვწეროთ და რაზე ვწეროთ.

სიტყვაში, „როგორ ვწეროთ“, რასაკვირველია, ვგულისხმობ პროფესიონალიზმსა და სიღრმეს. თავად მე, როდესაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ვმუშაობდი, მოწმე გავხდი იმისა, როგორ მოვიდა მარტენის საამქროში ერთი ქართველი მწერალი. მან ერთ საათში მოიარა უზარმაზარი საამქრო, ჩაიწერა ათიოდე ტექნიკური ტერმინი და მერმე იკითხა: რანაირი კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ცვლის უფროსსა და საამქროს უფროსს შორისო. ჩაიწერა ბლოკნოტში ყოველივე გაგონილი და „შემოქმედებითი ღიმილით“ დატოვა ქარხანა.

ცხადია, ჩვენ აქ იმიტომ კი არ შევიკრიბეთ, რომ ვილაპარაკოთ ასეთ მწერლებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, საკმარისად არიან. ხოლო ჩვენ გვაინტერესებს ნიჭიერთა პროფესიონალიზმი და არა უნიჭოებისა. მაგრამ მნიშვნელოვანწილად უფრო რთულია მეორე საკითხი — „რაზე ვწეროთ“?

აქ, რასაკვირველია, იგულისხმება პრობლემა. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან რომ მუშათა კლასის თემაზე მომუშავე მწერლებს მარტო ადგილობრივი, საქარხნო მნიშვნელობის პრობლემები აინტერესებდეთ.

დღეს ჩვენს მუშათა კლასს უფრო მნიშვნელოვანი, სერიოზული პრობლემები და ფართო წრის საკითხები აღელვებს.

არა მგონია, ეს პრობლემები, რომელზეც დღეს მექნება საუბარი, წმინდა ქართულ პრობლემებს წარმოადგენდეს, რადგან ანალოგიური მაგალითები ხშირად გვხვდება საკავშირო პრესის ფურცლებზეც.

საქართველოს მეტალურგიული გიგანტი, სადაც მუშები მაქსიმალურ ხელფასს ღებულობენ, კადრების კრიზისს განიცდის. იყო დრო როდესაც იქ ინჟინრები მუშებად მუშაობდნენ. დღეს არცთუ იშვიათად, კარგი სპეციალისტიც ამჯობინებს მოეწყოს სადმე ოფიციანტად, ანდა რომელიმე მსგავს თანამდებობაზე, სადაც ხელფასი ხუთჯერ ნაკლებია, სამაგიეროდ კი კარგი „გამორჩენა“ აქვთ.

საქართველოს მუშათა კლასს აშფოთებს ერთი უაღრესად დამახასიათებელი ფაქტი. დღევანდელ დღეს თბილისში 850 ფერადი ტელევიზორი გაიყიდა (მაშინ ფერადი ტელევიზორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1400 მანეთი ღირდა). არც ერთ მუშას, არც ერთ პროფესორს თუ აკადემიკოსს, არც ერთ მწერალსა და კულტურის სხვა დარგის არც ერთ მუშაკს არ გააჩნია ფერადი ტელევიზორის შესაძენი სახსარი. ისმება კითხვა: ჩვენი მრეწველობა კომბინატორებისათვის უშვებს ფერად ტელევიზორებს?

საქართველოს მუშათა კლასი შეშფოთებულია იმის გამო, რომ მათი შვილები ვერასოდეს ეღირსებიან სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრას. საინტერესო იქნებოდა გამოგვერკვია, რა თანამდებობის ხალხია მედინსტიტუტის სტუდენტების მშობლები, რათა თვალნათლივ დავინახოთ, როგორი „ობიექტურობით" ეწყობა იქ გამოცდები. მრავალი წლის მანძილზე იქ კონკურსი მხოლოდ ფრიადოსნებს შორის მიმდინარეობს. გასულ წელს, მას შემდეგ, რაც აღშფოთებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი დაინიშნა. და გამოირკვა, რომ ვერც ერთმა აბიტურიენტმა ვერ ჩააბარა საგანი თუნდაც „ოთხზე". რატომ არ მოსთხოვენ პასუხს იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე ვაჭრობდნენ ახალგაზრდობის ბედ-იღბლით?

საქართველოს მუშათა კლასი შეშფოთებულია იმის გამო, რომ რესპუბლიკაში სულ უფრო მატულობს ხულიგნობა და მკვლელობა. ორი წლის წინათ რესპუბლიკის პირველმა გაზეთმა „კომუნისტმა" დაბეჭდა რესპუბლიკის პროკურორის სტატია ერთი მკვლელობის შესახებ. მკვლელს მხეცური მკვლელობისათვის დახვრეტა მიესაჯა. ოთხი თვის შემდეგ მოსკოვმა სავსებით გაათავისუფლა მკვლელი. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რანაირი ხმები დადიოდა ხალხში ამ საეჭვო რეაბილიტაციის გამო. პირადად მე, იმ პროკურორის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, დაუყოვნებლივ დავწერდი განცხადებას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

საქართველოს მუშათა კლასი შეშფოთებულია იმით, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და მეცნიერებათა აკადემიის ბევრ ინსტიტუტში ძმობილობითა და ნათესაობით არიან მოკალათებულნი კათედრებზე. ბავშვი ნიუტონად უნდა დაიბადოს, რომ ვისიმე დაუხმარებლად მიაღწიოს რაიმეს.

ამჟამად თბილისში მიმდინარეობს კავშირგაბმულობის 26 მუშაკის სასამართლო პროცესი, რომლებიც ტელევიზორებით ვაჭრობდნენ. ახლა იქამდე გათავხედდნენ, რომ ახლად აშენებულ კორპუსებში გამოაკრეს განცხადებები: „ტელევიზორის მსურველებმა ორას-ორასი მანეთი უნდა შეაგროვონო". ეს განცხადება საქართველოს ტელევიზიამაც გადასცა.

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა [illegible] მიზეზი, რაც პატიოსანი მშრომელი ადამიანების — ჩვენი მუშათა კლასის გულისწყრომას იწვევს, მაგრამ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

მუშათა კლასი ელის, როდის აიმაღლებენ ხმას ჩვენი მწერლები უოველივე ამის წინააღმდეგ. აი, ეს იქნება საუკეთესო ნაწარმოებები, დაწერილი მუშათა კლასის თემაზე.

მაგონდება, ერთხელ სტაინბეკი ეწვია საქართველოს მწერალთა კავშირს. მან შემოგვთავაზა: მოდით, ცოტ-ცოტა ყველაფერზე ვილაპარაკოთო.

ამაზე ირაკლი აბაშიძემ უპასუხა: — სჯობს ლიტერატურაზე ვილაპარაკოთო.

სტაინბეკმა გაიცინა და თქვა: აქამდე ჭეშმარიტად მწამდა, ლიტერატურაზე საუბარი იგივეა, ილაპარაკო ყოველგვარ საგანზეო.

— მე ფრიად მოხარული ვარ, რომ ამერიკელი მწერალი ასე პროგრესულად მსჯელობს! — მახვილგონივრულად მოიგერია ირაკლი აბაშიძემ ამერიკელი მწერლის შეტევა.

დისკუსიის მონაწილეთა სიტყვები უცვლელად და უკლებლივ გამოაქვეყნა „დრუჟბა ნაროდოვმა", არ დაუბეჭდიათ მარტო ჩემი გამოსვლა. უბრალოდ, „მრგვალი მაგიდის" შემაჯამებელი ანგარიშის ბოლოში მოიხსენიეს, სიტყვით გამოვიდაო აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი მწერალი გურამ ფანჯიკიძე.

ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა სერგეი ბარუზდინმა მითხრა, იცოცხლე, გურამ, შენი სიტყვა მომეწონა, მაგრამ მაინც ვერ დავბეჭდავ. უხერხული სიტუაცია იქმნება, როცა რესპუბლიკას საკავშირო ჟურნალის ფურცლებზე აკრიტიკებენო.

1970 წლის მიწურულში კი რომანი გამოვაქვეყნე „თვალი პატიოსანი".

ჯერ კიდევ ჟურნალის სასიგნალო ეგზემპლარებს მოჰყვა საშინელი აჟიოტაჟი.

მოინდომეს ჟურნალის დაჭრა, მაგრამ...

რომანის ამონაბეჭდები მთელ ქალაქს მოეცა. ზევრმა ფოტოპირებიც გადაიღო და გაამრავლა. მითქმა-მოთქმამ მთელი საზოგადოება მოიცვა.

უშუალოდ ვეღარავინ გაბედა გაეცა ბრძანება ჟურნალის დაჭრის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობისა და „სოიუზპეჩატის“ მუშაკებმა ამ არეულობით ისარგებლეს და ჟურნალი მკითხველებს მიაწოდეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმალვე მოაწყო რომანის განხილვა. უფრო სწორად, უნდოდათ განეხილათ რომანი და მოსაწვევიც გამოეგზავნეს. მოსაწვევი კი გამომიგზავნეს, მაგრამ ვინ გამიშვა! გამომიძახეს მწერალთა კავშირში და მითხრეს, უნივერსიტეტში დარეკე, რომ ავად ხარო და რომანის განხილვის გადადება მოითხოვეო.

უარი განვაცხადე.

იძულებული გახდნენ, თვითონ დაერეკათ. განხილვა ჩაიშალა. აუდიტორიაში თავშეყრილ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს თვალში ნაცარი შეაყარეს.

„თვალი პატიოსნის“ განხილვა აკრძალეს თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და დაწესებულებებში, ქუთაისში, ბათუმში...

რომანით განაწყენებული ხალხი მირეკავდა, მემუქრებოდა. სამშობლოს მოძულედ და მოღალატედ მაცხადებდა.

ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამაც არ დამინდო. გეგმაში შეტანილი რომანი გეგმიდან ამომიგდეს. ამასაც არ დასჯერდნენ. ცენტრალურ კომიტეტში მლანძღეს კიდეც. ჯერ „ნაკადულში“ მითხრეს უარი წიგნის გამოცემაზე, სადაც წინასწარ იყო შეტანილი საგამომცემლო გეგმაში. შემდეგ გამომცემლობა „მერნის“ მთავარმა რედაქტორმა „ისახელა“ თავი.

მან სარედაქციო დასკვნაში „თვალი პატიოსანი“ ანტისაბჭოთა ნაწარმოებად გამოაცხადა და ისეთი ბრალდებები წამომიყენა, მის მაგივრად მე მრცხვენოდა ამ სულმოკლეობის გახსენებაზე.

ტელევიზიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ 38 გვერდიანი საჩივარი გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას, რომელიც იმ დღეებში უნდა ჩატარებულიყო.

მოვიტან მხოლოდ სამ ამონაწერს ამ წარმოუდგენელი ცილისწამებიდან:

„...ალვირახსნილი საქმოსნობა, ზღვარს გადასული მომხვეჭელობა, პიროვნების დაუფასებლობა, დაუსჯელი მკვლელობა, დამნაშავეებთან შეკრული სასამართლო, უსამართლობა, მექრთამეობა, პროტექციონიზმი, უნიჭობა, სიყალბე, რუტინა, სიმხდალე, სულმოკლეობა, თვითმკვლელობა, მეშჩანობა, გარყვნილება, სკეპსისი, ცინიზმი... ცოტა ბევრი ხომ არ არის ერთი ნაწარმოებისათვის?“

ან:

„...ასე გამოიყურებიან რომანში დღევანდელი სოფლის მკვიდრნი. რით არ ჰგავს ეს არაქათგამოცლილი დედაშვილი XIX საუკუნის საქართველოს სოციალური ჩაგვრით წელში გაწყვეტილ სოფლის პატარა ადამიანებს?“

ან:

„...ჩვენი თანამედროვე მუშა იგივე ავისმომასწავებელი ფატალური არსებაა, რომლის გამოჩენისას ჩერდება დრო. აქ კი ავტორის ცილისწამება ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადასცილდა...“

ასე გრძელდებოდა მთელ 38 გვერდზე.

ტელევიზიის მაშინდელი ხელმძღვანელობის საჩივარმა ნავთი გადაასხა ისედაც მძლავრად მობრიალე კოცონს. არც საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე დამინდეს. სასტიკად გამაკრიტიკეს, თან მწერალთა კავშირის სამდივნოს დაავალეს, ჩემთვის მკაცრად აეწიათ ყური, ჭკუა ესწავლებინათ.

არაფერი გამოუვიდათ, არც გამოუვიდოდათ. ახლაც შენახული მაქვს ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ათასამდე წერილი გასამხნევებლად და მხარის დასაჭერად რომ მომდიოდა საქართველოს ყოველი კუთხიდან.

დაწესებულებებიდან ისეთი წერილებიც მივიღე, თვითეულს 20-40 კაცი რომ აწერდა ხელს.

საკუთარ თავზე ლაპარაკით არ შეგაწუხებდით, სხვებსაც რომ არ გადახდენოდათ მსგავსი ამბები.

„იჩეხებოდა" კინოფილმები, სპექტაკლები, წიგნები.

გზას უკეტავდნენ ჭეშმარიტ ხელოვანთ და ჭეშმარიტ ნაწარმოებებს.

არად მიაჩნდათ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აზრი და გულისწყრომა.

არ დამავიწყდება 1966 წელი. ინგლისში მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე წასასვლელ საგზურზე უარი უთხრეს პირველ ქართველ სპორტულ კომენტატორს, ჩვენს შესანიშნავ მსახიობს ეროსი მანჯგალაძეს. თავისი გულშემატკივრობით ცნობილ მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს, სახელგანთქმულ ფეხბურთელს ავთანდილ ღოღობერიძეს, რომელმაც თავისი სიცოცხლის 20 წელი თბილისის „დინამოს" მაისურით გაატარა...

მაშ ვინ გაუშვეს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე?

ზოგის შვილი, ზოგის სიძე, ზოგის... საყვარელი...

გვარებს არ ვასახელებ. ანგარიშს არავის ვუსწორებ. უბრალოდ, სურათს ვხატავ, რა დღეში იყო ქართველი ინტელიგენცია, ქართველი მუშა თუ კოლმეურნე, ნებისმიერი პატიოსანი კაცი.

უსამართლობას ბოლომდე არასდროს უზეიმია!

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში რესპუბლიკის პარტიული აქტივი შეიკრიბა.

დამევალა, რესპუბლიკის [illegible] შეკრებილთა წინაშე ქართველი მწერლების სახელით მეთქვა სიტყვა.

„ლიტერატურულმა საქართველომ" და „კომუნისტმა" მაშინვე მომცეს წინადადება ჩემი გამოსვლის ტექსტი მათი გაზეთის ფურცლებზე გამომექვეყნებინა.

თავი შევიკავე.

მინდოდა გასულიყო წლები და შემემოწმებინა, რამდენად სწორი იყო ჩემი პოზიცია.

და აი, ახლა, შვიდი წლის შემდეგ კვლავ რომ გადავიკითხე ჩემი სიტყვა: მიზანშეწონილად ჩავთვალე მისი მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა.

აი, რა ვთქვი მაშინ:

არ მეგულება მსოფლიოში არცერთი შეგნებული ადამიანი, რომლის ყურადღება ყრილობის დღეებში მიქცეული არ ყოფილიყო მოსკოვისაკენ. კრემლის ყრილობათა სასახლეში დადგმულმა სატელევიზიო კამერებმა იქ მომხდარი ისტორიული ამბები უჩვენეს მთელ მსოფლიოს. ყველაფერი ის, რაც კრემლის ყრილობათა სასახლეში ხდებოდა, მარტო საბჭოთა კომუნისტებს, მარტო საბჭოთა ადამიანებს როდი ეხებოდა. ყრილობის მიერ მოცემული ვითარების ანალიზი სცილდება საბჭოთა კავშირის ფარგლებს. წინ სწევს და ემსახურება იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც ეპოქის და კაცობრიობის საყოველთაო ინტერესებს მოიცავენ.

„მალე, წლინახევრის შემდეგ, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში, — აღინიშნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავი. 60 წელი — ეს ნაკლებია, ვიდრე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ განვლო გზა, რომელიც საუკუნეებს უდრის".

ბუნებრივი იყო საქართველოს მშრომელების მღელვარება, როცა სიტყვა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცეს. ის მქუხარე ტაში, რითაც მას შეხვდა ყრილობის დარბაზი, ხოლო შემდეგ ასევე მქუხარე ტაშით რომ მიაცილა იგი თავის ადგილამდე — იყო ჯილდო მთელი ჩვენი რესპუბლიკისა, მისი ყოველი მშრომელი ადამიანის, მეცნიერის, ხელოვნების მუშაკის, თუ ახალგაზრდობისა. იყო ჯილდო იმ დიდი გმირული შრომისა, რის შედეგადაც, ფაქტიურად, სამ წელიწადში შესრულდა ხუთწლიანი გეგმა, იყო ჯილდო იმ თავდაუზოგავი, შეგნებული და გამიზნული ბრძოლისა, რითაც ფართო ფრონტით შევუტიეთ ჩვენს რესპუბლიკაში გამეფებულ ნეგატიურ მოვლენებს.

ეს იყო ჯილდო ღრმად გაანალიზებული გამოსვლისა, რომელშიც ზუსტად აისახა ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი დღე და მისი ჭეშმარიტი ისტორიულად მართალი გზა, მისი მომავლის უტყუარი კომპრომისით განჭვრეტა.

ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე შესანიშნავად ბრძანა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, — ამ ყრილობის ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი იყო თვით ადამიანი, მისი პატიოსნებისა და რწმენის საკითხები.

ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა, რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ფრონტებზე, მაგრამ უმთავრესი მონაპოვარი მაინც ისაა, რომ ადამიანებს უბრუნდებათ დაკარგული რწმენა.

დიახ, გაცილებით იოლია მოიპოვო ეკონომიკური მაჩვენებლები, ვიდრე ადამიანებს დაუბრუნო დაკარგული რწმენა, ვიდრე მათ სულში მოაშუშო ის ჭრილობა, წლების მანძილზე რომ გააღრმავა ჩვენს ცხოვრებაში გამეფებულმა სიმახინჯეებმა.

ჩვენ რეალისტები ვართ და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი შემოგვცქერის იჭვის თვალით, ბევრი კი მტრულად გვიყურებს, ოსტატურად გვებრძვის, სთესავს [illegible]ლობას და გესლს ანთხევს ირგვლივ. ზოგიერთი ობივატელი კი განზე გამდგარი გვიყურებს და შეპარვენებელ... ეძებს, რომ დამცინავად იხითხითოს.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ იმ ადამიანებსაც დავუბრუნოთ რწმენა, ჯერ კიდევ რომ ყოყმანობენ, ვერ გადაუწყვეტიათ, რა გზას დაადგნენ, ხოლო იმ ადამიანებს სამუდამოდ უნდა დავუკარგოთ მადა, რომლებმაც მგლობა ვერ მოიშალეს და ისევ ჯიუტად იყურებიან ტყისკენ.

აქ ჩვენ სწორი, გამიზნული მოქმედება გვჭირდება, ყოველ სიტყვას, ყოველ ამოქმედებას ფიქრის და განჭვრეტის დაღი უნდა აჩნდეს, რადგან დაუფიქრებელი მოქმედება იგივეა, რაც დაუმიზნებლად სროლა.

„შენ, ათენელო, უდიადესო და სიბრძნითა თუ ძალმოსილებით ყველაზე განთქმული ქალაქის მოქალაქევ! ნუთუ არა გრცხვენია, რომ მხოლოდ ოქრო-ვერცხლზე გიჭირავს თვალი, მხოლოდ ფულის მოგებაზე გილევა სული? ნუთუ მხოლოდ სახელისა და პატივის მოხვეჭაა შენი საზრუნავი და არა სიბრძნე, ჭეშმარიტება, სული? ნუთუ არ გინდა, რომ შენი სული უფრო წმინდა იყოს, უფრო მშვენიერი, უფრო ზნესრული?"

24 საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები წარმოთქვა დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა სოკრატემ სიკვდილით დასჯის წინ.

როგორც ვხედავთ, მომხვეჭელობა და მტაცებლობა არც დღეს დაწყებულა და არც ხვალ დასრულდება. კაცობრიობის აღმავალი სვლა ზნეობრივი სიწმინდისაკენ ყოველთვის უსასტიკეს ბრძოლასთან იყო დაკავშირებული და მხოლოდ ჭეშმარიტი, სულიერად წმინდა და ძლიერი ადამიანების დამსახურებაა კაცობრიობის განუხრელი პროგრესი, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ღირსეული ადამიანის, ხშირად მთელი თაობების სისხლის ფასად ჯდებოდა იმ უსასრულო სიმაღლეებისაკენ მიმავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ახალი ნაბიჯი, რომელსაც ჰუმანიზმის, სულიერი სიწმინდის, კეთილშობილების დიდსულოვნების და რაინდობის გზა ჰქვია.

„საშინელებაა, როცა სიმართლეს მარტო უხდება ბრძოლა“, — ამბობს გოეთე. ეს სიტყვები შესანიშნავად განსაზღვრავს იმ ავბედით წლებს, როცა საქართველოში ცნებები „სიმართლე“ და „პატიოსნება“ ირონიულ ღიმილს იწვევდა. უჭირდა ყველას — კოლმეურნეს თუ მუშას, ხელოსანს თუ მეცნიერს, უჭირდა ახალგაზრდობას, უჭირდათ მწერლებს, ვინაიდან სიმართლეს ქომაგი არ ჰყავდა. და მართალი სიტყვა, სამშობლოს სიყვარულით და გულისტკივილით დაწერილი სტრიქონები ანაქრონიზმად გაისმოდა „შვეიცარიული საათივით აწყობილ“ რესპუბლიკაში, როგორც უყვარდათ თქმა მაშინდელ ხელმძღვანელებს.

ვინ იცის, რამდენჯერ გაგვხსენებია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი:

დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის
შესანდობარი,
ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი,
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი.
პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი,
იყო გრიგალი,
იყო შეტევა,
იყო მსოფლიოს სული უგეში,
მისთვის არ იყო რამ შეფერხება,
იგი უყვარდათ, როგორც ნუგეში.

სიმართლე მდინარესა ჰგავს, იგი შეიძლება შეაკავო, მაგრამ ვერ შეაჩერებ. ვერავითარი ჯებირი ვერ გაუძლებს ჭეშმარიტების ცხოველმყოფელ ძალას. ასე მოხდა ჩვენშიც და მთელი ქართველი მწერლობა, როგორც ერთი კაცი, ისე დადგა საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობის გვერდით. შეიძლება ყველაფერი ის, რაც ამ პერიოდში შექმნა ქართულმა მწერლობამ, არ იდგეს იმ დონეზე, რომელიც ჭეშმარიტი ლიტერატურული ბარომეტრით განისაზღვრება, მაგრამ ეს იყო საოცარი ერთსულოვნების, მხარში ამოდგომის, თანაგრძნობის და სიყვარულის გამოხატულება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პატიოსანი ადამიანების სახელით გადაიტანეს ქაღალდზე.

არ შეიძლება მთელს საბჭოთა მწერლებს და მასთან ერთად მთელ ქართულ მწერლობას ძალას არ მატებდეს, ახალი ენერგიით არ ავსებდეს ის დიდი შეფასება, რაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მისცა საბჭოთა მწერლებს. მე არ მახსოვს უფრო თბილად, უფრო სათუთად ელაპარაკოთ მწერლებზე, ხელოვნების მუშაკებზე, ვიდრე ეს იყო ჩვენი კომპარტიის გენერალური მდივნის მოხსენებაში.

„ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — ჩვენ კარგად ვიცით, რომ მხატვრული სიტყვა, ფერების ელვარება, ქვის გამომსახველობა, ბგერების ჰარმონია შთააგონებენ თანამედროვეებს და შთამომავლობას გადასცემენ სულისა და გულის ხსოვნას ჩვენი თაობის, ჩვენი დროის, მისი ავ-კარგისა და მიღწევების შესახებ“.

ეს სიტყვები ყოველ საბჭოთა მწერალს, მხატვარს თუ მუსიკოსს კიდევ ერთხელ შეახსენებს იმ დიდ მოვალეობას, რაც მათ აკისრიათ ჩვენი საზოგადოების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საქმეში.

მაგრამ ქართველ მწერლებს კარგად უნდა გვახსოვდეს, ის რაც გუშინ საყოველთაო მხარდაჭერას და ენთუზიაზმს გამოხატავდა, დღეს საკმარისი აღარ არის. ახლა მთავარია შევქმნათ ისეთი ნაწარმოებები, რომლებითაც ღირსეულად გავუსწორებთ თვალს დღევანდელ დღეს, მის გმირულ სულსა და შემართებას.

ტექნიკური სიდიადე, რაც არ უნდა საოცარი იყოს დღეს, ხვალ მაინც მოძველდება. ჩვენ ენგურჰესის მშენებლობაში მარტო მისი უნიკალური კაშხალის გრანდიოზულობა კი არ უნდა დავინახოთ, დღევანდელი დღის პულ-

51
ეროვნული ბიბლიოთეკა

საცია და სუნთქვა უნდა ვიგრძნოთ. ჩვენმა მწერლებმა მომავალ თაობებს უნდა დაუტოვონ არა მარტო დღევანდელ მიღწევათა დოკუმენტური სიმართლე, არამედ დღევანდელი დღეების, ჩვენი ეპოქის გმირული პანორამა.

ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში ორიენტაცია მხოლოდ ნიჭიერ ხალხზე უნდა ავიღოთ, ვინაიდან მხოლოდ ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებები აღწევენ თავის მიზანს, მხოლოდ რჩეულებს შესწევთ უნარი, ჩაიხედონ ადამიანის სულში, მხოლოდ რჩეულებს შესწევთ უნარი, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის შუქით გაანათონ ადამიანების გონება.

უკვე დადგა დრო გადავეღობოთ ისეთ „ლიტერატურას", რომლის წაკითხვის დროს, ჩემი მეგობარი მწერლის გამოთქმა რომ ვიხმარო, აკვალანგი უნდა გაიკეთო, რადგან მათი მხატვრული დონე „ზღვის დონეზე დაბალია".

ჩვენი განსაკუთრებული საზრუნავია ახალგაზრდობა, რომელთა სულში ოცი წლის მანძილზე კლდილობდნენ თანდათანობით და საფუძვლიანად ჩაექლათ მოცარტი. მათ ძალზე სათუთი და დაკვირვებული მიდგომა სჭირდებათ, მათ უნდა სჯეროდეთ ჩვენი. ახალგაზრდობას მაგალითი სჭირდება. ვინდაგოგი იქნება ეს, მწერალი თუ ხელმძღვანელი ამხანაგი, მან თავისი ნიჭით, განათლებით, დახვეწილი კულტურით, ინტელექტით და ჰუმანიზმით თუ მოხიბლა ახალგაზრდა, იგი აუცილებლად მიბაძავს მას.

ხოლო კაპიკი აქვს ფასი იმ ადამიანის სენტენციებს, ვისი ვიწრო შუბლიდან უვიცობა და დაბალი ინტელექტი გამოსჭვივის, ხოლო ვერც სუფთა წარსული უმშვენებს ბიოგრაფიას. არ უნდა დაგვავიწყდეს ძალზე ცნობილი, მაგრამ [illegible] ფრაზა — ახალგაზრდობა ჩვენი ხვალინდელი დღეა.

[illegible]

ერთხელ, შუალამისას, ზღვაზე [illegible]-ლი ღელვა ატყდა, არადა აუცილებელი იყო ზღვაში შესვლა. ჯარი შეშინდა და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. მაშინ პომპეუსმა წარმოსთქვა თავისი ცნობილი სიტყვები: „ზღვაში შესვლა აუცილებელია, სიცოცხლე არ არის აუცილებელი". და ჯარი შევიდა ზღვაში, შევიდა არა იმიტომ, რომ მარტო ამ სიტყვების სილამაზემ მოხიბლა, არამედ იმიტომ, რომ პირველი თვითონ პომპეუსი გადაეშვა ბობოქარ ტალღებში.

აი, რას ნიშნავს მაგალითის ძალა. და ეს მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს ახალგაზრდობას.

ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელსაც რომში შევესწარი. წმინდა პეტრეს ტაძრის მოედანზე ხალხი საკვირაო წირვის დაწყებას ელოდებოდა. აი, გაისმა პაპის ხმა და დაიწყო ერთი მთლიანი დიდებული, გრანდიოზული სპექტაკლი. რომ წარმოვიდგინოთ ამ შთამბეჭდავი სპექტაკლის ზემოქმედების ძალა, გავიხსენოთ, რამდენი გენიალური შემოქმედის ხელოვნებაა მასში გაერთიანებული. სპექტაკლის სცენარის წყაროს წარმოადგენს ბიბლია, მშვენიერი ლიტერატურული ძეგლი. დეკორაციები ეკუთვნის მიქელანჯელოსა და ბერნინის, მუსიკა ბახს, ხოლო მღერიან იტალიური საოპერო ხელოვნების უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები. ადამიანებს ისეთი განწყობილება ეუფლება, რომ თვით ყველაზე უდრეკ ათეისტსაც კი აუთრთოლდება მუხლები.

ეს ამბავი შემთხვევით არ გამიხსენებია. მართალია, შეიძლება დღეს მიქელანჯელოები ვერ ვიპოვოთ, მაგრამ რასაც გავაკეთებთ, უნდა გავაკეთებინოთ ნიჭიერ ხალხს. უნდა გამოვეკიდოთ არა რაოდენობას, არამედ ხარისხს, შექმნილი ნაწარმოების ეფექტს და ზემოქმედების ძალას.

მარტო მოწოდებით, საქმე არასდროს გაკეთებულა და არც მომავალში გაკეთდება. აქა-იქ დამკვიდრებული

ნიჰილიზმი დროულად უნდა შესცვალოს ჭეშმარიტად პატრიოტულმა და რომანტიკულმა სულმა.

ჩვენი სამშობლო უკვე იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის შესასრულებლად. ეს ხუთწლედი ჩვენს რესპუბლიკაში თავისი პირველი დღიდანვე, თავისი პირველი წუთიდანვე ჩვენი ხუთწლედია. აქ უკვე აღარავის დავაბრალებთ ჩვენს შეფერხებას თუ წარუმატებლობას. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ის დიდი წარმატება რაც რესპუბლიკამ მოიპოვა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, არა დროებითი ატაცების და აფეთქების შედეგი იყო, არამედ გეგმაზომიერი, გააზრებული და გამიზნული შრომის შედეგი, რომელიც დღითიდღე კიდევ უფრო ორგანიზებული და ნაყოფიერი გახდება.

ნურავის დაავიწყდება, რომ ჩვენს ხელშია ჩვენი სამშობლოს მომავალი, ჩვენ ვართ მისი ბედის მჭედლები. აქედან გამომდინარე, — როგორიც ჩვენ ვართ, ისეთია ჩემი სამშობლოც, ვეცადოთ, ვიყოთ უკეთესნი და მხოლოდ მაშინ დაგვიჯერებენ, რომ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა.

უკვე მესამე დღე იყო, ჩვენი გემი ნიცის პორტში იდგა. პირველ დღეს ნიცა დავათვალიერეთ. მეორე დღეს ანტიბას და კანს ვესტუმრეთ, ხოლო მესამე დღეს მონტეკარლოში გავემგზავრეთ ავტობუსით.

ერთი დღე საკმარისი აღმოჩნდა ამ „მინი სახელმწიფოს" დასათვალიერებლად. საღამოს კაზინოში სიმბოლური ხუთფრანკიანი ჩეკით ვითამაშეთ და კვლავ ნიცისაკენ გამოვეშურეთ.

ვახშმობის წინ გემის კაპიტანმა სტუმარი გამაცნო, საბჭოთა კონსული. როდესაც გაიგო ქართველი ვიყავი, ღიმილით მკითხა, — იცით დღეს ვინ არის თქვენი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი?

ათი დღის შემდეგ უკვე თბილისში ვიყავი. შინ, [illegible], უცხოეთში გატარებული დღეების [illegible] გამოსული გაზეთები უკლებლივ დამახვედრეს და სულ ერთ დღეში „დავეწიე" რესპუბლიკის ცხოვრებას.

გაზეთიდან გავიგე, რესპუბლიკის ლიდერი კონსტანტინე გამსახურდიას სწვევია შინ.

— ალბათ ეს რაღაცას ნიშნავს, არა?
— მკითხა ერთმა ნაცნობმა.

— დიახ, ნიშნავს, თანაც ძალიან ბევრს! — ვუპასუხე მე.

მოსკოვი.

კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი.

გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოს ოფიციალური ნაწილის შემდეგ ყველანი ჩვენდამი განკუთვნილ რიგზე მოვთავსდით.

დაიწყო საზეიმო კონცერტი.

სულ სხვაა, როცა შენს მსახიობებს შენსავე ქალაქში ან რესპუბლიკაში უყურებ და უსმენ.

სულ სხვანაირად ღელავ და სულ სხვა თვალით აკვირდები მათ გამოსვლას სამშობლოს გარეთ.

მახსოვს, ქართული ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის კონცერტებს რვაჯერ დავესწარი მარტო ლონდონში.

შეიძლება ვინმემ მითხრას, საქმე გაგებულია, რვა საღამო რომ ლონდონში ქართული ცეკვების საყურებლად არ დაგეკარგათ?!

აბა მას განეცადოს დიდი ეროვნული სიამაყე და ბედნიერება, „როიალ ფესტივალ ჰოლში" ფეხზე წამომდგარი და ბავშვივით აღტაცებული ინგლისელის თავშეუკავებელი ოვაციების მოსმენისას რომ მიპყრობდა, მაშინ მიხვდებოდა, რა ძალა მიზიდავდა თანამემამულეთა კონცერტებზე.

გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოზე მოსკოვში [illegible] შორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატები გამოიყვანეს. თვით [illegible] რის მნახველი მოსკოველი მაყურებელიც კი გაოცებული იყო ქართველ მსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიობთა კავშავა თანავარსკვლავედით.

მოსკოვიდან პირდაპირ ერაყს გავემგზავრე. ბაღდადში ადგილობრივმა ჟურნალისტებმა პრესკონფერენცია გაგვიმართეს. ჩემი რიგიც დადგა. უმალვე სამი დღის წინ მოსკოვში გამართული კონცერტი გავიხსენე. ვლაპარაკობდი ქართულ მწერლობაზე, მუსიკაზე, თეატრზე, მხატვრობაზე... იქვე შევნიშნე მათი ირონიული ღიმილი. აშკარა იყო, ჩემი ნალაპარაკევი არ სჯეროდათ. ვერც კი წარმოედგინათ, რომ სამ მილიონიან პატარა ერს ჰყოლოდა ამდენი პირველხარისხოვანი მწერალი, მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მხატვარი...

მეორე დღეს ერაყის რეაქციულმა გაზეთებმა ჩემი ნალაპარაკევი „წითელ პროპაგანდად" მონათლეს.

ერაყელ ჟურნალისტებს ასე თუ ისე კიდევ ვპატიებ უნდობლობას, მაგრამ როცა საქართველოში მცხოვრებ ქართველ კაცს არ უნდა არაფრის დანახვა. ეს უკვე შეუწყნარებელია.

„რა ქენით, ააშენეთ კომუნიზმი, ხომ?" — ისევ ყურში მიდგას გაბოროტებული საქმოსნის ხმა.

თავში დაწყებული საუბარი მინდა გავაგრძელო ამ ვრცელი ექსკურსის შემდეგ.

დიახ, ბატონებო, ჯერ კიდევ ხდება სახელმწიფო ქონების დატაცება საქართველოში.

ჯერ კიდევ ირღვევა კანონი ბევრ დაწესებულებაში.

ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ არის რიგზე ადმინისტრაციულ ორგანოებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში.

ჯერ კიდევ ვერ დაგვიმყარებია დისციპლინა ჯანმრთელობის ფრონტზე თუ ვაჭრობის სისტემაში.

მაგრამ ვინა ვინმე ამბობს, ყველა პრობლემა გადაჭრილია. ყველა ამოცანა ამოხსნილია და უკვე დადგა თვითდამშვიდების დრო?

ვანა ჩვენი პარტია და მთავრობა არ ამბობს, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა, მთავარი ბრძოლა წინ გვაქვს, ყებათ?

დიახ, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ რა გოლიათური აღმოჩნდა ეს ნაბიჯები!

მრეწველებსა და სოფლის მეურნეობაზე არაფერს ვიტყვი. ცხრა საკავშირო გარდამავალი დროშა, ზედიზედ რომ აიღო ჩვენმა რესპუბლიკამ, თვალნათლივ მოწმობს საქართველოს მშრომელთა ერთსულოვნებასა და აღმავლობას.

მე მორალის სფეროში მოპოვებულ წარმატებებზე მინდა ვესაუბრო მკითხველს, მინდა მტკიცედ განვმარტო, რომ არავითარი გმირობა არ არსებობს მორალური გმირობის გარეშე. ხშირად გვავიწყდება, რომ მიღწევების გამომსახველი ციფრები სწორედ შედეგია მორალური გმირობისა, რომ კეთილსინდისიერი შრომა, პატიოსნების კულტი — მორალური გმირობის კატეგორიებია.

მთავარი იყო თეთრს თეთრი დარქმეოდა და შავს შავი!

მთავარი იყო შექმნილიყო ულმობელი პოზიცია უპატიოსნო გზით ადამიანების აღზევების წინააღმდეგ!

მთავარი იყო, მოგვეშუშებინა პატიოსანი კაცის გულში ღრმა და უხეში ჭრილობა, ოცი წლის განუკითხაობამ რომ მიაყენეს!

მთავარი იყო განგვემტკიცებინა იმ ადამიანების პოზიცია, რომელთა ღონიერ და პატიოსან მხრებზე დგას ერისა და ქვეყნის ძლიერება!

მთავარი იყო გვეხსნა ერის ინტელექტი ყველგან შემღწევი კოროზიისაგან!

მთავარი იყო გვეზრუნა მშობლიური ენის დაცვისა და განვითარებისათვის!

მთავარი იყო აყვავებულიყო ჩინებული ქართველი ერის დიდი კულტურა!

მთავარი იყო გაპარტახებისას გადაგვერჩინა უპატრონოდ მიტოვებული ისტორიული ძეგლები!

მთავარი იყო გვეხსნა საქართველოს მთიანი რაიონები ერის დამანგრეველი

მიგრაციისაგან, გადაგვერჩინა მამა-პაპათა ფუძე-საძირკველი!

მთავარი იყო, აღგვედგინა ქართველი კაცის შელახული რეპუტაცია!

ამ თერთმეტი წლის წინ ვწერდი: „ვინ დათვლის, რამდენჯერ გავწითლებულვართ ჩვენი თანამემამულეების — უნამუსოდ ნაშოვნი ფულით გალაღებული და სულიერად გადაგვარებული ადამიანების ნამოქმედარით მოსკოვში თუ ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებში.

სამწუხაროდ, ზოგი მათი საქციელის მიხედვით მსჯელობს საქართველოზე. ამიტომაცაა, რომ ადამიანებმა ქართველი კაცის სახელი ბევრის თვალში აქციეს თავხედის, სპეკულანტის, განგსტერისა და მილიონერის სინონიმად“.

მაშინ არავინ შემდავებია, რომ ვაქარბებდი და ვამუქებდი ისედაც ჩამუქებულ ფერებს.

აი, რა ამოცანები იდგა უპირველესად პარტიის, მთავრობის, ქართველი ერის, რესპუბლიკის ყველა მშრომელისა და ახალგაზრდობის წინაშე.

გადავჭერით თუ არა დასახული ამოცანები?

მოდით, თანმიმდევრულად ვიმსჯელოთ, აუჩქარებლად მივყვეთ საქმის დინებას.

მწერალი ვარ და ქართული ენით, ქართული ლიტერატურით დავიწყებ.

ამ ათწლეულის პირველსავე წლებში ქუთაისში დაარსდა რესპუბლიკური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „განთიადი“. ბედნიერება მქონდა, თითქმის ოთხი წლის მანძილზე თავად ვყოფილიყავი ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

ქუთაისშივე დაარსდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალი. აქ გამოსულმა წიგნებმა, საქმის სწორმა კოორდინაციამ და შემოქმედებითმა მიდგომამ დაგვანახა, რომ სულ მალე მომწიფდება აუცილებლობა ფილიალის დამოუკიდებელ გამომცემლობად გადაკეთებისა.

გაორმაგდა „ლიტერატურული საქართველო“.

დაარსდა ჟურნალები „საუნჯე“ და „კრიტიკა“.

სოხუმში გამოსვლა დაიწყო ქართულმა ლიტერატურულმა ჟურნალმა „რიწამ“.

გულშემატკივრებმა უკვე შეიყვარეს სპორტული ჟურნალი „მართვე“.

გაიზარდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მოცულობა.

გაორმაგდა ჟურნალ „ცისკრის“ დამატება.

არც თარგმანის კოლეგიის დაარსება უნდა დავივიწყოთ, ერთადერთი რომ არის მთელს კავშირში.

დაარსდა სახელმწიფო პრემია „ხუთწლედის მატიანე“ და მაიაკოვსკის სახელობის ახალგაზრდული პრემია.

აქ შეიძლებოდა კიდევ ჩამოგვეთვალა ის მრავალრიცხოვანი შემოქმედებითი მივლინებანი, კეთილმოსურნე, მზრუნველი ატმოსფერო და სხვა ათასგვარი დახმარება, რითაც დღეს სარგებლობენ ქართველი მწერლები.

შედეგმაც არ დააყოვნა. ქართული ლიტერატურა მძლავრად და ფართოდ გავიდა საკავშირო და მსოფლიო არენაზე.

საკავშირო ჟურნალ-გაზეთებს თითქმის არ სცილდება ქართველი მწერლების, პოეტების, კრიტიკოსების სახელები.

მეტად პოპულარული გახდა ქართული პროზა. საკავშირო არენაზე ტერმინიც კი გაჩნდა „ქართული პროზის ფენომენი“.

მოსკოვის ორმა უკანასკნელმა წიგნის საერთაშორისო ბაზრობამ დაამტკიცა, უცხოეთის ქვეყნები როგორ ყურადღებას იჩენენ ქართული პროზისადმი.

ჯერ კიდევ 1976 წელს საბჭოთა მწერლების მეექვსე ყრილობაზე განვაცხადე მოსკოვში: „...რასაკვირველია, სიძნელეებიც გვქონდა. იყო „ადგილობრივი ხასიათის [illegible]“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წვიმა და ელჭექი... მე ჩემს რესპუბლიკაზე მოგახსენებთ. თუმცა ისიც უნდა დავძინო, რომ ამ „ადგილობრივმა მოლოდინს „მხოლოდ" კარგა ხანს გასტანა. დღეს სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ ჭეშმარიტმა ქართულმა მწერლობამ იმ ავბედით ჟამს დაიჭირა მძიმე და ძნელი გამოცდა. — მას არ დაუყრია ფარ-ხმალი, არ დაუთმია თავისი პოზიციები... ქართველი მწერლები იბრძოდნენ გააზრებულად. ჭკვიანურად და თავდადებულად. და არა დონკიხოტურად. რომლის შესახებაც მშვენივრად ბრძანა ვიტალი ოზეროვმა: „დონ კიხოტი მომხიბვლელია, მაგრამ სალი, აზრიანი ბრძოლისაგან განსხვავებით მისი მარგი მოქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია... მინდა განვაცხადო ამ მაღალი ტრიბუნიდან, რომ უფრო თბილი. უფრო გულისხმიერი და მზრუნველი გარემო, ვიდრე ახლა გვაქვს, არასდროს არ ჰქონიათ ქართველ მწერლებს..."

და მთავარი მაინც ატმოსფეროა, კეთილმოსურნე, თბილი ატმოსფერო, როცა შენს აზრს დიდ ანგარიშს უწევენ. კი არ გთხოვენ, გავალებენ, შეაფასო ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები, აქტიურად ჩაერიო და ჩადგე მოვლენათა შუაგულში.

რენესანსის ტალღა ხელოვნების ყველა სფეროს მოედო. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ტრიუმფალური გასტროლები ინგლისში, იტალიაში, მექსიკაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში განუზომელი სიდიდის მოვლენაა ქართული კულტურის ისტორიაში.

ილი როდია შექსპირის სამშობლოში ოფიციალურ პრესას ათქმევინოს: ქართველებმა შექსპირის დადგმა გვასწავლესო, ხოლო ბრეხტის სამშობლოში ქართველებმა ბრეხტის დადგმის გაკვეთილი ჩაგვიტარესო.

სამმილიონიანი ქართველი ერის თეატრალური ხელოვნება შეადაროთ მასმილიონიანი ლათინური ამერიკის თეატრალურ ხელოვნებას. მექსიკაში, ბრაზილიაში, არგენტინაში ან სამხრეთამერიკის რომელ ქვეყანაშია ისეთი თეატრი, როგორიც რუსთაველის თეატრია?

ისეთ ცივილიზებულ და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში, როგორიცაა კანადა და ავსტრალია, გადაუღიათ ისეთი ფილმები, როგორსაც კინოსტუდია „ქართული ფილმი" იღებს?

ქართული ფილმებისა და ტელეფილმების ავტორიტეტი ძალზე გაიზარდა მთელ მსოფლიოში. საერთაშორისო ფესტივალების იმ პირველი პრემიებით, რომლებიც ქართულმა ფილმებმა დაიმსახურა, თვით კინოხელოვნებით ცნობილი სახელმწიფოებიც კი იტრაბახებდნენ.

აყვავდა ქართული ქანდაკება და სახვითი ხელოვნება. ქართველი მხატვრების ნამუშევრები ფართოდ გავიდა მსოფლიო ასპარეზზე, ხოლო მეეჭვება, ამ ათიოდე წლის წინ ვინმეს დაეროთ ნება, შექმნილიყო ქუთაისის დიდების მემორიალი — მერაბ ბერძენიშვილის ეს გაბედული და მასშტაბური ქმნილება.

ქართველი კომპოზიტორების, ცალკეული შემსრულებლისა თუ ფოლკლორული ანსამბლების წარმატებებმა თითქმის დაუჯერებელ საზღვრებს მიაღწია.

მზრუნველმა და კეთილმოსურნე ატმოსფერომ განვითარებისათვის ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ქართულ მეცნიერებას. გაიზარდა მათი საკავშირო და საერთაშორისო ავტორიტეტი. რესპუბლიკამ უმასპინძლა მძლავრ მსოფლიოს მნიშვნელობის სიმპოზიუმს და მეცნიერულ ფორუმს. ეს საფუძვლიანი და შთამბეჭდავი აღიარებაა ქართული მეცნიერული სკოლებისა, კვლევითი ინსტიტუტების შემოქმედებითი საქმიანობისა.

რესპუბლიკის კულტურული ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ფართო მოზაიკას ვერც ქართველ სპორტსმენთა წარმატებებს გამოვაკლებთ, ასე რომ აალაპარაკა მთელი მსოფლიო.

„ქართველი ერი ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებით, ქართველ მწერალთა და ხელოვანთა წარმატება ყოველთვის იქცევდა ყურადღებას როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ", — ბევრჯერ გაუგონებიათ ჩემთვის ქართული კულტურის მიღწევებზე, რომ ვლაპარაკობ ხოლმე.

მართალიც ბრძანდებიან: ქართველი მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები, კინოსა თუ თეატრის რეჟისორები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ნიჭიერებით, ძიებით, ნოვატორობით, რევოლუციური და მებრძოლი ბუნებით. მაგრამ მათი შემოქმედება მხოლოდ ინდივიდუალურად ვითარდებოდა. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი, ყოველი გაბედული სიტყვა, ყოველი ექსპერიმენტი თუ ძიებანი ფორმის სფეროში სისხლის ფასად ჯდებოდა.

შემოქმედის სულს სათუთი მოპყრობა უნდა. ნოვატორებსა და გაბედულებს შეძახება და გამხნევება უნდა, ნიჭიერ კაცს ასპარეზი უნდა, ნიჭს შემჩნევა და დახმარება უნდა, ხოლო ბავშვებს, ჩვენს ხვალინდელ დღეს, ყვავილივით მოფერება უნდა!

ხელოვნებას დიდი სახელმწიფოებრივი ზრუნვა და მიზანშეწონილი წარმართვაც სჭირდება.

სოხუმში აშენდა ქართული თეატრის დიდებული შენობა. დიდებული თეატრი აშენდა თელავშიც. ხელახლა დაიბადა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, მსოფლიოში ცნობილ სტადიონებს ტოლს არ უდებს თბილისის ცენტრალური სტადიონი. შეიქმნა სიმფონიური თუ ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიები, საგამოფენო დარბაზები ქალაქებსა თუ რაიონულ ცენტრებში...

შეიქმნა ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ალინუსხა და სახელმწიფოებრივი ზრუნვითაა გარემოცული ყველა ისტორიული ძეგლი. მათმა დაცვამ საერთო ეროვნული, საყოველთაო სახე მიიღო. ქართველ სტუდენტობამ, ცალკეულმა ორგანიზაციებმა შეფობა აიღეს ცალკეულ ძეგლებზე.

როგორი სიამაყით მივუძღვებით დედაქალაქის სტუმრებს თბილისის აღდგენილ და ხელმეორედ გაცოცხლებულ ბარათაშვილის ქუჩისკენ, იმ ქუჩისკენ, რომელსაც ამ თხუთმეტი წლის წინ დანგრევას უპირებდნენ!

როგორ შემოგვანათა ისტორიულმა თბილისმა თავისი მშვენიერებით, რიკულებიანი აივნის სასახლეებით, ანჩისხატით, ქუჩაბანდებით...

„შეიძლება ყველაფერს უყურებდე, მაგრამ ვერაფერს ხედავდე", — თქვა ერთხელ პიკასომ.

ჭეშმარიტად!

სამწუხარო კია, დიდად სამწუხარო!

## ეკოლოგის მაგიერ

ღმერთი, რჯული,
არა ვარ თუში

**გ. ლეონიძე**

თუშეთს მთლიანად ყველაზე უკეთ მაინც ვერტმფრენიდან დაინახავ როცა იგი ომალოს თავზე „დაეკიდება". ვინც თუშეთში ყოფილა, მიხვდება, რომ მთათუშეთს ვგულისხმობ.

ხუთცუთხედი ქვაბული ულამაზეს მთებს შორისაა მოქცეული. ირგვლივ ლამაზი ქედები შემოჯარულან. ქედთა შორის თავისი ზვიადობით მაინც ჩრდილოეთის ქედი გამოირჩევა. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქედზე კი მზიან ამინდში განსაკუთრებულად გამოიკვეთებიან მწვერვალები თებულოს მთა, ყვავლო, ქაჩუ და ქერილო.

თუით ომალო, თუშეთის სასოფლო საბჭოს ცენტრი, ზღვის დონიდან 1880 მეტრის სიმაღლეზეა.

ერთადერთი ადგილი, კაცს რომ ვაკედ მოგეჩვენება, მთათუშეთის ქვაბულის პლატოა. ამ პლატოზე მდებარეობს თუშეთის ყველაზე დიდი და ხალხმრავალი სოფლები ომალო, დიკლო და შენაქო.

თუშეთის ყველაზე მაღალი წერტილია თებულოს მთის მწვერვალი — 4507 მეტრი, ხოლო უდაბლესი წერტილი მდებარეობს დაღესტნის საზღვარზე, ანდის ყოისუს ხეობაში — 1481 მეტრი.

ყველაზე მაღალი სოფელი თუშეთში ჭონთიო იყო. იგი ზღვის დონიდან 2400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. ამჟამად პირველობას გირევი იჩემებს (2150 მეტრი). მისი სიპი ქვით ნაშენი ციხე-სახლები მართლაც რომ არწივის ბუდეებივით მოსჩანან შორიდან.

თუშეთის ქვაბულს დასავლეთით ფშავ-ხევსურეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით დაღესტანი, სამხრეთით — კახეთი, ჩრდილოეთით ქისტეთ-ჩეჩნეთი.

საოცარია, მეოცე საუკუნის სამმა რევოლუციამ — სატრანსპორტო, ელექტრონულმა და სატელევიზიო რევოლუციებმა — საოცარი გულგრილობით ჩაუარა გვერდით თუშეთს.

მხოლოდ ახლა, მეოცე საუკუნის დასასრულს ირღვევა მისი პირველყოფილი პეიზაჟი ურბანისტული ელემენტებით.

ხელახლა იბადება თუშეთი. ახალი ცხოვრება იწყება საქართველოს ამ მადლიან კუთხეში.

ბევრი რამ იქნება სიახლე თუშეთის ცხოვრებაში, სანამ ეს წიგნი მკითხველამდე მიაღწევდეს. მე შევეცადე ახალი თუშეთის ცხოვრების ერთი პატარა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი მომექცია ამ წიგნის ჩარჩოებში — 1981 წლის 11 ივლისიდან 1982 წლის 31 მაისამდე...

არ ვიცი, როგორ შევძელი დასახული ამოცანის გადაჭრა, არ ვიცი, რამდენად სწორად გავიაზრე და გადმოვეცი ის მოვლენები, თუშეთის აღორძინებას რომ დაუდო სათავე.

ერთს კი ვიტყვი, არცერთი სტრიქონისთვის სიყვარული არ დამიკლია.

ბედნიერი ვიქნები, თუკი ამ სიყვარულს შეიგრძნობთ, ჩემო გერმანე ასიაური, ტელმან იჭირაული, ილო ქავთარიშვილო, იოსებ ლონგიშვილო, ვახტანგ თორღვაიძევ, ბასიკო რაინაული, თემურ ჩხერაულო, დავით ხეცოიძევ, ბესარიონ ანთაიძევ, ჩემო პატარა მეგობარო, ზურაბ სულაკაურო, ჩემო თუშებო!

წიგნი ჩემი მეგობარი პოეტის მიერ დაწერილი ლექსით უნდა დავამთავრო, რომელიც ბევრჯერ გვითქვამს ერთად მთაშიც და ბარშიც:

თუშები მიყვარან — ტანათ დიდები,
სიტყვაძვირები და გულით მდიდრები,
საქართველოს მთებში — მონაპირენი,
საქართველოს მთებში — მონადირენი!
ვაჩაძეები, ვაშაძეები,
ცისკარიშვილები — ლაშქარს დევები!
გაფრინდაულები — მჭრელი სატევრებით,
თვითონ ცოტანი — მაგრამ ცხვარბევრები!
აფთარაულები, უშარაულები —
მთას რომ მერცხლის ბუდედ უჩანთ
აულები!
ჩალმა თუშები და თუშები წოვანი —
საქართველოს გზებზე მარად მგზოვარნი!
თუშები მიყვარან სულში და გულში —
ღმერთი!
რჯული!
არა ვარ თუში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# „სიცოცხლის სვეტი“ გარეჯის უდაბნოში

(16 მაისი, 1982 წ.).

მზეში იდგა და მზეს შესცქეროდა
ხალხი, წინაპრის კვალზე მოსული,
არ დაუწყიათ ძებნა ჩეროთა,
ჩამოაცალეს ქვას სამოსელი.

იხარებს ნერგი —
ხე და ყვავილი,
ხარს რომ ეხვევა რქებზე, ვაზია...
ამ უდაბნოდან მალე ყოველი
ამოანათებს, რაც ამ ქვაზეა.

გრილი ტალღების ვნახეთ ჩხრიალი —
დამსკდარი მიწის შეწყდეს გოდება.
მალე, სულ მალე პირცეცხლიანი
გვალვის ურჩხული გაიგუდება.

დაკლული არი ყოჩი, კერატი...
ტარონის ღმერთმაც მოსვლა ინება,
გოგო-ბიჭებმა ფერად-ფერადი
გამოატანეს წყალს ტიკინები.

მოგვდის სურნელი ამშრალი ნამის,
გვასმინე შენი ხმა, სალამურო...
თავს დაგვფარფატებს მწყერჩიტა, ღამის
სახეზე ფრთებით მოგველამუნოს.

ოფლი ვაწვიმოთ ამ ველებს, მდუმარს,
გვესმას ბღავილი ცხვართა, ძროხათა,
რა პირით დახვდეს, ღვთის როა, სტუმარს,
ქართველმა ქვევრი თუ არ მოხადა.

გადაფატრული იწვნენ მინდვრები,
შავ ხნულში დოლის პური ეთესა:
აქ ილანდება დღე ხვალინდელი, —
ლონე და მადლი მზე კახეთისა.

მდორედ ირხევა მაღლობზე არხი,
ეს გაზაფხული მისი ძღვენია
და ცისარტყელა შადრევანს დახრილს
შიშველ მკლავებზე გადუწვენია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მოწყალების და

*მედეა კახიძეს*

შეეჩვიე კიევ-ქალაქს,
ტყვე ხარ კედლების და მინის,
ფიქრი გეძალება, სახეც
ძველებურად არ გიცინის.

უძილოვ და უტეხელო,
შენ შავტუხა სანიტარო,
არავინ გცვლის, შენთვის ახლა
აქ ყოფნაა სანეტარო.

ფანჯარაში ქარის მოთქმა
და გუგუნი ისმის დნეპრის...
ნეტავ შეძლო პოვნა წამლის,
იშვიათის და უებრის.

გიცნეს, დედა ხარ და გინდა, —
ყველას, განა მარტო ეკას,
ამ გაციცქნილ გოგო-ბიჭებს
თბილად ეხუროს და ეგოს.

მაყვლის ბუჩქთან დაჩოქილი,
თითქოს იყო წმინდა ნინო,
სასწაულით გინდა, ყველა
დაიხსნა და მოარჩინო.

ხან ჩურჩხელას გამოაჩენ,
ხან არიგებ თაფლის ქადას,
გიკოცნიან ხელებს, ხალათს —
გახამებულს და ქათქათას.

თვალებიდან ცეცხლი კვესე.
გული ისევ გააქეზე,
მოგისაჯა სისხლმა შენმა
სულ ტრიალი, ყოფნა ზეზე...

შორით კვიპაროსებია
და ლავრები ოქროსთავა
და წერწეტა, მზე თითბერის.
არც დაგხედავს, ისე ჩავა.

როდის გადაიმტვრევ მაჯებს,
შენ ცირცელო ლალისებრო,
ქაფს, მოგდებულს ბნელ ქეჩოზე,
საით მიაქანებ, დნეპრო!..

შენ კი — დაუღლიხარ ლოდინს,
ქართლის გენატრება დილა, —
გვირილებში კნაჭა გოგო
რომ გაირბენს ასკინკილა.

## ციფრები

დღეს ყინავს,
დღე მოვა, დაცხება,
დღე გადის წანწალში, ზრუნვაში:
დალალა თავიდან დაწყებამ —
ციფრები წაიშალა ბრუნვაში.

ამდენი აღწერა, აღრიცხვა,
ციფრებმა დავთრები წალეკა...
მიწის ბნელ პირიდან აღრეცხვა,
მიწაში ჩაწურვა ნალექად.

გაივლის ათასი შმაგი დღე...
ქუჩა და შენ — განაცვიფრები,
რა შემოინახეს, დაკითხე
შავად დაკუთხული ციფრები...

გამქრალა მონა და სარდალი...
ღამე, მოჩახჩახე დღესავით...
სადარბაზოები, სართული —
პირველი, მეორე, მესამე...

დრო მეფობს, შენ მისი ხარ წერა,
დრო გარბის,
დრო ჩვენზე მარჯვეა.
თუნუქი: ციფრები, წარწერა —
საფლავზე ფირფიტა არჩევია.

გაჩენა და სულის გაცხება...
გაგთელავს, ნურც გაეჯიბრები,
წრეს უვლის,
ვერაფრით გაძლება —
ციფრები, უგულო ციფრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გვრინვა

(სიმღერა თიბვის დროს)

რამდენი ცელი ავიშორე...
რამდენის თვალში წავიშალე,
რამდენის ტვინში დავიშალე.

რამდენ სატკივარს ვეწირები...
რამდენის გულში ვეწერები,
ნეტა სანამდე ვეწერები...

თვალში რამდენი წამეშლება,
ტვინში რამდენი დამეშლება,
ცივი ლოგინი გამეშლება.

## დიდუბის პანთეონი

ოქტომბერი, საღამოს 6 საათი

არ ისმის ჩქამი,
არ ფეთქავს პულსი.
ჩამოილია ეს დღეც უმათოდ;
შეყენებულა ყინული ნულზე,
აღარ აიწევს, რაგინდ უმატოთ.

აქ წვანან, ვეღარც იფიქრონ დაძვრა,
გადაკეტილა გზა მოჩქარეთა,
მოირყა კარი,
ბორბლები დაძვრა,
მიწით ივსება მათი კარეტა.

რაც უნდა მოხდეს, ხედავ ახლავე,
აწყდება კედელს ხმა უპასუხო,
ჭიის საჭმელი და შესახრავი,
რა გულით გინდა ლეში ასუქო.

ვმალავდი, ცრემლი ჩუმად მდენია,
მოგინახულე, მყუდრო ალაგო,
როდემდე გასტანს, მერამდენეა
ჩვენი შეხვედრა უდიალოგო.

საყდრის კარებთან დამდგარა აქვე,
გლახა, ხურდაზე ხელგანაშვერი...

მობჯენილია ლოდები ბლაგვი,
გვემულხარ, მათი ცქერით დაშვერი.

მოვლებულია სივრცეში ცივად
რკინა რკინაზე დადუღებული;
აქ არც სწყურიათ და აღარც სტკივათ,
სუფევს მოწყენა გადუღებელი.

არას ნანობენ, არც არა უნდათ,
არავის ძიძგნის ეჭვი უნდობი
და წამოსული მაღლიდან ბრუნდედ,
წვიმა საკუთარ თავს უბრუნდება...

ზოგს ხელი ადევს, ზოგსაც — პროფილი,
ზოგან ნილაბი ღნავის ყბალია,
ზოგის თავია ჩამომხობილი, —
იტყვი, ამ ბაღში რა ყაბახია.

სისხლის მორევი, თქვი, როგორ დაწდა
შენ, ვისაც გხუთავს მორგვი მორგვალო,
მითხარი, როგორ გასწავლეს დაცდა,
სულო ნაშფოთო და ნაბორგალო.

არც თვლის — რამდენი ელიტა და კაფა
სიკვდილი ბრმაა ანუ ბეცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ყაფურიალის ფილა თუ ლაფი,
...ეს ჩანს: ვის როდის წამოეწია.

...ლარ ჭირდება ფანდი თუ ხრიკი
...მეც მითხრა, რკინის დაგცემ მაჯითო:
...უშხოდ ერთობა.

თავს იგდებს იგი,
ჩხრიალა ურჩხულს ვინც დაიჭირა.

დატანებული თიხაში კვირშა.
დიან წყაროში მიწისქვეშანი.
ყოველ ნაბიჯზე ნეშო და ხიში.
მარადიული დუღს კაეშანი.

ხშირად, ხშირად და ხშირად
ვამბობ: ნეტა არ ვიყო,
სული მომყვა სახლში რად,
ჯობდა სულ გამპარვიყო.

ვინ დამწყევლა ბოროტმა:
იყავ შლეგი და ურჩი,
ვერვის არგო ბოლომდე,
თავსაც ოხრად დაურჩი.

ეს მაინც შემისრულე:
სხვა ურის არარ დამბადო,

კუპრის ტბაში მისროლე,
ნურც მახსენებ ამბადო.

ბეცი რა გზას ვეწიო,
ვის ვეყმო და ვეცალო,
რა წამალი ვეძიო,
ვეძას სად დავეძალო.

მეტყვი: სანაღვერდალევ,
მაგ ტანჯვაში სხვაც არი,
ვეძას ვერსად ვერ დალევ,
ფერფლი ხარ და ნაცარი.

## ᲐᲛᲝᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ...

...ამოვიკითხე ერთ ქვაზე,
მიწა ვარ, მიწა მჭამსო,
ვერავინ გაერიდება
ამ წუთისოფლის შხამსო.

სულ აფერია, ერთბაშად,
დაქანდეთ, დაილეთო,
ბევრი არც უნდა მზადება,
სახლი რომ გექცეს კუბოდ.

საფლავშიც არ მოგასვენებს
სიმწარე დაკარგულის,
ტირილი შენთვის მფეთქავი,
გაჩერებული გულის.

რომელი ერთი, რამდენი
ჭრილობა დაგიამო...
ნეტამც არ ამოგეჭამე,
ყელზე მომდგარო შხამო.

## ᲦᲐᲛᲔ

ინთება, მერე ქრება ფარანი, —
ძველი იმედი გზაჯვარედინის,
მავთულზე ჩალის ქანაობს ქუდი.
ინთება, ისევ ქრება ფარანი
და ეხეხება აგურის კედლებს
ყვითელი შუქი...
სავსე დუმილით და მოთმინებით.

სულ ასე გიცდის გზაჯვარედინი —
საითაც გსურდეს, გასწიე, წადი.
და მეც მივდივარ,
დაბლა დახრილი,
შუბლს მიკაწრავენ ფიჭვის ეკლები,
ყვითელი შუქი ეცემა სახეს...
გული დამიდნა, სიკვდილი ძალზე
ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

## ცხრაასხუთელის მონოლოგები, თქმული სამოცდათხუთმეტი წლის წინათ ილიას მოკვლის დღეს

### მამულო, შენი სიყვარულისთვის

ილია მოკლეს... და მოკლეს გული,
მამულო,
შენი სიყვარულისთვის!
სახლკარდამწვარი
და დაბუგული
ვეწამებოდით წითელი მზისთვის!..

ილია მოკლეს... მაგრამ ვერ მოკლეს
სიმტკიცე ერის,
თვალი ფხიზელი.
მე რომ მიყვარდა წითელი ფერი,
მე რომ მხიბლავდა ბრძოლა ფიცხელი.

ილია მოკლეს...
როგორც თქვა ვაჟამ,
ის შენც მოგკლავდა,
რომ შეძლებოდა...

მაგრამ ვერ შეძლო,
სიცოცხლეს ვაშა,
ჩვენ რომ ვიბრძოდით წითელი
მზისთვის!
მტარვალმა სული ბევრს ამოხადა,
მამულო,
შენი სიყვარულისთვის!

ილია მოკლეს... ვერ მოკლეს ერის
სინათლისაკენ სწრაფვა ფიცხელი,
რომ ამოგიწყდეს, მამულო, მტერი,
შენზე მიჭირავს თვალი ფხიზელი!

### გამზირზე ნაღვლიანი მოდის აკაკი...

ილია მოკლეს... გამწარდა აკაკი...
გაცეცხლდა ვაჟა,
აიმღვრა არაგვი...
მამულო,
უგნურთ გამოჭრეს ყელი,
წუხს საქართველო,
უცოდველი ქვას ალტობს ცრემლი!

ილიას იცნობს ბალღიც უწლოვანი,
ილია ახსოვს არაგვის კბოდეს,
ილიას ახსოვს მწვანილოვანი
ჭალა და
ჩიტები ეძებენ პოეტს...

მამულო, რა ვქნათ,
სად გავამხილოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლისათვის მოკლეს პოეტი!
ცოდო არის. თვალი რომ გაახილო.
ხელდაკრეფილი ვისხდეთ როდემდის?!

სად გაგონილა, ძმისავე ხელით
გამოელადოთ ძმისათვის ყელი?
ეს მოხდა ჩვენში,
ვაი, სირცხვილო.
ქართულო,
მხიარულო როდისღა გიხილო?

ილიას ტირის ბალღიც უწლოვანი
ილიას ტირის არაგვის კბოდე,
ილიას ახლოვს მწვანილოვანი
ქალა და
ჩიტები ეძებენ პოეტს!

მთებიდან ვაჟა ჩამოდის ჩოქვით,
შემოაქვს ქალაქში ქუხილი არაგვის.
გაზეთ „ივერიას" შეჰყურებს ოხვრით,
გამზირზე ნაღვლიანი მოდის აკაკი...

## საქართველო ილიას ელის...

ილია მოკლეს...
საქართველოს ტირის ილია.
საქართველო კი —
ილიას ტირის...

ულიათოდ როგორ დაწერს
ფერს დაუწერელს.
როგორ დაარწევს ახალ აკვანს
ჯერ დაურწეველს...

ილია მოკლეს!
საქართველო ულიათოდ
ვერა, ვერ გაძლებს,
წალეკავს ცრემლი...
ქარი ხარხარებს,
ტყუილიათ.
მის სულს რა მოკლავს,
საქართველო ილიას ელის!

რა მოკლავს უკვდავს ჩანგს პოეტისას,
სინათლეს ერის,
რა მოკლავს მართალს ხალხის სწრაფვას,
ყვავილებს ველის,
აღმოცენებულს წიწამურში უთვალავ
ფერით...
ჯერ არ მომკვდარა.
საქართველო ილიას ელის!..

ილია მოკლეს?
არ დაიჯეროთ!
ილიათი საქართველო ბევრს
ერცხვინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიაოდ საქართველოს მზესა და
ჩეროს
როგორ ვუყუროთ,
რომც ვუყუროთ,
რად ელირება?!

ის არ მომკვდარა,
ის ისევ მოვა,
მოვა პოეტი,
ოღონდ სისხლი წარეცხეთ ცრემლით...
მოვა და ქვეყნად
ახალ ფერთა იქნება თოვა,
ილიას
მისი საქართველო ყოველს წუთს ელის!..

## ისმინე ლოცვა, საქართველოვ, შენი პოეტის...

ილიას კლავდა! —
თუ იცოდა ნეტა; ვის კლავდა
ცოდვილი ხელი,
ხელი მზაკვარის?
იმ ღამეს ალბათ
მოწყენილი მწუხრში ბჟუტავდა
ჩემი ვარსკვლავი,
და დამებნა ბნელში გზა-კვალი...

ილია მოკლეს!
ჩემი გულიც მოკლა მზაკვარმა...
რა ვუთხრა ახლა ბედის ვარსკვლავს,
ვარსკვლავს პოეტის?

მარტო სიმღერა?
მარტო ცრემლი?
ვიცი არ კმარა!
უნდა მოულო ბოლო ზაკვას, —
სიტყვას უმეცარს
ენაჭარტალა მიეთმოეთის...

უნდა უკვდავი აღმოცენდეს შენს სულში
ფესვი —
ხალხის სიკეთის და სათნოების...
ილია მოკლეს!
განა შენ ეს პირველად გესმის?
ისმინე ლოცვა,
საქართველოვ, შენი პოეტის!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

# ბედნიერების მაძიებელი უფლისწული

*იყო და არა იყო რა..*

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი დიდებული სამეფო, რომელსაც ბრძენი და სამართლიანი ხელმწიფე განაგებდა. მეზობელ სახელმწიფოებს გაგებული ჰქონდათ მისი ძლევამოსილების ამბავი და შურლის ატეხას ვერ უბედავდნენ. ქვეშევრდომები ხელმწიფის მზეს ფიცულობდნენ, ხელმწიფესაც ისინი საკუთარ შვილებში არ გამოერჩეოდა. ქვეყანა მოსვენებული იყო და ხალხი ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდა.

ორი ვაჟი ჰყავდა ხელმწიფეს, ორივე ერთიმეორეზე უკეთესი. ვინც იმათ შეხედავდა, არ შეიძლებოდა თვალი ზედ არ დარჩენოდა და, ნეტა რა დედამ გშობათ, გულში არ ეთქვა. ორივე ჩაუქი და ქველი იყო და ორივეს უხვად დაჰყოლოდა მამის სიმამაცე, გულისხმიერება და გამჭრიახობა. ძმებს მზე და მთვარე ერთმანეთზე ამოსდიოდათ, ისე უყვარდათ ერთიმეორე, თვალში რომ ჩავარდნოდათ, თითს არ ამოისვამდნენ. როდესაც სასახლის მოედანზე სალაღობო შეჯიბრი იმართებოდა ჯირითში, ბურთაობაში, შუბის ტყორცნასა თუ ხმლის ხმარებაში, თავგამოდებით იბრძოდნენ პირველობისათვის, გულში კი ერთმანეთის გამარჯვება ეწადათ.

სასახლის ეზოში ხელმწიფეს ერთი სამლოცველო ედგა. დღეში ორჯერ, განთიადისას და მიმწუხრისას, იქ მუხლმოყრილი ლოცულობდა და გულმხურვალედ ავედრებდა ღმერთს ხალხსა და ქვეყანას.

— ღმერთო, მაღალო და ყოვლადძლიერო, — ასე ლოცულობდა ხელმწიფე. — სიცოცხლის ნამი მიპკურე ქვეყანას; ვენახს წვენი არ გაუშრო და კაცს სისხლი არ გაუციო. მომეც სიბრძნე და ძალი, რომ სიმართლით ვმართო, სიმართლით ვსაჯო და სიმართლით ვიდოდე. ღმერთო, მიტევების ნიჭი არ ამოწყვიტო შენი მონის გულიდან, მადლი და სიყვარული მოეც შენს მლოცველსა და მოსავს.

დიდხანს და ბედნიერად განაგებდა ხელმწიფე თავის სამეფოს. ბოლოს, როდესაც ღრმად მოხუცდა და შეატყო, ჩემი აღსასრულის დღე ახლოვდებაო, მოუხმო ვაჟებს და უთხრა:

— საყვარელო შვილებო! მე ჩემი სიცოცხლე ხალხისა და ქვეყნის სამსახურს შევალიე, თავი არ დამიზოგავს და ერთი ცოდვილი მოკვდავის კვალობაზე, რაც შევძელი, გავაკეთე. მაგრამ აი, სიკვდილის ჟამმა ჩამოჰკრა და დღეს ამიერქვეყანას უნდა განვეშორო. ახლა თქვენი ჯერია. ვინძლო დანატოვარი ღირსეულად უპატრონოთ. სანამ ჩემს ანდერძს გაუწყებდეთ, მინდა თქვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი მოვისმინო და გავიგო, როგორ აპირებთ ქვეყნის გაძღოლას ჩემი სიკვდილის შემდეგ.

ხელმწიფე გაჩუმდა. მაშინ უფროსი ვაჟი წინ წადგა და მოახსენა:

— ხელმწიფეო და მამავ ბატონო! უწინარეს ყოვლისა, მამაზეციერს შევავედრებ შენს სიცოცხლეს. მე და ჩემი საყვარელი ძმა გამოუცდელი ყმაწვილები ვართ: ქვეყანას ჯერ კიდევ სჭირდება შენი სიბრძნე და გონიერება. მაგრამ თუ ღმერთი აქ ჩემს ვედრებას არ შეისმენს და ნაადრევად დაგვაობლებს, ისე მოვიქცევით, როგორც გვიბრძანებ. ჩემი თათბირი კი ესაა: შენი უმცროსი ვაჟი და ჩემი საყვარელი ძმა გონიერია, გულადი და სამართლიანი. ტახტი და გვირგვინი ჩემზე მეტად მას დამშვენდება. თუ თანხმობას იტყვის, ამით ჩემი გულწრფელი სურვილიც შესრულდება. მე კი სიკვდილამდე მისი ერთგული ქვეშევრდომი და მოყვარული ძმა ვიქნები.

უფროსმა ვაჟმა რომ ლაპარაკი მოათავა, ახლა უმცროსი წადგა წინ და თქვა:

— ხელმწიფეო და მამავ ბატონო! ისევე, როგორც ჩემი საყვარელი უფროსი ძმა, მეც გულმხურვალედ შევთხოვ ღმერთს შენს სიცოცხლეს. ხოლო ჩემი თათბირი ესაა: ჩემი საყვარელი ძმა სწორედ რომ ხელმწიფედაა დაბადებული და ტახტზეც ის უნდა დაჯდეს. ღმრთითაც ხომ ასეა დადგენილი: ტახტი და გვირგვინი უფროსს ეკუთვნის. მე კი მისი ერთგული ქვეშევრდომი ვიქნები და, თუ ჩემი რჩევა დასჭირდება, ფიცსა ვდებ მხოლოდ ის ვურჩიო, რასაც გული და გონება მიკარნახებს, არც პირფერობით ტყუილი ვუთხრა და არც დასჯის შიშით სიმართლე დავუმალო.

ხელმწიფეს მოეწონა შვილების თათბირი და თქვა:

— მადლობას გწირავ, უფალო, რაკი ქვეყნის ჭირისუფლებად ალმაზრდევინე შვილები, შემიძლია მშვიდად დავხუჭო თვალი და პირნათელი მივუვიდე მამა-პაპას. გიქებთ, [illegible] თავმოდრეკილობასა და ერთმანეთის სიყვარულს. ახლა კი ყური დამიგდეთ, ერთი საკვირველი ამბავი უნდა გიამბოთ: ჯერ კიდევ პირტიტველა ჭაბუკი ვიყავი, როცა თქვენი სახელოვანი პაპა მიიცვალა და მეფედ ვეკურთხე. როგორც ახლა გვაქვს ჩვეულება, მაშინაც ასე გვქონდა: მეფედ კურთხევის მეორე დღეს დიდი ნადირობა უნდა გაგვემართა. მეც ჩემი ამალითა და დიდებულებით სანადიროდ გავწიე. ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ამალა უკან ჩამოვიტოვე და ერთი ულრანი ტყის შუაგულში პატარა მდელოზე გავედი. გავიხედე და ვხედავ ტყის პირას ერთი ირემი დგას. ისეთი ლამაზია, მისი მსგავსი ჩემს დღეში არა მენახა რა. ირემს ჩემი გამოჩენა აინუნშიაც არ ჩაუგდია. თავი ელირა და მშვიდად შემომცქეროდა. მე საჩქაროდ მშვილდი გადმოვიღე და საისრეში ისარი ჩავდე. ყრმა ვიყავ ჯერაც, დაუდუღარი მაჭარი, და ქვეშევრდომების წინაშე თავის გამოჩენა მესახელებოდა. მშვილდი მოვზიდე, ირემი მიზანში ამოვიღე და ლარს ხელი ვუშვი. ჩემდა გასაკვირველად ლარი უეცრად ისე მოეშვა და მოიმჩვარა, თითქოს ერთი რამ უბრალო თოკი ყოფილიყოს. და ისარიც იმის ნაცვლად, რომ მიზნისაკენ გატყორცნილიყო, იქვე, ცხენის ფეხებთან დაეცა. მე სახტად დავრჩი. ირემმა კი ერთი კიდევ შემომხედა, მერე შეტრიალდა და ტყეს მისცა თავი. მე ცხენს ქუსლი ვკარი და დავედევნე. თავდავიწყებით მივდევდი და იმ ირმის მეტი ქვეყნად არა მახსოვდა რა. რამდენ ხანს ვდიე, არ ვიცი. ბოლოს ისიცა და მეც მზით განათებულ ტრიალ მინდორზე გავედით. შუა მინდორში ირემი შედგა და ჩემკენ მობრუნდა. მაშინ მეც ალვირი მოვზიდე, ცხენი შევაყენე და ის-ის იყო კვლავ მშვილდს მივწვდი, რომ ანაზდად ირემმა ადამიანივით დაილაპარაკა და მითხრა: „ასე სდევ რაღაცას, თავად არ იცი, რას. მთელი სიცოცხლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდევ, მაგრამ დაწევით ვერასოდეს ვერ დაეწევი, იმიტომ რომ შენ არც არა გაქვს ნამდვილი და არც არა იცი ნამდვილად. რაც შენ სიყვარული გგონია, დანამუსებული სიძულვილია; რაც შენ სიკეთე გგონია, ზღვარდადებული ბოროტებაა; რაც შენ ბედნიერება გგონია, გაყუჩებული უბედურებაა; რადგან შენ უკვდავება და ხანგრძლივი სიცოცხლე ერთმანეთისაგან ვერ გაგირჩევია. ნამდვილი ქვეყანა, შენ რომ ცხოვრობ, ის არ არის. ნამდვილი ქვეყანა სულ სხვაგან უნდა ეძიო და, როცა მას იპოვი, ჭეშმარიტ ბედნიერებასაც მაშინ ეწევი". ესა თქვა ირემმა და მაშინვე გაქრა. არც მიწას შერევია, არც ცას. საცა იდგა, იქ გაქრა, თითქოს იყო და არა იყო რა. მე ელდანაკრავი ვიდექი და გონს ვერ მოვსულიყავი, სანამ მხლებელთა შორეულმა ყივილმა არ გამომაფხიზლა. ეს საკვირველი ამბავი გულში ჩავიმარხე და დღემდე არავისთვის გამიმხელია. ამის შემდეგ ჩემი ფიქრი და ოცნება სულ იმ აღთქმულ ქვეყანას დასტრიალებდა და გულიც მუდამ მის საძებნელად მიმიწევდა, მაგრამ რა მექნა, ხელმწიფე ვიყავი და ქვეყანას ხომ არ მივატოვებდი! ამიტომ ძველებურად ვმართავდი სახელმწიფოს, ძველებურად ვაჩენდი სამართალს. ვიბრძოდი და მშვიდობას ვიცავდი. სამაგიეროდ ღმერთს შევთხოვე ორი ვაჟი მოეცა, რომ ერთი ხელმწიფედ დამესვა, მეორე კი იმ საკვირველი ქვეყნის საძებნელად გამეგზავნა. ხელმწიფობა უფროსი ვაჟისთვის მიმიცია. დამილოცნიხარ, ჩემო შვილო. ოღონდ იცოდე, გვირგვინი მძიმეა და ძნელი სატარებელი. უცოდველი ვერ იქნები და არც მიტევებას ელოდო, რადგან ხელმწიფე მსახურია მხოლოდ და მსხვერპლი. გვირგვინს უგუნურები მიელტვიან. უგუნურებს გვირგვინის ბრჭყვიალი აბრმავებთ, გვირგვინის სიმძიმე კი არ უწყიან. ვინც გვირგვინს იდგამს, იგი თავის თავისა აღარ არის. მტერიც ბევრი გეყოლება და მოკეთეც. ერთსაც პასუხი უნდა მიაგო და მეორესაც [illegible] უნდა განაწილდე მათ შორის, რომ შენთვის აღარაფერი დაიტოვო. მიტევება არ გექნება, რადგან, ცოდვა თუ არ დათესე, მადლს ვერ მოიმკი, სისხლი თუ არ დაღვარე, სისხლისღვრას ვერ შეაჩერებ, ულმობელი თუ არ იქენი, ლმობიერებას ვერ შეიძლებ, ბრძოლაში თუ არ დაიქანცე, ლოცვად მუხლს ვერ მოიყრი, სიძულვილად თუ არ აენთე, სიყვარულად ვერ დაიწვები. ამიტომ ერთადერთ იმედად და ნავთსაყუდელად სამართლიანობა უნდა დაიგულო. სამართლიანობა უნდა აისხა აბჯრად მრისხანებაშიც და ლმობიერებაშიც, სიძულვილშიც და სიყვარულშიც, ბრძოლაშიც და ლოცვაშიც.— ესა თქვა ხელმწიფემ და ახლა უმცროს ვაჟს მიუბრუნდა: — შენც მძიმე ხვედრი გაგიმზადე, ჩემო შვილო. შენ უნდა გაემგზავრო იმ აღთქმული ქვეყნის საძებნელად. ძნელი გზა გელის და მრავლის უმრავლესი განსაცდელი. რომელ მხარეს უნდა ეძიო, არ ვიცი; იპოვი თუ არა, არ ვიცი; რა ნიშნით უნდა იცნო, არ ვიცი: ისიც კი არ ვიცი, მართლა არის სადმე ასეთი ქვეყანა თუ არა. მაგრამ უნდა წახვიდე. უნდა წახვიდე და უნდა ეძიო, სანამ პირში სული გიდგას. ასეთია ჩემი ანდერძი და უკანასკნელი სურვილი.

უფლისწულებმა მუხლი მოიყარეს მამის სარეცლის წინ. ხელმწიფემ შვილები დალოცა და აღესრულა.

ხელმწიფე დიდებულად დაასაფლავეს და ტახტზე უფროსი ვაჟი ავიდა. როდესაც მისი კურთხევის ზეიმი გასრულდა, უმცროსი ძმა ეახლა, მამის ანდერძი გაახსენა და წასვლის ნებართვა გამოსთხოვა. უფროსს უმძიმდა ძმასთან განშორება, მაგრამ რა ექნა, მამის ნებას ხომ არ გადავიდოდა! ძმები მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და უმცროსი უფლისწული გზას გაუდგა.

იარა უფლისწულმა, იარა, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ გზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარედინს მიადგა. გზაჯვარედინის სამ მხარეს სამი ქვის სვეტი იდგა. ერთზე ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, ადრე დაბრუნდეს"; მეორეზე ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, გვიან დაბრუნდეს": მესამეზე ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, ველარ დაბრუნდეს". გახედა უფლისწულმა ადრედასაბრუნებელ გზას, გახედა გვიანდასაბრუნებელ გზას, და ველარდასაბრუნებელ გზას დაადგა. მცირე მანძილი რომ გაიარა, უკან მოიხედა და რას ხედავს: აღარც გზაჯვარედინია სადმე და აღარც ქვის სვეტები. ყველაფერი გამქრალიყო. ის გზაც, უფლისწული რომ ადგა, მარტო წინ მიდიოდა და უკან კი აღარ ბრუნდებოდა. გადადგამდა თუ არა ნაბიჯს უფლისწული, გზაც იკეცებოდა და უკან არა რჩებოდა რა.

იარა უფლისწულმა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ულრან ტყეში შემოაღამდა. გაიხედა და ხედავს შორს, ტყის შუაგულში ლალისფრად რაღაც ანათებს. „იქნებ ღვთისნიერი ვინმე იყოს და ღამე გამათევინოსო". — იფიქრა უფლისწულმა და იმ ლალისფერი სინათლისაკენ წავიდა, მიდის და, რაც უფრო უახლოვდება, სინათლეც თანდათან მატულობს. ბოლოს ერთ უშველებელ ლალისფერ კოშკს მიადგა. იმოდენაა რომ წვერით ცასა სწვდება. შემოუარა ირგვლივ უფლისწულმა კოშკს, მაგრამ კარი ვერსად უპოვა. მაშინ ალალბედზე დაიძახა:

— ეჰეი, მასპინძელო, სტუმარს არ მიიღებთ?

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისაათ. — მოისმა შიგნიდან ხმა.

— კარი რომ არსადაათ?

— სამჯერ დაჰკარი ხელი კოშკის კედელს და გაიღებაო.

დაჰკრა უფლისწულმა სამჯერ ხელი კოშკის კედელს. კედელი წამსვე გაიხსნა და, როგორც კი უფლისწული შევიდა, ისევ დაიკეტა. მიიხედ-მოიხედა, ხედავს, თვალუწვდენელი დარბაზია. დარბაზი სულ ერთიანად ლალისფრადაა განათებული. შუაში ტახტი დგას და ტახტზე ერთი დედაბერი წამოსკუპებულა. საშინელი შესახედავია, ეშვებივით ღოჯები აქვს, გაბურძგნული თმა და დაღრეჯილი სახე.

— გამარჯობა, დედიო. — უთხრა უფლისწულმა.

—ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო. ვინა ხარ და საიდან მოდიხარო?

— ამა და ამ ხელმწიფის შვილი ვარ. ბედნიერების საძებნელად წამოვედი და გზაში შემომაღამდა. ღამეს ვერ გამათევინებო?

— რატომაც არაო.

დედაბერმა საუკეთესო ოთახი მიუჩინა უფლისწულს, კარგად გამოიძინა იმ ღამეს უფლისწულმა, დილით კი მადლობა გადაუხადა დედაბერს და უთხრა:

— ახლა კი ჩემი გზით წავალო.

— წადი, შვილო, ია და ვარდი გფენიაო. — მიუგო დედაბერმა.

— კარი რომ არსადაა, როგორ გავიდეო?

— როგორც შემოხვედი, ისე გახვალ; სამჯერ დაჰკარი ხელი კედელს და გაიღებაო.

შეტრიალდა უფლისწული და წავიდა კედლისაკენ; მაგრამ, გადადგა თუ არა ნაბიჯი, უეცრად კედელმაც ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. გაუკვირდა უფლისწულს და კიდევ გადადგა ნაბიჯი. კედელმაც ისევ დაიხია უკან. აუჩქარა ნაბიჯს უფლისწულმა, აუჩქარა ნაბიჯს კედელმაც. სირბილით წავიდა უფლისწული, სირბილით წავიდა კედელიც. მისდევს უფლისწული და მირბის კედელი. ბევრი ირბინა უფლისწულმა თუ ცოტა ირბინა, ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდა კედელს. ბოლოს დაიღალა და შეჩერდა. კედელიც წამსვე შეჩერდა. წამოვიდა უკან უფლისწული და წამოვიდა უკან კედელიც. მიტრიალდა უფლისწული, ახლა მეორე კედლისკენ გაეშურა, მაგრამ ის კედელიც გაექცა. ვერც ერთ კედელს ვერ მიუახლოვდა. წავა უფლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი. წავა კედელი: წამოვა უფლის-წული, წამოვა კედელი. დედაბერი კი ზის ტახტზე და ხითხითებს.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ის მაცინებს, რომ აქ შემოსული ბევრი მინახავს, აქედან გასული კი არავინო.

— ნუთუ არსაითაა გასასვლელიო?

— სად უნდა წახვიდე. ამ კოშკს გარეთ არა არის რა. ეს კოშკია მთელი ქვეყნიერებაო.

არ დაიჯერა უფლისწულმა.

— აკი გუშინ გარეთ ვიყავიო?

— გუშინ გარეთ იყავი, დღეს შიგნითა ხარო. — უთხრა დედაბერმა.

დაღონდა უფლისწული, აღარ იცის რა ქნას.

— რამ დაგაღონა უფლისწულო, განა ბედნიერების საძებნელად არა ხარ წამოსულიო? — ჰკითხა დედაბერმა.

— სწორედ იმან დამაღონა, რომ ბედნიერების საძებნელად ვარ წამოსული და ამ კოშკიდან კი ვერ გამიღწევია.

გაიცინა დედაბერმა.

— აბა, ერთი, ეგ შვილდი აიღე და ისარი მაღლა გასტყორცნეო. — უთხრა უფლისწულს.

აიღო უფლისწულმა შვილდი და გასტყორცნა ისარი. წავიდა ისარი, წავიდა და ერთი საათის შემდეგ უკანვე ჩამოვარდა.

— ახლა მე მიყურეო. — უთხრა დედაბერმა; აიღო შვილდი და გასტყორცნა ისარი. წავიდა ისარი, წავიდა და დაიკარგა, უკან აღარ დაბრუნებულა.

გაუკვირდა უფლისწულს, ამ კაფანდა დედაბერს რა ღონე ჰქონიაო.

— ეგ რა არისო! — უთხრა დედაბერმა. — იმ კლდეს ხომ ხედავო?

გაიხედა უფლისწულმა და ერთი ვეებერთელა კლდე დაინახა. იმოდენაა, რომ წვერი არ უჩანს.

— ეგ კლდე აუწონავი კლდეაო. — უთხრა დედაბერმა. — აბა ... ასწიეო.

მოეჭიდა უფლისწული კლდეს და ძვრა ვერ უყო.

— ახლა მე მიყურეო! — უთხრა დედაბერმა. — მივიდა კლდესთან, ბუმბულივით აიტაცა და ხელში შეათამაშა.

გაუკვირდა უფლისწულს.

— ეს რა ყოფილხარო!

— შვიდ წელიწადში შენც ჩემსავით ღონიერი გახდებიო. — უთხრა დედაბერმა. — შვიდი წლის თავზე ყოვლისშემძლეველ ხმალს შემოგარტყამ და ლალისფერი ქვეყნის ხელმწიფედ დაგსვამ. ამაზე მეტი ბედნიერება რაღა გინდაო!

არ დაუჯდა უფლისწულს ჭკუაში დედაბრის რჩევა: არც ხელმწიფობა არაფრად ეპიტნავებოდა და არც ყოვლისშემძლეველი ხმალი: გული გარეთ მიუწევდა. მაგრამ რა ექნა? თავს ზევით ძალა არ იყო და დარჩა ლალისფერ კოშკში.

გამოხდა ხანი. ერთხელ ძილში ხმა ჩაესმა:

— ადექი უფლისწულო, რამდენი გძინავსო!

გაახილა თვალი უფლისწულმა და ხედავს ერთი ბანჯგვლიანი დევი დასდგომია თავს.

— ვინა ხარ და რა გინდაო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ვინ უნდა ვიყო, ერთთავიანი დევი ვარო. — მიუგო დევმა. — ღონე მერჩის და შენთან შებმა მწადია. თუ გაჯობე, ყმად უნდა დამიდგე, თუ მაჯობე, ყმად დაგიდგებიო.

— კეთილი და ბატონსანიო.

შეიბნენ დევი და უფლისწული. მოიქნია დევმა უფლისწული და კოჭამდე ჩასვა მიწაში. მოიქნია უფლისწულმა დევი და ყელამდე ჩასვა.

— გიჯობნიაო. — უთხრა დევმა. — შენ ბატონი და მე ყმაო.

— არ მინდა შენი ყმობაო. — მიუგო უფლისწულმა. — წადი და, საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუკვირდა დევს.

— შენისთანა გულკეთილი ჯერ კაცი არ შემხვედრიაო. — უთხრა უფლისწულს. — რაკი თავისუფლება მაჩუქე, სიკეთეს მეც სიკეთით გადაგიხდი. როცა რამე გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და გამოგადგებით.

— რაში უნდა გამომადგეთ! — მიუგო უფლისწულმა. — თუ მასწავლი ამ კოშკიდან როგორ გავიდე, ხომ კარგი, თუ არა და სხვა მე არა მინდა რაო.

— დედაჩემისგან გამიგონია, ვისაც კოშკიდან გასვლა უნდა, საიდუმლო კარი უნდა იპოვოს. ამის მეტი არაფერი ვიციო.

— ამისთვისაც გმადლობთ.

შემოიარა უფლისწულმა კოშკი და ბოლოს იპოვა საიდუმლო კარი. პოვნით კი იპოვა, მაგრამ, რამდენი არ უტრიალა, ვერაფრით ვერ გააღო.

საღამო რომ დადგა, დედაბერმა დაუძახა:

— უფლისწულო, მეჩვენეო.

ეჩვენა უფლისწული დედაბერს. შეხედა დედაბერმა და უთხრა:

— ცოტაოდენი ლალისფერი უკვე დაგდებია. ლონე თუ მოგემატაო?

— მგონი, მომემატაო. — მიუგო უფლისწულმა.

— აბა, ისარი გასტყორცნეო.

გასტყორცნა უფლისწულმა ისარი. წავიდა ისარი, წავიდა და ერთი დღის მერე უკანვე დაბრუნდა.

— მომატებით მოგმატებია, მაგრამ ჩემამდე ჯერ ბევრი გიკლიაო.

კიდევ გამოხდა ხანი და უფლისწულს ისევ ჩაესმა ძილში ხმა:

— ადექი, უფლისწულო, რამდენი გძინავსო!

გაახილა თვალი უფლისწულმა და ხედავს, ახლა სამთავიანი დევი დასდგომია თავს.

— შენ რაღა გინდა სამთავიანო დევო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ღონე მერჩის და შენთან შებმა მწადიაო. — მიუგო სამთავიანმა დევმა. — თუ გაჯობე, ყმად დამიდგე, თუ მაჯობე, ყმად დაგიდგებიო.

— კეთილი და პატიოსანიო.

შეიბნენ დევი და უფლისწული. მოიქნია დევმა უფლისწული და მუხლამდე ჩასვა მიწაში. მოიქნია უფლისწულმა დევი და ყელამდე ჩასვა.

— გიჯობნიაო. — უთხრა დევმა: შენ ბატონი და მე ყმაო.

— არ მინდა შენი ყმობაო. — მიუგო უფლისწულმა. — წადი და, საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო.

გაუკვირდა სამთავიან დევს.

— შენისთანა გულკეთილი ჯერ კაცი არ შემხვედრიაო. — უთხრა უფლისწულს. — რაკი თავისუფლება მაჩუქე, სიკეთეს მეც სიკეთით გადაგიხდი. როცა რამე გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და გამოგადგებით.

— რაში უნდა გამომადგეო! — მიუგო უფლისწულმა. — თუ მასწავლი, ამ კოშკს რომ საიდუმლო კარი აქვს, ის კარი როგორ გავაღო, ხომ კარგი, თუ არა და სხვა მე არა მინდა რაო.

— დედაჩემისგან გამიგონია, რომ ის კარი ჯადოსნური გამოცანითაა დაკეტილი, სანამ იმ გამოცანას არ გამოიცნობ, ვერ გააღებო.

— ასეთი რა გამოცანააო?

— სანამ გასვლა გინდოდეს, ვერ გააღო, როცა გააღო, გასვლა აღარ გინდოდესო. — მიუგო სამთავიანმა დევმა. — ამის მეტი არაფერი ვიციო.

— ამისთვისაც გმადლობთ.

ბევრი იფიქრა უფლისწულმა, მაგრამ საიდუმლო კარის გამოცანა ვერ გამოიცნო. საღამო რომ დადგა, დედაბერმა დაუძახა:

— უფლისწულო, მეჩვენეო.

ეჩვენა უფლისწული დედაბერს. შეხედა დედაბერმა და უთხრა:

— უფრო მეტად დაგდებია ლალისფერი. ღონე თუ მოგემატაო?

— მგონი, მომემატაო. — მიუგო უფლისწულმა.

— აბა, ისარი გასტყორცნეო.

გასტყორცნა უფლისწულმა ისარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წავიდა ისარი, წავიდა და ერთი წლის მერე უკანვე დაბრუნდა.

კარგად კი მოგმატებია, მაგრამ ჩემსავით ლონიერი ჯერ კიდევ არა ხარო.

კიდევ გამოხდა ხანი და უფლისწულს ისევ ჩაესმა ძილში ხმა:

— ადექი, უფლისწულო, რამდენი გძინავსო.

გაახილა თვალი უფლისწულმა და ხედავს, ახლა ცხრათავიანი დევი დასდგომია თავს.

— რა გინდა, ცხრათავიანო დევოო?

— ჰკითხა უფლისწულმა.

— ლოინე მერჩის და შენთან შებმა მწადიაო, — მიუგო ცხრათავიანმა დევმა. — თუ გაჯობე, ყმად უნდა დამიდგე, თუ მაჯობე, ყმად დაგიდგებიო.

— კეთილი და ბატონსაბრძანებით.

შეიბნენ ცხრათავიანი დევი და უფლისწული. მოიქნია დევმა უფლისწული და მუხლამდე ჩასვა მიწაში, მოიქნია უფლისწულმა დევი და ყელამდე ჩასვა.

— გიჯობნიათ — უთხრა ცხრათავიანმა დევმა. — შენ ბატონი და მე ყმაო.

— არ მინდა შენი ყმობაო, — მიუგო უფლისწულმა. — წადი და, საცა შენი დაიყვებო, იქ ჩემიცა თქვიო.

გაუკვირდა ცხრათავიან დევს.

— შენისთანა გულკეთილი ჯერ კაცი არ შემხვედრიაო, — უთხრა უფლისწულს. — რაკი თავისუფლებას მაჩუქე, სიკეთეს მეც სიკეთით გადაგიხდი. როცა რამე გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და გამოგადგებიო.

— რაში უნდა გამომადგეო! — მიუგო უფლისწულმა. — თუ მასწავლი, საიდუმლო კარი რომ ჯადოსნური გამოცანითაა დაკეტილი, ის გამოცანა როგორ გამოვიცნო, ხომ კარგი, თუ არა და სხვა მე არა მინდა რაო.

— დედაჩემისგან გამიგონია, ვისაც საიდუმლო კარის გამოცანა უნდა გამოიცნოს, იმან ჯერ ლალისფერი კოშკის გამოცანა უნდა გამოიცნოსო.

— ეგ რაღა გამოცანააო?

—სანამ კოშკში ხარ, კოშკს [illegible] არის რა და, სანამ კოშკს გარეთ არა არის რა, მანამ კოშკიდან ვერ გახვალო. — მიუგო ცხრათავიანმა დევმა. — ამის მეტი არაფერი ვიციო.

— ამისთვისაც გმადლობო.

ბევრი იფიქრა უფლისწულმა, მაგრამ ლალისფერი კოშკის გამოცანა ვერ ვამოიცნო. ძლიერ დაღონდა. აღარ იცოდა რა ექნა. დევებმა რომ შეიტყვეს, უფლისწული დაღონებულიაო, ერთმანეთში მოილაპარაკეს და თქვეს:

— მოდი, დედაჩვენთან მივიდეთ და იმას ვკითხოთ რჩევაო.

მივიდნენ დედასთან.

— დედი, დედი, დედაშვილობას, ერთი რამე უნდა გთხოვოთო.

დევების დედა ამ დროს სადილს ამზადებდა. ვეებერთელა ვარცლში ნაცარი ჩაეყარა, ზედ წყალი დაესხა და ცომს ზელდა. შვილები რომ შემოესხვენენ, ერთი გულსგარეთ დაუტატანა:

— ხომ ხედავთ, თქვენთვის არა მცალია! გასწით ახლავე და, სანამ სადილი გაკეთდება, ეზოში ითამაშეთო.

მაგრამ დევები არ მოეშვნენ, ყელი გაუწვრილეს და მუდარა დაუწყეს:

— დედი, ყური დაგვიგდე, შენი შველა გვინდაო.

— ჩემს შვილებს ისეთი რა გაჭირვება გადგათ, რომ შველა გინდათო?

— გაუკვირდა დევების დედას.

— ჩვენ არაფერი, მაგრამ კოშკში ერთი კეთილი კაცია და იმას უნდა შევლოთ.

ეს რომ დევების დედამ გაიგონა, გაწყრა:

— დამეკარგეთ აქედან, თქვე უდღეურებო! სანამ უნდა იყოთ ასეთი პირაღიები, კეთილი კაცი ვის გაუგონიაო!

— დედი, მამის სულს გეფიცებით, კეთილიაო.

— რა იცით, რომ კეთილიაო?

— სამივეს გვაჯობა, მაგრამ არც დაგვხოცა და არც ყმად გაგვიხადაო.

გაუკვირდა დევების დედას, ეტყობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა კეთილი ყოფილაო, გაიფიქრა და შვილებს ჰკითხა:

— რა გასჭირვებიათ?

— ლალისფერი კოშკიდან წასვლა უნდა და ვერ წასულაო.

— ოო! — ეგ ძნელი საქმეაო, — თქვა დევების დედამ. — რამდენი ხანია, რაც კოშკშიაო?

— ამაღამ შვიდი წელი შესრულდებაო.

— ცუდად ყოფილა მაგისი საქმე. მაშ, ამ საღამოს რომ ისარს გასტყორცნის, ის ისარი უკან აღარ დაბრუნდება. მერე აუწონავ კლდესაც ბუმბულივით აიტაცებს. ხვალ დილით კი ლალისფერი კოშკის დედოფალი ყოვლისმძლეველ ხმალს შემოარტყამს და ხელმწიფედ დასვამსო.

დაღონდნენ დევები.

— ნუთუ აღარაფერი ეშველებაო?

— სანამ დედოფალი ყოვლისმძლეველ ხმალს შემოარტყამს, მანამ თუ ლალისფერი კოშკის გამოცანას გამოიცნობს, ეშველება, თუ არა და არაო. — თქვა დევების დედამ. — მაგრამ ლალისფერი კოშკის გამოცანა ისეთი რამაა, მისი გამომცნობელი ჯერ არ დაბადებულაო.

— დედი, დედი, გევედრებით, თუ რამე შეგიძლია, ნუ დაიზარებ, იქნებ უშველოო.

— შველა არ შემიძლია, მაგრამ ერთ რჩევას კი მივცემო, — თქვა დევების დედამ. — მისი ბედი მისსავე ხელთ არის. ამაღამ სიზმარს ნახავს, კარგად დააკვირდეს და დაიხსომოს. თუ უშველის, ის სიზმარი უშველის. ამის მეტს ვერც ვერას ვიტყვი და ვერც ვერას დავეხმარები. ახლა მომწყდით თავიდან, სადილი მაქვს გასაკეთებელიო.

მიუტანეს დევებმა ამბავი უფლისწულს. უფლისწულმა მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებთო.

საღამო რომ დადგა, დედაბერს უთხრა:

— უფლისწულო, მეჩვენეო.

ეჩვენა უფლისწული დედაბერს. შეხედა დედაბერმა და უთხრა:

— სულ მთლად ლალისფერი დაგდებია. აბა, ერთი, ისარი გასტყორცნეო.

გასტყორცნა უფლისწულმა ისარი. წავიდა ისარი, წავიდა და დაიკარგა. უკან აღარ დაბრუნებულა. გაეხარდა დედაბერს.

— აბა, აუწონავ კლდეს თუ ასწევო.

მივიდა უფლისწული და ბუმბულივით აიტაცა აუწონავი კლდე. კიდევ უფრო გაეხარდა დედაბერს.

— ჩემსავით ლონიერი გამხდარხარ და ეგ არის. მაშ, მოემზადე, ხვალ დილით ყოვლისმძლეველ ხმალს შემოგარტყამ და ხელმწიფედ დაგსვამო.

წამოვიდა უფლისწული დედაბრისგან. გახარებულია, აღარც სადმე წასვლა უნდა და აღარც ბედნიერების ძებნა. მიდის და ფიქრობს: „ნეტა სად ვაპირებდი წასვლას, ამ კოშკს გარეთ ხომ არა არის რაო!"

იმ ღამეს ძილში ერთი მზეთუნახავი გამოეცხადა, თვალი უკეთეს ვერ ნახავდა: ოქროსფერი დალალები ეყარა, თეთრი სამოსი ეცვა და იქაურობას ისეთ ნათელს ჰფენდა, თითქოს მზეს ეუბნებოდა, შენ ჩადიო, მე უნდა ამოვიდეო. უცქერებდა უფლისწული და თვალს ვერ უსწორებდა „უფლისწულო, აღარ აპირებ აქედან წასვლასო?" ჰკითხა მზეთუნახავმა. „სად უნდა წავიდე, ამ კოშკს გარეთ არა არის რაო" — მიუგო უფლისწულმა. „მაშ, იპოვე, რასაც ეძებდიო?" — კიდევ ჰკითხა მზეთუნახავმა. „ვიპოვეო, — მიუგო უფლისწულმა — ხვალ დილით ლალისფერი კოშკის დედოფალი ყოვლისმძლეველ ხმალს შემომარტყამს და ხელმწიფედ დამსვამს. სხვა რაღა მინდაო!" გაიცინა მზეთუნახავმა. „უფლისწულო, უფლისწულო! ნუთუ არ იცი, რომ, სანამ ყოვლისმძლეველი ხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლისმძლეველი ვერ იქნები, რადგან ყოვლისმძლეველი ხარო?“ ესა თქვა მზეთუნახავმა და გაქრა.

გამოეღვიძა უფლისწულს, გაახსენდა სიზმარი და დაიწყო ფიქრი, მაგრამ მზეთუნახავის უცნაურ სიტყვებს ვერა გაუგო რა. დილა რომ გათენდა, დედაბერმა იხმო და უთხრა:

—მოემზადე, უფლისწულო! ჩაიბარე ყოვლისმძლეველი ხმალი. დღეის ამას იქით შენ უნდა იყო ამ კოშკის ხელმწიფე და მბრძანებელიო.

ესა თქვა და ქარქაშიდან ყოვლისმძლეველი ხმალი ამოაძრო. ისეთი ხმალია, ელვასავით ანათებს და ირგვლივ ლალისფერ ნაპერწკლებს აფრქევს. დააბრმავა უფლისწული ყოვლისმძლეველი ხმლის სიკაშკაშემ, აღარც მზეთუნახავი ახსოვს და აღარც მისი ნათქვამი. „ახლა კი ვეწიე ბედნიერებასო.“ — გაიფიქრა და დედაბერს მიუახლოვდა, გაიწოდა ხელი და ის იყო, უნდა ჩამოერთმია ყოვლისმძლეველი ხმალი, რომ რაღაც ხმა შემოესმა: „უფლისწულო, თვალი დახუჭეო!“ დახუჭა უფლისწულმა თვალი და ხედავს, მზით გაჩახჩახებულ მინდორზე მამამისი ულამაზეს ირემს ებაასება. მაშინ ყველაფერი გაახსენდა: მამის ანდერძიც, დევების დედის რჩევაც, მზეთუნახავის ნათქვამიც. გონება ისე გაუნათდა, ყოვლისმძლეველი ხმლის სიკაშკაშეც კი დაჩრდილა.

— რაღას უცდი, აიღე ხმალიო. — უთხრა დედაბერმა.

— არც შენი ხმალი მინდა და არც შენი ხელმწიფობა, უნდა წავიდე აქედანო. — მიუგო უფლისწულმა.

დედაბერი სახტად დარჩა.

— აქ შემოსული ბევრი მინახავს, აქედან გასული კი არავინო.

— მაშ, მე ვიქნები პირველიო.

— გასასვლელი რომ არსადაა, როგორ გახვალო?

— საიდუმლო კარიდან გავალო.

— ვერ გააღებო.

— გამოცანას გამოვიცნობ და გავაღებო.

— საიდუმლო კარის გამოცანა რომ გამოიცნო, ჯერ კოშკის გამოცანა უნდა გამოიცნოო.

— კოშკის გამოცანასაც გამოვიცნობო.

— მაგასაც ვნახავო. — თქვა დედაბერმა.—სანამ კოშკში ხარ, გარეთ არა არის რა, და სანამ გარეთ არა არის რა, კოშკიდან ვერ გახვალ. ეს არის კოშკის გამოცანა და, თუ ბიჭი ხარ, გამოიცანიო.

— სანამ ყოვლისმძლეველი ხარ, ყოვლისმძლეველი ვერ იქნები, რადგან ყოვლისმძლეველი ხარ. ეგ არის მაგ გამოცანის პასუხიო.

— ეგ პასუხი კი არა, რაღაც აბდაუბდააო. — უთხრა დედაბერმა. — განა ჩემს ყოვლისმძლეველობას რამე აკლიაო?

— დიახაც რომ აკლიაო.

— რა აკლიაო?

— ყოვლისმძლეველობაო.

— ისარი ხომ გავტყორცნე და უკან აღარ დაბრუნდაო?

— გასტყორცნეო.

— აუწონავი კლდე ხომ ავწიეო?

— ასწიეო.

— ყოვლისმძლეველი ხმალი ხომ ჩემს ხელთააო?

— შენს ხელთააო.

— აბა, მეტი რაღა გინდაო?

— ღონე ღონეს ამარცხებს, განა ულონობასაცო. — უთხრა უფლისწულმა. — აბა, იმ პატარა ქვაზე შედექიო.

შედგა დედაბერი პატარა ქვაზე.

— აჰა, შევდექიო.

— ახლა ასწიე ეგ ქვა, ზედ რომ დგახარო.

მოეჭიდა დედაბერი იმ ქვას, რომელზედაც იდგა და ძვრა ვერ უყო.

— სანამ იმ ქვას არ ასწევ, რომელზედაც დგახარ, მანამ ვერც ყოვლისმძლეველი იქნები და ვერც შენი კოშკი იქნება მთელი ქვეყნიერებაო. — უთხრა უფლისწულმა.

ეროვნული

კიდევ მოექიდა დედაბერი იმ ქვას, რომელზედაც იდგა, და ძვრა ვერ უყო. მესამედაც რომ მოექიდა და მაინც არა გამოვიდა რა, ერთი საზარელი ხმით დაიწივლა. იმავ წამს იჭექა, იქუხა, ატყდა ზათქი და ზრიალი, საშინელი ქარბორბალა დატრიალდა: ირგვლივ გამაყრუებელი გუგუნი იდგა, ლალისფერი ელვა ელავდა და ცა და მიწა ისე ტორტმანებდა, გეგონებოდათ ერთმანეთს შეასკდნენო. უფლისწულს თავბრუ დაეხვა და ცნობა წაერთვა. გონს რომ მოეგო, ხედავს, სტიქიონი ისევ დამცხრალა; თავად საიდუმლო კარის წინ დგას, კარი ღიაა და ზღურბლზე დედაბერი ჩამდგარა.

— უფლისწულო, გიჯობს უკან დაბრუნდეო. — უთხრა დედაბერმა.

—გზა მომეციო! — დაუტია უფლისწულმა.

— კეთილი, რაკი არ დაგიშლია, წადიო. — უთხრა დედაბერმა. — მაგრამ იცოდე, ამ კარს ისე ვერ გასცდები. მთელი შენი ძალ-ღონე აქ არ დატოვოო.

ერთი კი შეკრთა უფლისწული, მთელი ჩემი ძალ-ღონე აქ თუ დავტოვე, რაღა მეშველებაო, მაგრამ მამის ანდერძი მოაგონდა და გაბედულად გადააბიჯა ზღურბლს. წამსვე საიდუმლო კარიც გაქრა, დედაბერიც და ლალისფერი კოშკიც. უფლისწულის მთელი ძალ-ღონეც იმ კოშკთან ერთად გაქრა.

განაგრძო გზა. მიდის და უკან არა რჩება რა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ისევ შემოაღამდა ერთ ულრან ტყეში. გაიხედა და ხედავს, შორს ოქროსფრად რაღაც ანათებს. „იქნებ ღვთისნიერი ვინმე იყოს და ღამე გამათევინოსო". — იფიქრა უფლისწულმა და იმ ოქროსფერი სინათლისაკენ წავიდა. მიდის და, რაც უფრო უახლოვდება, სინათლეც მით უფრო მატულობს. ბოლოს ერთ უშველებელ ოქროსფერ კოშკს მიადგა. იმოდენაა, წვერით ცასა წვდება. ირგვლივ ალმასის გალავანი არტყია. შემოუარა უფლისწულმა გალავანს და ჭიშკარი იპოვა. მიადგა იმ ჭიშკარს და დაიძახა:

— ეჰეი, მასპინძელო, სტუმარს არ მიიღებო?

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისააო, — მოისმა შიგნიდან ხმა და ჭიშკარი თავისით გაიღო.

შევიდა უფლისწული და ხედავს, ოქროს კოშკის ირგვლივ თვალწარმტაცი ბაღია გაშენებული. ხეებს ტანი ალმასისა აქვთ, ფოთლები ზურმუხტისა და ნაყოფი ოქროსი; ბაღში ბროლის შადრევანი ჩქეფს და იქაურობას საამოდ აგრილებს. უყურებს უფლისწული ბაღს და თვალს ვერ აშორებს. ამ დროს კოშკიდან მზეთუნახავი გამოვიდა. ოქროსფერი დალალები ეყარა, თეთრი სამოსი ეცვა და ისეთი მშვენიერი იყო, მზეს ეუბნებოდა, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო. შეხედა უფლისწულმა მზეთუნახავს და თაყვანი სცა.

— ვინა ხარ და საიდან მოდიხარო? — ჰკითხა მზეთუნახავმა.

— ამა და ამ ხელმწიფის შვილი ვარ. ბედნიერების საძებნელად წამოვედი და გზაში შემომაღამდა. ღამეს ვერ გამათევინებო?

— რატომაც ვერაო. — მიუგო მზეთუნახავმა და უფლისწულს კოშკში შეუძღვა.

კოშკში ერთი თვალუწვდენელი დარბაზი იყო. ჭერში ნატვრისთვალი ეკიდა და იქაურობას ანათებდა.

— დაბრძანდიო. — უთხრა უფლისწულს მზეთუნახავმა.

— სკამი რომ არსადააო? — გაუკვირდა უფლისწულს.

— ნატვრისთვალო, ნატვრისთვალო, შენს ყოვლისშემძლეობას, საუკეთესო სკამი მოართვი უფლისწულსო. — ბრძანა მზეთუნახავმა და იმავ წამს უფლისწულის გვერდით ოქროს სავარძელი გაჩნდა.

დაჯდა თუ არა უფლისწული, მზეთუნახავმა ბრძანა:

ნატვრისთვალო, ნატვრისთვალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს ყოვლისშემძლეობას, სუფრა გაუშალე უფლისწულსო.

მყისვე უფლისწულის წინ ოქროს მაგიდა გაჩნდა. მაგიდაზე ორი თეფში დგას. ერთზე ოქრო ყრია, მეორეზე ბროლი.

— ნამგზავრი ხარ, მოშიებული იქნებით, — უთხრა მზეთუნახავმა. — ივახშმე და მერე მოისვენეო.

— აქ რომ სასმელ-საჭმელს ვერა ვხედავო? — გაუკვირდა უფლისწულს.

— ეს ნატვრის სუფრააო, — მიუგო მზეთუნახავმა. — ოქროს ნატეხს რომ პირში ჩაიდებ, რა საჭმელიც გეამება, იმ საჭმელად იქცევა; ბროლის ნატეხს რომ პირში ჩაიდებ, რა სასმელიც გეამება, იმ სასმელად იქცევაო.

შეექცა ვახშამს უფლისწული. მართლაც ყველაფერი ისე იყო, როგორც მზეთუნახავმა თქვა. ნავახშმევს მზეთუნახავმა საუკეთესო ოთახი მიუჩინა. იმ ღამეს უფლისწულმა კარგად გამოიძინა, დილით მადლობა გადაუხადა მზეთუნახავს და უთხრა:

— ახლა კი ჩემი გზით წავალო.

— წადი, ია და ვარდი გფენიაო. — მიუგო მზეთუნახავმა.

გამოვიდა უფლისწული კოშკიდან და წავიდა ჭიშკრისაკენ. მიდის უფლისწული და ატყობს, რომ რაღაც ძალა უკან ეწევა. რაც უფრო უახლოვდება ჭიშკარს, ის ძალა მით უფრო მეტად ეწევა უკან. იწვალა უფლისწულმა, იწვალა, ბოლოს დაღლილ-დაქანცული შეჩერდა. მზეთუნახავი კი უყურებს და იცინის.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ის მაცინებს, რომ აქ შემოსული ბევრი მინახავს, აქედან გასული კი არავინო.

— რა არის ასე რომ მეწევა უკანო?

— ნატვრისთვალიო. — მიუგო მზეთუნახავმა. — ქვეყნად ჯერ ისეთი სულიერი და დაბადებულა, ნატვრისთვალს გაქცეოდესო.

დაღონდა უფლისწული.

— რამ დაგაღონა, განა ბედნიერების საძებნელად არა ხარ წამოსულიო? — უთხრა მზეთუნახავმა.

— სწორედ იმან დამაღონა, რომ ბედნიერების საძებნელად ვარ წამოსული და ამ კოშკიდან კი ვერ გამიღწევიაო.

გაიცინა მზეთუნახავმა.

— სად უნდა წახვიდე, სულ ერთია, ამ კოშკს გარეთ არა არის რა, ეს კოშკია მთელი ქვეყნიერება. შვიდ წელიწადში ყველა ნატვრა შეგისრულდება და სულ ერთიანად ოქროსფერი დაგედება. შვიდი წლის თავზე ტახტზე დაგსვამ; შენ ხელმწიფე იქნები, მე დედოფალი, ეს ნატვრის თვალი კიდევ ჩვენი ერთგული მსახური. ამაზე მეტი ბედნიერება რაღა გინდაო.

არ დაუჯდა ჭკუაში უფლისწულს მზეთუნახავის ნათქვამი, მაგრამ რა ექნა? ძალა იმას აღარ ჰქონდა და ლონე, დარჩა ოქროსფერ კოშკში. თუ რამეს ინატრებდა, ნატვრისთვალი წამსვე უსრულებდა. რაც უფრო მეტი ნატვრა უსრულდებოდა, უფლისწულს უფრო-და-უფრო ედებოდა ოქროსფერი და თვითონ ნატვრისთვალსაც უფრო-და-უფრო ემატებოდა ბრწყინვალება. უფლისწულმა იცოდა, როდესაც სულ მთლად ოქროსფერი გახდებოდა, სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო მზეთუნახავისა და მისი ნატვრისთვალის ტყვეობაში. ამიტომ ცდილობდა არა ენატრა რა. ცდილობდა, მაგრამ ვერაფერი გაეწყო. რაზეც არ უნდა დაეწყო ფიქრი, მაინც ნატვრა გამოსდიოდა. თავიდან უძალიანდებოდა უფლისწული, მერე და მერე შეეჩვია და ბოლოს სიამოვნებდა კიდეც, რომ ნატვრისთვალი ყველა ნატვრას უსრულებდა. წამოწვებოდა მხართეძოზე და ხან რას ინატრებდა, ხან რას.

შვიდი წელი რომ გავიდა, ხედავს, სულ ერთიანად ოქროსფერია, ნატვრისთვალი კი ისე ბრჭყვიალებს, კაშკაშა სინათლის მეტი ირგვლივ აღარა ჩანს რა. მაშინ მზეთუნახავმა უთხრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოემზადე, უფლისწულო, ხვალ დილით ტახტზე უნდა დაჯდე. შენ ხელმწიფე იქნები, მე დედოფალი, ეს ნატვრის თვალი კი ჩვენი ერთგული მსახური.

წამოვიდა უფლისწული მზეთუნახავისგან. გახარებულია, აღარც სადმე წასვლა უნდა და აღარც ბედნიერების ძებნა; მოდის და ფიქრობს: „რა სულელი ვიყავი, აქედან წასვლას რომ ვაპირებდი. ამ კოშკს გარეთ ხომ არა არის რაო!“

იმ ღამეს ძილში ერთი მოხუცი გამოეცხადა. ცისფერთვალა იყო, ცისფერი სამოსი ემოსა და ცისფრისავე თმაწვერი ჰქონდა. „უფლისწულო! აღარ აპირებ აქედან წასვლასო?“ — ჰკითხა მოხუცმა. „სად უნდა წავიდე ამ კოშკს გარეთ არა არის რაო!“ — მიუგო უფლისწულმა. „მაშ, იპოვე, რასაც ეძებდიო?“ — კიდევ ჰკითხა მოხუცმა. „ვიპოვეო. — მიუგო უფლისწულმა. — ხვალ დილით ნატვრის ტახტზე დავჯდები, ნატვრის დედოფალს ცოლად შევირთავ და ყოვლისშემძლე ნატვრისთვალს მსახურად დავისვამ. სხვა ამის მეტი რაღა მინდაო!“ „ეჰ, უფლისწულო, უფლისწულო! ნუთუ არ იცი, რომ, სანამ ნატვრისთვალი ყოვლისშემძლეა, ყოვლისშემძლე ვერ იქნები, რადგან ყოვლისშემძლეაო?“ ეს თქვა მოხუცმა და გაქრა.

გამოეღვიძა უფლისწულს, გაახსენდა სიზმარი და დაიწყო ფიქრი. მაგრამ მოხუცის უცნაურ სიტყვებს ვერა გაუგო რა. დილა რომ გათენდა, მზეთუნახავმა იხმო. — უფლისწული დიდ დარბაზში შევიდა. ხედავს, მზეთუნახავი ტახტზე ზის, ნატვრისთვალი კი ელვასავით ანათებს და ირგვლივ ოქროსფერ პეროწკლებს აფრქვევს.

— მოდი, უფლისწულო, გვერდით ჩამოჯექიო. — უთხრა მზეთუნახავმა. — დღეის ამას იქით შენ ნატვრის ხელმწიფე იქნები, მე ნატვრის დედოფალი, ეს ნატვრისთვალი კი ჩვენი ერთგული მსახური იქნებაო.

დააბრმავა უფლისწული ნატვრისთვალის სიკაშკაშემ, აღარც ცისფერი მოხუცი ახსოვს და აღარც მისი ნათქვამი. „როგორც იქნა ვეწიე ბედნიერებასო“. — გაიფიქრა და მზეთუნახავს მიუახლოვდა. ისაა ტახტზე უნდა ავიდეს, რომ რაღაც ხმა ჩაესმა: „უფლისწულო, თვალი დახუჭეო!“ დახუჭა უფლისწულმა თვალი და ხედავს, მზით გაჩახჩახებულ მინდორზე მამამისი ულამაზეს ირემს ებაასება. მაშინ ყველაფერი გაახსენდა: მამის ანდერძიც, ცისფერი მოხუციც, ცისფერი მოხუცის ნათქვამიც. გონება ისე გაუნათდა, ნატვრისთვალის სიკაშკაშეც კი დაჩრდილა.

— რაღას უცდი, უფლისწულო, ამოდი ტახტზეო. — უთხრა მზეთუნახავმა.

— არაო. — მიუგო უფლისწულმა. — არც შენი ტახტი მინდა და არც შენი ნატვრისთვალი. უნდა წავიდე აქედანო.

— სად უნდა წახვიდე, ამ კოშკს გარეთ არა არის რაო! — გაუკვირდა მზეთუნახავს. — აკი გითხარი, აქ შემოსული ბევრი მინახავს, აქედან გასული კი არავინო.

— მე გავალო.

— ყოვლისშემძლე ნატვრისთვალს ჯერ არავინ გაქცევიაო.

— მე გავექცევიო.

— გასვლა თუ არა გწადია, ისე ვერ გახვალ და, გასვლა თუ მოიწადინე, ყოვლისშემძლე ნატვრისთვალი დაგიჭერს. რაც უფრო მეტად მოიწადინებ გასვლას, მით უფრო მეტი ძალით დაგიჭერს. ამაზე რაღას იტყვიო?

— მაგაზე იმას ვიტყვიო, — მიუგო უფლისწულმა. — რომ, სანამ ნატვრისთვალი ყოვლისშემძლეა, ყოვლისშემძლე ვერ იქნება, რადგან ყოვლისშემძლეაო.

— ეგ პასუხი კი არა რაღაც აბდაუბდააო. — უთხრა მზეთუნახავმა. — განა რა აკლია ნატვრისთვალის ყოვლისშემძლეობასო?

77
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ყოვლისშემძლეობაო. — მიუგო უფლისწულმა. — თუ მართლა ყოვლისშემძლეა, მაშინ ისეთი ნატვრა მანატროს, რომელსაც ვერ შემისრულებსო.

— ნატვრისთვალო, ნატვრისთვალო, შენს ყოვლისშემძლეობას, ისეთი ნატვრა ანატრე უფლისწულს, რომელსაც ვერ შეუსრულებო. — უბრძანა ნატვრისთვალს მზეთუნახავმა.

მისჩერებიან უფლისწული და მზეთუნახავი ნატვრისთვალს და ელიან. ბევრს ეცადა ნატვრისთვალი, ისეთი ნატვრა ენატრებინა უფლისწულისთვის, რომელსაც ვერ შეუსრულებდა, მაგრამ ვერას გახდა. მაშინ მოაკლდა ბრწყინვალება ნატვრისთვალს. თანდათან ჩაიბჟუტა და ჩაქრა. ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწვა. იმავ წამს იჭექა, იქუხა, ატყდა ზათქი და ზრიალი, საშინელი ქარბორბალა დატრიალდა; გამაყრუებელი გუგუნი იდგა, ოქროსფერი ელვა ელავდა და ცა და მიწა ისე ტორტმანებდა, გეგონებოდათ ერთმანეთს შეასკდნენო. უფლისწულს თავბრუ დაეხვა და ცნობა წაერთვა. გონს რომ მოეგო, ხედავს, სტიქიონი ისევ დამცხრალა; თავად გალავნის ჭიშკართან დგას. ჭიშკარი ღიაა და ზღურბლზე მზეთუნახავი ჩამდგარა.

— დარჩი, უფლისწულო, მარტო ნუ დამტოვებო! — შეეხვეწა მზეთუნახავი.

— არ შემიძლიაო. — მიუგო უფლისწულმა. — აღთქმა მაქვს დადებული. სანამ პირში სული მიდგას, ბედნიერება უნდა ვეძიოო.

— რაკი არ დაგიშლია, წადიო. — უთხრა მზეთუნახავმა. — მაგრამ იცოდე, ამ ჭიშკარს ისე ვერ გასცდები, ყველა შენი ნატვრა აქ არ დატოვოო.

ერთი კი შეკრთა უფლისწული, ყველა ნატვრა აქ თუ დავტოვე, ბედნიერება როგორღა ვეძიოო, მაგრამ მაინც ანდერძი მოაგონდა და გაბედულად გადააბიჯა ზღურბლს. წამსვე მზეთუნახავიც გაქრა, ალმასის გალავანიც და ოქროს კოშკიც. უფლისწულის ყველა ნატვრაც იმ კოშკთან ერთ[illegible]

განაგრძო გზა. აღარც ძალ-ღონე აქვს, აღარც რაიმე ნატვრა, მაგრამ მაინც მიდის. მიდის და უკან არა რჩება რა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ისევ შემოაღამდა ერთ უღრან ტყეში. გაიხედა და ხედავს, შორს ცისფრად რაღაც ანათებს. „იქნებ ღვთისნიერი ვინმე იყოს და ღამე გამათევინოსო". — იფიქრა უფლისწულმა. და იმ ცისფერი სინათლისაკენ წავიდა. მიდის და, რაც უფრო უახლოვდება, სინათლეც მით უფრო მატულობს. ბოლოს ერთ უშველებელ ცისფერ კოშკს მიადგა. იმოდენაა, წვერით ცასა წვდება. კოშკს ოთხი კარი აქვს და ოთხივე ყურთამდე ღიაა. შეიხედა უფლისწულმა, ხედავს ერთი თვალუწვდენელი დარბაზია. დარბაზი ცარიელია. არც არავინაა შიგ და არც არაფერია. „შევალ, რაც არის არისო". — იფიქრა უფლისწულმა. მაგრამ, შედგა თუ არა ფეხი, უეცრად იატაკი გაიხსნა და უფლისწული ბნელ უფსკრულში დაინთქა. მიქრის უფლისწული უფსკრულში და უფსკრულს ბოლო არ უჩანს. ბევრი იქროლა თუ ცოტა, ბოლოს კვლავ ერთ ცისფერ დარბაზში ჩაეშვა. ეს დარბაზიც ისეთივეა, როგორც ზედა დარბაზი იყო, ოღონდ კარი არა აქვს და შუაგულში ერთი ქვევრი დგას. შეჩერდა უფლისწული და იქაურობას თვალიერება დაუწყო. უცებ ხმა შემოესმა:

— ბედნიერი იყოს, უფლისწულო, შენი ფეხი ჩემს საბრძანებელშიო. — და ამ სიტყვებზე ქვევრიდან ერთი მოხუცი ამოვიდა. სულ ერთიანად ცისფერია, ცისფერი თვალები აქვს, ცისფერი პირისახე, ცისფერი თმა-წვერი; ტანზეც ცისფერი სამოსი აცვია.

— რა იცი. რომ უფლისწული ვარო? — ჰკითხა გაკვირვებულმა უფლისწულმა.

— ვიციო. — მიუგო მოხუცმა. — ამა და ამ ხელმწიფის შვილი ხარ, ბედნიერების საძებნელად წამოხვედი. გზა-

ში შემოგალამდა და ღამის გასათევად გვესტუმრე. ხომ მართალიაო?

— გულთმისანი ყოფილხარო, — უთხრა უფლისწულმა.

— გულთმისანი არა ვარ, მაგრამ სიბრძნის ხელმწიფე კი ვარ და ყოვლისმცოდნე ქვევრის პატრონიო.

სიბრძნის ხელმწიფემ საუკეთესო ოთახი მიუჩინა უფლისწულს. უფლისწულმა იმ ღამეს კარგად გამოიძინა, დილით მადლობა გადაუხადა მასპინძელს და წასვლა დააპირა.

— სად მიდიხარ, ამ კოშკს გარეთ არა არის რა, ეს კოშკია მთელი ქვეყნიერებაო. — უთხრა სიბრძნის ხელმწიფემ. — ბედნიერებას თუ ეძებ, ბედნიერების ამბავს ჩემი ყოვლისმცოდნე ქვევრი გეტყვის. ჩასძახე, რაც გინდა და წამსვე პასუხს ამოგძახებსო.

დაუჯერა უფლისწულმა სიბრძნის ხელმწიფეს, მივიდა ყოვლისმცოდნე ქვევრთან და ჩასძახა:

— ყოვლისმცოდნე ქვევრო! შენს ყოვლისმცოდნეობას, ამდენი ხანია ბედნიერებას დავეძებ და ჯერ კვალიც კი ვერ მიპოვნია. მირჩიე, როგორ მოვიქცეო.

ქვევრმა ცისფერი ოხშივარი ამოუშვა და მიუგო:

— გარეთ რას ეძებ, ადამიანო, ბედნიერებას, ბედნიერება შენშივეაო.

— მაშინ ამოდენა გზა ტყუილუბრალოდ გამოვიარეო?

— ტყუილუბრალოდ რად გამოიარე! ადამიანმა დიდი გზა უნდა გაიაროს, სანამ თავის თავს მიაღწევდესო.

— ჩემს თავს რომ მივაღწევ, მერე რაღა ვქნა, ბედნიერება როგორ ვიპოვოო?

— ცნობისწადილის ხიდი უნდა გადაიარო და ბედნიერი შეიქნებიო.

— ცნობისწადილის ხიდს სხვაგან სად გადავალ, თუ არა სიბრძნის კოშკშიო! — თქვა უფლისწულმა. მერე სიბრძნის ხელმწიფეს მიუბრუნდა: — დავრჩები აქ და შეგირდად მოგებარებიო.

— ძალიან კარგიო. — მიუგო სიბრძნის ხელმწიფემ. — შვი[illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა ყველაფერს ისწავლი, შვიდი წლის შემდეგ კი, როდესაც მე ყავლი გამივა, ყოვლისმცოდნე ქვევრში ჩაგსვამ და ჩემს მემკვიდრედ დაგტოვებო.

დარჩა უფლისწული სიბრძნის კოშკში. რაც რამ აინტერესებს, ჩასძახებს ყოვლისმცოდნე ქვევრს, ისიც ცისფერ ოხშივარს ამოუშვებს და ყველაფერზე წამსვე პასუხს იძლევა.

— ადამიანი რა არისო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ადამიანი სხივია, რომელიც სამყაროს შემოუვლის და ისევ თავის ვარსკვლავს უბრუნდებაო.

— რამდენ ხანში უბრუნდებაო?

— ათასჯერ რომ მოკვდება და ათასჯერ რომ დაიბადებაო.

— ამდენი ხანი რატომ სჭირდებაო?

— იმიტომ სჭირდება, რომ, როდესაც სხივად გამოიტყორცნება, ადამიანი ცეცხლია, ცეცხლის საზღვარს რომ გადააბიჯებს, ჰაერი ხდება, ჰაერის საზღვარს რომ გადააბიჯებს, წყალი ხდება, წყლის საზღვარს რომ გადააბიჯებს, მიწა ხდება. საბოლოოდ ცეცხლიც არის, ჰაერიც, წყალიც და მიწაც. რაც ცეცხლია, ცეცხლისკენ ეწევა, რაც ჰაერია, ჰაერისკენ ეწევა, რაც წყალია, წყლისკენ ეწევა, რაც მიწაა, მიწისკენ ეწევა. ამიტომ ადამიანი იბნევა და აღარ იცის, საით წავიდეს. სანამ მთელ სამყაროს არ შემოივლის, გზას ვერ იგნებსო.

— სამყარო რაღააო?

— სამყარო მოძრაობააო.

— მოძრაობა რაღააო?

— მოძრაობა ერთის მრავალსახეობააო.

— ერთი რაღააო?

— ერთი სამყაროს დასაბამიაო.

— სამყაროს დასაბამი რაღააო?

— სამყაროს დასაბამი რიცხვია. თავდაპირველად იყო ერთი, ერთისგან წარმოიქმნა ორი, ორისგან კი უთვალავიო.

ყველაფერი იცოდა სიბრძნის კოშკის ჯადოსნურმა ქვევრმა: ბევრი რამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო უფლისწულმა მისგან. გაიგო, რატომ არის ცა მაღალი და რისთვის ანათებენ ვარსკვლავები, რა დევს დედამიწის გულში და რატომ მოძრაობს ძარღვებში სისხლი, როგორ დაფრინავს ჩიტი და რამ გაუბოროტა გული ადამიანს, როგორ ენაცვლება ღამეს დღე და რატომაა აზრი ყოვლის უსწრაფესი. ბევრი რამ გაიგო უფლისწულმა და, რაც უფრო მეტს იგებდა, მით უფრო მეტად ედებოდა ცისფერი. ბოლოს, შვიდი წელი რომ გავიდა და უფლისწული სულ ერთიანად ცისფერი გახდა, სიბრძნის ხელმწიფემ უთხრა:

— ახლა შენ ყველაფერი იცი. ხვალ ყოვლისმცოდნე ქვევრში ჩაგსვამ და ხელმწიფობას გადმოგილოცავო.

გახარებული წამოვიდა უფლისწული, როგორც იქნა ვეწიე ბედნიერებასო, ფიქრობდა გულში.

იმ ღამეს ძილში უცხო რამ სულიერი გამოეცხადა. არც თავი ჰქონდა, არც ტანი, არც ხელ-ფეხი. მარტო ის დაინახა უფლისწულმა, რომ მისი ოთახი დღესავით განათდა. „უფლისწულო! აღარ აპირებ აქედან წასვლასო?“ — ჰკითხა თეთრმა სინათლემ. „სად უნდა წავიდე, ამ კოშკს გარეთ არა არის რაო!“ — მიუგო უფლისწულმა. „მაშ, იპოვე, რასაც ეძებდიო?“ — კიდევ ჰკითხა თეთრმა სინათლემ. „ვიპოვეო. — მიუგო უფლისწულმა. — ხვალ დილით ყოვლისმცოდნე ქვევრში ჩავალ და სიბრძნის კოშკის ხელმწიფე გავხდები. სხვა ამის მეტი რაღა მინდაო!“ „ეჰ, უფლისწულო, უფლისწულო! ნუთუ არ იცი, რომ, სანამ ყოვლისმცოდნე ხარ, ყოვლისმცოდნე ვერ იქნები, რადგან ყოვლისმცოდნე ხარო?“ — ესა თქვა თეთრმა სინათლემ და გაქრა.

გამოეღვიძა უფლისწულს, გაახსენდა სიზმარი და დაიწყო ფიქრი, მაგრამ თეთრი სინათლის უცნაურ სიტყვებს ვერა გაუგო რა. დილა რომ გათენდა, სიბრძნის ხელმწიფემ იხმო. უფლისწული დიდ დარბაზში შევიდა. აქაურობა სულ ერთიანად ცის[illegible]ნათებული.

— უფლისწულო! მე უკვე გამივიდა ყავლი. ჩადი ყოვლისმცოდნე ქვევრში: დღეის ამას იქით შენ იქნები აქაურობის ბატონ-პატრონიო. — უთხრა სიბრძნის ხელმწიფემ.

დააბრმავა უფლისწული ცისფერმა შუქმა. აღარც თეთრი სინათლე ახსოვს და აღარც მისი ნათქვამი. მივიდა ქვევრთან, ისაა უნდა ჩავიდეს კიდეც, რომ რაღაც ხმა ჩაესმა: „უფლისწულო, თვალი დახუჭეო!“ დახუჭა უფლისწულმა თვალი და ხედავს, მზით გაჩახჩახებულ მინდორზე მამამისი ულამაზეს ირემს ებაასება. მაშინ ყველაფერი გაახსენდა: მამის ანდერძიც, თეთრი სინათლეც, თეთრი სინათლის ნათქვამიც. გონება ისე გაუნათდა, ყოვლისმცოდნე ქვევრის სიკაშკაშეც კი დაჩრდილა.

— რაღას უცდი, უფლისწულო, ჩადი ყოვლისმცოდნე ქვევრშიო. — უთხრა სიბრძნის ხელმწიფემ.

— არაო. — მიუგო უფლისწულმა. — უნდა წავიდე აქედანო.

— სიბრძნის კოშკს იქით სად უნდა წახვიდეო? — გაუკვირდა სიბრძნის ხელმწიფეს. — ყოვლისმცოდნე ქვევრის უკეთესს სად რას იპოვიო?

— სანამ ყოვლისმცოდნე ხარ, ყოვლისმცოდნე ვერ იქნები, რადგან ყოვლისმცოდნე ხარო. — უთხრა უფლისწულმა.

— განა ამ ქვევრის ყოვლისმცოდნეობას რამე აკლიაო?

— ყოვლისმცოდნეობაო.

— ისეთი რა ჰკითხე, რომ პასუხი ვერ მოგცაო?

— ახლა ვკითხავო. — მიუგო უფლისწულმა. — თუ ამ კითხვაზე მიპასუხებს, დავიჯერებ, რომ ყოვლისმცოდნე ყოფილაო.

ჰკითხეო.

— ყოვლისმცოდნე ქვევრო, შენს ყოვლისმცოდნეობას, თუკი თავდაპირველად იყო ერთი და ერთისგან წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა ორი, მაშ მითხარი, ერთი მეტია თუ ორიო?

ყოვლისმცოდნე ქვევრმა ცისფერი ოხშივარი ამოუშვა. უფლისწული და სიბრძნის ხელმწიფე უყურებენ და ელიან. ქვევრმა კიდევ ამოუშვა ცისფერი ოხშივარი. თქმით კი არაფერს ამბობს. მესამედაც რომ ამოუშვა ცისფერი ოხშივარი და მაინც არაფერი თქვა, უეცრად ჩამობნელდა. იმავ წამს იჭექა, იქუხა, ატყდა ზათქი და ზრიალი, საშინელი ქარბორბალა დატრიალდა; გამაყრუებელი გუგუნი იდგა, ცისფერი ელვა ელავდა და ცა და მიწა ისე ტორტმანებდა, გეგონებოდათ ერთმანეთს შეასკდნენო. უფლისწულს თავბრუ დაეხვა და ცნობა წაერთვა. გონს რომ მოეგო, ხედავს, სტიქიონი ისევ დამცხრალა. თავად კოშკის კართან დგას. კარის ზღურბლზე სიბრძნის ხელმწიფე ჩამდგარა.

— ვხედავ, არ იშლი წასვლას, უფლისწულო, — უთხრა სიბრძნის ხელმწიფემ. —მაგრამ იცოდე, ამ კარს ისე ვერ გასცდები, მთელი შენი ცოდნა აქ არ დატოვოო.

ერთი კი შეკრთა უფლისწული, მთელი ცოდნა თუ აქ დავტოვე, ბედნიერება როგორღა ვეძიოო, მაგრამ მამის ანდერძი მოაგონდა და გაბედულად გადააბიჯა ზღურბლს. წამსვე სიბრძნის ხელმწიფეც გაქრა და მისი კოშკიც. უფლისწულის მთელი ცოდნაც იმ კოშკთან ერთად გაქრა.

განაგრძო გზა. აღარც ძალ-ღონე აქვს, აღარც ნატვრა, აღარც ცოდნა. მაინც მიდის. მიდის და უკან არა რჩება რა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ გამოქვაბულს მიადგა. გამოქვაბული ისეთი ვიწროა, შიგ ადამიანი ვერ შეეტევა. შემოსავლელიც არსაითაა, რადგან ყოველი მხრიდან ბნელი უფსკრული შემოსდგომია. რა ექნა უფლისწულს? სხვა გზა არ ჰქონდა, ადგა და რის ვაივაგლახით შევიდა გამოქვაბულში. მიარღვევს გამოქვაბულს და მიდის. ცოტა რომ გაიარა, ხედავს, ძალის ქვეყანაში ორი ყოვლისმძლეველი დედოფალია. ერთი ქვაზე დგას და ცდილობს ის ქვა ასწიოს, რომელზედაც დგას, მეორე კი უყურებს და იცინის. გასცდა უფლისწული ძალის ქვეყანას და ახლა ნატვრის ქვეყანას მიადგა. ხედავს, აქაც ორი ნატვრის მზეთუნახავია; ერთი ნატვრისთვალს შესცქერის და ევედრება, „ნატვრისთვალო, ნატვრისთვალო, შენს ყოვლისშემძლეობას, ისეთი ნატვრა მანატრე, რომელსაც ვერ შემისრულებო“, მეორე კი უყურებს და იცინის. გასცდა უფლისწული ნატვრის ქვეყანასაც და ახლა სიბრძნის ქვეყანას მიადგა. ხედავს, აქაც ორი სიბრძნის ხელმწიფეა, ერთი ყოვლისმცოდნე ქვევრს შესცქერის და ევედრება, „ქვევრო, ქვევრო, შენს ყოვლისშემძლეობას, აბა კარგად დაფიქრდი, იქნებ გამოიცნო, ერთი მეტია ორზე თუ ორი მეტია ერთზეო“. მეორე კი უყურებს და იცინის. გასცდა უფლისწული სიბრძნის ქვეყანასაც. იარა, იარა და ხედავს, ერთ სასახლეში ორი დედოფალია. დგანან ეს დედოფლები და კამასობენ, არა მე უფრო ლამაზი ვარ და არა მეო. გასცდა უფლისწული მოშურნე დედოფლებს. ხედავს, ორი ძმა გაყრილა და ცალცალკე დასახლებულა. უმცროსი რომ დაიძინებს, უფროსი მის ეზოში შეიპარება და სარჩო-საბადებელს ჰპარავს, ჩემს შვილებს მეტი ჭამა უნდაო; უფროსი რომ დაიძინებს, უმცროსი შეიპარება მის ეზოში და ახლა ის ჰპარავს სარჩო-საბადებელს, ჩემს შვილებს მეტი ჭამა უნდაო. გასცდა უფლისწული ქურდ ძმებს. ხედავს, ორი ხელმწიფეა; ხელმწიფეებს ერთიმეორე სძულთ, ხმლებით მიიწევენ ერთმანეთზე და სასიკვდილოდ იმეტებენ ერთმანეთს. გასცდა უფლისწული მოძულე ხელმწიფეებს. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გამოქვაბულის ბოლოში გავიდა. გაიხედა და ხედავს, არც მიწაა, არც ცა, არც დღეა, არც ღამე, არაფერი არ არის ისეთი, რომ კაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვას, ესა და ეს არისო. შეკრთა უფლისწული, მაგრამ მამის ანდერძი გაახსენდა და გააბიჯა გამოქვაბულიდან. იმავ წამს გამოქვაბული გაქრა. დარჩა უფლისწული სიცარიელეში. უცებ შორს თეთრი ღრუბლები გამოჩნდა. დაინახა თუ არა უფლისწულმა თეთრი ღრუბლები, თვითონაც თეთრ ღრუბლად იქცა, ხოლო მისირგვლივ ფერების ქარავანი გაჩნდა. მიცურავს ღრუბელი-უფლისწული, მიჰყვებიან ფერები, ლივლივებენ, ხტიან, ეთამაშებიან და ისე წკრიალებენ, რომ ამაზე უფრო ტკბილი ჰანგები უფლისწულს თავის დღეში არ მოუსმენია. დიდხანს იცურა ასე ღრუბელმა-უფლისწულმა თუ ცოტა ხანს, ბოლოს მიადგა ბედნიერების უკიდეგანო ზღვას, რომელსაც სახელი აქვს ზღვისა, თორემ ისე ზღვა არ არის. უახლოვდება უფლისწული ზღვას. ხედავს, რომ როგორც კი ამ ზღვაში დაინთქმება, ბედნიერებას ეწევა. მიდის უფლისწული ზღვისკენ და მოდის ზღვა უფლისწულისკენ. მაგრამ იმ დროს, როცა ერთმანეთს მიადგნენ, უეცრად რაღაცამ დაკვესა, სამმა ელვამ — ლალისფერმა, ოქროსფერმა და ცისფერმა — ერთად იელვა და უფლისწულმა ძმა დაინახა. ძმას ხელები სისხლით ჰქონდა მოთხვრილი და გულისპირზეც სისხლი ეცხო. მაშინვე ზღვა უკუიქცა და გაუჩინარდა. გაკვირვებულმა უფლისწულმა მიიხედ-მოიხედა; ხედავს, ირგვლივ ტრიალი მინდორია და თვითონ ამ მინდვრის შუაგულში დგას. უეცრად ტკბილზე ტკბილი ხმა მოესმა:

— უფლისწულო, უფლისწულო!

უფლისწულმა ყური მიუგდო. ხმა მისივე მკერდიდან მოდიოდა. გამოვიდა ხმა მკერდიდან, შრიალით მიმოიბნა მინდორში და იქაურობა ულამაზეს წალკოტად აქცია: მერე ერთ ადგილას შეიკრიბა და, საცა შეიკრიბა, იქ უმშვენიერესი ქალწული გაჩნდა.

— რატომ არ შეხვედი, უფლისწულო, ბედნიერების ზღვაში, განა ამისთვის არ იყავი წამოსულიო? ქალწულმა.

— ამისთვის ვიყავი წამოსული, — მიუგო უფლისწულმა, — მაგრამ ბედნიერების ზღვას რომ მივადექი, უცებ ძმა დავინახე, ხელები სისხლში ჰქონდა მოთხვრილი და გულისპირზეც სისხლი ეცხოთ.

— მერე მაგან დაგალონა? ბედნიერების ზღვაში ყველა მოგონება გექრებოდაო.

— უნდა დავბრუნდე უკანო, — თქვა უფლისწულმა. — სანამ ძმას სისხლს არ მოვბან, ვერ მოვისვენებო.

— შენ რომ იცოდე, რა ქვეყანაა ეგ ქვეყანა, უკან დაბრუნებას გულშიაც არ გაივლებდიო.

— ასეთი რა არისო?

— წამოდი, გაჩვენებო.

წაიყვანა ქალწულმა უფლისწული და ერთ ბექობთან მიიყვანა.

— აბა გადაიხედეო.

უფლისწულმა გადაიხედა. ხედავს, ქვემოთ თვალუწვდენელი უფსკრულია.

— ხედავო? — ჰკითხა ქალწულმა.

— ვერაო. — მიუგო უფლისწულმა. — თვალუწვდენელი უფსკრულის მეტს ვერაფერს ვხედავო.

— კარგად დააკვირდი და დაინახავო.

დააკვირდა უფლისწული. უყურა, უყურა, დიდხანს უყურა თუ ცოტა ხანს, ბოლოს უფსკრულის ძირას თავისი ქვეყანა დაინახა. ხედავს, სისხლისფერია მისი ქვეყანა. სისხლის მზე ანათებს და სისხლის წვიმა აწვიმს. ქვეყნის შუაში სისხლის მდინარე მოედინება, მდინარის სათავეში გველეშაპი ჩაწოლილა. შეკრთა უფლისწული, შეძრა ამ სანახაობამ, მაგრამ თვალი მაინც არ მოაშორა. უყურა, უყურა და აჰა, ადამიანებიც გამოჩნდნენ. ადამიანები ერთმანეთს დარევიან, კბილებით გლეჯენ ერთმანეთს, ბრჭყალებით ფლეთენ. თქლაფათქლუფით ჭამენ ერთმანეთის ხორცს, სულმოუთქმელად სვამენ ერთმანეთის სისხლს, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ. ახალ მსხვერპლს ეძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ. შედრკა უფლისწული, შეზარა ამ სანახაობამ, მაგრამ თვალი მაინც არ მოაშორა. უყურა, უყურა და აჰა, ძმაც გამოჩნდა. სისხლით მოთხვრილ ხელში ხმალი უჭირავს, გულისპირზეც სისხლი სცხია, ქურან ცხენზე ზის და ყიჟინით მიჰქრის ვილაცისაკენ, ვინც მისი მტერია. აგერ, მტერიც გამოჩნდა. მიუახლოვდნენ ერთმანეთს და ხედავს უფლისწული, რომ ისიც, ვინც მისი ძმის მტერია, მისი ძმა არის. მოიქნია უფლისწულის ერთმა ძმამ ხმალი და წააცალა თავი უფლისწულის მეორე ძმას. იშხუვლა სისხლმა და შეასხდა ცას. უფლისწულის ერთი ძმის მოკვეთილმა თავმა საწყალობელი თვალებით შეხედა უფლისწულის მეორე ძმას. ამ დროს ცხენების თქარათქური მოისმა და ორივე მხრიდან წამოვიდა ურიცხვი ლაშქარი. ხედავს უფლისწული, რომ ყველანი მისი ძმები არიან. დაერივნენ უფლისწულის ძმები ერთმანეთს, დააყენეს სისხლის ზღვა, სისხლით შეღებეს მთელი ქვეყანა. გული მოუკვდა უფლისწულს, ველარ გაუძლო ამ სანახაობას, მოტრიალდა, პირქვე დაემხო და მწარედ ატირდა. დიდხანს იყო ასე პირქვედამხობილი თუ ცოტა ხანს, ბოლოს ისევ მოესმა ქალწულის ტკბილზე ტკბილი ხმა:

— ახლა ხომ ნახე რა ქვეყანაა ის ქვეყანა, საიდანაც წამოხვედიო?

— ვნახეო.

— მაინც არ დაგიშლია იქ დაბრუნებაო?

— არაო. — მიუგო უფლისწულმა. — უნდა დავბრუნდეო.

— რა გაეწყობაო, — უთხრა ქალწულმა. — რაკი არ დაგიშლია, დაბრუნდი, ოლონდ იცოდე დიდი განსაცდელი გელისო.

იმავ წამს ქალწული გაქრა, მისმა ხმამ ჰაერში გაიშრიალა, უფლისწულის მკერდში შემოვიდა და ახლა აქ გაიმეორა: „დიდი განსაცდელი გელისო". ქალწულთან ერთად წალკოტიც გაქრა. გაიხედა უფლისწულმა და ხედავს, დასაბრუნებელი გზა არსად [illegible] კიდეში დგას და იმ მხარეს, საითაც უნდა წავიდეს, შავი უფსკრულია. რა ექნა უფლისწულს? არ დაბრუნებულიყო — არ შეეძლო, დაბრუნებულიყო და — ეს თვალუწვდენელი უფსკრული როგორ გადაელახა? რაც არის, არისო, იფიქრა და უფსკრულში გადადგა ნაბიჯი. უცებ ფეხქვეშ მიწა იგრძნო. მეორე ნაბიჯი გადადგა და ისევ იგრძნო მიწა ფეხქვეშ. მიდის უფლისწული და გზა, რომელიც აქეთობისას ნაბიჯ-ნაბიჯ ქრებოდა, ახლა ნაბიჯ-ნაბიჯ ჩნდება. იარა უფლისწულმა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთმანეთის მოშურნე დედოფლებს მიადგა. ყაყანებენ დედოფლები, კინკლაობენ და სიბრაზისგან სახე ორივეს დალრეჯია.

— რა დაგემართათ, დედოფლებო, რა ვერ გაგიყვიათო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ორნი დანი ვართო. — მიუგეს დედოფლებმა. — ორთავეს ჩვენ-ჩვენი თავი გვგონია უფრო ლამაზი, ვერაფრით ვერ მოვრიგებულვართ. იქნებ შენ მოგვარიგოო.

— თვალები გაცვალეთ და მორიგდებითო. — ურჩია უფლისწულმა.

გაცვალეს დედოფლებმა თვალები და შეხედეს ერთმანეთს.

— შენ უფრო ლამაზი ყოფილხარო. — უთხრა ერთმა.

— არა, შენ უფრო ლამაზი ხარო. — მიუგო მეორემ.

გაიხარეს დედოფლებმა და გადაეხვივნენ ერთმანეთს. განაგრძო უფლისწულმა გზა და ახლა ქურდ ძმებს მიადგა. ძმები ისე დალეულან, ლანდებსლა გვანან.

—რა დაგმართნიათო?—ჰკითხა უფლისწულმა.

— ერთმანეთის შიშით ძილი ვერ გაგვიბედიაო. — მიუგეს ძმებმა.

—მე რომ დავიძინო, ეგ მაშინვე სარჩო-საბადებელს მომპარავს და თავის შვილებს წაუღებსო. — თქვა უფროსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რომ დავიძინო, ეგ მომპარავს სარჩო-საბადებელს და თავის შვილებს წაუღებსო. — თქვა უმცროსმა.

— ერთმანეთს ვდარაჯობთ და ორივენი ზეზეურად ვდნებითო. — თქვეს ძმებმა. — აღარ ვიცით რა ვქნათ. იქნებ შენ გვირჩიო რამეო.

— შვილები გაცვალეთო. — ურჩია უფლისწულმა.

გაცვალეს ქურდმა ძმებმა შვილები და მაშინვე შერიგდნენ. აღარც ქურდობდნენ, აღარც ერთმანეთს დარაჯობდნენ. ცხოვრობდნენ ერთად და შიში არაფრისა ჰქონდათ. განაგრძო უფლისწულმა გზა და ახლა მოძულე ხელმწიფეებს მიადგა. იბრძვიან ხელმწიფეები, არინდობენ ერთმანეთს და ორივე სისხლისგან იცლება.

— რა გაჩხუბებთო? — ჰკითხა უფლისწულმა.

—ერთიმეორის სიძულვილიო. — მიუგეს ხელმწიფეებმა. — დასანახავად ვერ ვიტანთ ერთმანეთს, ვერაფერმა ვერ შეგვარიგაო.

— გულები გაცვალეთ და შერიგდებითო. — ურჩია უფლისწულმა.

გაცვალეს ხელმწიფეებმა გულები და წამსვე ერთმანეთი შეუყვარდათ. გადაყარეს ხმლები, გადაეხვივნენ ერთმანეთს და გაიცინეს. უფლისწულმა განაგრძო გზა. იარა, იარა და ცისფერ ჭიშკარს მიადგა. ჭიშკართან ცისფერი მოხუცი დგას.

— ვინა ხარ და საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ცისფერმა მოხუცმა.

— ამა და ამ ხელმწიფის ვაჟი ვარო. — მიუგო უფლისწულმა. — ბედნიერების საძებნელად ვიყავი წამოსული და ახლა უკან ვბრუნდებიო.

— წასვლა ადვილი იყო, დაბრუნებაა ძნელიო. — უთხრა ცისფერმა მოხუცმა. — ამ ჭიშკარს ვერც ირგვლივ შემოუვლი და ვერც ზემოდან გადაევლები. ერთ რამეს გკითხავ, თუ მიპასუხებ, ჭიშკარი თავისით გაიღება და გზას მოგცემს, თუ არა და სამუდამოდ აქ დარჩებიო.

—მკითხეო.

— რა მიზეზია, რომ ჩემს ყოვლისმცოდნე ქვევრს ვერ გაუგია, ერთი მეტია ორზე, თუ ორი მეტია ერთზეო?

— ის მიზეზია, რომ შენს ყოვლისმცოდნე ქვევრს ფსკერი აქვსო. — მიუგო უფლისწულმა. — ფსკერი რომ არ ჰქონდეს, ისეთ ქვეყანას დაინახავდი, სადაც შვილი თავისი მამის მშობელიაო.

ცისფერმა მოხუცმა ჭიშკარს ჰკითხა:

— გაიგე რამეო?

— გავიგეო. — მიუგო ჭიშკარმა და ყურთამდე გაიღო.

გაიარა უფლისწულმა ცისფერი ჭიშკარი და დაუბრუნდა მთელი თავისი ცოდნა. განაგრძო გზა. იარა, იარა და ახლა ოქროსფერ ჭიშკარს მიადგა. ჭიშკართან ოქროსფერი მზეთუნახავი დგას.

— ვინ ხარ და საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ოქროსფერმა მზეთუნახავმა.

— ამა და ამ ხელმწიფის ვაჟი ვარო. — მიუგო უფლისწულმა. — ბედნიერების საძებნელად ვიყავი წამოსული და ახლა უკან ვბრუნდებიო.

— წამოსვლა ადვილი იყო, დაბრუნებაა ძნელიო. — უთხრა ოქროსფერმა მზეთუნახავმა. — ამ ჭიშკარს ვერც ირგვლივ შემოუვლი და ვერც ზემოდან გადაევლები. ერთ რამეს გკითხავ, თუ მიპასუხებ, ჭიშკარი თავისით გაიღება და გზას მოგცემს, თუ არა და სამუდამოდ აქ დარჩებიო.

— მკითხეო.

— რა მიზეზია, რომ ჩემს ყოვლისშემძლე ნატვრისთვალს არ შეუძლია ისეთი ნატვრა მანატროს, რომელსაც ვერ შემისრულებსო?

— ის მიზეზია, რომ შენს ყოვლისშემძლე ნატვრისთვალს ზომა და წონა აქვსო. — მიუგო უფლისწულმა. — ზომა და წონა რომ არ ჰქონდეს, ისეთ ქვეყანას დაინახავდი, სადაც ხე თავისსავე ჩრდილში ისვენებსო.

ოქროსფერმა მზეთუნახავმა ჭიშკარს ჰკითხა:

ეროვნული

— გაიგე რამეო?

— გავიგეო. — მიუგო ჭიშკარმა და ყურთამდე გაიღო.

გაიარა უფლისწულმა ოქროსფერი ჭიშკარი და ყველა თავისი ნატვრა დაუბრუნდა. განაგრძო გზა. იარა, იარა და ახლა ლალისფერ ჭიშკარს მიადგა. ჭიშკართან ლალისფერი დედაბერი იდგას.

— ვინა ხარ და საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ლალისფერმა დედაბერმა.

— ამა და ამ ხელმწიფის ვაჟი ვარო. — მიუგო უფლისწულმა. — ბედნიერების საძებნელად ვიყავი წამოსული და ახლა უკან ვბრუნდებიო.

— წამოსვლა ადვილი იყო, დაბრუნებაა ძნელიო. — უთხრა ლალისფერმა დედაბერმა. — ამ ჭიშკარს ვერც ირგვლივ შემოუვლი და ვერც ზემოდან გადაევლები. ერთ რამეს გკითხავ, თუ მიპასუხებ, ჭიშკარი თავისით გაიღება და გზას მოგცემს, თუ არა და სამუდამოდ აქ დარჩებიო.

— მკითხეო.

— რა მიზეზია, რომ ყოვლისმძლეველი ხმლის პატრონს ის ქვა ვერ აუწევია, რომელზედაც ვდგევარო?

— ის მიზეზია, რომ შენი ყოვლისმძლეველი ხმალი ბასრიაო. — მიუგო უფლისწულმა. — ბასრი რომ არ იყოს, ისეთ ქვეყანას დაინახავდი, სადაც გველეშაპი თავისსავე თავს ყლაპავსო.

ლალისფერი დედაბერი ჭიშკარს მიუბრუნდა:

— გაიგე რამეო?

— გავიგეო. — მიუგო ჭიშკარმა და ყურთამდე გაიღო.

გაიარა უფლისწულმა ლალისფერი ჭიშკარი და წამსვე ძალ-ღონე დაუბრუნდა. განაგრძო გზა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ გზაჯვარედინს მიადგა. გზაჯვარედინის სამ მხარეს სამი ქვის სვეტი იდგა. ერთზე ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, ადრე დაბრუნდეს“; მეორეზე ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, გვიან დაბრუნდეს“; მესამეზე ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, ველარ დაბრუნდეს“. გასცდა უფლისწულმა ადრედასაბრუნებელ გზას, გახედა გვიანდასაბრუნებელ გზას, და ველარდასაბრუნებელ გზას დაადგა. იარა, იარა, ცხრა ზღვა და ცხრა მთა გადაიარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს თავის ქვეყანას მიადგა.

ხელმწიფემ რომ გაიგო, ძმა დამიბრუნდაო, გახარებული შემოეგება სასახლის კარიბჭესთან. ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერე დასხდნენ და თავთავიანთი ამბავი თქვეს.

— რა ჰქენი, სად იყავი და რა ნახეო? — ჰკითხა უფროსმა ძმამ უმცროსს.

— ძლევის ქვეყანა გავიარე და ძალა დავტოვე, ნატვრის ქვეყანა გავიარე და ნატვრა დავტოვე, სიბრძნის ქვეყანა გავიარე და სიბრძნე დავტოვეო. — მიუგო უმცროსმა.

— ბედნიერება თუ იპოვეო?

— ძლევის ქვეყანაში რომ ძალა დავტოვე, ძალად ვიქეც; ნატვრის ქვეყანაში რომ ნატვრა დავტოვე, ნატვრად ვიქეც; სიბრძნის ქვეყანაში რომ სიბრძნე დავტოვე, სიბრძნედ ვიქეც. ბოლოს ბედნიერების კარსაც მივადექი. რომ შევსულიყავი, ბედნიერებად ვიქცეოდი, მაგრამ შენთან ველარ დავბრუნდებოდი და ამბავს ვერ მოგიტანდი. ამიტომ წამოსვლა ვამჯობინე. შენ რაღა ჰქენიო?

— შვიდი ომი გადავიხადე და შვიდჯერ გავიმარჯვეო, — მიუგო უფროსმა. — სისხლი ბევრი დაიღვარა, მაგრამ მტერი არ გავახარე. ახლა ქვეყანაში მშვიდობიანობაა და ხალხიც ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობსო.

დარჩა უმცროსი უფლისწული ძმასთან. დადიოდა მთელ ქვეყანაში და ბედნიერების ამბავს ყვებოდა.

გამოხდა ხანი. ერთხელ მეზობელი ქვეყნის ურიცხვი ლაშქარი საომრად წამოვიდა. ხელმწიფემ ქუდზე კაცი იხმო და ბრძოლის ველს მიაშურა. ომი რომ დაიწყო, ხედავს, მუხლი მოეკვეთა მის ლაშქარს. მკლავი ძველებურად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ემორჩილება, ხმალი უწინდებურად არ უჭრის. იძალა მტერმა დასუსტებულ ლაშქარზე, დარჩა მტერს გამარჯვება. უკუიქცა ხელმწიფე თავისი ჯარით. ძლიერ დაღონდა, ვერ გაიგო ლაშქრის ასეთი დაძაბუნების მიზეზი. შეჰყარა ნაზირ-ვეზირები და რჩევა ჰკითხა, იქნებ თქვენმა იცოდეთ, რა ამბავია ჩვენს თავს, რა სჭირს ჩვენს ძლევამოსილ ლაშქარსო. მაგრამ ნაზირ-ვეზირებმა არა იცოდნენ რა. მაშინ თქვეს, სასახლის მახლობლად ერთი მოხუცი მისანი ცხოვრობს, ყველაფერი იცის, ყველაფერი გრძნობს და ყველაფერს ხედავს. იმას ეცოდინება თუ ეცოდინება ჩვენი უბედურების მიზეზიო.

— საჩქაროდ აქ მომგვარეთო! — ბრძანა ხელმწიფემ.

მოიყვანეს მისანი. ასე და ასეა ჩვენი საქმეო, უთხრა ხელმწიფემ. აქამდე ძლევამოსილი ლაშქარი უეცრად დაუძლურდა და მიზეზი ვერ გაგვიგიაო.

— ძველი სარკის ერთი ნატეხი მომეცითო, — თქვა მისანმა. — ერთი ძველი ქვაბიც მომიტანეთ და ბუხარში ცეცხლი აანთეთო.

წამსვე შეუსრულეს ყველაფერი, რაც მოითხოვა. მისანმა ქვაბი ცეცხლზე შემოდგა, შიგ შელოცვილი წყალი ჩაასხა. ბალახ-ბულახი ჩაჰყარა, დიდხანს ურია, დიდხანს ადუღა, დიდხანს აორთქლა, სარკის ნატეხი ხელში დაიჭირა. თვალგაშტერებით დააცქერდა და აბუტბუტდა. ბოლოს თქვა:

— გავიგე, დიდო ხელმწიფევ, შენი ლაშქრის დაუძლურების მიზეზი, მაგრამ თქმა მიჭირსო.

— როგორც არ უნდა გიჭირდეს, მაინც უნდა თქვაო. — უბრძანა ხელმწიფემ.

— სანამ შენი ძმა ცოცხალია, მტერს ვერაფერს დააკლებო. — თქვა მისანმა. — შენს ლაშქარს მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება ძალა, როცა ძმას სიკვდილით დასჯიო.

დაღონდა ხელმწიფე. აღარ იცოდა რა ექნა. როგორ გაემეტებინა სასიკვდილოდ საყვარელი ძმა? მტერი კი წინ მოიწევდა და თანდათან უახლოვდებოდა სასახლეს.

უმცროსმა ძმამ რომ მისნის წინასწარმეტყველება გაიგო, წამსვე უფროს ძმას ეახლა და უთხრა:

— თუ ჩემი სიკვდილი იხსნის ქვეყანას, მე მზადა ვარო.

უარზე დადგა უფროსი. ძმის ცოდვას ვერ დავიდებო. მაგრამ უმცროსმა არ დაიშალა, რადა ხელმწიფე იქნები, მთელი ქვეყანა თუ ერთ კაცს ანაცვალეო.

— იქნებ ტყუის ის მისანიო? — თქვა უფროსმა.

— არა ტყუისო. — მიუგო უმცროსმა. — მე ბედნიერების ამბავი მომიტანე და არა ბედნიერებაო.

მწარედ იტირა უფროსმა. ცოცხლივ გამოიგლოვა ძმა და გადასცა ჯალათებს. გაიყვანეს უმცროსი უფლისწული მოედანზე და თავი მოჰკვეთეს.

იმავ წამს მუხლი კვლავ გაუმაგრდა ლაშქარს. მკლავი ძველებურად დაემორჩილა, ხმალმაც უწინდებურად გაუჭრა. ომახიანი ყიჟინით შეუტიეს მტერს და სულ კუდით ქვა ასროლინეს.

გაიმარჯვა ხელმწიფემ. მაგრამ გამარჯვებამ სიხარული ვერ მოჰგვარა. დღე იყო თუ ღამე, თვალწინ სულ ძმა ედგა, გული დამძიმებული ჰქონდა და მუბლი შეკრული. ბოლოს დარდისგან დაავადებულდა კიდეც და ლოგინად ჩავარდა.

ორი ვაჟი ჰყავდა ხელმწიფეს. ორივე ერთიმეორეზე უკეთესი, ორივე ჩაუქი და ქველი. რა შეატყო, ჩემი აღსასრულის დღე ახლოვდებაო, მოუხმო შვილებს. უფროსს ტახტი დაულოცა და სახელმწიფოს პატრონობა ჩააბარა, უმცროსს კი ასე უთხრა:

— მწარე ხვედრი მოგიმზადე, ჩემო შვილო. უნდა წახვიდე და, სანამ ბოლომდე სული გიდგას, ბედნიერების ქვეყანა უნდა ეძიო. მძიმე გზა გელის და დიდი განსაცდელი. იქნებ ცოცხალი ვეღარც დაბრუნდე, ან დაბრუნდე და, ვინც მადლიერი უნდა გყავდეს, მისი ხელით მოკვდე, მაგრამ სხვა გზა არა გაქვს. წადი და ეძიე ბედნიერებაო.

ესა თქვა ხელმწიფემ და აღესრულა.

ტახტზე უფროსი ვაჟიავიდა. როდესაც მისი კურთხევის ზეიმი გასრულდა, უმცროსი ძმა ეახლა, მამის ანდერძი გააცნო და გამგზავრების ნებართვა [illegible] უფროსის უმცროსი ძმისთვის განშორება. მაგრამ რა ექნა, მამის ნებას ხომ არ გადავიდოდა! ძმები მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და ქვეყნის უფლისწული გზას გაუდგა...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კაკაბაძე

# ლექსები, ესე

(1945-1952)

ომის შემდგომ წლებში, სოლოლაკის უბანი თავისი მკვიდრად ნაგები სახლებითა და მყუდრო ქუჩებით, აჟურული ჭიშკრებით, მარმარილოს გრილი სადარბაზოებითა და ეზოში შესასვლელი ნახევრად ჩაბნელებული გვირაბებით ერთგვარი სტაბილურობის განწყობილებას ჰქმნიდა. აქ არ გაჰყავდათ ახალი მაგისტრალები, არ აშენებდნენ ახალ სახლებს და ამიტომ „ინდუსტრიული გრუხუნიც" არ გაისმოდა. წერეთლის, მაჩაბლის, ლერმონტოვის, საბა-სულხანისა და მიმდებარე ქუჩების მკვიდრი ჭაბუკები, რომლებიც ამ უბნის ქართულ სკოლაში სწავლობდნენ, მოედნიდან ამომავალი მთავარი ქუჩის დასაწყისში სოკო-შადრევანთან იყრიდნენ თავს საღამოობით და ათასგვარ ამბებზე მასლაათობდნენ. უნდა ვთქვა, რომ „თემა" ამ მასლაათისა ყოველთვის ფეხბურთსა და „სავაჟკაცო საქმეებს" არ შეეხებოდა. ხანდახან კამათი დიდ მწერლებს, ფილოსოფოსებსა და პოეტებს გადასწვდებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, რუსი და ევროპელი პოეტების ოთხ ენაზე გახმიანებული ციტატებიც კი ისმოდა. ასეთი კაციც ერია ჩვენს შორის. ამ სოკო-შადრევანთან ზოგჯერ შედგებოდა ხოლმე ერთი დახვეწილი გარეგნობის ჭაბუკი, რომელსაც არ უყვარდა ხმამაღალი ლაპარაკი და კამათი, მაგრამ უყვარდა თავისი ამხანაგები. იგი კარგად თამაშობდა ფეხბურთს, ბევრს კითხულობდა, სწავლობდა და არცერთი „ბიჭური" საქმიდან არა ყოფილა გამოთიშული. თითქოს არც არაფრით განსხვავდებოდა ინტელიგენტურ ოჯახებში აღზრდილი სხვა ყმაწვილებისაგან, თუ იმას არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ მას რაღაცნაირი დაჟინებული, ბურუსიანი მზერა და თითქოს ფიქრით შეტეხილი სახე ჰქონდა. იგი ჩართული იყო და არც იყო ჩართული ამ ყოველდღიურ „ბიჭობაში". მას ყოველთვის ახლდა ერთგვარი დისტანციის გრძნობა იმისადმი, რაც მის გარშემო ხდებოდა. უფრო გვიან მივხვდი, მისი გონება დაჟინებით და გამუდმებით იყო მიჯაჭვული რაღაც ღრმა და ძნელად შესამეცნებელზე, იმაზე, რის გაცნაურებასაც ათასი წლის ფიქრიც არ ყოფნის. ეს ჭაბუკი ზურაბ კაკაბაძე გახლდათ, ერთი იმათგანი, ვინც ახალ უბანში არ გადასულა საცხოვრებლად, როცა ახალმშენებლობათა ბუმი დაიწყო ჩვენს ქალაქში. მისი მყუდრო, ძველი ბინა მოსწონდა თურმე ცნობილ გერმანელ მწერალს ბიოლს, რომელსაც უთქვამს: თანამედროვე ავეჯით გაწყობილი ახალი ბინები კონფორმისტულ სულს აწვლავნებს, ძველი ყაიდის ბინებში მეტია „ადამიანურიო"...

ამ „ადამიანურის" გამომძიებელი და აზრით დამფუძნებელი იყო ზურაბ კაკაბაძე, — ცნობილი [illegible] ფილოსოფოსი, ფართო დიაპაზონის მოაზროვნე, ადამიანის უმტკივნეულეს პრობლემათა მკვლევარი...

„ადამიანი რაც არის და რა დონეზეცაა უკვე, არასოდეს არ არის საბოლოო მიზანი, რომ ამაზე გაჩერება შეიძლებოდეს. იგი მოწოდებულია დასძლიოს თავისი თავი ყოველ მოცემულ დონეზე, გადალახოს ყოველი მოცემული საზღვარი და წავიდეს უფრო შორს იმისგან, რაც მის მიერ უკვე მოპოვებული და მიღწეულია"... „თვისებრივი უსასრულობისკენ განვრცობა შეადგენს ადამიანის სპეციფიკურ, ღრმა არსს"... „შემოქმედებითი აქტივობის გარეშე ადამიანს არ შეუძლია დაძლიოს მოწყენილობა, სიმარტოვე, ამის გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის ცხოვრება ჰკარგავს აზრსა და „გემოს“... ეს ნაწყვეტები ზურაბ კაკაბაძის ჩანაწერილებიდან არის ამოკრეფილი.

მის საფლავთან, გამოსათხოვარ სიტყვაში ნიკო ჭავჭავაძემ სათითაოდ ახსენა ზურაბ კაკაბაძის მასწავლებლები — ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები და მოაზროვნეები — შ. ნუცუბიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, ს. დანელია, და აღნიშნა, რომ ზურაბ კაკაბაძემ მათი საუკეთესო თვისებებიც შეისისხლხორცა და ჰარმონიულად გააერთიანა თავის პიროვნებაში. ნიკო ლაპარაკობდა ნაღველდაგუბებული, დაწყვეტილი ფრაზებით და ჩემს წარმოდგენაში ცოცხლდებოდნენ მათი ხასიათის ის წახნაგები, რომელთაც ცხადი თუ უხილავი კავშირი ჰქონდათ ზურას პიროვნებასთან...

შალვა ნუცუბიძე რუს ფილოლოგებს უკითხავდა დასავლეთევროპულ ლიტერატურას. იგი კათედრაზე აჭრილ სილენს ჰგავდა, ფანჯრისკენ შებრუნებული და სივრცეზე მზერამიბჯენილი რაღაცნაირი უგულებელმყოფელი ტონით ახასიათებდა ვოლტერს: Это старческое хихиканье Вольтера, эта катящаяся голова с разумом...

კოტე ბაქრაძე იდაყვებით იყო დაყრდნობილი კათედრაზე, მარჯვენა ხელში პურის ცომს ზელდა გამუდმებით. სათვალეებიდან გამომზირალი გამჭრიახი თვალებით დაგვაკვირდებოდა და მშვიდად იკითხავდა: გაიგეთ?... ცოტა ხნის შემდეგ, რბილი ირონიით, თითქმის ნაღვლიანად დასძენდა: ვერაფერიც ვერ გაიგეთ...

სავლე წერეთელი პირველად უნივერსიტეტის საპარიკმახეროში ვნახე. სარკესთან მჯდარ ფილოსოფოსს მასავით სარკესთან მჯდარმა ერთ-ერთმა ჩვენმა ლექტორმა უხერხული ღიმილით შესჩივლა — თმა მცვივაო. სავლე წერეთელი ჩემთვის შეუცნობელი გამომეტყველებით მიუბრუნდა კოლეგას და ხმადაბლა ჰკითხა: ჩემო (სახელი), თმა არ გიჩერდება თავზე თუ თავი არ იჩერებს თმას?..

სერგი დანელია მხოლოდ ერთხელ ვნახე ქუჩაში. ვენორი ქვაჩახიასთან ერთად მოსეირნობდა რუსთაველზე — ამაყი და პირხმელი. მას რომაელი პატრიციუსის სახე ჰქონდა...

მათი ნამოწაფარი, ზურაბ კაკაბაძე, ჩვენი თაობის ინტელექტუალური ლიდერი იყო...

გავაგრძელებ ნიკო ჭავჭავაძის სიტყვას: ჰარმონიული იყო თვითონ ზურაბ კაკაბაძის უბადლო ნიჭი — ერთდროულად მოაზროვნისა, მოძღვრისა და პოეტისა. პირადი სიცოცხლის აზრიც, თავისი ცხოვრების ძირითადი საქმეც ზუსტად მოძებნა — ადამიანის ფილოსოფიური პრობლემა...

დღეს ადამიანის არსს იმაში ხედავენ, რომ იგი განარჩევს ღირებულს იმისგან, რაც მიზანშეწონილი, სასარგებლო და სასიამოვნოა. ერთი შემთხვევა მაგონდება. ომის დროს, მგონი 1944 წელს, გამოვიდა გალაკტიონის „რჩეული“, რომელიც უცებ დაიტაცეს (მაშინ ეს უჩვეულო ამბავი იყო). ზურაბ კაკაბაძემ 100 მან. მისცა ამ წიგნში, რამაც მისი ნაცნობ-მეგობრების განცვიფრებული აღტაცება გამოიწვია. ჩვენს თვალში ეს ფაქტი იმ აზრს განამტკიცებდა, რომ გარემომცველ სინამდვილეზე, თუნდაც ყველაზე დუხჭირზე, შესაძლებელი ყოფილა სულიერი უპირატესობის მოპოვება, რომ სასარგებლო და მიზანშეწონილი ყოველთვის ვერ გაიმარჯვებდა ღირებულზე. ეს იყო ცოცხალი მაგალითი და იგი ბევრს დღემდე ახსოვს.

არ არსებობს პოეტურ შემოქმედებაზე უფრო რთული საქმიანობა (ზ. კ.). სიჭაბუკეში ზურაბ კაკაბაძე ჩვენი თაობის ერთ-ერთი აღიარებული პოეტი იყო. იგი ზეპირად წერდა თავის ლექსებს („ლექსების „ზეპირად წერა“ მისგან ვისწავლეთ) და შემდეგ უცნაური, „ბლაჯნია“ ხელით იწერდა ცალხაზიან რვეულში. ეს იყო ძლიერი და მაშინ სრულიად უჩვეულო ლექსები (ეს ლექსები, ჩემი აზრით, ახლაც უჩვეულოა), რომლებიც ჩვენში, ერთი თუ ორი წლით მასზე უმცროს თანამოკალმეებში აღფრთოვანებასთან ერთად მისდამი მოკრძალების გრძნობასაც აღძრავდა. რა იყო ამ ლექსებში უჩვეულო? უპირველეს ყოვლისა ის, რომ მათში ჩანდა ინტელექტუალურად ადრე მომწიფებული კაცის დასრულებული სოფლხედვა. „ფილოსოფიური ხედვის“ პრიმატით აღბეჭდილ მის ლექსებში განწყობილებათა „ნერვული ვიბრაცია“ და აზრის ნატიფი „ობერტონები“ ხმიანებს. აღსანიშნავია, რომ მერმინდელ ფილოსოფიურ ნაშრომებში გაბნეულ ზოგიერთ აზრს, ხილვასა თუ ინტუიციას სწორედ ამ ლექსებში აქვს დასაბამი. ისინი ამ ლექსებში დაშრევებული გონითი ძალისხმევიდან ამოიზარდნენ. მის ნააზრევში გამომჭვირვალე სტილის სანიმუშო სისადავე და დახვეწილობაც აქედანვე იღებს დასაბამს. აქვე უნდა ითქვას შემდეგი:

ზურაბ კაკაბაძის ლექსებში პირველად გაცნაურდა ზოგიერთი ტენდენცია, რომელიც უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა ჩვენს ლიტერატურაში. მაგალითად, „მანდიკორიზმის" (ო. პაჭკორია) ნეგატიური პროცესი ზურაბ კაკაბაძემ დააფიქსირა პირველად ერთ თავის „მსუსხავ" ლექსში (მე შენს თვალებში დამინახავს სოფლის მინდვრები...). მანვე შექმნა პირველი მწვავე „კამპრიჩო", რომელშიც მეტაფიზიკური მძულვარებით არის გაშიშვლებული ობივატელის მახინჯი სახე (შენ). ამ „თემას" მშვენიერი ესე მიუძღვნა შემდეგ (იხ. მისი „არის მკითხველი"...).

„პოეტური ნიჭი შეუძლებელია აზროვნებისაგან განყენებულად წარმოვიდგინოთ. ყოველი დიდი პოეტი თავისებურად, მაგრამ მაინც ღრმად მოაზროვნე ინტელექტის პატრონი იყო". ამ სტრიქონებს 19 წლის ზურა წერს...

ზურაბ კაკაბაძის რამდენიმე ლექსი ამ ოცდახუთი წლის წინ დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში", რომელსაც მაშინ ს. ჩიქოვანი რედაქტორობდა. 1958 წელს, ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა რილკეს ლექსების მისეული თარგმანები. ახლა ზურაბ კაკაბაძის ლექსების ერთი ნაწილი და მცირე წერილი იბეჭდება.

**თამაზ ჩხენკელი**

## მისი სიკვდილი

ბინდით დამძიმდა გზა უცნაურად
და თვალებივით დაქვრენ იები...
იყო უსიტყვო და უხმაურო
შენი სიკვდილი და რექვიემი.
დაგირჩა სიტყვა და საუბარი
და ძარღვებივით დაწყდნენ სიმები...
იყო უსიტყვო და უჩუმარი
შენი სიკვდილი და რექვიემი.
გახსოვდა მაინც შენი მზისდარი:
გზრდიდნენ სიზმრები ძვირფას
დებივით.
თვალების ფსკერზე ყველა სიზმარი
დაგრჩა დალეწილ ხომალდებივით.
არ იყო მზერა ხალისიანი,
არც სინანულის ნისლს დაებინდა:
სიცოცხლე ძველი და ხავსიანი
მძიმე ტვირთივით მოგწყდა მხრებიდან.
დაგირჩა ლექსი და საუბარი
და ძარღვებივით დაწყდნენ სიმები.
იყო უსიტყვო და უჩუმარი
შენი სიკვდილი და რექვიემი.

## როცა არაფერს ამბობენ

მთვარე ეშვებოდა მძინარე ბაღში,
ჩრდილები იდგნენ და გარბოდნენ.
ქარი და ფოთლები დამშვიდდნენ მაშინ
და აღარაფერს ამბობდნენ.
იდგნენ და გარბოდნენ არჩეულ რიგით
ჩრდილები მძინარე ბაღში,
და როცა დუმილი დამძიმდა ირგვლივ,
შენ ღია თვალებით უსმენდი მაშინ.
თვალებში ზღვა იდგა ღია და გაშლილი,
ზღვაზე კი სხივების მოქცევა,
და მუხლებამდე ჩამდგარი ზღვაში
ქალივით შიშველი ოცნება.
და ღია თვალების მთვლემარე ზღვაში
ტალღები იწვნენ და გარბოდნენ...
შენ ასე გიყვარს: უსმენდე მაშინ,
როცა არაფერს ამბობენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამეა ბნელი და თვალებდახუჭული,
ბაღში წაშლილია ჩრდილივით ხაზიც.
შენ ოდნავ მოგესმის ფოთლების ჩურჩული
და ქარის შრიალი ნახევარხმაზე.
და როცა ბაღიდან ამდგარი წარსული
მოგძახის ქარივით ნახევარხმაზე,
თვალები გქონია მარტო სინანულით
და ვარსკვლავებივით ცრემლებით სავსე.
მოგძახის წარსული გულში დამარხული
და გულიც გქონია ცრემლებით პირსავსე...
როგორც სიმღერა და როგორც გაზაფხული,
როგორც სიყვარული ძველი და ძვირფასი,
როგორც სატკივარი მკერდზე დაჩენილი,
ოდნავ დანახული ჩრდილივით ხაზი...
თვალებდაბრმავებულ ბაღში დარჩენილი
მოგძახის წარსული ნახევარხმაზე.

## სოფელში

გულაღმა წევხარ...
        ტოროლას განაფრენს
და უმზერ ზეცის თავსა და ბოლოს...
არაფერს იგრძნობ, არც იტყვი არაფერს,
მიწად დაცემული ჩრდილი ხარ მხოლოდ.
გულაღმა წევხარ და ხეზე ფოთლები,
დაოქროვილი მზის შადრევნებით
ისეა, როგორც უსიტყვოდ მშფოთველი
ნაქალწულარი ხელის მტევნები,
გახედე მაინც: ფერებით რადარა
მზე არი დაღვრილი და ზეცად ჩასმული...
აქ ყოველ ხის უკან, ვით ბაღი პატარა
ჩაგსაფრებია შენივე წარსული.
გახედე მინდორსაც მზისფერად დანაფერს
და სახლი ბალღობის ოცნებად დადგმულა...
არაფერს იგრძნობ, არც იტყვი არაფერს —
შენ სიყვარულმა გაგანადგურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერადებად დამსხვრეული მზე გაჩვენონ
და ქვეყანა მზის ლაქებით შენაფერი.
შენ იტყოდი: სიზმარია ჩემს გარშემო,
სიზმარია, სიზმარია ყველაფერი.
გრძნობდი მუდამ:
დაღლილ თვალებს ლანდი ლანდზე
ეცვლია, როგორც ჯვარს ობობა...
ალელუია!
სულ სხვადასხვა ფერის ჩანდეს
და გულიდან ფეთქდეს ყველგან ამაყობა.
ალელუია!
სულ სხვადასხვა სახელების გრძელი რიგი,
ვარსკვლავები ცის თაღებში შემოფრენი... —
შენ ერთი ხარ და შენც როგორც
სიზმარია, სიზმარია ყველაფერი,
და იტყოდი: შენს გარშემო
თუ ფიქრი და სიზმარია ყველაფერი,
უფრო მეტი ბრწყინვალებით მზე გაჩვენონ
და ქვეყანა
უფრო მეტად ფერადებად შენაფერი.

## ნაღვერში

გავხედავ მთლად, შემაკრთობს მაშინ
სახლი ტყეში მზეებით ნათელი.
მახსოვს: ოდესღაც აქვე ამ სახლში
გავატარე ერთი ზაფხული.
შემთხვევის იყო, განა პატივი,
მისი ნახვაც და არჩევანიც.

სახლი, რომელსაც მხრებს ნაბადივით
ესხა ფიჭვნარი — არჯევანიძე.
აივნებიდან ნელი ღიმილი
და დედის ლანდი მომეჩვენება...
და უცნაური იცის ტკივილი
მიცვალებული დედის ხსენებამ.

მკერდმოქარგული ზღაპრები,
ფრთები ატეხილ გრიგალთა,
შენი თვალები შავბნელი
მიყვარდა, მახსოვს მიყვარდა.
სასიახლოდ გადაცვენილი
გუნდი არწივთა მყივართა,
სიცოცხლე თავაწყვეტილი —
მიყვარდა, მახსოვს მიყვარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

შენ ყველა გქონდა, ვერ დაუფარე
ცხოვრებას შენი ბრწყინვალე ეშხი.
როგორც სასმისი გაშლილ სუფრაზე,
ისე გადახვალ ხელიდან ხელში.
მე მენანება შენი თვალები
და ნაპერწკლები შენი სულისა,

ჩვენი წარსულის გზა ნაწვალები
და ფერადები გარდასულისა.
მისთვის მოგხედავ ნელი ტკივილით,
დამრჩები ფიქრად და სალექსოდა,
რომ დამშეული ხორცის კივილში
შენ ჩემი სულის ხმები გესმოდა.

* * *

მიყვარდი როგორც ლექსის სტრიქონი
დაუვიწყარი და წინანდელი...
არ ვიცი, შენში მე მოვიგონე,
თუ სილამაზე იყო ნამდვილი.
მიყვარდა აზრით ჩანაფიქრალი
და ბინდიანი თვალების ძილი.
იყავი როგორც შუქი მიმქრალი
და მოსროლილი მთვარისგან ჩრდილი.

იყავი როგორც ოცნება ერთი
დაუვიწყარი და წინანდელი,
იყავი ქალი და მაინც შენთვის
უცხო არ იყო აზრი ნათელი.
მიყვარდა შენზე ლექსის სტრიქონი
გულს ჩარჩენილი მიმქრალ ლანდივით...
არ ვიცი, შენში მე მოვიგონე,
თუ სილამაზე იყო ნამდვილი.

## შენ

პირზე ღიმილი დაგიდის ღლელამ,
რაც კი ამ ქვეყნად დაგიხანია...
შენ ყველა გზაზე შუაგზად დგეხარ
და გიხარია.
მოგისმენ მაინც, სიცილს დაგაცდი
და ასე გიმზერ დაცლილ თვალებში.
შენ არც კაცი ხარ, არც დედაკაცი
და ალტაცებას მაინც არ იშლი.

დაგაქვს გულმკერდი ხალისით სავსე,
ფართო ღიმილი დაცლილ თვალებში,
არაფერი გვაქვს ღირსების მსგავსი
და ალტაცებას მაინც არ იშლი.
არ იცი აზრი შუბლზე ნაკაწრი,
რაც კი ამ ქვეყნად დაგიხანია...
შენ არც კაცი ხარ, არც დედაკაცი,
რა გიხარია!

* * *

მე შენს თვალებში დამინახავს სოფლის მინდვრები
აყვავებული ატმისხეებით და ტყემლებითა,
ბელტებაყრილი მიწის გული და სიმინდები
და ბალახები დაცვარული მზის ცრემლებითა.
სოფელი ყველა სივრცის და დროის,
მშვიდი ცვალება სოფლის ღლელამის,
უცნაურია:
ისიც მინახავს, როგორ გარბოდა ძროხისკენ ხბოი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უტევდა ტუჩუებში მერმე ლედამის...
მინახავს-მეთქი, მთელი გულით გამიცინია.
შენი თვალებიდან იხედება სოფლის იდილია,
მშვიდი და ნელი ლელვა ვნებათა,
ლოონდ:
რა შუაშია აკადემია მეცნიერებათა?
შენ კი, მეგობარო,
იქ ხშირად დადიხარ პორთფელით ხელში...

## ბეთჰოვენი

თვალებიც ყრუ ჰქონდა და უცნაურად
დაყრუებული ნაკვთი ყოველი.
ასე მგონია, უზარმაზარი სულის ხმაურით
დაყრუვდა ბეთჰოვენი.
ასე მგონია.
მოვწყდები და მიწას ვეთხოვები,
მივდივარ მზისკენ და ღრუბლები გადავიარე...
და ერთადერთი მაშინ მჯერა ადამიანის,
როცა მესმის ბეთჰოვენი,
მაღალი ბეთჰოვენი.

დაბადებიდან სიკვდილამდე მიხვალ, დაიცდი,
თვითონ ღმერთივით თუ ხარ ძლიერი...
დახედავ მიწას: სავსე არი ხალხით.
მაინც კი
უდაბურია, უკაცრიელი.
დაბადებიდან სიკვდილამდე მიხვალ, დაიცდი,
რომ თვალწინ ისევ ჩაიარონ ძველმა დროებმა.
მოუსმენ მიწას: გრგვინავს, შფოთავს ცის ქვეშ
და იცი —
ეს საჰაერო დუმილია და მყუდროება.
დახედავ მიწას:
გაგაოცებს ძველი მსგავსება.
გინახავს, გახსოვს და ნაცნობი იცან იერი.
დახედავ მიწას:
სავსე არი მიწა, სავსეა
და შენ გაოცებს სიცარიელე.
დაბადებიდან აგრე იყო და უცნაურად
შენ სიკვდილამდე აგრე იელი გზად თავდახრილი.
შენ ფეხაკრეფით დადიოდი და უხმაუროდ,
რომ უდაბნოში მოგესმინა ჩუმი ძახილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი პოეზიის შესახებ

მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილად გაგება და შეფასება ურთულესი ამბავია. განსაკუთრებით ეს ითქმის ლექსის შესახებ. დიდი ინტუიციისა და დახვეწილი გემოვნების გარეშე შეუძლებელია სალი შეხედულების გამომუშავება ამა თუ იმ პოეტურ ნაწარმოებზე. ამიტომ არი, რომ ჩვენს პრესაში იშვიათად თუ შევხვედრივართ სრულფასოვან რეცენზიას.

შორიდან ლიტერატურა, კერძოდ კი ლექსი, ყველაზე უფრო იოლად დასაძლევი სიძნელეა. მიზეზი საძიებელია იმ გარემოებაში, რომ მხატვრული შემოქმედების შესახებ შეუძლებელია მათემატიკური სიზუსტით მსჯელობა. აქ საჭიროა: ინტუიტური ვარაუდი, მიგნება, ასე ვთქვათ, პოეტური გეში. ძნელია რომელიმე მოშაირე დაარწმუნო, რომ იგი ტყუილად დამაშვრალა, რომ მისი შემოქმედება არ არის ჭეშმარიტი პოეზია. იგი ჩვენს აზრს უთუოდ უკიდურესად სუბიექტურ შეხედულებად მიიჩნევს, ხოლო რომელიმე პროფანის აღტაცებულ ხოტბას ავტორიტეტის ობიექტურ განსჯად აღიარებს. ჭეშმარიტი შემოქმედი, ქმედითი ნიჭის აყვავების პერიოდში, არ შეიძლება, იყოს მიამიტი თვითკმაყოფილებით თავბრუდახვეული, თვითკმაყოფილება ეს უაღრესად ბალღური თვისებაა და მხოლოდ ქრონიკული ბავშვობით ავადმყოფებს გაჰყავთ სიბერემდე. ამ სნეულებითაა დაავადებული თბილისის უბადრუკი „დიჰტერლინგების“ მრავალრიცხოვანი არმია.

ზოგიერთს ჰგონია: პოეტური ნიჭი შესაძლებელია აზროვნებისაგან განყენებულად წარმოვიდგინოთ. ჩემი აზრით, ყოველი დიდი პოეტი თავისებურად, მაგრამ მაინც ღრმად მოაზროვნე ინტელექტის პატრონი იყო. განვითარებული, ღრმა ინტელექტი და სამყაროს გრძნობითი აღქმის განსაკუთრებული უნარი: აი, ორი ძირითადი ატრიბუტი, რომელიც აუცილებელია მხატვრული შემოქმედების პრეტენზიისათვის.

ლექსში დასაშვებია ყველაფერი, გარდა აბსურდისა, ოღონდ გააჩნია რაზე როგორ სწერ. იოლად წარმოვიდგენთ ლექსის მაღალხარისხოვნებისათვის საჭირო პირობებს სქემაში, მაგრამ კარგი ლექსის დაწერა პოეტური ინტუიციის გარეშე შეუძლებელია...

რა არის პოეზია? ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარად პასუხობენ. ჩემი მსჯელობა უმთავრესად შეეხება პოეზიის კერძო სახეს — ლექსს, და უფრო კონკრეტულად ლექსს, რომელიც უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნილებას...

ყოველი მხატვრული შემოქმედება უნდა შეფასდეს დროის ფაქტორის გათვალისწინებით, ლიტერატურის ისტორიული განვითარების განხილვასთან დაკავშირებით. ხშირია შემთხვევა, როცა რომელიმე პოეტის შემოქმედება კარგად პასუხობს გარკვეულ მიზეზთა გამო შექმნილ დროებით მოთხოვნილებას და ამიტომ იგი თანამედროვეობისაგან საყოველთაო აღიარებას პოულობს. შემდგომ უთუოდ გადაფასდება ასეთი მოჩვენებითი ღირებულება. აქედან: ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედება უნდა მოექცეს ლიტერატურის ისტორიული განვითარების კანონზომიერების ფარგლებში...

ლექსის სიძლიერე, ჩემი აზრით, განწყობის სიღრმეშია. განწყობა ძნელად განსამარტავი სიტყვაა. ლექსისთვის იგი მის ემოციურ მხარეს გულისხმობს. ლექსის აზრი განწყობაშია საძიებელი. ამ დებულების ჭეშმარიტება არ უნდა იყოს სადაო. ლექსის ცნება უარყოფს მსჯელობით ჩამოყალიბებულ აზრს. განწყობა იძლევა შთაბეჭდილებას, ხოლო შთაბეჭდილება თავისთავად რაიმე გარკვეულ აზრს შეიცავს. ასე განისაზღვრება პოეზიის ფუნქცია...

ლექსი ყველაფერს აიტანს აბსურდისა და ზომიერების გარდა. ზომიერება უნიჭობის კარგი დემონსტრაციაა. ნიჭი ვიწრო საზღვრებში ვერ თავსდება ხოლმე...

საბოლოოდ, მინდა მოგახსენოთ ერთი კურიოზული ვითარება: ლექსი ყველასათვის გასაგებ ხელოვნებად რომ უღიარებიათ. რთულ მათემატიკურ ფორმულებში გარკვევის პრეტენზია სპეციალისტებს გარდა თითქმის არავის არა აქვს. ლექსის გაგებას კი ყველა ჩემობს. ეს იქედან მოდის, რომ ლექსი ყველასათვის გასაგები ასოებით, სიტყვებით და წინადადებებით არის შედგენილი. ძირითადი არსი, რომელიც ჰქმნის ლექსს, ერთობ ძნელი მისაგნებია. ამისათვის საჭიროა გარკვეული აღზრდა და უფრო მეტიც: პირადი ინტუიცია მაინც პირველადია ამ შემთხვევაში. პოეტური შემოქმედება ემოციურად მდიდარია და რა თქმა უნდა, მისი გაგება მკითხველის ბუნების სიმდიდრესაც თხოულობს.

1945

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

# თ ა ვ ბ ე რ ა

რომანი

10

როდესაც პოეტს გამოეღვიძა, მარჯვენა გვერდზე იწვა. მონიტორის ეკრანი ააჭრელს აჭრელდა მეხუთე საწოლზე მწოლიარე ავადმყოფს. არქიტექტორ მაკარი ხინთიბიძეს. მედიკოს ცალი ხელით ფრთხილად წამოაწევინა თავი ავადმყოფს, მეორე ხელით ჭიქა მიუახლოვა პირთან, და პოეტს გაუღიმა. ჰორაციუსმა ღიმილითვე უპასუხა. სულიერი სიმშვიდე თანდათან ეუფლებოდა. ისევ დახუჭა თვალები და შეეცადა წარმოედგინა. საწოლთან მოეახლოვებინა შელი, ბესიკი, ლონგფელო — ისინი, ვისი მიზეზითაც ლექსის თხზვას იწყებს მილიონობით ყმაწვილი, ისინი, ვინც ამ წყვდიადში ჩაუქრობელ სანთლებად ანთიან გზადაბნეული ადამიანებისათვის, ისინი, ვინც სულ სხვა სამყაროდან მოვიდნენ, ჩვეულებრივ მოკვდავისათვის მიუწვდომელ, გაუგებარ მხარედან. ისინი გაჭირვებულ კაცისთვის, ინფარქტის ისრით დაკოდილ სნეულისათვის — შესვენება და არლადეგებია... შემდეგ ბიკენტიზე გადაუხტა აზრი ჰორაციუსს. ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ ღიზიანდებოდა ზოგჯერ მის დანახვაზე. ის, პოეტი, აქ დროებითი სტუმარი იყო და სრულებითაც არ ეხებოდა. თუ ვის პარავდა ექიმი აზრებს, შეხედულებებს ცხოვრებაზე, სნეულებაზე, ნივთებზე თუ მათ კავშირზე. რა მისი საქმეა, თუ კი ბიკენტის გულუბრყვილობაში, სათნოებასა და სიქველეში ცოტაოდენი სიყალბეც ერია. ალბათ, როდესაც ერთი ადამიანი მეორეზეა დამოკიდებული, როდესაც ერთს მეორის სიცოცხლის გადარჩენაში უდევს წვლილი, რალაც პრეტენზიაც ჩნდება, რომელიც თავის მხრივ უნდობლობას იწვევს. აქ შვილებისა და მშობლების მაგვარი ურთიერთობა იქმნება, მშობლების, რომლებმაც სიცოცხლე გიბოძეს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოვალედ გაგხადეს... ისევ გაღიზიანდა ბიკენტიზე.

არქიტექტორმა უეცრივ დაკარგა გონება. ქაოსი აღმოცენდა მის გულში — უაზრო კავშირები და ცვალებადობა. ორი საათის განმავლობაში თორმეტჯერ ჩაუტარდა დეფიბრილაცია. ვენაში კი განუწყვეტლივ ლიდოკაინი ესხმებოდა. რიტმი მაინც წამდაუწუმ ირღვეოდა. ეს ის „ავთვისებიანი" არითმია გახლდათ, რომლის წინაშე მედიკამენტები — ლიდოკაინი, ნოვოკაინამიდი, მექსიტილი, პანანგინი უძლურნი იყვნენ. ავადმყოფი წამიერად გადიოდა ერთი სამყაროდან მეორეში. და ისევ უკან სიცოცხლისა და სიკვდილის გამ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 7.

ბიტი. ინტენსიური პალატის ტემპი პრესტისიმო და ალეგრეტოა. ეს თამაში, ისევე როგორც ყოველი ნამდვილი თამაშობა, შეუძლებელია ჭეშმარიტი გატაცების გარეშე. სახელოდაკაპიწებულები იდგნენ ექიმები და ექთნები ავადმყოფის საწოლთან. სად დაჰქროდა ამ დროს მაკარის სული, როგორ უბრუნდებოდა ისევ სხეულს?

ბიკენტიმ ამღვრეულ თვალებში ჩახედა არქიტექტორს. მან გაიფიქრა, რომ მაინც განთიადის პირველი სხივი იმდენად სასიამოვნო როდია, როგორც კლინიკურ სიკვდილიდან გამოყვანილი ადამიანის პირველი ნათელი, ჯერ ამღვრეული, მაგრამ მაინც რაღაცნაირად მოელვარე, ყველა სხივზე მომაჯადოებელი და კაშკაში. ხოლო სიკვდილი და აღდგომა ბუნებრივი ფენომენია. უწინაც ცოცხლდებოდნენ, ოღონდ რჩეულები, წმინდანები. ახლა კი ოცდამესამე საავადმყოფოში ორჯერ დაბადება, თორმეტჯერ გაცოცხლება ისევე ბუნებრივია, როგორც ერთხელ გაჩენა ამ ქვეყანაზე... ბიკენტიმ ფრთხილად შეაპარა კითხვა არქიტექტორს, თუ სად იყო წეღან ან რა განიცადა, ვის შეხვდა. ავადმყოფმა ვერაფერი ვერ მოიგონა, ჩამეძინაო. „ნუთუ მართლა არ არსებობს სულეთი?.. შეიძლება ახალ სამყაროსაც შეგუება უნდა? ახალშობილსაც ხომ არაფერი ახსოვს, არაფერი არ იცის თავის პირველი დღეებისა და თვეების შესახებ?"

შემდეგ ისევ სიკვდილი, ისევ ხელოვნური სუნთქვა, გულის დახურული მასაჟი, დენის გატარება გულში, და ისევ სიცოცხლის არაჩვეულებრივი პირველი ნათელი თვალებში.

როდესაც ავადმყოფმა მეათეჯერ დაკარგა გონება, მედიკომ ქვითინი დაიწყო.

— აღარ შემიძლია, ექიმო... გამიშვით.

ბიკენტიმ დააწყნარა ექთანი და მოაგონა, რომ პლატონმა სასტიკად აუკრძალა ადამიანს მისთვის განკუთვნილი საგუშაგოს მიტოვება.

— არაფერი არ ვიცი, გამათავისუფლეთ.

— ცეცხლში და ქვაბში იწრთობა ექთანის სული და სხეული!

საბოლოოდ მაინც უკან დაიხია სიკვდილმა. ბიკენტიმ ოფლი მოიწმინდა ცხვირსახოცით. ჰორაციუსმა გაუღიმა...

— ისევ დამიბრუნდა მეტყველება... თქვენ კი მიტრა გეკუთვნით, აღდგომის კანტორის მაგისტრებო.

საორდინატოროში ბიკენტიმ კოფეინის ამპულა გატეხა, წყალში განაზავა და დალია... რატომ აღარ განიცდის გამარჯვების სიხარულს ისე ძლიერ, როგორც ხუთიოდე წლის წინ?.. ან ბოლოს და ბოლოს, რას აძლევს თვითონ მას ეს სამყარო, ეს წრე, რომელშიც ასობით ავადმყოფი შემოდის და ისევ გადის? არის კი იგი ისეთი მშვენიერი და ბრწყინვალე, როგორც უწინ ეჩვენებოდა? ღირს კი იმად, რომ მთელი სიცოცხლე ანაცვალო?.. რა ასაკში ჰქრება ექიმის პოეტური დღეები და როდის დგება სიბრძნის წლები? ან როდის ჩნდება ბზარი რწმენაში? ან ავგუსტინე მართლა არ ცდებოდა, როდესაც თქვა, რომ სინამდვილეში მხოლოდ ის არსებობს, რაც უცვლელია?

11

ბორისმა ერთხელ ასე ანუგეშა უმცროსი მეგობარი:

— ეზოპე, პლატონი, დიოგენი, კრეზი რამდენიმე ხანს მონები იყვნენ. ოღონდ არა ბუნებით, არამედ ბედის უკუღმართობით, დროებით. როგორც კი საშუალება მიეცათ, მაშინვე ამაღლდნენ.

— ბორის, რამდენიმე წუთის წინ ზღვის მეკობრის სული მედგა მკერდში.

— ოღონდ მხოლოდ ერთხელ უნდა დაეშვა ფსკერზე, რომ შემდეგ უკეთ შეიცნო მშვენიერება და ყოველივე სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადე... ინვესტივა კი სისხლს ახალგაზრდავებს. ხოლო თუ ექიმობის პროფესია ამოირჩიე არა როგორც ფულის მოხვეჭის საშუალება, არამედ როგორც ერთი გზა უმაღლესი მიზნისაკენ — შინაგანი თავისუფლების და სრულყოფისათვის, ყველაფერს უნდა გაუძლო, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა უღალატო შენს ბაირაღს... ძაღლი ყეფს, ქარავანი გზას აგრძელებს. როდესაც კაცი უკუაგდებს თავმოყვარეობას და ღიმილით შეხვდება ადამიანთა ფუსფუსს და ყოველდღიურ წვრილმანობას, რასაც ამქვეყნიური ორომტრიალი ეწოდება, მაშინ დაობლებულ გულში მოჩვენებითი სიკეთის სანაცვლოდ ჭეშმარიტი სიკეთე ჩნდება...

ამ დროს მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს და ბიკენტი ისევ დაფაცურდა. კარდიოგენული შოკი იწყებოდა მედიკო წვეთოვან სისტემას ამზადებდა. ის კი გულმოდგინედ სინჯავდა. როდესაც მუცელზე დააჭირა ხელი და ავადმყოფმა წამოიყვირა, ვაი, ნუციკო, გიკვდები, ბიკენტიმ იცნო მამაკაცი.

— თქვენი სახელი? — გაუღიმა ბიკენტიმ.

— ბიქტორი.

— გახსოვთ შავი ზღვა, ვაგრა?.. თქვენ მე და ჩემს მეგობარს სიცოცხლე გვაჩუქეთ...

— მაპატიეთ, მაგრამ ირგვლივ ბინდის და ბურუსის მსგავსი რაღაცაა... საფეთქლებზე ჩაქუჩი მირტყამს. ხახაც მიშრება...

მთელ სხეულზე ისევ და ისევ ასხამდა ცივი ოფლი. წვეთოვანის გადასხმის მსვლელობაში წნევა თანდათან ეცემოდა. მაშინ ანგიოტენზინი მოითხოვა ბიკენტიმ.

— არ გვაქვს. — ყურში ჩასჩურჩულა ექთანმა. — ჰეპარინიც გაგვითავდა.

— ქაფური, კამის თესლი, აყირყატა, პიტნა, ლენცოფა და ველური ნიახური ბაბუაჩემის დროსაც ბლომად იყო.

მედიკომ მხრები აიჩეჩა. ოსცილოსკოპზე რიტმულად ირხეოდნენ ცეცხლოვანი ხაზები, ინდივიდუ... ნაპრების გენეტიკური ჯაჭვი, მირიადი გულის მეხსიერება, ისტორია, ბედი, მარადიული განმეორება ყოფიერების პროცესისა. მირაჟი, ჩრდილი. და ბიკენტის მეხსიერების მდინარეზე ისევ ჩაიარა წასული ავადმყოფებით სავსე გემმა, ბუნდოვანმა სახეებმა, სხვადასხვა გულმა. „დიდი ხანია რაც შეუერთდნენ დინების ბოლოს უკიდეგანო ოკეანეს?“ შემდეგ მედეა დაუდგა თვალწინ. რატომ ვერ შეაბიჯა მის სამყაროში? ნუთუ ათი წელი ამხელა ზღვარია?... თუ ისევ თვალთმაქცობდა ბიკენტი? თუ უფრო მეტად ინფარქტის ბრმა სისასტიკე იზიდავდა? მისი ველური თვალუწვდენელი სამყარო, მიკიბ-მოკიბული გზები, შოკით, თრომბოემბოლიებით, ფილტვების მწვავე შეშუპებებით, პარკუჭების ციმციმით სავსე ხევები...

მერე საიდანღაც ანგიოტენზინი და ჰეპარინიც გაჩნდა. მერე ხელებიც გათბა, მერე ისევ ჩადგა ნათელი თვალებში. კიდევ ერთხელ გაუძლო პატარა ღრმად ჩაფლულმა საოცარმა ორგანომ, კვლავ ენერგიულად აჩქეფდა სისხლი, კვლავ უწყვეტი ნაკადით დაიძრა სიცოცხლე.

— თითქოს პატარა ანგელოზი შემოფრინდა ოთახში, — თქვა მედიკომ და გაიღიმა.

— სად იშოვნე წამლები? — იკითხა ბიკენტიმ.

— პოეტმა დაგვითმო.

— ჰორაციუსმა?.. თვითონ რომ დასჭირდეს?

„პოეტი ყოველთვის გამოცანა იყო და ასეთადაც დარჩება“.

მედიკომ საათზე დაიხედა.

— ოთხი დაიწყო, — თქვა მან.

— ჩვენი ხეტიალიც მთავრდება... ამ ძნელი მოგზაურობის შემდეგ უსიტყვოდ გართმევ ხელს. მთავარი ის კი არ არის, თუ რა თამაშობაში ვართ ჩართული, მთავარია — ვისთან ერთად ვთა-

მაშობთ. ჯამბაზი ბიკენტი და ჯადოქარი მედიკო...

— როდესაც სული კოჭებში გეპარება, ესეც თავშექცევაა?

— კი, მედიკო.

ბიკენტი პალატაში დაბრუნდა და ისევ გასინჯა ბიქტორი. ავადმყოფი თავისუფლად სუნთქავდა და ილიმებოდა. ყოველთვის უკვირდა ბიკენტის, რომ ზოგჯერ სულ პატარა წახმარება იყო საჭირო და შემდეგ გული დიდხანს მუშაობდა კეთილსინდისიერად. ალბათ ცხოვრებაშიც იგივეა. რამდენი ამცდარა გზას, და აი, მაშინ დროზე რომ გაუწოდოს ვინმემ დაბნეულ კაცს ხელი, უბედური ისევ სწორ ბილიკზე წაცუნცულდება და უკეთეს ქვეყანაში ამოჰყოფს თავს. მაგრამ სად არიან მოწყალენი, კლემენციის და მისერაბიის დიდი მაგისტრები? წმინდანები არ არსებობენ. ექიმების ტომი, გვარი, თემი ნებას არ დაგრთავს მისგან განსხვავებული რომ იყო, მისგან რომ გამოირჩეოდე. როდესაც ქედმოუდრეკელს აღმოაჩენენ, სწრაფად ერთდებიან და გვარიდან აძევებენ სამუდამოდ ან უკეთეს შემთხვევაში ისეთ კუნჭულში მოათავსებენ, სადაც თაგვების გარდა არავის არ დაჭირდება. წმინდანებს სიკვდილის შემდეგ აღიარებენ.

მისაღებში ბიქტორის მეუღლე, ნუცა ელოდებოდა ბიკენტის.

— მის მეტი არავინ არ მყავს, — თქვა თავდახრილმა.

ექიმმა გაუღიმა და გაგრის სანატორიო მოაგონა. მაშინ მასწავლებელმა იცნო და თვალები აუციმციმდა. აყიყის საყურეები ექეთა და ერთი წუთით, ერთი გაელვებით ისევ იმ ნუციკოდ გადაიქცა, ათიოდე წლის წინ ყველას რომ ხიბლავდა. „ის წლებიც გაჰქრა, ჩაბარდა ვილაცას, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — როგორც ოქროს ხანა, როგორც რადამასტის და ზენობიას სიყვარული...“

უეცრივ ცრემლები წამოსცვივდა ნუცას. მაშინ ბიკენტიმ უთხრა, რომ სათხოვარი ჰქონდა, ოლონდ ძალ[illegible] თირო საქმეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალმა რედიკულიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლები მოიწმინდა. დალლილი თვალები შეანათა ცნობისმოყვარეობით.

— ჩემს ძმა-ბიჭს მხარი მოექცა ცხოვრებაში... გახსოვთ, გაგრაში როგორ განიცდიდა ჩვენს ავბედით შეტაკებას ტალღებთან ერთი პატარა ბიჭი, ცამეტიოდე წლისა... ის ბალანა ძალიან ახლობელია ჩემთვის... პატარა ბასკო წიფურია.

— პატარა ბასკო პატარა აღარ არის, — გაიღიმა ნუცამ.

— გთხოვთ აპატიოთ სულმოკლეობა და ეს საშინელი მკრეხელობა.

როდესაც დაემშვიდობა, ბიკენტიმ თავის თავს ჰკითხა: „კიდევ რა შევაწეროთ ავადმყოფებს?.. სანტექნიკური მაღაზიის გამგეს — უნიტაზები, პარფიუმერიისას — საპონი, ვაზელინი, კონიაკის ქარხნის დირექტორს — ქართული ბრენდი, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელს?... რწმენა და იდეები“...

12.

მეორე დილით მთავარმა ექიმმა ბიკენტის და მედიკოს საყვედური გამოუცხადა. ექთანმა მაშინვე ყურები ჩამოყარა. ბიკენტი კი მამალ ინდაურივით გაიბერა. მაგრამ მალე ციური ღიმილი აჩუქა მედიკოს და გათხოვება და ფუფუნება უწინასწარმეტყველა.

— სწორად მოიქეცი, — უთხრა ბორისმა ბიკენტის, როდესაც გულგამხნევებულმა მედიკომ ისევ თავის პოსტს მიაშურა, — თვითონ დაჩაგრულმა, გაჭირვებული პატარა ადამიანი რომ არ დაივიწყე.

დეკემბერში კი საავადმყოფოში სამეცნიერო სესია მოაწყვეს. სხვადასხვა ქალაქებიდანაც მოიწვიეს მეცნიერები. ლენინგრადელი პროფესორი ალექსანდროვი ბორისის ძველი მეგობარი იყო. ორი დღის შემდეგ მან ბორისს შესჩივლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გულძმარვა ხომ არ გაქვს? — ჰკითხა იგორს. — მაშინ „ბორჯომი“ შეუდარებელია.

— საიდანაც გინდა პარტნიორი გამოძებნე.

ბორისი დაიბნა, და გასეირნება შესთავაზა ბოტანიკურ ბაღში. ლენინგრადელმა პროფესორმა წარბები შეიკრა. ამით აგრძნობინა, რომ იმედგაცრუებული დარჩა.

— იგორ, მაპატიე, — ბორისმა თავი ჩაქინდა, — მაგრამ ქალების საკითხში ძალზე მოუისუხტებ.

— მე ჩოგბურთელს დაგეძებ, — განადგურებული ხმით მიუგო მეგობარმა.

— ისევ თამაშობ? — გამოცოცხლდა პათოლოგანატომი, — ნუთუ ქიდევ არ გაგიფანტა ილუზია. ჩოგბურთი ხომ უთავბოლო სირბილია წინასწარ განსაზღვრულ ოთკუთხედში?

— ჩოგბურთი ადამიანური გართობაა. შვებულების აღებაა სინამდვილიდან, გასეირნებაა მონტე-კარლოსკენ.

ბორისმა ბიკენტის კანდიდატურა შესთავაზა.

— მაღალია, სახის ნატიფი ნაკვთები, პატარა შუბლი და ოდნავ მტერული გამოხედვა აქვს... პირველი შთაბეჭდილება წამგებიანია, მაგრამ დიდი ბითური არ არის.

— ჩოგბურთს თუ თამაშობს?

— ერთ დროს ეგონა, რომ ჩემპიონი გახდებოდა. ოღონდ ისე ხშირად აგებდა, რომ შემდეგ გადაწყვიტა სახელოვანი ექიმი გამოსულიყო...

— მაწყობს.

ბორისმა ბიკენტის დაურეკა. პროფესორმა შეახსენა, რომ არც ჩოგი ჰქონდა და არც ფორმა. ფეხებიც ხომ არ ვათხოვოთ, გადასცა ბიკენტის შეკითხვა იგორს.

— როგორ?! არ იცის, რომ პროვინციელი დიდ ქალაქიდან ჩამოსულისათვის ყველაფერს შოულობს, ელაქუცება, სუფრას უშლის მდელოზე და უკანასკნელ დღეს ქართული ბრენდით დატვირთული აცილებს ს[illegible].

ერთი საათის შემდეგ სტადიონზე შეხვდნენ.

იგორმა ხელი გაუწოდა ბიკენტის.

— რატომ მომატყუე? — მიუბრუნდა იგი ბორისს, — ყმაწვილს ნორმალური შუბლი აქვს.

— თვალები? — იკითხა ბორისმა.

— ჩოგბურთელის — ოდნავ მოჭუტული და ნათელი, ყველაფერს რომ ამჩნევენ, როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგის მოედანზე.

— მეც მითქვია ბევრჯერ, რომ ექიმის გამოხედვა არა აქვს... ექიმს ერთი თვალი ოდნავ ცელქუტური უნდა ჰქონდეს, მეორე კი — წინდახედ... ერთი ხელით უნდა ემშაკობდეს, მეორეთი კი ჰკურნავდეს.

იგორი და ბიკენტი გასახდელისკენ წავიდნენ. ცნობილი ლენინგრადელი კარდიოლოგი ჩვეულებრივი ადამიანი გამოდგა. „ის მაშინ ემსგავსება ბუდას და მოსეს, როდესაც ჩვენი ქართველი ექიმები დაუდგებიან გვერდში და ყველა ზომას იხმარენ, თოფის სასროლ მანძილზე რომ არ გაგაკარონ“, — გაიფიქრა ბიკენტიმ და თავისი ერთ-ერთი ჩოგი გაუწოდა პარტნიორს.

მოედანზე გასვლის წინ ალექსანდროვმა ბიკენტის ჰკითხა:

— რაზე?

— სამ ბოთლ შამპანურზე.

პირველ მოედანზე ირინა კეკელიძე თამაშობდა, ოცდახუთი წლის მომხიბლავი ქალიშვილი. იგი ათი დარტყმიდან ცხრაჯერ ბურთს სტადიონის რკინის ბადის იქით გზავნიდა. სამაგიეროდ ყველა ჩოგბურთელ ქალზე გრძელი ფეხები ჰქონდა და ამიტომ ამ პატარა ნაკლს მისი პარტნიორი ვაჟები სიამოვნებით პატიობდნენ. უნებურად კეკელიძის კანჭებმა ალექსანდროვის მზერაც მიიპყრო.

— ასეთ სრულ ბედნიერებას კი მართლაც არ მოველოდი, — უთხრა იგორმა ბორისს, — როდესაც ნამდვილ თამაშს თამაშობ, ყოველგვარი წვრილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანი გავიწყდება — მოტყუებული განვლილი წლები, კოლეგების დახვეწილი, მახვილგონივრული ფანდები, მოახლოებული ორმო და შეჭმუხნული, დაპატარავებული გულის სიცარიელე. მაგრამ თუ გვერდით, ათიოდე მეტრის დაშორებით ბუნების ასეთი საოცარი ქმნილება — არაჩვეულებრივი ფეხებიც დარბიან, ყველაფერი ისევ თავიდან იწყება — ისევ გესახება გულში იმედი, ისევ მზადა ხარ მოტყუებული დარჩე, ოღონდ რაც შეიძლება მეტხანს იხტუნაონ შენს გვერდით ამ კიდურებმა. ასეთ დროს მხოლოდ ისეთი ნათელი აზრები მოგდის თავში, როგორიცაა სარეცელი და მისი უპირატესობა სამყაროს სხვა გამოგონებებთან — წიგნების წერასთან და წარიმართა ფონენდოსკოპის ყურში გარჭობასთან შედარებით.

კეცერაძემ იგრძნო ალექსანდროვის მზერა. ხოლო უტყუარმა ქალურმა ინტუიციამ მიახვედრა, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი თვალები რიღაც უყურებდნენ და მაშინ კიდევ უფრო მობდენილად დაიწყო სირბილი.

ჩოგბურთის მოედანზე ალექსანდროვი ისევ არაჩვეულებრივ ადამიანად იქცა. შთაგონებით თამაშობდა ცნობილი ექიმი. ყოველ დარტყმას პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მისმა დახვეწილმა, რაფინირებულმა მოძრაობებმა ბიკენტის ყურადღება მაშინვე მიიპყრო. ბიკენტიმ გაიფიქრა, რომ ამ ადამიანს სულიც ასეთი ნათელი ექნებოდა. ყოველი დიდი კაცი, ერთდაიმავე დროს, კარგი მოთამაშეცაა. განსაკუთრებით მარცხნიდან ურტყამდა იგორი ელეგანტურად და ძლიერად. როდესაც ბიკენტი ვერ ეწეოდა ბურთს, ლენინგრადელი პროფესორი აღტაცებული ყვიროდა.

— ბორის, რომელი დეფიბრილაცია შეედრება ამ დარტყმას!

გამარჯვებები ჯერ კიდევ იზიდავდნენ ალექსანდროვს. წარმატება, თუნდაც სულ უმნიშვნელო წარმატება, აღაფრთოვანებდა და შთააგონებდა იგორს.

— თქვენ ჩოგბურთის მუზე[illegible]ლობთ, — უთხრა მას ბიკენტიმ, როცა ერთ მომენტში ბადესთან აღმოჩნდნენ.

— ტერფსიხორა?... ჩოგბურთიც ხომ ცეკვაა... შეხე ამ ქალიშვილს, — კეცერაძეზე მიუთითა, — კი არ თამაშობს, როკავს.

ვიდრე იგებდა, აღგზნებული დარბოდა მოედანზე იგორი. „მოთამაშე სიმბოლოებით მოლაპარაკეა, ხელოვანი და რაინდია, რაყიფი და მოაზროვნე. ხოლო თამაშმა ადამიანის ყველა გრძნობა შეიძლება დააკმაყოფილოს — პატივმოყვარეობის, დიდების, სიმამაცისა და გამჭრიახობის. თამაშებს შორის კი ყველაზე დიადი — სიცოცხლე და განუმეორებელი ჩოგბურთია“.

შემდეგ მთელი ძალით ათამაშდა ბიკენტი. იგორ ალექსანდროვი ველარ უმკლავდებოდა ახალგაზრდა მეტოქეს. მან ზედიზედ წააგო ოთხი გეიმი და გაბრაზდა. მაშინ უკანასკნელი ძალლონე მოიკრიბა და მეტოქეს ეკვეთა. იცოდა, რწმენა და სასოწარკვეთა ურთიერთს განაპირობებენ. ისევე როგორც გულის სისტოლა და დიასტოლა, მარადიული და წარმავალი, დიადი და სასაცილო, რომ წარმატება და მარცხი სიამის ტყუპებივით არიან გადაბმულნი. მისი ნებისყოფა, ხასიათი დასძლევდა ამ დროებით ბედუკუღმართობას, თუნდაც ეს გულის წასვლის, შუა მოედანზე წაქცევის ფასად დასჯდომოდა. ისიც, როგორც ყველა ადამიანი, ვერ იტანდა იმ კაცს, რომლის ზურგიც მის ცხვირწინ აღმოჩნდებოდა.

— გავაფუჭებ ამ ყმაწვილს, — უთხრა მან ბორისს, როცა ბურთი ბადეს გაარტყა და ოფლი მოიწმინდა, — როდის იცავს დისერტაციას?.. სპეციალურად ჩამოვფრინდები და ჩავუგდებ.

ბიკენტის კი თითქოს ტვინის ძარღვი გადაეკეტა — ქულას ქულაზე უგებდა. იმის მაგივრად რომ გონებაზე დამდგარიყო, თამაშით გაერთო. ბოლოს და ბოლოს, ბორისმა გადაწყვიტა, რომ ბიკენტი ხეპრე და ჰკუადამთხვეული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვერასოდეს ვერ გახდებოდა გამოჩენილი ადამიანი. ის, ვინც უგულებელყოფს დიდი კაცის მიმართ პატივისცემას, მორჩილებას და ქლესობას, შეუგნებელი და გამოუსწორებელია. მაინც სცადა ახალგაზრდა მეგობრის გადარჩენა. ბიკენტის მხარეს გადაინაცვლა და დაუყვირა:

— რა სამგლე გოჭივით ატყდი... დაუწექი ახლავე! რა უფლება გაქვს ასე უშეცდომოდ რომ თამაშობ!

თამაშის დამთავრების შემდეგ იგორმა ხელი არ ჩამოართვა ბიკენტის. ბორისს კი უთხრა, რომ წინადღით „ივერიის“ კიბეებზე ფეხი გადაუტრიალდა, რის გამოც თავისუფლად ვერ დარბოდა. მის თვალებში მომართული მშვილდისარი შეამჩნია ბორისმა. ბიკენტის იხტიბარი წაუხდა.

— თურმანიძის მალამო მოგიხდება, — უთხრა ბორისმა იგორს.

— შვეიცარიული ძროხა შვეიცარიაში უნდა მოამრავლო, — უპასუხა იგორმა, — ამაზონური თუთიყუში — სამხრეთ ამერიკაში, სომბრერო — მექსიკაში, ანტონოვკა — ურალში, დაკოდილ ფეხს კი მშობლიური წამლით უნდა უმკურნალო.

— ვიშნევსკის მალამოც გვაქვს... ისე კი, ყველა ბორიგი და ლეიბერი ხომ ვერ იქნება, — ანუგეშა ბორისმა, — ხოლო სიბრძნე თამაშზე მაღლა დგას.

იგორი კოჭლობით წავიდა გასახდელისკენ. შხაპის ქვეშ ნახევარ საათზე მეტი დაჰყო.

— რა ვქნათ ახლა? — ჰკითხა ბიკენტიმ ბორისს.

— სად დაკარგე ქართული სტუმართმოყვარეობა?.. ახალგაზრდა კაცს ალღო უნდა ჰქონდეს. როგორც აქლემი გრძნობს უდაბნოში რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ნაკადულის სიახლოვეს, ასევე ყმაწვილმაც სწრაფად უნდა შეამჩნიოს მოახლოებული საფრთხე.

— თითლიბაზი არასოდეს არ გავხდები.

— სტუმართმოყვარეობა და პირმოთნეობა ერთი და იგივე [illegible]-ში კაპი ამოიდე ახლავე.

ბოლოს თავი მაინც დამნაშავედ ცნო ბიკენტიმ.

— წაგება არ მიყვარს. მაგრამ ეტყობა მაინც არ უნდა დავყოლოდი ცდუნებას.

როდესაც საშხაპოდან გამოვიდა იგორი, სიცილი აუტყდა. სწრაფად შეიმშრალა ტანი და შეიმოსა. შემდეგ ბიკენტის გადაეხვია და თქვა:

— ჩვენ მოთამაშეები ვართ. ხან მოვიგებთ, ხან კი დავმარცხდებით. ნამდვილი ხასიათი და მედგარი ადამიანი კი იშვიათად თუ შეგხვდება ცხოვრებაში. ამიტომ თითოეული პიროვნება ისე უნდა შეათვალიერო, როგორც საჩუქარი და ბედნიერი შემთხვევითობა... მენდე ყმაწვილო, წინ დიდი მომავალი მოგელის, ეკლიანი, მაგრამ დიადი... ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამის შემჩნევა ვისწავლე. ეს მლიქვნელებმა აქნიონ კუდი და ხელზე მემთხვიონ, შენ კი ასე იარე და ნუცა დაუფევნ მარგალიტსა შენსა ნუროვის წინაშე... ახლა კი მაგიდაზე ვდგამ შამპანურებს.

ბიკენტიმ და ბორისმა კი გაიფიქრეს, რომ წყალია ჩვენი დამაწყნარებელი, მომცილებელი ჭუჭყისა და ნაღველისა; მდინარეები — არტერიებია, ღელეები — არტერიოლები, შხაპი — კაპილარები, ზღვა გულია და ცა კი — ფილტვები.

და მაშინ, როდესაც საბოლოოდ ჩინებულ გუნებაზე უნდა დამდგარიყვნენ, ალექსანდროვს მიაკითხეს, ფუნიკულიორზე ელოდებოდნენ, მინისტრიც სადაც იყო, იქ გაჩნდებოდა.

— მტკვარშიც გეძებეთ და თბილისის ზღვაზეც, — უთხრეს ოცდამესამე საავადმყოფოს დესპანებმა.

— ჩემს მეგობრებთან ყოფნა მირჩევნია, — მიუგო იგორმა, — წვერები უნდა გამეშვა და თავზე ყაბალახი მომეხვია.

— მაინც გიპოვნიდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორისს და ბიკენტის ბოდიში მოუხადეს, ვიწრო წრე იკრიბებაო. ალექსანდროვს ეღიმებოდა. როდესაც მანქანა დაიძრა, თავი გამოჰყო და დაიძახა:

— ქარია სიცოცხლის და სამყაროს სუნთქვა... ბიჭებო, უბერეთ, უბერეთ, ყოველმხრიდან შეუბერეთ ცხოვრებას... ოპენდო!

13.

მეორე დღეს სამეცნიერო კონფერენციამ დილიდანვე დაიწყო მუშაობა. პირველად მთავარი ექიმის მოადგილემ წაიკითხა მოხსენება. იმდენად დამაჯერებელი ტონით ლაპარაკობდა იმის შესახებ, რაც საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს პირველად ისმენდნენ მრავალი წლის წინ აღმოჩენილ ფაქტებს და იდეებს. განსაკუთრებით მომხიბლავი შესავალი იყო. მოჯადოებულ მსმენელებს მან აუწყა, რომ დაავადებები და, მათ შორის, ინფარქტიც, ღმერთმა გამოუგზავნა ადამიანებს, რათა სიცოცხლე მოსაწყენი არ გახდეს... (ხოლო ექიმები შიმშილისგან რომ არ დაიხოცონ, — ჩაილაპარაკა ვილაცამ დარბაზში...) რამდენი სისტემა და სამყაროცაა, იმდენი დაავადებაა, ზოგი „ახლობელი" და ზოგიც „შორეული", რომელიც თავის დროზე მოგვიახლოვდება, შემოიჭრება და დაგვაავადებს. ერთს შეცვლის მეორე, როგორც მეოცე საუკუნეში ტიფი და ტუბერკულოზი შეცვალა ინფარქტმა. ოცდაათ წუთს ლაპარაკობდა. დარბაზი ფეხზე ადგომით შეხვდა მის მოხსენებას.

ბორისის თემა ასეთი იყო: „სექს ქრომატინი და მიოკარდის ინფარქტი".

დარბაზი გაიტრუნა. ბევრი იყო მოსული სეირის საყურებლად, იმისთვის, თუ როგორ შეირცხვენდა ბორისი თავს და როგორ გააძევრენდა ბერაში მთავარი ექიმის მოადგილე.

ბორისმა შეკრებილ საზოგადოებას მოახსენა, რომ 1949 წელს ბარმა და ბერტრამმა პირველად აღმო[illegible] ცის თავის ტვინის უჯრედების ბირთვში სქესობრივი სხვაობა. შემდეგ გამოირკვა, რომ სხვა ცხოველების და ადამიანების უჯრედების ბირთვშიც აღინიშნება სპეციფიური ქრომატინი — სექს ქრომატინი. აღმოჩნდა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში ეს ქრომატინი ოთხმოც პროცენტ შემთხვევაშია, მაშინ როდესაც მამაკაცებში იგი მხოლოდ ერთ-ორ პროცენტში გვხვდება. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ აღმოჩენილი ქრომატინი აქესის გენეტიკურ ნიშანს წარმოადგენს. ბორისმა საზოგადოების ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც გარეგნულად მამაკაცი ნორმალურად არის განვითარებული, მისი უჯრედების ბირთვებში ნახულობენ სქესობრივ ქრომატინს, ესე იგი, იგი თავისი „ბირთვული აღნაგობით" ქალს წარმოადგენს. ხოლო როდესაც ქალებში არ არსებობს ეს ქრომატინი, ჟუეთი შემთხვევა მამრობით ფსევდოჰერმაფროდიტიზმს მიეკუთვნება. შემდეგ ბორისმა აღნიშნა, რომ ქალებში მიოკარდის ინფარქტი ორმოცდაათ წლის ასაკამდე იშვიათად ვითარდება. იმ შემთხვევებში კი, როდესაც ახალგაზრდა ქალი ავადდება ამ სნეულებით, ბირთვებში სქესობრივი ქრომატინი არ აღმოჩნდა, ესე იგი მათი ბირთვები „მამაკაცური" აღნაგობის იყო. ბოლოს ბორისმა დასძინა, რომ ის მამაკაცები, რომლებიც ინფარქტით დაავადდნენ, ნამდვილი მამაკაცები არიან და ამით უნდა ამაყობდნენ.

ბორისი დაჯდა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

საავადმყოფოში ასეთი ტრადიცია იყო: ყოველ წელიწადს საუკეთესო ნაშრომისათვის ერთი თვის ხელფასით აჯილდოებდნენ გამარჯვებულს. მალე კონფერენციის შედეგს თავმჯდომარე, იგორ ალექსანდროვი, შეაჯამებდა და გამარჯვებულსაც ის დაასახელებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირმოუფერებელი დიდი იგორი რუშ-ხიანი იჯდა.

კამათში განყოფილების გამგე გამო-ვიდა. შეაქო პროკლეს ნაშრომი. შემ-დეგ ბორისს მიდგა. თქვა, რომ მოხსე-ნება სავსე უნდა იყოს სახეებითა და ხასიათებით, ხოლო ნაშრომის სული უნდა ფეთქავდეს. ზოგიერთის მუგუ-ზალს, რომელიც ტვინის კოლოფში უნ-და გიზგიზებდეს და მეცნიერების გზას უნდა ანათებდეს, წყალი აქვს გადასხ-მული და მხოლოდ შიშინებს და კვალს ურევს ჭეშმარიტებას. მან იკითხა: „გა-მოდის რომ ვისაც ინფარქტი არ ემარ-თება, ცვედანია?.. ხოლო ჩვენი ნაზი ქალები, რომლებიც ამ დაავადებით სნე-ულდებიან, ლესბოსელები არიან?“ მან დასძინა, რომ ეს არასერიოზული მიდ-გომაა საკითხისადმი. მთავარი ექიმის მოადგილის ერთგულმა ექიმმა ფაჩუ-ლიამ კი შემდეგი აღნიშნა: „როცა მეც-ნიერები მომრავლდნენ, მეცნიერებამ დაკნინება იწყო. რაც უფრო მეტი ნაშ-რომი იწერება, მით უფრო ნაკლებია მათ შორის სასარგებლო. ყველას, ვი-საც არ უმართლებს ცხოვრებაში — თანამდებობაზე, ოჯახში, სიყვარულში (განსაკუთრებით ქალებს), ბედს მეცნი-ერებაში ეძიებს. ბუნება გენიოსს საუ-კუნეებში თითოთითოჯერ ქმნის, საკან-დიდატო და სადოქტორო დისერტაცი-ებს კი — წელიწადში ათასობით, აკა-დემიკოსებს — ასობით. მაგრამ ყველა-ფერს თავისი სამანი აქვს. ოთხასი და ექვსასი შრომა — ეს ათასწლოვანი ცდუნება და ცდომილებაა. ახლა იმას თვლიან მეცნიერად, ვინც სხვის აღმო-ჩენებს გვაწვდის მოხდენილად. ყველას უნდა ჯორდანო ბრუნოს ძმა რომ გახ-დეს, მაგრამ არა სიმართლისათვის კო-ცონზე დაწვაში გაეჯიბროს, არამედ მხოლოდ დიდებაში და სახელში... მეც-ნიერება იოლი გზაა. პირიქით რომ ყო-ფილიყო, არავინ არ მიეტმასნებოდა მას, რადგან ცნობილია, რომ ის, რაც სიძნელეებთან არის დაკავშირებული, არ შეიძლება დიდხანს რომ გიზიდავ-დეს“. მანაც დაასამარა ბორისი: „ყვე-ლასთვის ცნობილია, რომ გული ეს ვნე-ბების კარადაა, თავის ტვინი კი — აზ-რებისა და იდეების.. მაგრამ მიპასუხეთ, განა ცოტაა ცარიელი კარადა ამ ქვეყა-ნაზე? ანდა გამოტენილი მხოლოდ ძველმანებით, თვით იროსიც კი რომ არ იკადრებდა ჩასაცმელად... მადლობთ ყურადღებისათვის!“

პროკლემ საბოლოო სიტყვაში მხო-ლოდ ის თქვა, რომ ჭეშმარიტება კამა-თის დროს იბადება, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს — ქლიავი ივლისში მწიფდება, მერცხალი კი გაზაფხულზე მოფრინდებაო.

ბორისმა საბოლოო სიტყვაზე უარი თქვა. ფარ-ხმალი დაყარა და გაიფიქ-რა, რომ ცხოვრებაში აღარ იღებდა მო-ნაწილეობას. სცენიდან გასული მსახი-ობი, როდესაც როლი დამთავრებულია, უკან აღარ ბრუნდებაო. ეს აკრძალუ-ლია თეატრალური კანონებით და „ბე-ბერი აქლემის“ მორალითაც. ხოლო დიდი ხანია მიხვდა, რომ ცაში მხოლოდ მერცხლები როდი დაფრინავენ; ზღვაში კი კოხტა დელფინების გარდა კაციჭა-მია ზვიგენებიც დაცურავენო.

ზოგიერთს შეებრალა ბორისი. მაგ-რამ მთავარი ექიმის მოადგილე უფრო დიდ მეცნიერად და ლონიერ კაცად მიაჩნდათ და ამიტომ დუმილი არჩიეს.

ბოლოს იგორ ალექსანდროვი გამო-ვიდა. როდესაც ის ადგა, დარბაზმა სუნგალსა გაჰკრა. ასე დაიწყო: „ის წუთი, როდესაც იბადება ადამიანი, და ის წუთი, როდესაც იგი ქოთნის საკე-თებლად მიეშურება — ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გრანდიოზუ-ლი წამებია ცხოვრებაში... მოგილო-ცავთ მეცნიერის დაბადებას. მეცნიე-რებას და ხელოვნებას სრულებითაც არ აინტერესებს ავტორის ასაკი, მეც-ნიერებას და ხელოვნებას მხოლოდ ჭე-შმარიტება და მშვენიერება ხიბლავს. დღევანდელი მაგალითი კი იმის თაობა-ზე მიუთითებს, თუ რაოდენ კონტრას-ტული საიდუმლოებით და ათასი შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებლობითაა ალჭურვილი ჩვენი საოცარი დედა-ბუნება“.

იგორ ალექსანდროვის გამოსვლის შემდეგ ბორისი და ბიკენტი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ჩვენს სამზეოში ისევ ცოცხლობს ისეთი ცნება, როგორიცაა მეგობრობა.

იგორმა პალმის რტო ბორისს გადასცა. ხოლო საღამოზე სადგურში გამოთხოვებისას ასე მიმართა ბორისს და ბიკენტის:

— იცინეთ, იფილოსოფოსეთ, ითამაშეთ ჩოგბურთი და ჩვენს მეურნეობას — ავადმყოფებს მიხედეთ.

— მეცნიერებას? — ჰკითხა ბიკენტიმ.

— მეცნიერება თქვენი საქმე არ არის.

მატარებელი დაიძრა — ჯერ ფრთხილად, შემდეგ როგორც ყოველთვის, თანდათან მოუმატა სვლას და ბოლოს, როგორც ყველაფერი ამქვეყნიური, ისიც გაჰქრა, იგორთან ერთად გაუჩინარდა. სადგური კი იქვე იდგა, იქვე დარჩნენ ბიკენტი და ბორისიც, ხვალინდელი ყოველდღიურობა და საზრუნავი.

კონფერენციის შემდეგ ბორისი საფრთხის წინაშე დადგა. ამ დღიდან ექიმები მას უყურებდნენ, როგორც მუხლგადამტვრეულს.

რამდენიმე დღის შემდეგ ბორისმა საავადმყოფოს კორიდორში შეაჩერა ბიკენტი.

— ო, სალუტე, მასწავლებელო, — მიესალმა ბიკენტი.

— ნემო ვარ, — უთხრა მან უმცროს მეგობარს.

— კაპიტანი?

— არა... არავინ. არაფერი, სიცარიელე — ნემო, ნიჰილ, შუნია.

— პრემია ჩამოგართვეს?

— პენსიაზე გასვლა შემომთავაზეს... აი, ასეთი ყოფილა ჩემი ცხოვრების ბოლო.

ბიკენტიმ კუთხეში დააყენა ბორისი და მეგობრულად ურჩია:

— გამაგრდი ბორის, მოიგონე ცალთვალა ადამიანები — ანტიგონე, ჰანიბალი, სერტორიუსი, ნელსონი, ციკლოპი... შენ კი ორივე თვალი სალი გაქვს... როგორც ბუშტს, ისე შეხედე უბედურებას.

კორიდორში გერონტიმ გამოიარა. იგი ერთი წუთით შედგა და მეგობრებს უთხრა, რომ ჰამურაბი, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე 2.300 წლის წინ ცხოვრობდა, ერთ-ერთი ბრძენი მმართველი გახლდათ ძველი აღმოსავლეთისა და რომ მის მიერ შექმნილ კანონების წიგნში წითელი ფანქრით არის ხაზგასმული — ყოველი ავადმყოფი ვალდებულია ექიმს მკურნალობის საფასური გადაუხადოსო.

შემდეგ მათ ცხვედაძე მიუახლოვდა.

— ბატონო ბორის, თქვენ ჩვენი სინათლის წყაროს განსახიერება ბრძანდებით. მაგრამ თუ ნათელს შუქს წაართმევენ, მითხარით, რით გავანათებთ გზას წყვდიადში, რით გავაშუქებთ დათვის ანგალას?

როდესაც ისინი წავიდნენ, ბორისმა კიდევ ერთი პატარა ხვაშიადი გაანდო ბიკენტის. მისი აზრით, ცხოვრება ჭადრაკის თამაშს ჰგავდა, სადაც დროზე უნდა მოასწრო სვლების გაკეთება. ბოლო ერთია, მაგრამ წაგება სამოცდამეათე სვლის შემდეგ ჯობიაო, ვიდრე მეთვრამეტე ან მეორმოცე სვლაზეო. ბიკენტიმ კვერი დაუკრა:

— ან ზენა შეგვეწევა, ანდა სასწრაფოდ ვინმე დიოფალი უნდა გამოვძებნოთ ჩვენს ნაცნობ ექიმებს შორის.

ბორისმა ხელი ჩაიქნია. „ჯერ რეანიმაციის, შემდეგ კი რეაბილიტაციის ჩატარება დაჭირდება, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — მაგრამ ნეტავ, რა უნდა ურჩიოს კაცს, რომელმაც სამოც წელს გადააბიჯა და რომელსაც ასი მანეთიც კი არა აქვს გადანახული შემნახველ სალაროში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მემუარების წერას რომ მიჰყო ხელი?

— ალბათ კაკლების გაშენებას დავიწყებ. ყოველთვის ბუნება უფრო მიზიდავდა, ვიდრე ადამიანი. მცენარეები არასოდეს არ გიმტყუნებენ, თუ მართლა დიდი პაპანაქება სიცხე არ დაატყდება ქვეყანას.

სამი დღის განმავლობაში მხოლოდ ბორისის პენსიაზე გასვლაზე ლაპარაკობდნენ საავადმყოფოს თანამშრომლები. მათი ცხოვრება ისევ შინაარსიანი და საინტერესო გახდა. სამედიცინო პერსონალმა გადაწყვიტა გაცილება მოეწყო ბორისისათვის. ადამიანები ყოველთვის როდი არიან გულგრილნი. როდესაც მიზეზი გამოუჩნდებათ, მხიარულდებიან, უყვარდებათ მოყვასი და სუფრაზე გულს უშლიან ერთმანეთს. ბნელმა ნათელი, ცრემლმა — ღიმილი, ხიჭვმა — ნელსაცხებელი, გვალვამ — წვიმები, სევდამ — თანამშრომლის კისრისწატეხვა რომ არ შესცვალოს, რა აავსებდა უსასრულობასა და სივრცეს, რა გაიყვანდა დროს — ამ უშველებელ ორმოცდაათ საუკუნეს მაცხოვარის დაბადებამდე და მისი გაჩენის შემდეგ კიდევ ოციოდე ასწლეულს.

სწრაფად დაიწყეს ფულის შეგროვება და კამათი იმის თაობაზე, სუფრა მანჯგალაძის უშველებელ ბინაში გაეშალათ თუ „ისინდში“. მაგრამ ამირინდომ ბიკენტს უთხრა:

— ბანკეტი არ შედგება!.. ნაწლავი გადამეხლართოს, თუ ვტყუოდე.

14.

— რომელი ჯობია, — ჰკითხა ამირინდომ ბიკენტის, — იყო თავისუფალი და უშარვლო, თუ — მონა და ფულიანი?

— იყო თავისუფალი და ფულიანი.

— ნახვამდის, ბიკენტი.

საავადმყოფოდან ცენტრალურ უნივერმაღში გაიარა ბიკენტიმ. მეოთხე სართულზე ჭრელი ჰალსტუხი შეიძინა. ჭრელი ჰალსტუხი იმ მამალს აგონებდა, ბავშვობაში მალაქიამ რომ აჩუქა ნიჩაფაში... ჰალსტუხმა მამალი, მამალმა კი ასკლეპიუსი გაახსენა. [illegible] იქნება იქნება, ერთ მამალს მეც შევწირავ მას... შეიძლება ჩარხი მაშინ წალმა გადატრიალდეს?“

პერანგების განყოფილებაში მყიდველები შეტევისათვის ემზადებოდნენ. რეგბისტებივით ირხეოდნენ, ლაზათიანად აწვებოდნენ ერთმანეთს და ყაყანებდნენ.

— რას არიგებენ? — ჰკითხა წვერგაუპარსავ მამაკაცს ბიკენტიმ.

— ფლავს, — უპასუხა მან.

— რეგულარულად რატომ არ იპარსავ წვერს?

— იმიტომ რომ ხოში მაქვს.

გაბუტძგნულმა მამაკაცმა თავი ჩაღუნა, ისკუპა და თვალისდახამხამებაში მორევში შთაინთქა.

ბიკენტის კი გული შეეკუმშა. ადამიანებზე გულდაწყვეტილმა მოპირდაპირე სექციაში მდგარ გამყიდველ გოგონას ჰკითხა:

— თუ საიდუმლოება არ არის, სანთლები სად იყიდება, ორივე მხრიდან რომ იწვოდეს ისეთი?

გამყიდველმა გოგონამ თვალები დააჭყიტა.

— როგორ? — იკითხა მან.

გარეთ ციოდა. ბიკენტიმ პალტოს საყელო აიწია, კიოსკში სიგარეტები იყიდა და რუსთაველის პროსპექტს გაჰყვა.

კარი დედამ გაუღო. ბიკენტი ფეხიზელი არასოდეს არ ეხვეოდა დედას. მაგრამ ახლა, როდესაც მისი ფერმკრთალი, დამჭკნარი სახე, მოტეხილი სული დაინახა სულ ახლოს, რატომღაც მოუნდა მოფერებოდა ამ ყველაზე ძხლობელ ქალს მთელს სამყაროში. მაგრამ თავი დროზე შეიკავა.

— შივა თუ გაგიგონია?

— არა, — მიუგო მარიამმა.

— ბრაჰმა?

— კომბოსტოს წნილი მიატანე კარტოფილს.

— ნუ მასწავლი, ხუთი წლის ბავშვი აღარა ვარ... — ვიშნუ გინახავს?

— ასკილის წვენი დაგისხა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბრაჰმა აღმაშენებელია, აი, დავით მეფე რომ იყო, იმის მსგავსი... ვიშნუ — დამცველია, თამარ მეფეა. შივა კი გამანადგურებელია... ჩემს ირგვლივ შივას სული ტრიალებს, მარიამ.

შემდეგ მედეას დაურეკა. შინ არ იყო. მაშინ საწოლზე წამოწვა და ძილის ღმერთს მოუხმო. ერთადერთი არსება, რომელიც არასოდეს მოსაწყენი არ ხდება, ადამიანის ერთადერთი დამცველი და მფარველი. მაგრამ მორფეოსიც სადღაც გაუჩინარებულიყო. მაშინ ჩოგბურთზე დაიწყო ფიქრი. ჩოგბურთი საავადმყოფომ შეცვალა, საავადმყოფო — ზღვამ, ზღვა — მედეამ, მშვენიერი მედეა — ნიჩაფამ, სოფელი — ინსტიტუტმა და უეცრივ ისევ დაუდგა თვალწინ ის... რამდენი წელი გავიდა? უამრავი, ათი... მარგარიტა, მარგარიტა. მოსხივცისკარე გოგონა... ათი წლის წინ თვალსაწიერზე სხვა არაფერი ჩანდა, არც ღრუბლები, არც ბურთი, არც ტაბუხის ძვალი. ცხოველის მთავარი მიზანი და აზრი დაპურებაა. იმ პერიოდში მასაც მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა — მარგარიტაზე ფიქრი და მის სიახლოვეთ ყოფნა. როცა შესცქეროდა, აღარ ცუნდრუკობდა და გამაძღარ ძაღლივით კმაყოფილი იყო. რა სასიამოვნო და დამღუპველი იყო მარგარიტას ველური და უცხო მზერის გავლენით გაცხოველება, კუდის ქიცინი. და თუ პოეზია საბურველს ხსნის სამყაროს ფარულ მშვენიერებას, თუ მეცნიერება სდევნის ჭინკებს, ინფარქტებს, სივრცის დესპოტიზმს, მარგარიტა — ყველაფერს ბურუსში ხვევდა, ასაიდუმლოებდა, სიცოცხლესაც კი საინტერესოდ ხდიდა... მარგარიტა ტიმოთეს დაბადების დღეზე გაიცნო, ცინარიმ, მეზობლის გოგონამ მოიყვანა. „ღვინის სმის დროს ცუდი ჩვევა მაქვს". — უთხრა ბიკენტიმ მარგარიტას. „აყალმაყალს ტეხავთ?" —... „ო, არა"... „გონებას კარგავთ?.." „არა... უსაშველოდ მიყვარდება ის გოგონა, რომელიც ჩემს გვერდით ზის"... თვრამეტი წლის მარგარიტა. გინდ შორიდან გეცქირა, გინდა ახლოდან, გამადიდებელი შუშით თუ მიკროსკოპით, მაინც თვრამეტის იყო. შავი თალხიც კი რომ მოეხურა, ფერუმარილიც კი რომ წაეცხო, მაინც არ შეცდებოდი, გაზაფხული რომ იდგა შენს წინ. ბიკენტის ელიმებოდა, როცა აგონდებოდა სადღაც წაკითხული, თითქოს ქალში იმას ვეძებთ, რაც არ არსებობს, რაც შეუცნობია — უსასრულობას და უკვდავებას, ყველაფერ იმას, რაც ცხოვრებას და ღმერთს არ მოუცია ჩვენთვის — ხმას, ნიჭს, თავისუფლებას, მამულს თუ ფულს. „რატომ ამირჩიეს ღმერთებმა, რატომ დამაჯილდოვეს ასეთი დიდი საჩუქრით?" მაშინ მარგარიტა უეცრივ გვირილად ან მთვარედ რომ ქცეულიყო, არ გაუკვირდებოდა. მაგრამ მაინც ყველაზე საინტერესო მარგარიტას წინაშე თამაში იყო, როცა შხამა ბალახიც კი უძლურია, რომ დაგაოკოს... მარგარიტა... მის თვალებში ზოგჯერ აგავა იჯდა, ნაწილ-ნაწილ რომ გლეჯდა ყველაზე ახლობელ არსებას და შემდეგ მის თავს სარზე რომ აცვამდა. განა შეიძლებოდა მარგარიტას გვერდით ყურების ჩამოშვება? მან დღეგამოშვებით ტანის დაბანვაც კი იწყო და აღარც გაციების ეშინოდა და აღარც ქარბუქის. ეს ხომ არ იყო პარაისო-სამოთხე?

ხოლო შემდეგ შეიტყო, რომ მარგარიტა დედისერთა იყო, რომ მამა ფრონტზე დაეღუპა, რომ დედა ომამდე ფსიქიატრიულში იწვა. მაშინ მეორე კურსზე იყო ბიკენტი და სულით ავადმყოფები ჯერ არ ენახა... სულით ავადმყოფის ლამაზი ქალიშვილი. მშვენიერი ოფელია, დანიელი პრინცის შეყვარებული... აკუტაგავაც ხომ შვილი იყო შეშლილი ქალისა... რამდენი რომანტიკა და დიდსულოვნებაა.

შემდეგ ბევრჯერ უფიქრია ბიკენტის, თუ რით იყო დაკავშირებული მარგარიტა მიწასთან, რა ფესვებით. რატომ არ ეცემოდა — მამის ხსოვნა ამაგრებდა თუ დედის უმწეობა იყო მისი დასაყრდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი? შეიძლება ის ფესვი, ის ბამბუკი მომავალი ბიკენტი იყო, რომელსაც შემდეგ შეხვდებოდა ერთხელ. ღმერთო ჩემო, შეიძლება მართლაც ჭირდებოდა დაცვა, შეიძლება მართლაც უნდა შეაშველოს ხელი ერთმა ადამიანმა მეორეს? დალახვროს ღმერთმა, ამდენი საიდან უნდა იცოდეს ოცი წლის ყმაწვილმა, რომელიც არც შინ, არც სკოლაში და არც ქუჩაში ამისდაგვარს არსად არ მოჰკრავს ყურს. სულელური განტოლებები, უნიჭოდ გადმოცემული წარსულის ისტორია, ყეყეჩური დაზეპირება ლექსების... არცერთი დიდი პედაგოგი, თავის მაგალითით რომ გიჩვენოს, თუ რა ხდება კაცუნას ფსიქიკაში, როცა მისი მეზობელი, მეგობარი, თუ ახლობელი ეცემა და განურჩევლობა მოიცავს, რატომ ხდება, რომ ვირი დიდხანს თუ დააბი ბოსტანში, შეიძლება აგრონომიც კი გამოვიდეს, ხოლო ბადრიჯანს ფრთებს თუ მიაბამ, შეიძლება მერცხალივით ფრენაც კი დაიწყოს.

თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. გადაწყვიტეს, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაქორწინდებოდნენ. ეჩვენებოდა, რომ ერთად გატარებულ საათებს ვერ შეედრებოდა თვით პეტრარკას ვერცერთი ლექსიც კი.

ზოგჯერ ბინაზეც აკითხავდა მარგარიტას. მარგარიტას დედა, გამხდარი, წყნარი ქალი, ღიმილით ხვდებოდა ბიკენტის, ჩაიზე ეპატიჟებოდა და ოჯახის ფოტოალბომებს უჩვენებდა. ეს ქალი მხოლოდ გასცემდა, რაც კი ებადა, სათნოებას თუ ღიმილს, და სხვებისგან, ერთადერთ შვილისგანაც კი, არაფერს არ მოითხოვდა. მის თვალთა ელვარება დიდი ხანია ჩამქრალიყო ცხოვრების წყალთა დინების, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მონდომებით თუ ადამიანთა გულგრილობის მეშვეობით. „ნეტავ როგორი იყო მაშინ, როდესაც ეშმაკი ეჯდა სისხლში?“

იმ აგვისტოში მახარაძეში მიდიოდა პრაქტიკაზე მარგარიტა. ის და მისი მეგობარი „კიკიმორა“ დარე[illegible]ზე გააცილა ბიკენტიმ. მატარებელი დაიძრა. მარგარიტამ ხელი დაუქნია. შემდეგ გაუჩინარდა, გაჰქრა, შთაინთქა. მაგრამ მისი ეიდოსი მაინც სამუდამოდ დარჩა...

გავიდა კვირა. ბიკენტიმ არ დაურეკა მარგარიტას დედას. არც მეორე კვირას გახსენებია. ბიკენტიმ სასწრაფო დახმარების სადგურში დაიწყო სანიტრად მუშაობა.

ყოველ ღამე მორიგეობა წელში ტეხავდა. რამდენიმე დღეში გახდა და ყურები კიდევ უფრო დაუგრძელდა. მაგრამ როდესაც ოცი წლისა ხარ, როცა საარსებო მხოლოდ მინიმუმი გაგაჩნია, ყველაფერს უნდა გაუძლო, დროებით გულცივიც შეიძლება გახდე და გამძვინვარდე, და აუცილებლად უნდა დაჭკვიანდე, შეძლებისდაგვარად დაბრძენდე. რადგან ერთხელ, როდესაც შენს მიერ აგებული სამყარო ხუხულასავით თავზე დაგექცევა და მარტოდმარტო დარჩები ნანგრევებს შორის, თავიდან უნდა დაიწყო მშენებლობა. და აი, ასეთ მდგომარეობიდან საბოლოოდ დათეთქილი რომ არ გამოხვიდე, მანამდის, ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, რამდენჯერმე ცუდად უნდა იგრძნო თავი, ძალიან ცუდად. ოღონდ მაშინაც კი არ უნდა დაგავიწყდეს მარტოხელა კაცი და ის, რომ ადამიანში ღვთიური საწყისი გიზგიზებს. ეს კი ბიკენტის მესამე კვირას გაახსენდა და მომავალ სიდედრს გაუარა. ბიკენტიმ მის თვალებში მადლობა ამოიკითხა. პატიების უნარი, მარტოობა და შინაგანი სიკეთე იყო ამ პატარა ქალის ძალა, ბოლომდის მაინც რომ ვერ მოტეხა გაუგებრობამ და უაზრობამ. მარგარიტა მოკითხვას უთვლიდა ბიკენტის. გამოთხოვებისას შეჭალარავებულმა ქალმა მხოლოდ ეს უთხრა: „ნუ აწყენიებ მარგარიტას. ბიკენტი, ის ისეთი უსუსურია, რომ ვერც კი წარმოიდგენ“. ბიკენტიმ გაუღიმა.

მესამე დღეს კი მარგარიტა გამოეცხადა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიკენტიმ შეჰყვირა, მუხლებზე დაეცა და მაღლა აღაპყრო ორთავე ხელი. „ისე მომენატრე, რომ გადავწყვიტე დღეს ღამით სიზმარში მენახე, მარგარიტა! ისევ კრეფენ ჩაის მახარაძეში?“ მარგარიტამ არ უპასუხა. თითქოს არაფერი საბედისწერო არ ყოფილა მის გამოხედვაში. მაგრამ რას უნდა მიხვდეს ერთი შეხედვით გამოუცდელი, მიამიტი ოცი წლის ყმაწვილი. ეს დავით აღმაშენებელს შესწევს მეფობა თექვსმეტი წლის ასაკში. „ჩვენი ხვედრი კი ეზოპესავით მონობა. მანჭვა და გრეხვაა, სხვები რომ გავახალისოთ, რომ გავუმაგროთ გული მზაკვრობის, დანის უკნიდან ჩაცემის დროს... სად დაიკარგენ მოხუცი სილენოსი, მომოსი, სატირები, ბერიკეები?“.. როგორ უნდა მიმხვდარიყო მეყსეულად ნიჩაფელი ბიჭი, რომ სამყარო ახლა ტანჯვას და უბედურებას უზგავნიდა, თავის დიდებულ ღიმილს კი არამზადებზე აფრქვევდა. რა უნდა ეგრძნო ვიღაც ბიკენტის, რომლის წინაპრებმა საუკუნეები ყვირილას ჩავარდნილ, სამყაროსგან მოწყვეტილ ხეობაში გაატარეს? სადღაც კი იმ დროს მეფისი იყო, სადღაც ბობოქრობდნენ მაკიაველი და აბატი ნონოტა, მაჰატმა და რამაკრიშნა, მიდგარდი და ჰამურაბი, პერიკლეს და ლორენცო მედიჩის ეპოქა, სადღაც უკვე გამქრალიყვნენ შუმერები და ბერბერები. რა უნდა ეგრძნო ბიკენტის, როცა ისეთ ლამაზ თვალებს შესცქეროდა, რომ სხვა დანარჩენის აღქმა აღარ შეეძლო... „ჩამოჯექი, მარგარიტა“. „შეურაცხყოფა მომაყენეს“. „ვინ“?.. „ორმა“... „მთვარემ და მზემ?... მომისმინე, მარგარიტა, ორჯერ თავსდამტყდარი უბედურება, საწინდარია მესამე დიდი ბედნიერებისა. ორი დღე განუწყვეტლივ თუ წვიმს, შეუძლებელია მესამე დღეს ღრუბლებმა რომ არ გადაიყაროს“. მაშინ მარგარიტამ უთხრა: „გამაუპატიურეს“... შემდეგ ბიკენტის ხშირად უფიქრია, ბათუმის ამინდივით, თუ რა ცვალებადია ადამიანის ბედი. ერთ წუთს მაცხოვრის კალათში რომ წარმოგიდგენია მოკალათებული, მეორე წუთში უკვე სათაელის მუხლებზე ზიხარ. და სიცოცხლის ერთი მეყი ისე არა ჰგავს მეორეს, როგორც ბრძენისა და უგუნურის გამოხედვა თუ აზრები.

რამდენიმე წლის შემდეგ ბიკენტი მიხვდა, რომ მაშინ გამოცდა მოუწყვეს, დააბნიეს, შეცდომაში შეიყვანეს, რომ მაიას საბურველი ჩამოაფარეს თვალებზე, საიდუმლოების ბურუსში გახვიეს, გზა აუბნიეს. მასში, რაც უცვლელი, ჭეშმარიტი და ნათელი ეგონა, ეჭვი შეაპარეს. ხოლო სამყარო, ყოფიერება, რომელიც მანამდის ასეთი მარტივი და უბრალო ჩანდა, სინამდვილეში დაუნახავი და გაუვალი გამოდგა. და ზედაპირზე ამოტივტივდა შავი რაინდი, ფარული მბრძანებელი და დესპოტი „ეგო“, დამარხული წარმოდგენების, სწრაფვის მთელი სამყარო. „რატომ ჩაუჯექი მანქანაში?“. თითქოს მეხი დაეცა ბიკენტის თავში. ასე იყო ორი დღე. მესამე დღეს კი, ტიმოთესთან ერთად, ოდესაში გაფრინდა. ხოლო როდესაც ორი კვირის შემდეგ თბილისში დაბრუნდა, მარგარიტა დასაფლავებული დახვდა... არა, თავი არ მოუკლავს, ტროტუარზე ხესთან მიასრისა არყით გამომთვრალმა მძღოლმა „გაზ-21“-ით... მაშინ ბიკენტიმ სწრაფად აუღო ალღო მდგომარეობას — ვიდრე გაერკვეოდა ვითარებაში, თავი უნდა გადაერჩინა. წამოიშველია — შემთხვევითობა, ბედისწერა, აბსურდი, ინტელექტი, მონადები, უძილო ღამეები სასწრაფო დახმარებაში, ღვინო და სხვა ათასი წვრილმანი საშველი რგოლი. მაგრამ მარგარიტა არ შორდებოდა. იგი ყველგან იყო — ზღვის ქაფში, ცის მირიად ვარსკვლავებში, სიზმრებში, გაზაფხულის სუნთქვაში, თოვლის ფიფქებში, დაისში, დილის ნიავში, მაცოცხლებელ სულს რომ ბერავს ფოთლებსა და პატარა დამინებული კაცის სულსა, მზის სხივებში, უძვირფასეს ქვებში რომ ტოვებს თავის სახეს სამუდამოდ. ნიჩაფას წისქვილში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცაცხვის ფოთლებში; ეს მის მიერ დატოვებული სიყვარული აბრუნებდა წისქვილის ქვებს და ყველა სულდგმულის სისხლს...

მრავალი თვის შემდეგ მიხვდა ბიკენტი, რომ მარგარიტა აღარასოდეს არ დატოვებდა და აღარც უცდია მისი განდევნა. ის მასთან დარჩა საბოლოოდ. სამუდამოდ კი სულ სხვა რამ წავიდა — სიჭაბუკის სისუფთავე და გულუბრყვილობა, რწმენა და ხალისი, ჰიმნების წიგნი და ულევის სივრცე, ხუთი შეგრძნებიდან ყველაზე ღვთიური შეგრძნობის — ვარდისფერ სათვალის საშუალებით ხედვის უნარი... თავის მოტყუებაც სცადა ბიკენტიმ. მან გადაწყვიტა, რომ დარჩენილ წლებს სულით ავადმყოფებს შესწირავდა, იმ ადამიანებს, რომელთა სულსა და გონებას შორის გამოუსწორებელი კონფლიქტი მოხდა. ისევ მიიზიდა სინამდვილემ, ძალაუნებურობამ, აუცილებლობამ. თითქოს ეს დიადი და შინაგანი დანაწევრება, გაბზარვა, გაორება, რომელსაც ყველა ადამიანი განიცდის ერთხელ, თუ კი სინამდვილეში ცოცხლობს, ისევ მთლიანდებოდა. კითხულობდა პოლ დე კრუის, ფროიდს, ვუნდს, კრეჩმერს, მორელს, ბეხტერევს, პავლოვს, ლომბროზოს, კირკბრაიდს, სპენსერს. მან წარმოიდგინა, რომ ფსიქიატრი — ადამიანთა სულის ძიროვების დასტაქარი, ღმერთის ოსტატი, პირველი მაგისტრი იყო. სასწრაფო დახმარებას დაეთხოვა და ელექტრონის ქუჩაზე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაიწყო სანიტრად მუშაობა. სულით ავადმყოფში ცდილობდა ჯანმრთელი, ნათელი რაღაც პატარა ნაწილაკის აღმოჩენას და მასზე მოქმედებას. მის სწრაფვას ღიმილით და ირონიით შეხვდნენ. მანაც ღიმილით უპასუხა, ზეცით იმედიანი, მიჩვეულის ღიმილით.

მეოთხე კურსის დამთავრების შემდეგ ბიკენტი ერთი-ორი თვით პრაქტიკაზე გაგზავნეს წინწყაროს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. აქ უმთავრესად ის ავადმყოფები ხვდებოდნენ, [illegible] ლი ჰქონდათ ჩაქნეული, ვინც სამუდამო თავშესაფარი ნახა სიგიჟეში, ვისაც გულშემატკივრები არ ჰყავდათ. აქაც გულისყურით ექცეოდა ავადმყოფებს ბიკენტი. აქაც ხედავდა, რომ სიცოცხლე უმოქმედობაში, უაზრობაში და უკანასკნელი დარტყმის მოლოდინში გადიოდა. აქ ფუსფუსსაც კი ვერ შეამჩნევდით. აქ კიდევ უფრო ნაკლებად აკითხავდნენ მათ, რადგან იქ, „ნამდვილ" სამყაროში ყველას თავისი ტკივილი და საზრუნავი გააჩნდა. უმეტესად წყნარი და მივიწყებული ავადმყოფები იყვნენ, აჩრდილის მსგავსნი.

სწრაფად მიიწურა ერთი თვე. იმ დღეს ბიკენტი უკანასკნელად მივიდა ფსიქიატრიულ სახლში. პრაქტიკის ხელმძღვანელს ხელი მოაწერინა დღიურებზე, გამოემშვიდობა ექიმებს და წასასვლელად გაემზადა. ამდროს საორდინატორო ოთახში ექთანი შემოვიდა და ექიმებს თხოვა მერვე პალატაში მოხუცი მომაკვდავი ქალი ენახათ, ფორმალურად. ქუჩუნა ექიმს ბიკენტიც გაჰყვა. ბიკენტი მამაკაცთა განყოფილებაზე იყო მიმაგრებული და ქალთა კონტინგენტს ნაკლებად იცნობდა. თუმცა ერთი-ორჯერ ამ პალატაშიც ყოფილა. ხუთსაწოლიანი ოთახი იყო. ორი ხანდაზმული ქალი საწოლზე იჯდა, ერთი — კედლისკენ გადაბრუნებულიყო, მომაკვდავი კი აგონიაში იყო. „საბრალო სონია, — თქვა ექიმმა, — ჩვენი ყველაზე უხმო ავადმყოფი". სახელის გაგონებაზე გული უსიამოვნოდ შეეკუმშა ბიკენტის. იგი მიუახლოვდა საწოლს და ქალს დააკვირდა. დანაოჭებული კანი, გახუნებული თმები, ერთი მუჭა სახე და ხალი ნიკაპზე... ხუთ წუთში მარგარიტას დედა გათავდა. უკანასკნელად ამოისუნთქა და სამუდამოდ გაქვავდა. მაშინ პირველად შეესწრო ბიკენტი ნაცნობის უკანასკნელ ამოსუნთქვას. მალევე თბილისში დაბრუნდა. ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანს თხოვა, რომ სწავლის დამთავრების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდევ, რომელიმე საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილებაში გაეგზავნათ სამუშაოდ. „აი, როდის ვუღალატე პირველად ჩემს ბაირაღს“.

## 15.

მედეა გადაიკარგა. სამი კვირა არ ჩანდა. მისმა საქციელმა ჩააფიქრა ბიკენტი. ის თანდათან მიხვდა, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ქალზე. მაშინ ბორის მიმართაა. მაგრამ უფროსმა მეგობარმაც ვერ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. ტიმოთეც ტყემალზე იჯდა. აი, ამიტომ გადაწყვიტა ბიკენტიმ საუკუნეების ამ საიდუმლოს ერთხელ და სამუდამოდ ამოცნობა. ჩანაფიქრი ტიმოთეს გაანდო.

— ქართველ მანდილოსნებს ნუ დაპატიჟებ, თბილისში არაფერი არ იმალება, — ურჩია მეგობარმა.

პირველად ათხოვა ყური ტიმოთეს რჩევას.

საბანკეტო დარბაზის დაქირავება არც ისე იოლი გამოდგა. მაგრამ როდესაც რაიმე საქმეს მოითავებ, ისე საოცრად მაღლდები საკუთარ თვალში, რომ შიშიც კი გიპყრობს, ყინულიც კი გილღვება გულში. შემდეგ ხორცს, თევზს, ყველს, ხიზილალას, კიტრს და პამიდორს დაედევნა. ერთხელ კინაღამ უმტყუნა მოთმინებამ და გადაწყვიტა ხელი ჩაექნია ჩანაფიქრზე. მაგრამ მოსაწვევი ბარათები უკვე დაგზავნილი იყო და ბიკენტიმ ისევ გამოიბა ფეხზე ბორბალი... ბოლოს და ბოლოს, უკანასკნელი დღეც დადგა, არაჩვეულებრივი საღამო.

— იესო მაცხოვარო, აი, თურმე რა ყოფილან ქალები. აი, თურმე როგორ ატარებდა დროს ზოგიერთი მამაკაცი! — უთხრა ბიკენტიმ ტიმოთეს.

— აი, ვინ ამსგავსებს თურმე ქვეყანას სამოთხეს.

— ისინი ციდან ჩამოცვენილი ვარსკვლავებია!

აქ ყველა დროის და ყველანაირი ქალი იყო — კანჭმაღალი და[illegible] მკერდიანი, შავგვრემანი და ქერა.

— იცანი? — ჰკითხა იულიანამ ბიკენტის.

— რა თქმა უნდა ვერა.

— ეგვიპტელი ჰეტერა როდოპისია. მეფე ამაზისეს დროს ცხოვრობდა. წარმოშობით ფრაკიელია. ეგვიპტეში ერთმა ბოროტმა კაცმა ჩაიყვანა ფულის გასაკეთებლად და მალე მხარი მოექცა ცხოვრებაში.

— ფული მაშინაც უყვარდათ? — იკითხა ბიკენტიმ.

იულიანა მორელის, რომელიც თავისუფლად ფლობდა ოცდაათ ენას და ბიკენტის ეხმარებოდა სტუმრებთან კავშირის დამყარებაში, გაეღიმა.

— მაგრამ რაინდები ყოველთვის იყვნენ. ჰარაქსმა იხსნა იგი. როდოპისი მაგრად ჩაეკრა მხსნელს... თუმცა თავის ხელობაზე ხელი არ აუღია და უთვალავი ზინათი შეუძენია. ამბობენ იმ ფულებით ერთ-ერთი პირამიდა აუგია.

— ეხე იგი მაგაზე არც კი უნდა ვიოცნებო, არა, იულიანა? ჩემი ხელფასი ერთი წლის განმავლობაში უნდა ვაგროვო ეგვიპტეში რომ მოვხვდე და ის პირამიდა ვინახულო. ხოლო მისი მსგავსი რომ ავაგო, მილიარდი წელი უნდა ვიმუშაო... ღმერთო ჩემო, მილიარდი წელი... რატომ არის ხოლმე ამხელა განსხვავება ადამიანებს შორის, იულიანა, ვერ მეტყვი?

— რა პროფესიისა ხარ, ბიკენტი?

— ექიმი ვარ.

— ექიმები ჩვენ დროს მეორეხარისხოვანი ხალხი იყო.

— ცდებოდა თქვენი ეპოქა. განა პლატონი არ იყო, ჰიპოკრატეს ფიდიასის გვერდით რომ აყენებდა?

— ზოგჯერ შენისთანებსაც კეთილი თვალით უყურებდა როდოპისი, რადგან ბუნებით დიდსულოვანი ქალი იყო, ხოლო ხასიათი სათნო ჰქონდა. ეზოპეს რამდენიმე საათით გაუყო სარეცელი ერთი არაკის მიძღვნის სანაცვლოდ.

— ექიმი ვარ და ლექსის წერა არ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხება... გამოიხედა, ღმერთო ჩემო, ულიანა, ხელი შემაშველე, შეიძლება წავიქცე.

საფო თვალებში ჩასცქეროდა მაგდალინას და ლექსს უკითხავდა. ყინჩად იდგა ასპაზია, პერიკლეს მეუღლე, მჭევრმეტყველების მასწავლებელი. ფულზე არასოდეს არ გაუყიდია სხეული. მხოლოდ იმ მამაკაცის წინ წვებოდა ზურგზე, ვინც მისი სულით ნათესავი იყო. იულიანამ გააცნო მესალინა, ვილჰელმინა ენკე, ფრიდრიხ მეორის საყვარელი, დედოფალი აგრიპინე, თავის ძმასთან კალიგულასთან რომ ცუღლუტობდა, ემა ჩინიზელი, უბრალო აკრობატის ოჯახში დაბადებული, არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი, იტალიის მეფის ვიქტორ ემანუილის ყურადღება რომ მიიქცია. ხოლო ეს საოცარი ქალი ბუდაპეშტში როცა გამოჩნდა, ხალხმაც და არისტოკრატებმაც უმალ დაივიწყეს ომი და ქოლერა.

— აი, რა შეუძლია ქალს, ბიკენტინო... აი, რატომ არ დაიღუპა აქამდის კაცობრიობა.

—მეც დიდ პატივს ვცემ ასეთ ქალებს, — თქვა ბიკენტიმ.

ექიმს თავი სიზმარში ეგონა. პირველად დარწმუნდა, რომ სიცოცხლე მშვენიერებაა, ხოლო ინფარქტი და სიკვდილი — საშინელება. ერთხელ მაინც თუ იხილავ ისეთ ქალს, როგორიც ემა ჩინიზელია, ერთხელ მაინც თუ ჩამოართმევ ხელს, აღარასოდეს არ დაბერდები. მაგრამ თუ ერთხელ იმასაც მიაღწევ, რაზედაც ათი წლის ასაკიდან სამოცდაათ წლამდე ოცნებობს ყოველი მამაკაცი, მაშინ შენც ნაწილობრივ, ერთი მესამედით მაინც ვიქტორ ემანუელი, კარაკალა ან ტარიელი გახდები.

მარკიზა დე მონტესპანი, მარია მანჩინო, ქალბატონი მენტენონი, ქალწული დე მალი, მარკიზა პომპადური, გრაფის ქალი დიუბარი, რევოლუციამ გილიოტინაზე რომ დაადებია თავი, ეკატერინე მედიჩი, ლედი პენოიერი, მარგარიტა ვალუა, სიბილა ბედენელი, ბეატრისა დემალეონი. ქოზ[illegible] სტიუარტი...

— საიდან ხარ წარმოშობით?

— ზემო იმერეთიდან.

— მეშფისიდან შორს არის?

ბიკენტიმ თეთრ კაბაში გამოწყობილ ქალზე მიუთითა.

— ელიზაბეტ ბატორია.

— რა სათნო სახე და კეთილი გამოხედვა აქვს.

— ექვსასი გოგონა ჰყავს მოკლული. მათი სისხლით აბაზანას ავსებდა და ბანაობდა.

— მოუგონეს, იულიანა, შეხე რა თეთრი და სუფთა ხელები აქვს.

იულიანამ ხელკავი გამოსდო ბიკენტის.

— აი, ნინონ ჩელანკლო, მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი ფრანგი კურტიზანი. ის კი ლუკრეცია ბორჯიაა.

— ღმერთო, რა ღვთიური სახე აქვს.

— პაპი ალექსანდრე მეექვსის ქალიშვილი, მამასთან ავბედითი კავშირი რომ ჰქონდა.

— იულიანა, თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ლამაზ კისრიან და ლამაზ ფეხებიან ქალებს ხშირად ცილს წამებენ?.. ნიმფომანობას, სადიზმს, მაზოხიზმს, ურანიზმს, ალგოლაგნიას.

— ახლა კი ცნობილი ბერძენი მხატვრის აპელესის აღმოჩენას დაგანახვებ... შამპანურს სვამს...

— დაილოცოს მისი გამზრდელი დედა.. იულიანა, მე დაბნეული ვარ ამდენი სილამაზის ხილვით.

— ღვინომ დაღუპა ბოლოს და ბოლოს.

— ვინ, იულიანა?

— ლაისა... სიყვარულის პროფესიით ბევრ ფულს შოულობდა. მაგრამ თუ მამაკაცი მოეწონებოდა, ისეც უწვებოდა ლოგინში. მისი საყვარლები იყვნენ ცნობილი ფილოსოფოსები დიოგენი და არისტიპე, დიოგენს უფასოდ წყალობდა, არისტიპეს კი ფულს ართმევდა. დემოსთენეს მოხიბვლაც შესძლო ლაისამ. მაგრამ იყვნენ მამაკაცები, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც მის ანკესზე არ წამოეგნენ: ქსენოკრატე და კორინთის თამაშებში გამარჯვებული ევბატე.

— ცელდანები იყვნენ? — იკითხა ბიკენტიმ.

— არა, ერთი დრო არ ყოფნიდა, მეორეს — სხვა უყვარდა. ეს ის ლაისაა, რომელმაც თავის სარკე აფროდიტეს შეწირა, როცა შეამჩნია, რომ სარკე მხოლოდ დანაკარგებს ახსენებდა... ეს მაგალითი კიდევ ერთხელ გვასწავლის, რომ უკან არასოდეს არ უნდა მოვიხედოთ, რომ არასოდეს არ უნდა დავუბრუნდეთ ბავშვობაში გატარებულ ადგილებს და რომ წარსულისკენ გზა საბოლოოდ გადახერგილია.

„მარგარიტას რა ვუყო?... იულიანა, ეს მოგზაურობა ხომ მხოლოდ იმიტომ მოვიგონე, მას პატიება რომ ვთხოვო...“

— ის ვინ არის, ფარშევანგს რომ ჰგავს?

— ყმაწვილო, შოპენჰაუერი არასოდეს არ ადარებდა ადამიანს ცხოველს თუ ფრინველს. ეს კაცის უდიდეს დამცირებად მიაჩნდა... ცხოველი მაინც ცხოველია, გინდ მარტორქა იყოს და გინდაც ლომი.

შემდეგ ზოგიერთი საინტერესო საკითხი გაარჩიეს. ბიკენტის განსაკუთრებით საიქიოს სტრუქტურა და სინამდვილე აინტერესებდა.

— იქაც სიყალბე და სიცრუეა გამარჯვებული? იქაც ატყუებენ ერთმანეთს სულები?..

— ეს საიდუმლოებაა, ბიკენტი. თავის დროზე ყველაფერს შეიტყობ.

ტიმოთე განცალკევებით იჯდა და სვამდა. ღვინით ცდილობდა დაბნეულობის დაფარვას. არავინ არ აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ მესალინამ ჰკითხა გვერდით მჯდომ ულამაზეს ლედი პენოიერს.

— ეს მათხოვრები ვინ არიან?

— ჩვენი მასპინძლებია.

— ვერ ვიტან წიკო-მაკო ხალხს...

ეტყობა ქვეყნის დასასრული ... ამათ ხანძარიც ველარ იხსნის.

— მამაკაცი ლოგინში და ბრძოლის ველზე უნდა გამოცადო.

— იმაზე საშინელება არაფერია, როცა ადამიანი არც მონაა, არც თავისუფალი, არც პლებეი და არც არისტოკრატი. ესენიც რაღაცის ნარევებია.

— მართალი ბრძანდებით, — კვერი დაუკრა ლედი პენოიერმა, — ამ ქვეყანაში ერთ დღეზე მეტს ვერ გავძლებდი.

ემა ჩინიზელი თვალებით ჭამდა ბიკენტის. ეს მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. უდიდეს სიამოვნებას ღებულობდა, როდესაც მამაკაცს ორივე მუხლით აჩოქებდა.

— რა მოგეწონა ამ ლაქიაში? — ჰკითხა მარგარიტა ვალუამ.

— სახეზე არ ეტყობა, ბოსელში რომ არის გაზრდილი.

— მის ძარღვებში სისხლის ნაცვლად ალბათ ძმარი მოედინება.

მეოცე საუკუნის კინოვარსკვლავებიც აქ იყვნენ — კლაუდია კარდინალე, სოფი ლორენი, ჯინა ლოლობრიჯიდა, გრეტა გარბო, ბრიჯიტ ბარდო. როდესაც ისინი მრავალი წლის წინ მცხოვრებ ქალებს შეადარა ბიკენტიმ, იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ქალი ყოველთვის ქალი იყო, რომ სამოც ან ოთხმოც საუკუნეს ამ საოცარ არსებებზე სულ არ უმოქმედია, რომ ადამიანის სიცოცხლე მართლაც წუთისოფელია.

— რა წარმოდგენა შეგექმნათ ჩემზე?
— ჰკითხა ბიკენტიმ იულიანას.

— პირდაპირ გეტყვი. პრიმიტიული ხარ, შემართება გაკლია და სიმამაცე. ეს კანონია, როდესაც სხეული ძალიან იზრდება, სული კნინდება. მაგრამ იხტიბარი მაინც არ უნდა გაიტეხო, ბიკენტინო, რადგან ყოველთვის, ბოლოს და ბოლოს წყვდიადს ნათელი შეცვლის.

— რატომ არის ქალი ჭკუის მტერი?

— ქალი სიცოცხლის წყაროა.

— სიბრძნე ხომ მოფერებაზე მაღლა დგას?

— არ დაიჯერო, ბიკენტი. ქვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეტალებით გატენილი ხელი გადაუსვა თავზე იულიანამ.

— იულიანა, როგორ გავხდე უკვდავი?

შემდეგ იულიანა დაინტერესდა, თუ საიდან გაუჩნდა ასეთი სურვილი, ყველა ლამაზნი რომ შეეკრიბა ერთად. ბიკენტიმ მიუგო, რომ ეს წინაპრების იშტა იყო, მთელი გვარის სურვილი, იმ მამაკაც წინაპრების ლტოლვა, როდოპისის, ლაისას და კლეოპატრას დროს რომ ცხოვრობდნენ, საუკუნიდან საუკუნეებში გადმოსული სწრაფვა. არაფერი არ იკარგება, არაფერი არ კვდება, ოცნებებიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

ბიკენტი აქაც თვალთმაქცობდა. მან არ გაუმხილა სინამდვილე იულიანას, მისი მიზანი იყო გამოეცნო ქალის ბუნება, მედეას ხასიათი.

— ახლა მივხვდი, — თქვა ექიმმა, — რომ არაფერი არ ჰქრება, რომ ყველაფერი, როგორც მზე, ჩადის და ისევ ამოდის... სენიორა, მეც ხომ გამოვიარნებ ამ ქვეყნად რამდენიმე საუკუნის შემდეგ?... სურვილი მაქვს ერთ სახელმწიფოში რომ მოვხვდე... ვინ ანაწილებს საგზურებს მაღლა?..

— როდესაც ბევრ ქალს ეპოტინება მამაკაცი, ეს მის სისუსტეზე მიუთითებს.

— თუ ერთ საქმეში შენსას ვერ მიაღწევ, მეორეს უნდა მოჰკიდო ხელი, თუ ერთი ქალი ხელს გკრავს, მეორესთან უნდა გაიქცე.

— არა, ბიკენტი, რაც უფრო სუსტია კაცი, მით უფრო მტკივნეული და გაზვიადებულია მის ოცნებაში რეალური ძალაუფლება... შენ შიშმა მოგიცვა.

— იულიანა, მე მიმატოვეს, სამი კვირაა, რაც არ გამოჩენილა სატრფო.

ბიკენტიმ კიდევ ერთხელ გადახედა საზოგადოებას და გული სასიამოვნოდ შეეკუმშა. თბილისში ასეთი წვეულება არავის არ გაუმართავს. სიამაყით ავსებდა გული.

— როგორ შეიძლება ამ ქალების გულის მოყვავილება? აუცილებლად ჰექტორი ან ბაგრატიონი უნდა იყო?

— ასეთია სამყაროს კანონი: ქალი ძლიერისკენ მიილტვის... განა თქვენთანაც ასე არ არის?

— ჩვენთან ყველანი თანასწორნი არიან. ჰანიბალები და ნაპოლეონები მოვსპეთ და დავრჩით ჩვენ.

იულიანამ გაიცინა და მწკრივად ჩაწყობილი თლილი კბილები გამოაჩინა. შემდეგ ის ქალები გააცნო, ვინც ჭკუით და გონებამახვილობით მოიპოვეს სახელი, და არა მარტო სხეულითა. ვიტორია კოლონა, ცნობილი პოეტი, უკვდავი მიქელანჯელოს მეგობარი, ნოველა დანდრეა, მაგდალინა ბოუნსინიორა, იზოტა ნოგაროლა, კასანდრა ფეზელე, იზიკრატეა მონტი, ქალბატონი კიური, სორბონის უნივერსიტეტის პირველი პროფესორი ქალი, ჟორჟ სანდი, ოლიმპია ფულვია მორატა, ტიციანის ელეონორა გონზაგა ლა ბელა.

— განა შეიძლება ეს ქალები გონებრივად ახლომხედველები რომ იყვნენ?

მაგრამ სალამომ დაძაბულად ჩაიარა, ბევრს უმამაკაცო სუფრა მკრეხელობად მიაჩნდა. ლამაზები ირონიული ღიმილით უყურებდნენ ჭკვიანებს, ჭკვიანები მტრულად უბღვერდნენ თვალებს. მშვენიერებს. ხოლო ლამაზმანები ერთმანეთს ან კისერს უწუნებდნენ, ან გულმკერდს ან სიცოცხლის სხვა სიმბოლოურ ნიშანს.

ამ დროს ტიმოთე მიიჭრა ბიკენტისთან.

— ეს რა მიყავი, სინსილა გამომეცალა, ველარ დავდივარ და გონებაც ამერია. მთელი სალამო ძუნკალ ძაღლივით დავრბივარ.

— გაგივლის, ვამეხ.

— ფულიც შევთავაზე.

— რამდენი?

— ორმოცდაათი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იულიანას ერთი ბეჭედით პატარა კუნძულის ყიდვა შეიძლება, ვამეხ.

— იცი რას გეტყვი, აფერისტები არიან... მაგათ ვუჩვენებ სეირს!

უცებ ბიკენტი ერთ ადგილზე გაჩერდა.

— ის ვიღა არის? — იკითხა აღრთოვანებული ხმით.

— გრძნეული მედეაა.

— ეს ხომ ჩემი გულის სწორია, — იყვირა ბიკენტიმ, — ჩემი მედეაა... თუმცა მარგარიტასაც ჰგავს... ორივეა ერთდროულად.

სალუქი გრძელი კაბა ეცვა. ისეთივე თვალები. შეუდარებელი ყელი. წარბები, ტუჩები. ბიკენტის ზაფრის ქარები აუტყდა.

— მის გარდა არავინ არ მინდა. — თქვა ბიკენტიმ.

— ახლა ხომ მიხვდი, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ქალი არსებობს, რომ სხვანი აჩრდილები არიან... მოჩვენებები სწრაფად ქრებიან, ერთადერთი ქალი კი სამუდამოდ შენთან რჩება... ახლა კი დროა. წავალთ... მშვიდობით ბიკენტი.

— კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხე იულიანა... რა არის სიკვდილი?

— ჩვენ აქ გასართობად მოვედით და არა კითხვებზე პასუხის გასაცემად... ცხოვრებაშიც იგივე ზომიერებას იცავენ გაგებულნი.

— როგორ უნდა გადავარჩინოთ გული — სტროფანტინით. მისკლერონით თუ ნიტროგლიცერინით?

— ადიო, ბიკენტი... კარგი ბიჭი ხარ.

— იულიანა. წამომყევი სახლში... თუ პირამიდა ვერ აგიგე, ერთ აგარაკს მაინც მოგართმევ ნიჩაფაში... თუ წამომყვები, ქამთა სიავეც ვერაფერს დამაკლებს.

ღიმილით გაჰქრა იულიანა.

როდესაც დარბაზიდან გამოვიდნენ, ტიმოთემ ბიკენტის ჰკითხა:

— სიზმარი იყო თუ ცხადი?.. აწი რომელ გზას უნდა დავადგეთ?

— ვამეხ, „მეძინა და ვხედავდი, რომ სიცოცხლე მშვენიერება იყო... გამოვიღვიძე და მივხვდი, რომ სიცოცხლე — ეს მოვალეობაა..." დავადგეთ ამ გზას.

16.

ბიკენტი აქეთ მიდიოდა.

ერთი მწვერვალზე მიცოცავს, მეორე სამარეს უთმობს ახლობელს, ერთი წერთა, მეორე ანგელოზი, ვიღაც იყინება, ვიღაცას კი ცეცხლი ეკიდება კეფაზე, ერთი აღწევს ყაზბეგს, მეორე — ფსკერს, ერთი იქით მიდის ყოველთვის პროსპექტზე, მეორე — აქეთ. ყველას კი ერთი საერთო აქვს — უკანასკნელი ამოსუნთქვა, უკანასკნელი კავშირი დედამიწასთან. მილიონობით უკანასკნელი ამოსუნთქვა, და მათგან რამდენიმე ყველაზე ძვირფასი და ახლობელი. საბოლოო ამოსუნთქვა — უნიჭო დრამატურგის მიერ დადგმული ყველა სპექტაკლის ერთადერთი ფინალი... აი, რატომ ურჩევნია ადამიანს სიცოცხლის ის პერიოდი, როდესაც თავისუფლად, სინდისის ქენჯნის გარეშე ისვრება, ილიმება, უფშტვენს, იკვანწება. თრთის და არავითარი დარდი, არავითარი მომავალი, არავითარი იდეები არა აქვს. ჩასვრილი პატარა სიცოცხლე, ყველაზე მომაჯადოებელი არსებაა ამ ქვეყანაზე. ოღონდ ეს მონაკვეთიც ისევე სწრაფმავალია, როგორც გაზაფხული, როგორც ახალი წლის ღამე, როგორც მილიონობით უკანასკნელი ამოსუნთქვა. მაგრამ შემდეგ, როდესაც წამოიზრდება, რატომ აღარ პატიებენ დაცემას და მარცხს დაბნეულ ადამიანს? რატომ ხითხითებენ, რატომ დასცინიან, იმის ნაცვლად, რომ სასწრაფოდ თბილი წყალი, საპონი და პირსახოცი გაუწოდონ?

რესტორან „ინტურისტთან" ნასვამმა ახალგაზრდა კაცმა შეაჩერა. თვალის უპეები ჩაშავებოდა. შუბლზე ნაადრევი ნაოჭები უჩანდა. კერპთაყვანისმცემელი და სკვითი, გაიფიქრა ბიკენტიმ და უსიამოვნოდ შეეკუმშა გული.

— თქვენ დედაჩემი გადაარჩინეთ გაზაფხულზე... თქვენთან იწვა საავადმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფოში... ანეტა კოპლატაძე... ამბობენ, როდესაც უდაბნოში წყურვილი ახრჩობს ადამიანს, მირაჟებს დასდევსო... მოდი, ცოტა ხნით ჩვენც ამოვეფაროთ ამ მირაჟებს, ღვთიური პროფესიის ოსტატო!

— მელოდებიან.

ახალგაზრდა კაცმა ხელი გაუწოდა.

— მაშინ მოახლოებულ ახალ წელს მოგილოცავ... ღირსი ხარ ბედნიერებისა... თბილისში ორი კეთილისმყოფელი გყავს, შორეული მეგობრები... მრავალს დაესწარი.

შეტრიალდა და რესტორნისკენ გასწია. შესასვლელთან შედგა, შემოტრიალდა და ხელი დაუქნია ექიმს.

ბიკენტის გაეღიმა, ახალი წლის წინ სამყაროს ფარისევლობა და თვალთმაქცობა სადღაც გამქრალიყო. შეიძლება დროშები, სროლა, ილუმინაცია, თოვლის ბაბუები, ბამბის ფიფქები მხოლოდ სიხარულის იეროგლიფი, აბრა იყოს, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ წელიწადის ყველაზე მნიშვნელოვანი დღის დადგომის წინ იმ ადამიანის დალოცვა, რომელსაც დიდი სიკეთე გაუწიე, არ გამართლდეს.

როგორ გადაარჩინოს მარიამი?.. სამი დღის წინ დედამ გონება დაკარგა და დაეცა. ათი დღე გრიპით ავადმყოფობდა... გაცვეთილი ორგანიზმი, არტერიული წნევა და ინფექცია... ოღონდ ახლა მთავარია უნდა ირწმუნოს თავის ძალა ბიკენტიმ. მედიცინამ, ამაოების გარდა, ბრძოლაც ასწავლა... სნეულებათა მდინარე. მის ტალღებში დღეს თუ ხვალ ყველა მოექცევა, ყველა, ვინც სხვა ნაკადულებს გადაურჩება — ძალდატანებითს, შემთხვევითს, აბსურდულს, თავის საბოლოო სამყოფლისკენ — ოკეანისკენ, თანატოსისკენ რომ მიისწრაფვის. „ოღონდ ჯერჯერობით ისევ გამოვცურავთ ნაპირისკენ“. მან იცოდა, რომ არსებობს ადამიანთა სულები, რომლებიც შეუგნებლად, ბრმად მიილტვიან ამ ოკეანისკენ, დაუოკებელი, შეუნელებელი ძალით. ისინი დიდ ხიფათს [illegible]ბენ, მცირე საშიშროების წინაშე კი თრთიან, გაკაწრულ თითს სათუთად უვლიან, თავის ტვინის და გულის დახეთქილ ძარღვებს კი ღიმილით შესცქერიან. ჰექა-ქუხილის ხმაზე ველური მუხლზე ეცემა, დენთით სავსე კასრს კი გულუბრყვილოდ უახლოვდება ანთებული ჩირაღდანით... რას განიცდის ექიმი და ყველაზე ახლობელი, როდესაც პირველად იგრძნობს, პირველად შეხედავს თვალებში ამ აუცილებლობას და გარდუვალობას? დალევს თუ ისევ მოწყალების მორევის საშუალებით შეეცდება გაექცეს სინამდვილის კაშკაშა სხივებს?.. კიდევ რა ასწავლა მედიცინამ და ცხოვრებამ ბიკენტის? თურმე შეიძლება მთელი სიცოცხლე ისე დასცალო, რომ ვერც კი მიხვდე, თუ რა ძვირფასია ზოგიერთი ადამიანი. მაგრამ როდესაც სამუდამო განშორების დრო მოახლოვდება, უცებ იფეთქებს ის გრძნობა და რაც არ უნდა რკინისხელებიანი და ფოლადისგულიანი იყო, უკვე ველარასგზით ვერ დაემალები სხვების ცნობისმოყვარე და მეშჩანურ თვალებს. უკანასკნელ ამოსუნთქვამდის არ ირწმუნებ შენს უძლურობას, ამაოების ამაოებას.

ბიკენტიმ საკიდზე ჩამოკიდა პალტო და სავარძელში ჩაჯდა. მარიამს საახალწლო სუფრა გაეშალა. მეთერთმეტე საათი იწყებოდა. ბიკენტიმ თვალი შეავლო სუფრას. რატომ ვერ ხედავდა ფარშევანგის და ხოხობის ტვინსა, ფლამენგოს ენას და გველთევზა-მურენის შიგანს?

ბიკენტი მაგიდას მიუჯდა. მჭადი მოიტეხა და ჭიქაში რქაწითელი დაისხა. გაეღიმა. მჭადი და იმერული ჭყინტი ყველი — ბიკენტის ყველაზე სასურველი საჭამადი. შემდეგ ღვინო მოსვა. დაიწყოს? რა ბედენაა, თუ როდის გადაჰკრავ, როდის გადააფარებ ვარდისფერ ზეწარს ტვინის სამყოფელს, ერთი თუ ორი საათით ადრე. ორი საათი — წარმოადგენს რამეს, თუ სულ არაფერია?

თუ კი რაიმე სიდიდეს შევადარებთ, რას გაუტოლდება — ქლიავს, ბუზს თუ ცაზე ჩამოკიდებულ ვარსკვლავს?.. თუმცა რა ბედენაა? ახალი წელიც ყველა ზეიმის, ბედნიერების თუ კაცის სიცოცხლის მსგავსად სწრაფად გაივლის. კლდიდან ზღვაში გადამხტარი ჭაბუკის კენარი ტანის წამით გაელვება. ერთი სულის შებერვა და ახალი წელიც ამინ და კირიე-ელეისონ... მაგრამ მაინც რა არის ახალი წელი, ვინ იცის, რომელმა მისანმა, რომელმა პეიტარმა? ვის შეუძლია რაიმე თქვას მასზე, სტუმარია თუ მასპინძელი? როგორ უნდა მოიქცე ამ დღეს — გარდა სმისა, მოჩვენებითი მხიარულობისა და თავდავიწყებისა?.. სად იტყუებს თავს მედეა, ვის ეფერებიან მისი მაცდური თვალები?.. შევსვათ, ბიკენტი?.. „რას უსურვებდი საკუთარ თავს ახალ წელს?.. ათას ქისა მარჩილსა, შავი დედალივით გაკეთებას, ღმერთმა ნუ მოგიშალოს ლიბიდო, და მარად კეთილად რომ გქონდეს კუჭის მოქმედება... ბიკენტი, წლები ადამიანებივით მხოლოდ მოჩვენება ან ფოთლების თრთოლვაა...“ რამდენი ახალი წელი გაუტარებია, ერთი მაინც რატომ არ შემორჩა მეხსიერებას! კვალის ნატამალიც არ დაუტოვებია.

არ იცოდა, რომ ეს ახალი წელი სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა.

თორმეტი საათისათვის მარიამიც მიუჯდა სუფრას. ნიჩაფა და კალინკა, იასონი და ზინაიდა გაიხსენეს.

— მოდი, მარიამ, მომიყევი, როგორ დამბადე თხრილში... ან რატომ აქომამდე ვერ ამომიყვანე იმ ორმოდან?

— მეტს ნუღარ დალევ.

ბიკენტიმ გაიღიმა და გადაჰკრა. ყველაზე ახლობელი ადამიანის მომაჯადოებელ, დანაოჭებულ სახეს გაუღიმა. ახალი წელი და დიდი განშორების წინა წუთებში და ისევ დაიძრა ხელიხელჩაკიდებული ნაღველი და სიყვარული, უკიდეგანო, უსხეულო, მარადიული, რითმით, საუკუნეებიდან, წარსულიდან მომავალი.

დაუვიწყარი ახალი წლი[illegible] და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.

მატარებელი საცაა დაიძვრება. დღეები უკან დარჩნენ. თუ წინ გაიქცნენ? სათქმელი აღარაფერია. მურმანმა ხელი გაუწოდა ბიკენტის.

მურმანს აღმოსავლეთი ელოდებოდა.

— ხომ აღარასოდეს არ დავშორდებით? — იკითხა მან.

— რაღა ჩიჩინი უნდა.

წუთით ანგელოზებმა ჩამოიარეს. სახლიდან გამოსვლის წინ ბიკენტიმ მურმანს უთხრა, რომ ექიმობის ყველაზე დიდი სინამდვილე ის იყო, რომ ყველა შენი ახლობელის, ყველაზე ძვირფასი ადამიანის უკანასკნელ ამოსუნთქვას უნდა დაესწრო. მათი უკანასკნელი წუთისყოფა შენი ხვედრია. და როდესაც ბრძოლა წაგებულია, თავი მაინც ისე უნდა დაიჭირო, როგორც პირწავარდნილმა ოპტიმისტმა.

— რატომ ამოირჩიე ადამიანის სხეულის მკურნალობის პროფესია? — სიყვარულით შესცქეროდნენ ბიკენტის უმცროსი ძმის თვალები, — ან სად გაისტუმრე ღიმილი?

— მიწაში, მურმან, იქითა მხარეს.

— ზოგჯერ ხომ მაინც მომწერ წერილს?

— ალბათ, არა.

— მე მაინც გამოგეხმაურები.

ისევ გაჭიანურდნენ წუთები...

ოთხ იანვარს მარიამი საბოლოოდ ჩაწვა. ბიკენტიმ წამალი დაალევინა და საწოლთან ჩამოუჯდა — დედამ ხელი დაადო მუხლზე.

— სამარისკენ მაქვს ფეხი გაშვერილი?

— ავლაბრისკენ... საოცარ მხარისკენ, სადაც გამვლელებს „ტემპს“, „რეკორდს“ და „პელამორს“ სთავაზობენ.

— გვიჭირდა, ბიკენტი.

— შესდექ, მარიამ!.. დიდი გაჭირვება თუ წარღვნა — მხოლოდ გამოცდაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომის დაცვის ან სახელმწიფო გამოცდის მსგავსი რაღაცაა, სიცოცხლეში ერთხელ რომ ხდება. ოღონდ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ფარული და საიდუმლო. უფრო ხშირად უეცრივ წაგაყენებენ ხოლმე ყველაზე პირუთვნელ, მოუსყიდველ გამომცდელის წინაშე, და როგორც უპასუხებ, როგორც მოიქცევი, იმისდამიხედვით დაგიწერენ ნიშანს, იმისდამიხედვით ივლი ქუჩა-ქუჩა, დარბაზობაზე თუ ცხოვრებაში. ოღონდ არა უბრალო ქაღალდზე, არამედ მარადიულ ტილოზე, ზოგიერთი სულს რომ უწოდებს, გამოგიყვანენ შეფასებას. ეს ნიშანი ზეცის, უფლის მიერ დაწერილი ნიშანია... „ბორჯომი“ დაგისხა?

— არ მინდა.

— მომისმინე, რა უფლება გქონდა იოლ გზას რომ დაადექი? ბარემ საბურთალოს „ტალკუჩკაზე“ გასულიყავი და საკუთარი ბალნები გაგეყიდა... პაპიროსით ვაჭრობა უფრო სამარცხვინო საქმეა, — ბიკენტი ისევ სერიოზული გამომეტყველებით დასცქეროდა მარიამს.

— შვილებს არ ყიდიან, — დედამაც იმავე ტონით მიუგო.

უწინ ხშირად კინკლაობდნენ. ბიკენტი თავისუფლებისათვის იბრძოდა, მარიამი მისი დამორჩილებისათვის. თაობების მუდმივი, მარადიული, ჩვეულებრივი ომი. ოღონდ ახლა ამქვეყნიური თამაში დასასრულს უახლოვდებოდა. დარჩებოდა მოგონებები, სიზმრები და ყველაზე საოცარი კონკრეტული და ზოგადი ცნება — „დედა“, ყველას თავისებურად რომ აჯადოებს და ატყვევებს. თითქოს ყველაზე ბანალური, ჩვეულებრივი, და მაინც ყველაზე საოცარი და გამოუცნობი არსება. რადგან იგი ყველა სიცოცხლის დასაწყისია, სიცოცხლის მომნიჭებელი, უსასრულო ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლის საწყისი, ხოლო სიცოცხლე მილიონსახიანია, სამყაროსავით დიადი და საიდუმლო. აი, რატომ ტოვებს დედა კვალს ყველაზე ცივი მამაკაცების გულებშიც კი...

ორმოცდაერთში მამა ომში გაიწვიეს, ორმოცდაორში დაიღუპა. ბიკენტის შვიდი წელი უსრულდებოდა, მურმანი მზის გარშემო მეოთხე წრის შემოვლას შეუდგა. მაშინ ისინი ნიჩაფაში გადავიდნენ დროებით საცხოვრებლად. შემდეგ შიმშილმა დააკავშირა სამუდამოდ მარიამი, ბიკენტი, მურმანი და კალინკა. შიმშილი იდგა ქვეყანაში დედიშობილა. სწორედ მან, ამ გაშიშვლებულმა სინამდვილემ, სისასტიკემ აღმოაჩენინა მათ სიყვარულის საიდუმლო, ფარული, უძლეველი, გაუგონარი, დაუნახავი, გამოუთქმელი ძალა და მშვენიერება.

ბიკენტიმ ისევ მოიხმო მეხსიერების უდაბნოში დაკარგული შორეული წლები, ისევ ააფორიაქა წმინდა აჩრდილები, წარმართებივით გულუბრყვილონი და მინდობნი. მაშინ ზანტად დაიძრნენ მოჩვენებები. ვინ მოდიოდა ორღობეში — ძუკნა ძაღლი თუ მარიამი? ვისთან მიდიოდა — ბიჭებთან თუ ლეკვებთან? მაშინ ბიკენტიმ უკვე იცოდა, თუ რა იყო სიამაყე. მაგრამ მაინც ყოველთვის ხახადაფჩენილი ელოდებოდა ამ წამს. მან იცოდა, სტუმრად მიპატიჟებული მარიამი კაბის სახელურში, ან წინდების ყელში დამალავდა სუფრიდან მალულად აღებულ ქათმის ბარკალს, მჭადის ნატეხს, ყველის ნაჭერს, კვერცხს — ყველაფერს, რის წამოღებასაც მოახერხებდა ფარულად. ეს ქალი, იმ წლებში ძუ მგელის ახლობელი და ნათესავი, სტუმრად ხელებს ფაკირივით, იულზიონისტივით ამოძრავებდა, შინ ხელცარიელი რომ არ დაბრუნებულიყო... .რაღა შეცვლის იმ ქათმის ბარკალს, ღორის ხორცის პატარა ნაჭერს ან ღადრის მჭადის საოცარ გემოს? მანქანა, პარიზის ხედები თუ ექიმობის ამბიციები? ვინ შეენაცვლება მარიამს?.. არა, ბიკენტი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. მისი გონება და გული ჯერ კიდევ ხშირად ლუღრთოვანლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა ადამიანთა სულის სიძლიერით, ბატკნის ჩაქაფულით, ყვირილას ხეობის· განუმეორებელი სილამაზით და პირველყოფილობით, ბრძოლით სხვადასხვა ტირანებისა და ბითურების წინააღმდეგ. მაგრამ ახლა მისი არსების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს დაესხნენ თავს და ამიტომ შედრკა. რაღაც უნდა წასულიყო, სამუდამოდ გაქცეულიყო. სიცარიელე კი — ყველაზე დიდი მტერი სულისა, გაურკვეველ მხრიდან ეპარებოდა. უნდოდა დაეხუჭა თვალები, გადაკარგულიყო ტაშკენტში, გაგრაში, მედეასთან... სხეულში, სულში იმდენივე წინააღმდეგობებია, როგორც ცხოვრებაში. ისინიც ბომბორა ძაღლის მიერ დამფრთხალი ბალღებივით სხვადასხვა მიმართულებით გარბიან და აქეთ-იქით ექაჩებიან საბრალო სულსა და გონს... ან იმ კადრს, რომელსაც ახლა ბიკენტი ბუნდოვნად ხედავს, ჩარლის კინოსურათის რომელი ეპიზოდი შეედრება?... ბექობზე შემდგარი სიმონიკა ვენახს დასცქერის და იღიმება. მარიამი, ათი წლის ბიკენტი და ექვსი წლის მურმანი კი გამლაებით თოხს ურტყამენ მიწას. სიმონიკა დროდადრო დირიჟორობს და ამხნევებს. მერე ვენახის მოწამვლის დროც დგება. შემდეგ შემოდგომა, ყურძნის კრეფა და კალინკას ღიმილი. მხოლოდ რამდენიმე კალათი ყურძენი და მეტი არაფერი. გამტერებული, გაოგნებული მზერა ძმებისა და სიმონიკას ღიმილნარევი საუბარი რწმენაზე, მომავალზე, ოპტიმიზმზე. „მეორე წელს მხოლოდ ერთ კალათ ყურძენს მოიწევთ, გამაგრდით ბიჭებო!.. ასე იცის ვენახმა სანამ არ შეგიყვარებთ...“

— მურმანი არ დაივიწყო, — ეხვეწება მარიამი.

— ვაგლახ ნუ, — შუბლში წაიკრა ხელი ბიკენტიმ, — რატომ მერგო ასეთი ხვედრი, რა დავუშავე ბუნებას, რატომ არის ყოველთვის მეორე პლანზე ის კაცი, ვისაც ზურგზე ვირის კურტანი ჰკიდია, რატომ გამწირა მთელმა ქვეყანამ. რატომ უნდა იყოს ერთი მხოლოდ ძაღლი, მეორე კი საყვარელი უმცროსი შვილი?

მარიამი სიცხისგან იწვის და არაფერი ესმის. ბიკენტი დაჰყურებს. იოგვილივ კი ჟამი და ფარული მოწიწება სუფევს, მტკივნეული მოლოდინი, სიკვდილის და საიდუმლოების ნელი სუნთქვა, ბრმა და ყრუ სიჩუმე. გამოუცნობი მომავალი წუთები და დღეები... ნუთუ მოჭამა თავის პური?

— რამდენი წელია, რაც ნიჩაფაში არ ყოფილხარ?

— ხუთი, ექვსი ან შვიდი?

— კალინკაზე გიფიქრია?

— ხომ ვუგზავნი ფულს, — მიუგო ექიმმა, — მართალია მცირეს, მაგრამ რაღაცას ხომ ვაწვდი მაინც.

ბიკენტიმ გაიფიქრა, რომ ადამიანი ყოველთვის ცდილობს თავის საზრუნავი, პატარა ტვირთი და ნაღველი სხვას აჰკიდოს მხრებზე, თუ კი ეს შესაძლებელია. ვის მიანდოს, ვის დაუტოვოს უკანასკნელი შიში, ხვაშიადი, წუხილი და მღელვარება მარიამმა თუ არა ბიკენტის? თან ხომ არ წაიღებს ყველაზე მნიშვნელოვანს, ყველაზე ძვირფას ფიქრს, რაც მას ეჩვენება.

— ბიკენტი, კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს.

ექიმმა თავი დახარა, ამასაც მოელოდა.

— აუცილებლად შევირთავ ცოლს, ყველაზე ლამაზს, მდიდარსა და ჩინებულს.

— სხვას გთხოვ... ნუ წამიყვან საავადმყოფოში.

სხვადასხვაა ადამიანი, სხვადასხვანაირია ავადმყოფიც. მაგრამ უმრავლესობას მაინც თავის სახლი, თავის ოთახი, თავისი კუთხე მიაჩნია — თავშესაფარად, ზეცად და ჭალად. რამდენიმე დღის წინ ბიკენტიმ თითქმის გადაწყვიტა მარიამის საავადმყოფოში მოთავსება. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. საავადმყოფოს ფუსფუსი, ცნობისმოყვარე ექიმების გამოხედვა და ჩურჩული, მეშჩანური თუ ინსტინქტური ადა-

მიანური ჰიდილი უკეთესი პირობების შექმნისათვის, ახლობელი ექიმების, ექთანების და სანიტრების მოჩვენებითი თანაგრძნობა, ზერელე, ზედაპირული, მოსათმენი, ასატანი და ცარიელი... ახლა კი, დედის თხოვნის შემდეგ, მან საბოლოოდ გადაწყვიტა, თავად შებრძოლებოდა ამ ოთახში დაავადებას, ოთახში, რომელიც მათი საერთო სახახლე, ბოსელი, საკარმიდამო ნაკვეთი და სამყარო იყო, ვისაც სიცილი უყვარს, ვინც სილენოსის შვილიშვილია, ვინც მომოსის შეგირდობაზე დებს თავს, ვინც იცის ფასი თალიას, კომედიის მფარველი მუზის, ლამაზი გოგონას თეძოებისა და ღიმილის სიმშვენიერისა და სიდადისა, შეიძლება მართლაც გაუმართლოს. ბოლომდის მაგრად დაძაბავს გონებას, ნებისყოფას, ორივე ხელს მოუჭერს საკუთარ გულსა და მილავრად აამუშავებს. გამოიყენებს გამოცდილებას, დიდი მკურნალების — წარსულის და ახლანდელი ექიმების, ფარმაცევტების ყველა ცოდნასა და მონაპოვარს. როგორც მხედართმთავარი, როგორც მოჭადრაკე, როგორც რეჟისორი, როგორც მწვრთნელი, როგორც ნოქარი განალაგებს თავის ჯარისკაცებს, ფიგურებს, მსახიობებს, ფეხბურთელებს, საქონელს — სტროფანტინსა და ლოზექსს, პანანგინსა და ნოვოკაინამიდს, ცეპორინსა და ბაქტრიმს, იზოპტინსა და ათას სხვა წამალს. ეს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო გამარჯვება იქნება მის სარბიელზე.

— მარიამ, მაინც რატომ წყალობ უფრო მეტად მურმანს?

— მიწაც ერთ ხეს მეტად წყალობს და მეტ საკვებს აწვდის, ვიდრე მეორეს. ერთი იზრდება და ტანს იყრის, მეორე კი ჯოჯ[illegible] რჩება. მაგრამ სინამდვილეში [illegible]. ეს თავისთავად ხდება. მიწისძვრის [illegible] რაც მის ზემოთ იზრდება — [illegible], მეო[illegible] [illegible] [illegible].

— მურალი კომიკი ვარ?

— შენზე სუსტია. ცივი წყალი დამალევიე.

— ცივი არ შეიძლება.

— გთხოვ.

— მაინც არ შეიძლება, — ბიქენტიმ თვალები დახარა, მეორე ოთახში გავიდა და ტელევიზორი ჩართო.

ექვსი იანვრიდან ბიქენტი შვებულებაში გავიდა. ახლა მხოლოდ ვენაში და კუნთებში უკეთებდა წამლებს. დაუძლურებულ ორგანიზმს ყველაფერი ეტანება — სოკოვანმა დაავადებამაც იფეთქა. მაგრამ ზოგჯერ ნათელი პერიოდებიც იყო და ბიქენტი თავს ირწმუნებდა, რომ სძლევდა დაავადებას. შემდეგ ისევ ეჭვები და სინამდვილე. უძილობისგან, ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმის შეცვლისგან, თვალები დაუწითლდა, ლოყები ჩაუცვივდა. ცხვირი დაუგრძელდა, სახის კანი გაუფერმკრთალდა. ზოგჯერ ისევ უყვიროდა მარიამს, ისევ წასცდებოდა უხეშობა — ადამიანთა მარადჟამიერი დამაწყნარებელი.

ათში მურმანი ჩამოფრინდა ტაშკენტიდან. რიგრიგობით ღამეს უთევდნენ დედას. ზოგჯერ ნათესავებიც მოდიოდნენ, ახლობლები, მეზობლები. ოღონდ ისინი უბრალო გულშემატკივრები იყვნენ და მეტი არაფერი. ოფლს კი მხოლოდ ორნი ღვრიდნენ, მხოლოდ ისინი გრძნობდნენ მარტოობის უხეშ სუნთქვას. მიხვდნენ, რომ ერთი დედის შვილები იყვნენ, რომ რამდენიმე ხნით, როგორც მაშინ ნიჩაფაში, შორეულ, შორეულ წლებში ისევ ყველაფერი საერთო ჰქონდათ — ჭერი, წყალი, ერთგულება, მხნეობა, მერყეობა, სიყალბე თუ თავდავიწყება.

— გადარჩება? — ჰკითხა მურმანმა ძმას, როდესაც სარკმელთან იდგნენ და ქუჩას გადაჰყურებდნენ. [illegible]

— [illegible], — მიუგო ბიქენტიმ.

ამ დროს პატარა ბიჭი წაიქცა, [illegible] კი თავზე დააბტა და ქუდი მოსტაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭი ერთხანს გაოგნებული იწვა, შემდეგ წამოხტა და ლეკვს დაედევნა. ძმებმა გაიღიმეს და ბიკენტიმ მაგრად მოხვია მხარზე ხელი მას.

მურმანი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უზბეკეთში გაამწესეს. იქ შეიყვარა ცისფერთვალება გოგონა, იქ გადაეყარა თავის ბედს. ცხოვრობდნენ სოფელში. ზოგჯერ წერილებსაც გზავნიდა. იწერებოდა — სადაურსა სად წაიყვანო, სად გადაჰკარგავო, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ბედნიერი იყო. მას შეეძლო მიწით და მისი ნაყოფებით გატაცება, და ის ერთადერთი ნაღდი, რითაც „სატრფო" გპასუხობს მაშინ — საქმის თავდავიწყებული სიყვარული — მომეტებულადაც ჰქონდა. მეოცნებე თვალები და ჩუმი, გლეხური ტემპერამენტი. მშვიდად, ფათერაკების გარეშე გაიელიდა ცხოვრების გზას. იგი არ იცნობდა სიკვდილს, პირველად ხვდებოდა პირისპირ დედის საწოლთან. ამიტომ ცდილობდა ბიკენტი მის დაზოგვასაც, ხშირ-ხშირად ასაქმებდა და ხან სურსათის საყიდლად, ხან აფთიაქში, ხან ნაცნობებთან ჰგზავნიდა.

ერთხელ მურმანს მეგობრები ეწვიენ. დახმარების გაწევა შესთავაზეს ძმებს. თანაგრძნობის ნიშნად თავდახრილები იდგნენ. ბიკენტიმ მადლობა გადაუხადა. მას არ მოწონდა, როცა იცოდებდნენ. ადამიანებს მაშინ უყვარხარ, მაშინ გაფასებენ, როცა ძლიერი ხარ, როცა ჯიბე გამობერილი გაქვს ოცდახუთმანეთიანებით, იქით ეხმარები და მათგან კი არაფერს მოითხოვ. სუსტს და საბრალოს ყველა გაურბის, უძლურება და უბედურება თავისიც სამყოფი აქვთ. მაშინ ბიჭებმა კონიაკის ბოთლები დაალაგეს მაგიდაზე. „შევუბეროთ".

— დაეთანხმა ბიკენტი, რადგან მას, უფრო მეტად კი მურმანს, დროებითი შესვენება სჭირდებოდა. მაინც რა ჯობია თავდავიწყებას — ყვირილას ხეობა, გაზაფხული ნიჩაფაში, სიჭაბუკე, ქალის მკერდი თუ თავად გაოგნება? რა შეედრება იმ დაღლილ, გა[illegible] თვალებს, რომლებშიც წუთით ისევ ჩადგება სხივი: ისევ აკიაფდება იმედი და ოცნება — შეიძლება ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული, რომ ვიდრე სიცოცხლე გრძელდება, ბრძოლას აზრი აქვს, რომ ბევრი შარვალჩახდილი მაინც კაცია და უამრავ ჯინსებიანზე უფრო სიმპათიურია. რა შეედრება გადაღლილ, გადაქანცულ ჭკუის კოლოფიდან ტვინის ამოღებას და დროებით გვერდზე გადადებას? ხომ შეიძლება ვიღაცას განძი ეგონოს და მოიპაროს, ან ჩვეულებრივ ნაგავად ჩათვალოს და მეეზოვეს გაატანოს მტკვარში გადასაგდებად... შეხედეთ, რა ბედნიერნი არიან უტვინოები, როგორ უმართლებთ ყველაფერში, რა გაჭიმულნი დადიან ან რა მოხდენილად სხედან სავარძელში!... ბიკენტი, მეტს ნუღარ შევსვამ!.. ერთიც!.. რამდენიმე საათით ბაბუაწვერას მსუბუქი ფრენა, თექვსმეტი წლის ქალწულის გამომწვევი უბიწო ღიმილი, ვირიკელას ნაზი ყროყინი, ისევ მოჩვენებები, ჰალუცინაციები და ტივტივი.

თვრამეტში საღამოს სუნთქვა გაუძნელდა მარიამს. სიკვდილი გადმოდგა ლობეზე, გაიფიქრა ბიკენტიმ. მურმანი წამდაუწუმ გარბოდა აფთიაქში და ჟანგბადით სავსე ბალიში მოჰქონდა. სუნთქვა კი თანდათან ნელდებოდა, ნაგლეჯ-ნაგლეჯ მიჰქონდა სიცოცხლე, ნელ-ნელა მცირდებოდა, როგორც მინდორში მიმავალი კაცი პატარავდება ხოლმე თანდათან.

— ბიკენტი, სიკვდილი არ მინდა.

ბიკენტი არ მოელოდა. მას ეგონა, რომ ის და დედამისი არ ჰგავდნენ სხვა ადამიანებს, რომ ყველას როდი ეშინია მიწაში დაბრუნებისა, რომ სიკვდილს ძლიერნი დიდი ხნით ადრე ეგუებიან... ბევრჯერ შესწრებია ადამიანთა უკანასკნელ წუთს. უმრავლესობას მაშინაც არ სჯერა, როცა იქითა ნაპირი ცხვირწინ დაუდგებათ. ხოლო ის, ვინც ხვდება, რომ ქოთნის საკეთებლად მიდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის ყოველთვის ფუჭდება. დამარცხებულები, დანებებულები, შეცბუნებულები, მოტყუებულები, თვალზე ცრემლებმომდგარნი, ურწმუნო თომას რაზმელები, და მხოლოდ ერთეული მოუდრეკელი და ალუშფოთებელი... ნუთუ ეს არის სიცოცხლე? თუ ასეა, მას ხომ მართლაც ერთ საღამოს კარგად გათამაშებული წარმოდგენაც კი ჯობია. ან რა არტყია გარედან ამ უცნობს — დედამიწის უხეში ქერქი, ჩვენი ჯავშანმოსილი უვიცობა, თუ ისევ უხილავის ლაჯები? ან რა არის მოთავსებული მის შუაგულში — ცეცხლი, ჩანჩქერი, ქარიშხალი, თუ ქვა?.. რას ფიქრობდა მარიამი, რა აზრები დაუტრიალდა გონებაში საბოლოოდ?..

კორდიამინი, კოფეინი, ლობელინი, ქანგბადი. მინელებული სუნთქვა რამდენიმე წუთით ისევ სწორდებოდა. შემდეგ ზღვის ტალღებივით ნელნელა უკან იხევდა, და ბოლოს უკანასკნელი ამოსუნთქვა, უკანასკნელი ამოსუნთქვა მარადიული დუმილის წინ.

მურმანი მეორე ოთახში გაიყვანა, ნუ შეხედავს, ნუ დაიმახსოვრებს, ეს მხოლოდ მისი ხვედრია. მრავალი უკანასკნელი ამოსუნთქვა. და თანდათანობითი განურჩევლობა, გახევება, თანდათანობითი, ჩუმი, შეუმჩნეველი სიკვდილი მისი და მედიცინის სიყვარულისა. ეს წუთი, რომელიც შემდეგ დროდადრო ისევ და ისევ ამოტივტივდება მეხსიერების ზღვის ფსკერიდან, არარასოდეს არ წაიშლება. წამი, დროს ნაფლეთი, წუთისყოფა — ოდნავ გაღებული პირი, გაცრეცილი, უფერული სახის კანი, ჩალურჯებული ტუჩ[illegible]ბული გამხმარი ხელები, დანაოჭებული, შეჭმული, შეწუხებული, დაღარული შუბლი და უკანასკნელი რამდენიმე ამოსუნთქვა.

როდესაც წამლების მოქმედებით თვალს გაახელდა, მარიამი მზერას ბიკენტის მიაპყრობდა:

— შენ ხომ დიდი ექიმი ხარ, ბიკენტი... მიშველე...

„სიკვდილი, ადამიანთა დამაშორებელი, ყველგან ერთნაირია — პალატაში, მინდორში თუ საკუთარ ბუდეში“. მაინც ცდილობდა არ შეეხედა სახეში, არ დამახსოვრებოდა მოტყუებული თვალები, შევერცხლილი თმები, სოკოსგან შეჭმული, დამახინჯებული ტუჩები, წაწვეტებული ცხვირი, ისევ თვალები, ამღვრეული, ცხოველივით კეთილი და მიმნდობი.

ღამის სამი საათია. ბიკენტიმ თვალები დაუხუჭა დედას, ხელები დაუწყო მკერდზე და სახე გაუსწორა. შეხვდებოდნენ კიდევ როდისმე?... ბიკენტის ეჭვი ეპარებოდა. მაგრამ ვინ წაგართვა ეს რწმენა ან რა უფლებით?... ჩაო, მარიამ, უკუნითი უკუნისამდე... ისევ ღვლიპი სინამდვილე, ისევ კაცის ფუსფუსის და ფაციფუცის მარადისობა.

მურმანსაც არ უტირია. მან თქვა:

— შევატყობინოთ ახლობლებს, — და სკამიდან წამოდგა.

— არა, მურმან... ჩვენზე ახლობელი არავინ ყავდა... გათენებამდე ჩვენ დავრჩეთ... მერე კი ბევრნი მოვლენ და ჩვენ სამს ერთად აღარ დაგვტოვებენ.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ რილსკი

# დავით გურამიშვილის საფლავთან*

1952 წლის აგვისტოში შეუსრულდა დავით გურამიშვილს გარდაცვალებიდან 160 წელი. მისი ხსოვნისათვის პატივი რომ ეცა, მაქსიმ რილსკი, ქართველ, უკრაინელ და რუს მწერლებთან ერთად პოლტავის ოლქში გაემგზავრა, სადაც ცხოვრობდა და დაკრძალულია დიდი მგოსანი. მირგოროდში, დ. გურამიშვილის საფლავზე გამართულ მიტინგზე მ. რილსკი სიტყვით გამოვიდა. მანვე გახსნა უკრაინის მწერალთა კავშირის მიერ გამართული პოეტის ხსოვნის საღამო კიევში.

მაშინ, მოგზაურობის შთაბეჭდილებებითა და ქართველ მეგობრებთან შეხვედრით შთაგონებულმა პოეტმა, დაწერა ლექსები „დავით გურამიშვილი“ და „მირგოროდული ჩანაწერები“.

მ. რილსკის მიერ მირგოროდში წარმოთქმული სიტყვა მის არქივში ინახება. სამწუხაროდ, ხელნაწერს პირველი გვერდი აკლია, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ დასაწყისში საუბარი იყო მწერალთა კავშირის მიერ 1937 წელს თბილისში გამართულ რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე, რომელშიც მ. რილსკიც მონაწილეობდა.

ივან ილენკო

კიევის მ. რილსკის მუზეუმის დირექტორის მოადგილე

...სიმღერასავით ლამაზი იყო დნეპრზე მგზავრობა კანევამდე, სადაც უკრაინის დიდი პოეტის ნეშტი განისვენებს; აუარება ხალხს მოეყარა თავი მაღალი საფლავის გარშემო და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე გაისმოდა შევჩენკოს „ანდერძი“, მათ შორის ქართულ ენაზედაც.

ეს იყო ის წუთი, როცა ცხადლივ ახდა ოცნება ტარას შევჩენკოსი და აკაკი წერეთლისა — იმ აკაკი წერეთლისა, რომელიც პეტერბურგში შევჩენკოსთან შეხვედრის შემდეგ ამბობდა, რომ სწორედ შევჩენკოსაგან ვისწავლე, თუ როგორ უნდა მამულის სიყვარულიო.

ეს იყო ხალხთა ერთობა, რომელიც ხატებად ედგათ თვალწინ დიდ პოეტებს, წარსულის დიდ მოაზროვნეებს. ეს იყო ხალხთა ლენინური მეგობრობის ზეიმი.

დ. გურამიშვილი თავისი ცხოვრებით, თავისი შემოქმედებით ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული რუს და უკრაინელ ხალხებთან. რუსული და უკრაინული ხმები ორგანულად შეერწყა მის შემოქმედებას. მან ნათლად და წმინდად აგვისახა უკრაინული პეიზაჟი, უკრაინელი ხალხი. მრავალტანჯული და კეთილშობილური ცხოვრების შემდგომ, უკრაინის მიწაშივე პოვა სავანე პოეტის ძვლებმა.

* ქვეყნდება პირველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მხოლოდ დიდი ოქტომბრის შემდეგ გაბრნყინდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის მისი უქრობი პოეზიის ალმასისებრი ელვარება. ბროკჰაუზისა და ეფრონის ცნობილ რევოლუციამდელ ენციკლოპედიურ ლექსიკონში დ. გურამიშვილის სახელიც კი არ იხსენიება. არის მხოლოდ მოკლე მინიშნება „გურამოვების ქართულ თავადურ გვარზე“ (ასე ინოდებოდნენ გურამიშვილები რუსულად). დღეს კი თვით გურამიშვილის ლექსებსა და ლექსებს გურამიშვილზე სკოლაში სწავლობენ ბავშვები.

პავლო ტიჩინამ პოეტური ვარაუდის ნება მისცა თავს, როცა დაწერა ლექსი — „დავით გურამიშვილი „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავს გრიგოლ სკოვოროდას“, არ ვიცით, შეხვდა კი გურამიშვილი თავის თანამედროვეს, უკრაინელ მოხეტიალე ფილოსოფოს სკოვოროდას! მაგრამ პოეტის ჩანაფიქრი მშვენიერია. ეს სიმბოლოა იმ .ძმობისა, რომელსაც ქართველ და უკრაინელ ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლები საუკუნეების მანძილზე ელტვოდნენ და რაც დღეს სინამდვილედ იქცა.

იგი სინამდვილედ იქცა ცხოვრების ყველა სფეროში. ქართველი პოეტები თარგმნიან შევჩენკოს „კობზარს“, ლესია უკრაინკასა და სხვა უკრაინელი კლასიკოსების ნაწარმოებებს, თარგმნიან თანამედროვე ჩვენს პოეტებს. უკრაინელი საბჭოთა პოეტების წყალობით ქართული პოეზია მშობლიური ხდება ჩვენთვის. მიკოლა ბაჟანი არა მარტო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, გურამიშვილის „დავითიანს“ და სხვა კლასიკოსებისა და თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსებს თარგმნის, არამედ თვითონაც წერს ლექსებს ქართულ თემებზე, როგორც მშობლიურ თემებზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბაჟანი საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბრძანდება საქართველოში და უკრაინაში ქართული ლიტერატურის პატივცემული მეგზური.

პატივი დ. გურამიშვილის საფლავის აღმოჩენისა, რომლის სათაყვანებლადაც დღეს შევიკრიბეთ, უკრაინელ საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეს ეკუთვნის.

ამ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა კავშირი პატივს სცემს დიდი ქართველი პოეტისა და მოქალაქის ხსოვნას, რომელიც უკრაინაში ცხოვრობდა და აქვე განისვენებს, ქართველი საზოგადოებრიობა იკრიბება სურამში, სადაც გაასრულა თავისი ტანჯული და გმირული სიცოცხლე ლესია უკრაინკამ იკრიბება იმიტომ, რომ თბილი, კეთილი სიტყვით მოიგონონ ჩვენი დიდი პოეტი ქალი და მისი ძეგლის გახსნით მისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა დაადასტურონ.

ძველთაძველია ჩვენი მეგობრობა, მაგრამ არნახული ფერებით იგი სწორედ ახლა გაბრნყინდა. მოგახსენეთ, რომ იგი ცხოვრების ყველა სფეროში გამჟღავნდა; დავსძენ — ნარმოჩნდა. ოქტომბრის რევოლუციამდე არნახული ფორმებით. უკრაინელი მეშახტეები ჭეშმარიტად გაჯიბრებიან ქართველ მეშახტეებს, კარგა ხანია მეგობრულად ეტოქებიან ერთმანეთს მოძმე რესპუბლიკების რკინიგზელები, ხერსონის ოლქის სტალინის სახელობისა და სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

მიკოლა ნაგნიბედა აღწერს, რა ყურადღებით უსმენენ შრომაში უკრაინელ სტუმარს:

იტყვი, ვით სუნთქავს ქალაქი დნეპრთან,
ჩვენი სოფლები, ჩვენი ველები,
და რომ გისმინონ, ღამით, კოცონთან,
მოგეხვევიან გარს ქართველები.

**სიმინდის მოსავლის ოსტატს — ქანთარიას მეგობრული მიმოწერა აქვს უკრაინელ მარკო ოზიორნისთან. ვინ არის ეს ქანთარია?**

როცა დაეცა მტრული ბერლინი,
მაშინ აღზრდილი ქართველი ხალხის,
კავკასის მთებით გადმოფრენილი,
გუმბათზე გაჩნდა ნათელი სახით
და რეიხსტაგზე დროშა დიადი
აღმართა, ნიშნად დიად სიმართლის.
მშობელ მხარეში დაბრუნებული,
ახლა ისევე გმირულად იღწვის,
წმინდა ოცნებით გაბრუებული
შემოქმედების ალმურით იწვის.
სოცშეჯიბრშია ვაჟკაცი ორი:
ქანთარია და მარკ ოზიორნი.
„კაცოს“ ეძახის, შორიდან ეძმო,
შრომამ შეარწყო მებრძოლი მებრძოლს.
დაუღალავი, ძალღონით სავსე,
ოცნებობს ახლა უხვ მოსავალზე.
იცის და სჯერა, რომ გამარჯვება
როგორც ბრძოლაში, აქაც დარჩება.
უფრო განმტკიცდეს, აყვავდეს უფრო,
მშრომელი ხალხის ძმობა უებრო.
(თარგმანი ოთარ ჭელიძისა)

**ამხანაგებო! პატივისცემა დ. გურამიშვილისადმი, რომელიც ავტორია ბრძნული, ადამიანური და უბრალო წიგნისა „დავითიანი“, ალსავსე რომაა „ცივი გონების ჭვრეტითა და სათუთი გულის ვაებით“, ჩვენში ტრადიციად იქცა. 1949 წელს, როცა ჩვენთან გურამიშვილის ძეგლი გაიხსნა, აჟღერდა სიტყვები ვ. სოსიურასი:**

ახალი შუქით ბრწყინავს კავკასი,
გადაუგდია, დავით, უღელი,
ჩვენს შორის დგახარ და მოაბიჯებ
ასე ძვირფასი და განუყრელი.

თარგმნა **ამირან ასანიძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილოდიონ მაჩაიძე

# დიდმნიშვნელოვანი ეტაპი სსრ კავშირის შექმნის გზაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის, საზოგადოების პროგრესისათვის, სამყაროს სოციალისტური და კომუნისტური განახლებისათვის მებრძოლ ძალთა ძმობის, მეგობრობისა და სოლიდარობის ზეიმი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გამარჯვების დღესასწაულია. მისი საფუძველი მოამზადა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ. „ოქტომბერმა დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. მუშათა კლასის ხელისუფლების, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დაწესებამ მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ყველა ერისა და ეროვნების თავისუფალ განვითარებას, მათს მჭიდრო ერთიანობასა და მეგობრობას"[1].

სსრ კავშირის შექმნის გზაზე ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება. ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიელ კომუნისტებს დაბეჯითებით ურჩევდა ჰქონოდათ ეროვნული მშვიდობის ისეთი ორგანო, რომელიც შეძლებდა ნაციონალისტური პარტიების — მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ბატონობის შედეგად გაღვივებული ეროვნული შუღლისა და კონფლიქტების აღმოფხვრას, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის ჯანსაღი ატმოსფეროს აღდგენას. ეროვნული მშვიდობისა და ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის ახეთი ორგანო უნდა ყოფილიყო სწორედ ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლის შექმნის ინიციატორი თვით ვ. ი. ლენინი იყო.

ამიერკავკასიის კომუნისტებს ფედერაციასთან ერთად სსრ კავშირის შექმნა მიაჩნდათ უმთავრესად ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად,[1] რომ განვითარების ამ ეტაპზე ამიერკავკასიის რესპუბლიკები სსრ კავშირში შესულიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ფედერაციის მეშვეობით. „რესპუბლიკების კავშირში საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უნდა შევიდნენ როგორც ერთიანი ოჯახი, ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით",[2] — ნათქვამი იყო ამიერკავკასიის II პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში.

სსრ კავშირის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ფედერაციის შესვლის საკითხი ძირითადად გადაწყვიტა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობამ 1922 წლის 10 დეკემბერს. ყრილობის გახსნისას ნ. ნარიმანოვი აღნიშნავდა: „ამ საზეიმო ისტორიულ დღეს სიხარულით ძგერს ამიერკავკასიის ყველა მშრომელის გული, რადგან დღეს საძირკველი ეყრება იმ სახლს, რომლის საერთო ჭერქვეშ ამიერკავკასიის ყველა მშრომელი ერთად იქნება ჭირსა და ლხინში. ამ დღეს ჩვენ ვსახავთ თავისუფლების, ძმობისა ადა შრომის გამარჯვების ყველაზე ადვილ, ყველაზე სწორ გზად".[3] ყრილობის მიერ ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ მისალმებაში ნათქვამი იყო: ამიერკავკასიის ფედერაციის სსრ კავშირში შესვლა საბჭოთა ხელისუფლების ურყეობის საწინდარია ამიერკავკასიაში „ერთ ოჯახად შევდივართ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ თქვენი ნაცადი და უნარიანი ხელმძღვანელობით... აქ, აღმოსავლეთის კარიბჭესთან, მივაღწევთ საბჭო-

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. თბ., 1982 წ., გვ. 3-4.

1. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II პარტიული კონფერენცია. სტენოგრაფიული ანგარიში. თბილისი, 1922 წ., გვ. 17 (რუს. ენაზე).

2. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II პარტიული კონფერენცია. სტენოგრაფიული ანგარიში. თბილისი, 1922 წ., გვ. 30 (რუს. ენაზე).

3. ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა. თბილისი, 1923 წ., გვ. 1 (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ხელისუფლების მძლავრ განმტკიცებას, ჩვენი ერთიანი მეურნეობის აღორძინებას"...[1] ასეც მოხდა: სსრ კავშირის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ფედერაციის სახით, ხოლო 1936 წლიდან აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დამოუკიდებლად შესვლის შედეგებმა თვალსაჩინოდ დაადასტურა დიდი ლენინის წინასწარმეტყველება. გაიმარჯვა ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებამ.

* * *

1920-1921 წლებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების პრაქტიკული განხორციელება. ამიერიდან ამიერკავკასიის ხალხებს ექმნებოდათ სუვერენული ,ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და განვითარების ფართო შესაძლებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეროვნებათა შორის დაძაბული ურთიერთობა ამიერკავკასიაში იწვევდა დიდ სირთულეებს. ამ მხარეში 1918-1920 წლებში, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მმართველობის პერიოდში გაჩაღებულმა ეროვნულმა შუღლმა და მტრობამ დაძაბული ხასიათი მიიღო. მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ხელისუფლება იყო ნაციონალისტური ბურჟუაზიის ანტიხალხური დიქტატურა, რომელიც უცხოელი ინტერვენტების მხარდაჭერით სარგებლობდა. სხვა ხალხებისადმი სიძულვილმა, აგრესიულობამ განაპირობა ამიერკავკასიის ხალხთა შორის სისხლიანი შინაომები და მხარის ეკონომიკური ნგრევა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პარტიას უნდა განეხორციელებინა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ნდობის, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებას.

ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ მხარის ეროვნებათა შორის არსებული უნდობლობის, ნაციონალიზმის ნაშთები, პარტიის ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური თუ სხვა ღონისძიებები წარმოესახათ ნაციონალისტური პოზიციებიდან, ხელი შეეშალათ მათი განხორციელებისათვის. აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველში საბჭოთა ხელისუფლების განვითარებისა და გაძლიერების ინტერესები მოითხოვდა არა მარტო ამიერკავკასიის მშრომელთა და რუს მუშათა კლასს შორის კავშირის განმტკიცებას, არამედ თვით რეგიონის ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის დამყარებას.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა იყო მხარის განვითარებისა და განმტკიცების, ერთა შორის უნდობლობის დაძლევის საუკეთესო საშუალება.

1. იქვე, გვ. 93.

ვ. ი. ლენინი 1921 წლის 9 აპრილს გ. კ. ორჯონიკიძეს სწერდა: „დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის".[1] ამასთანავე რთული, მძიმე ვითარების დაძლევისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების უზრუნველსაყოფად ამიერკავკასიელ კომუნისტებს ურჩევდა შეექმნათ მხარეში ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში, მისი პოლიტიკური ორგანო, რომელიც ეროვნულ ურთიერთობას დაუმორჩილებდა პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივ ამოცანებს „მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, — წერს ვ. ი. ლენინი, —ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს".[2]

რეგიონის კომუნისტების პირველი რიგის ამოცანა იყო ნაციონალიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის წარმოება. ამიერკავკასიის მშრომელთა სოლიდარობა, ძმობა — აი, რა არის ჩვენი დევიზი, რომლის განხორციელებასაც მიეძღვნება ჩვენი პარტიის მთელი ენერგია და მისი გავლენა,[3]— აღნიშნავდა გ. კ. ორჯონიკიძე 1921 წლის 22 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრებაზე, ფედერაციის საკითხზე გაკეთებულ თავის მოხსენებაში.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიებმა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მეთაურობით, ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა ფედერაციის შესახებ ვ. ი. ლენინის მითითებებითა და რსფს რესპუბლიკის უკვე შეძენილი გამოცდილებით, თვით ამიერკავკასიის ცხოვრების კონკრეტულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით მიიღეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მტკიცე გადაწყვეტილება, რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო ეროვნული საკითხის ყოველმხრივი გადაჭრა ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ფედერაციას არა მარტო უნდა დაეძლია ბურჟუაზიული ნაციონალისტების „მემკვიდრეობა" — საზღვრების, საძოვრებისა და წყლების სარგებლობის, ტრანსპორტისა და სხვათა საკითხებზე ატეხილი დავა, არამედ შეექმნა ხალხთა ახალი თანამეგობრობა სოციალიზმზე გადასასვლელად. იგი იყო არა თვითმიზანი, არამედ გაერთიანებული კლასობრივი მტრების შინაგანი კონტრრევოლუციის ძალებისა და ემიგრანტთა ანტისაბჭოთა აგრესიულ მისწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 510.

2. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.

3. გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები. მ. 1956 წ., ტ. I, გვ. 216-217 (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის 10 ივნისს ქ. პარიზში ამიერკავკასიის ანტისაბჭოთა ძალებმა შექმნეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მიმართული კონტრრევოლუციური ბლოკი. ა. თ. მიასნიკოვი, ეხებოდა რა ანტისაბჭოთა ბლოკის საქმიანობას, წერდა: „ბლოკს ჩვენ დაუპირისპირეთ ჩვენი ძმური შრომითი კავშირი, მძლავრი და გულწრფელი, სამეურნეო და პოლიტიკური კავშირი".[1]

ამრიგად, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო ხასიათის შემდეგი ფაქტორებით: ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეობით, რაც საფრთხეს უქმნიდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით; იმპერიალისტური ინტერვენციის საფრთხით, განსაკუთრებით თურქეთის მხრივ, რომელსაც აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ანტანტის ქვეყნები საბჭოთა ამიერკავკასიის წინააღმდეგ; იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის აუცილებლობით, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება და სოციალიზმის მშენებლობა ამიერკავკასიაში; ამიერკავკასიის ხალხთა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ დათესილი შუღლისა და უნდობლობის აღმოფხვრის, ეროვნული მშვიდობიანობის შექმნისა და განმტკიცების, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთდახმარებისა და სოციალისტური თანამშრომლობის საჭიროებით.[1]

1922 წლის მარტში ლენინური იდეების საფუძველზე იქმნება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანება, როგორც ეროვნული სიმშვიდის, სამეურნეო აღორძინებისა და სოციალიზმის მშენებლობის ორგანო.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების ფორმები მუშავდებოდა თვით ცხოვრების მიერ და ეყრდნობოდა ხალხების გამაერთიანებელ მოძრაობას, რომელიც დაიწყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის პერიოდში.

1921-1922 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იქმნება ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები. ამის პარალელურად დაიწყო ამიერკავკასიის ეკონომიკური გაერთიანების პროცესი. გაერთიანდა სამი რესპუბლიკის რკინიგზები და საგარეო ვაჭრობა.

1921 წლის 3 ნოემბერს ბაქოში გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიების ხელმძღვანელი მუშაკები. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ. ამავე წლის 25 ნოემბერს სამოკავშირეო ხელშეკრულების შემმუშავებელმა კომისიამ (შ. ელიავა, ს. ლუკაშინი, ს. ეფენდიევი, ბ. ლეგრანი) მუშაობა დაამთავრა და თავისი პროექტი წარუდგინა კავკასიის ბიუროს. პროექტი დაეგზავნა კავკასიის ბიუროს წევრებსა და აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომპაარტიის ცენტრალურ კომიტეტებს წინადადებით — სასწრაფოდ წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებანი პროექტის გარშემო. სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი გაეგზავნა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. იგი ყველა ინსტანციაში მოიწონეს, რის საფუძველზეც რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 29 ნოემბერს მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხზე ვ. ი. ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, სადაც ნათქვამია:

„ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს..."[1] რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო წინადადებას აძლევდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს კავკასიის ბიუროს მეშვეობით „...ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და მუშათა და გლეხთა მასების წინაშე, ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და გ ა ი ყ ვ ა ნ ო ნ იგი თვითეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე".[2]

ამრიგად, ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის ფედერაციის დაუყოვნებლივ შექმნას უკავშირებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განმტკიცებისა და განვითარების ამოცანებს. ფედერაციას მიიჩნევდა ეროვნული მშვიდობის ორგანოდ, პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის ცენტრად.

ამიერკავკასიის ყველა კუთხეში გაჩაღდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის მასობრივი განმარტებითი, სააგიტაციო საქმიანობა. ადგილებზე ამ მუშაობის გასაწევად გაიგზავნა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ეს კამპანია ოთხ თვეს გაგრძელდა. საბჭოთა ამიერკავკასიის ხალხებმა ერთხულოვნად გამოთქვეს აზრი ძმური გაერთიანების, პოლიტიკური

---

[1]. ა. თ. მიასნიკიანი (მიასნიკოვი), რჩეული ნაწერები, ერევანი, 1956, გვ. 357. (რუს. ენაზე).

[2]. ი. მ. კაჭარავა. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921-1925 წწ). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1976 წ., გვ. 93-94.

[1]. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 134.

2. იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეკონომიკური მტკიცე კავშირის შექმნის სახარგებლოდ.

1921 წლის 7 დეკემბერს, ს. მ. კიროვის თავმჯდომარეობით, გაიმართა ამიერკავკასიის პირველი პარტიული კონფერენცია, რომელზეც მოისმინეს გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენება ფედერაციის შექმნისათვის მიმდინარე კამპანიის მსვლელობის საკითხზე. პარტიულმა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება — აგიტაციიდან გადავსულიყავით ფედერაციის იდეის პროპაგანდაზე, გაგვეძლიერებინა მუშაობა ფედერაციის შექმნის პრაქტიკულ განხორციელებაზე და მოითხოვა ფედერაციის გარშემო აზრი გამოეთქვა დედაქალაქების — ბაქოს, თბილისის, ერევნის, ბათუმისა და სოხუმის საბჭოებს.

პირველმა პარტიულმა კონფერენციამ ახევე განიხილა შ. ზ. ელიავას მოხსენება სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის შესახებ. კონფერენციამ პროექტი დაამტკიცა და მიიღო დადგენილება — შექმნილიყო კომისიები, რომლებიც მოამზადებდნენ გაერთიანების კონკრეტული წინადადებების პროექტებს და მუშაობას დაამთავრებდნენ 1922 წლის 22 თებერვლამდე.

საქართველოსა და აზერბაიჯანის კომუნისტების გარკვეული ჯგუფი (ბ. მდივანი, კ. ცინცაძე, რ. ახუნდოვი, მ. ჰუსეინოვი და სხვები) თანაგრძნობით არ შეხვედრია ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. იგი დიდ წინააღმდეგობას უწევდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანებას, რადგან სწორად არ ესმოდა საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრობლემები. ნაციონალ-უკლონისტები არა მარტო ნაადრევად მიიჩნევდნენ ფედერაციას, არამედ საერთოდ უარყოფდნენ მის აუცილებლობას.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრისას გამოდიოდნენ არა ინტერნაციონალური თვალსაზრისიდან, არამედ ვიწრო ეროვნული ინტერესებიდან. ისინი საქმეს ისე სახავდნენ, თითქოს ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა მათ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. მათ ვერ შეძლეს პარტიის შეცდომაში შეყვანა, რადგან პარტიულმა მასამ კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატორი, მისი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი თვით ვ. ი. ლენინი იყო და ბ. მდივნისა და მისი ჯგუფის პროვოკაციებს არ აჰყოლია.

საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის კომპარტიათა და საბჭოების ყრილობებმა 1922 წლის დამდეგს ერთსულოვნად აღიარეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა და დროულობა.[1]

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ (1922 წლის 18-22 თებერვალი) დაგმო ნაციონალ-უკლონისტების გამთიშველი მოქმედება და ახლად არჩეულ პარტიის სამხარეო კომიტეტს დაავალა ეწარმოებინა გაუჯამწყვეტი ბრძოლა ნაციონალისტური ხასიათის გადახრებთან, დაეჩქარებინა ამიერკავკასიის საერთო-გამაერთიანებელი პოლიტიკური ცენტრის შექმნა.[1] შ. ზ. ელიავას მოხსენების საფუძველზე დამტკიცდა კომისიის მიერ წარმოდგენილი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი და ამიერკავკასიის ფედერაციის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შესახებ ყრილობაზე წარმოდგენილი დებულება. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს ნაცვლად შექმნილიყო რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომლის წევრებად აირჩიეს ს. კიროვი, გ. ორჯონიკიძე, ნ. ნარიმანოვი, ა. მიასნიკოვი, მ. ორახელაშვილი, ს. ლუკაშინი და სხვები.

ამიერკავკასიის ფედერაციისათვის მიმდინარე კამპანია 1922 წლის მარტში დამთავრდა. 1922 წლის 11-12 მარტს თბილისში შედგა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა (25-25 წარმომადგენელი თითოეული რესპუბლიკიდან) სრულუფლებიანი კონფერენცია, რომელმაც ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური სტრუქტურის საკითხებზე მოისმინა ფ. მახარაძის, შ. ელიავასა და ა. მიასნიკოვის მოხსენებები. კონფერენციამ აირჩია ამიერკავკასიის ფედერაციის სამოკავშირეო საბჭო და დაამტკიცა სამივე რესპუბლიკის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც 13 პუნქტისაგან შედგებოდა.

ამიერკავკასიის ფედერაციის უმაღლესი ორგანო იყო ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენელთა სრულუფლებიანი კონფერენცია, აღმასრულებელი ორგანო — ფედერაციის სამოკავშირეო საბჭო, რომლის წევრები ირჩეოდა და გამოიწვეოდა წარმომადგენელთა სრულუფლებიანი კონფერენციის მიერ.

სამოკავშირეო საბჭოს გამგებლობაში შედიოდა საგარეო პოლიტიკა, ფინანსები, საგარეო ვაჭრობა, ტრანსპორტი, თავდაცვა, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ. თავისი იდეით წარმომადგენელთა სრულუფლებიანი კონფერენცია შეესატყვისებოდა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სამოკავშირეო საბჭო — სახალხო კომისართა საბჭოს. სამოკავშირეო საბჭოს პრეზიდიუმში შევიდნენ შ. ელიავა, ა მიასნიკოვი, ნ. ნარიმანოვი და სხვები. საბჭოს რეზიდენცია იყო — თბილისი.

ამრიგად, 1922 წლის მარტში ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენელთა სრულ-

[1]. გ. კ. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები. მ., 1956 წ. ტ. 1. გვ. 229 (რუსულ ენაზე).

1. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში. თბილისი, 1922 წ., გვ. 98–101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებიანმა კონფერენციამ დააფუძნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი. ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ეკონომიკურ საშუალებათა და ორგანიზაციულ შესაძლებლობათა გაერთიანებას, რომ აღმოგვეფხვრა ნაციონალიზმი და წარმატებით აგვეშენებინა სოციალისტური საზოგადოება ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა მოასწავებდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას ამიერკავკასიაში. ეს გამარჯვება განაპირობა ფედერაციის მშენებლობაში ვ. ი. ლენინის აქტიურმა მონაწილეობამ, ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი მისმა ბრძნულმა მითითებებმა და დარიგებებმა, რეგიონის კომუნისტთა გადამწყვეტმა მოქმედებამ.

ამიერკავკასიის ფედერაციამ ფუნქციონირება დაიწყო 1922 წლის მარტში. სამოკავშირეო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 1922 წლის 27 მარტს, ნ. მიასნიკოვის თავმჯდომარეობით. მიიღეს გადაწყვეტილება — მორიგეობით 4-4 თვის განმავლობაში სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარეობა დაკისრებოდა პრეზიდიუმის წევრებს (ყოველი რესპუბლიკიდან).

სამოკავშირეო საბჭომ გააერთიანა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობა. 1922 წლის 13 მაისს გააუქმეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები, ხოლო 4 ივლისს შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო — ა. მიასნიკოვის თავმჯდომარეობით. ამიერკავკასიის 10 სახალხო კომისარიატიდან 4-ს ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანის, ხოლო 3-3-ს — სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენელი.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს ამიერკავკასიის ამბებს და დიდად აფასებდა მტრების მაქინაციების წინააღმდეგ მშრომელთა გმირულ ღონისძიებებს. 1922 წლის 22 აპრილს იგი აზნავთის მუშებისა და ინჟინრებისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „გავეცანი რა არაჩვეულებრივი გმირობისა და თავგანწირვის ფაქტებს, რაც გამოიჩინეს სარეწების მუშებმა და ინჟინრებმა, რომლებმაც ხანძრის ლოკალიზაცია მოახდინეს სიცოცხლისათვის უდიდესი საფრთხის ვითარებაში, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია საბჭოთა რუსეთის სახელით მადლობა გამოუცხადო სურახანის ნავთობის სარეწების მუშებსა და ინჟინრებს".[1]

1922 წლის 11 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა მიიღო აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. აღამალი-ოღლი, რომელსაც ახლდა ა. ენუქიძე. მათთან საუბრის შინაარსი მეტყველებს იმ დიდ დაინტერესებაზე, რომელსაც ბელადი იჩენდა ამიერკავკასიის ფედერაციის კონკრეტული საქმიანობის, მასში შემავალი ცალკეული რესპუბლიკების ცენტრებისადმი. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინის ინიციატივით აზერბაიჯანს გაეგზავნა 800.000 მანეთი (ოქროთი) მუღანის ველის ასათვისებლად, სომხეთს — 1,5 მილიონი მანეთი (ოქროთი) ბამბის მეურნეობის განსავითარებლად, ხოლო საქართველოს 750.000 მანეთი (ოქროთი) ზაჰესის ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად. მისივე ინიციატივით განჯაში (კიროვაბადი), ქუთაისსა და ალექსანდროპოლში (ლენინაკანი) გაიგზავნა სამი საფეიქრო ფაბრიკის მოწყობილობა.

1922 წელს ამიერკავკასია იმყოფებოდა მძიმე ეკონომიკურ პირობებში. გაზაფხულზე სეტყვამ, ზაფხულში გვალვამ, შემოდგომაზე კოკისპირულმა წვიმებმა და ირანიდან შემოჭრილმა კალიების დიდმა გუნდმა სერიოზული ზიანი მიაყენეს რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობას. ამ გაჭირვების დროს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მეგობრული ხელი გაუწოდა რუსეთის საბჭოთა სოციალისტურმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ, და ეს არ იყო შემთხვევითი. რუსი ხალხი ყოველთვის, სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად, უანგარო დახმარებას უწევდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა ამ განაპირა მხარის ჩამორჩენილობის დაძლევაში. ამ დებულების ილუსტრაციაა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები. ასე, მაგალითად, ამჟამად საქართველოს სსრ აწარმოებს უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე აწარმოებდა რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური, ანდა იმაზე მეტს, ვიდრე პაკისტანის, ირანის, ერაყის, ავღანეთის ელექტროსადგურები ერთად, თითო სულ მოსახლეზე ჩვენი რესპუბლიკა აწარმოებს 8-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე თურქეთი, რომელიც ტერიტორიით 11-ჯერ სჭარბობს საქართველოს.

ამიერკავკასიის ფედერაციამ რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მტკიცე ხელმძღვანელობით შეძლო მის რეგიონში მცხოვრებ ერებს შორის ურთიერთუნდობლობის დაძლევა, ეროვნული მშვიდობის დამყარება, უთანხმოებათა და კონფლიქტთა მოწესრიგება.

სამხარეო კომიტეტი და სამოკავშირეო საბჭო ძალზე დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენა-განვითარების საკითხებს, განსაკუთრებით, ბაქოს ნავთობის მრეწველობას. ამ ორგანოების პირველი რიგის ეკონომიკური ამოცანა იყო მოეხდინათ რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრების მჭიდრო გაერთიანება, საბაჟო ზღუდეების ლიკვიდაციის გზით.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შედეგად აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სახალხო მეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზას დაადგა. 1923 წლისათვის აზერბაიჯანში ნათესი ფართობი მნიშვნელოვნად აჭარბებდა 1913 წლის დონეს. თუ მუშათა რიცხვი 1920 წელს 26

1. ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 33, გვ. 408.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ათასი იყო, 1923 წლისათვის გაიზარდა—40.000-მდე. ბაქოში აღადგინეს შმიდტის, ოქტომბრის სახელობის ქარხნები, ქარხანა „კომინტერნის" სახელობისნოები და ა. შ. მნიშვნელოვნად გაიზარდა აბრეშუმის წარმოება.

სომხეთში ნათესი ფართობი 1922 წლისათვის 230 პროცენტით გაიზარდა 1919 წლის დონესთან შედარებით. რესპუბლიკის მშრომელებმა, ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად, გაწმინდეს და რეკონსტრუქცია გაუკეთეს 81 დიდ და პატარა სარწყავ არხს. 1922 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლისთავზე, საზეიმო ვითარებაში, ექსპლოატაციაში შევიდა ეჩმიაძინის სარწყავი არხი და ბამბის ქარხანა. ახლადშექმნილ ტრესტ „არარატში" გაერთიანდა ღვინო-კონიაკის 6 საწარმო. აღადგინეს ტყავისა და მექანიკური ქარხნები. ალექსანდროპოლში აღდგა რკინიგზის დეპო, რომელმაც მარტო 1922 წელს შეაკეთა 18 ორთქლმავალი და 178 ვაგონი. ერევანში, ალექსანდროპოლსა და კიროვობადში (კარაკლისი) ამოქმედდა ელექტროსადგურები. დღითიდღე უმჯობესდებოდა მუშათა მატერიალური უზრუნველყოფა.

ასევე წარმატებით მიმდინარეობდა აღდგენითი სამეურნეო სამუშაოები საქართველოში. შაბათობით და კვირაობით მშრომელი მასების ენთუზიაზმის საფუძველზე ხდებოდა გორის, ქუთაისის, შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებში სარწყავი სისტემების აღდგენა და ახალის მშენებლობა. იზრდებოდა აბრეშუმის პარკისა და თამბაქოს წარმოება. მანგანუმის ამოღება ჭიათურაში.

ამიერკავკასიაში გააუქმეს ცალ-ცალკე არსებული ფულის მიმოქცევა და 1923 წლის იანვარში შემოიღეს საერთო ფედერალური ფულის ნიშანი.

იდეოლოგიური მუშაობის დარგში მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდის, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებზე. ამ საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ბეჭდვითი სიტყვა, ლიტერატურა, ხელოვნება, ზეპირი პროპაგანდა და აგიტაცია, რომელიც სულ უფრო ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა.

ფედერაცია საგარეო-სავაჭრო ურთიერთობას ახორციელებდა რსფს რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო წარმომადგენლობის მეშვეობით. რუსეთისა და ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკებს შორის დაიდო საბაჟო-სატარიფო გაერთიანების შეთანხმება.

ამიერკავკასიის ფედერაცია თავის მეზობელ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ახორციელებდა კეთილმეზობლურ სამშვიდობო პოლიტიკას და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის დახმარებით სულ უფრო განამტკიცებდა თავის საერთაშორისო მდგომარეობას.

* * *

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი აერთიანებდა სამხედრო-პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ნაწილობრივ სამეურნეო მოღვაწეობას. სამოკავშირეო საბჭო ამიერკავკასიის მასშტაბით ჯერ კიდევ არ იყო სრულფასოვანი აღმასრულებელი ორგანო, სამოკავშირეო საბჭოსა და რესპუბლიკების ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს შორის ბევრ საკითხში არ იყო შეთანხმებული მუშაობა.

საბჭოთა ხალხის გამაერთიანებელმა მოძრაობამ 1922 წელს პრაქტიკულად დააყენა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთ კავშირში გაერთიანების აუცილებლობის საკითხი.

1922 წლის შემოდგომაზე აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში — ყველგან — ფაბრიკებსა და ქარხნებში, ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობდა კრებები, მიტინგები, კონფერენციები, ყრილობები, სადაც ერთხმად იღებდნენ სსრ კავშირის შექმნის აუცილებლობის გადაწყვეტილებებს. ყველა მათგანში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები სსრ კავშირში უნდა გაერთიანდნენ არა ცალ-ცალკე, როგორც ამას ქართველი ნაციონალ-უკლონისტები გვთავაზობდნენ, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით, რომელიც უნდა გამხდარიყო ამ მხარეში ეროვნული მშვიდობისა და კულტურულ-ეკონომიური მშენებლობის ძირითადი ორგანო.

ვ. ი. ლენინმა პირველმა წამოაყენა, დაასაბუთა და განავითარა სსრ კავშირის როგორც თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, სუვერენული ერების ნებაყოფლობითი თანამეგობრობის შექმნის იდეა. აკრიტიკებდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ წარმოდგენილ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების „ავტონომიზაციის" გეგმას და 1922 წლის 26 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისადმი გაგზავნილ წერილში აყენებდა საკავშირო სახელმწიფოს შექმნის პრინციპულად ახალ საფუძველს — უკრაინის, ბელორუსიის, რსფსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მათი სრული თანასწორუფლებიანობისა და სუვერენობის საფუძველზე შესვლის შესახებ.

1922 წელს 6 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო სსრ კავშირის შექმნის ლენინური გეგმა. იგი მოიწონა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1922 წლის 18 ოქტომბრის პლენუმმა და მიიღო გადაწყვეტილება გაეჩაღებინა მასებში საავიტაციო კამპანია ამიერკავკასიის სფსრ შექმნისა და სსრ კავშირში მისი შესვლის უზრუნველსაყოფად.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა უარყო ბ. მდივნის განცხადება, რომელიც მოითხოვდა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისა და მასში შემავალი რესპუბლიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალოდ შესვლას სსრ კავშირის შემადგენლობაში.

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ (1922 წლის 10 დეკემბერს) სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ფედერაცია გამოაცხადა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად, აირჩია საბჭოების სრულიად საკავშირო I ყრილობის დელეგატები და მისცა მანდატები, რომ მათ „უფლება აქვთ მოაწერონ ხელი ხელშეკრულებას რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ".[1]

სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობამ (1922 წლის 23-27 დეკემბერი) მიიღო დადგენილება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, ბოლო 30 დეკემბერს რესპუბლიკების სრულუფლებიანმა დელეგატებმა (მათ შორის ამიერკავკასიის დელეგაციამ) კრემლში ხელი მოაწერეს დეკლარაციასა და ხელშეკრულებას სსრ კავშირის შექმნის შესახებ.

სრულიად საკავშირო საბჭოების I ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტებს საფუძვლად დაედო ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ძმური თანამშრომლობის ლენინური პრინციპები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეები. საბჭოთა რესპუბლიკების სსრ კავშირში გაერთიანება განხორციელდა ნებაყოფლობის საწყისებზე, სსრ კავშირში შესული თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების საფუძველზე.

ამიერკავკასიის ფედერაციის 15 წლის არსებობის გამოცდილებამ თვალსაჩინოდ დაადასტურა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განვითარებისათვის, მათ შორის ლენინური მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის.

ამიერკავკასიაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია იყო ხალხთა ძმური თანამშრომლობის ორგანიზაციის, მასში შემავალი რესპუბლიკების ეროვნული მშვიდობიანობის, ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის საუკეთესო ფორმა. ფედერაციამ ერთიან ძმურ ოჯახად შეაკავშირა მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელები, ხელი შეუწყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის — საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლის განმტკიცებას.

1 ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა. თბ., 1923, გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# მეგობრობის ცეცხლი

ნიკოლოზ ტიხონოვის მთელი შემოქმედება — მისი შესანიშნავი ლექსები, პროზაული ქმნილებანი და სრულიად თავისებური, ლირიკული სინრფელითა და პუბლიცისტური გზნებით დანერილი ნარკვევები და წერილები, პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე გაბსჭვალულია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის წმინდა და ამაღლებული გრძნობით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს კაცი მთლიანად, მთელი არსებით, სულის ყველა ძალით, იყო ხალხთა ძმობის იდეის ცოცხალი განსახიერება; ეს იდეა გადასული იყო მის ლექსში, მის სულში, მთელ მის ცხოვრებაში, შემოქმედებასა და აზროვნებაში. და ეს სიყვარული, თავისი მასშტაბით, მოიცავდა მთელს ჩვენს პლანეტას.

ცნობილია, რომ სიყვარული მთელი კაცობრიობისადმი, ინტერნაციონალიზმის გრძნობა იწყება შენი ერის სიყვარულიდან. ჟიულ მიშლე ამბობდა, რომ სიყვარული სამშობლოსადმი არის სიყვარულის ყველაზე მაღალი ფორმა. თუ მოკვდა სამშობლო, შენთვის კვდება კაცობრიობაც, კვდება ყველაფერი, ადამიანის არსებობას აზრი ეკარგება, და თუ ცოცხლობს, ჰყვავის და ძლიერია, სწორედ ეს აძლევს პოეტს ძალას და სტიმულს, რათა უყვარდეს მთელი კაცობრიობა. ასეთი მგზნებარე სიყვარულით უყვარს ტიხონოვს თავისი ხალხი, თავისი სამშობლოს თვალუწვდენელი სივრცეები და ეს აძლევს ძალას, უყვარდეს მთელი მსოფლიოს ხალხები. ეს გარემოება განსაზღვრავს ნ. ტიხონოვის პროზისა და პოეზიის არა მარტო იდეურ პოზიციას, არამედ თემატიკასაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტიხონოვის თემატიკის გეოგრაფიული საზღვრები — ვრცელზე ვრცელია: ის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე იყო და მისი თვალი მართლაც სწვდებოდა მთელ პლანეტას.

როგორი მართლაც ვაჟკაცური ბიოგრაფია აქვს ტიხონოვს, როგორც პოეტსაც და როგორც მოქალაქესაც. სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში მას წითელარმიელის მაზარა აცვია და პეტროგრადის მისადგომებს იცავს; თეთრფინელებთან ომის დროს — კარელიის ყელზეა და ჯარისკაცებთან ერთად იზიარებს საფრონტო ცხოვრების ყველა სიძნელეებსა და განსაცდელს, ხოლო სამამულო ომის დროს ის არ მოშორებია თავის საყვარელ ლენინგრადს და მისი ლექსები, მისი მოთხრობები, ეს არის უბრწყინვალესი ფურცლები საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების მატიანისა.

ნ. ტიხონოვის შესანიშნავ პოეტურ ქმნილებებში ისმის ხმა ჩვენი მშფოთვარე და დაუცხრომელი საუკუნისა, ისმის ისტორიის ძლევამოსილი ნაბიჯების ხმა — ეს ითქმის როგორც მისი ადრინდელი წიგნების — „ორდასა“ და „ბრაგას“ შესახებ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ „პერეკოპი“, „ბალადა ლურსმნებზე“, „სიმღერა შვებულებაში წასულ ჯარისკაცზე“, ისე მომდევნო ნაწარმოებებზე, რომლებშიაც პოეტი უმღერის სოციალისტურ სამშობლოს. ვის დაავიწყდება მისი „ლაპარაკობს ომი“, დაწერილი როგორც ინტერმედია სერვანტესის „ნუმანსიასათვის“, მისი „კიროვი ჩვენთან არის“, სადაც, როგორც ფერწერულ ტილოზე, ასახულია ომის წლების ლენინგრადი: ვის დაავიწყდება მისი „სიტყვა ოცდარვა გვარდიელზე“ უკვდავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიმნი მოსკოვის დამცველთა გმირობისადმი, ვის დაავიწყდება მისი „სადღეგრძელო“, რომელშიაც გამოთქმულია პოეტის ულრმესი სიყვარული სამშობლოსადმი. ამ ლექსში ვკითხულობთ:

ჩვენ მტკიცენი ვართ... არ დავიღლებით.
და ჩვენთვის ძილიც ჯერ ადრე არის,
აბა, აავსეთ ისევ ჭიქები,
ვთქვათ სადღეგრძელო სამშობლო მხარის!..
დიდება იმათ, ვინც უბედობას
გადაუკეტა აქ გზები მარად,
დიდება ხალხთა დიდ მეგობრობას,
ჩვენ გაბრწყინებულ სოფელს და ქალაქს!
ეს გაუმარჯოს იმ ნორჩ ქალაქებს,
უდაბნოში რომ აღიმართება,
მოსკოვის კოშკებს, ძველ ნაამაგევს,
თბილისის ახალ კედელთა წყებას!
დე, სიხარულმა აანთოს გული,
იმ სიხარულმა, ჩვენ რომ გვაბრწყინებს,
ლენინგრადზეა აწ სიტყვა თქმული,
დიდება ნევის ლამაზ ნაპირებს.

ეს გაუმარჯოს პოლარულ კარავს,
საბჭოთა ქვეყნის ცასა და მიწას,
სამხრეთის ზღვების ღელვას და ძალას,
ღამითაც რომ ჰქუხს, იმ ჰალადიდსაც;
ყველა ქალაქსა და ყველა სოფელს,
რომ ავაშენეთ ჩვენი ხელებით,
თურქმენულ ვარდებს, მიწას მათ მშობელს,
მე დღეს აქედან ვადღეგრძელებ...

ნიკოლოზ ტიხონოვს სამართლიანად ეძახდნენ მშვიდობის მსოფლიო არმიის დაუცხრომელ ჯარისკაცს. იგი ეკუთვნოდა კაცობრიობის იმ საუკეთესო ადამიანების რიცხვს, რომელთაც მთელი თავიანთი სულის სიძლიერე, მთელი ბუმბერაზული ენერგია მოახმარეს საქვეყნოდ მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ის, როგორც უბრწყინვალესი პოეტი, როგორც ჰუმანისტი და მგზნებარე პატრიოტი საბჭოთა სამშობლოსი, მუდამ მხნედ იდგა თავის სახელოვან პოსტზე.

მშვიდობისათვის ბრძოლის ფრონტი ვრცელი და უზარმაზარია, ის გადის მსოფლიოს ყველა ქალაქსა და სოფელზე... ამიტომაც არის, რომ მშვიდობის დაუცხრომელი ჯარისკაცი მუდამ „ლაშქრობაში“ იყო, მას დაუსრულებლად უხდებოდა მოგზაურობა მსოფლიოს ერთი მატერიკიდან მეორეზე; მას ვხედავდით ყველგან, ყველა სამშვიდობო კონგრესის ტრიბუნაზე. ყველა ქალაქში, სადაც ადამიანები ხმას იმაღლებენ ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მას ვხედავდით ხან მცხუნვარე ინდონეზიაში, ხან ევროპის ახმაურებულ ქალაქებში... ყველგან გაისმოდა მისი მგზნებარე ხმა, ღვაწლოვანი მოწოდება, მიმართული ყოველივე იმის დასაცავად, რაც წმიდათაწმიდა გააჩნია კაცობრიობას.

• • •

მართალი გითხრათ, მიძნელდება სრულყოფილად გამოვთქვა თუ გამოვხატო, როგორ ძლიერად უყვარდა ნ. ტიხონოვს საქართველო. არ არის კუთხე ქართულ მიწაზე, რომ ის ნაზი სიყვარულით არ მოჰფერებოდა, იქნებოდა ეს ალაზნის ველი, თუ ლატფარის უღელტეხილი, და ერთსაც და მეორესაც მიიჩნევდა იმ მომხიბლავ ადგილებად, რომელსაც კაცი მთელი გულით უნდა მიეცეს. „გინახავთ თუ არა საქართველოში ლატფარის უღელტეხილი? — წერს პოეტი, — სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა ნახოთ ეს უღელტეხილი მზის ჩასვლისას და ამოსვლისას. ან კიდევ ადით გომბორზე, ან გადახედეთ ჭანჭახის მწვანე ჭყეებს მამისონიდან — თქვენ განიცდით სიხარულს, რომელიც გაგყვებათ მთელი სიცოცხლის მანძილზე.“ ყველაფერ ამას მოსდევს ახალი ხილვები და ზმანებანი, სანატრელ სიზმრებად რომ ნაჰყვება ტიხონოვს, ამას მოჰყვება საერთოდ მთელი საქართველოს პეიზაჟები, რომელსაც ნ. ტიხონოვმა უწოდა „დიდი პოეტური სუნთქვის ქვეყანა“.

ნათლად გრძნობს მკითხველი, რომ ეს არ არის ნუთიერი აღტაცება პოეტისა. არა, მას რაღაც უფრო ძლიერი საფუძველი აქვს, ხანგრძლივი ისტორიული საფუძველი, რომელზედაც აგებულია ეს სიყვარული. თავისდაშეუმჩნევლად ნ. ტიხონოვი იქცა არა მარტო საქართველოს დიდ მომღერლად, არამედ მის ისტორიკოსად, მემატიანედ. რაღა არ იცის მან და რაღა არ უყვარს საქართველოში — ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. და აი, როცა ნ. ტიხონოვი დაიწყებს ლაპარაკს გელათსა და იყალთოზე, ბეთანიის საუცხოო არქიტექტურულ ნაგებობაზე, ვარძიასა და ქვათახევზე, ურბნისისა და ყინწვისის ფრესკებსა და მოზაიკაზე, ქართულ ჭედურობაზე, რომლის ოსტატები თავიანთ სფეროში სჯობნიდნენ ბიზანტიისა და სირიის ოსტატებს, როცა ის აღნიშნავს, რომ „გამოჩენილი ფილოსოფოსები, ისეთები, როგორიც იყვნენ ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, ქმნიდნენ თავის ფილოსოფიურ სისტემას, რომელიც არა ჰგავდა ბერძნულ ფილოსოფიასო“, ეს უკვე ზემოთ ნახსენები უბრალო პეიზაჟები კი აღარ არის, აქ ლაპარაკია სულიერი კულტურის მწვერვალებზე, იმ დიდ შემობრუნებაზე კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, რომელიც დაიწყეს აქ დასახელებულმა ფილოსოფოსებმა და დაამთავრა რუსთაველმა. პირველწყაროების საფუძვლიანი გაცნობის გარეშე, ცხადია, ნ. ტიხონოვი ვერ მისცემდა თავის თავს უფლებას ასეთი გაბედული და სავსებით სამართლიანი დასკვნები გამოეტანა. ბოლო, ეს რა დასამალია და, ასეთი დასკვნების გამოტანა ხშირად უჭირდა ცალკეულ უცხოელ ისტორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსებსა თუ მოაზროვნეებს ნ. ტიხონოვი კი ამ მხრივ, მტკიცე ნიადაგზე იდგა, იგი, როგორც უშესანიშნავესი მცოდნე მთელი აღმოსავლეთისა, როგორც არაბული, ისე ირანული კულტურისა, როგორც ინდური სიბრძნისა, ისე ანტიკური საბერძნეთისა და ბიზანტიის მემკვიდრეობისა, იმავე დროს, საკუთარი თვალით მხილველი ძველი ქართული კულტურისა, რომელიც მარტო ხელნაწერებში და სიძველეთსაცავებში კი არა, არამედ ძეგლების სახით იყო აღმართული ხეობებსა და მინდვრებზე, ჩაქსოვილი იყო ხალხის ყოფაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის სიხარულსა და გლოვაში, მისი პოეტების ლექსებში და მწყემსთა სიმღერებსა თუ ზღაპრებში — ყველაფერი ეს იცოდა ნ. ტიხონოვმა და ამიტომ ჰქონდა უფლება ეთქვა თავისი აზრი ქართულ ფილოსოფიაზე, როგორც თვითმყოფად და ორიგინალურ მოვლენაზე, ეთქვა მთელი მსოფლიოს გასაგონად.

ნ. ტიხონოვმა დიდად წინ წასწია ხალხთა ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმე. აი, მაგალითად, ის იწყებს მსჯელობას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და იმ ამაგზე, რომელიც დასდო საქართველოს დიდმა რუსულმა კულტურამ. მაგრამ, ამავე დროს, არც ქართველთა ღვაწლს ივიწყებს და პირდაპირ ამბობს:

„ქართული საბჭოთა ლიტერატურა, მთელ საბჭოთა კავშირის ლიტერატურასთან ერთად, ვითარდება ერთი მთლიანი პროცესის, მთლიანი მდინარების სახით. ქართულ მწერლობას, კერძოდ პოეზიას, დიდი ძალა აქვს. მე თვითონ პოეტი ვარ და შემიძლია გითხრათ, რომ ქართული პოეზია თავის გავლენას ახდენდა რუსულ საბჭოთა პოეზიაზე, შესაძლებელია სხვა ერის პოეზიაზეც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენ ერთიმეორისაგან ვსწავლობთ და ერთი საერთო ცხოვრებით ვცხოვრობთ".

ეს რაც შეეხება თანამედროვე საბჭოთა პოეზიას, იმ პოეზიას, რომელიც ჩვენს თვალწინ იქმნება და იზრდება, და ეს თეზისი მარტო აწმყოს კი არ გულისხმობს, არამედ წარსულსაც წვდება და მწერალი აქაც საოცრად საინტერესო მოსაზრებებს აყენებს. და აქ მინდა ისევ თვითონ ნ. ტიხონოვს დავუთმო სიტყვა:

„არის ქვეყნები, რომელთაც სხვა ქვეყნებისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ისინი განსაკუთრებული პოეტური შარავანდედით წარუდგებიან მთელ თაობებს, რომლებიც ცვლიან ერთიმეორეს. მათი ბუნება, მათი ხელოვნება, მათი ძველი კულტურა იწვევს არა მარტო საქმის მცოდნეთა განსაკუთრებულ მღელვარებას. ისინი გავლენას ახდენენ მხატვრებზე, მწერლებზე, ანავლულებზე. ისინი იზიდავენ ა[illegible] ზაურებს. ერთი ასეთი ქვეყანა ევროპაში, ქვეყანა, რომელიც სავსეა განსაკუთრებული მნიშვნელობით — არის იტალია. ევროპის კლასიკური პოეტებიდან ყველა მიაშურებდა ხოლმე იტალიას და მიუძღვნიდა მას თავისი გულის საუნჯეს. ჩვენთვის, რუსი პოეტებისათვის, ჩვენი იტალია უეჭველად საქართველო იყო. როგორ მოხდა ეს, ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა... ბიოგრაფია რუსი პოეტებისა და მწერლებისა მჭიდროდ გადაეწნა ქართველი და რუსი ხალხების კულტურულ კავშირებს, ისინი შეაერთა მეგობრობისა და სიყვარულის გულითადმა ძაფებმა.

ხომ არ შეიძლება ვთქვათ, — განაგრძობს ტიხონოვი, — რომ პუშკინი ისე, უბრალოდ, სხვათა შორის, მოხვდა საქართველოში, რომ ლერმონტოვი შემთხვევით აღმოჩნდა თბილისში, რომ გრიბოედოვი ჩამოვიდა პოეზიის ამ კურთხეულ ქვეყანაში მხოლოდ სამსახურეობრივი მივლინების გამო, ხოლო მარლინსკი ბედმა აქ გადმოისროლა სამშობლოდან გამოძევებისა და გადასახლების წყალობით.

აქ დაიწყო თავისი ლიტერატურული გზა ბევრმა რუსმა ლიტერატორმა და მათ შორის, ისე სრულიად განსხვავებულმა ერთი-მეორისაგან, როგორიც ლევ ტოლსტოი და მაქსიმ გორკი იყვნენ. ყველა ისინი აქ მოიყვანა დიდმა მეგობრობამ, ამ ქვეყნის მომხიბვლელობამ, ყველას შეეხო ეს მღელვარება, ყველამ გულის ხსოვნით წაიღო აქაურების ხახვედრა და სულის თანაზიარობა, აღსავსე მოულოდნელი აღმოჩენებით, პოეტური შესაძლებლობებით და დიდი გრძნობებით.

აღარაფერს ვიტყვი ჩვენი ხალხების ისტორიულ კავშირ-ურთიერთობაზე. არ დავასახელებ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვისი ბედიც მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთის სახელმწიფოს. მე მინდა ვილაპარაკო მხოლოდ პოეტებზე.

რუსი პოეტები ღრმად გრძნობდნენ ქართული პოეზიის ლირიკულ ეშხსა და ძალას... მრავალი ლექსი უძღვნეს მათ საქართველოს და ყოველი მათგანი პოულობდა თავის ფერებსა და სახეებს, თავისი ღრმა აღტაცებისა და მღელვარების გადმოსაცემად. საქართველოში დაიბადა ის რუსი პოეტი, რომელმაც ერთხელ, თავისი მძიმე ჩაფიქრების წუთებში ინანა იმის გამო, რომ ვერ შეაქო ისე, როგორც მარტო მას შეეძლო, ეს ქვეყანა, აკვანი მისი ლექსისა. ეს იყო მაიაკოვსკი, რომელმაც დაწერა, რომ ის ნანობს, რომ ვერ უმღერა ბაღდათის ზეცას, ბაღდათის ზეცის სახით აქ უნდა გავიგოთ ყველაფერი ის, რაც მან განიცადა საქართველოს ცის ქვეშ, რომელიც მას ნაზად და ძლიერად უყვარდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი ესენინი, მისგან სრულიად განსხვავებული ადამიანი, რომლის გამჭრიახმა თვალმა კარგად დაინახა საქართველოს „ქვიანი გზები", რომელმაც კარგად იგრძნო დიდი პოეზიის სული, იმ დღეებში, თბილისში რომ სტუმრობდა, არ შეიძლებოდა არ მისალმებოდა ქართველ პოეტებს, როგორც თავის საუკეთესო მეგობრებს; ის რომ უფრო დიდხანს დარჩენილიყო საქართველოში, შეიძლება, მისი პირადი ბედი სხვაგვარად წარმართულიყო. თუ ის გაატარებდა თავისი ცხოვრების მძიმე პერიოდს თბილისში, თუ ის იპოვნიდა ძალას ახალი პოეტური ძიებებისათვის, ღრმად გაეცნობოდა გარემო სინამდვილეს, ვინ იცის, იქნებ ასცდენოდა საშიშროება სიკვდილისა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებოდა მას.

და განა ბორის პასტერნაკისათვის, — დაასკვნის ტიხონოვი, — საქართველო არ იყო შემობრუნების პუნქტი მის შემოქმედებაში? განა მისი გამოჩენა ოცდაათიანი წლების თბილისში ბევრის მომასწავებელი არ იყო ამ თვალსაზრისით? საქართველომ და ქართულმა პოეზიამ დიდი მეგობრული სამსახური გაუწიეს პასტერნაკს, მათ მოამზადეს იგი ახალი წარმატებებისათვის პოეტურ გზაზე, იგი გარემოცული იყო ისეთი მეგობრული სითბოთი, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა ეს წარუშლელი შთაბეჭდილება. ეს იყო გადაძახება გულებისა და მან მოგვცა თავისი დაღებითი შედეგები და მან გაამდიდრა რუსი და ქართველი პოეტებიც".

ციტატა, ცოტა არ იყოს, გრძელი გამოვიდა, მაგრამ დამენანა მისი შეწყვეტა. აბა ერთი დავუფიქრდეთ, რა უზარმაზარ როლს ანიჭებს წერილის ავტორი თბილისსა და საქართველოს რუსეთის დიდი ლიტერატურის ისტორიის განვითარებაში — პუშკინიდან და ლერმონტოვიდან ესენინამდე და პასტერნაკამდე? თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამას წერს კაცი ბრძენი და დაფიქრებული, რომელსაც ამაოდ სიტყვა არ დასცდება და რომელიც ამ სფეროში არა მარტო მეცნიერული ავტორიტეტია, არამედ შემოქმედიც. აკი თვითონაც ამბობს — „მე, პოეტი ვარ და შემიძლია გითხრათო"... აქ დიდი შინაგანი თვითრწმენა ჩანს, ურომლისოდაც ახალ აზრს უჭირს ხოლმე დამკვიდრება როგორც ლიტერატურის ისტორიაში, ისე, საერთოდ, კაცობრიული აზრის განვითარებაში.

* * *

ნ. ტიხონოვის პოეზიაში უჩვეულო ფერადოვნებით და ცხოველმყოფელობით გამოისახა ქართული ყოფა და პეიზაჟი, საქართველოს ისტორია და თანამედროვეობა. როცა ერთი ერის პოეტი ასახავს მეორე ხალხის ცხოვრებას, თუ ის ჭეშმარიტად ნამდვილი შემოქმედია, რომელიც სწვდება ადამიანის სულის საიდუმლოებებს, იმას, რასაც შინაგანი რეალობის ანუ საგნის არსის გახსნა და ამოცნობა ენოდება, მან არ შეიძლება ახალი ფერადები, ახალი სახეები არ მიუმატოს ამ ერის ლიტერატურას, და ეს იქნება შენამატი როგორც ერთი, ისე მეორე ერისათვის. ასეა ამ შემთხვევაშიც. და ამას თვალსაჩინოდ ადასტურებენ ნ. ტიხონოვის ლექსთა ციკლები, დაწყებული ლექსებით კახეთზე, რომელსაც მოსდევს „საქართველოს გაზაფხული", „ლექსები თბილისზე", „მთები" და „ახალი შეხვედრა". როცა ამ ლექსებს კითხულობთ, ყურადღებას იქცევს ყოფის საოცრად ზუსტი ცოდნა, უთქმელადაც, მიუნიშნებლადაც აშკარად ჩანს, რომ პოეტს დიდხანს უცხოვრია საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში. არ არის და არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში, იქნებოდა ეს ხრამჰესის აგება თუ რუსთავის მეფოლადეთა გამარჯვება, ენგურჰესის კაშხალის მშენებლობა თუ წინანდლის ბაღების სიუხვე და სიტურფე, რომელსაც გამოძახილი არ ეპოვოს ნ. ტიხონოვის პოეზიაში. უნაზესი გატაცებით არის შეყვარებული იგი ალაზანსა და საგურამოზე, თბილისსა და წინანდალზე, ჭალადიდსა და ბათუმზე. ეს სახელები მის ლექსებში წარმოითქმიან რაღაც გულის თრთოლვით, შინაგანი მღელვარებით. ამიტომ ამბობს ის ლექსში „ვომბორი": „აქ ყველაფერი ჩემთვის ნაცნობია, თითქოს აქ დავიბადეო". მისთვის ალაზანი მარტო მდინარე კი არ არის, სიყვარულის ტალღაა, გულზე რომ გადადის, ჩაუქრობელი პოეზიაა, „ჭაღარა, როგორც ზღაპარი და მუდამ ნორჩი და ახალი, როგორც აიმღერა". დაუვიწყარია მისი „ცისარტყელა საგურამოში", „ღამის ზეიმი ალავერდში", „მონადირე", „შოფერი", დაწერილი ძლიერი და წარუშლელი ფერადებით.

ახლა გაიხსენეთ, როგორ უყვარს ნ. ტიხონოვს საქართველოს ისტორია, სადაც ის მთელი გულით, მთელი გატაცებით გადაეშვება ხოლმე. აი, ის ასპინძაშია, სადაც 1770 წელს მეფე ირაკლიმ დაამარცხა და უკუაქცია ოსმალეთის ჯარები. ნ. ტიხონოვი ამბობს: „აქაური რაიკომის მდივანი ისე მიამბობს ამ ბრძოლის ეპიზოდებს, ისე დაწვრილებით ჰყვება ამბავს, თითქოს თვითონ პირადად იბრძოდა იმ დროს ქართულ ცხენოსან ჯარშიო". და იცით, რა არის აღსანიშნავი — ის, რასაც, ნ. ტიხონოვი რაიკომის მდივანზე ამბობს, შეიძლება გავიმეოროთ მასზეც, პოეტზე, რომელიც ისეთი ჯადოქრული ხილვით აღადგენს წარსულის სურათებს, თითქოს თვითონაც იქ იყო, ბრძოლის ველზე, თმოგვისა თუ ხერთვისის ციხის ქონგურებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ისტორიულ ძიებათა თუ მიგნებათა თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საგულისხმოა ნ. ტიხონოვის ნარკვევი „ბეთლემის გამოქვაბულის საიდუმლოება". ვის არ ახსოვს ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე პოემა „განდეგილი" და ჩანაწერი ვახუშტი ბატონიშვილისა: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი, განკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა. მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა, ა რ ა მ ე დ ვ ე რ ვ დ უ მ ვ ა რ, კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უგუმბათოდ და აწ ცარიელი".

წაიკითხა ეს სტრიქონები მუდამ დაუცხრომელმა და მოუსვენარმა ნ. ტიხონოვმა და როდი დახურა წიგნი, უმალ გაეშურა ბეთლემისაკენ, გამოიკითხა ყველაფერი, მონახა ტურისტები, ალპინისტები, იქაური მკვიდრნი, ვისაც კი ოდესმე ამ მიდამოებში უვლია, და გამოარკვია, რომ ყველას, ვისაც კი ამ ციცაბო კლდეებზე ასვლა უცდია, არავითარი ჯაჭვი და არავითარი გამოქვაბული აქ არ უნახავს. შემდეგ, 1947 წელს, პიონერთა სასახლის ტურისტული კაბინეტის გაშვეს მზია ერისთავს ბავშვები გაუგზავნია წმინდა სამების მონასტრის სანახავად. ნორჩი ალპინისტები, თურმე, მეტეოროლოგიური სადგურის მუშაკს შალვა წერეთელს ჩააბარეს, ხოლო ბავშვებმა მაშინვე ილიას და ვახუშტის ცნობები გაიხსენეს და თავიანთ გამყოლს კითხვა კითხვაზე მიაყარეს ამ ჯაჭვისა და გამოქვაბულის გარშემო. მაგრამ შალვა წერეთელს, რომელიც ბრწყინვალედ იცნობდა აქაურობას, არავითარი ჯაჭვი და არავითარი გამოქვაბული აქ არ ენახა. ასე უნდა დამთავრებულიყო ეს ამბავი, მაგრამ შალვა წერეთელი ხვდებოდა, რომ ვახუშტის ასეთი რამ იშვიათად თუ შეეშლებოდა. და აი, სიტყვა რომ არ კაგვიგრძელდეს, ბოლოს აღმოჩნდა ჯაჭვიცა და გამოქვაბულიც. საქმეში ჩაერივნენ აკადემიკოსები — გიორგი ჩუბინაშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია, დაათარიღეს გამოქვაბულში აღმოჩენილი ნივთები VII-VIII საუკუნეებით, მაგრამ ყოველივე ამან ნ. ტიხონოვი არ დააკმაყოფილა, შეუცნობელი ვუმანი თუ ალღო საითღაც, უფრო შორს ქაჩდა, გრძნობდა, რომ საქმე დამთავრებული არ იყო. ამიტომ იგი წერდა:

„მე მგონია, რომ ჩვენ ვიმყოფებით უაღრესად საინტერესო აღმოჩენის წინაშე. ბეთლემის გამოქვაბულის საიდუმლო ჯერ ბოლომდე გახსნილი არ არის. განდეგილის ყოფნა გამოქვაბულში ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ. 4.000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე ვერავითარი განდეგილი, თუნდაც იგი სამგზის წმინდანი ყოფილიყო, კერისა და საზრდოს უქონლად სამ დღესაც ვერ გაუძლებდა. სხვათა შორის, გამოქვაბულში კერის არავითარი ნიშანი აღმოჩენილი არ არის". შემდეგ ისევ ვახუშტის ტექსტს უბრუნდება ნ. ტიხონოვი და იხსენებს მის სტრიქონებს, რომ ამ გამოქვაბულში საქართველოს მეფეები ინახავდნენ საგანძურს უცხოთა შემოსევის დროს. ნ. ტიხონოვი აყენებს ჰიპოთეზას, რომ რაკილა გამოქვაბულის იატაკი, სიცარიელემ რომ იცის, ისეთ ნახმევსა და გამოძახილს გამოსცემს, შეიძლება აქ მართლაც განძთსაცავი იყოსო. „შეიძლება ამჟამად გაძარცულია, მაგრამ ის არის, არსებობს. ადამიანები, რომელთაც საიდუმლო იცოდნენ, ისე დაიღუპნენ, რომ ვერ მოასწრეს ის საიდუმლო ვისმესთვის გადაეცათ. სად არის დამარხული თამარი? მიუხედავად „ქართლის ცხოვრების" დაბეჯითებით მტკიცებისა, ჩვენ არ ვიცით, მართლა გელათშია ის დამარხული თუ სხვა ადგილზე? იქნებ ბეთლემში. ადამიანები, რომელთაც იცოდნენ ეს საიდუმლო, წავიდნენ ამ ქვეყნიდან, გაჰქრნენ, მაგრამ საფლავი ხომ არ გაქრებოდა. ის სადღაც ხომ არის". ნ. ტიხონოვი იქვე აღნიშნავს, რომ აუარებელი ქართული ხელნაწერები, რომლებიც ჯალალედდინმა წაიღო, ტაშკენტში ინახება, რომლებიც ჯერ გარჩეული და წაკითხული არ არისო.

აქ ჩვენ, ამ შემთხვევაში, გვაინტერესებს არა იმდენად ის, თუ რაოდენ პოზიტიურია ნ. ტიხონოვის ეს ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი, ეს ამაღელვებელი ჰიპოთეზები, არამედ ის ინტერესი, ის სიყვარული, რომელიც არ ასვენებდა ამ საოცარ კაცს, ეძებნა, დაუსრულებლად ეძებნა თამარის ნაკვალევი, კვლავ და კვლავ ენახა მისი სახება ბეთანიასა თუ ვარძიაში, ეძებნა საფლავი გელათსა თუ ბეთლემში.

სწორედ ეს არის ის ვნებიანი, დაუცხრომელი მაძიებლობა, რომელსაც მუდამ წინ მიჰყავდა ისტორიის მეცნიერება; ყველა ხალხის ისტორიიდან ვიცით, რომ კაცი, შეპყრობილი ამ კეთილი ვნებით, პოულობდა ძველ ხელნაწერებს თუ პერგამენტებს, აღმოაჩენდა დაკარგულ საფლავებსა თუ განძთსაცავებს, წააწყდებოდა ჩანაწერებს თუ ეპიტაფიებს, რომელნიც უეცრად მოჰფენდნენ შუქს მანამდე ბნელით მოცულ ამბავს. ეს მისწრაფება, ეს სულისკვეთება ჩანს ნ. ტიხონოვის წერილშიც — „ბეთლემის გამოქვაბულის საიდუმლო".

* * *

ნ. ტიხონოვის მოთხრობის — „წყნეთის საღამოების" ჟანრობრივი თავისებურება ის

არის, რომ აქ სიუჟეტი აგებულია მკაცრად განსაზღვრულ დოკუმენტურ მასალაზე, უფრო სწორად — მას საფუძვლად პოეტის პირადი მოგონებანი უდევს და აქ გამოგონილი არაფერია. და მაინც, აქ ისე ლაღად გაუშლია ფრთა მწერლის ფანტაზიას, და ეს პარადოქსი არ არის — ისეთ სიღრმეებსა სწვდება იგი, რომ მას თამამად შეიძლება ფილოსოფიური მოთხრობა ეწოდოს; ეს არის მოთხრობა წუთისოფელზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, იდუმალ ცისფერ შუქზე, ამ ქვეყნიდან შეუცნობელ მოგზაურობაში რომ აცილებს კეთილ ადამიანს.

ძალზე უბრალოდ იწყება ეს მოთხრობა, ავტორი იგონებს იმ ზაფხულს, რომელიც მან წყნეთში, გიორგი ლეონიძის აგარაკზე გაატარა.

ეს ის ზაფხული იყო, როცა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ნიკოლოზ ტიხონოვისათვის დაუვიწყარი გამხდარა წყნეთის საღამოები, განმარტოება და სიჩუმე, რაც ესოდენ აუცილებელია შემოქმედებითი მუშაობისათვის. იგი საღამოობით ჯდებოდა ხოლმე მაღალი კაკლის ხეების ჩრდილში და გაჰყურებდა მათი სახლის მახლობლად, მხიარულ მწვანეში ჩაფლულ სასაფლაოს, სადაც ჩიტები დაფრთხიალებდნენ ბილიკებსა და საფლავის ჯვრებზე.

ერთხელ სოფლიდან სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე კაცი გამოჩნდა. მათ მუსიკალური საკრავები ეჭირათ ხელში და მძიმე, დინჯი ნაბიჯებით მიდიოდნენ. ისინი ავიდნენ სასაფლაოზე და ახლად გათხრილ საფლავებს მიაშურეს, მოძებნეს რომელიღაც საფლავი, საკრავები მწვანე მოლზე დააწყვეს და სახელდახელოდ გაკრული ბოხჩებიდან პური, მწვანილი, ხორცი, ვაშლი და საზამთრო ამოალაგეს. ერთ მათგანს ღვინო წამოეღო ტიკით. მან საფლავის თავზე დატკეპნილ მიწაზე ჩამოამწკრივა ჭიქები და ღვინით აავსო.

პირველი ჭიქა საფლავს აპკურეს, დანარჩენები ხელში აიღეს და სულმოუთქმელად დასცალეს. მერე საფლავის ოდნავ მოშორებით ჩამოსხდნენ და საკრავები აახმიანეს.

ამ კონცერტის ერთადერთი მსმენელი და მაყურებელი ნიკოლოზ ტიხონოვი იყო. მემუსიკეებმა ეს არ იცოდნენ. ისინი თავდავიწყებით უკრავდნენ, როგორც ხალხით გაჭედილ დუქანში გაჩაღებული ქეიფის დროს.

ისინი შეუსვენებლივ უკრავდნენ ერთიმეორეზე მშვენიერ სიმღერებს და მთელი ჰაერი გაჟღენთილი იყო ამ ნაზი, ღრმა, ხალხური პოეზიის ხმებით, თითქოსდა ეს ხმები მოდიოდა სასაფლაოს ხეებიდან, ბალახებიდან, შინდის ბუჩქებიდან, ასე უბრალო, ბუნებრივი და გულში ჩამწვდომი.

ისეთი ძალით ხარობდა სიმღერა, რომ იფიქრებდი, საცაა საკრავები დაილეწებიან ამდენი სიხარულისაგან და მათ მხიარულ ტაშილზე საფლავის ქვები აიხდებიან, ჯადოქრული ჰანგები გარდასულ დროთა მოცეკვავეებს გაალვიძებენ და ისინიც მაღლა ამოვლენო.

მერე უცებ სიმღერას გლოვის ელფერი ეძლეოდა, ცრემლი სწვავდა თვალებს და სულში რაღაცა დუღდა, გაუგებარი და ელდანარევი, მწარე და ნაღვლიანი.

მერე ისევ სხვა სიმღერა მიცურავდა სასაფლაოზე და დიდი, თეთრი ფრინველივით ნელა აქნევდა გრძელ ფრთებს. ეს საოცარი კონცერტი, რომელსაც ტიხონოვის გარდა, ბებერი კაკლის ხეები, ხავსიანი საფლავის ქვები, ბუჩქები და ბალახები უსმენდნენ, კიდევ დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ უკვე მცირეოდენი პაუზებით.

მემუსიკეები ჩერდებოდნენ, სვამდნენ ღვინოს, აქცევდნენ საფლავზე, საჭმელს შეექცეოდნენ და კვლავ უბრუნდებოდნენ დაკვრას. ბინდი ეფინებოდა გარემოს, ისინი კიდევ უკრავდნენ და დიდხანს ისმოდა დოლის ბაგაბუგი, ზურნის ზუზუნი და თარის წკრიალი.

ბოლოს წამოდგნენ მემუსიკეები, უკანასკნელი ჰიქა დასცალეს და წავიდნენ. საფლავზე საზამთროს ქერქები დარჩა, პურის ნამცეცები და წითელი ღვინის წვეთები, რომელიც ხარბად შეიწოვა მიწამ.

იმ საღამოს ტიხონოვი და ლეონიძე ერთად სეირნობდნენ და ლაპარაკი ხალხურ ადათწესებზე ჩამოვარდა. ტიხონოვი მოუყვა მეგობარ პოეტს, თუ როგორ უკრავდნენ მემუსიკეები სასაფლაოზე თავიანთივე თავის გასართობად, მაგრამ გაუგებარი იყო, რატომ უკრავდნენ სასაფლაოზე.

— ისინი თავიანთ თავისთვის არ უკრავდნენ, — უპასუხა ლეონიძემ, — არა, ცხოვრობდა იქ, ქვემოთ, სოფელში, ერთი მარტოხელა კაცი; ის ყოველთვის მიდიოდა დუქანში, სადაც ის მემუსიკეები უკრავდნენ, ისმენდა მათგან თავის საყვარელ სიმღერებს, მათთან ერთად მხიარულობდა, მათაც ჰპატიჟებდა, ფულს აძლევდა, ქეიფობდა, აქეიფებდა. ბოლოს მოკვდა. დამარხეს, ნათესავიც კი არავინ არა ჰყავს. მემუსიკეებმა თქვეს: კარგი კაცი იყო, სიმღერები უყვარდა, მხიარულება უყვარდა, ჩვენც ვუყვარდით, ახლა კი მოწყენილია, მარტოა. არავინ არ მიდის მასთან. მოდით, ჩვენ წავიდეთ ხოლმე, როგორც ნათესავები, მას რომ უყვარდა, ის სიმღერები დავუკრათ, გაეხარდება. მისი სადღეგრძელო დავლიოთ. იტყვის, აი როდი დამივიწყეს კეთილმა ადამიანებმა, მოვიდნენ, დალიეს, ჩემთან იქეიფეს, მადლობელი იქნება. ასე დადიან საპანაშვიდო დღეებში, უკრავენ და მის სადღეგრძელოს სვამენ. ეს ქართული წესია, ასეა მიღებული ჩვენში. მართლაც კარგი წესია...

— კარგია, — უპასუხა ტიხონოვმა, — მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ქართულად კი არა, რუსებშიც კარგი იქნებოდა. ჩვენთანაც იცოდნენ წინათ საფლავზე სასმელ-საჭმელის მიტანა, მხოლოდ მიცვალებულის სადღეგრძელოს არა სვამდნენ, აკრძალული იყო. საიქიოსი ეშინოდათ, ეშმაკმა იცის, იქნება მართლა არისო. რომელი გზა მიდის იქით, ეს კი არავინ იცის.

ამ სიტყვებზე ლეონიძემ გაიცინა, ხოლო როცა ის თავისი გოლიათური სიცილით იცინის, მთელი მისი ბრგე ტანი ზანზარებს და სიცილის ხმა შორს ისმის.

— აი, — თქვა მან და ხელი ცისკენ გაიშვირა, — აი გზა იმ ქვეყანაში. შეხედე...

ცაზე, ღრუბლების ხეობაში მრგვალი შესასვლელი ჩანდა, თითქოსდა მომწყვდეული სხვადასხვა ფერის კლდეებით. ეს მართლაც ჰგავდა ზეცის საიდუმლოებებში შესავალ კარს. ცისფერი ბინდი გროვდებოდა ამ შესასვლელთან და მხოლოდ ეს მრგვალი კარი ციმციმებდა იდუმალი ცისფერი შუქით, თითქოს შეუცნობელ მოგზაურობაში იწვევდა ადამიანს.

— ამას ხალხში მკვდრის მზეს ეძახიან, — თქვა ლეონიძემ, — მზის უკანასკნელი სხივი აღებს ცის სამეფოს კარებს და მიცვალებულთა სულები ამ კარებში შედიან.

საოცარი სიმშვიდე სუფევდა ცასა და მიწაზე.

ისინი შინ დაბრუნდნენ. ტიხონოვი იმ დღეს ნახულისა და მოსმენილის შთაბეჭდილებით იყო სავსე. კვლავ აგონდებოდა მემუსიკეები, რომლებიც სასაფლაოზე უკრავდნენ გარდაცვალებული მეგობრის საყვარელ სიმღერებს, აგონდებოდა „მკვდრის მზე" და სოფლელი ფოსტალიონის მოტანილი ამბავი, რომ სადღაც შორს, ევროპაში, ომი დაიწყო, რომ ბომბავენ ვარშავას, პარიზს, ლონდონს და ყველანი ომობენ, მაგრამ ვინ ვისთან ომობს, უბირმა ფოსტალიონმა ეს აღარ იცოდა. არ უჯერებდნენ იმ ფოსტალიონს, ის კი ირწმუნებოდა — გაზეთებში წავიკითხეო. და აგონდება ტიხონოვს, როგორ დასცინოდნენ სოფლელები ფოსტალიონს.

ეს იყო მთელი იმ დღის შთაბეჭდილებანი.

ახლა კი ლეონიძემ პატეფონი ჩართო. ოთახში ხან მოდური სიმღერა ისმოდა, ხანაც სევდიანი სიტყვები:

„წავალთ შორს, შორს ამ ცოდვილი მიწიდან".

და უცებ ტიხონოვმა იკითხა:

— გოგლა, აქ სადმე, ახლოს ტელეფონი არ არის?

— არა, ტელეფონი სოფლის ფოსტაშია. რად გინდა ამ ღამეს ტელეფონი?

— არა, მე ისე ვიკითხე. — შენ როგორ ელაპარაკები ხოლმე ქალაქს?

— უბრალოდ, ჩავდივარ სოფლის ფოსტაში და ვრეკავ.

და ცოტა ხნის შემდეგ ისევ:

— გოგლა, მაინც რა წაიკითხა მან?

— ვინ?

— ფოსტალიონმა!

— მან ალბათ წაიკითხა რომელიმე ფანტასტიკური რომანი მომავალ ომზე.

— იქნებ მაინც დავრეკოთ და მანქანა გამოვიძახოთ ხვალ დილით, გოგლა!

— შენ რამე საქმე გაქვს ქალაქში?

— არა, არაფერი. მაგრამ მან იქნებ მართლა წაიკითხა ის, რასაც ამბობდა.

ორი პოეტის წინათგრძნობა, თითქოსდა უშუალო გაგრძელება იყო იმდღევანდელი საღამოს ნალაპარაკევისა. თითქოსდა, ის მკვდრის მზე უკვე მოახლოებული იყო მსოფლიოს თავზე და ფოსტალიონის გაურკვეველი ნათქვამიც ადასტურებდა მათ ფიქრებს, ამთავრებდა ცოცხალი, რეალური სურათით სასაფლაოზე გამართულ არაჩვეულებრივ კონცერტს და მისტიკურ გზას საიქიოში. თითქოსდა, მართლაც მოსალოდნელი იყო ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა იმ საღამოს, ულმობელი მკვდრის მზე ამობრწყინებულიყო ჯერ კიდევ უღრუბლო ცაზე.

მეორე დილით ისინი თბილისში წავიდნენ. გზაზე შოფერთან ერთად საუბრობდნენ უკანასკნელ ფეხბურთის მატჩზე, ამინდზე, ყურძენზე, მცხეთაზე, მოკლედ ყველაფერზე, რაზედაც კი შეიძლებოდა ლაპარაკი; არავითარი ფოსტალიონი არა ჩანდა მათს საუბარში, მაგრამ ის, სადღაც უფრო ღრმად, ქვეცნობიერებაში მიმალულიყო.

ქალაქის ქუჩები ჩვეულებრივად სავსე იყო ხალხით. მაღაზიები გაღებული იყო, დასრიალებდნენ ავტომანქანები, ავტობუსები, წკრიალებდა ტრამვაის ზარი. ისინი ლიტერატურულ მუზეუმში მივიდნენ, ხარბად გადაიკითხეს უკანასკნელი დღეების გაზეთები და დარწმუნდნენ, რომ მართალი იყო სოფლელი ფოსტალიონი. უკვე შვიდი დღის განმავლობაში ბრიალებდა ომის ხანძარი ევროპაში, იწვოდა ვარშავა, გერმანული ტანკები გარდიგარდმო სერავდნენ და სთელავდნენ მთავრობის მიერ უპატრონოდ მიტოვებულ პოლონეთს. ლონდონი და პარიზი ჩაებნენ ომში, რომელსაც მეორე მსოფლიო ომი ეწოდა.

მკვდრის მზე იდგა მსოფლიოს თავზე.

ტიხონოვი იმავე დღეს ავიდა მთაწმინდაზე და გადაჰხედა თბილისს. სექტემბრის მზის შუქი ანათებდა დიდებისა და ხელოვნების, შრომისა და მშვიდობის ძველ ქართულ ქალაქს. ყოველი ქუჩა, სახლი და ბაღი ამ ქალაქისა დაკავშირებული იყო ტკბილ მოგონებებთან, კარგ დღეებთან, კეთილ ადამიანებთან. ძველი წარმართის მსგავსად, ტიხონოვმა ლოცვა დაიწყო — ცას შეევედრა, რომ ომი არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხებოდა ამ ქალაქის სილამაზეს, არ გადაექცია იგი ნანგრევებად.

გავიდა ხანი და ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი.

* * *

სამამულო ომის წლები... ლენინგრადი საშინელ განსაცდელში იყო, ჰიტლერის დივიზიები გაცოფებით აწყდებოდნენ მის კედლებს, ქვეყანას თითქმის მოწყვეტილი ქალაქი შიმშილობდა, სიცივით ითოშებოდა, მაგრამ ქედს არ იხრიდა, მამაცურად უმკლავდებოდა მტრის შემოტევას, გააფთრებულ საჰაერო და საარტილერიო თავდასხმებს. ნ. ტიხონოვი, ცხადია, ალყაშემორტყმულ ლენინგრადში იმყოფებოდა; არც ბლოკადის გარღვევის შემდეგ მოშორებია საყვარელ ქალაქს.

ომის შემდგომ წლებში ნ. ტიხონოვი კვლავ იწყებს თავის მოგზაურობას მსოფლიოს ქალაქებში, როგორც მშვიდობის დაუცხრომელი ტრიბუნი, როგორც მაცნე საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელსაც მხარს უჭერენ მსოფლიოს მშრომელთა მილიონები.

მსოფლიო მშვიდობისათვის ბრძოლის სფეროში საბჭოთა მწერლობამ, კერძოდ, ტიხონოვის შემოქმედებამ, მისმა ღვაწლმა და ამაგმა მართლაც რომ ისტორიული როლი შეასრულა.

მშვიდობისათვის ბრძოლის თემას ეხება ნ. ტიხონოვის მშვენიერი მოთხრობა „ალ-ყადრის ღამე". ახლა, ჩვენს დღეებში, ცხრაასოთხმოცდაორი წლის ზაფხულის დასაწყისში, როცა ლიბანი და მისი დედაქალაქი ბეირუთი ხანძარშია გახვეული, როცა ისრაელის ჯარები, წაქეზებულნი ამერიკელი იმპერიალისტების მიერ, შეუბრალებლად ჟლეტენ პალესტინელ ლტოლვილებსა და ლიბანის მშვიდობიან მოსახლეობას, ქალებსა და ბავშვებს, როცა ბეირუთის ქუჩებში სისხლის გუბეები დგას, როცა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი აღშფოთებით ჰგმობს გენოციდს, სიონისტებმა რომ მოაწყეს არაბების ერთბაშად ამოწყვეტის მიზნით — ამ ვითარებაში მწერლის მართალ და მღელვარე სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ითქმის კერძოდ „ალ-ყადრის ღამეზე"; ეს მოთხრობა ახალ ჟღერას იძენს, ახალ სიცოცხლეს, ახალ ძალას, თითქოს იგი დღეს იყოს დაწერილი, თუმცა აღარც მოთხრობის ავტორია ცოცხალი, აღარც მოთხრობის მთავარი გმირი — ცნობილი ქართველი აკადემიკოსი გიორგი წერეთელი; ჩვენ არა გვაქვს ცნობა ტიხონოვის მოთხრობის მეორე მთავარ პერსონაჟზე — ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულ სახელოვან ლიბანელ მწერალ მიხეილ ნუაიმეზე, რომელიც შარშან ლენინგრადში მოცემული არაბულ პროზის ანთოლოგიაში ცოცხალთა შორისაა მოხსენებული. ამ ადამიანებს გარდა, მოთხრობაში დახატული არიან ლიბანის ხელოვნების აკადემიის პროფესორები და სტუდენტები, წმ. იოსების უნივერსიტეტის თეოლოგები, სიძველეთა მოყვარულნი, ჟურნალისტები, რეპორტიორები. განათლების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზი სავსეა ხალხით და ყველა დაძაბული, ულრმესი ყურადღებით უსმენს შორეულ საბჭოეთიდან ჩამოსულ ქართველ აკადემიკოსს, ნაღდი ბედუინივით მაღალ კაცს, პირისახის ნატიფი ნაკვთები და ვიწრო მხრები რომ აქვს. იგი კითხულობს ლექცას ძველ არაბულ კულტურაზე, შუა აზიაში — ბუხარას და კაშკა-დარიას ოლქებში მცხოვრებ არაბებზე, სადაც მან აღმოაჩინა და შეისწავლა არაბული ზმნის ცალკეულ ფორმათა წარმოქმნის თავისებურებანი. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს და მსმენელთა წინაშე გამოაქვს მასალები, რომლებიც თვით არაბ მეცნიერთათვისაც კი უცნობია.

და აი, გიორგი წერეთელი იწყებს იმ არაბული ხელნაწერების განხილვას, რომლებიც საბჭოთა ინსტიტუტებსა და მუზეუმებში ინახება, დიდი ხელოვნებით მოუთხრობს იგი მსმენელებს მეთხუთმეტე საუკუნის სახელგანთქმულ პოეტსა და მეზღვაურ აჰმედ იბნ მაჯიდზე, ვინც ერთ-ერთი იყო ზღვის ოთხ ლომთაგან, ვისი უნიკალური და უცნობი სამი ლოცია სულ ახლახან, მრავალწლიანი მეცადინეობის შემდეგ ამოიკითხა ნიჭიერმა საბჭოთა მეცნიერმა თეოდორ შუმოვსკიმ. ლოციები დაწერილი იყო ლექსად და მოუთხრობდა, როგორ წაიყვანა ლოცმანმა მაჯიდმა ვასკო დე გამა ინდოეთისაკენ. ოცდაექვსი დღედაღამე მიცურავდნენ ხომალდით და ბოლოს, როცა გამოჩნდა ხმელეთი, მაჯიდმა ხელი გაიშვირა იქით, და თქვა: აგერ, ის არის ინდოეთი.

მაგრამ მალე მაჯიდმა გაიგო, რომ პირველი ევროპელი კოლონიზატორები, უმანკო კრავებად რომ აჩვენებდნენ თავს, თურმე მშიერი მგლები და მძვინვარე მძარცველები, შარაგზის ყაჩაღები არიან, წამოსულნი ზღვებისა და ოკეანეების გადმოლმა, რათა შეესიონ აქაურ მიწებს, გააჩანაგონ, უკანასკნელი პერანგიც კი წაართვან აქაურ მცხოვრებლებს და მონებად აქციონ. მოთქმითა და ტირილით აღსავსეა მაჯიდის პოეტური ლოცვა: „ო, რომ მცოდნოდა, რა ჰქონდათ გულში" — სასოწარკვეთილი წარმოთქვამს იგი.

ლექცია რომ დამთავრდა, გიორგი წერეთელს შემოეხვივნენ მოხუცი პროფესორებიც და ახალგაზრდა სტუდენტებიც, და ყველა ცდილობდა, გამოეთქვა აღტაცება, გაოცება, მადლიერება. სწავლულთაგან მრავალნი ულო-

ცავდნენ ქართველ მეცნიერს და ამბობდნენ, წარმოდგენა არა გვქონდა იმ უზამაზარ მუშაობაზე არაბისტიკის დარგში, საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერებს რომ გაუწევიათო. პოეტები განსაკუთრებით შეძრა თხრობამ შთაგონებულ ლოცმან აჰმედ იბნ მაჯიდზე, ვისაც დღემდე წმინდანად თვლიან სირიელები, მის სახელზე ლოცვას აღავლენენ არაბი მეზღვაურები მეწამულ ზღვაზე ნაოსნობის წინ.

და აი, მოთხრობის მწვავე, უაღრესად დრამატული ფინალი: ღამით, ძილის წინ, ნიკოლოზ ტიხონოვმა და გიორგი წერეთელმა სასტუმრო „ბრისტოლის" წინ რომ გაისეირნეს, შორიახლოს ორ კაცს მოჰკრეს თვალი. ერთი მათგანი, პალმასთან რომ იდგა, ყვიროდა, მეორე კი ამშვიდებდა. ისინი მიუახლოვდნენ უცნობებს და გამოკითხვა დაუწყეს:

— რა დაემართა, ცუდად არის? გვეჩვენება თუ მართლა ტირის? არა, ნამდვილად ტირის, რა ატირებს?

არაბმა, მეგობარს რომ პატრონობდა, შეხედა მათ, იცნო და ნაჩქარევად უპასუხა:

— ჯავრი ატირებს.

— ვინ გააჯავრა?

— ამბობს, მაჯიდმა რატომ უჩვენა გზა მტაცებლებსო, რატომ მიაყენა მათი ხომალდები ინდოეთს, ეს ვერ უპატიებია მაჯიდისათვის, თვით მაჯიდმა მოინანიაო, მაგრამ ეს უკვე გვიან იყო. საშინელი რამ ჩაიდინაო, ჰოდა, ვერ უპატიებია. კარგი, აპატიე, გეთაყვა!

— არა, არასოდეს არ ვაპატიებ, — დაიყვირა პალმას მიყუდებულმა.

— ვერ დამშვიდებულა, ტირის, ძალიან მგრძნობიარეა, ვეუბნები, დაივიწყე-მეთქი მაჯიდი. მაინც ტირის და ამბობს, ეს იყო კოლონიალიზმის დასაწყისიო, წყეულიმც იყოს იგიო. უბრალოდ, პოეტია, ძალიან მგრძნობიარე.

და ბოლოს, ნ. ტიხონოვი დასძენს:

„პოეტი ტიროდა ახლა ალალი ცრემლებით იმაზე, რაც მოხდა ოთხას ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ, ინდოეთის ნაპირებზე, როდესაც ჭეშმარიტად უმდიდრეს აკვანში, ნაძარცვ აბრეშუმსა და ალმასებზე, უხვად რომ იყო მორწყული სისხლით, დაიბადა ურჩხული კოლონიალიზმისა და მისი პირველი მაცნე იყო გულცივი, ულმობელი, სიმდიდრესა და პატივს დახარბებული ვასკო დე გამა, რომელმაც მოიხვეჭა უკვდავება და წყევლა-კრულვა დიდი ლოცმანისა, მეოთხე ლომისა, პოეტისა და ბრძენის აჰმედ იბნ მაჯიდისა".

ასე ამთავრებს ნ. ტიხონოვი თავის „ალყადრის ღამეს".

ნიკოლოზ ტიხონოვმა მთელი თავის ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ქმნილებებით ისტორიული საქმე გააკეთა, როცა თავისი შემოქმედება მჭიდროდ და განუყრელად დაუკავშირა ხალხთა მეგობრობის წმინდა საქმეს. ამით, თავის თანამოკალმეებთან ერთად, მან შესანიშნავი მაგალითი მისცა პოეტთა და პროზაიკოსთა ახალ თაობებს და მათაც აიტაცეს ეს საქმე, თამამად ამოუდგნენ მხარში თავიანთ ხალხებს და წარმატებით განაგრძობენ წინამორბედთა და წინაპართა მიერ დანერგილ სახელოვან ტრადიციებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ წერეთელი

# „ოთხი ნადირობა“

## კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი მეთოდის საკითხისათვის რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“

### ნადირობა მესამე

ქვეყნად კვლავ მშვიდობაა. ე. ი. სხვა დროს, ეს რომ არა, გმირები საკუთარ თავს არ ეკუთვნიან. ამიტომ ავტორი სწორედ ისეთ პერიოდს ირჩევს, რომელსაც გმირები მთლიანად ჩვენი გახარჩევი პრობლემით არიან დაკავებული. ამას ხაზს უხვამს ყოველი „ნადირობის“ წინ. აქაც ნაცნობი ფრაზაა: „საერისთავოებში მშვიდობა სუფევდა სხვა მხრივ“ (ეს „სხვა მხრივ“ გვხვდებოდა ადრეც და ვიცით, რაც იგულისხმება), ეს ძირითადია.

შემდეგ კონკრეტული მიზეზებია ჩამოთვლილი, რაც კიდევ უფრო ხელს უხსნის გმირთა საქციელს. დედოფალი აფხაზეთში ყოფილა და კათალიკოსი კლარჯეთს წასულა. ავტორი გულახდილად გვეუბნება, რომ ამ ვითარებამ „ერიად საამური გახადა სახახლეში ცხოვრება“ (შემაკავებელი ფაქტორები მოიხსნა). კათალიკოსის ჯაშუში, ეზოსმოძღვარი, ავად გახდა. მაშასადამე, მელქისედეკი და მარიამი ჩამოსვლის შემდეგაც ვერ გაიგებენ მომხდარ ამბებს, და ეს ხელს უხსნის არა მარტო მეფეს. ირკვევა, რომ სახახლე, მთელი მცხეთა და უფლისციხე „ნატრობენ, ნეტავ კეთრი აღმოჩნდეს და მოჰკლასო ეს გულბოროტი ხუცესი“, როგორც ჩანს, ეკლესიის მორალური სადავე მთელ საზოგადოებას უმწარებს სიცოცხლეს.

[illegible] ცნობიერება თანდათან შლის [illegible] სამეფო კარს, „გიორგი [illegible] ხან... ნადირობენ, ხანაც მცხეთაში ქეიფობენ იდუმალ“. ეს იდუმალი ქეიფები ჩვენთვის ნაცნობია. ისინი მოახწავებენ ყოველგვარი პირობითობის უკუგდებას და ამავე დროს პასუხისმგებლობისაგან გაქცევას. გმირები შედიან თავისუფალი, უდარდელი ცხოვრების ეშხში. „ნადიმებს ნადირობა მოჰყვებოდა ხოლმე, ნადირობას ისევ ნადიმი, ჯირითი, ჰოროლის ტყორცნა და ცხენბურთი“. ასეთი მასშტაბი ჩვენ მთელი ნაწარმოების მანძილზე ჯერ არსად შეგვხვედრია. მცხეთა სტუმრებით აივსო. „გვიან ღამემდის არ სცხრებოდა ციხეების ჩარდახებზე სტუმრების, სეფექალების, რაინდების ხარხარი და კისკისი, უთმრად მოწყენილი აზნაურები მოგროვდნენ მცხეთაში, უამრავი სიძვის დიაცები თან ჩამოჰყვა საერისთავოებიდან მათ, მოხუცებული ერისთავების ახალგაზრდა ცოლები და აზნაურების ქვრივები“.

შემდეგ ავტორი მიგვანიშნებს ირონიული ფრაზით მათი უშინაარსო ცხოვრების ამაოებას: „კათალიკოსისაგან კურთხევის მისაღებად ჩამოსულიყვნენ ისინი მცხეთაში, რაკი მელქისედეკი მანდ არ დაუხვდათ, ბახუსისა და აფროდიტეს წყალობასაც დასჯერდნენ ბოლოს“. ე. ი. ერთის მაგივრად მეორე გახართობი გამოხძებნეს და მათთვის ამაში არავითარი განსხვავება არ არის (აქვე ჩანს რელიგიისადმი დამოკიდებულება აზნაურობისა).

ასეთი ატმოსფერო ხელს უწყობს გმირების გალაღებას, ყოველგვარი პირობითობისაგან განთავისუფლებას, მათ უნდა იწამონ, რომ ეს ცხოვრება სიხარულისა და ბედნიერებისათვის არის გაჩენილი. განკითხვის საათის შორეული მანიშნებელიც კი არა ჩანს.

მხოლოდ ასეთ დამათრობელ, გამაბრუებელ სიტუაციაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ გიორგიმ, არსაკიძემ და შორენამ იწყეს, სი-

[illegible], „მნათობი“, № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს მათთვის ადამიანური ბედნიერების ძიება შესაძლებელია და თავდავიწყებას მი-ეცნენ.

ასეთი შემზადების შემდეგ ავტორს ერთი ფრაზით გადავყავართ კონკრეტულ სიტუა-ციაში, რომელიც მესამე ნადირობის უვერ-ტიურას წარმოადგენს. ამ სცენის დანიშნუ-ლებაა მთელი ძალით გაუსვას ხაზი შორენას სახის მშვენიერებას, რათა შემდეგ, ნადირო-ბაში მოცემული ტრაგიკული კულმინაცია სამ-კუთხედისა განსაკუთრებული სიმძაფრით აჟ-ღერდეს.

„ერთმა ინგლოშ ორი ავაზა მოჰგვარა ჰე-რეთიდან მეფეს". ეს ავაზები უნდა გახდნენ მესამე ნადირობის გამომწვევი მიზეზი, ეს ფრაზა მესამე ნადირობის ეპიგრაფად შეიძ-ლება გამოდგეს.

ავტორი სასწრაფოდ თავს უყრის მთავარ გმირებს „სწორედ იმ დღეს... სასახლის ბაღ-ში". აქ ელოდება გირშელსა და გიორგის სა-განგებოდ მოწვეული კონსტანტინე არსაკიძე მიმინოებიანად. მწერალი ორი ფრაზით წარ-მოგვიდგენს არსაკიძის შინაგან მდგომარეობას. ოსტატი „გულამრეზილია", სვეტიცხოველი მო-სათავებელია, რამდენიმე კვირაში კათალიკოსს საპატიო სტუმრები ჩამოჰყავს ტაძრის კურთ-ხევაზე. ბუნებრივია, არსაკიძეს ახლა მიმი-ნოებისათვის არა სცალია. და მეორეც: ახ-ლოვდება ნადირობის სცენა, სადაც მკითხ-ველს მთელი მხატვრული დამაჯერებლობით უნდა უჩვენონ მეფისა და დიდოსტატის ბედი, სიყვარულის სასწორზე შეგდებული, ამიტო-მაც საჭიროა ამ ორ პიროვნებას შორის სრუ-ლი ტოლობის ნიშანი დაისვას. მწერალი ამას შეუდარებელი ხელოვნებით ახერხებს ერთი წინადადებით: „ესეც არ იყოს, აღარ მოსწო-ნდა ხუროთმოძღვარს ბაზიერობა მეფისა, რადგან ეს ასეა, დიდი ქმნი-ლების შემოქმედს თავმოყვა-რეობაც შეუდგება ხოლმე მე-ფისაზე აღმატებული ხანდა-ხან".

ასეთი განწყობით ელის არსაკიძე მეფეს. ამ შინაგან მდგომარეობაზე შეაჩერა ავტორმა ჩვენი ყურადღება და დარწმუნდა რა, რომ გმირების პოზიციები გაწონასწორებულია და და მკითხველს ამაში ეჭვიც არ ეპარება, გაგ-ვიძღვა ნადირობისკენ მიმავალ გზაზე.

„ავაზების ჩამოყვანის ამბავი ელვასებრ მოედო სასახლეს". ეს ამბის გავრცელების სისწრაფე და შინაგანი საყოველთაო ინტერე-სი საჭირო... [illegible] საწეული ბაღში, სადაც მხო-ლოდ მეფე, [illegible] შელი და არსაკიძე უნდა იყვ-ნენ, შეიკრიბოს მთელი საზოგადოება. ავაზე-ბი, ბაღი და საზოგადოება კი სამმაგ ფონად უნდა დაედოს შორენას გადამწყვეტ გამოჩე-ნას, მისი მშვენების სამმაგ ხაზგასმას, ულა-მაზესი ბუნების, ქალებისა და მხეცების დაპი-რისპირებას სიყვარულისა და მშვენიერების სიმბოლოსთან.

უცელა მოგროვდა, გარდა შორენასი. ავტორი გირშელის პირით მოითხოვს მის მოსვლას. ბუნებრივია, ვერც გიორგი, ვერც არსაკიძე ამას ვერ იზამენ. „...წარგზავნეს შორენას მოსაყვანად".

ამ მოლოდინის, პაუზა ეთმობა ყვავილებს და ქალებს. „სამეფო ბაღში ირანული ვარდე-ბი გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელი ზოგნი, ნუშისგულივით თეთრნი, მოყვითალონი სხვა-ნი, ყვითელი კი არა, ძველთუძველესი სპილოს-ძვლის ფერისანი, ჰყვაოდნენ ბაღის ყაყაჩოე-ბიც. სუსამბარები და ნარგიზები ნაირ-ნაირი მიხაკები, რომელთა ფერების ასაწერად წამა-ლი არ ეყოფოდა ადამიანის სიტყვას.

იისფერნი, მზისფერნი, სინგურისფერნი, ერუნნი, მოწითალო, მოლურჯო და სავსებით ლურჯნი, კარაქისფერნი და ხოხბის ყელის-ფერნი, ფარშავანგის ბოლოსებრ მოხატულნი ჰინდური ყვავილები ნაირ-ნაირნი.

ტალავერებზე მიშვებულნი იყვნენ სატაური გლიცინიები და ხვიარები სხვადასხვა ჯიშისა".

„ერთ ტალავერს ქვეშ თავი მოეყარათ სტუმრებს, რაინდებს, სეფექალებს, საერის-თაოებიდან ჩამოსულ ლამაზმანებს".

აქ არიან: „თმოგვისციხის პატრონის... ასუ-ლი დედისიმედი, პირმშვენიერი, მკერდსავსე, ქალწული, რომელსაც მშვილდივით მოდრეკილი წარბები ჰქონდა, ხოლო ხელები რძია-რძიასავით თეთრი და გრძელი თითები, სწო-რედ ისეთი, როგორსაც ანგელო-ზებისას ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები იმჟამინ-დელი".

შარვაშიძის ქალი ხათუნა, ლურჯთვა-ლებიანი, ლელიავით რხეული დიაცი. პირველ ცოდვასავით მდელვარების მომგვრელი თუ-თაი, ეზხიანი... ერისთავის... აბულელის სამი ქალი: ერთი ქერა, ერთი შავგვ-რემანი და ერთიც მზისხახიანი".

...ბრწყინავდა ცხვილოსციხის პატრო-ნის მეუღლე, უზადოდ მშვენიერი, სხეული, ...მკერდგათქვირული, მალალთეძოიანი, ფაშფაშა დი-აცი იყო იგი.

...ნათია, [illegible] ნუკრივით მორცხვი: ახლად შე[illegible]-ლი ქალწული... [illegible] თვალები ჰქონდა, ისე ნაზად აფახულებდა შავსა და გრძელ წამწამებს, ასე იტყოდი, [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის უკიდეზე ფარფლებს... მთვრა-ლი გამოხედვა“.

აი, ქალთა მშვენიერების აღწერა, რომელიც ყვავილთა სიტყვიერებზე ნაკლებად რიგდი ჟღერს. ეს არის „ულამაზეს სეფემთაბლეთა წრე“, „ლამაზმანების კრებული“. ამის საჩვენებლად ავტორი სიტყვებს არ იშურებს. შემდეგ გამო-ჩნდება კოლონკელიძის ასული. პირველი შთა-ბეჭდილება, ავტორისეული: „ერთბაშად დაჩ-რდილა თანდამსწრენი შორენამ“. რეალური დასაბუთება ავტორს არ მოჰყავს. ამ შენიშვ-ნის ობიექტურობას არცა აქვს მნიშვნელობა. მთავარია ის ეთანხმებოდეს გმირის აზრს. ამი-ტომაც სიტყვა იქვე გადადის გიორგისთან. ახ-ლა გიორგის თვალებით ვხედავთ: „ოდნავ ნა-ღვლიანი ეჩვენა კოლონკელიძის ასული მე-ფეს“. იქვე კატეგორიული აზრი, უეჭველია გიორგისი: „ეკბატანას ვარდივით ბრწყინავდა იგი უმშვენიერეს დიაცებსა და ყვავილებს შორის“. აი, გამართლება წინა კადრებისა. მეფეს მიეცა საშუალება შედარების საფუძ-ველზე კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო შო-რენას პირველობასა და ერთადერთობაში.

კადრში შორენაა. საერთო სალამი თანადამ-სწრეთ. არავის არ შეხედა. მხოლოდ არსაკიძეს, იდუმალ, არსაკიძის კადრი, შორენას თვალე-ბით: „...არამიწიერ არსებას მიაგავდა იგი ლოყებლაჟღაჟა, კურატივით ჩასუქებულ მამა-კაცთა შორის“ (სხვათა საპირისპიროდ სუ-ლიერის ხაზგასმა) შემდეგ მეფის კადრი დაინ-ტერესებული ქალის, ცოქალას თვალებით: „მღელვარება შეატყო მეფეს“.

შემდეგ ავაზები. მათთან ჯერ არავინ მისუ-ლა. ხვადი წევს. ძუ დგას. შორენა, რომელიც ასე ულიმღამოდ შეუერთდა საზოგადოებას, პირდაპირ მათკენ მიდის. სახე გაუბრწყინდა, უშიშრად მიეახლა (ალტაცება, სიყვარული).

როგორც ჩანს, ყველას ყურადღება აქეთ-კენაა. მაგრამ ავტორი და მასთან ერთად ჩვენც უკვე საზოგადოებაზე აღარა ვფიქრობთ. ვხედავთ შორენას და ავაზებს, გიორგის და არსაკიძეს.

გიორგი — „თვალი შეავლო დიაცსა და მხეცს. რაღაც საერთო ჰქონდათ ამ ავაზასა და ამ ქალს“.

არსაკიძე — „მეკრთა, არ ავნოხო ნადირმა შორენას“.

ავაზის აღწერა — „მოწითალო და მოყვი-თალო ზოლები გადასდიოდა თხემიდან კუ-დის წვეტამდის, ძოს წითლად და ყვავილად სხურველოული ჰქონდა ტუჩი, ოქრომკედის ლორიით მოხატულს.

ეს იყო ნათლით, ფორჯები ბეწვისა უფრო წერილად დაწინწკლული ჩანდა, ვიდრე ვეფხ-ისანი.

უბედი! მუცელი და ფეხების ქვედა მხარენი ჩალისფერი, კუდიც უფრო კრულზოლა კიდე-რე მიწაზე მწოლიარე ხვადს, ფსოვური შიბე-ბისდარ რკალებს მოთეთრო რგოლები თიშავ-დნენ აგრეთვე ჩალისფერ წვეტამდის“.

ეს ერთ წამში გაირბენს გიორგის, არსაკი-ძისა და მკითხველის თვალში. და აი შორე-ნამ „ზურგზე ხელი გადაუსვა ძუს, თვალები განაბა ავაზამ და ისეთი კრუტუნი ამოუშვა, როგორც კატას სჩვევია ხოლმე პატრონის კალთაში მყუდროდ მონებივრეს“. ამ ფრაზით მოთავდა მკითხველის დარწმუნება შორენას განუმეორებელ აღმატებაში ყოველ მშვენიერ-ზე. ამ ულამაზესმა მხეცმაც სცნო მისი ძალა და მომხიბვლელობა, ალერსისაგან აკრუტუნდა და ამაყი ნადირი მონებივრე კატად წარმო-გვიდგა. მცენარემ, ცხოველმა და ადამიანმა ქედი მოიხარეს.

ასე, უსიტყვოდ დაგვარწმუნა ავტორმა შო-რენას აუწერელ მშვენებასა და მიმზიდველობაში.

ავაზების გამოჩენამ ააფორიაქა სასახლე და ახალი გასართობი გაუჩინა მოლხენის გზაზე შემდგარ სამეფო კარს.

„იმ დღესვე შეუდგნენ მშველზე ნადირობის სამზადისს“.

ასე მივედით „მესამე ნადირობასთან“.

სამეფო კარი ნადირობის თადარიგს იჭერს. ავტორი კი მკითხველს ამზადებს ამ ნადირო-ბისათვის.

საგანგებოდ გვაცნობენ მწვანე ეტლის ის-ტორიას, რომლითაც ავაზები უნდა წაიყვანონ.

„სასახლეში ოდითგანვე ეგდო მწვანე ეტლი, რომელიც ბასილი კეისარმა მიუბოძა ბაგრატ მეხამეს... ეს ეტლი ისევე სძაგდა გიორგის, როგორც ბიზანტიის კეისრის სახსენებელი.

სიჭაბუკეში სანადირო ძაღლებს დაათრევდა ამ ეტლით მეფე, ბოლოს მელქისედეკი აუხი-რდა: „პატივი ეცით ქრისტიან კეისარს, თუ შენ არ ჩაჯდები.... ძაღლებს მაინც ნუ ჩასვა-მთ შიგ“.

ახლა სწორედ ეს ეტლი მოატანინა მეფემ.

მოტანილი ციტატიდან ამოვკრიფოთ ჩვენთ-ვის საყურადღებო ინფორმაცია: 1) რომანის მიხედვით, გიორგი მეფის უარყოფითი ემოციებიდან უძლიერესია ბიზანტიისა და მი-სი კეისრის სიძულვილი. ეს ისტორიულად სა-ვსებით ლოგიკურია და მხატვრული დამაჯე-რებლობისათვის ავტორს კარგ საფუძველს უქმნის. ბიზანტია ხომ, საქართველოს სახელ-მწიფოს მთავარი მტერია, რომელიც ყოველი ღონით ცდილობს შეაფერხოს ჩვენი ქვეყნის წინსვლა და აღმავლობა. ამ ცდას განხილულ პერიოდში წარმატება აქვს და გიორგი ამი-ტომ ფიზიკურად ვერ იტანს „ყოველთვის ზეობ-ნულს“, ენახაც კი, და მითუმეტეს „კეისრის სახსენებელს“. ამ გრძნობას იგი ვერ ფარავს და მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მო-საზრება სხვას მოითხოვს, აშკარად გამოხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტავს. ეს ხდება დღესაც კი, როდესაც შვილი კეისართან მძევლად ჰყავს. სიჭაბუკეში ეს მოსაზრება არ არსებობდა და ამიტომაც „სანადირო ძაღლებს დაათრევდა ამ ეტლით..."

2) შემდეგ კათალიკოსის თხოვნას გაუწიათ ხათრი, გვეუბნება ავტორი. ჩვენ გვახსოვს მეფისა და ეკლესიის რთული ურთიერთობა, და გასაგებია, რომ მეფე იძულებული გახდა ამ საკითხში დაჰყოლოდა კათალიკოსის არგუმენტს — „პატივი ეცით ქრისტიან კეისარს".

ამ ფაქტების ფონზე მწვანე ეტლის მოტანა ავაზებისათვის შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს: ავტორს უნდა თვალნათლივ დაგვანახოს, რომ ის საყოველთაო სილაღისა და თავდავიწყების ატმოსფერო, რომელიც გამეფებულია „მესამე ნადირობაში", გიორგის ყოველგვარ სიფრთხილესა და პასუხისმგებლობას ავიწყებს: იგი არ ერიდება კეისრის საჯაროდ გაპამპულებას (გაიხსენეთ ბასილის სიმხეცე და ბაგრატის მასთან მძევლობა), და არც მელქისედეკის განაწყენებას, მიუხედავად ეკლესიასთან არსებული რთული დამოკიდებულებისა.

ფაქტია, რომ ასეთი ძლიერი ბარიერების გადალახვის ფასად ასრულებული სიოცნებო სურვილი და მოპოვებული თავისუფლება ადამიანს დიდ შინაგან კმაყოფილებას უნდა ჰგვრიდეს.

ასეთი მსჯელობის შედეგად მკითხველი მიდის ბუნებრივ დასკვნამდე: გიორგი დღეს არაჩვეულებრივ კარგ გუნებაზეა. ე. ი. ავტორის ლოგიკურმა დასაბუთებამ ნაყოფი გამოიღო.

მკითხველის დასკვნას მწერალი აქვე ადასტურებს. და თანაც ამ მოვლენას — გმირის კარგ გუნებას — განავრცობს მთელ მონადირე საზოგადოებაზე. აი, ფრაზა: „ერთადერთი უსიამო ამბავი ჩრდილავდა მონადირეთა სიხარულს..." მაშასადამე, ჩვენ სწორად ამოვიკითხეთ მწვანე ეტლის ისტორიაში გიორგის განწყობა, რომელიც ამავე დროს საყოველთაო აღმოჩნდა.

გიორგის განწყობა ავტორმა შენიღბულად, ირიბად გაგვაცნო, პრობლემათა რთული კომპლექსის პრიზმაში. შორენაზე კი პირდაპირ გვეუბნება, და თანაც ისე კატეგორიულად, როგორც ჯერ არსად ჰქონია მის სურვილებზე ლაპარაკი: „ძლიერ ეწადა ამჯერად სანადიროდ წასვლა, არსაკიძეს სთხოვა, უთუოდ უნდა წამოხვიდეთ ჩემთან სანადიროდ". ფაქტია, რომ შორენას რაღაც გაურკვეველი შინაგანი ხშირადაც აქვს, ჯერ გაუცნობიერებელი როგორც მისთვის, ისე ჩვენთვის. ამავე ფრაზის მეორე ნაწყვეტი („უთუოდ"...) არსაკიძის თემაში გვათრევს. და აქვე, შორენასავე შემდეგ სიტყვებში, ხანამ არსაკიძის (შეპარებული) თემა გაიხსნებოდეს, და შორენასი დაიხურებოდეს, გამოკრთება გიორგის [illegible] ნაც დასძინა (შორენამ): მეფე გიორგიმ გთხოვა, მიმინოებიც თან წამოიყვანოო, ლაზურად გაწრთვნილნი". ეს საგულისხმოა. არსაკიძეშ ორმაგი მიპატიჟება მიიღო: შორენასი და მეფისა. არსაკიძე უარზეა. ეს უცნაური ფაქტია. „თავდაპირველად უარზე იდგა ხუროთმოძღვარი მეფისა". ფრაზა მრავლისმეტყველია. განვიხილოთ ეს — ფაქტის უცნაურობა და ფრაზის მრავლისმეტყველება. როგორ შეიძლება, რომ არსაკიძემ უარი უთხრას საპატიო მიწვევაზე (სამეფო ნადირობაზე) მეფეს, რომელსაც ემსახურება და პატივს სცემს, და შორენას, რომელსაც ეთაყვანება და უყვარს და მასთან ყოფნა ცხოვრებად უღირს. ავტორის ფრაზა შემდეგ ფაქტებს გვაძლევს: 1) სანამდე სიტყვა უარს მივადგებოდეთ, ავტორმა უკვე გვამცნო, რომ ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის: „თავდაპირველად" ე. ი. არსაკიძე მიიღებს მონაწილეობას ნადირობაში. 2) მართალია, „თავდაპირველად", მაგრამ მეფეს და შორენას მაინც უარი უთხრეს მიპატიჟებაზე. 3) უარი არსაკიძეს არ უთქვამს, იუარა „ხუროთმოძღვამა მეფისამ".

სიტყვა „თავდაპირველად" გვიჩვენებს, რომ ეს პირველი მოძრაობაა, რომელსაც არსაკიძე, შეგნებული მოქალაქე და ადამიანი, ვერ აჰყვება (თვითონვე მშვენივრად იცის, რომ წავა).

„უარი" მოწმობს, რომ არსაკიძე შინაგანად შეურაცხყოფილია. მეფე მასში მსახურს ხედავს, რომელსაც მიმინო შეიძლება დააჭერინო ხელში.

იგი კი „ხუროთმოძღვარია", რომელსაც კარგად ესმის დაკისრებული მისიის დიდმნიშვნელოვანება და საკუთარი როლის მნიშვნელობაც ამ საქმეში. მას ესმის, თუ რას ნიშნავს სვეტიცხოვლის ავტორობა. ამიტომაც ეს მიპატიჟება, გამოწვეული კეთილი, მაგრამ აღნიშნული ხასიათის დამოკიდებულებით, მისთვის შეურაცხმყოფელია. სწორედ „ხუროთმოძღვრის" პოზიციიდან ცდილობს აუხსნას შორენას თავისი უარის მიზეზები: 1) ხუროთმოძღვარს საქვეყნო საქმე ავალია — „დღეს თუ ხვალ ტაძარი უნდა მოვათავო, სანადიროდ სად მცალიაო?" 2) „გარდა ამისა, მე არ შემიძლია მლიქვნელისა და კარისკაცის მოვალეობა ოსტატის საქმესთან შევათავსო, თუ ხუროთმოძღვრის ხარისხი ბაზიერთუხუცესობასაც მოასწავებს, მაშინ იმ ტაძარს დავამთავრებ და ისევ კირითხუროდ გავხდები უბრალო". ე. ი. საქვეყნო საქმის მტვირთველის ღირსება სიწმინდეს ხაჭიროებს და კარისკაცის როლთან შეუთავსებელია.

ორივე მიზეზი დამაჯერებელია არსაკიძის სახისათვის. ავტორმა შეგვამზადა ოსტატის პიროვნების ახალი კუთხით შესახედად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირის ეს სიტყვები ადასტურებს ავტორის მიერ გამოთქმულ აზრს ამ ნადირობის შესავალში: „ესეც არ იყოს, აღარ მოსწონდა ხუროთმოძღვარს ბაზიერობა მეფისა, რადგან ეს ახეა, დიდი ქმნილების შემოქმედს თავმოყვარეობაც შეუდგება ხოლმე მეფისაზე აღმატებული ხანდახან“ (გავიხსენოთ ბალის სცენა და „გულამრეზილი“ ოსტატი მიმინოებით ხელში, და მოსაზრება გმირთა პოზიციების გაწონასწორების თაობაზე).

მაგრამ არსაკიძემ იცის, რომ პირველ მოძრაობას არ უნდა აჰყვეს:

„...მხედავდა ცუდ საქმეს რომ გადაჰკიდა იგი მიმინოების ლაზურად გაწვრთნამ, მეტი გზა არ იყო, ბოლოს დაუთმო შორენას“ (ე. ი. სიყვარულს).

ეს სიტყვა „ბოლოს“, ამთავრებს იმ რთულ და მრავალმხრივ მოსაზრებათა ხაზს, რომელსაც დასაწყისი მისცა სიტყვამ „თავდაპირველად“. შინაგანი ბრძოლა დამთავრდა. ოსტატმა დასთმო თავისი პოზიცია, მაგრამ არა პრინციპულად, არამედ სიყვარულის ხათრითა და შეგნების წყალობით. ეს ბრძოლა ავტორს სჭირდება ერთი დიდი მნიშვნელობის მომენტის გამოსაყოფად, რაც არსაკიძის სახის სწორი გააზრებისათვის აუცილებელია: იგი ერთადერთია „მეხამე ნადირობაში“, ვისაც ეს ნადირობა სინამდვილისაგან გაქცეულის თავშესაფარად არ მიაჩნია. მას ახსოვს თავისი საქმე და მოვალეობა, საკუთარი ღირსება, მიუხედავად იმისა, რომ ნადირობა მას ნაკლებ პირად სიამოვნებას როდი ჰპირდება. სიყვარულს უარს ვერ ეუბნება და მიდის დასატკბობად, მაგრამ სიფხიზლე თან მიჰყვება და ერთადერთი მონადირეა, ვისთვისაც ეს სცენა თავდავიწყება არ არის (ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ იოკებს იგი გულში აღძრულ სურვილებს ცივი გონებით). სიტყვა „ბოლოს“ გვაბრუნებს რეალობასთან და ავტორმა თავიდანვე გვაგრძნობინა, რომ ასე მოხდებოდა. ჩვენს წინაშე ისევ არსაკიძეა, რომელსაც უყვარს შორენა და მეფეს დიდ პატივს სცემს. ეს ორმაგი მოპატიჟება არსაკიძეშეყვარებულისათვის ბევრ სიამოვნებას შეიცავს. და როგორც შემდეგ ვნახავთ, ისიც სიამოვნებით გაეშურება სანადიროდ. ბუნებრივია, ეს ხომ სიყვარულის ნადირობაა.

ესე იგი ძირითადი განწყობაა საყოველთაო ხალისი. ყველას მიუხარია.

ასეთი მომზადების შემდეგ ვხედავთ სანადიროდ მიმავალ სამეფო კარს. სურათი: „უთენია გავიდნენ მცხეთიდან მეფე და მისი ამალა“... აქვე ჩამოთვლილია თუ რას წარმოადგენს ეს ამალა: „...რაინდები, ხეფექალები და სტუმრები“. ეს გახლავთ ზემოთაღწერილი, აცუნდრუკებული და გართობას დახარბებული საზოგადოება. ვხედავთ მწვანე ეტლს და ავაზებს (ისტორია უკვე ვიცით). აქვე, ეტლთან დაკავშირებული ირონიის გამძაფრება — ეტლი ყვავილებითა და მანეულის შტოებით მოურთავთ (წინასწარ არ გვითხრეს და ახლა პირდაპირ ვხედავთ).

შემდეგ მოდის მონადირეთა დაწვრილებითი ჩამოთვლა. ეს ის ხაზია, ვისზედაც უშუალოდ გაგრძელდება თხრობა, როგორც ნადირობის მონაწილეებზე.

შემდეგ ავტორი ამათგან გამოჰყოფს ფარსმან სპარსს და მკითხველის ყურადღებას მასზე აჩერებს. ფარსმანი გამოცოცხლებულია, ენას არ აჩერებს: „...მეფეს ლიქნიდა გზადაგზა,... ავაზებს აქებდა...“ თანაც ღელავს და უტაქტოდ იქცევა: „...წარამარა დეზს უშენდა... ცხენს, რადგან მუდამ მეფის გვერდით ეწადა სვლა...“ ავტორი გვამცნობს, რომ ფარსმანის ასეთ საქციელს ფარული სარჩული უდევს: „...რათა ავაზების გამო საუბრით ახალი თანამდებობა ხელში ჩაეგდო როგორმე“. ფარსმანის ამ საქციელმა და მისმა მოტივებმა უნდა დაგვარწმუნოს არსაკიძის მიერ ზემოთ გამოთქმულ შეხედულების სისწორეში, რომ „ოსტატის“ მოვალეობის კარისკაცის როლთან შეთავსება ულირს შედეგს იძლევა.

ამათ მოსდევს უსახო და უსახელო ამალა: „სამი ერისთავი, შვიდი თოროხანი... შორიახლო მოაჯირითებდნენ არაბულ იაბოებს“. ეს ფრაზა სტატისტიკის გარდა მხოლოდ ერთ ინფორმაციას გვაძლევს. ეს უსახელო თანმხლებნიც მხიარულ გუნებაზე არიან. ამ ნიუანსს შეიცავს სიტყვა „მოაჯირითებდნენ“.

მათ უკან, „მთლად ბოლოს“, როგორც ფიზიკურად, ისე იერარქიულად, ასევე უსახოდ და უსახელოდ სხვანი მოჰყვებიან ღვინითა და სანოვაგით დატვირთულ ურმებს და ვიცით მხოლოდ მათი პროფესიული ვინაობა — მენადირეთუხუცესი, მეჯრემეთუხუცესი, მონადირენი და ბაზიერნი, რომელთაგანაც ერთი დასახელებულია. ეს ესტატეა, გლახუნას მეგობარი, ჩვენი ძველი ნაცნობი (ეს გამსახურდიას თვისებაა, ერთხელ შემოყვანილ გმირს, გინდაც მეორეხარისხოვანს, აღარ ჰკარგავს).

სწორედ ამ ბაზიერებს მოჰყავდათ ლაზურად გაწვრთნილი მიმინოები, გვეუბნება ავტორი და ამ ფრაზით გვაბრუნებს მთავარ გმირებთან. სიტყვაც მათზე გადადის. ისევ გიორგის განწყობას ვუბრუნდებით. ახლა უკვე პირდაპირ გვაქვს ამ საგანზე ლაპარაკი. გიორგის განწყობას ავტორი ასე გადმოგვცემს: „მეფე ჩინებულ გუნებაზე იყო“, ამის გასამტკიცებლად გვაჩვენებს ქმედებას: „დაუცხრომლად მიაჯირითებდა... ცხენს (ცხენთან მოპყრობა კი ჯერ კიდევ „პირველი ნადირობიდან“ მოყოლებული ნიშანდობლივია გიორგის შინაგანი მდგომარეობისათვის), ფრიად კმაყოფილი იმითაც (ე. ი. სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფრით) კიდევ ერთხელ რომ ჩოუხერხა საქვეყნოდ გაპამპულება კეისრის მიერ ნაბოძებ მწვანე ეტლს... შორენას ესაუბრებოდა გზადაგზა".

ეს ბოლო ფრაზა ეჭვს აღარ გვიტოვებს, რომ მეფე ნეტარების მწვერვალზეა.

მეფე გირშელსა და შორენას ესაუბრება. საუბრის თემად მწვანე ეტლია. ეს მშვენიერი თემაა საერთო განწყობილების გამოსახატავად და შინაგანი ჭეშმარიტი გულისთქმის შესანიღბავად. ამიტომაც შემოიტანა ავტორმა ეს ეტლი.

გირშელი იღიმება. მის განწყობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მისთვის ეს ჩვეული მდგომარეობაა, იგი ყოველთვის ყველაფერს სიამოვნებით აკეთებს, თუკი მის სიყვარულს, სიცოცხლეს ან მეფეს ხიფათი არ მოელის, შესცქერის თავის საცოლეს. ავტორი მის შთაბეჭდილებას აზოგადოებს, გვამცნობს: „შვენოდა ცხენოსნობა შორენას".

გიორგი ისევ შორენას ესაუბრება და იმდენად გართულია ამ საუბრით, რომ არავის სხვას ყურადღებას აღარ აქცევს, არც მათი საუბარი ესმის. ამიტომაც ქალთა საზოგადოება „შურისაგან ამრეზილი იყოო", გვეუბნება ავტორი და გიორგის ნეტარების ნეგატიურ ანარეკლს გვიხატავს „თევზისფერი ძროხის" თვალით.

გმირების განწყობას მკითხველიც იზიარებს და ამრიგად, მხიარული ბუნებით, სიამოვნებისათვის გამზადებული ხასიათით მივყვებით მეფის კარს ხანადიროდ.

იწყება ახალი, XXXIX თავი.

შემოდის ახალი განწყობა, უკვე კონკრეტული, საკუთრივ ხანადირო. გამოჩნდა გზა: „ლელიანი ჭაობი"; ვხედავთ დაბრკოლებებს: „...ეშველებოდნენ ტლაპოებზე გადასვლისას ცხენებს" ამოძრავდა პეიზაჟი და ფაუნა — „ლაქაშიანი ველებიდან დგებოდნენ ხოხბები, გარეული ტახები ფრთხებოდნენ". გახმოვანდა ტყე — „...ლიწინლიწინი გაჰქონდა ლელს. სანწყალობლად წიოდნენ ხოხბის ლაპები ლიჭიანებში".

ვუახლოვდებით ნადირობის არენას:

„ბოლოს მიადგნენ ლაშქარათი მოფენილ ტაფობს, ზღვის ყურესავით მთების უბეში შეჭრილს" (ჩნდება სილამაზის შეგრძნება, რომელიც თანდათან ძლიერდება).

„ხამივე კიდით მთები გარს ერტყა მას, სამხრეთიდან ზედმომდგარიყო თვალუწვდენელი შიშველი ტრამალი" (აქ ხაზგასმულია მასშტაბის სილაღე).

იწყება მზადება ნადირის წაჰოსაგდებად: „მენადირეთუხუცესი ჭენებით წამოეწია მეფეს": აცნობს გეგმას — მარეკები ავაგზავნოთ, ნადირი გადმოვა, ავაზები დავახვედროთ.

ჩვენს წინაშეა მოლოდინის სურათი „დიდხანს იყვნენ ხმაგაკმენდილი ცხენოსნები ველის მიჯნაზე". შემდეგ, როგორც იქნა, იწყება „ბოლოს... შეესმათ დიდი ბუკის ხმა, მთების კალთებზე [illegible] მარეკებმა ასტეხეს დაფდაფების ცემა" (დიდი ბუკი და ატეხილი დაფდაფების ცემა ერთიანად იჭრება მოლოდინის გარინდებულ პაუზაში). ამ ხმაურის მეშვეობით ავტორი ეპიზოდის სრულ სტერილიზაციას აქვეს. ტაფობზე ნადირობის უშუალოდ მონაწილენი უნდა დარჩნენ. ამიტომაც ამ ხმაურზე გამახვილებული აქცენტის შედეგად, მკითხველი, რომელსაც სხვა დროს აზრადაც არ მოუვიდოდა ამაზე ფიქრი, ახლა ტაფობის ჩვეულ ზინადართა საქციელს აკვირდება და ხედავს, რომ ნადირი აიშალა. „მამალი ხოხბები დგებოდნენ ლაშქარასა და ანწლის ტევრებიდან,... გარბოდნენ გოჯებიანი ტახები ტყისაკენ". ჩვენს ყურადღების გამახვილებას ძალდატანებითი და ხელოვნური სახე რომ არ მიეცეს, ჩვენს ქცევას მონადირენიც იზიარებდნენ და მათი განწყობა სრულიად ბუნებრივად აქცევს ამ ნადირობის წინა უპიზოდს: „სტკბებოდნენ მონადირენი ამ მშვენიერი ფრინველების შორიდან მზერით".

ახლა კი არენა მზად არის. ჩვენსა და ნადირობას შორის ხელისშემშლელი აღარაფერი დარჩა. „სრული მყუდროება დამყარდა ტაფობზე, ნიავიც არ იძვროდა ირგვლივ". ყოველივე ზედმეტი გამოთიშულია. ჯერ მონადირეთა თვალით გვიჩვენებს საძიებლის ბუნებით გაშუალებულ ანარეკლს: „მონადირენი უკვე ამჩნევდნენ შორიდან ლაშქარას წვეროკინების ტოკვას" (ე. ი. ლაშქარაში, როგორც ჩანს, რაღაც მოძრაობს, წვეროკინებს ატოკებს). შემდეგ გიორგისა და გირშელის თვალით წარმოგვიდგება პოეტური სახება: „...დაინახეს, თუ როგორ მოფრთხიალობდა ტაფობზე ორი ფრინველი, ფრინველი კი არა, ოთხი ყური ორი მშველისა" (არაჩვეულებრივად ფაქიზი, ხატოვანი შედარება). ამავე ფრაზის მეორე ნახევარში ავტორი გვიმოწმებს, რომ არ შევმცდარვართ, ეს მართლა მშვლებია. შემდეგ მოლოდინის დრამატიზაცია ხდება გიორგის ფსიქიკაში: „გიორგის შეეშინდა, ვაითუ შეგვნიშნონო, გაიტვრინონო ლაშქარას ჩიოგვებში". (ვაითუ არ გამოვიდნენ!). გირშელი ამშვიდებს მასაც და მკითხველსაც: „...უთუოდ გამოვლენო"... (ავტორი ხელოვნურად გვიმატებს პლელვარებას — გამოვლენ, არ გამოვლენ, ვაითუ...).

და ბოლოს (ისევ ეს შვების მომტანი სიტყვა), „ბოლოს გიორგიმ თვალი ჰკიდა, თუ როგორ იხკუპეს ლაშქარას ზღვიდან მშვლებმა და გაჭენდნენ ტრამალზე". მოლოდინი დამთავრდა, იწყება დევნა.

მშვლები — „იხკუპეს, ...გაჭენდნენ..."

ავაზები — „გასაოცარის სისწრაფით გაეკიდნენ"...

მონადირენი — „... მეფემ, შორენამ, თევზისფერმა ძროხამ, მისმა ახულმა, გირშელმა, არსაკიძემ, დაჩიმ და მისმა მეუღლე, მთელმა ამალამ

მოხწყვიტა ადგილიდან ცხენები“.

ახეთი თანამედროვეობით და ტემპით ჩაგვიქროლა ნადირობამ თვალწინ. ახლა უკანიდან ვხედავთ დევნას მონადირეთა თვალით, სიხწრაფე თანდათან მატულობს:

„მხედრები ძლივს ატანდნენ თვალს... (ავაზებს)“.

ხედვის კუთხე შეიცვალა. მანძილი იზრდება, დადევნებული ავაზები გარკვევით აღარ მოსჩანან, მხედრები ძლივსღა ჰხედავენ უკვე არა თვით მხეცებს, არამედ „თუ როგორ ელავდნენ ცეცხლისფერი ზოლები მშვლისფერ ტრამალზე“.

სისწრაფე:

ავაზები — „ორივენი გამალებული მისდევდნენ“.

მშვლები — „თითქმის ფრენაზე გადასული...“

ავაზები — „ელვასებრ მიჰქროდნენ ტრამალზე...“

ცხენები — „ისეთი სისწრაფით მიჰქროდნენ, მუცლით ზედკვრიანო მიწდორს...“

აქვე შედარება, ავტორის კომენტარი სისწრაფის შეგრძნების გასაძლიერებლად „...მაინც ორიოდე უტევანის მანძილზე უკან რჩებოდნენ ცხენები ავაზებს“.

ავტორი ახერხებს გზადაგზა ხაზი გაუსვას ხცენის სილამაზეს, ნადირობის ესთეტიკას. ბუნების, დევნის, ნადირთა. (მაგ. ავაზებზე — „მათზე უმშვენიერესს არსებას ჯერაც არ გადაელაბა ეს მწვანე ტრამალი“).

ისევ იცვლება ხედვის კუთხე. ვხედავთ მხოლოდ მონადირეებს.

ჯერ გიორგი და გირშელი მოუქლევიან ცხენოსნებს, შემდეგ „მოიღალა გირშელის ცხენი. ახლა შორენას თექური ჰაკი წამოეწია ოქროსფერ ულაყს“, დავაკვირდეთ ამ ფრაზას. გიორგი და შორენა არ მოქმედებენ. მოქმედებენ ცხენები: ჰაკი წამოეწია ულაყს. შორენა და გიორგი მონადირეთა თავში მოექცნენ. ერთმანეთის გვერდით. ეს უაღრესად ბუნებრივად მოხდა, თითქოსდა თავისთავად, ცხენების ნებით. მაგრამ მიზანი მიღწეულია, შეყვარებული გმირები ერთად არიან. ახლა შეგვიძლია „მესამე ნადირობის“ ძირითად პრობლემას მივუბრუნდეთ, სასიყვარულო კონფლიქტს. სურათის სისრულისათვის საჭიროა მესამე გმირის შემოყვანა. ახლა ავტორი სულ სხვა ხერხს იყენებს, როგორც კი „...შორენას.. ჰაკი წამოეწია ოქროსფერ ულაყს“, იმწამსვე მესამე გმირი თვითონ ამოქმედდა აქტიურად: „დეზი ჰკრა არაბულ იაბუს არსაკიძემ, მშვლის ნახტომზე წამოეწია ორივეს“. აქ მხედარი მართავს ცხენის მოძრაობას. საინტერესოა ეს „ორივეს“. არსაკიძეს მიახლოვებით ეს „ორივე“ „სამივედ“ იქცევა, პრობლემა შეიკრა და გამოიკვეთა: ჩვენს წინაშეა სამი შეყვარებული და მათი [illegible] ბედი. სამივეს ერთად ყოფნა [illegible]. ავტორი ამ სამეულიდან მონაცვლეობით აჩვენებს და გვაჩვენებს სხვადასხვა „ორივეს“ და ქალთან დაწყვილებულის გულის მოძრაობას ჩვამცნობს.

მივყვეთ ნადირობის მსვლელობას და მასში წარმოდგენილი პრობლემის განვითარებას. როგორც ვნახეთ, პირველი შეწყვილება უკვე მოხდა, მოხდა თითქოს შეუმჩნევლად, თავისთავად, ცხენებს დაჰბრალდა. ავტორის ხერხი გასაგებია: გიორგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იკისრებდა ახეთ ინიციატივას. ამას გამორიცხავს მისი რთული და ყალბი მდგომარეობა საყვარელი არსების მიმართ: იგი ხომ იძულებული იყო ყველასთვის დაემალა თავისი სიყვარული. ამავე დროს შორენა მეფის მიერ დანჯილი მოღალატე დიდებულის ქალია. გარდა ამისა შორენა გირშელ ერისთავის, მეფის ნათესავისა და სიყრმის მეგობრის საცოლეა. გიორგის კი უყვარს იგი. ეს ფარული და ძლიერი გრძნობა ხაოცარ მორიდებას უჩენს ამ „უშიშო“ ადამიანს.

ახეთი ვითარება საქმისა აიძულებს ავტორს აქტიური ქმედებისაგან თავი შეაკავებინოს გიორგის. შორენას მხრივ სრულიად აუხსნელი იქნებოდა ახეთი ნაბიჯი. ავტორს კი აუცილებლად სჭირდება მათი დაწყვილება, და თანაც ბუნებრივი. მკითხველმა უნდა ნახოს შორენა, როგორც გიორგისთან, ისე არსაკიძესთან, უნდა მოახდინოს შედარება ორი გმირის გრძნობისა, ამ გრძნობათა გადაკვეთისა, დარწმუნდეს კონფლიქტური სიტუაციის რეალობასა და სირთულეში. ამისათვის გამსახურდია იშველიებს ცხენებს და ამ ურთულეს ამოცანას, მხატვრული სიტუაციის შექმნას, მათ აკისრებს. ამოცანა გადაწყვეტილია.

ახლა ავტორი უშუალოდ ჰკიდებს საქმეს ხელს და იწყებს პრობლემაში ჩაღრმავებას. ჩვენს წინაშეა ორი კადრი: გიორგი და შორენა, და არსაკიძე და შორენა. ეს ორი სურათი თითქმის ერთმანეთის უშუალო გაგრძელებაა. მათ შორის მხოლოდ ოთხი წინადადებაა ჩართული. ამ შუალედში ავტორი ნადირობას ორად ჰყოფს და სცვლის მიზანსცენას — ისევ ცხენების მეშვეობით. ავტორისეული მსვლელობა მხატვრულად მთლიანად ნადირობით განისაზღვრება. პირველ პლანზეა მხატვრული სინამდვილის დაცვა.

ორივე სურათში ავტორი ზუსტად ერთნაირ საშუალებებს იყენებს. სიტყვაცა და ხერხიც განსაკუთრებული ეკონომიურობით არის ნახმარი. ორივე ჩანახატი ოთხი წინადადებისაგან შედგება. ორივე შემთხვევაში აზრობრივი ინფორმაცია ემოციური ფილტრის გავლით აღწევს მკითხველს.

მეტი თვალსაჩინოებისათვის პარალელურად განვიხილოთ ეს ორი სურათი.

ეროვნული

ს უ რ ა თ ი  პ ი რ ვ ე ლ ი: — მწკრივად მიგელავდნენ ოქროსფერი ულაყი და შორენას თექური ჭაკი.

(აქ ავტორი გაურბის უშუალოდ გმირებზე ლაპარაკს, მაგრამ ჩვენთვის საყურადღებო ერთია: ცხენები მოქმედებენ, მაგრამ მხედრები, როგორც ჩანს, ერთად ქენება უსიამოვნოდ არ უჩანთ).

ს უ რ ა თ ი  მ ე ო რ ე: — ახლა შორენა და უტა მოპქროდნენ წყვილად, აგონდებოდათ ფბოვში განვლილი სიჭაბუკის ლხენა.

(აქ ცხენები კი არა, მხედრები მოპქრიან წყვილად, რაც სავსებით ბუნებრივია, როგორც ფრაზის მეორე ნახევარი მიგვანიშნებს).

ს უ რ ა თ ი  პ ი რ ვ ე ლ ი: — უხაროდა გიორგის, მის გვერდით რომ მოპქროდა ეკბატანას ვარდი.

(ერთადერთი გრძნობა, რომელსაც ამჟერად გიორგი განიცდის — უსაზღვრო სიხარულია, შორენას სიახლოვით გამოწვეული).

ს უ რ ა თ ი  მ ე ო რ ე: — გულში გაუელვა არსაკიძეს უცნაურად, დაეტუქსა თავისი იაბო, ეჩვენებინა ავზაზთა მეფისათვის, თუ როგორ ემარჯვებათ ცხენის მონუსხვა ლაზებს.

(არსაკიძეს ამბიციები უჩნდება, საკუთარ თავზე ფიქრობს, როგორც ჩანს, შორენას თვალში უნდა ამაღლდეს მეფესთან მეტოქეობით).

ს უ რ ა თ ი  პ ი რ ვ ე ლ ი: — ამ წუთში არც ავაზები ახსოვდა მას და არც გაქცეული მშვლები.

(გიორგი სრულ თავდავიწყებაშია, მხოლოდ შორენას გვერდით ყოფნა ახსოვს).

ს უ რ ა თ ი  მ ე ო რ ე: — ჰაზარტში შესულიც მიხვდა, არ ივარგებდა გადასწრება მეფისა.

(არსაკიძე „ჰაზარტშიც" კი არა ჰკარგავს სიფხიზლეს. ახსოვს თავიც, მეფეც და ვითარებაც).

ს უ რ ა თ ი  პ ი რ ვ ე ლ ი: — ხვადი მიეწია პირველად ხარს, კიდევ ორიოდე ნახტომი და ზურგზე დაახტებოდა მხვერპლს, ხწორედ ამ წუთში მხარმარცხნით შემოიქცა მშველი, ავაზამ თავი ველარ შეიკავა და გაჰქანდა წინ... მანძილი მოიგო მშველმა.

ს უ რ ა თ ი  მ ე ო რ ე: — ისევ წამოეწია ხვადი ავაზა მშველს, ხელახლა უგანა ხარმა, მაგრამ აქ კი ჰკუა იხმარა ავაზამ, საშინელის სისწრაფით დახძლია სავრცე, თვალისმომჭრელი კამარა გააკეთა ჰაერში და ქედზე შეახტა მშველს.

ორივე სურათი ფორმითაც და საშუალებებითაც ერთნაირია. მით უფრო კონკრეტულია მათი შინაარსი, ბოლო წინადადებორივეგან გარკვეული, წინასწარ განმწყობი, სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. პირველი იერიში მარცხიანია, მეორე — შედეგიანი.

აას მოსდევს სცენა ავაზასთან. .....მხედრები დაქვეითდნენ. ავაზა კისერში [illegible] ნადავლს, ხარბად ხვრეპდა... სისხლს, თანაც ღრინავდა გაავებული... მამაკაცებიც კი ვერ მიეკარნენ ახლოს". ე. ი. ვითარება ძალზედ სახიფათოა.

აქ ავტორს შემოაქვს გიორგისა და გირშელის მუდმივი მეტოქეობის თემა: („ჩემთან ჯიბრი გადაგიტანს") „აბა მიდი, გირშელ"...

ეუბნება ღ ი მ ი ლ ი თ ყველის ციხის პატრონს გიორგი. გირშელი შ ე უ ო უ მ ა ნ ე ა და გ ა ფ ი ი თ რ დ ა სავსებით.

გიორგიმ ი ს ე ვ გ ა ი ღ ი მ ა, წ ი ნ გ ა უ ს წ რ ო თავის დედის დისწულს".

ვითარება უკიდურესად იძაბება: „მოროროაჰხხ!", დაიღრიალა მომეტებული სიმძაფრით ავაზამ".

ცუდი მოლოდინი გვაქვს. მაგრამ:.. „მათრახი დ ა ა ტ კ ა ც უ ნ ა გიორგიმ. ს ა შ ი ნ ე ლ ი ს ხ მ ი თ უ ყ ი ვ ლ ა ხვადს" (თავისუფალი, ლაღი, დარწმუნებული მოქმედება). მხეცმა თითქოს იგრძნო გიორგის განწყობა, დაშინდა: „პირი გაუშვა მტაცებელმა მშველს"...

„გიორგი თ ა მ ა მ ა დ მ ი ვ ი დ ა მშველთან, ხანჯლით გამოფატრა იგი. ჯერაც ორთქლიანი ნაწლავები მიუგდო ნადირს".

ძლიერი სცენაა. ამ სცენამ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა გიორგის უდარდელი დალხენილობა და სიკისკასე „მეხამე ნადირობაში". გიორგი იმდენად კარგად არის, ისეთი ბედნიერი და თავისუფალია, რომ არავითარ საფრთხეს ანგარიშს არ უწევს, პირიქით, საფრთხე ახარებს. თორემ ჩვენ კარგად ვიცით, რომ გირშელის ვაჟკაცობაზე ეჭვს ვერ მიიტან. ამიტომაც მისი უ ო უ მ ა ნ ი და გ ა ფ ი ი თ რ ე ბ ა ხაზგასმით გვაჯერებს, რომ ხიფათი დიდია და ჰკუათმყოფელი ავაზას ასე იოლად არ უნდა გაეკარო. ავტორი შეგნებულად აჩალის ამას. მას სჭირდება, რომ გიორგის განწყობა უკიდურესად გამძაფრდეს, რომ იგი თავზეხელაღებულ ქმედებაშიაც გადაიზარდოს, რათა ყოველივე ამან შინაგანი გამბედაობა შემატოს და გადალახოს უდიდესი ბარიერი — სიყვარულით გამოწვეული მორიდება, მან უნდა გაბედოს საკუთარ გრძნობაზე ლაპარაკი შორენასთან, (თუნდაც გადაკრულად, ირიბად). ამიტომაც, ახლა მოქმედება ალმავალი ხაზით ვითარდება. გიორგის მოქმედების განსაკუთრებულობა კიდევ მეტად უნდა გამოიკვეთოს. ამ მოქმედებას უკუფენის ორი ობიექტი აქვს: 1). საზოგადოება, რომლის თვალში ეს უცნაური მამაცობა უსაზღვრო პიეტეტს ბადებს, რამეთუ მათ არ უწყიან მამოძრავებელი მოტივი; 2). თვით გიორგი, რომელიც ამას შეგნებულად სჩადის, წინ მიზანი აქვს, და ამიტომაც ყოველი ნაბიჯი, წარმატებით გადადგმული ამ მიმართულებით, ფრთას ასხამს, არწმუნებს საკუთარ ძალას, თანდათან იჯერებს, რომ მთავარ ნაბიჯსაც გადასდგამს და ვინ იცის... აქედან — სიხარული, ლმობიერად დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნავი დამოკიდებულება ხხვათა „სიმხდალის“ მიმართ. მათ ხომ არ იციან მთავარი! მოქმედება კი, როგორც ითქვა, აღმავალი ხაზით მიდის. აი, ორი ცხენოსანი მოჭრის, ეს მონადირეთა მეორე ჯგუფია. ეტყობა, იქაც რაღაც ამბავია. „ორივენა ფერმკრთალი ეჩვენა გიორგის“. იგი უკვე მზადაა იმ ცნობისათვის, რაც ამ მხედრებს მოაქვთ. „რა მოხდა ვაჟკაცებო!“ კითხულობს იგი. ტონი ამ შეკითხვისა სწორედ ღიმილიერი დაცინვითაა განმსჭვალული, სიტყვას „ვაჟკაცებო“, გამკილავი იერი აქვს. ამბავი მართლაც ხაზარულია. ავაზამ კინაღამ კაცი დაგლიჯა. მაგრამ საკუთარ ხასიათს ალილი გიორგის ეხეც სასაცილოდ მოუჩანს, კომიკურ ასპექტში აღიქვამს ინფორმაციას: „ვერა ყოფილხართ მამაცები თუ ერთმა ძუმ დაგიჯაბნათ ამდენი თორმეტი რაინდი“, გაიხუმრა გიორგიმ“. (რა დროს ხუმრობაა!).

ახლა საჭიროა მოქმედების მეორე ავაზასთან გადატანა, იქ უნდა დამთავრდეს ნადირობა, ბოლო სცენა იქ არის დაგეგმილი.

„კვლავ მოახსდნენ მონადირენი ცხენებს“. მეფე და შორენა წინ მიჭროდნენ, დანარჩენებს თიხაბმით მიჰყავდათ ცხენები ტრამალზე. რადგან არავის ემეტებოდა გაზელებულ ავაზასთვის ბარკალი“.

ეს ფრაზა მრავლისმეტყველია. ჯერ ერთი წინ ისევ გიორგი და შორენა არიან. მაგრამ ამჯერად ცხენებს არ უნდა ვუმადლოდეთ ამას, პირიქით, აქ მათი შემაკავშირებელია საერთო სწრაფვა: ორივე ჩქარობს, ხხვებისაგან განსხვავებით, რომელთაც მხოლოდ გაცოფებული ავაზა ახსოვთ, გიორგისა და შორენასათვის აქ მოვლენათა შინაგანი განვითარებაა მთავარი. ორივე უკმაყოფილოა არსებული ვითარებით. ერთი ცდილობს გზა გაუკაფოს საკუთარ გრძნობებს. მეორემ იგრძნო, რომ ცვლილება გიორგის საქციელში რადაცნაირად შეიძლება მის ბედს დაუკავშირდეს; ამიტომაც ცნობისწადილი გაუჩნდა. „გიორგი გახარებული იყო. მუდამ მოწყენილი შორენა ახე რომ გაერთო ნადირობით“. ე. ი. გიორგიც ხედავს ცვლილებას შორენას ქცევაში, და თავისებურად ხსნის — ნადირობით გაერთო (ე. ი. გამოცოცხლდა, გააქტიურდა). ეს ცვლილება სიხარულით ავსებს გიორგის და თან გამბედაობასაც მატებს. ამიტომაც სწორედ ამ ჭენების, მეორე დაწყვილების სცენას ერგო წილად გიორგის საუბარი შორენასთან. (მოვიყვან მთლიანად) დიალოგს ავტორის კომენტარი თან ახლავს:

„მეფემ იდროვა ამით, უუბნება კოლონკელიძის ქალს: „ერთი რამ მინდა გკითხო, შორენა, [illegible] არ შე[illegible], გევედრები წინასწარ“ (ეს [illegible] არ არის, ეს გიორგის ჭეშმარიტი დამოკიდებულებაა შორენასადმი).

„მიბრძანეთ, რაც გნებავთ, მეფევ ბატონო, [illegible] წყალობას მეფენი ხალხ ერიდებოდნენ?“

(შორენას პასუხი გვიჩვენებს, რომ იგი [illegible] ლო ზრდილობად იღებს მეფის სიტყვებს).

„არავინ იცის, რომელია ჩვენს შორის ყმა“.

(გიორგი სულაც არ ცდილობს დაარწმუნოს შორენა, რომ ის სცდება მეფისა და ყმის ურთიერთობის განსაზღვრაში. მისი პასუხი მათი დამოკიდებულების ფორმას კი არა, არსს ეხება და კორექტივი შეაქვს მასში. ასეთი დამოკიდებულება კი მხოლოდ ერთ შესაძლებელ ახსნას გვიტოვებს: მეფეს უყვარს შორენა. ე. ი. ეს ფრაზა ფაქტიურად აღსარებაა).

საინტერესოა შორენას რეაქცია გიორგის სიტყვებზე: შორენამ „გ ა ი ღ ი მ ა, დ ა ი ნ ტ ე რ ე ს დ ა“.

„გულწრფელად მითხარი,... როგორ მოგწონს შენი საქმრო?..“ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ეს მიუგო ქალმა; (დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ — ე. ი. აზრი კარგახანია აწუხებს, და თანაც ვხედავთ მზადყოფნას გირშელზე ცუდის სათქმელად). „არა უშავს, კარგი ყმაწვილია გირშელ, ლამაყლაპიას რომ არ წააგავდეს ცოტა“. (დაცინვა, რომელიც ამჟღავნებს, რომ შორენას გირშელი ფიზიკურად არ მოსწონს).

მეფეს სახე გ ა უ ბ რ წ ყ ი ნ დ ა, გ ა დ ა ხ ე დ ა გ ვ ე რ დ ი თ მ ო მ ქ რ ო ლ ა ვ ს, კ ვ ლ ა ვ უ ნ დ ო დ ა ე კ ი თ ხ ა რ ა ღ ა ც ა, მაგრამ შორენამ დასძინა ნათქვამს:

„მშიშარაც ყოფილა ყველისციხის პატრონი“.

გიორგის გაეხარდა, არ მოელოდა ასე ადვილად მისგან ასეთ პასუხს, ეს ხომ ნიშნავს, რომ შორენას გირშელი არ მოსწონს. მათ შორის საერთო ძაფი გაება — ამას ადასტურებს შორენას „გვერდით მომქროლავად“ აღქმა გიორგის მიერ, მეფე აპირებს ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას, მაგრამ ესმის შორენას შემდეგი სიტყვები: „მშიშარაც ყოფილა“. ჩვენ ვიცით რაინდული კოდექსი. ვიცით გიორგის დამოკიდებულება ამ საკითხთან. ამიტომაც შორენას მიერ გამოთქმული ასეთი აზრი ერთბაშად სცვლის გიორგის დამოკიდებულებას საკითხისადმი. მეტი ლაპარაკი ამ თემაზე საჭირო აღარ არის. თუ კი გირშელი შორენას თვალში არც ამ მხრივ ფასობს, სალაპარაკო აქ აღარაფერია. შეიძლება მოქმედებს ამიტომაც):

„ცხენი შ ე ა ყ ე ნ ა გიორგიმ ე რ თ ბ ა შ ა დ, უ კ ა ნ მ ო ი ხ ე დ ა, და დარწმუნდა შორს არიანო მხლებლები, ჯ ი ქ უ რ ე უ ბ ნ ე ბ ა კ ო ლ ო ნ კ ე ლ ი ძ ი ს ა ს უ ლ ს:

მოგაცილებ, თუ გნებავს, გირშელს?

შორენა ს დ უ მ დ ა, მ ც ი რ ე ხ ნ ი ს შ ე მ დ ე გ [illegible]

თ ქ ვ ე ნ ი ნ ე ბ ა ა, მეფევ ბატონო, [illegible] მაგრამ მე ვიცი [illegible] ვერ გადუხდი [illegible] ჯუბის ნებას“.

მეფემ დ ე ზ ი ჰ კ რ ა ც ხ ე ნ ს...“

ახლა ვნახოთ სცენა მეორე ავაზასთან.

„ქარაფის კიდეზე მიემწყვდიათ შუბოსნებს ავაზა. გაგლეჯილ მშველის ლეშზე იდგა სისხლში ამოსვრილი მხეცი, გააფთრებული ბრდღვინავდა: „ჰურრამზ, ჰურრამზზ“. უდაბნოს ცეცხლი ელავდა მის თვალებში“.

ბავშვიც კი მიხვდება, რომ ახეთ ავაზას ვერავინ მიეკარება, ეს უაზრობაა.

აი, სწორედ ამ ავაზაზე მიუშვა გიორგიმ გირშელი. (როგორც შემდეგ გაირკვა, მხოლოდ ფოლადის ბეგთარს გადაურჩენია გირშელი).

გირშელი ხედავს რა მოელის, მაგრამ რაინდული ღირსება და გიორგისთან მეტოქეობა აიძულებს. (რას წარმოიდგენს, რომ მისი ბედი ეს-ეს არის გათამაშდა!)

როგორც ყოველი საშინელება, ესეც წამებში ხდება: „...ისკუპა ავაზამ“...

ერთხმად დაიკივლეს მანდილოსნებმა, რაინდებმა იშიშვლეს ხმლები, ავაზა მოეშვა დაჯიბილულს, უცნაური კამარა გააკეთა ჰაერში... და ქარაფიდან გადაიხვეწა...

მწვანე ეტლში ჩააწვინეს დაკოდილი გირშელი“.

ამ ფრაზით მთავრდება ნადირობის ეს ბოლო სცენა — მაგრამ ამავე დროს ეს ფრაზა ხაერთოდ აჯამებს შორენასა და გიორგის საუბარს. გირშელი ისე გახწირეს, რომ მისი ადგილი ახლა მწვანე ეტლია.

ნადირობა დამთავრდა.

თუ სანადიროდ გამგზავრებას სპეციალური თავი დაეთმო, ახლა დაბრუნების აღწერა ხულ ერთ წინადადებაშია ჩატეული. „დაცალებული ავაზა ურემზე შესვეს, დ ა ღ ვ რ ე მ ი ლ ი მანდილოსნები და რაინდები უ ხ მ ო დ დაადგნენ მცხეთისკენ გზას“.

ამის შემდეგ ავტორი მოულოდნელად და მშრალად გვაწვდის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს, ერთობ ძუნწად და ცალმხრივად კომენტირებულს:

„შორენას გუნება გაუფუჭდა, გიორგის ჩამორჩა გ ა ნ ზ რ ა ხ. არსაკიძეს მოჰყვებოდა ცხენდაცხენ მდუმარე, როცა... სახახლეს მიადწიეს ორთა, შორენამ ეს უთხრა ვაჟს: „ხვალ საღამოს შემოგივლი, უტა“.

მესამე ნადირობის სცენაში ავტორმა პირველად შეაპირისპირა სამივე გმირი, ნადირობის მიერ შექმნილ ინტიმურ ატმოსფეროში პირველად გახმიანდა სათქმელი: გიორგის მიერ შეთავაზებული სამსახური — გირშელის ჩამოცილება, მრავლისმთქმელია. სიყვარულში გამოტეხას უდრის. შორენას პასუხი, როგორც ვნახეთ, თანხმობას არ გამორიცხავს.

გიორგი საოცრად კარგია ამ ნადირობისას. ავაზასთან დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. როგორც ჩანს, შორენა თავისდაუნებურად მოხიბლულია. ამავე დროს გირშელმა ვერ ივარგა.

ამ ნიადაგზე ინტიმი შეიქმნა მ[illegible] შორენას შორის. პირველ საკითხში ერთბაშად გაუგეს ერთმანეთს — ერთ წუთში გახწირეს გირშელი. მეორე საკითხი თითქოს ჰაერშია გამოკიდებული, თუმცა უარი აშკარად არ თქმულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირშელი ცდილობს შელახული ღირსების აღდგენას, მაგრამ მარცხიანად.

დაბოლოს, კეისრის მწვანე ეტლით (მეტყველი დეტალი) მიჰყავთ უკან დაკოდილი ერისთავი.

ყველამ მოიწყინა, უხმოდ ბრუნდებიან უკან.

აქამდის ნაწარმოების მხატვრული განვითარება ჩვენთვის სრულიად გასაგებია, ეჭვს არაფერი იწვევს. მაგრამ ბოლო აბზაცში ვითარება იცვლება:

„შორენას გუნება გაუფუჭდა, გიორგის ჩ ა მ ო რ ჩ ა  გ ა ნ ზ რ ა ხ, (ე. ი. აქამდე მასთან თავს კარგად გრძნობდა, ახლა კი იმდენად აღარ უნდა, რომ ავტორს ცხენის მოშველიებაც არ სჭირდება: თვითონ ჩამორჩა და თანაც განზრახ).

და განშორებისას არსაკიძისათვის ნათქვამი ფრაზა აჯამებს მთელ ამ ხანგრძლივ ფიქრებს:

„ხვალ საღამოს შემოგივლი ,უტა“.

„მცოდნე“ მკითხველს ეს ფრაზა საგონებელში აგდებს. მაგრამ გიორგის შორენას ნათქვამი არ გაუგონია, ამიტომაც ავტორისეული ფრაზა: „უგუნებობა არ ეტყობოდა პატრონს“, სავსებით ბუნებრივია.

მესამე ნადირობის ფინალური ფრაზა ყველაზე დიდი მხატვრული სიძნელეა მოცემული ნაწარმოებისა. აქამდე მოვლენათა განვითარება სავსებით ლოგიკურია და კარგად დასაბუთებული. აღნიშნული ფრაზა კი ნაწარმოების მთელ ან შინაგან ლოგიკას საფრთხის წინაშე აყენებს.

ან მომენტამდის ყურადღების ცენტრშია მოქცეული გიორგის გრძნობა შორენასადმი, ამ გრძნობითაა ნაკარნახევი მთელი რიგი ნაბიჯებისა, რომელთა ურთიერთობა სხვა პრობლემებთან ქმნის მეფისა და ადამიანის რთულ, წინააღმდეგობითა და ტრაგიზმით აღვსილ სახეს. სიუჟეტის ხაზისათვის სწორედ ეს გრძნობა და მისი განვითარებაა გადამწყვეტი. და აი, ამ გრძნობის განვითარების უმაღლეს წერტილში — მისი გამხელის, გამჟღავნების მომენტში, სრულიად მოულოდნელად, ავტორი შორენას პირით გვაწვდის ზემოხსენებულ ფრაზას. (ეს ფრაზა სიუჟეტურ კულმინაციას წარმოადგენს).

გავიხსენოთ ეპოქა, ადათ-წესები, წოდებრივი სხვაობანი, გავიხსენოთ ნაწარმოების მხატვრული სინამდვილე, შორენას მდგომარეობა, არსაკიძის ვინაობა და მისი მდგომარეობა, გავიხსენოთ ფრაზა „..საღამოს შემოგივლი“..

ბუნებრივია, იქმნება სრული შთაბეჭდილება, რომ გაჩნდა მეორე ხაზი — შორენასა და არსაკიძის სიყვარულის ხაზი.

და სწორედ ეს ქმნის უდიდეს მხატვრულ სიძნელეს რომანში. შეეფერება თუ არა ეს სინამდვილეს, უყვარს თუ არა შორენას არსაკიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხლა თუ არა რომანის ამ ადგილას მოულოდნელი და უცნაური გარდატეხა — ეს მომენტები ჯერჯერობით არ არის სათანადოდ გაშუქებული.

ერთი შეხედვით თითქოს ავტორი არც ცდილობს მყარი აზრი შეუქმნას მკითხველს ამ საკითხებზე და აქ გასაკვირი არაფერია. ეს მოულოდნელი ხვლა სწორედ ავტორის სურვილითაა დაბადებული. ეს მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. ეს მისი შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებით წარმოქმნილი სიუჟეტური ხიძნელეა. გმირის გაორებული სახის განვითარება, რომელიც ერთიდაიმავე ქალის სიყვარულს ეყრდნობა, ბოლოს ქმნის ფაქტიურად არარსებულ სასიყვარულო სამკუთხედს და ქალს თითქოსდა არჩევანის წინაშე აყენებს. მაგრამ ნაწარმოების მხატვრულ სინამდვილეში გმირის მეორე სახე, არსაკიძის სახე, მაინც პირობითია და მას ფაქტიურად ისევ სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს, როგორც სვეტიცხოვლის ტაძარს. დიდოსტატს, როგორც ხასიათს, თუ გავითვალისწინებთ გახსახილველ ეპოქას, ბევრი რამ აკლია იმისათვის, რომ მეფე გიორგის რეალურ მეტოქედ გამოდგეს ამავე დროს ავტორისათვის იგი საყვარელი გმირია, სულით გაცილებით უფრო ახლობელი, ვიდრე რომელიმე სხვა პერსონაჟი, და ბედი მისი. შთამაგონებელი ამ ნაწარმოებისა, საფუძველს აძლევს გამხახურდიას უფრო რეალურად შეხედოს მას, ვიდრე მკითხველმა. ამავე დროს მწერალი შესანიშნავად ხედავს, რომ მისი დამოკიდებულება გმირისადმი ერთობ სუბიექტურია და ილუზია, რომელიც მას შეექმნა — თითქოს და შორენას შეუძლია იმდენად დაინახოს და შეაფასოს არსაკიძეში ბელოვანი, დიდოსტატი, რომ შემოქმედის შარავანდედმა მეფესა და ერისთავებს გაუტოლოს იგი — მცდარია და არარეალური.

ამიტომაც იგი თითქოს ტოვებს შორენას სიტყვების ამდაგვარ გაგებას, ტოვებს იმდენად, რომ ეს „ხვალ საღამოს..." საფუძვლად ედება შორენასა და არსაკიძის მიმართ წამოყენებულ ბრალდებას და ამით ეს ხაზი მშვენიერ გამართლებას ნახულობს სიუჟეტის ფორმალურ განვითარებაში. მაგრამ ილუზიისა და სინამდვილის ურთიერთგახარჩევად, შორენას სიტყვების ჭეშმარიტი მიზეზის დასადგენად, ავტორს აქვე შემოაქვს თემა, რომელსაც პირობითად „მარტოსულის უბედურებას" ვარქმევთ.

ეს პრობლემა ერთადერთია, რომელიც მთლიანად ავტორისეულია, ნაწარმოებისეულია, მხატვრული, ისტორიულ-სოციალური საფუძველი [illegible] არ [illegible] ამბავს, [illegible] მხატვრული დამაჯერებლობის შექმნისა [illegible] ნაწარმოებია მხატვრული [illegible] [illegible] — [illegible] ბუნება, მათი [illegible], ხასიათები, [illegible], სიტუაცია.

ამიტომაც ამ უცნაური მხატვრული ხვლის. შორენას „არჩევანის" ნათელსაყოფად ავტორი [illegible] მთავარ მოქმედ პირებს. [illegible] [illegible] შინაგანი სამყარო

მათი პრობლემები, ურთიერთკავშირში განვიხილოთ ჩვენი გმირების გასაჭირი, დავრწმუნდეთ მათი ბედის შხგავსების კანონზომიერებაში, შორენას „არჩევანის" ბუნებრივობაში, გარდუვალობაში, და მოვემზადოთ ამ განწირულ ხამეულთან ფინალში შესახვედრად.

„მარტოხულის უბედურებაზე" საუბარს ავტორი ისევ სიმბოლოთი იწყებს. ამ ორპლანიან სიმბოლიკით ნაგებ ნაწარმოებში, შორენას, განწირული სიყვარულისა და ოცნების განხახიერებას, აგრეთვე ჰყავს თავისი პოეტური ორეული — შვლის ნუკრი ნებიერა. მისი ხელით გაზრდილი, მასთან ერთად ტყვექმნილი და მცხეთაში ჩამოყვანილი.

ნებიერას საწყალობელი ბღავილით იწყება თემა. ბღავის ნებიერა საჩიხეში, „ნატრობდა ფხოვის მთებსა და მჟავე წყალს".

აქედან ავტორს გიორგისთან მივყევართ. ეტყობა ეს ბღავილი რაღაცით ისე ეხმაურება მეფის განწყობას, რომ „ადგებოდა ხოლმე, წავიდოდა. თავათ ნახავდა, რომელი ირემი ბღავისო ასე საწყალობლად?" ეს პირადი დაინტერესება, მისვლა, ნახვა, არაერთგზისი („ხოლმე") გასაგები ხდება ბოლო სიტყვის წყალობით — „საწყალობლად". თურმე მეფე გიორგის, რომელსაც ეხეს არას გამოვეთხოვეთ კმაყოფილსა და ბედნიერს მეხამე ნადირობაში, ყველაზე მეტად ენათესავება დამწყვდეული ირმის „საწყალობელი" ბღავილი.

მწერალი აქვე გამოჰკვეთს ფონს, რომელიც ხელს უწყობს ასეთ გუნებაზე მყოფ გიორგის შინაგან მდგომარეობის გამძაფრებას.

მოიწყინა ყველამ და ყველაფერმა. აღარც ნადირობა, აღარც ნადიმები .ხანგრძლივი წვიმები დაიწყო. დედოფალი ბრუნდება აფხაზეთიდან და კათალიკოსსაც მალე მოელიან. სტუმრები წავიდწამოვიდნენ.

ასეთ ვითარებაში ნელ-ნელა ნაცნობი სურათი ჩნდება მეფე ფსალმუნს კითხულობს, თრიაქს ეწევა. უგუნებოდ არის და ისევ: „მელანქოლიამ წამოუარა, ყიალი მოენატრა ისევ ველებზე, ისევ მოუნდა წრის გარშემო ტრიალი, მალემსრბოლი უშიშარაისძე აზმოხინა, პიპა".

გარბის გიორგი, გაურბის საკუთარ თავს და საკუთარ პრობლემებს. განა ეს ჩაკლულებად უცნაურია ზეხამე ნადირობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ვიდრე შორენას „ხვალ საღამოს...?"

ეჭვი რომ არ შევეპაროს გიორგის ასეთ მდგომარეობაში, აქვე გვეძლევა მისი პორტრეტი ფარსმანის თვალით დანახული:

„მეფე თვალდაბუჭული იწვა პირაღმა, ხელისი მკერდზე დაეკრიფა, ნატანჯი სახე ჰქონდა, აღაგაღაგ დაჩაოკებული.

ნაციონალური ბიბლიოთეკა

ჰალარაც მომეტებულად მოუჩანდა გაბურძგვნილ თმიდან.

იგი მძინარეს როდი მიაგავდა, არამედ მიცვალებულს".

და აქვე, ფარხმანის პირით მწერალი გვამცნობს:

...„მეფე ყოველ ქვეყანაში მარტოხელაა და ერთადერთი, იგიც ხომ ცხადია, რომ მარტოხული არასოდეს იქნება მთელი.

მეფეები და ლომები მარტოობაში ხდებიან გულზვიადნი. აზვავდებიან და მოიწყენენ, მარტოხელანი ილუპებიან კიდევაც".

აი, ასეთ გიორგის ვხედავთ მესამე ნადირობის შემდეგ. ილუზია დამთავრდა, ჩვენს წინაშეა სინამდვილე.

ახლა ვნახოთ თუ რა მოხდა „ხვალ საღამოს..."

არსაკიძე ზის რატისეულ სასახლეში და ელის შორენას.

„ბუს მართვე წიოდა ხილნარში. დიდხანს იჯდა არსაკიძე დარბაზში და უსმენდა მარტოხულის ძახილს". (რა საერთო აქვს ბუს მარტოობას არსაკიძის მარტოობასთან, რისთვის გვინდა ეს სიმბოლო?).

იწყება საუბარი არსაკიძის შინაგან მდგომარეობაზე.

„ატყობდა თავათაც ოსტატი:

ბოლო მცირე ხანში ხასიათი გამოეცვალა.

მოუთმენელი, დაუდგრომელი გახდა იგიცა, როგორც ერობა...

დღეს გათენება აგვიანდებოდა, მზეს ბნელში ჩასვლა, ხოლო საღამოს მიმწუხრად ქცევა..."

„უმთავრესი მაინც ის იყო, მარტოობას ველარ უძლებდა მარტოობაში გაზრდილი კაცი.

ბნელში დაბადებული ბუს მართვე ბნელს უჩიოდა ხილნარში".

(აი, თურმე რისთვის დასჭირდა ავტორს ბუს მართვე და მისი მარტოობა. ე. ი. მარტოობა არსაკიძისათვის ჩვეული მდგომარეობაა)

აგერ, შორენაც გამოჩნდა, არსაკიძეს ესმის თავისი ლაზური სახელი „რომელსაც უკვე აღარავინ უძახოდა ამ მარტოობაში".

აქ ავტორი აღწერს არსაკიძის სურვილს ფერხთით დაუვარდეს შორენას და საინტერესოდ შეგრავს, თუ ვინ არის მის შემეცნებაში შორენა და რისთვის მოსულა იგი მასთან.

„..სანატრელი ..არაფერს არ დაერიდა და ეწვია ლარიბ ოსტატს, სიყრმის მეგობრობის გახსენებლად".

(ახეთი კვალიფიკაცია ეძლევა ამ „ხვალ საღამოს..." არსაკიძის პირით ეს გამოთქმა, „სიყრმის მეგობარიო", მრავალგზის იხმარება შორენას მიმართ ურთიერთობის ქახასიათებლად).

მათი საუბრებიდან (ეს „ხვალ საღამოს..." არ გრძელდება), აშკარად ჩანს, რომ შორენა იცოდა არსაკიძესთან, როგორც ერთადერთ ადამიანთან, ვისთანაც საერთოდ შეუძლია მისვლა, ვისაც შეუძლია შეჩივლოს და შესტიროს თავის უბედურება, ვისაც შეუძლია ყველაფერი გაანდოს, როგორც ერთ ბედქვეშ მყოფს.

პირველი ფრაზა, რომელიც გვესმის შორენას პირიდან, შეეხება მის მარტოობას:

„მეც შენსავით მარტო ვარ უტა... როგორც მარტოხე, ქარისაგან დაბრიყვებული".

რაც შეეხება არსაკიძის სიყვარულს და შორენას საპასუხო გრძნობას, პირველ შეხვედრაში ავტორი ასეთ პასუხს გვაძლევს შორენას პირით:

„ახლა ყველაფერი გვიანაა უკვე. გვიჯობს ნუ გავაღვიძებთ სიყრმის სიყვარულს".

მეორე შეხვედრაში უფრო ამომწურავი პასუხი გვეძლევა, თანაც აქ სიტყვას თან ახლავს განსახიერებაც:

„ჩურჩულით ეკითხება:

თუ გიყვარვარო, ჩემო?

კოლონკელიძის ქალმა თავისი ზღვისფერი თვალები შეავლო სიყრმის მეგობარს. ვაჟი შეეცადა ამ კითხვის პასუხი ამოეკითხა მათში, მაგრამ ისე დაბინდული ეჩვენა ეს თვალები, როგორც ნაავდრალი ზღვა.

თავი ჩაჰქინდრა არსაკიძემ. ქალი უსიტყვოდ მიუხვდა მოწყენის შინაარსს, თავზე ხელი გადაუსვა ვაჟს".

აქ აღწერილ სცენას კომენტარი არ სჭირდება, და ამ მეორე საღამოს დასასრულს განსაკუთრებული სიძლიერით ჟღერს შორენას ბოლო სიტყვა, რომელიც ალბათ სამივე გმირის ბედს აჯამებს:

..."მე არ მოვსულვარ შენთან, რათა თანადგომა რაიმე გთხოვო, დიდი ხანია, რაც ჩვენი გზები გაჰყარა ცხოვრებამ. არც მე მაქვს უფლება შენგან მოვითხოვო თავდადება, რადგან არც მე გამიწირავს შენთვის ყველაფერი.

მეც იგივე მომიზლო განგებამ, არც მე შემძლებია ყოველივე გამეწირა სიყვარულისათვის და ამიტომაც მეც შენსავით დავისაჯე.

ეგეც იცოდე, არავინ ისე არ ისჯება ამ ქვეყანაზე, როგორც იგი, რომელიც ყოველივეს არ შესწირავს თავის სიყვარულს.

ასეთნი მუდამ მარტოკანი დარჩებიან ამ ქვეყანაზე და არავინ ისე საცოდავი არაა, როგორც მარტოხული".

აი, ეს გახლავთ ჩვენი გმირების მთავარი გასაჭირი და მთავარი უბედურება. როგორც ვნახეთ, თვით შორენასაც კი ესმის მათი ბედის გარდუვალობა, და მათი ტრაგედიისკანონზომიერება. ეს კი ნიშნავს, რომ მის სიტყვებს ...„ხვალ საღამოს...", მის მოსვლას არსაკიძესთან არ შეიძლება გააჩნდეს არავითარი სხვა მნიშვნელობა, გარდა სიყვარულისა ნიშანისა ... თავისი ... ლისხილვება.

გარდა ამისა, მის „ვიზიტს" არსაკიძესთან კიდევ ერთი მიზეზი აქვს. როგორც ვნახეთ, ჩვენ გმირის ვერც ერთმა ... ვერც ... ვერც არსაკიძემ, თავის სიყვარულზე შორენასაგან ოდნავ დამაკმაყოფილებელი პასუხიც ვერ ნახა. ამავე დროს ვხედავთ, რომ ეს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა, მოვალეობის მტვირთველის მორალური ვაჟკაცობისა, რაც უდავოდ აღიარებასა და დაფასებას იმსახურებს. ამიტომაც შორენას, სიყვარულის სიმბოლოს, უეჭველად უნდა უყვარდეს ჩვენი გმირი. არსაკიძესთან საუბარში ავტორი ამის ჩვენებასაც ახერხებს. იმთავითვე ორი არჩევანი მქონდაო, ამბობს შორენა, მეფე გიორგი ან ჭიაბერი, ე. ი. ახალი საქართველოს პირველი წარმომადგენელი, ან ძველის საუკეთესო გამომხატველი. ავტორისეული კონცეფციის ღერძია, გვიჩვენოს ახალი ფორმაციის გმირის, მამულიშვილის უპირატესობა. სიყვარული მხოლოდ მას შეიძლება ეკუთვნოდეს. შორენას არჩევანიც ასეთი ყოფილა: ...„მებრალებოდა დედოფალი...“ ნაწარმოების რთულმა და ჩახლართულმა სინამდვილემ შესაძლებლობა მოუსპო შორენას გიორგისთან ამ თემაზე საუბრისა, ამ აზრის ბოლომდე და აშკარად გამოხატვისა. მართლაც ეს ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა მამამისის დასჯის შემდეგ. აქედან: „...უმალ სიკვდილის ცოლი გავხდები...“, ამავე დროს ეს ყველაფერი მის გულში ტრიალებს და მესამე ნადირობაში გიორგისა და შორენას საუბარში გამოუთქმელი რჩება. მაგრამ ამის უთქმელობა არ შეიძლება. ჰო და, იძულებულია გიორგის მხატვრულ ორეულს გაუხსნას გული, გმირის იმ სახეს, რომელიც რომანში ხელმისაწვდომია მისთვის. ეს ერთადერთი გზაა, რომ მკითხველმა იცოდეს შორენას პოზიცია გმირის მიმართ. მესამე ნადირობის ილუზიიდან ყველაზე ადრე გამორკვეულმა შორენამ უკვე საბოლოოდ აღიქვა ბედის გარდუვალობა და გიორგიზე კი არ უთქვამს უარი, არამედ ყოველგვარ ოცნებას შეაქცია ზურგი. ჩვენთვის რომ ეს ყოველივე ცნობილი გახდეს, საჭიროა შორენას აღსარება, აღსარება კი მას მხოლოდ ერთ ადამიანთან შეუძლია — არსაკიძესთან. აქედან ჩნდება ეს მოულოდნელი და თავსატეხი ფინალი მესამე ნადირობისა. წავიკითხოთ კიდევ ერთხელ:

„შორენას გუნება გაუფუჭდა, გიორგის ჩამორჩა განზრახ. არსაკიძეს მოჰყვებოდა ცხენდაცხენ მდუმარე, როცა ხურსისეულ სასახლემდე მიაღწიეს ორთა, შორენამ ეს უთხრა ვაჟს.

„ხვალ ხალამოს შემოგივლი, უტა“.

## ნადირობა მეოთხე

მეოთხე ნადირობა რომ სწორად წავიკითხოთ, საჭიროა გავიხსენოთ ერთი ნაწყვეტი ქორსატეველას ციხის აღების სცენისა. ეს არის ციხის აღების წინა ღამე, როდესაც გიორგი უკანდახევის გზას იხსობს და სიყვარულით ამოძრავებული დამღუპველ გადაწყვეტილებას იღებს.

ეს ის ღამეა, როდესაც გირშელი დაიღუპა.

„მთელი ღამე არ სძინებია მეფეს. იგონებდა ყრმობას, გირშელთან გატარებულს — მასთან ალერსსა და მასთან გაჯიბრებას.

ფხოვი მოაგონდა და ძმადნაფიცი ქალუნდაური.

გამოუტყდა თავისთავს: უხაროდა დედის დისწულის სიკვდილი.

„...გიორგი პირქვე იწვა თავის კარავში და ფიქრობდა თვალდახუჭული. როცა მამლებმა იყივლეს ქორსატეველას ციხეში პირველად, მან გადაწყვიტა მტკიცედ: თუ შორენას უვნებლად გამოიყვანდა ციხიდან, ერთ კვირაში ცოლად შეირთო იგი“.

აი, გადაწყვეტილება, რომელსაც აქვე მოსდევს შედეგი — გაბოროტება და მსხვერპლი.

„...საყვირები სცეს სამეფოის სპათა. ციხისთავმა კაცი გამოგზავნა, პატიება ითხოვა მამამზემ. პასუხი არ გასცა მეფემ. ლოდსატყორცნები დაუშინეს ოთხივე გოდოლს“.

„ციხის ზეთავიდან ჩამოიღეს შორენას საწმერთული, (ნამდვილი მიზეზი) მამამზე ერისთავის ქალარა თავი აღმართეს ზედ“. (გასამართლებელი საბუთი). ეს სიმბოლური ფრაზაა. შორენას საწმერთულს, (ე. ი. გიორგის სიყვარულს) შეეწირა მამამზეს თავი, რომელსაც აგრერიგად უფრთხილდებოდა გიორგი. ეს საწმერთული არსაკიძის შემთხვევაშიაც დიდ როლს შეასრულებს.

ამ წინადადებით იწყება ფინალი რომანისა.

იწყება გმირების დაღუპვა და ყოველი მათგანი იღუპება გიორგის შორენასადმი სიყვარულის (უფრო ზუსტად, ამ სიყვარულის შეუძლებლობის) გამო.

გიორგიმ „მესამე ნადირობაში“ შორენასთან საუბრის შემდეგ გარკვეული იმედები დაამყარა თავის სიყვარულზე, მან ერთი წუთით ირწმუნა ბედნიერების შესაძლებლობა. ეს იმედი იმდენად ტკბილი და სასურველი აღმოჩნდა მიუხედავად მისი აშკარა მოჩვენებითობისა, რომ გიორგიმ არასასურველი სინამდვილის ძალით მოსპობა განიზრახა. ძნელია პირველი ნაბიჯი — გირშელი, მაგრამ ეს ნაბიჯი გადაიდგა და მეფემ გარკვეული შვება იგრძნო. ახლა, კმაყოფილი და თან დამძიმებული საკუთარი ვერაგობით, მომეტებული გაბოროტებით უსწორებს ანგარიშს ყველას, ვინც კი გზაზე ელობება. ამიტომაც ასეთი სიმკაცრით ჩაახშო ამბოხი (შეადარა სხვა შემთხვევებს), ამიტომაც გასწირა მამამზე. ამ გაბოროტებით იწყება აქციები, რომლებიც ამართლებენ ადრე გამოთქმულ აზრებს გიორგის გულმხეცობისა და დაუნდობლობის შესახებ. (ტოხაისძე, მამამზე, არსაკიძე), ეს პირველი მაგალითებია ნაწარმოებში გიორგის ბუნების ამ თვისებისა, თუ არ ჩავთვლით, ჭიაბერისა და კოლონკელიძის დასჯას, რომელიც გამოწვეული იყო გარდაუვალი პოლიტიკური აუცილებლობით, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ვერ ვხედავთ, ასეთი ხიმკაცრე უმიზნო სისასტიკეა:

„ტობაისძეს საბელი მარყუჟად მოახვიეს ყელზე, ორ ცხენს მიაბეს საბელის თავები, სცეს ორთავეთა ამიერ და იმიერი, თავი წააწყვიტეს სახლთუხუცესს.

ოთხივე ხევისბერი მოაშთვეს იმ დილით.

ქორსატეველას ციხე ზღუდიანად დაარღვიეს".

ჩვენ საკმაოდ ვიცნობთ გიორგის ბუნებას. ასეთი საქციელი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი მიზეზით: გიორგი წონასწორობას ჰკარგავს და ზომა არ იცის, როდესაც საქმე მის საყვარელ არსებას ეხება, და ავტორს უნდა, რომ მკითხველმა ეს გაიგოს მეოთხე ნადირობამდე", რათა ფინალურ ტრაგედიას ერთგვარად მომზადებული შეხვდეს.

მაშ ასე, „მეოთხე ნადირობა", იწყება ტრადიციულად. ისევ მცხეთა. ქვეყნად კვლავ მშვიდობაა, ისევ დროებითი და რა თქმა უნდა, მოჩვენებითი. ოღონდ ეს მდგომარეობა აღარ გვახარებს. ეს მშვიდობა მძიმე საფასურით არის მოპოვებული; გმირთა შინაგანი სამყარო ყირაზე დგას. ისინი „ბედის საზღვართან არიან მისული". „თანმხლები" გმირების ბედი ამას თვალნათლივ მოწმობს. მეფემ გასწირა პირადულიცა და სახელმწიფოებრივიც სიყვარულისათვის, (მამამზე მოჰკლა, გირშელი დალუპა) ისარგებლა რა მომენტით, როცა ამ მოქმედების სახელმწიფოებრივი საჭიროებით გამართლება შეიძლებოდა. (ეს ყველაფერი ამბოხის ჩახშობის ხაზს ატარებს). გიორგიმ დაჰკარგა ყოველგვარი საზომი და გონიერება! როგორც ვნახეთ, ეს თვით ამბოხის ჩახშობაშიც გამოიხატა.

როგორ მოვიდნენ ჩვენი გმირები ფინალთან?

შორენა ძლივს გადაურჩა დაღუპვას, გაიტანჯა, მთლად გაჭაღარავებულა, წინ გაურკვეველი და ბნელით მოცული პერსპექტივი აქვს.

არსაკიძე სიკვდილის პირზეა, მძიმედ დაჭრილი და მორალურად გათელილი შორენას მოტაცებითა და ტყვეობით.

გიორგის საშინაო პოლიტიკაში დიდი გამარჯვება ვერავითარ სიხარულს ვერ ანიჭებს. არც ის ახარებს, რომ შორენასკენ მიმავალი გზა შემოკლდა და მათ შორის აღარავინ დგას. მისი სულიერი მდგომარეობა მძიმეა. შფოთავს, სინდისი ქენჯნის, დაღლილია, გაურკვეველი უკმაყოფილება დაუფლებია.

ახლოვდება ტრაგედიის ფინალი.

ფინალურ კონფლიქტამდე ხამი თავია. ორი სულ პატარა. პირველი ეთმობა სვეტიცხოველს, მეორე მის ფონზე გვაცნობს გმირეთა მდგომარეობას, მესამე — კონფლიქტის შესამზადებელი ფონია. აქ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს ვხედავთ. დამთავრდა სვეტიცხოვლის ტაძრის შენება. დამთავრდა საქმე, რაც განსახილველი ნაწარმოების მხატვრულ ხინამდვილეში უმთავრეს თემას განასახიერებს. ავტორის საძიებელი პრობლემები სწორედ ამ თემით არის წარმოშობილი და მის განვითარებასთან უწყვეტ კავშირით განიხილებოდა, რათა მართებული შეფასება მისცემოდა. ამრიგად, კვლევის საგანიც ამოწურულია. დროა შეიკრას და შეჯამდეს წაკითხული და გაკეთდეს დასკვნები.

ამრიგად, „მეოთხე ნადირობა" ნაწარმოების სიუჟეტური ფინალია, მაგრამ სვეტიცხოვლის ტაძრის აგება საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში ერის განვითარების ახალ საფეხურს განასახიერებს. ამიტომ „მეოთხე ნადირობა" ამავე დროს მწერლის იდეური ჩანაფიქრის ფინალიც არის. ამიტომაც ავტორს უნდა ხაზგასმით გვაგრძნობინოს მოვლენის მასშტაბი და მნიშვნელობა, და რომ ალკვეთოს მისი სიმბოლიკის არასწორი ამოკითხვის ყოველგვარი შესაძლებლობა, თვითონვე ახდენს მის გაშიფრვას, მხატვრულ ქარგას აუფერულებს და აშიშვლებს რეალურ არსს.

პირველ რიგში ვხედავთ მელქისედეკ კათალიკოსს, სვეტიცხოვლის ოფიციალურ, ისტორიულ კტიტორს.

„მელქისედეკი ცას ეწია სიხარულისაგან"... ნამგზავრი იყო, ნაავადმყოფარი, „ძლივს ჩამოიყვანეს ცხენიდან", მაგრამ „იმ საღამოსვე ტაძრის ეზოში გაჩნდა. ლოცავდა კალატოზებსა და ცირითხუროებს".

დიდძალი შეწირულებანი ჩამოიტანა კლარჯეთის, სამცხის და ჯავახეთის მორწმუნეთა, აზნაურთა და უაზნოთა მიერ მორთმეული". (ე. ი. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები მცხეთის ტაძრისათვის შეწირულებას იღებენ!).

იწყება ტაძრის შემკობა და გამართვა. დიდის ზეიმითა და პომპით, პატივითა და გახმაურებით. ყველაფერი საუკეთესო — სვეტიცხოველს.

„შეამკო და მოკაზმა ტაძარი ოქროთა და ვერცხლითა. შეჭედა თავათ „სვეტიცხოველი", კანკელნი და კარნი საკურთხეველისანი, დაასვენა პატიოსანი თვლებით დამშვენებული ხატი, ბასილი კეისრის მიერ გამოგზავნილი, თავათ გამოიღო ორმოცდახუთი, ოქროითა, ვერცხლითა შემკობილნი, თვალითა და მარგალიტითა მოოჭვილნი, ოქროს ფორტლითა დაწერილნი.

დიდის ამბით ჩამოასვენეს ნიკორწმიდას ჯაჭვით ნაბამი წმ. გიორგის ხატი, ოქროისა, უც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობი ქართველი ოხტატის მიერ შესანიშნავად ნაქანდაკები.

მოატანინა საუდრის საკაზმნი, მრავალგვარნი საკითხავნი, მატიანენი, საკმეველნი, საკელაპტრენი — ოქროითა, ვერცხლითა და პატიოსანი თვლებით დამშვენებულნი სრულად. (ე. ი. დიდი ხანი ემზადება და აგროვებს).

დაჰკიდა ოქსინონი, სკარამანგნი დიდ-დიდნი, კეისრის მიერ ბოძებულნი, სკარამანგნი სხვანი, უფრო მშვენიერნი, გარშემო ოლვილნი, განსვენებულის, ბაგრატ კურაპალატის მიერ ნაბოძებნი.

შესწირა სვეტიცხოველს სოფელნა „ძმათა თვისთა განძითა ნახუიდნი" (ე. ი. საეკლესიო საკუთრება, რომელსაც „შეუვალობის სიმტკიცე" აქვს, რათა მატერიალური ავტონომია შეუქმნას ტაძარს სამარადისოდ).

ბოლოს, თავად დასწერა, სიგელი, ყოველივე საბადებელი ტაძრის ალნუსხა წვრილად და გაუგონარის სიმკაცრით დასწყევლა ყველა, „ვინცა რამამანცა კაცმან რაიცა დააკლოს და შესცვალოს". (ამდენად ფასეულია ქრისტიანული ეკლესიისათვის ეს მონაპოვარი).

ამრიგად, ტაძარი უკვე სრულუფლებიანია და მზად არის ჩადგეს ქართული ეკლესიის საკულტო შენობათა რიგში, იქცეს მათ მშვენებად, იტვირთოს მისია, რომლისთვისაც იგი განკუთვნილია, ამისათვის საჭიროა მისი კურთხევა.

სწორედ აქ, LIII თავში, სვეტიცხოვლის კურთხევის დროს, ახდენს ავტორი ზემოხსენებულ ქმედებას: გაორებული სიმბოლიკის ერთ ნიშნამდე დაყვანას.

„ტაძრის კურთხევის დღეს დაიძრა ხალხი ნიკოფსიასა და დარუბანდს შორის გადაშლილი საერისთავოებიდან. არც ტაძარში, არც მის ეზოში და არც მცხეთაში ეტეოდნენ სტუმრები". ზეიმის აქ წარმოდგენილი მასშტაბი ნამდვილად ზოგადნაციონალურია, სახელმწიფოებრივი. ხდება საქვეყნო, ეროვნული საქმის შეჯამება, ამ საქმეშ გაიმარჯვა. სიმბოლო ტაძარია. სახელმწიფოებრივი საზღვრების „ნიკოფსია დარუბანდის" მითითებას საერთოდ გავყავართ ნაწარმოების ფარგლებს გარეთ. ეს უკვე ოქროს ხანის საქართველოს საზღვარია და ამით ავტორს უნდა განაცხადოს, რომ ეს საზღვრები სწორედ XI ს. დასაწყისში იქმნება, და სვეტიცხოველიც ამ საქართველოს საფუძვლის ჩაყრის სიმბოლოა!

იწყება წირვა, აგრეთვე გრანდიოზული:

„მელქისედეკ კათალიკოსი სწირავდა, თორმეტი თანამწირველი ეპისკოპოსიც ქართულად და ბერძნულად". აქ უეცრად მწერალი კადრში აბჯედრებს გმირს, გიორგის, რომელზედაც მამამზე ერისთავის სიკვდილის შემდეგ სიტყვა აღარ თქმულა. გვახსოვს, რომ იგი სულ სხვა კაცად უნდა დაბრუნებულიყო მცხეთაში. მაგრამ აქ ჯერჯერობით მის ერთ-ერთ ჩვეულ სახეს ვხედავთ — დაღვრემილი უსმენს ბერძენ არქიელებს, რადგან, როგორც ცნობილია, „გიორგის ბერძნული ლაპარაკიც სძაგდა". ავტორს არასდროს გამოუთქვამს გიორგის ამ შეხედულებაზე აზრი, აქ კი გვეუბნება, რომ მეფის აზრი ერთობ სუბიექტურია გასაგები მიზეზის გამო, მაგრამ უმართებულო: „დიდის პათოსით ღაღადებდნენ და ღიღინებდნენ ისინი ამ მშვენიერ ენაზე"-ო, ამბობს ავტორი და ყველაფერი ცხადი ხდება. აქ ხომ შეჯამება დაიწყო. ეს აბზაცი ჯერ მხოლოდ საეკლესიო ნაწილია, ზეიმისა. აქ ჯერ ეროვნულ გამარჯვებაზე არა გვაქვს ლაპარაკი. და ბერძენი სამღვდელოება გულწრფელად ზეიმობს მოვლენას, როგორც ქრისტიანობის ზოგად მიღწევას, მართლმადიდებელი ეკლესიის მორიგ გამარჯვებას. გიორგი დაღვრემილია, რადგან ხედავს მათი სიხარულის ნამდვილ მიზეზს. ბერძნული ენა კი, თუ გიორგის დამოკიდებულებას, არ მივიღებთ მხედველობაში, მშვენიერია, და ქართველი კაცისათვის საძულველი არ შეიძლება იყოს.

წირვა, როგორც ითქვა, ზეიმის ზოგადქრისტიანული ნაწილია. ქადაგება კი, ნაწირვებს, უკვე ქართული, სახელმწიფოებრივი ქრისტიანული იდეოლოგიის გამომსახველია, იდეოლოგიისა, რომელმაც უმთავრესი როლი ითამაშა ქვეყნისა და ერის მიერ განვითარების ამ ახალი საფეხურის მიღწევაში.

ამიტომაც ავტორი დიდ ოსტატობას ხარჯავს მქადაგებელ მელქისედეკის სახის გამოსაძერწად, რათა ამ სურათში მოგვცეს ყველა ნიუანსი ამ რთული და ჩახლართული როლისა, რაც ქართულ ეკლესიას ეკისრა ამ პერიოდში, ამავე დროს იმ შიდა-პოლიტიკური საეკლესიო ხაზისა, რომელსაც იგი ატარებდა ნაციონალური პოლიტიკის მიღმა, ეკლესიის პოზიციის შესუსტება მოცემულ პერიოდში, ამავე დროს ქართული ეკლესიის მესვეურთა პირადი თვისებები, ყოველივე ეს ახალი ქვეყნის შეგნებული მოქალაქის თვალით, და ამავე დროს თვით ეკლესიის წარმომადგენელთა ახალი კურსი, ნაციონალური, როგორც შედეგი მათივე განხორციელებული იდეოლოგიური ძვრებისა.

„ჩია მოხუცი", მაგრამ „მგლისებრ თვალებიანი", იწყებს ქადაგებას. „...ჯერ ოდნავ უხალისოდ ლაპარაკობდა თითქოს თავდაპირველად ყელში გაჩხერული ნაღვერდალივით ღვივოდნენ სიტყვები.

ათასგზის განაგონ ბიბლიურ მითებს უტრიალებდა მელქისედეკი, მაგრამ ისე ამოდუყვებოდა ამას ყოველივეს, გატვრინული უსმენდა დიდი და მცირე.

ყოველი მისი სიტყვა მტკიცე იყო, როგორც ხპილენძი, და სწორედ ისე, როგორც თრიაქი შეუმჩნევლად მოედება ხელმე გულს, ძარღვე-

ბში ხისხლს აჩქროლებს, აზვავდება ოცნება, ქვიშის კიბეს მიადგამს ცას, ახე დაეუფლა იგი ხაილენძივით მტკიცესა და თრიაქივით დამათრობელს, ხალმასურის ჯაჭვივით ელვარე ქართულ სიტყვას და შეატოქა იგი აგრეთვე მშვენიერსა და აგრეთვე ვაჟკაცურ ბერძნულს.

მელქისედეკის აზრები როდი ხიბლავდა გიორგის, არამედ უცნაური რიტორობა მისი, ამიტომაც პირველად თავის სიცოცხლეში, უდიდესი სიყვარულით უსმენდა კათალიკოსს".

აი, რამდენიმე საყურადღებო ფაქტი, რასაც მელქისედეკი ხაზგასმით (საგანგებოდ) აღნიშნავს თავის ქადაგებაში:

„....ყოველი ერი თავის ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ღმერთი".

„დიდის ტაქტით მიუბრუნდა ანტიოქიის პატრიარქთან ურთიერთობას, აქ სარკინოზებს გადასწვდა, გზები მოგვიჭრესო მაგ წყეულებმა. არსებითად უხაროდა კიდევაც გულში, რომ სწორედ ამის გამოც დაჰკარგა ანტიოქიის პატრიარქმა ის ათასი ოქროს დინარი, ხარკად შეწირული ათას ქართულ სოფლისათვის. (ფარისევლური სინანული სიხარულის გამოსახატავად).

არ უხსენებია იგიც, როცა გზა გაიხსნა, გიორგი მეფის ხმალმა რომ გადასჭრა გზა. (მეფე და ეკლესია").

შემდეგ კათალიკოსი 1021 წლის ზავს შეეხო. აქ ავტორი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად გვაწვდის საკუთარ კომენტარს: „ქვეყანამ იცოდა: სწორედ გიორგის ხმალმა გაჰკვეთა ის საბელი, რომლითაც ბიზანტიის ეკლესია ბოჭავდა ქართულს".

შემდგომ ამისა კათალიკოსი ნაწარმოების სინამდვილეში გვაბრუნებს. ხუროთმოძღვრის მოხსენებით მთავრდება ქადაგება და „...საკაცით შემოაყვანინა კონსტანტინე არსაკიძე".

აქ კიდევ ერთი, უაღრესად საინტერესო სცენა.

მელქისედეკი გვერდს ჩაუვლის კეისრის მიერ ნაბოძებ ღვთისმშობელს და სხვა მრავალ წმინდანთა ხატებას, მიდის უცნობი ქართველი ოქრომჭედლის მიერ შესრულებულ წმ. გიორგის ხატთან და მას შესთხოვს, განკურნეო დიდოსტატი. ამ ეფექტური სცენით ავტორი ამთავრებს ტაძრის კურთხევას და უბრუნდება ფაბულას. ტაძარში, მლოცველთა შორის, ვხედავთ შორენას, იგი ლოცულობს არსაკიძის განკურნებისათვის (თანაც საყურადღებოა; რომ არა ხატრფოს, არამედ ხიურმის მეგობრის განკურნებისათვის).

აქვე, გურანდუხტის განცდები გვამცნობენ მეფე გიორგის გადაწყვეტილებას, რომელსაც უკვე ჰქონია ადგილი — როგორც კი იერუსალიმს გაემგზავრება დედოფალი, მეორე დღესვე შევირთავო შორენას!

ახლა ვნახოთ LIV თავი; ეს თავი გვიჩვენებს საზეიმო სადილს საქართველოს მეფის სასახლეში სვეტიცხოვლის ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებულს.

ეს ჩვეულებრივი საზეიმო სადილი როდია; სამეფო კარი ზეიმობს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის მოვლენას — სამეფოს კათედრალური ტაძრის აშენებას, ამიტომაც ამ მოვლენის მიმანიშნებელი სიმბოლოთი იწყება LIV თავი:

„დიდი დროშა კარის ალაგთან იდგა".

თვალში ხაცემია წვეულთა სიმრავლე და ნაირფეროვნება:" .....აწვიეს ... ერისთავები დედაწულიანად, ბიზანტიელნი, პატრიციები, მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები". შემდეგ ხაზგასმითა და დეტალურად გვაცნობენ ეთიკეტსა და სამეფო პურობის ცერემონიალს. მკითხველის ყურადღებას აჩერებენ სუფრის კაზმულობაზე ტაბაკი, ტაბლანი, სამწდეურნი, კოვზი — სუფრის რიტუალის ჩვენების პარალელურად. შემდეგ ბიზანტიელი სტუმრების პოზიციას გვამცნობენ: „კატებანს... მოვლილი ჰქონდა მთელი მსოფლიო, ხატაეთიდან ირლანდიამდის. მაინც გაოცებული შესცქეროდა ოქროისა და ვერცხლის ჭალებს, დიდი დარბაზის კუთხეებში დადგმულს, ბაგრატეულ სამწდეურებს ,ოქროს ლანგარებს, აზარფეშებს და ფიალებს, ხატაურსა და ირანულ ჭურჭელს.

უთვალთვალებდა უცნაურ ცერემონიებს საქართველოს მეფის ბრწყინვალე სასახლის (აქ უკვე შეფასებაა).

კატეპანი გაოცებულია სიმდიდრით, ბრწყინვალებითა და ცერემონიათა უცნაურობით, რადგან „საქართველო მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ნახევრად წარმართული სამეფო".

ყოველივე ზემოხსენებული უფლებას აძლევს ავტორს კატეპანის ბუნების კლასიფიკაცია მოახდინოს — „ცნობისმოყვარე კატეპანმა დაითვალა ასზე მეტი სხვადასხვა შექამადი სუფრაზე მოტანილი". ფრაზის მეორე ნახევარი უკვე სუფრის ზღაპრული სიუხვისა და მრავალფეროვნების, თანაც ყოფითი კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია.

როგორც ვნახეთ, აქცენტი ყველგან მასშტაბსა და სიმდიდრეზე, დახვეწილობასა და მაღალ დონეზე კეთდება. სადილის აღწერამ კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს, რომ ჩვენ მოწმენი ვართ ძლიერ, განათლებულ, მოწინავე და მდიდარ სახელმწიფოში დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელებისა და ამ აქტის საყოველთაო აღქმისა მთელი ქვეყნის მიერ; და დაგვარწმუნოს ამ ეროვნული მოვლენისა და ეროვნული შეგნების მიერ მისი აღქმის მასშტაბის ქეშმარიტებაში, ამავე დროს მათ კანონზომიერებაში, არაშემთხვევითობაში, და შეფასების სისწორეში.

შემდგომ ამისა ავტორი კვლავ უბრუნდება სიუჟეტს. ხატოვანი გროტესკული სცენების ფონზე გაკვრით ებება გმირებს, ორიოდე შტრიხი გიორგის ბუნებისათვის „..არ უყვარდა, როცა ქართველნი ბიზანტიურ საქმეების გამო გამართავდნენ კამათს". „ბერძნულიც იცოდა და არაბულიცა, მაგრამ არასოდეს კრინტი არ დაუძრავს ამ უცხო ენებზე სასახლეში". შემდეგ მისი პორტრეტი:

...„უხალისოდ სჭამდა", აქვე მიზეზიც: „ეს უგუნებობა შორენასაგან გადაედო". აქვე შორენას პორტრეტი: „...სავსებით გაფითრებული და მდუმარე იჯდა.., არამიწიერი სილამაზით გაბრწყინებული". შემდეგ შორენას შინაგანი მდგომარეობა: „...შინ წასვლა უნდოდა წირვის შემდეგ, თავი სტკიოდა, მარტოკა ტირილი ერჩია ჭამას"... შემდეგ ისევ გიორგი, გარეშე გამაღიზიანებელი ფაქტორი: „ბერძენი სტუმრების სიახლოვე და მათი ენაც აბეზრებდა მეფეს. განსაკუთრებით კასავილას წრეგადასული ცნობისწადილი აბრაზებდა მას".

ამას მოსდევს კასავილას ისტორია, ბერძენთა საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფრიად და ამავე დროს გიორგის ინტუიტური ანტიპატიის გამამართლებელი.

ამით მთავრდება სამეფო ნადიმი. სუფრიდან წამომდგარი მეფე სტუმრებიანად გადის ბაღში, სასეირნოდ. კატეპანი კასავილა აქაც არ ასვენებს მეფეს, დაუსრულებელი შეკითხვებით თავს აბეზრებს, ფამილიარობს. ეს საზიზღარი ფონი, კატეპანი კასავილა, რომელიც წინა თავში ავტორმა ბოლომდე გაშიფრა, ახლა სპეციალურად ემსახურება გიორგის შინაგანი მდგომარეობის გამძაფრებას. ამ მხატვრული ხერხის მიზანია უკიდურესად გაალიზიანოს მეფე და წონასწორობა დააკარგვინოს, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ამისათვის გიორგის გარეშე გამაღიზიანებელი არა სჭირდება, მაგრამ ავტორს უნდა, აქვე კონკრეტული მხატვრული განსახიერების მომენტში შეექმნას ფიზიკური დამაჯერებლობა.

„ძლივს იკავებდა ამრეზილი მასპინძელი თავს". სიტყვა „მასპინძელი" მდგომარეობის გამოუვალობას ამძაფრებს (ე. ი. ვალდებულია მოითმინოს).

„ეს ყოველივე მით უფრო სამძიმო იყო გიორგისათვის, რომ მას ორგზის უნდა გაეგონა ნათქვამი იმ დღეს, ბერძნულად და ქართულად".

ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს [illegible] რათს.

კასავილა კი გაუთავებლად ყბედობს და გზადაგზა მტკივნეულ საკითხებსაც ებება უნებლიედ.

ერთ ადგილას იმდენად ახლოა შესაძლებელ სინამდვილესთან, რომ გეგონებათ, გიორგის სულში გამიზნულად აფათურებსო ხელს.

„უცნაურად აიმლვრა მეფე". თავი ველარ შეიკავა და სრულიად მოულოდნელად გამოსთქვა თავისი აზრი როგორც კატეპანზე, ასევე ბიზანტიასა და ბიზანტიელებზე. თარჯიმანმა იხსნა მდგომარეობა (მაგრამ ეს დროებითი ხსნაა და ეს სიტყვები კინაღამ ძვირად დაუჯდა საქართველოს). გიორგი მიხვდა, „მოინდომა საუბრის საგანი შეეცვალა როგორმე". ასეთ საქციელს მეფისაგან ჩვეული არა ვართ, („გულდინჯი, სიტყვაძვირი").

აშკარაა, რომ მეფე სავსებით წონასწორობადაკარგულია.

ავტორი აქვე გადადის ამ მდგომარეობის გამომწვევ ნამდვილ მიზეზზე.

ირმების საჩიხესთან (მეფე სტუმრებიანად ბაღში მისეირნობს) შემოდის შორენას თემა.

გიორგის შინაგან მდგომარეობას უბრუნდება ავტორი. „მეფე ამჩნევდა თავის თავს, რაც უფრო ხანი გადიოდა, მომეტებულის მოკრძალებით ეკიდებოდა შორენას.

დიაცების მიმართ ცინიკურად განწყობილს, უცნაურად ეშინოდა რატომღაც მისი, მასთან საუბრის დროს ღელავდა, ენა ებმებოდა თითქმის".

მაგრამ აქ უნდა შედგეს მათი ბოლო საუბარი. სხვა გზა არ არის. ამიტომაც ნაღვინებმა მეფემ „მხნეობა მოიკრიფა" და ეუბნება: „რათ მოგიწყენია, ეკბატანას ვარდო? (ყალბი ფრაზა, ბუნებრივი ტონი გიორგის არ შეიძლება რომ ჰქონდეს ახლა).

„ქალმა არც კი შეიფერა ხოტბა მეფისა, უსიტყვოდ დახარა თავი" (ე. ი. შორენა მისთვის ჩვეულ ზრდილობასაც კი არ იჩენს, უპასუხოდ ტოვებს მეფის სიტყვებს და საერთოდ გაურბის საუბარს).

„მეფემ მორცხვობას მიაწერა ეს". (გიორგის მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა აქვს შორენას სულიერ მდგომარეობაზე!).

„ახლა ეს უთხრა ქალს:

ეგებ ნებიერას გაქცევამ დაგაღონა, არა?"

შორენას აგრე უნდოდა მიეგო: სხვაც ბევრი მაქვსო დარდი, მაგრამ დუმილი არჩია კვლავ. (მკვახე პასუხის მიცემა დააპირა, და ბოლოს ისიც არ გაიმეტა).

„კვლავ მოიკრიფა გამიჯნურებულმა მხნეობა.

ეუბნება ალერსიანად:

„თუ ერთ საწადელს შემისრულებ, შორენა, დღესვე ვუბრძანებ მენადირეთუხუცესს, შევაპყრობინებ შენს ნებიერას".

ამას ალერსიანად ეუბნება გამიჯნურებული გიორგი, რომელსაც რატომღაც მოკრძალება და შიში გასჩენია შორენას მიმართ, და ახლა, ნაღვინევზე, მხნეობა მოიკრიფა რა, მეორედ ცდილობს საუბარში ჩაითრიოს, რადგან წინა საუბრის შემდეგ ბევრი რამ მოხდა, და გიორგი თვლის, რომ მან შორენასათვის მოიმოქმედა ეს ყოველივე, ახლა კი უფლება აქვს სთხოვოს, რათა მისი სანადელიც შეასრულოს შორენამ.

„კიდევ რა გწადია, მეფევ ბატონო ჩემგან", თითქმის ამრეზილად მიუგო შორენამ და ნაღვლიანად გახედა ირმებს".

თითქმის ამრეზილად უხეშობა და ბოროტება არ არის, ეს არის გამოუვალი შეგრძნება და ირმებისაკენ ნასროლი ნაღვლიანი მზერა ნაღველსაც გამოხატავს, შურსაც, დაღლილობასა და განწირულებასაც.

ცხადია, რომ გიორგიმაც იგრძნო უკვე ეს ყველაფერი, მაგრამ გაჩერება და უკანდახევა მისთვის აღარ არსებობს. ამიტომაც საოცრად უადგილოდ და თან ტრაგიკულად გაისმის მისი სათხოვარი, უკვე საფუძველგამოცლილი და განწირული:

„შენი სიყვარული".

პასუხად — შორენას სიტყვები, რომელიც იმდენად მეფეს არ ეკუთვნის, რამდენადაც საკუთარი არსებობის გამოუვალობის, ტრაგიზმის წინააღმდეგ მიმართული ყვირილია განწირული სულისა:

„მე მგონია, რაც წამართვი, იგიც გეყოფა, მეფევ ბატონო, არა? მამაჩემს თვალის სინათლე წართვაცე, მე — თავისუფლება, — ხოლო ჩემი გული? სხვას ეკუთვნის დიდი ხანია იგი".

გიორგისა და შორენას ეს უკანასკნელი დიალოგი განუზომელი ტრაგიზმით, მე ვიტყოდი გამოუთქმელი ტრაგიზმით არის აღვსილი. ორივე, გიორგიცა და შორენაც, ცდილობს რაღაცა გარეშე ფაქტს ჩაჰკიდოს ხელი თავის გასამართლებლად, შექმნილი მდგომარეობის გასამარტავად, რათა საკუთარი უბედურება შემთხვევით, მაგრამ სიტუაციურად გასაგებ, გამართლებულ მარცხად მონათლოს და სხვას გადააბრალოს. ამიტომაც ორივე გაურბის იმ სიმართლეს, წინასწარ რომ ცნობილია თვითეულისათვის: მათი ბედნიერება შეუძლებელია. ტრაგედიის არსი სწორედ ის არის, რომ შორენას გული „სხვას" არ ეკუთვნის, „სხვა" არ არსებობს. ამიტომაც სწორედ ამ სიტყვას ეპოტინება მეფე: „მეფე აიმღვრა, ბრაზი წაეკიდა, ამ წუთშივე უნდოდა გაეგო, ვინღა დარჩათ სხვა?".

მაგრამ „მღელვარება დაიოკა", გაეცალა შორენას, ბოდიში მოიხადა მანდილოსნებთან.

და სწორედ ახეთ დროს ფარსმანი ჩაერია საქმეში. ოსტატურად გამოიყენა „მოღალატეების" თემა და მეფეს პირში ჩაუგდო „დაიმშავე". გიორგისაც ეს უნდა: არარსებული „სხვა" მოძებნილია უკანასკნელი შეყოყმანება — საჭიროა საბუთი: გიორგის სჭირდება საბუთი, რათა ირწმუნოს ამ „სხვას" რეალური არსებობა. ფარსმანი არც აქ იბნევა, საბუთი მზადა აქვს: — ირმის დევნა საბაბია, ავადმყოფობა — ხრიკია!

„მეფე გახელდა, მიწისფერი დაედო სახეზე" აქვე ეშვი: „არა მგონია, თავი გამიტოლოს აგრერიგად მაგ ლაზმა".

ფარსმანი დიდი სიამოვნებით გესლიანად უხსნის მეფეს, რომ არსაკიძე — მხატვარი, ხელოვანი, „მეფეებს არც უტოლებს თავს", იგი ღმერთებს ერკინება. (იხილე ნახატი).

და რა თქმა უნდა, მხოლოდ ამის იმედზე ფარსმანი ვერ დარჩება, „სხვა საბუთების" უტყუარის, აღმოჩენის შესაძლებლობასაც უკარნახებს მეფეს.

შემდეგ ავტორი წყვეტს სიუჟეტს და მოგვითხრობს ბიზანტიაში მძევლად მყოფ ბაგრატ უფლისწულის დაბრუნებას, მის ბეწვზე გადარჩენას და შინ მოსვლას. საგანგებოდ ხაზგასმულია ამ მოვლენასთან დაკავშირებული საყოველთაო სიხარული, ზეიმი, პარაკლისი სვეტიცხოვლის ტაძარში, ქვეყნის რეაქცია და მასშტაბი — „გახარებული იყო მთელი საქართველო, კავკასიონიდან ბასიანამდე".

და იქვე, — უცბად — მთავარი, ჩვენს საყურადღებოდ: „გიორგი მეფეს ამ ამბავმაც ვერ გადაჰყარა უგუნებობა.

თრიაქის წევას უმატა, ნადირობდა გამუდმებულად." (ჩვენ კარგად ვიცით, გმირის რა სულიერ მდგომარეობას გულისხმობს ეს სურათი).

მთელი ეს პატარა, ერთგვერდიანი თავი დაწერილია ამ ორი წინადადების მაქსიმალური დატვირთვისათვის.

„შემდგომ ამისა, უცნაურად წაეწყვნენ უბედური ამბები ზედიზედ ურთიერთს, როგორც ეს ხდება ხოლმე ხანდახან."

ე. ი. ნაწარმოების მხატვრულ სინამდვილეში შექმნილ ჩვენთვის ცნობილ ვითარებას, ეს ყველაფერი (ფინალი, რომელთანაც მივდივართ), შეიძლება არც მოჰყოლოდა, თუ არ უბედური ამბების უცნაურად და ზედიზედ წაწყობა, რაც ხდება ხოლმე ხანდახან!

უკანასკნელად ჩნდება ცნობილი სიმბოლო: ხოხბის ყელისფერი საწმერთული, რაც გვანიშნებს, რომ სიყვარულს ახალი მსხვერპლი უნდა მოჰყვეს, და რომ ამაში ეჭვი არავის შეეპაროს, ავტორი იქვე გვახსენებს: „...რომლის მცხეთაში ჩამოტანას ერისთავი გირშელი და ორი ათასი მონახპა შეეწირა"-ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეს საწმერთული შეარჩია ფარსმანმა უკანასკნელ საბუთად.

ნაწარმოების ქსოვილი აქ უკვე სიცოცხლისაგან დაცლილია — ეს გასაგებიცაა. ავტორმაცა და მკითხველმაც უკვე ყველაფერი ვიცით, გმირებმა, — ჯერ არა. აჩქარებული, მოკლე თხრობა, მშრალი ფრაზები, ჩვენთვის უკვე შინაარსდაკარგული, ფაქტების აპოსტერიორული ფიქსაცია, თუმცა ყველა აქცენტი მკვეთრად არის დასმული და ამით განყენებული ტრაგიზმის შეგრძნება მძაფრდება. „...დილას ისევ დაიწყო წვიმა, მაგრამ აღარ შეუმჩნევია ეს. საღამოს გამოეპარა შორენა დედას.

აქედლებულმა შეირბინა ავადმყოფთან, დიდხანს ვერ დარჩა მაინც".

ამ ბოლო შეხვედრაში ერთ ბედქვეშ მყოფი ორი მარტოსულის ურთიერთ ზრუნვისა და მეგობრობის მეტს ვერაფერს ვხედავთ. არავითარი მიჯნურთა შეყრა. ორ ფრაზაშია მოთავსებული ინფორმაცია მათი საერთო გასაჭირის შესახებ:

„მეფეს გაუმხელია ფ ა რ ს მ ა ნ ი ს ჭ ო რ ე ბ ი გურანდუხტისათვის, ომით დაუთრევია შორენა დედას".

ჩვენთვის ამ ფრაზებს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ მხრივ, რომ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს გიორგიზე — გმირზე, ვისაც კიდევ აქვს სამოქმედო ასპარეზი რომანში; რა დღეში უნდა იყოს საწყალი მეფე გიორგი, გურანდუხტს რომ შესჩივის თავის გასაჭირს, და, რა თქმა უნდა. ავტორისეული ჩანაფიქრის გასაშიფრად და ჩვენი ვერსიის გასამართლებლად ძალზე საინტერესოა შორენას მიერ მათი ურთიერთობის „ფარსმანის ჭორებად" მონათვლა.

და რომ მკითხველს ყოველივე ამისდა მიუხედავად ყალბი აზრი არ შეექმნას, აქვე გვეძლევა ავტორისეული „შეამჩნია: ცუდად შექმნილიყო მ ე გ ო ბ ა რ ი მ ი ს ი ს ი ყ რ მ ი ს ა, თვალცრემლიანმა ჩააბარა ნონაის".

„ტირილით მოვიდა, ტირილითვე წავიდა უკან."

მესამე ქვეთავი ასრულებს ჩვენს მოლოდინს: საწმერთული ნაკოცნია.

„მეფე გაცოფდა, აზვავდა. წონასწორობა დაჰკარგა ეროხისაგან გაზულებულმა".

ეს ყოველივე წაემატა ურთიერთს, მალემსრბოლის მოლოდინში თრიაქით დამთვრალიყო გიორგი, მელქისედეკი ეწვია იმავე საღამოს.

კათალიკოსმა რა გაიგო, მკრეხელური სურათი დაუხატავსო არსაკიძეს, ლაზს, მოაგონდა თავისი ქადაგება სამთავროს ტაძარში, წარმართობის შიშმა წამოუარა ისევ და ხელი აიღო ხუროთმოძღვრის დაცვაზე.

მეორე დილეს მელქისედეკი ბიზანტიონს მიმავალ სტუმრებს გაჰყვა დიდი ამალით. მეფემ ფარსმანი იხმო, ხუროთმოძღვართუხუცესად დანიშნა კვლავ.

სვეტიცხოვლის დანგრევა მოითხოვა ფარსმანმა, ხოლო განრისხებულმა გიორგიმ სვეტიცხოვლის „ცუდად ამგებელს" მკლავის მოკვეთა მიუსაჯა.

წონასწორობადაკარგული მეფისათვის პირადული და სახელმწიფოებრივი იმდენად აირია ერთმანეთში, რომ არსაკიძე მის თვალში სახელმწიფო დამნაშავედ იქცა. (რამდენად უფრო კანონზომიერი და გასაგებია ამ მხრივ მის მიერ გირშელის ვერაგულად გაწირვა).

ამით გიორგიმ საკუთარ ტრეულს გამოუტანა განაჩენი. მშენებელ მამულიშვილს მარჯვენა მოჰკვეთა (შემქმნელი მარჯვენა), ამიტომ, ბუნებრივია, მის საკუთარ მოქალაქეობრივ-მამულიშვილურ მოღვაწეობასაც აქ დაესვა წერტილი, მისი მეფური საქმიანობა დამთავრდა.

შორენას მონაზვნად აღკვეცისა და ცხოვრებიდან მისი წასვლის შემდეგ დაირღვა „ნადირობათა" ჩვეული რიტმი.

აირია მოვლენები, აფორიაქდა ქვეყანა, ისტორიულმა სინამდვილემ იწყო სიუჟეტის ფარგლებიდან გამოსვლა.

ხელახლა იფეთქა შავმა ჭირმა მცხეთაში, სარკინოზებმა ჩამოუქროლეს მტკვარს, მოკლეს ფარსმან სპარსი და რომანის უკანასკნელმა ცოცხალმა გმირმა მეფე გიორგიმ შეიტყო შორენას დაღუპვის ამბავი.

აქ უკანასკნელად ვხედავთ მეფე გიორგის უკანასკნელი გაბრძოლება. კიდევ ერთხელ უდიდესი უბედურების შემცნობი მეფე ავშანისძედ გარდაიქმნება და თან საბოლოოდ.

„უსიტყვოდ წარმოდგა მეფე, მესაწოლე დაითხოვა, კარები გადარაზა თავად, ინით შეილება წვერი, მდაბიორის სამოსი ჩაიცვა კვლავ. (ამ მექანიკურ ქმედებათა მშრალი ჩამოთვლა ძლიერ და ზუსტ ემოციურ ეფექტს ქმნის).

საღამოს უშიშარაისძე ახმობინა, პიპა.

შემდგომ ამისა, არც არავის უნახავს, თუ როგორ გავიდნენ სასახლიდან ორნი...

ასე მიდის ცხოვრებიდან რომანის უკანასკნელი გმირი, გიორგი მეფე. ამით მთავრდება სიუჟეტი.

მაგრამ ავტორი აქ არ ამთავრებს ნაწარმოებს, რადგან ძირითადი სათქმელი ჯერ არ თქმულა. ეს სათქმელი ეხება კ. გამსახურდიას მთავარ გმირს, ავშანისძე გლახუნას, კაცს არარეალურს განხილულ რომანში, მაგრამ უაღრესად რეალურს მწერლის შემოქმედებაში. ეს გახლავთ სახე ქართველი კაცისა, იმ „კრებადი გმირისა", ვისაც სწავლობს მწერლის მთელი შემოქმედება, ვის ბედსაც მისდევს იგი სხვადასხვა დროსა და სივრცეში, ვისაც ატარებს საკუთარ თავში და ხედავს თავის მკითხველში.

სწორედ ამ გმირს ეთმობა მეოთხე, სიუჟეტს გარეთ გატანილი „ნადირობის" სცენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე ნადირობა“ თითქოს იმავე ხაზვითი საშუალებებით არის შეხრულებული, როგორითაც წინა ხამი „ნადირობა“ იყო. მაგრამ თხრობის პულსი და შინაგანი რიტმი აქ სულ სხვაა. ნადირობათა წინა სცენები დამუხტულია მძლავრი მოლოდინით, ინტერესით. მკითხველისა და გმირების წინ მთელი შეუცნობელი სამყაროა. ავტორს ოსტატურადა ჰყავართ აყვანილი უშუალოდ სამოქმედო არენაზე და ჩვენს თვალწინ, ფიზიკურად ხელშესახებად, უნდა მოხდეს უამრავი რამ.

„მეოთხე ნადირობაში“ ნაწარმოებისეულ სცენას უკვე პერსპექტივაში ალვიქვამთ. ყოველგვარი თანდასწრება და მონაწილეობა გამორიცხულია. ამ ნაწყვეტს ახასიათებს ნაკლები ფერწერულობა, გაიშვიათებული პულსი, მინორული განწყობით შექმნილი ნაღვლიანი ხინაზე. ავტორისეული თხრობა კარგავს ფიზიკურ წონას. სიტყვის სიმძაფრე მოხსნილია და ასეთი პროზის აჩქარებული შინაგანი რიტმი მხოლოდ გამოჰკვეთს იმ ფაქტს, რომ „მეოთხე ნადირობის“ სცენაში მოვლენათა განვითარებას ავტორის კონცეფციისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. მოქმედება ინერციით წარმოებს. მწერალს სჭირდება ეს ფონი, რათა გმირი ალაპარაკდეს და მის აღსარებას თან ახლდეს ნაწარმოებისეული, ბუნებრივი გარემო, რომელიც აძლიერებს ეპილოგის მხატვრულ დამაჯერებლობას. ეს თავი „მცოდნე“ მკითხველის ჩამოყალიბების უმაღლესი საფეხურია. ავტორმა და გმირებმა ყველაფერი გვითხრეს. ჩვენ ვიცით რა მოხდა, რატომ მოხდა, როგორ მოხდა. ახლა საჭიროა ავტორთან ერთად შევაჯამოთ დასკვნები და დადგინდეს ძირითადი — რისთვის იოქვა ეს ყველაფერი!

ჩვენს წინაშეა ცნობილი მონოლოგი, მეფე გიორგის აღსარება.

მთელი რომანის მანძილზე ავტორი ფაქიზი სიყვარულით ხატავს გიორგი მეფის სახეს. („ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მღუღარება ჩემი სულისა“-ო, ამბობს იგი ბოლოსიტყვაში. საგანგებოდ გვაცნობს მის აზრებს, ქმედებას, განცდებს. თვითონაც ბევრი რამ მოგვითხრო მის შესახებ, მაგრამ გიორგის პირით იგი არსად ახსენებს იმ ძირითად ქართულ გასაჭირს, რასაც ნაწარმოები ეძღვნება. მხოლოდ აქ, სიუჟეტს გარეთ, სიკვდილის წინ გმირი, უფრო ზუსტად გმირის „კრებადი სახე“ ანდერძად გვიტოვებს თავის აზრს ეროვნულ პრობლემათა შესახებ. საგულისხმოა, რომ ავტორი, ამ ერთადერთ შემთხვევაში, არ ენდობა „მცოდნე“ მკითხველის ალღოს და სათქმელის დიდმნიშვნელოვანებისათვის ხაზგასასმელად შექსპირისეულ ფრაზას ათქმევინებს გიორგის აღსარების წინ.

„... მე მივდივარ ამ სოფლიდან, პიპა, უამბე ჩემი ნათამაშები ვინც მომიკითხოს, ყველას, ბაგრატ უფლისწულსა და უკანასკნელ [illegible] უამბე, პიპა“. (შდრ. ჰამლეტის მიმართვას ჰორაციოსადმი სიკვდილის წინ.).

ამ ფრაზით კ. გამსახურდია გიორგი I, მეფე-ადამიანის პიროვნულ ტრაგედიას ზოგადეროვნულ ტრაგედიის ჟღერას აძლევს. და რომ ეს შემთხვევითი არ არის, ამის საჩვენებლად მწერალი ამ თავს აგრეთვე შექსპირისეულად ამთავრებს — მესაფლავის სიტყვებით.

ახლა ვნახოთ, რა არის ამ აღსარების არსი. ავტორი გმირის პირით გვიცხადებს: ეროვნული გასაჭირის მთავარი მიზეზი საძიებელია ნაციონალურ ხასიათში, რომლის ნიშანდობლივი თვისებაა მთელი რიგი მანკიერი მხარეები. ამ მანკიერებისაგან არავინა ვართ თავისუფალნი მეტნაკლებად. გმირის „კრებადი სახე“ ამბობს: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად როგორც მეფესა და როგორც კაცს, (რამეთუ!) თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია“. აქვე, დიდმნიშვნელოვანი მომენტის გამოხატულებად: „მაგრამ „ჩემი ხალხისთვის არასოდეს მილალატნია“. ე. ი. გიორგი მეფე თავისი მისიით, მოწოდებით, ახალი ტიპის მამულიშვილია, შეგნებული, ერთიანი საქართველოს მოქალაქე, ამიტომაც ძირითადი და უმძიმესი ეროვნული ნაკლის მიმართ სრულიად შეუწყნარებელი პოზიცია უჭირავს. მთავარი გასაჭირი, „ჩვენი უბედურება“, გიორგის რწმენით სწორედ ეს უცნაური მოვლენაა: „...ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი...“ ამას მოსდევს სხვა მრავალი ცოდვა, რისი მოწამეც სამწუხაროდ ქართველი ერის ისტორია ყოფილა, მრავალი საუკუნის მანძილზე.

ეროვნული ხასიათის ამდაგვარი დაავადება ხელფეხს უბოჭავს იმასაც, ვინც ახალი, ერთიანი ქვეყნის მოქალაქედ აღიქვამს თავს, და მისი ცხოვრება, მიუხედავად მაღალი შეგნებისა და დიდი პოტენციალისა, ფუჭად ჩაივლის განუხორციელებელ იდეალებისათვის ბრძოლაში. გიორგის უნდა, რომ ეს ყველასათვის ნათელი იყოს: „...უამბე ყველას...“.

ასე მთავრდება IV ნადირობა“.

განხილული ნაწარმოების მიზანი რომ მარტო ამ მწარე სიმართლის გამომზეურება იყოს, აქ შეიძლებოდა დაესვა წერტილი ავტორს და სრულიად გაუგებარი იქნებოდა, რისთვის დასჭირდა მას ასეთი რთული მხატვრული ფორმა, ასეთი მძიმე გზა, სადაც ყოველი ფაქტის მხატვრული სინამდვილით შემოწმება ხდება, რათა ექსპერიმენტში მონაწილეობის შედეგად თვითეულმა მკითხველმა საკუთარი გამოცდილების ნაყოფად აღიქვას იგი.

როგორც ჩანს, მწერლის მიზანი უფრო შორს მიდის.

ზემოხსენებული ეროვნული გასაჭირი საშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხაროდ ისტორიული რეალობაა, მაგრამ აგრეთვე ისტორიული რეალობაა ისიც, რომ მიუხედავად ასეთი მძიმე ფონისა, ქართული ნაციონალური კულტურა, ეროვნული აზრი, განუხრელად მაღლდებოდა, ვითარდებოდა და მსოფლიოს სულიერ განვითარების საერთო სურათში თავისი საინტერესო და თვითმყობადი წვლილი შეჰქონდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ასპექტებშიც კი, რომელთაც ეროვნული ხასიათის ზეაღნიშნული თვისებანი თითქოს და სრულიად უსპობდნენ ყოველგვარ პერსპექტივას — სახელმწიფოებრივ და საეკლესიო განვითარებაში, საქართველოში დრო და დრო თავს იჩენდა ისეთი ტენდენციები, რომელთა მსგავსი იმავე პერიოდის მთელ რიგ მოწინავე ქრისტიანული ქვეყნებისათვის წარმოუდგენელი იყო. (ვგულისხმობ მთელ რიგ რეფორმათა განხორციელებას ან მათი განხორციელების მცდელობას) ამ რეფორმათა აქ მოხსენიება უადგილოდ არ მიმაჩნია, რამეთუ ჩვენთვის საგულისხმოა მათი იდეა — ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების ხსენებული ფაქტები, როგორც ეროვნული სულის პროდუქტი.

ყოველივე ეს გულისხმობს, რომ ამ კულტურული ზესვლის საფუძვლად გიორგის აღსარებაში დახატული ნაციონალური ხასიათის გარდაქმნისა და განწმენდის პროცესი გვევლინება. ავტორის მიზანი სწორედ ეს არის, რომ განხილულ ნაწარმოებში, ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს ეპოქაში, ეროვნული მთლიანობისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების ეტაპზე, მოსძებნოს ამ შეგნებით გამოწვეული გარდასახვის პირველი ელემენტები ნაციონალურ ხასიათში, რომლის მატარებელი და საუკეთესო გამომხატველი, ცხადია ეროვნული სულის ისეთი ყოვლისმომცველი სიმბოლოს ავტორი უნდა იყოს, როგორიც სვეტიცხოვლის ტაძრის შემოქმედია.

ავტორის მიზანია თავის რომანში გვაჩვენოს ასეთი გმირის უპირატესობა. არსაკიძე ადამიანურად ისევე ხელმოცარულია როგორც გიორგი მეფე, მაგრამ მორალური გამარჯვება მის მხარეზეა. ავტორის მიზანია შეაქოს ის უსაზღვრო თავდადება, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, რომელიც მწერლის აზრით უნდა ამოძრავებდეს *მშენებელ მამულიშვილს*: არ მივცეთ სული არც ღმერთს, არც სიყვარულს, თუ კი იგი საქვეყნო საქმისთვის შესაწირია! — ასეთია ამ ახალი მოქალაქის დევიზი.

ამ ახალი ტიპის, მოწოდებული მამულიშვილის, შეგნებული მოქალაქის კრედო კარგად ჩანს არსაკიძის მთელ რიგ გამონათქვამში. გიორგის აღსარების ფონზე ამ სიტყვების გახსენება ვფიქრობ ჩვენი მსჯელობის ერთგვარ დასაბუთებად გამოდგება:

„კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე. უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება.“.

„...საპატიო ვალია კაცისა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავად უნდა გახდეს შემოქმედ უფლის მეტოქედ“.

„ჩემდა თავად მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად.

ამიტომაც, ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყვნენ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს.“

„უქონლობაში რომ დავიხოცოთ, ამას არა სჯობს, ჩვენი მოვალეობის შესრულებისას გვეწვიოს სიკვდილი...

„არავინ ისე საძაგელი არაა ამ ქვეყნად, როგორც ძმების მოღალატე...“

„...მხოლოდ იმ სიტყვას აქვს წონა, რომელსაც საქმე მოჰყვება და მსხვერპლი“.

სწორედ ამ სიტყვათა ავტორის, პირნათლად ვალმოხდილი მოქალაქის, აპოთეოზს გვაძლევს მწერალი უკანასკნელ თავში. ამ აპოთეოზით მთავრდება განხილული რომანი.

აქედან მოყოლებული კ. გამსახურდიას შემოქმედება უკვე ეძებს გმირის ახალ სახეს, მთლიანად დაქვემდებარებულს ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სულისკვეთებას. მისი შემდეგი რომანის გმირია დავით აღმაშენებელი.

გამოკვლევის დასასრულს მინდა კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მწერლის მიერ გაწეულ სამუშაოს, ავტორის კონცეფციასა და მხატვრულ მეთოდს, განხილული რომანის ამოცანებს, მის მნიშვნელობასა და ადგილს, როგორც კერძოდ ქართულ მწერლობაში, ისე ზოგადად, ეროვნული კულტურის ისტორიაში.

პირველ რიგში აღსანიშნავია, მწერლის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, მტკიცე იდეური პლატფორმა და კონცეფციის სიმწიფე. ეს განაპირობებს მისი კვლევის საგნის, კვლევის მიმართების, მხატვრული ფორმისა და მხატვრული მეთოდის არჩევანის სისწორეს. ხელოვანის დიდნიჭიერება და ოსტატობის მაღალი დონე უზრუნველყოფს ჩანაფიქრის მაღალმხატვრულ განხორციელებას, და მიზანი მიღწეულია: მოხდა მატიანის მხატვრული გაცოცხლება და ინტერპრეტაცია ეროვნული კულტურის დღევანდელი განვითარების დონის ჭეშმარიტი პოზიციიდან. დღეს, ჩვენი თანამედროვის შემეცნებაში, რომანში განხილული პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, იმ დროის ძირითადი პრობლემები, წარმოუდგენელია „დიდოსტატის მარჯვენის“ გარეშე. ისტორიული ქრონიკა გაშიფვრის პროცესის მე-

თოდოლოგიის წყალობით ერის თანამედროვე, ქმედით კულტურულ ფენომენად იქცა. დამყარდა დროთა ახალი, უჩვეულო კავშირი — XX საუკუნის კულტურის პროდუქტმა მჭიდროდ დაგვაკავშირა XI საუკუნის ეროვნულ პრობლემებთან და ამ პრობლემათა გაცნობამ და თანადროული თვალსაზრისით განხილვამ ცოცხალი ხიდი ალმართა ჩვენი ხალხის წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის.

ჩემი აზრით, ქართული მწერლობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გლობალური ეროვნულ პრობლემის კვლევის იდეურად ასე მკაცრად გამიზნული მცდელობა ასეთ ოპტიმალურ მხატვრულ რეალიზაციას აღწევს. სწორედ ეს მიმაჩნია მწერლის დიდ დამსახურებად და ამიტომაც მესახება განხილული ნაწარმოები ახალი ტიპის ხელოვნებად, პირველ ჭეშმარიტ ქართულ ისტორიულ რომანად.

ამის განხორციელების საშუალება მწერალს მისცა მისმა კარგად გააზრებულმა მეთოდოლოგიამ: იდეოლოგიური მრწამსისა და მხატვრული მეთოდის მაქსიმალურმა ბალანსმა. ყოვლისმომცველი ეროვნული თემის საკვლევად ისტორიული რომანის ფორმა დიდ ასპარეზს იძლევა. ამ ფართო ეკრანზე კარგად მოხერხდა კ. გამსახურდიას იდეური მრწამსის შემადგენელი ორივე პრინციპის გამოყენება. ქართული მწერლობის არსებული რეალისტური ტრადიციისაგან განსხვავებით მწერალმა შესძლო არა მარტო მხილება მიუღებელისა და გაიდეალება სასურველისა, არამედ დიდი მხატვრული დამაჯერებლობით წარმოგვიდგინა ნაციონალური ხასიათის ხსენებულ თვისებათა მატარებლები, გვაჩვენა თვით პროცესი ამ ხასიათის ჩამოყალიბებისა, გარდაქმნისა და განვითარებისა.

თუ ტრადიცია კვალიფიკაციას აძლევს ეროვნულ მოვლენებს და მიზეზს მიუთითებს, ხატავს იდეალს და მისკენ მოუწოდებს ერს, კ. გამსახურდიამ კონკრეტული ეროვნული თვისებების მატარებელთა შინაგან სამყაროში ჩაგვახედა, შესაძლებლობა მოგვცა მათი ხასიათის ფორმირების პროცესის თვალისგადევნებისა, შეგნებისა და მოწოდების სიმძაფე გვაგრძნობინა და მთელი სიცხადით დაგვანახა, რომ ერის განვითარებასა და წინსვლას სჭირდება მაღალი შეგნება და უკომპრომისო თავდადების უნარი. მწერალმა გვიჩვენა ასეთი ვაჟკაცობის მძიმე საფასური, იმ შინაგანი ბრძოლის ტრაგიზმი, რომლითაც აღვსილია მამულიშვილის ცხოვრება. მკითხველმა მიიღო ავტორის მიერ შემოთავაზებული აუცილებელი პირობა ეროვნული აღმავლობისა — მოქალაქის მიერ ეროვნული ხასიათის მანკიერ თვისებათა გაცნობიერება და მათთან ბრძოლა.

ახეთია გზა იმ იდეალისაკენ, რომელსაც ავტორი „დიდოსტატის მარჯვენაში“ ხორცშესხმული სახით ჯერ კიდევ ვერ გვიხატავს, რამეთუ განხილულ ისტორიულ პერიოდში. ამ აზრით ეროვნულმა შეგნებამ ვერ მოგვცა ასეთი იდეალის სრულყოფილი მატარებელი. არსაკიძე მხოლოდ ესკიზია ასეთი გმირისა, გიორგი მეფეში მხოლოდ პირველადი მარცვალია ერის ჭეშმარიტი წინამდგომისა. სამაგიეროდ მწერალმა მოგვცა შეუდარებელი სახეები ეროვნული ხასიათის უარყოფითი დაღით აღნიშნული ადამიანებისა. ასეთია ფარსმანი უნივერსალური ნიჭისა და განათლების ადამიანი, მაგრამ ამავე დროს ყოველივე ეროვნულს მოკლებული კაცი. ეს საოცარი სახე, ტალანტისა და ცოდნის განსახიერება, როგორც მოქალაქე სრული ანტიპოდია მწერლის გმირისა. ასეთივეა თავისი თვისებებით თითქოსდა ერის მოთავედ დაბადებული მამამზე ერისთავი, სამშობლოსა და მოვალეობის მაღალი იდეებისაგან სრულიად თავისუფალი..

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული უდავო საფუძველს იძლევა, რათა გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ხსენებული რეალისტური ტრადიციის გაღრმავებად, განვითარებად და მაღალმხატვრულ სიმაღლეზე აყვანად ვაღიაროთ. იგი არა მარტო ამბობს მწარე სიმართლეს, არამედ გვიხატავს კიდევაც მას ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე. უარყოფითი ნიშნის მატარებელი გმირები წარმოდგენილი არიან არა როგორც უსიამოვნო და ბნელი პირები, აუცილებლად სიბოროტით აღსავსენი. პირიქით, მათ მოსავათ ჭკუის, ნიჭის, ვაჟკაცობის, საყოველთაო აღიარებისა და დაფასების შარავანდედი. მაგრამ ერთი, ძირითადი ელემენტის უქონლობა მათ ხასიათში მით უფრო უვარგისსა და მავნეს ხდის ეროვნული თვალსაზრისით ასეთი ხალხის არსებობას. ისინი „არა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავისი ხალხის მოღალატენი არიან“.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ავტორის იდეური მრწამსის მეორე პრინციპი.

საბჭოთა საქართველოს მოქალაქის პასუხისმგებლობა მწერლისა გამოიხატა გმირის არჩევანსა და მისი მორალური სახის შექმნაში. ამ პრინციპის გატარება რომანში მით უფრო საინტერესოა, რომ მხატვრულად დასრულებულ მაგალითს ასეთი გმირისა ავტორი ჯერ ვერ გვაძლევს. მაგრამ ამ გმირის ძიების პირველ საფეხურს უყრის საფუძველს და ეს კვლევა გააქვს რომანის ფარგლებიდან, თავის შემდგომ შემოქმედებაში. ადამიანში მთავარია მოქალაქეობრივი მისია, — ერის სულიერი და ფიზიკური მთლიანობისათვის ზრუნვა, ხოლო საუკეთესო ასპარეზი ამისათვის ნაკისრი საქვეყნო საქმის პირნათლად შესრულებაა. ამ მორალურ საძირკველზე უნდა აშენდეს საძიებელი გმირის სახე. სწორედ ამიტომ ხატავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი პროტაგონისტად კონსტანტინე არსაკიძეს.

ასეთი კუთხით მოითხოვს ავტორის იდეური პოზიცია პრობლემისა და მის მატარებელთა მხატვრულ განხილვას. ამდაგვარი მიდგომა მხატვრისა საკუთარ შემოქმედებასთან უმძიმეს მოთხოვნას უყენებს რომანის წარმატებისათვის აუცილებელ მეორე ფაქტორს — მხატვრულ მეთოდს.

როგორც ვნახეთ, ამ მეთოდის ძირითადი განმსაზღვრელი მომენტია მხატვრული სინამდვილის მკაცრი დიქტატი მთელი ნაწარმოების მანძილზე, რაც დასკვნათა ობიექტურობის გარანტიას წარმოადგენს. ეს პრინციპი საშუალებას არ აძლევს ავტორისა და მკითხველის შემოქმედების პროცესში აღმოცენებულ ემოციებს ხელი შეუშალონ ნაწარმოების სწორ წაკითხვას.

წარმოდგენილი ანალიზი ნაწარმოებისა ჩემის აზრით ნათელჰყოფს, რომ მწერალმა შესძლო შეექმნა ტევადი და გამომსახველი მეთოდი, რომელმაც განაპირობა მისი შემოქმედებითი გამარჯვება. მე ვფიქრობ, მხატვრული მეთოდი, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოუპოვა „დიდოსტატის მარჯვენას“, ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად დამკვიდრდება ქართული მწერლობის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ თვარაძე

# პეტრე იბერიელი და დავით უძლეველი

ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ანტიკური ეპოქის დასასრულისა და ადრეული შუა საუკუნეების დამდეგის მიჯნაზე მყოფი ორი მოაზროვნის — პეტრე იბერიელისა და დავით უძლეველის (ანჰაღთის) მიმართ. როგორც ქართული, ისე სომხური მეცნიერება თითქოს გამალებული ცდილობს ამოავსოს ხარვეზები, რაც ამ მოაზროვნეთა მემკვიდრეობისა და მათი პიროვნების შესწავლის საქმეში დარჩენილა.

ამგვარი ჟითარება სავსებით ბუნებრივია: შალვა ნუცუბიძისა და ერნსტ ჰონიგმანის აღმოჩენის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ VI-XVIII საუკუნეთა ქართული ფილოსოფიური აზრის, მწერლობის, საერთოდ, კულტურის ვერც ერთი კარდინალური საკითხი ვერ გადაწყდება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ანუ პეტრე იბერიელის ნააზრევის გაუთვალისწინებლად. არეოპაგიტულ წიგნებში წამოყენებულმა მსოფლმხედველობამ ქართულ კულტურაზე განუზომელი გავლენა მოახდინა.

ასევე დიდია დავით უძლეველის მემკვიდრეობის გავლენა სომხური ფილოსოფიური აზრის, მწერლობის, საერთოდ, კულტურის განვითარებაზე.

მაშასადამე, ამ ორი პიროვნების აზრთა წყობის შესწავლა და მათი მსოფლმხედველობის გარკვევა შესაძლებელს გახდის უფრო ღრმად შევისწავლოთ და უკეთ გავიგოთ ცალკერძ ქართული და ცალკერძ სომხური ფილოსოფიური აზრი, მწერლობა და, საერთოდ, კულტურა შუა საუკუნეებისა.

მაგრამ კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე წამოიჭრება აგრეთვე სხვა პრობლემა. როგორც ცნობილია, მიუხედავად შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობისა, ქრისტიანული კულტურის ქვეყნებს ნაგულისხმევ ეპოქაში ცხოველი იდეური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან (ამას თავად ქრისტიანული რელიგიის სპეციფიკა განაპირობებდა). ეს მით უფრო ითქმის ორი მეზობელი ერის — ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის გამო. ქრისტიანული აღმსარებლობის გარდა, მათს მჭიდრო კონტაქტს განაპირობებდა ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება (ტერიტორიული მეზობლობა, სახელმწიფო წყობილების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანაბარი დონე, მოძალადე სახელმწიფოთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობა...). ასეთ ვითარებაში საკვირველიც კი იქნებოდა, ამ ორი ერის კულტურა ერთიმეორეზე სრულიად დამოუკიდებელი გზებით რომ წარმართულიყო.

ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელს ხდის ურთიერთმიმართების ასპექტით იქნეს შესწავლილი ქართული და სომხური კულტურები. ხოლო რადგან ფილოსოფიურ აზრს საქართველოში სათავე ფაქტიურად პეტრე იბერიელმა დაუდო, ხოლო სომხეთში—დავით უძლეველმა, და, ამავე დროს, რაკი მათი მოღვაწეობის ხანა თითქმის თანხვდება ქრონოლოგიურად (პეტრე იბერიელი V საუკუნის მიწურულს გარდაიცვალა, დავით უძლეველი V საუკუნის მიწურულისა და VI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იყო), აღიძვრის აგრეთვე პრობლემა ამ ორი მოაზროვნის მსოფლმხედველობათა ურთიერთმიმართების ასპექტით შესწავლისა.

მკვლევარი ვაზგენ ჩალოიანი დავით უძლეველის (ანჰაღთის) ფილოსოფიისადმი მიძღვნილ სპეციალურ მონოგრაფიაში ნეოპლატონიზმის ალექსანდრიული სკოლის საქმიანობას და, ამასთან დაკავშირებით, სომხური ნეოპლატონიზმის აღმოცენებას ამგვარად წარმოგვიხატავს:

ალექსანდრიულ ნეოპლატონელთა სკოლა, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევრიდან VII საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნის პირველ ნახევრამდე არსებობდა, შეურიგდა ქრისტიანობას და ერთგვარად შეიცვალა მის აღქმაში,* დაინტერესდა ქრისტიანობით. ამის წყალობით ეს სკოლა იუსტინიანეს ედიქტს გადაურჩა და არაბთაგან ალექსანდრიის დაპყრობამდე (642 წ.) არსებობდა. ასე გაჩნდა ქრისტიანული ნეოპლატონიზმი. ქრისტიანობა და ნეოპლატონიზმი მორიგდნენ: ქრისტიანობამ მიიღო ნეოპლატონური ელინიზმი, იდეალიზმი და მისტიკა, ხოლო ნეოპლატონიზმმა, რაკი საკუთარი რელიგია ვერ შექმნა, მიიღო ქრისტიანული დოგმები და შეერწყა ამ რელიგიას. ამ დროის ალექსანდრიელ ნეოპლატონიკოსთა შრომები ქრისტიანობას არ ეწინააღმდეგებიან (ზოგი ნეოპლატონელი გაქრისტიანდა კიდეც), ზოგჯერ ძნელი გასარჩევიც კი ხდება — ქრისტიანის დაწერილია ესა თუ ის შრომა, თუ წარმართისა. ეს ითქმის, კერძოდ, დავით უძლეველის ნაშრომთა მიმართ.

ალექსანდრიელი ნეოპლატონელნი სწავლობდნენ ფილოსოფიას, ლოგიკას, გრამატიკას, რიტორიკას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას. მათს საქმიანობაში უმთავრესი იყო პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა ინტერპრეტაცია. ფილოსოფია ძველ მოაზროვნეთა განმარტებით შეიზღუდა. ოღონდ V-VI საუკუნეთა ალექსანდრიელი ნეოპლატონელნი ძირითადად არისტოტელედან ამოდიოდნენ, ხოლო თუკა პლატონის ნააზრევში რაიმე წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ, ცდილობდნენ პლატონი არისტოტელესთან მოერიგებინათ.

რატომ ეკუთვნის დავით უძლეველი ხწორედ ამ სკოლის ნეოპლატონიკოსებს? მისი ნეოპლატონიზმი უეჭველია და, აი, რატომ: ეს არის კომენტატორული ხასიათი ლოგიკის სფეროში შექმნილი მისი ნაშრომებისა, აგრეთვე მეტაფიზიკურ თუ სხვა საკითხთა ძირეული გადაჭრის ხასიათი, აგრეთვე მისი სინკრეტიზმი და ბერძნული ფილოსოფიის კლასიკოსებთან მისი დამოკიდებულება. ამასთან, დავით უძლეველი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ V-VI საუკუნეთა ავტორი. შეუძლებელია მისი ნაშრომები VI საუკუნეზე გვიან გაჩენილიყო: ისინი ატარებენ ანტიკური კულტურის აშკარა დაღს, ხწორედ იმდროინდელი პერიოდის ცნებებით სარგებლობენ, გავსებულნი არიან მაგალითებით წარმართული მითოსიდან; ისინი ქრისტიანობას არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ არც აპოლოგეტური ხასიათის არიან. ხწორედ ეს ალექსანდრიული ნეოპლატონიზმი გადაიზარდა ქრისტიანობაში და ბოლოს მოგვცა ერთობ თავისებური ნააზრევი დიონისე არეოპაგელისა.

ალექსანდრიულ სკოლაში განსწავლული დავით უძლეველი სომხური ნეოპლატონიზმის წარმომადგენელია. სომხური ნეოპლატონიზმი ქრისტიანობას არ ებრძოდა, მას ერწყმოდა, მასში გადაიზრდებოდა. თვად დავით უძლეველის მოძღვრებას ქრისტიანი მოღვაწენი ახალი რელიგიის განსამტკიცებლად იყენებდნენ, ნეოპლატონიზმი სომხეთში ძირითადად წარმოდგენილია დავით უძლეველის ფილოსოფიით.[1]

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ მსჯელობაში არსებულ რამდენსამე შეუსაბამობას (მაგალითად, იმნაირს, რომლის ძალითაც V საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებული ალექსანდრიული სკოლის ქრისტიანობაში გადაზრდის პროცესი ფსევდო-დიონისე არეოპაგელს დაუგვირგვინებია), აქ მოკლედ არის წარმოდგენილი თითქმის ყოველივე, რაც დავით უძლეველის შესახებ ზოგადად იცის სომხურმა და, ამდენად, საბჭოურმა მეცნიერებამ. ახალი დროის გამოკვლევებს, როგორც ჩანს, ბევრი არაფერი დაუმატებიათ ამ შეხედულებებისთვის. გარდა იმისა, რომ დავით უძლეველის თხზულებათა რუსულად მთარგმნელი და გამომცემელ-რედაქტორი ს. არევშატიანი მთელი ალექსანდრიული სკოლის და,* კერძოდ, დავით უძლეველის საქმიანობას ამგვარად განსაზღვრავს:

В целом оценку александрийского неоплатонизма V—VI вв. как неоплатонизированного аристотелизма следует распространить без каких--либо существенных оговорок и на философию Давида»[2].

დავით უძლეველის თხზულებათა შესწავლა გვიდასტურებს, რომ ამ თხზულებებში თითქმის არაფერია სპეციფიკურად ნეოპლატონური. კაცმა რომ თქვას, VI საუკუნის დამდეგისთვის რაიმე თვალსაჩინო ნეოპლატონური შრომის შექმნა ისტორიულად აღარც იყო მოსალოდნელი: პროკლეს ნაღვაწში ნეოპლატონიზმმა ფაქტიურად ამოწურა თავისთავი და, იუსტინიანეს ედიქტიც რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა ამ მოძღვრების შემდგომი განვითარება აღმავალი გეზით გვევარაუდებინა. მაგრამ აქ უმთავრესი ის არის, რომ დავით უძლეველისთვის გინდაც არ არსებულიყოს VI საუკუნემდელი ხანის მთელი უმდიდრესი ნეოპლატონური ლიტერატურა (თუ არ ჩავთვლით პორფირიუსის ერთ ლოგიკური ხასიათის ნაშრომს). გაცილებით უფრო ხალისით და შეუდარებლად უფრო ხშირად იგი მიმართავს ანტიკური ფილოსოფიის კლასიკოსებს, კერძოდ — პლატონს და არისტოტელეს, ვიდრე რომელსამე ნეოპლატონელს. ამასთან, მისი სიმპათიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი არისტოტელიკოსია და არა პლატონელი, არისტოტელეს ავტორიტეტი მისთვის თითქმის მუდამ ურყევია, მაშინ როცა პლატონის შეცდომათა გამო არცთუ იშვიათად ჩამოაგდებს ხოლმე სიტყვას.

სხვა მიზეზთა გარდა, ამას ისიც განაპირობებს, რომ დავით უძლეველის ფილოსოფიური ინტერესები ლოგიკისა და გნოსეოლოგიის (უპირატესად — ლოგიკის) საკითხებით შემოიფარგლება. მეტაფიზიკა მისი თვალსაწიერის მიღმა დარჩენი-

[1] В. К. Чалоян, Философия Давида Непобедимого, Ереван, 1946, стр. 67—70, 90.

[2] Давид Анахт, Сочинения, Москва, 1975. შესავალი წერილი, გვ. 21.

ეროვნული

ლი სფეროა და იძულების გამო თუ მიმართავს ხოლმე მეტაფიზიკურ პრობლემებს. სხვას რომ ყოველსავე თავი დავანებოთ, ამას ცხადყოფს თვით სახელწოდებებიც იმ ოთხი თხზულებისა, რომლებიც დავით უძლეველის კალამს მიეწერება: „ფილოსოფიის განსაზღვრანი“, „პორფირიუსის „შესავალის“ ანალიზი“, „არისტოტელეს „ანალიტიკის“ განმარტება“ და „არისტოტელეს „კატეგორიების“ განმარტება“ (ეს უკანასკნელი უეჭველად დავით უძლეველისად არც მიაჩნიათ). ამათგან „ფილოსოფიის განსაზღვრათა“ გარდა სამივე თხზულება ლოგიკის საკითხთა გარკვევას ეძღვნება.

აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ ჯერ კიდევ 1942 წელს წამოაყენა, ხოლო 1963 წელს დაბეჯითებით გაიმეორა მოსაზრება:

«Мы думаем, что основные идеи главного философского произведения Давида Анахта «О пределах философия» понятны только в свете ареопагитских идей. Его отношения к Петру Иверу еще подлежат исследованию»[1].

შალვა ნუცუბიძის ამ მოსაზრებას გამოეხმაურა სომეხი მკვლევარი ვაზგენ ჩალოიანი, რომელიც უკვე 1946 წელს წერდა: დავით უძლეველის თხზულებები ძირითადად წარმართულ კულტურას განეკუთვნება, მაშინ როცა ფსევდოდიონისე არეოპაგელის მოძღვრება ქრისტიანობის აპოლოგიაა, მათი დაკავშირების ცდა ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებსო, რადგან

«если Дионисий подвергает разбору метафизику, ограничиваясь вопросами теософии, то у Давида мы видим преимущественно гносеологию и логику. Если учение Псевдо-Дионисия пропитано христианским мистицизмом, то мистицизм Давида ограничивается пониманием чисел, напоминая мистицизм неопифагорейцев типа Никомаха и др. Все это говорит о том, что **между ними ничего общего не могло быть**[2]..

მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ვ. ჩალოიანი 1959 წელს გამოსულ ნაშრომში „სომხური ფილოსოფიის ისტორია“ (რუსულად) ალარაფერს ამბობს პეტრე იბერიელისა და დავით უძლეველის ნააზრევის მიმართების თაობაზე. ხოლო უფრო ძნელი ასახსნელი ის არის, რომ ამავე საკითხზე სიტყვასაც არ სძრავს დავით უძლეველის თხზულებათა ძველსომხურიდან რუსულად მთარგმნელი და ამ თხზულებათა მოსკოვს გამომცემელი ს. არევშატიანი.[3] მიუხედავად იმისა, რომ ორივე მკვლევარი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ, ძველი სომხური ცნობების [illegible] ზობლოში დევნილ დავით უძლეველს თავი საქართველოსთვის შეუფარებია.

ზემოთ მითითებულ წიგნში შალვა ნუცუბიძე წერდა:

Таким образом, армянские источники пока что, т. е. до подлинно научного исследования вопроса о выдающемся армянском философе Давиде Анахте, почти ничего не дают для проблемы о псевдониме Дионисия Ареопагита».

დიახ, «до подлинно научного исследования»!

საქმეც ის არის, რომ ამგვარი ჭეშმარიტად მეცნიერული გამოკვლევა დავით უძლეველის ნააზრევისა სომხურ მეცნიერებას დღემდეც არ განუხორციელებია. როგორც ვ. ჩალოიანი, ისე ს. არევშატიანი მითითებულ ნაშრომებში დიდი კეთილსინდისიერებით გადმოსცემენ დავით უძლეველის თხზულებათა აღნაგობას, თანმიმდევრობასა და შინაარსს, მაგრამ ამგვარ ემპირიულ აღწერებს მათი ნაშრომები ერთობ, ერთობ იშვიათად სცილდება.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ს. არევშატიანი, რომელიც ისე წარმოადგენს დავით უძლეველის თხზულებათა უმთავრეს პრობლემებსა და დებულებებს (არსის რაობა, ღმერთის არსებობის კოსმოლოგიური დასაბუთება, ცოდნის დამხმარე ფუნქცია სათნოების მიღწევის გზაზე, შემეცნების უმაღლეს საფეხურად ფილოსოფიის დასახვა, შეხედულების მცდარ ცოდნად მიჩნევა, ჭეშმარიტებაზე მაღლა სიკეთის დაყენება, მსჯელობა სხეულის საპყრობილიდან სულის დახსნისათვის, უნივერსალიების შესახებ მსჯელობა და მრავალი სხვა), უბირ მკითხველს შესაძლოა შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ეს ყოველივე დავით უძლეველის ორიგინალური ნააზრევი იყოს და არა პლატონის თუ არისტოტელეს ნაღვაწი.

არადა, ვიდრე სრული სიზუსტით არ დადგინდება, რა არის დავით უძლეველის თხზულებებში საკუთრივ მისეული და რა—სხვათა ნააზრევიდან მოხმობილი, მანამდე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოაზროვნის მემკვიდრეობის ჭეშმარიტად მეცნიერულ გამოკვლევაზე საუბარი (რის საჭიროებასაც, როგორც ითქვა, ხაზგასმით აღნიშნავდა შალვა ნუცუბიძე) უეჭველად ნაადრევი იქნება.

ასეთ ვითარებაში მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ როგორც ვ. ჩალოიანს, ისე ს. არევშატიანს უყურადღებოდ დაურჩათ დავით უძლეველის თხზულებებში არსებული ზოგიერთი ისეთი დებულება, რომელთა მოშველიებაც მეტ სიცხადეს შეიტანდა ამ მოაზროვნის მსოფლმხედველობის დადგენაში. საქმე ის არის, რომ ხსენებულ მკვლევართაგან ვერც ერთი ვერ ახერხებს სრული უეჭველობით დაასაბუთოს დავით უძლეველის ნეოპლატონელობა, მიუხედავად იმისა, რომ გულმოდგინედ ცდილობენ ამას. ამ სა-

[1] Петр Ивер и античное философское наследие, стр. 151.

[2] Философия Давида Непобедимого, გვ. 74-75. ხაზი ჩემია.

[3] С. Аревшатян, Давид Анахт и его роль в развитии древнеармянской философии, в кн.: Давид Анахт. Сочинения, Москва, 1975, стр. 5—28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვში მათი ხაზუთები ზოგადს, ხშირად არადფრიხმთქმელ გამონათქვამებს შორს არ სცილდება.

დავით უძლეველი რომ მართლაც უფრო მეტად არისტოტელიკოსია, ვიდრე პლატონელი, ამის თაობაზე ქვემოთ იქნება კიდევ მსჯელობა. მაგრამ, ამასთან ერთად, დავით უძლეველის თხზულებებში გვხვდება ზოგიერთი ელემენტი, რომლებიც ცხადყოფს, რომ მისი ნააზრევისთვის ნეოპლატონიზმს და აგრეთვე პლატონსაც თავისებური კვალი დაუჩნევია.

ერთ-ერთი ამგვარი ელემენტია „ფილოსოფიის განსაზღვრებში" მოცემული მსჯელობა ღმერთისადმი კაცის მიმსგავსებისა და, ამასთან დაკავშირებით, სიკეთის რაობის შესახებ. ამ თხზულების მეთერთმეტე თავში ვკითხულობთ:

„ამის გამო ზოგიერთნი იტყვიან: რატომ ვუწოდებთ ფილოსოფოსს სიკეთით, სიბრძნითა და ძალით ღმერთისადმი მიმსგავსებულს, თუკი, პოეტის ნათქვამის თანახმად, უკვდავ ღვთაებათა გვარსა და ქვეყნად მავალ კაცთა შორის მსგავსება არ იპოვება? ამის თაობაზე იტყვიან, რომ განსაზღვრებაში სწორედ ამ მიზნით არის ნათქვამი — რამდენადაც შესაძლოა კაცისთვის, რამეთუ ფილოსოფოსი ღმერთს იმ ზომით ემსგავსება, რამდენადაც კაცისთვის არის შესაძლო. სწორედ ასევე სიკეთე, ცოდნა და ძალი ღმერთსა და კაცს სხვადასხვაგვარი აქვთ. რამეთუ სიკეთე ღმერთისგან სხვაგვარად ვლინდება და კაცისგან კიდევ — სხვაგვარად. ასე, სიკეთე ღმერთის არსებაა და მასშივე ჰგიეს, და სიკეთის სიჭარბის გამო ღმერთს არ ძალუძს ბოროტის მიღება, ისევე როგორც ნათლის სიჭარბის გამო მზეს არ ძალუძს ბნელს ეზიაროს".[1]

ეს არის ტიპიური ნეოპლატონური მსჯელობა, ამასთან, ის ხაზი ნეოპლატონიზმისა, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ პლატონის მოძღვრებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საგულისხმო ის არის, რომ მოტანილ ციტატში, სიკეთის პრობლემასთან ერთად, აქცენტირებულია პლატონის სწორედ ის დებულება, რომელიც განსაკუთრებით დეტალურად დამუშავდა პეტრე იბერიელის მოძღვრებაში. საქმე ეხება ღმერთისადმი კაცის დამსგავსების პრობლემას.

თავის მხრივ, ეს პრობლემა უკავშირდება როგორც ბაძვისა და საღმრთო ტრფიალების, ისე განღმრთობის („თეოზისი") პრობლემებს, ესოდენ ღრმადგინედ გამოძიებულს როგორც საკუთრივ პლატონისა, ისე მათი გენიალური მოწაფის პეტრე იბერიელის ნააზრევში.

პლატონი „რესპუბლიკაში" ეხება ღმერთისადმი კაცის დამსგავსების პრობლემას:

„...„სამართლიანობას ესწრაფვის და სათნოებაში გავარჯიშებული ღმერთს ემსგავსება, რამდენადაც ეს შესაძლებელია კაცისთვის" („სახელმწიფო", X, 613, a-b); „თუ კაცი მიეცემა სწავლის სიყვარულს, ჭეშმარიტად გონიერს მიესწრაფვება და სულის შესატყვის უნარს ყველა დანარჩენზე მეტად გაავარჯიშებს, იგი, ჭეშმარიტებას მიახლებული, მოიპოვებს უკვდავსა და ღვთაებრივ აზრებს, ესე იგი მოიპოვებს უკვდავებას იმ სისრულით, რა სისრულითაც კაცის ბუნებას ძალუძს მისი დატევა" („ტიმეოსი", 90, b); „ვისაც სურს სათნო ეყოს ღმერთს, უეჭველად მას უნდა დაემსგავსოს, რამდენადაც შესაძლოა. მაშასადამე, ვინც ჩვენ შორის კეთილგონიერია, ღმერთსაც ის ესათნოება, რამეთუ მსგავსია მისი" („კანონები", IV, 716, c).

მოხმობილ ციტატებში ამჯერად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ღმერთისადმი დამსგავსების შესახებ მსჯელობათა განუშორებლად თანმხლებ ფორმულაზე — „რამდენადაც შესაძლოა". ამ ფორმულას ხშირად მიმართავს აგრეთვე არეოპაგიტულ წიგნთა ავტორი:

„განღმრთობაჲ არს ღმრთისა მიმართი, რაოდენ დასატევნელ არს, მსგავსებაჲ და ერთობაჲ" (158,10); „და რაოდენ ძალ-უც, მსგავსებასა მისისა მიმართ დამსახვენ თავთა თჳსთა" (30,22); „...ღმრთისა მიმართი, რაოდენ მისაწვდომელ არს, მსგავსებაჲ..." (110,27); „...რაოდენ დაეტეოდის, ძალისაებრითა ღმრთის მსგავსებითა..." (138,10).

და, ვფიქრობ, დიდად საგულისხმო უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამავე პრობლემას ხშირად ულრმავდება და ამავე პლატონისეულ ფორმულას არაერთგზის უბრუნდება აგრეთვე დავით უძლეველი.[1] აქ საქმე გვაქვს უშუალოდ პლატონიდან მომდინარე ხაზთან, რომელიც არეოპაგიტულ წიგნთა ასპექტით უნდა იყოს ათვისებული დავით უძლეველის ნააზრევში.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ აგრეთვე დავით უძლეველის თხზულებაში („ფილოსოფიის განსაზღვრანი") წარმოდგენილ კიდევ ერთ დებულებაზე:

„ისევე როგორც მზის ნათელი თანაბარი ძალით აშუქებს ყველას, გარნა მხედველობის უძალობის გამო ზოგს ჭარბად ეჩვენება განათება, ზოგიერთს კიდევ უკმარისად, რამეთუ ერთნი ჯანსაღ თვალთა პატრონნი არიან, სხვანი კი — სნებოვანთა, და ზოგიერთს ნათელი ძლიერად ეჩვენება, ზოგსაც — სუსტად, სწორედ ასევე ღვთაებრივი ბუნება კ... არასოდეს

[1] Двид Анахт, Сочинения, стр. 67.

[1] შეადარეთ Сочинения გვ. 46, 49, 52, 54, 55, 57, 65, 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განეშორება და ყველას გამო თანაბრად ზრუნავს, გარნა აღმქმელის უძლურობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ აღმქმელი ვნებათაგან ვერ არის თავდახსნილი, მას ეჩვენება, რომ ღვთაებრივმა ბუნებამ თავი თვისი განიშორა მისგან"[1].

ღმერთის ბუნების განმარტება მზის მაგალითის მოშველიებით პლატონის თხზულებებიდან მომდინარეობს ევროპულ ფილოსოფიასა და რელიგიურ ფილოსოფიაში. ამავე სიმბოლოს მიმართავდნენ ნეოპლატონელნიც. მაგრამ განსაკუთრებული ბალიშით მას იყენებდა არეოპაგიტულ წიგნთა ავტორი. დიდად საგულისხმოა ამ მხრივ პეტრე იბერიელის თხზულებებში არსებული ერთი ადგილი:

„აგრეთვე სახიერებისა ღმრთისა საჩინოჲ სახე, დიდი ესე და ყოვლად ბრწყინვალე და მარადის მნათობი მზე, მრავალ-სასმენელობისაგან ნეშტიღა არს ხმისა სახიერებისაჲ; და ყოველსავე განანათლებს, რაოდენსა ძალ-უც მიღება ნათლისა მისისაჲ, და ზეშთა ყოველთა განფენილად აქვს ნათელი თვისი, ამისთვის ყოველსავე ზედა ხილულსა გარდააფენს და ზედა-ქვე მიაწევს ბრწყინვალებასა თვისთა შარავანდედთასა. ბოლო რომელი რაჲ ვერ მიიღებს ნათელსა მისსა, ესე არა უძლურებისაჲ არს, არცა სიმცირისა ნათელთმიმცემლობისა მისისაჲ, არამედ უმარჯობისაგან ნათელთმიმღებელთაჲსა, რომელთა ვერ განიმარტეს მიღებად ნათლისა, ვინაჲცა მრავალთა უმარჯობისა მქონებელთა თანა-წარჰხდა შარავანდედი და შემდგომნი მათნი განანათლნა. და არცა ერთი არს ხილულთაგანი, სადა-იგი არა მიიწევის ზეშთაგარდარეულითა სიდიდითა თვისთა ბრწყინვალებათაჲთა" (32,30–33,10).

ჩემთვის ხელმისაწვდომ ნეოპლატონურ ტექსტებში არ მეგულება ისეთი ადგილი, სადაც ამგვარად ზედმიწევნით მეორდებოდეს ცალკერძ პეტრე იბერიელისა და ცალკერძ დავით უძლეველის შრომაში წარმოდგენილი ეს მსჯელობა. მსგავს თანხვედრას პლატონის ვერც ერთ დიალოგში ვერ ვპოვებთ აგრეთვე. აქედან კი მხოლოდ ორგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ან მსგავსი ტექსტი არსებობდა რომელიმე ნეოპლატონელის თხზულებაში და ცალკერძ პეტრე იბერიელმა და ცალკერძ დავით უძლეველმა თანაბრად ისარგებლეს ამ ტექსტით, ან კიდევ მსგავსი რამ სხვაგან არ იპოვებოდა და დავით უძლეველს უშუალოდ პეტრე იბერიელის ტექსტის პერიფრაზი წარმოუდგენია. ასეა თუ ისე, თანხვედრა აშკარაა და შემდგომმა კვლევა-ძიებამ უნდა დააზუსტოს: ორივე მოაზროვნე საერთო წყაროს ემყარებოდა, თუ წყარო ერთი იყო მხოლოდ — პეტრე იბერიელის თხზულება, საიდანაც მომდინარეობს დავით უძლეველის შესატყვისი მსჯელობა.

ჩვენი დაკვირვებით, აქ მოტანილი მაგალითებით შემოიფარგლება პეტრე იბერიელისა და დავით უძლეველის თხზულებებში არსებულ იდეათა და დებულებათა აშკარა თანხვედრის შემთხვევები.

ყოველივე ამასთან ერთად, პეტრე იბერიელისა და დავით უძლეველის სააზროვნო გზები სულ სხვადასხვა მხარეს წარიმართა.

პეტრე იბერიელი მეტაფიზიკურსა და რელიგიურ-ფილოსოფიურ საკითხებს ამუშავებდა და საბოლოოდ შექმნა საკვირველი რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა, რომლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ჭეშმარიტად ძნელია და რომელმაც წარუხოცელი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეთა ევროპულ აზროვნებასა და კულტურაზე რენესანსის ჩათვლით.

დავით უძლეველს გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანები ჰქონდა დასახული და, მართალია, ეს ამოცანები ჩინებულად, საქმის ცოდნითა და მახვილგონიერებით შეასრულა, მაინც მისი ნააზრევის მნიშვნელობა ლოკალურ ფარგლებს არ გასცილებია. ამას, სხვა რომ არაფერი, განაპირობებდა დავით უძლეველის მოღვაწეობის კომენტატორული ხასიათი. მოგვიანო ხანის სხვა ნეოპლატონელთა მსგავსად, იგი მოწოდებული არ ყოფილა რაიმე თვალსაჩინო სიახლით გაემდიდრებინა ფილოსოფიური აზრი. მისი საქმიანობა უკვე დამუშავებულ პრობლემათა სისტემაში მოყვანით, კომენტირებითა და მკითხველთათვის მისაწვდომ ფორმაში წარმოდგენით შემოიფარგლებოდა. მეტაფიზიკური საკითხები მას ისევე ნაკლებად აინტერესებდა, როგორც პეტრე იბერიელს — ლოგიკის ნიუანსები.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ მკვლევარ ს. არევშატიანის შეხედულება დავით უძლეველის მოღვაწეობის შესახებ:

«Наследие Давида охватывает почти все страсли философии того времени — онтологию, гносеологию, учение о душе (психологию), логику, эстетику, этику. Следует сказать, что все они в той или иной мере затронуты у предшествовавших армянских мыслителей — Маштоца, Езника, Егишэ, Давида Каракана, Мовсеса Хоренаци»[1].

ზემოთაც ითქვა, რომ ს. არევშატიანი სჩადის ერთ უცნაურ რამეს: ნაცვლად იმისა, რომ იკვლიოს — რა არის ორიგინალური დავით უძლეველის უმთავრეს ნაშრომში „ფილოსოფიის განსაზღვრანი", იგი ამ ნაშრომში პლატონისა და არისტოტელეს კონსპექტურად წარმოდგენილ დებულებებს დავით უძლეველს მიაწერს განუკითხავად. მისი შეხავალი წერილის მიხედვით ფილოსოფიის პოპულარიზატორის ნაცვლად ჩვენს წინაშე წარმოდგება ფილოსოფიური მოძღვრების შემქმნელი პიროვნება. ამას ისიც ემატება, რომ მკვლევარი საქმეს ამგვარად ხატავს, უფრო

1 იქვე, გვ. 61.

1 დასახელებული წიგნი, გვ. 16.

მკითხველს შესაძლოა შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს მაშთოცი, მისი ხორენელი და მათთან ერთად ნახსენები სხვა მოღვაწენი ნამდვილი ფილოსოფოსნი ყოფილიყვნენ.

საგულისხმოა, რომ ეს გულუბრყვილო ტენდენცია (დავით უძლეველის დახატვა უნივერსალური ფილოსოფიური მოძღვრების შემქმნელ პირად, ფილოსოფოსების რანგში არაფილოსოფოსთა აყვანა) უმალვე აშკარავდება, როგორც კი მკვლევარი შეეხება საკითხს — მაინც რით განსხვავდება დავით უძლეველის ფილოსოფიური მოძღვრება მის წინამორბედ ჩამოთვლილ მოღვაწეთაგან? პასუხი:

«Однако существенное отличие Давида Анахта от них заключается в том, что в каждой отрасли философской науки он превзошел своих предшественников как по уровню профессиональной научной постановки освещаемых проблем, так и по их охвату и объему...»[1].

კარგი დღე დაუდგება ფილოსოფიის ისტორიას, თუ მოაზროვნეთა ერთიმეორისაგან გამოსარჩევ კრიტერიუმად „გასაშუქებელ პრობლემათა პროფესიული მეცნიერული დაყენების დონე და მათი მოცვა“ იქნა მომარჯვებული! ამგვარი შედეგი მოსდევს შუა საუკუნეთა ყოველი მწიგნობარის ფილოსოფოსად დახატვის ტენდენციას.

ოღონდ ერთ რამეში კი უეჭველად სწორია მკვლევარი ს. არევშატიანი. უკეთ რომ ვთქვათ, სწორად იმეორებს პროფ. ვ. ჩალოიანის მიერ ადრევე (1946 და 1959 წლებში) გამოთქმულ შეხედულებას, რომ დავით უძლეველის, როგორც ფილოსოფოსის, ინტერესები ხშირად ემიჯნება ნეოპლატონიზმსაც და საკუთრივ პლატონის მოძღვრებასაც და არისტოტელიზმის მძლავრ გავლენას ამჟღავნებს. ს. არევშატიანი წერს:

«Рационалистическая этика Давида, еще не выходящая за рамки неоплатонизма, существенно отличается от религиозно-мистической этики основных представителей неоплатонизма, в частности Плотина, Ямвлиха, Сириана и Прокла с их теургией, мистическим стремлением к овладению божественными силами и слиянию с ними. В этом опять-таки сказывается различие между римско-афинским и сирийским течением неоплатонизма, с одной стороны, и Александрийской школой с другой, школой, испытавшей сильнейшее влияние перипатетизма, с его рационалистическими и здравыми научными тенденциями»[2].

ეს ამონაწერი დავით უძლეველის ეთიკას ეხება, მაგრამ თავისუფლად შეიძლება მისი გავრცელება მთელ მის ნააზრევზე. მართალია, დავით უძლეველის თხზულებებში, როგორც ზემოთაც ითქვა, შეინიშნება ზოგიერთი პლატონური ელემენტი, მართალია, იგი ხშირად სათანადოთ მოუწყავს პლატონის ხედვებს, შესატყვისი პატივითაც მოიხსენიებს ხოლმე ხშირად (ერთი ამონაწერი „პორფირიუსის „შესავლის“ განმარტებიდან: „...არა ხამს პლატონის შეხედულებათა უგულებელყოფა, იმ პირისა, ვინც ფილოსოფია მოავლინა ქვეყნად...“), ამასთან, როგორც საერთოდ ნეოპლატონელებს სჩვევიათ, ცდილობს ხოლმე მოარიგოს, ერთიმეორეს შეუგუოს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებები, მაინც მისი სიმპათიები, როგორც აღინიშნა უკვე, ძირითადად არისტოტელესკენ იხრება.

ამასვე ერთხმად (და ერთგვარი თავმოწონებითაც) აღნიშნავენ დავით უძლეველის მემკვიდრეობის მკვლევარნი. მათი შეხედულებით პერიპატეტელთა მძლავრი გავლენა და არისტოტელური რაციონალიზმისკენ მიდრეკილება ის საფუძველი იყო, რომელმაც თავად დავით უძლეველის მატერიალისტური მიდრეკილებები გამოავლინა და აგრეთვე სომხური ფილოსოფიური აზრის პროგრესული ტენდენციები განავითარა შემდგომში. ს. არევშატიანი იმასაც აღნიშნავს: დავითის მოძღვრება უნივერსალიების შესახებ XIII-XIV საუკუნეთა სომხური ნომინალიზმის წყაროდ იქცაო. საგულისხმოა აგრეთვე ვ. ჩალოიანის ნაშრომში დაცული მოსაზრება: პლატონის მოძღვრება დიოფიზიტებს გამოადგებოდათ თავიანთ შეხედულებათა დასასაბუთებლად, ხოლო არისტოტელესი — მონოფიზიტებსო, და შემდეგ:

«Хорошо известно, что аристотелизм не может служить делу обоснования диофизитства»[1].

ყოველსავე ამას ის ფაქტიც უნდა დაემატოს, რომ დავით უძლეველის მკვლევართა სავსებით მართებული დაკვირვების თანახმად, მისი თხზულებები მკვეთრად გამოხატული სინკრეტული ხასიათის მქონეა.[2] ეს სინკრეტიზმი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა მისი მემკვიდრეობის გაცნობისას. ძნელიც კია დავით უძლეველის მსოფლმხედველობაზე საუბარი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. მით უმეტეს, ვ. ჩალოიანი ამგვარ მოსაზრებასაც გამოთქვამს: ისევე როგორც გვიანი ხანის სხვა ალექსანდრიელ მოღვაწეთა შემთხვევაში, დავით უძლეველის შრომების გაცნობისას ძნელი სათქმელიც კი არის, ქრისტიანის დაწერილია ეს შრომები თუ წარმართისო.

ასეა თუ ისე, ჩვენს წინაშეა მოღვაწე, რომელსაც პლატონისა და ნეოპლატონიზმის ხელშესახები გავლენაც განუცდია, შესაძლოა არც ქრისტიანული მსოფლგაგება ყოფილა მისთვის უცნობი, ოღონდ განსაკუთრებით და უპირატესად ეს არის ლოგიკისა და გნოსეოლოგიის საკითხთა გამომაძიებელი არისტოტელიკოსი, უწინარეს ყოვლისა — არისტოტელიკოსი. დავით უძლეველის მკვლევარნი საკმაოდ საჩოთირო მდგომარეობაში

1 იქვე, გვ. 10-11.

2 იქვე. გვ. 18-19.

1 Философия Давида Непобедимого. გვ. 86

2. შდრ. ვ. ჩალოიანი. გვ. 69 ს. არევშატიანი, გვ. 11,17, 27.

იყენებენ თავს, რომლებიც, ერთი მხრივ, ცდილობენ დაამტკიცონ V-VI საუკუნეთა სომხეთში ნეოპლატონიზმის არსებობა და საამისოდ ერთადერთი საბუთი აქვთ — დავით უძლეველის შრომები, ხოლო, მეორე მხრივ, ირკვევა, რომ თვად ნეოპლატონელობა დავით უძლეველისა საკმაოდ საეჭვო ამბავია, ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ მოხმობილი ფაქტები ერთობ მერყევ საფუძველს ქმნიან საამისოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გახსენება საჭირო იყო იმის ნათელსაყოფად, რომ, მიუხედავად ცალკეული ერთობ ძლიერი გავლენების, გატაცებების და სიმპათიებისა, დავით უძლეველის მიერ არჩეული გზა მომავლისთვის გამორიცხავდა როგორც საკუთრივ პლატონის, ისე არეოპაგიტულ წიგნთა შემქმნელის მსოფლმხედველობებთან შეხვედრის წერტილებს. იმდროინდელ ფილოსოფიურ ძიებათაგან არისტოტელური ლოგიციზმი ყველაზე ნაკლებად მიესადაგებოდა არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის სულიერ ლტოლვას და, თავის მხრივ, ამ წიგნთა ავტორის ამაღლებული მეტაფიზიკა ასევე ნაკლებ მიმზიდველი უნდა ყოფილიყო არისტოტელეს მიმდევარი ნაფიცი ლოგიკოსისთვის.

აქ წინა პლანზე წარმოდგება უკვე სხვა პრობლემა, პეტრე იბერიელისა და დავით უძლეველის მსოფლმხედველობათა უშუალო მიმართებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი, უფრო სწორად — ამ მიმართებიდან გამომდინარე. სახელდობრ: რა როლი შეასრულა ცალკერძ პეტრე იბერიელისა და ცალკერძ დავით უძლეველის ნააზრევმა თავთავის ქვეყანაში ფილოსოფიური აზრის განვითარების მხრივ (რამდენადაც, როგორც ითქვა, ორივე მათგანი თავთავის ქვეყანაში ფილოსოფიური საქმიანობის ფაქტიურ ფუძემდებლად მოგვევლინა).

ამ პრობლემასთან მისაახლებლად მცირე წიაღსვლა იქნება საჭირო.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ, თუ, ერთი მხრივ, პლატონის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე იდეალისტურ ნაკადს დაპირისპირებული არისტოტელესეული მატერიალისტური ტენდენციები ხელს უწყობდნენ პროგრესული ფილოსოფიური ხაზის განვითარებას მეორე მხრივ, პლატონის მოძღვრება მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ასულდგმულებდა რელიგიურ ფილოსოფიას უმრავლეს ქრისტიანულ ქვეყნებში. ხოლო შუა საუკუნეებში, ქრისტიანობის ტოტალური ბატონობის პირობებში, რელიგიური ფილოსოფია ის იდეოლოგიური საყრდენი იყო, რომელსაც ემყარებოდნენ კულტურის უმთავრესი გამოვლინებანი. შესაძლოა ერთი შეხედვით პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ სწორედ პლატონის მოძღვრების მიმზიდველობითაც შეიქნა შესაძლო დაძლეულიყო ის დუალიზმი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წყევლასავით სდევდა ქრისტიანულ რელიგიურ ფილოსოფიას, უკეთ — ცალმხრივად გაგებული ქრისტიანობის ორთოდოქსულ გამოვლინებას. პარადოქსულად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თავად ამ დუალიზმის აღმოცენებას თავის დროზე პლატონის მოძღვრების მცდარად გააზრებამაც შეუწყო ხელი.

კარგად არის ცნობილი ამ დუალიზმის არსება: სოფლისა და ზესთასოფლის მკვეთრი დაპირისპირება და უნუგეშო გათიშვა, რაიც საბოლოოდ კულტურის გამოუვალ კრიზისს მოასწავებდა. თავად ქრისტიანობის წიაღში ეს დუალიზმი სხვადასხვა ხარისხითა და ფორმით ვლინდებოდა. კერძოდ, დუალიზმის ფანატიკურად გამახვილებული სახეობა ქრისტიანობის იმ ფრთას შეესატყვისებოდა, რომელიც მონოფიზიტობის სახელით არის ცნობილი, შედარებით უფრო შერბილებული და შემწყნარებლური — დიოფიზიტობას. არასგზით შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ ძირითად კულტურულ ფასეულობათა შემქმნელ ქრისტიანულ ქვეყნებში მონოფიზიტ-დიოფიზიტთა გაამწვავებული ბრძოლა უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კულტურული აღმავლობის თითქმის ყოველგვარი პერსპექტივა დიდი ხნით დაეხშობოდათ ამ ქვეყნებს.

შეუძლებელია აქ არ მოგვაგონდეს, რომ პეტრე იბერიელი თანამედროვეთა მიერ ხშირად მონოფიზიტად იხსენიებოდა და შემდგომშიც ეს ბრალდება არაერთხელ წაუყენებიათ მისთვის. შუა საუკუნეებში კი არა, სულ ახლახანს აკად. კ. კეკელიძე შ. ნუცუბიძესთან პაექრობისას პეტრე იბერიელის მონოფიზიტობას ერთ-ერთ უმთავრეს საბუთად იშველიებდა.

მაგრამ სინამდვილეში პეტრე იბერიელის მონოფიზიტობა აგრე იოლად დასასაბუთებელი არ არის. შუა საუკუნეებში ორივე მოკამათე მხარე მას თავის თანამოაზრედ სახავდა და ცდილობდა მისი ავტორიტეტიც და ნაღვაწიც საკუთარი, ვიწრო სექტანტური მიზნებისთვის გამოეყენებინა.

იგივე ითქმის მისი შრომების შესახებ. მოპაექრე მხარეებმა ამ შრომათა თავთავიანთი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებაც სცადეს, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და არც უნდა გამოსულიყო, ცხადია. არეოპაგიტული თხზულებები სექტანტურ წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებზე მაღლა იდგა და სექტანტურ ქიდილში მათი ჩათრევის ცდა მათსავე შებღალვას ნიშნავდა მხოლოდ. როგორც პავლე მოციქულის ეპისტოლეთა გამო ვერ იტყვის კაცი — მონოფიზიტის მიერ არის დაწერილი ეს ეპისტოლეები თუ დიოფიზიტის მიერ, ისევე შეუძლებელია ამის თქმა არეოპაგიტულ წიგნთა გამო.

ეს ასეა, მაგრამ იმ კონკრეტულ ვითარებაში, V-VI საუკუნეთა საქართველო რომ აღმოჩნდა, და აგრეთვე მომავალი პერსპექტივის თვალსაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რომელ გზას აირჩევდა ქართული ეკლესია— მონოფიზიტობას თუ დიოფიზიტობას. ცნობილია, რომ ამ ორ ბანაკს შორის ბრძოლა საქართველოში საკუთრივ ბიზანტიაზე არანაკლები სიმძაფრით მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის შედეგიც გვახსოვს: VII საუკუნის დამდეგს ქართული ეკლესია ოფიციალურად მიემხრო დიოფიზიტობას და საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიასთან.

ოღონდ აქ უეჭველად გვმართებს ყურადღების გამახვილება შემდეგ გარემოებაზე: მართალია, ქრისტიანობის დიოფიზიტურ ფრთას ნაკლებად ახასიათებდა წრესგადასული ფანატიზმი და ველური, შინაგანად გამომშრალი, ყოველგვარ სასიცოცხლო საწყისს მოწყვეტილი ასკეტიზმი, მაინც სოფლისა და ზესთასოფლის დუალიზმის გადაულახავი პრობლემა და ამ ნიადაგზე სოფლის, ხილული სამყაროს, მატერიალურის „ბნელად" და „ბოროტად" დასახვა დიოფიზიტურ ქრისტიანობასაც უსპობდა კრიზისისგან თავის დახსნის პერსპექტივას. ამ პრობლემის მართებულად გადაჭრის გარეშე საბოლოო ხულიერი დეპრესია გარდუვალი იყო.

ჩვენს მეცნიერებაში არაერთხელ ყოფილა საუბარი იმის შესახებ, რომ ხსენებული კრიზისიდან გამოსავალი შუა საუკუნეთა ვითარებაში არეოპაგიტულმა მოძღვრებამ დაუსახა ქრისტიანულ სამყაროს. ამჯერად აუცილებელი არ არის ცნობილ დებულებათა განმეორება. ამჯერად მთავარია იმ ფაქტის გახსენება, რომ ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრი იმთავითვე არეოპაგიტულ გზას გაჰყვა და ამ გზის ზენიტს რუსთაველის მსოფლმხედველობით მიაღწია.

თუ ამ ფონზე განვიხილავთ დავით უძლეველის მოღვაწეობის შედეგებს, წინასწარვე ცხადი უნდა იყოს, რომ ამ თავისთავად მნიშვნელოვან მოაზროვნეს არასგზით არ შეეძლო რაიმე მხგავსი მისია ეტვირთა. უკვე ზემოთ აღნიშნული თვისება ამ მოაზროვნისა — მეტაფიზიკური საკითხებისთვის გვერდის ავლა, სინკრეტიზმი, შეიძლება ითქვას, ეკლექტიზმიც — წინასწარ გამორიცხავდა საიმისო პერსპექტივას, რომ მისი ნააზრევი რაიმეში წასდგომოდა შუა საუკუნეთა უმთავრესი მსოფლმხედველობრივი პრობლემის — სოფლისა და ზესთასოფლის დუალიზმის დაძლევისათვის მოღვაწეობას (თუკი საერთოდ შესაძლოა ამგვარი მოღვაწეობის გამო სიტყვის ჩამოგდება შუა საუკუნეთა სომხეთის ვითარებაში; ხოლო ამგვარი მოღვაწეობის გარეშე ვერც ერთი ქრისტიანი ერი ვერ ეზიარებოდა კულტურის ისეთ სიმაღლეს, რომელსაც „მსოფლიო [illegible]" [illegible] ამ კულტურის [illegible]ნა).

რაღა თქმა უნდა, დავით უძლეველის მემკვიდრეობას, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, თვალსაჩინო გავლენა იქონია მომდევნო ეპოქათა [illegible] მოაზროვნეებზე და, ამდენად, ხელი შეუწყო შუა საუკუნეთა სომხური კულტურის განვითარებას. მაგრამ ამ არისტოტელიკოსი ლოგიკოსის ნაშრომებში არ ფეთქავდა ის სასიცოცხლო ძვრიტა თუ მუხტი, რომელიც გაღვივების შემთხვევაში ლოკალურ, ეთნოგრაფიულ საზღვრებს გადაალახვინებდა შუა საუკუნეთა სომხურ კულტურას, მით უმეტეს, რომ მონოფიზიტობის მარწუხებში მოქცეულ სომხურ ქრისტიანობას უკვე ველარაფერს წაადგებოდა ის ვითომცდა მატერიალისტური ტენდენციები, მკვლევარნი რომ გულმოდგინედ ეძიებენ ცალკერძ დავით უძლეველის შრომებში და ცალკერძ თითქოსდა არისტოტელიზმის მეშვეობით დასაბუთებულ მონოფიზიტობაში. ამ მკვლევარებს აზრადაც არ მოსდით, რომ, თუკი მონოფიზიტობის დასაბუთება მართლაც არისტოტელიზმით არის შესაძლო, ხოლო დიოფიზიტობისა — პლატონის მოძღვრებით, და, ამასთან, თუკი ისტორიულ თვალსაზრისს დავადგებით (სხვაგვარი თვალსაზრისი კი გამორიცხული უნდა იყოს შუა საუკუნეთა ქრისტიანული კულტურების კვლევისას), უაღრესად რეაქციული აღმოჩნდება სწორედ არისტოტელეს სააზროვნო მემკვიდრეობა, ხოლო პროგრესული და კულტურის აღმავლობისთვის ხელის შემწყობი — პლატონის მსოფლმხედველობა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს. მკვლევარი ვაზგენ ჩალოიანი ნაშრომში „სომხური ფილოსოფიის ისტორია", აკად. შალვა ნუცუბიძის „აღმოსავლური რენესანსის" იდეით სტიმულირებული (თუმცა იმავე შალვა ნუცუბიძის არც ერთხელ არ მომხსენიებელი!), აღძრავს „სომხური რენესანსის" პრობლემას. თავისთავად ეს ფაქტი მისასალმებელი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა: რენესანსული სულისკვეთების დანერგვის ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მკვლევარს მიაჩნია ტონდრაკისტების მწვალებლური მოძრაობა. როგორც ჩანს, მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა აკად. შალვა ნუცუბიძის ნაშრომებში ადრევე გამოთქმულმა მსგავსმა მოსაზრებამ და ბოლომდე აღარ ჩაუღრმავდა იმ საკითხს, რომ, თუ რენესანსი წარმოუდგენელია სოფლისა და ზესთასოფლის დუალიზმის დაძლევის გარეშე (როგორც უნდა აიხსნას ეს დაძლევა — ზესთასოფლის „მოხსნით", მსგავსად შ. ნუცუბიძის კონცეფციისა, თუ სოფლისა და ზესთასოფლის ჰარმონიული შერწყმით ქრისტიანული იდეოლოგიის ფარგლებიდან გაუსვლელად ანტიკური სიბრძნის საფუძველზე), აბსოლუტური ნონსენსია რენესანსთან დაკავშირებით ხსენება იმ მოძღვრებისა, ტონდრაკიზმისა, რომელშიც არამცთუ ქრისტიანული დუალიზმი არ იყო დაძლეული, არამედ მანიქეიზმის ბედითი გავლენის შედეგად სამყაროს შემოქმედი ორი საწყისი იყო მიღებული — ცალკერძ კეთილი და ცალკერძ ბოროტი.

მკვლევარის შეცდომა იმითაც არის გამოწვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, რომ მან შუა საუკუნეთა სომხურ სინამდვილეს მექანიკურად მიუსადაგა ენგელსის ცნობილი დებულება ერეტიკულ მოძრაობათა როლის შესახებ. მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიის ცნობილ დებულებათა სწორედ ამგვარივე მექანიკური გადმოღებაა ზემოთაც მოხსენიებული თვალსაზრისი დავით უძლეველის მემკვიდრეობის მკვლევარებისა, რომლის თანახმადაც მონოფიზიტობის ჩარჩოებში მომწყვდეულ არისტოტელიზმს თითქოს შეეძლო პროგრესული როლი შეესრულებინა აზროვნებისა და კულტურის განვითარებაში.

## მინაწერი

ეს ნაშრომი შესრულებულია 1976-77 წლებში მას შემდეგ დავით უძლეველის ირგვლივ შეიქმნა ახალი ლიტერატურა, უმთავრესად მის ათასხუთასწლოვან იუბილესთან დაკავშირებული. ეს იუბილე 1980 წლის მაისში დიდებულად გადაიხადა სომეხმა ხალხმა. სხვებთან ერთად მეც მხვდა წილად პატივი მონაწილეობა მიმეღო საიუბილეო დღეებში და მოხსენებაც წამეკითხა — „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობასთან დავით უძლეველის მიმართების საკითხისათვის" (ზემოთ წარმოდგენილი ნაშრომის შეკვეცილი ვარიანტი).

ამ მოხსენების რუსული ტექსტის მომზადებისას ხშირად მაგონდებოდა ის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია, სომხურმა მეცნიერებამ რომ დაიკავა პეტრე იბერიელად საგულვებელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნააზრევთან დავით უძლეველის რაიმე მხრივ დაკავშირების შესაძლებლობის მიმართ (ამგვარი კავშირის საკითხი, როგორც ზემოთ ვნახეთ, აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ აღძრა). ამის გამო ზოგჯერ ეჭვიც გამკრავდა ხოლმე: მართალია, ჩემი დაკვირვებების მიხედვით, ორად-ორი შემთხვევა მიიკვლევა ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და დავით უძლეველის ნააზრევის თანხვედრისა, სხვა მხრივ კი ამ მოღვაწეთა მსოფლმხედველობა ძირეულად განსხვავდება ერთიმეორისაგან, მაგრამ ვაითუ სომეხ მეგობრებს მაინც უსიამოვნოდ დაურჩეთ ჩვენეული, ქართული პრობლემების მათთვის ხელახალი მიძალება, მით უმეტეს — საიუბილეო დღეებში-მეთქი.

ერევანში ჩასვლისთანავე ეს ეჭვი სავსებით გამიქარწყლდა. სომეხი კოლეგები ჩემი მოხსენების ტექსტს უკვე იცნობდნენ (საიუბილეო სამეცნიერო სესიის ყველა მონაწილეს მზად დაგვახვედრეს ჩვენ-ჩვენ მოხსენებათა ტექსტები. შესაშური ოპერატიულობით დაბეჭდილი რუსულად და ინგლისურად), მაგრამ უკმაყოფილების ნიშანწყალიც ვერავის შევამჩნიე. პირიქით, მანამდეც და მოხსენების წაკითხვის შემდეგაც, სხვა მომხსენებლებთან ერთად, მეც არაერთხელ მოვისმინე მადლიერების გამომხატველი სიტყვები.

დავით უძლეველის იუბილესთან დაკავშირებით დიდძალი ლიტერატურა გამოიცა ერევანსა და მოსკოვში. აქ, საიუბილეო-სამეცნიერო მოხსენებათა გარდა, არის მოზრდილი გამოკვლევები, აგრეთვე საკუთრივ დავით უძლეველის თხზულებები (როგორც სომხურად, ისე რუსულად) შესავალი წერილებითურთ. ამ სოლიდური ლიტერატურის პირველი გადათვალიერებისას შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ახალ გამოკვლევებში იმგვარი არაფერი დაწერილა, რაც მაიძულებდა გადამეხედა თუ გადამესინჯა 1976-77 წლებში შესრულებული ჩემი ნაშრომი.

ოღონდ ჩემი შთაბეჭდილება რუსულად დაბეჭდილ გამოკვლევებს ემყარებოდა მხოლოდ. ამიტომ ერთ ერევნელ მეგობარს ვთხოვე ემცნო ჩემთვის — სომხურად გამოქვეყნებულ ნაშრომებში თუ იყო რაიმე საგულისხმო სიახლე. ინფორმაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

1980 წელს ერევანში სომხურად გამოცემულა წიგნი: დავით უძლეველის ფილოსოფიური თხზულებანი, წინასიტყვა ს. არევშატიანისა. ამ წინასიტყვაში, 19-23-ე გვერდებზე, ს. არევშატიანი თურმე შემდეგს წერს სიტყვასიტყვით (სომხური ტექსტი ჩემი თხოვნით თარგმნა მკვლევარმა ზაზა ალექსიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ):

„დავითის შრომების შესწავლისას ჩვენ შევამჩნიეთ, რომ დავით ანჰაღთის და დიონისე არეოპაგელისადმი მიწერილ თხზულებებში არის შეხედულებათა გარკვეული ერთობა და ზოგჯერ იგივეობა. როდესაც დავითის „განსაზღვრათა წიგნს" შევადარეთ არეოპაგელის „ზეციური იერარქიისათვის", ჩვენი ყურადღება იმ გარემოებამ მიიპყრო, რომ უკანასკნელი წამოჰყრის იმავე იდეებს, რასაც დავითი თავის „განსაზღვრათა წიგნში". მათგან საგანგებოდ მოხსენიების ღირსია ის აზრი, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დავითი, როდესაც განსაზღვრავს ფილოსოფიის მიზანს და ხასიათს. დავითის მიხედვით, ფილოსოფიური ცოდნა ადამიანს ეხმარება შეიმეცნოს ღვთაების მიერ შექმნილი ბუნება, მიუახლოვდეს და მისწვდეს მის შემოქმედსაც, ხილული შემეცნების საშუალებით შეიცნოს უხილავი, მეტაფიზიკური, ვინაითგან ასეთია ჩვენი გონების ბუნება და უნარი. ამისათვის დავითი ყოფს თეორიულ ფილოსოფიას: ფიზიკა, მათემატიკა და ღვთისმეტყველება. თავდაპირველად გამოიკვლევს რა ბუნებას, შემდეგ მხოლოდ აბსტრაქტული აზროვნების, მათემატიკის საშუალებით შეუძლია ჰრძენს ხიდი გასდოს გრძნობადსა და ზეგრძნობადს შორის და გადავიდეს ღვთისმეტყველებაზე. ამასვე [illegible] არეოპაგელი და ამტკიცებს, რომ „ამის [illegible] ჩვენი ბუნების თვისებაა ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უშუალოდ ავმაღლდეთ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეცნებამდე"... როგორც ვხედავთ, იდეების იგივეობა ცხადია. დავით ანჰალთი „განსაზღვრათა წიგნში" ბევრჯერ ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ ფილოსოფიის მიზანია „კაცი შეძლებისამებრ" დაემსგავსოს ღმერთს, რომ ფილოსოფოსი ის კი არ არის, ვინც ძალიან ბევრი იცის და ძალიან ბევრი რამის შესახებ შეუძლია მსჯელობა, არამედ ის, ვინც წმინდად და მოციქულებრივად ცხოვრობს, ვინც ცდილობს დაემსგავსოს უმაღლეს არსებას, ღმერთს. ამასვე ამტკიცებს დიონისე არეოპაგელი.

იდეების ეს შეხვედრა და თანხვედრა რომ შევნიშნეთ, განვაგრძეთ ძიება. იქნებ დავითის შრომებს კავშირი აქვთ არეოპაგიტულ თხზულებებთან? იქნებ ჩვენს მიერ შენიშნული თანხვედრნი გარკვეულ საფუძველს გვაძლევენ არეოპაგიტული ლიტერატურის დროს ხიმწიფის ასაკში მყოფი დავით ანჰალთის ავტორობის შესახებ სალაპარაკოდ?

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ ჰიპოთეზის განმამტკიცებელმა ერთმა საკვირველმა ფაქტმა. როგორც ცნობილია, არეოპაგიტული ლიტერატურის სომხური თარგმანი უძველესია მსოფლიო მწერლობაში. იგი შესრულებულია 716-717 წწ. ცნობილი სომეხი მწიგნობრის სტეფანე სივნიელის მიერ. ჩვენამდე მოაღწია ამ თარგმანის მრავალმა ხელნაწერმა. და საკმაოდ უცნაურია, რომ არეოპაგიტული თხზულებებიდან ორის — „ზეციური იერარქიისათვის" და „საეკლესიო იერარქიისათვის" — ძველი სომხური ხელნაწერების თავების დასაწყისსა და ბოლოში მრავალ ადგილზე ასომთავრული ბერძნული ასოებით, წითელი და შავი მელნით, აღნიშნულია... „დავითი", „დავით გრეცავ", „დავით — ხრბუჲნ დიონისე" — „დავითის", „დავითმა დაწერა", „დავით — წმინდა დიონისეს". ჩვენ შევამოწმეთ ყველა უძველესი პირი როგორც ჩვენს მატენადარანში, ისე სამეცნიერო მივლინების დროს იერუსალიმში ადგილობრივ წმ. იაკობიანთა სომხური მონასტრის ხელნაწერთსაცავში. სურათი იგივეა: უძველეს ხელნაწერებში იგივე ბერძნული ასოებით ნაწერი მეორდება იმავე ადგილებში. ეს საყურადღებო ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ძველმა გადამწერებმა რაღაც იცოდნენ, ან მექანიკურად იწერდნენ ძველიდან მომდინარე ამ მრავალმნიშვნელოვან სათაურებს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ნათელია, რომ ძველად დიონისეს სახელს აკავშირებდნენ დავითთან. საყურადღებოა, რომ ეს ბერძნულასოებიანი წარწერები გვხვდება მხოლოდ ორ არეოპაგიტულ თხზულებაზე: „ზეციური იერარქიისათვის" და „საეკლესიო იერარქიისათვის", ხოლო სხვა ორის სათაურს არა აქვს ასეთი აღნიშვნა.

გარდა ამ ძველი ჩვენებებისა, რომლებიც მეორდება არეოპაგელის სომხურ სხვადასხვა მრავალ ხელნაწერზე, აგრეთვე იდეების თანხვედრისა, რომლებიც არის დავითის „განსაზღვრათა წიგნსა" და არეოპაგიტულ ლიტერატურას შორის, დიონისე არეოპაგელისა და დავით ანჰალთის ინიციალების თანხვედრა გვაფიქრებინებს, რომ შეიძლებოდა ამას საფუძველი მიეცა შეფარული ფსევდო-სახელის ასარჩევად.

არეოპაგიტული ლიტერატურის ავტორის საიდუმლოს ამოსახსნელად, ჩვენი აზრით, დავით ანჰალთის სახელს მეტი უფლება აქვს მიმოქცევაში ყოფნისა, ვიდრე ყველა დღემდე გამოთქმულ ჰიპოთეზას..."

ასე მარჯვედ შეიცვალა ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის პიროვნებათა იდენტობის ნუცუბიძე-ჰონიგმანისეული თეორია არეოპაგელისა და დავით უძლეველის იდენტობის არევშატიანისეული ჰიპოთეზით. შეიცვალა უწყინრად, უჩუმრად, ზედმეტი ხმაურის გარეშე. ხმაური კი არა, იმხელა იუბილეს მსვლელობის დროს კრინტიც არსად დაძრულა, ხმაც არავის გაუღია იმის თაობაზე, როგორი მასშტაბის საუკუნოვანი პრობლემა გადაჭრა თურმე ესოდენ მარტივად ს. არევშატიანის მოკრძალებულ წინასიტყვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრის ხსოვნას

გურამ ასათიანი თავის პროფესიაზე, შემოქმედებით მოწოდებაზე მხოლოდ იუმორით, თითქოსდა საკუთარი თავის დამამცირებელი რაიმე უცნაური ეპითეტით თუ უპასუხებდა ვისმეს. ყოველშემთხვევაში, გარეგნულად მაინც არ დაიმჩნევდა განაწყენებას, როცა ქართული მწერლობის რომელიმე „უხამსი სტუმარი" კადნიერად შეეხებოდა იმ სფეროს, რომელსაც შინაგან ძალთა დაძაბვით ემსახურებოდა იგი წლების მანძილზე. შემწყნარებლობა ხომ ზედაპირულ ვნებათა დათრგუნვით მოპოვებული მაღალი სულიერი კატეგორიაა.

რეალურად კი იგი მხოლოდ და მხოლოდ ძნელი ამოცანების გადაწყვეტას ისახავდა მიზნად და კრიტიკოსის მაღალ ღირსებასაც სწორედ ამ მიმართულებით გაწეული შრომით აფასებდა. მსოფლიო კონტექსტის გათვალისწინების გარეშე ქართულ მწერლობაზე საუბარი ფუჭ ჩხირკედელობად მიაჩნდა და მოძალებული პროვინციალიზმის ერთი უპირველესი მოწინააღმდეგე იყო. კარგად გრძნობდა ამ სენის ტოტალურ შემოტევას, რომელიც ზოგჯერ ცრუმეცნიერული ნიღბითაა აღჭურვილი, ხოლო ზოგჯერ კი ე. წ. ჟურნალისტური „სიმსუბუქით" აჭუჭყიანებს სულიერ ატმოსფეროს, გაგიკვირდებოდა კიდეც, ლიტერატურის წმინდა იდეალებისათვის ბრძოლაში გართული, როგორ იცლიდა წვრილფეხა ნადირთა შესამუსრავად, რომლებიც ტელევიზიის ეკრანიდან თუ ჟურნალ-გაზეთებიდან სარეველა ბალახებივით ურცხვად წამოყოფდნენ თავს. მისი მართალი სიტყვა ასეთ დროს გესლიანი და დაუნდობელი იყო.

გურამ ასათიანი მართლაც ელვარე ნიჭის პიროვნება იყო, ხოლო მისი შემოქმედება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სიტყვიერი ხელოვნების დარგებს შორის ყრუ სამანების გავლება უნიადაგო რამაა. მისი საუკეთესო წერილები თუ ესეისტური ჩანახატები თავისთავად მხატვრული ტილოებია, რომლებშიც ზოგჯერ კრიტიკული განხილვის ობიექტი ოდენ ბიძგის, მხატვრული იმპულსის დონეზე აღიქმება. მათში აშკარად დომინანტობს მისივე პიროვნული გამოცდილება და თვით სინამდვილიდან დაძრული შთაბეჭდილებები. მისი მაძიებელი გონება კი თანაბრად არჩევდა ძირითად ტენდენციებს და ამასთან ზუსტ დეტალებზე მინიშნებით ცხოვრებისეულ სუნთქვას ანიჭებდა თავის სათქმელს. ამიტომაც ხიბლავდა იგი მკითხველს თხრობის ოსტატობით და ეს უკანასკნელიც ასეთი ნდობით მიჰყვებოდა მას მისმიერვე წარმოსახული მხატვრული სინამდვილის შეცნობის გზაზე. ეს სინამდვილე კი არც მარტივი და არც ერთხელ და სამუდამოდ იყო გარკვეული. იგი არასოდეს ამარტივებდა მწერლურ ამოცანას და ხშირად ამოუხსნელი პრობლემების დასმით აღიზიანებდა მკითხველის შთაგონებას. უფრო ზუსტად, ეს მისი ერთი ნაცადი ხერხი იყო, პრობლემათა ძიების გზაზე იგი თანაზიარობის განცდით მუხტავდა მკითხველს და აქტიური აზროვნების დიდ სარბიელზე გამოჰყავდა იგი.

გურამ ასათიანის გახმაურებული წერილების ერთი საიდუმლოება ჩემი აზრით ესეც გახლავთ. ხოლო მათი ავტორის ესოდენ დიდი პოპულარობა ქართული კრიტიკული აზროვნების დიდი გამარჯვების აშკარა დასტური იყო.

ათეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა იგი როგორც მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი. თვალნათლივ იგრძნობოდა ზრდა და ფართო მასშტაბურ პრობლემებით მისი დაინტერესება. ამის ერთი უპირველესი ნიმუშია მისი გვიანდელი წერილების სერია „[illegible]", რომლებშიც [illegible] მახვილი დაკვირვების მთელი წყება წარმოდგენილი. გერონტი ქიქოძის საყოველთაოდ ცნობილი ესსეს, „ძველი იდეოლოგიის ფსიქოლოგიიდან" კვალდაკვალ გურამ ასათიანის აღნიშნული წერილები ქართული ხასიათის ძიების მშვენიერი ცდაა და ამასთან [illegible] ბული გრძნობით. მხატვრული თვალთახედვით შექმნილი წერილების [illegible] იმის [illegible] ისიც გამოწვევებს, რომ აქ ყოველი სტრიქონის მიღმა ახე მძლავრად ვამოსჭვის [illegible] ჟამს ნიღბული მათივე ავტორის [illegible] შეუპრალებელი [illegible] ერება ჩვენი ხალხის გაუტეხელი სულისა და ესთეტიკურ ღირებულებათა შეცნობის ცდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს გზაზე გურამ ასათიანის აღნიშნული წერილები, მე ამაში ღრმადა ვარ დარწმუნებუ-ლი, მნიშვნელოვანი მოვლენაა ეროვნული ფსიქოლოგიის და კულტურის ძირითადი მახა-სიათებლების შესწავლის მიმართულებით.

გურამ ასათიანის უდრეკი ნება სიტყვასთან ჭიდილში გაიხარჯა. რა ადვილად იკითხე-ბა მისი ყოველი სტრიქონი, სტილის როგორი სიამე აჯადოებს მკითხველს და როგორ მწა-რედ ცდება ის, ვინც ამ სილაღეს მის მართლაცდა მაღალ ნიჭიერებას მიაწერს მხოლოდ. უძილო ღამეებში იწრთობოდა ძვირფასი მადანი (ეს მისი საყვარელი სიტყვაა), რომელსაც მისი ავტორის დაჟინებული ვნებით რვალის სიმტკიცე უნდა გამოჰყოლოდა და აკი გამოჰ-ყვა კიდეც!

კატასტროფა კი ასე ულმერთოდ უახლოვდებოდა თურმე. შემპარავად, როგორც სიყ-ვარული, და დაუნდობელი, როგორც სიკვდილი. მაგრამ მან კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, რომ მისთვის, სილამაზე იყო ყველაზე დიდი სარწმუნოება, ხოლო არტისტიზმი — არსებობის ერთადერთი ფორმა. უფლებაც არ მოგვცა, რომ მის ახლობლებს თანაზიარო-ბის რაიმე ნიშანწყალი გამოგვეხატა. საუბარი კი ეხებოდა მხოლოდ საქმეს, ჩვენი მწერა-ლობის, ჩვენი ხალხის ხვალინდელ დღეს. იმას, რაც ჯერ კიდევ არ გაკეთებულა და უნდა გაკეთდეს კი... მოულოდნელად იშორებდა მნახველთა უნებურ, ისარივით მწველ მზერას და თანდათან საკუთარ ფიქრებში იძირებოდა.

„სათავეების" ავტორმა, როგორც ჩანს, ისიც შთააგონა საკუთარ თავს, რომ „სირცხ-ვილი არს" გადრეკა და სხვადქცევის გარდუვალ კანონს უმორჩილებდა სიცოცხლის დიდი სიყვარულის მწველ გრძნობას...

ხარბის ცაიშვილი

## აფხაზი მწერლების მეგობარი

დღეს ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებასთან ერთად აფხაზი მწერლები ღრმად არიან დამწუხრებულნი და განიცდიან ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მოამაგისა და საზოგადო მოღვაწის ძვირფასი გურამ ლევანის ძე ასათიანის უდროოდ დაკარგვას.

გურამ ასათიანის სახით საბჭოთა ლიტერატურამ დაკარგა ნიჭიერი, საკავშირო მასშ-ტაბით აღიარებული კრიტიკოსი, ამიტომ მისი დაკარგვა მძიმე დანაკლისია არა მხოლოდ ქართული ლიტერატურისათვის, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატუ-რისათვის.

გურამ ასათიანის ნათელი ნიჭიერების წყალობით, ქართული კრიტიკული აზროვნება მაღალ დონეზე ავიდა, ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერება კი ფართო ჰორიზონტით გა-იხსნა. იგი იყო ნათელი სულის ადამიანი, დიდად ერუდირებული, წრფელი გრძნობების გაბედული მაძიებელი, ყველასათვის გულისხმიერი მეგობარი.

ჩვენ, აფხაზი მეგობრები, განსაკუთრებულად ვართ მისი მადლიერნი. მან ბევრი რამ გააკეთა, რათა აფხაზური ლიტერატურა უფრო ახლობელი გამხდარიყო ქართველი მკითხ-ველისათვის, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ-აფხაზური ლიტერატურული კავში-რის განვითარების საქმეში. გურამ ასათიანი მრავალი წლის განმავლობაში საქმის ცოდ-ნითა და დიდი სიყვარულით ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არ-სებულ აფხაზური ლიტერატურის საბჭოს. იგი ხშირად ჩამოდიოდა ჩვენთან, აქტიურ მო-ნაწილეობას ღებულობდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

უკანასკნელ წლებში, როდესაც იგი რედაქტორობდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუ-ზიას", ძველებურად დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენს ეროვნულ ლიტერატურას.

ჩვენო ძვირფასო დაუვიწყარო მეგობარო გურამ! შენ იყავი აფხაზი მწერლებისათვის უახლოესი მეგობარი. როდესაც შევიტყვეთ შენი ულვთო ავადმყოფობის ამბავი, ძლიერ განვიცადეთ, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდით და რა ძნელი შეიქნა შეგუება იმ სა-მწუხარო ცნობისა, რამაც გააჩერა შენი კეთილი, დიდი, ამაყი გული.

ჩვენო ძვირფასო გურამ, გემშვიდობებით, მაგრამ არასოდეს არ დაგივიწყებთ.

კონსტანტინე ლომია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოთხოვება გურამ ასათიანთან

მე ვეთხოვები ჩვენი თაობის არა მხოლოდ ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ, ყველაზე პროფესიონალ, ნიჭიერ და გამორჩინებულ ლიტერატორს, არამედ ჩემს სულიერ ძმასაც, რომლის შემოქმედებითსა და ცხოვრებისეულ ინტერესებს ჩემი მისწრაფებებიც ხშირად ემთხვეოდა.

ბედმა მარგუნა, ახლოს ვყოფილიყავ გურამის ოჯახთან.

ბედმა მარგუნა, დამეტირებია მამამისი ლევან ასათიანი და ახლა იმავე ბედმა მარგუნა, დაგიტირო შენ, ჩემო კეთილო ძმაო!

ვიცოდი, გიხაროდა, რომ მიყვარდა შენი ოჯახი.

ვიცოდი, გიხაროდა, რომ სათუთად ვინახავდი მამაშენის ხსოვნას.

ვიცოდი, გიხაროდა, რომ მიყვარდა დეიდა თინა...

და ეს სიხარული იყო ჩუმი, გაუმჟღავნებელი, რაინდული, გურამისეული.

ბევრი რამ ერთად გაგვხარებია და ერთად გვწყენია.

ერთად ვხარობდით ქართულ მწერლობაში ყოველი ნიჭიერი ნაწარმოების გამოჩენისას.

ერთად გვიხაროდა ქართული მწერლობის წარმატება რუსეთსა და უცხოეთში.

და თუ საჭირო ყოფილა, ჩვენც გვილვაწია ამისათვის შენი წინამძღოლობით.

შენ მუდამ ეძიებდი ქართულ ფენომენს და ნუთუ არ იცოდი, რომ თვით იყავი ფენომენალური ქართველი — უნიჭიერესი ინტელიგენტი, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი და ღირსეული მამულიშვილი.

შენი ხალასი ნიჭით, შენი უჩვეულო უნარით, ღრმად ჩასწვდომოდი ლიტერატურის წარსულსა და აწმყოს. შერჩევისა და განზოგადების საოცარი ნიჭით, დახვეწილი და მრავლისმომცველი სტილით თანდათან მოიპოვე ერთ-ერთი უპირველესი ადგილი თანამედროვე კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

რა სავალალოა, რომ შენი ლამპარი ასე ადრე ჩაქრა, გურამ!

რა სავალალოა, რომ ქართულ მწერლობას მოაკლდა შენი მახვილი მზერა, მართალი გული და თბილი ხელები!

მძიმე სენით შეპყრობილსაც არ გიღალატია შენი მეობისათვის: იყავი ოდნავ მხიარული, ოდნავ ირონიული და სულ ვაჟკაცური...

ის გვიამებს ცოტათი გულს, რომ შენი ოჯახის გვარი გრძელდება, რომ შენი მემკვიდრე მარად შეინახავს, ჩვენთან ერთად, შენს სახელს და ოდესმე, თუკი მისწრაფება და ნიჭიერება მოუწოდებს, თქვენი ოჯახის მიერ დატოვებულ ადგილს ის შეავსებს ქართულ მწერლობაში...

მშვიდობის სიტყვას გეუბნები ძმაო გურამ, და გახსენებ, რომ არც ჩვენ შევრჩებით მუდმივად ამ წუთისოფელს, რომ ჩვენთვისაც დარეკს ის ზარი... მაგრამ ვაგლახ, რომ სულ უფრო მატულობს რიცხვი ჩვენი თაობის იმ ბიჭებისა, რომლებიც ასე ადრე დაადგნენ მოუსვლელ გზას...

ახლა ამ გზით მიდიხარ შენც.

სწორედ შენ იყავი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი იმ ბიჭებს შორის...

და ეს ნათელი იყო ლამპარი სხვათათვის, რომლებიც შენს შემდეგ მოვლენ.

კაცმა რომ თქვას, ესაა ადამიანის უკვდავება.

მშვიდობით, ძმაო გურამ...

თენგიზ ბუაჩიძე

## დიდი და ნიჭიერი პიროვნება

ის რომ უეცრად, შორიდანვე არ შეგემჩნიათ, არ შეიძლებოდა. მიგიზიდავდათ მშვენიერი სახით, რაინდული ნაკვთებით, არტისტული გარეგნობით.

ასე იყო — შორიდან. ახლოს კი იგი გიპყრობდათ ადამიანური და ლიტერატურული ნიჭიერების მომხიბვლელობით. ხოლო ნიჭით ჭეშმარიტად იყო უხვად დაჯილდოებული. ეს მაშინვე გეცემოდათ თვალში. ეს ცხადი იყო იმ ადამიანისთვისაც კი, რომელსაც ჯერ კიდევ წაკითხული არ ჰქონდა მისი არცერთი სტრიქონი და არ შეეძლო წარმოედგინა მისი შემეცნების მასშტაბები და შემოქმედების მნიშვნელობა. როდესაც გაიცნობდით მის სტატიებს და წიგნებს ეროვნულ ლიტერატურასთან კონტაქტში, ერთხელ მაინც მოუსმენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით მის აუჩქარებელ, დაფიქრებულ მსჯელობას მეგობრულ წრეში თუ [illegible] უნებურად, ამავე დროს, სიხარულით ექცეოდით მისი დიდი ანალიტიკური ტალანტის ტყვეობაში ძლიერი, ორიგინალური აზრებისა და უცილობელი ადამიანური მომხიბვლელობის გამო. მაშინვე მისი მეგობარი ხდებოდით. იგი თქვენს ბედ-იღბალში შემოიჭრებოდა, როგორც სასურველი და დიდი ხნის ნანატრი მეგობარი.

გხიბლავდათ აგრეთვე ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებით. ნებისმიერ გარემოში იგი თავს გრძნობდა ისე თავისუფლად და შეუზღუდველად, თითქოს დაბადებიდან გარწმუნებდათ, რომ ადამიანებთან მოვიდა, როგორც ძმა და, რომ ყველა მისი მეგობარია. პოლემიკურ უთანხმოების დროსაც კი ის იყო მუდამ კეთილმოსურნე და რაინდულად ტაქტიანი.

იგი ფლობდა კიდევ ერთ შესაშურ თვისებას: მის გარშემო მეგობრული ატმოსფეროს შექმნის ნიჭიერებას. შეეძლო მიეზიდა ადამიანების გულისხმიერება არა მხოლოდ თავის, არამედ მშობლიური ხალხისა და მისი კულტურის მიმართ. ამაზე არც ფიქრობდა, უბრალოდ იგი თვითონ იყო ცოცხალი, რეალური, შესანიშნავი მოვლენა ქართული ეროვნული ხასიათისა. შეგნებულად გამოდიოდა, როგორც მხურვალე პროპაგანდისტი მშობლიური ლიტერატურისა, როგორც უმაღლესი კლასის კრიტიკოსი და მკვლევარი, ბავშვობიდანვე შეყვარებული ქართულ პოეტურ სიტყვაში.

მის კრიტიკულ ნიჭიერებას ორგანულად ერწყმის ანალიტიკური ობიექტურობა და აზრის სიღრმე, წარმოსახვა მხატვრისა და მწერლის სიყვარული მშობლიური ენის მიმართ.

აქედან მოდის არაჩვეულებრივი სიფაქიზე მისი სტილისა, რომელშიაც ფერადოვნად მოჩანდა თავისებურება დიდი და თვითმყოფადი პიროვნებისა.

ლიტერატურულ მოვლენების აზრის სიღრმეში წვდომის ნიჭი ბუნების მიერ ჰქონდა ბოძებული. თავისი ანალიტიკური აზრი თავად განავითარა და გამოჩარხა დაუღალავი შრომითა და ფიქრებით. ხარბი ცნობისმოყვარეობით შინაგანმა კეთილშობილურმა სიყვარულმა მშობლიური პოეზიისადმი აამაღლა იგი სიტყვის ფლობის მწერლურ ხელოვნებამდე.

ასეთი იყო იგი. არა მხოლოდ ჩემს თვალში, არამედ ყველა არაქართველი მეგობრის აღქმაში. ეს იყო გურამ ასათიანი.

რა მწარეა ამ საშინელი სიტყვის „იყოს" წარმოთქმა. საშინელია მით უფრო, რომ ეს აშორებს ხალხს სამუდამოდ დროსა და სივრცეში. აშორებს მოუბრუნებლად.

წავიდა გურამ ასათიანი ნათესავებისაგან, მეგობრებისაგან, ყველა იმისაგან, რაც მას უყვარდა ისეთი ძლიერი, გულითადი სიყვარულით.

წავიდა ისე, თითქოს მზე ჩავიდაო მთის გადაღმა, მიმწუხრის ჟამს. მაგრამ სამწუხაროა იმის შეგნება, რომ აღარასოდეს არ დადგება დალოცვილი დილა, რომ მისი ნათელი სული კვლავ ამობრწყინდეს კავკასიონზე... ჩვენ მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენია, ერთადერთი ნუგეში: მისი აზრების, სიყვარულის, ნიჭიერების და მზიური პიროვნების ბრწყინვალება კვლავაც გაანათებს და გაახარებს ხალხის გულებს. სულის ეს კაშკაში არასოდეს დაიბინდება.

მე კი, მის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან მეგობართაგანსა და თაყვანისმცემელს, მრჩება ერთი: გამომშვიდობებისას ვუთხრა მადლიერების სიტყვა.

სიცოცხლეში გურამის შეუმჩნევლობა ხომ შეუძლებელი იყო, ახლა კი შეუძლებელია მისი დავიწყება.

**ნაფი ჯუსოითი**

## მშვიდობით, გურამ!

უკანასკნელად მოგვიხმე და შეგვყარე ერთად შენი მეგობრები, ამხანაგები, ნაცნობები, ახლობელნი და შორეულნი, მოგვიხმე, რათა ვუსმინოთ შენს დუმილს, სიჩუმეს — ღრმასა და უსაზღვროს, მრავლისმეტყველსა და სევდით გაჟღენთილს. ალბათ ჩვენს შორის შენ იყავი გამონაკლისი, რომელსაც ცოდნის შეძენასთან ერთად სიბრძნე არ დაგიკარგავს. გახსოვს, ერთმა ფრანგმა ზღვაოსანმა, ოკეანეში მარტოდმარტო გასულმა, გაიგონა ბახის დუმილი, გაიგონა, როგორც ქორალის ბოლო აკორდი, რომელიც ზეცისკენ უსასრულოდ მიემართებოდა. დღევანდელი ეს დუმილიც შენი დაუდეგარი, მშფოთვარე, აზრიანი და ლაღი ცხოვრების ბოლო აკორდია, რომელსაც შენი სიცოცხლე უსასრულობაში გადაჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ, მე დღეს პირველად მომესმა, პირველად გავიგონე შენი დუმილი.

სადაც შენ მიხვიდოდი, იქ ცხოვრება ახალ ელფერს იძენდა, უფრო ლამაზი და მიმზიდველი ხდებოდა, ფიქრითა და აზრით იტვირთებოდა. შენი გამოჩენა ყველა სფეროში ზეიმის განწყობილებას ბადებდა, თითქოს ამქვეყნად სხვისი მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად იყავი მოვლინებული. ასეთი რამ მხოლოდ დიდი და ჭეშმარიტი პოეტების ხვედრია და ახლა გეუბნები იმას, რაც დიდი ხნის წინათ უნდა მეთქვა: შენ ჭეშმარიტი პოეტი იყავი, სულით ხორცამდე პოეტი. ამის დასტურია შენი შემოქმედება, შენი სულისკვეთება, შენი სიცოცხლე. შენ ერთი დღე არ გიცხოვრია უპოეზიოდ.

გურამ, მე დღეს პირველად მომესმა, პირველად გავიგონე შენი დუმილი.

განგების მიერ შენ ელჩის თვისებებით იყავი დაჯილდოებული, გარეგნობაც ელჩისა გქონდა. ხშირად ვყოფილვარ მოწმე, ჩვენი ერის სულიერ სიმდიდრეს თუ როგორ აწვდიდი სხვა ხალხებს. მეც გადმომდებია ის მთრთოლვარება და აღტაცება შენი ღრმა ცოდნისა და ელვარე ნიჭის გამო. ანდა მიამაყია, როცა კულისებში კეთილი შურით უთქვამთ: ბედნიერი ხალხი ხართ, რადგან ასეთი პიროვნება გყავთო. შენ ელჩი იყავი არა მარტო საქართველოს ფარგლებს გარეთ, არამედ საუკუნეების მიღმაც. ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ მოწმენი, რა დიდი ღირსებით მიახლებიხარ ჩვენი დროის დესპანად თვით უკვდავ რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ამ მარადიულ მწვერვალებს როგორ წარუდგინე ჩვენი ეპოქის სულიერი კულტურა, ხოლო ჩვენ ახლებურად წარმოგვიჩინე მათი გენიის ბრწყინვალება. შენ მომავლის ელჩიც იყავი, მომავალ თაობაშიც ეძებდი იმ დიდ ფესვებზე აღმოცენებულ ნერგებს და პოულობდი კიდეც.

გურამ, მე დღეს პირველად მომესმა, პირველად გავიგონე შენი დუმილი.

ეს დუმილი დიდებულია და არა შემზარავი.

შენი სახით სამშობლომ კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი დაკარგა, თბილისმა — ერთი გამორჩეული თბილისელი, დედამ — ერთადერთი შვილი და იმედი, მეუღლემ — უძვირფასესი და უსაყვარლესი მეუღლე, შვილმა — ბრძენი მამა, მეგობრებმა — ნამდვილი მეგობარი... არაფერი არ წაგილია. რისი დატოვებაც შეგეძლო, დატოვე, დატოვე ბევრი, ძალიან ბევრი. ამას ხვალ გავიგებთ, ზეგ, როცა ნამდვილად ვიგრძნობთ, რომ ჩვენს შორის აღარა ხარ, როცა მოგვაკლდება შენი სითბო, სიყვარული, შენი აზრი, ოცნება, ფიქრი, როცა მოგვენატრება შენთან ყოფნა, როცა გულისტკივილით გაგიხსენებთ... მაშინ მივხვდებით, რა მდიდრები ვიყავით შენით.

მშვიდობით...

**არჩილ სულაკაური**

6 [108]/140

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ